

114
1968



ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

114

69

5

1968

ენათობი

სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შტაბის

წელიწადი 45-ე

№ 5

მაისი 1968 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

10846

შინაარსი

1818 კარლ მარქსი 1968

განკითხვითი მშენებლობის — კარლ მარქსი და თანამედროვეობა	3
მარქსი — სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის	11
ლენინი — ვითარება. რეალიზაცია, გაგრძელება	12
მთავარი პირობა — ჩვენი მანძილური არა, პოეზია	32
მარქსი ურთიერთობის — ცივი სარეზოლი. მოთხოვნა	47
იონა ვაჟაძე — ლენინი	58
ნალბა ანისულაშვილი — საზოგადოებრივი კანტაბა. ლექსი	60
ნუნა კარბელიძე — ლენინი	63
ჯუმა აბუბა — მთავარი პირობა. მოთხოვნა. თარგმანი აფხაზურიდან რედაქციის წევრების	64
კონსტანტინე პასტოვიჩი — მარქსი ვარდი. გაგრძელება. თარგმანი გურამ გოგიავაძე	79

საფრთხი კრების ფურცლებიდან

კობა მახვი — ცივილიზაციის სოციალური განვითარება	88
---	----

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ფილიპე ბაბიაძე — ფრთხილი, ფრთხილი გინება	95
ნოდარ ჩხეიძე — სიბრძნის კლასიციზმი	106
კარგოვი რატიანი — ვეფხისტყაოსნის ავტორის პინოპრისატის დასასრული	112
თენგიზ გუანიაძე — „დინარა“ კრეატივისმცოდნეობის დასასრული	135
კეთილან ჯაფარიძე — „ივერიეტი“	164



შაკაპი, მომონებანი

3. ბერძენი — თბილისი, 1943 წ.

წიგნების მიმოხილვა

ბ. სულაბერიძე — ოს. ხელის საბავშვო კომისია	184
ზარაბ პარბალაშვილი — მონუმენტული თემათა მანუა	186
ნ. მუხომედიანი — „მსოფლიო კომუნის ფორმა“	188
პასილ კიკნაძე — „ვეფხისტყაოსნის“ თეატრალური მონუმენტული კომპოზიცია	190



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, შ. ლებანიძე, ბ. ფლენტი-ა. სულაქაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. კილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექნოლოგიური რ. ჩაკვატაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პარკისპირა № 12.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/V-68 წ. ქა-
ლაღის ზომა 70×108. ანაწილის ზომა
7 1/4×12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.
პარკობით ფორმათა რაოდენობა 16.
№ 02174 ტირაჟი 9.600 შეკვ. № 1541

ბილეთები: რედაქტორის — 93-55-11,
პ/მგ. მდივანის — 93-55-12, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

საქ. კვ. ც.ს. გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



კარლ მარქსი და თანამედროვეობა

კარლ მარქსი საერთაშორისო პროლეტარიატის და ყველა მშრომელთა უდიდესი მასწავლებელი და ბელადი-მეცნიერული კომუნისტების გენიოსი ფუძემდებელი, რომლის დაბადებიდან 150 წლისთავს მიმდინარე წელს აღნიშნავს მთელი მშრომელი კაცობრიობა, დაიბადა გერმანიაში ქალაქ ტრიერში, 1818 წლის 5 მაისს.

1842 წლიდან იწყება მარქსის აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა, გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლებმა, რომლებიც მიმდინარეობდნენ არა მარტო ახალგაზრდა მარქსის სამშობლო გერმანიაში, არამედ კაპიტალისტურად დაწინაურებულ ქვეყნებში, ინგლისსა და საფრანგეთში. მასიური სილატაკის ფაქტებმა, მწვავე ბრძოლების გაშლამ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის გაუღვიძა მარქსს ღრმა ინტერესი პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემებისადმი, სოციალიზმისადმი. მშრომელთა განთავისუფლების, კეთილდღეობის საკითხი იქცა მარქსის აზროვნების უძირითადეს პრობლემად. მან მიზნად დაისახა გამოეყენა პროლეტარიატის განთავისუფლების სულიერი იარაღი და მართლაც მარქსის უდიდესი ისტორიული დამსახურება მშრომელი კაცობრიობის წინაშე იმაში მდგომარეობს რომ მან, ენგელსთან ერთად, ათეული წლების დამბული შრომის შედეგად, ჩამოაყალიბა პროლეტარული მსოფლმხედველობა, უჩვენა მსოფლიო პროლეტარიატს განთავისუფლების გზები,

შექმნა მეცნიერული მოძღვრება სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, გადააქცია სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად. მარქსმა, რევოლუციური მეცნიერების უდიდესმა კორიფემ, მოახდინა გადატრიალება საზოგადოებთმეცნიერების ძირითად დარგებში და შექმნა მწყობრი მეცნიერული თეორია ბუნებისა და საზოგადოების, აზროვნების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ, რომელსაც შემდგომ სამართლიანად მარქსიზმი ეწოდა. უდიდესი წვლილი მარქსიზმის ჩამოყალიბებაში შეიტანა მარქსის განუყრელმა მეგობარმა, პროლეტარიატის მეორე გენიალურმა მასწავლებელმა, ფრიდრიხ ენგელსმა.

ამრიგად მარქსიზმი არის ფილოსოფიური და ეკონომიური სისტემა, ის არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა, კერძოდ, კაპიტალიზმის განვითარებისა და დაღუპვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, სოციალიზმის და კომუნისტის მშენებლობის შესახებ. ის არის მუშათა კლასის და მსოფლიოს ყველა მშრომელთა ძირითადი ინტერესების თეორიული გამოსახულება, მეცნიერული საფუძველი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისა. მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი პროლეტარული მსოფლმხედველობა განავითარა ლენინმა კაპიტალიზმისა და მსოფლიო ისტორიის ახალ ბიძობებში და ამ მსოფლმხედველობას დღეს სა-

მართლიანად მარქსიზმ-ლენინიზმი ეწოდება.

მარქსის მთავარი ნაწარმოებია „კაპიტალი“. ამ უგენიალურეს, უღრმეს ენციკლოპედიურ ქმნილებაში ყველაზე მეტი სისრულით გადმოცემულია კომუნისტური მსოფლმხედველობის მეცნიერული საფუძვლები. მარქსმა, რომელმაც ისტორიის მატერიალისტური გაგების თეორია შექმნა, როგორც წერდა ლენინი პირველმა გადაქცია მეცნიერება საზოგადოების შესახებ ქეშმბორტ მეცნიერებად. მან დაადგინა ცნება: საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისა, დაასაბუთა, რომ ასეთი ფორმაციების განვითარება და რევოლუციური ცვლა ბუნებრივ-ისტორიულ პროცესია. „მარქსმა და ენგელსმა, პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა, მიუთითებდა სტალინი, წინაღმდეგ სოციალისტ-უტოპისტებისა, პირველებმა განმარტეს, რომ სოციალიზმი მეოცნებეთა მიერ გამოგონილი რამ კი არ არის, არამედ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების აუცილებელი შედეგია. მათ ცხადყვეს, რომ კაპიტალისტური წყობილება ისევე დაემხო, როგორც დაემხო ბატონყმური წყობილება, რომ კაპიტალიზმი თვითონ ქმნის თავის მესაფლავეს პროლეტარიატის სახით“. მარქსმა მისცა მშრომელ კაცობრიობას ზუსტი მეცნიერული თეორია საზოგადოებრივი განვითარებისა, აღმოაჩინა პროლეტარიატის ისტორიული როლი. შეაიარაღა ის კლასობრივი ბრძოლის კანონების ცოდნით. მარქსმა თავის უკვდავ ქმნილებაში „კაპიტალიზმი“ ზედმეტი ღირებულების თეორიის საფუძველზე გამოაშკარაა კაპიტალისტური წარმოების არსი და განვითარების ტენდენციები.

მარქსმა დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმი განვითარების სასაქონლო წარმოება დაყრდნობილი წარმოების საშუალებების კერძო საკუთრებაზე, სადაც წარმოების მიზანია ზედმეტი ღირებულების შექმნა, კაპიტალისტების გამდი-

დრება, რაც მიიღწევა მუშათა და მშრომელთა უმძაფრესი ექსპლოატაციით, მათი შრომის მუქთან მითვისებას გზით, სადაც სახელმწიფოს და იდეოლოგიური ზედნაშეგების ძირითადი ფუნქციაა—დაიცავს და განამტკიცოს ექსპლოატატორული ურთიერთობანი. მარქსმა მეცნიერული კვლევის უაღრესი კეთილსინდისიერებით ცხადყო, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია არის არა მშრომელთა თავისუფლებისა და შრომის დაცვა, არამედ ჩახშობა ყოველგვარი მოძრაობისა, რომელიც კაპიტალისტური ექსპლოატაციის ველური ფორმების წინააღმდეგაა მიმართული. გამოაშკარაა რა მთელი მეცნიერული სიმკაცრით ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის ექსპლოატაციის ყველა საიდუმლოება, მარქსმა გვიჩვენა, რომ განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონები, კაპიტალიზმის დაღუპვას გარდუვალს ხდიან, როგორც ისეთი წარმოების წესისა, რომელიც უკვე საზოგადოებრივი პროგრესის დაბრკოლებად იქცა. მარქსმა ცხადყო, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გარდუვალ კლასობრივ ბრძოლებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის საქმე მიჰყავს პროლეტარიატის დიქტატურამდე, რომელიც მოწოდებულია დაანგრის ექსპლოატატორული ურთიერთობა, მოსპოს ადამიანთა ჩაგვრის და ექსპლოატაციის ფორმები და დასაბამი მისცეს ახალ საზოგადოებრივ წყობილებას — კომუნისმის აშენების ეპოქას. მარქსმა ნათელი პოლიტიკის როლის უგულვებელყოფის უსაფუძვლობა სოციალიზმის მშენებლობაში, ასწავლა პროლეტარიატს, რომ სოციალიზმის განხორციელებისათვის მთავარია პოლიტიკური ბრძოლა. მან დაასაბუთა რომ აუცილებელია პირველ რიგში პროლეტარიატი იქცეს აქტიურ პოლიტიკურ ძალად, თუ სურს თავი გათავისუფლოს კაპიტალისტური მონობისაგან, რომ სოციალიზმის გამარჯვება

ეკონომიური რეფორმების გზით, ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის შეუმუსრავად, განუხორციელებელი და მავნე უტოპიაა. მარქსმა უჩვენა პროლეტარიატს, რომ მთელი საზოგადოების განთავისუფლება კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური რევოლუციის გზით. ლენინი, გამოსული მარქსის ამ მოსაზრებიდან, შემდგომში შენიშნავდა: „პროლეტარიატის ძირითადი ეკონომიური ინტერესები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მხოლოდ პოლიტიკური რევოლუციის საშუალებით, რომელიც ბურჟუაზიის დიქტატურას ცვლის პროლეტარიატის დიქტატურით“¹.

მარქსის ამ მეცნიერულ აღმოჩენას პოლიტიკის როლის, პროლეტარიატის დიქტატურის როლის შესახებ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში დღესაც ვაფთრებით თავს ესხმიან ბურჟუაზიის იდეოლოგები, რომ ჩამოაცილონ მუშათა კლასი სოციალიზმის განხორციელების ნამდვილსა და სწორ გზებს. ამავე დროს დღეს რევოლუციონერ მარქსისტ-ლენინელებს ბრძოლა უხდებათ მემარჯვენე ოპორტუნისტებისა და რეფორმისტების წინააღმდეგ, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეკონომიური განვითარება კაპიტალიზმს თვით გადააქცევს დემოკრატიულ სოციალიზმად და რომ თითქმის ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ამიტომ, ამტკიცებენ ეს ვაჟბატონები, არავითარი ბრძოლა არ არის საჭირო სოციალისტური რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. მეორე მხრივ, ანტიმარქსისტულ, ყალბ თვალსაზრისს ადგანან სხვადასხვა ჯურის დოგმატიკოსები და მემარცხენე ოპორტუნისტები. ისინი ამკარა წინააღმდეგობაში არიან მარქსის დიად იდეებთან, მათ არ ესმით პოლიტიკისა და ეკონომიკის დიალექტიკური ურთიერთობა.

უგულვეტელყოფენ სოციალიზმისათვის ეკონომიკის მნიშვნელობას. მემარცხენე ოპორტუნისტები აცხადებენ, რომ თითქმის ახლა სოციალისტური ქვეყნებისათვის უძირითადესი ამოცანაა — გამოიყენონ პოლიტიკური ძალაუფლება პირველ რიგში სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად კაპიტალისტურ ქვეყნებში. ზრუნვა ეკონომიკაზე, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ აღმაშენებზე, მემარცხენე ოპორტუნისტების მიერ მიჩნეულია როგორც უარის თქმა სოციალიზმზე, როგორც ბურჟუაზიულ პოზიციებზე დაქანება.

რამდენიმე შენიშვნა უნდა გავაკეთოთ მარქსის კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების თეორიათა შესახებ. აღნიშნული თეორიები მარქსისა უდავო ამოსავალი პუნქტებია თანამედროვე კაპიტალისტურ სინამდვილის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ამოსახსნელად, მეცნიერული საფუძველთაგანია კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიების სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებისა განმსაზღვრელებელ მოძრაობაში და ამავე დროს მეცნიერული საფუძველთაგანია სოციალიზმის ქვეყნებისათვის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკისა, თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკის ციკლურ განვითარებაზე სწორი წარმოდგენის შემუშავება, რაც შესაძლებელია აღნიშნული თეორიების გამოყენების საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ მუშათა და მშრომელთა მდგომარეობის მოსალოდნელ ცვლილებებში და გამოვიცნოთ, თუ დროს რა მონაკვეთშია საგარეულო კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავება და აქტიურ აგრესიულ პოლიტიკაზე გადასვლა იმპერიალისტურ სახელმწიფოების მხრივ. კაპიტალისტური წინააღმდეგობების განვითარების გამოცნობა დროსა და სივრცეში აუცილებელია იმისათვის, რომ განსაკუთრე-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 5 ქართ. გამოც. მე-4. გვ. 490.

ბით აქტიური გავხადოთ მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში, რათა იმპერიალისტურმა ონავრებმა ვერ შეძლონ ახალი მსოფლიო ომის ხანძრის დანთება ან ცალკეულ შემთხვევაში სუსტად განვითარებული ქვეყნების შთანთქმა. ამიტომ ამ თეორიათა ღრმა ათვისება კომუნისტური პარტიების მიერ, მუშათა და მშრომელთა ფართო ფენების მიერ, აქტუალური ამოცანაა, რადგან მათი ღრმა გაგება ხელს უწყობს მილიონთა მასებს, როგორც ჩვენში ისე საზღვარგარეთ, იქონიონ სწორი პოლიტიკური ორიენტაცია დღევანდელ მსოფლიოს რთულ ისტორიულ ვითარებაზე.

მარქსის კაპიტალისტური კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების თეორიები პეცნიერული იარაღია იმისა, რომ შევიძუშავოთ სწორი წარმოდგენა მუშათა და მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობის დინამიკაზე თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში. ეს თეორიები გვარწმუნებენ იმაში, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკას არ შეუძლია უზრუნველყოს მუშათა და გლეხთა კეთილდღეობა განვითარების არცერთ ეტაპზე. პირიქით, კაპიტალისტური წარმოების განვითარებისა და კაპიტალიზმის მსოფლიო წარმოებად გადაქცევის შედეგად ის ასეულ მილიონებს აგდებს გავირებებაში, ზრდის უმუშევრობას და აძლევს მას ქრონიკულ, მუდმივ ხასიათს, ასეულ მილიონობით ადამიანების მდგომარეობას ხდის რყევადს და უძნელეს მათ თავისი ნიჭისა და უნარის ნორმალური გამოყენების საშუალებას.

მარქსმა გვიჩვენა, თუ რა საზოგადოებრივ შედეგებს იწვევს კაპიტალიზმის განვითარება სოფლია მეურნეობაში. აგრარული კაპიტალიზმის განვითარების ანალიზის საფუძველზე მან ცხადყო მსხვილი კერძო მემამულურ-კაპიტალისტური საკუთრების რეაქციული ხასიათი, დაასაბუთა, რომ მიწაზე საკუთრების მონოპოლია აფერსებს საწარმოო ძალების განვითარებას

სოფლად, ჩამოარჩენს ქალაქს სოფლისაგან და იწვევს არამარტურ შრომის ფლანგვას, არამედ კოლთსალურად ანადგურებს წარმოების ბუნებრივ პირობებს. მაშასადამე, სოფლად საწარმოო ძალთა განადგურება ღებულობს უნივერსალურ ხასიათს. მიწის რენტის თეორიის შექმნით მარქსმა შეიარაღა პროლეტარიატის კომუნისტური ავანგარდი მძლავრი მეცნიერული იარაღით აგრარული საკითხის გადასაჭრელად, უჩვენა აუცილებლობა და შესაძლებლობა მუშათა და გლეხთა კავშირისა მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერებათა ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე მარქსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმი მტერია გლეხობისა და რომ ასეულ მილიონიან გლეხთა მასას არ გააჩნია არავითარი პერსპექტივა სიღატაკისა და გაჩანაგებიდან თავის დაღწევისა. მარქსმა დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმის დროს გლეხობის ექსპლოატაცია განსხვავდებოდა სამრეწველო პროლეტარიატის ექსპლოატაციისაგან მხოლოდ ფორმით, რომ მხოლოდ კაპიტალიზმის დამშობაში და სოციალიზმის გამარჯვებაში, პროლეტარულ რევოლუციას შეუძლია დასასრული მისცეს გლეხობის ეკონომიურ სიღატაკეს და მის საზოგადოებრივ დევრადაციას.

მარქსმა თვალნათლივ დაგვანახა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ინტერესთა და წინააღმდეგობათა შეურიგებლობა და განსაზღვრა მათი როლი ისტორიულ განვითარებაში. „შეიძლება ითქვას, — წერდა ლენინი, — რომ მარქსის მთელი „კაპიტალი“ მიძღვნილია იმ ქეშმარიტების გამორკვევისადმი, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად ძალებს წარმოადგენენ და შეუძლიათ წარმოადგენდნენ მხოლოდ ბურჟუაზია და პროლეტარიატი: ბურჟუაზია, როგორც ამ კაპიტალისტური საზოგადოების მშენებელი,

როგორც მისი ნელმდგანელი როგორც მისი მამობრავებელი და პროლეტარიატი, როგორც მისი მესაფლავე, როგორც ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს იგი¹.

მარქსმა დაასაბუთა, რომ წარმოების კაპიტალისტურა წესის კანონზომიერებანი ზოგადი ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მოქმედებენ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც განვითარებას იწყებს კაპიტალისტური წარმოება. მარქსის ამ დასკვნას უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა, მან უჩვენა პროლეტარიატს, რომ აუცილებელია კაპიტალიზმის წინააღმდეგ ინტერნაციონალური ბრძოლა. ერთიანი ფრონტი. მარქსის სიცოცხლეშივე გაჩაღდა ბრძოლა მის მიერ განვითარებულ შეხედულებათა სისტემის წინააღმდეგ. მაგრამ მსოფლიოში მარქსის გამოჩენილ მოწაფეთაგან მარქსიზმის იდეურ სიმდიდრეს ყველაზე უკეთ და უღრმესად ჩასწვდა ვ. ი. ლენინი, რომელიც, როგორც ცნობილია, პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა რუსეთში გასული საუკუნის 90-იან წლებში და შემდგომში გახდა მარქსიზმის კლასიკოსი და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ბელადი. ლენინმა დიდი ენერჯია დახარჯა მარქსიზმის რევოლუციური იდეების დაცვასა და პოპულარიზაციაზე, გამოიყენა ის რუსეთის პირობებში და სწორი მეცნიერული ანალიზი გაუყვია რუსეთის ეკონომიურ განვითარებასა და სოციალიზმის პერსპექტივებს რუსეთში. მან არა თუ დაიცვა მარქსიზმი მის იდეოლოგიურ სტრუქტურათან ბრძოლაში, არამედ განავითარა ის მთლიანად. მე-20 საუკუნის დასაწყისში ლენინმა „კაპიტალზე“ დაყრდნობით მოახდინა კაპიტალიზმის ახალი საფეხურის — იმპერიალიზმის რევოლუციურ-მეცნიერული ანალიზი. ლენინმა შექმნა იმპერიალიზმის თეორია, რომელიც გახდა მთელი მსოფლიო-

თს კომუნისტური მოძრაობის გზის მარჩვენებელი.

ლენინმა თავის წიგნში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, შეაჯამა თავისი შეხედულებანი მსოფლიო კაპიტალიზმის დამახასიათებელ კანონზომიერებათა შესახებ. მან გვიჩვენა, რომ წარმოების კონცენტრაციის მიერ მონოპოლიათა წარმოქმნა და ბატონობა არის იმპერიალიზმის დამახასიათებელი ნიშანი, ამოხსნა იმპერიალიზმის თავისებურებანი და დაახასიათა მსოფლიო კაპიტალიზმი, როგორც მომავლადი, ლობობადი და პარაზიტული კაპიტალიზმი, სადაც უაღრესად არის გამწვავებული წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, დაახასიათა იმპერიალიზმი, როგორც ეკონომიურ და პოლიტიკურ უღრმეს წინააღმდეგობათა ერთიანობა, როგორც პროლეტარული რევოლუციების წინააღმდეგ. იმპერიალიზმის მოვლენების შესწავლის საფუძველზე ლენინი მივიდა დასკვნამდე, რომ შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის დაწყება და გამარჯვება ერთ ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ლენინმა მაღალ საფეხურზე აიყვანა მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და ა. შ.

მარქსისა და ლენინის მიერ აღმოჩენილი კანონზომიერებანი განსაზღვრავენ თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებას. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი ისეთივე ექსპლოატატორული ბუნებისაა, როგორც იყო მარქსის დროს. მარქსისა და ლენინის იდეებს გააფთრებით ესხმინათ თავს მსოფლიო ბურჟუაზიის იდეოლოგები. ამტიციებენ, რომ ისინი მოძველებული არიან, რომ მათი დებულებების გამოყენება თანამედროვე კაპიტალიზმის სინამდვილეში შეუძლებელია რადგან კაპიტალიზმი სახალხო კაპიტალიზმად იქცა და თანდათან იწყო გადაქცევა სოციალიზმად. როგორია კაპიტალისტური სინამდვილე

¹ ლენინი. ტ. 24. გვ. 159.

ბურჯუაზიის იდეოლოგთა მიხედვით? რას გვთავაზობენ ისინი მარქსიზმის მაგვირავად. პირველ რიგში, ისინი თავს ესხმიან პროლეტარიატის დიქტატურის იდეას და ამტკიცებენ, რომ თანამედროვე კაპიტალისტურმა განვითარებამ უარყო მარქსისტულ-ლენინური თეორია სოციალისტური რევოლუციისა, რომ ყოველგვარი სოციალისტური რევოლუციის გარეშე ვითარდება კაპიტალიზმი სახალხო წყობილებად. ბურჯუაზიის ბევრი იდეოლოგი დღეს ვეღარ ბედავს ხელაღებით უარყოს სოციალიზმი, უგულუბელყოს მისი წარმატებანი და უპირატესობანი კაპიტალიზმის წინაშე, ამიტომ ისინი იძულებული არიან მშრომელ მასათა დასამშვიდებლად შეთხზან სოციალიზმში კაპიტალიზმის მშვიდობიან შეზრდის თეორიები. მარქსიზმ-ლენინიზმთან ბრძოლაში ბურჯუაზიის იდეოლოგები ამტკიცებენ, თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმში სახელმწიფო იქცა საერთო კეთილდღეობის სახელმწიფოდ, მოხდა მსხვილი კაპიტალისტური საკუთრების „დემოკრატიზაცია“, თითქოს ახლა ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს წარმოების საშუალებებს, ამავე დროს განხორციელდა ე. წ. „მმართველობითი რევოლუცია“, ე. ი. წარმოებასა და ეკონომიკას საზოგადოდ მართავენ, ხელმძღვანელობენ არა კაპიტალისტები, არამედ ტექნიკური ინტელიგენცია.

ბურჯუაზიულ იდეოლოგთა აზრით, მონოპოლიების ბატონობამ იმპერიალიზმის დროს შესაძლებელი გახადა კაპიტალისტური წარმოების ბალანსირებული ზრდა, გეგმიური, უკრიზისო განვითარება, რის შედეგად ადგილი არა აქვს წარმოების ანარქიულობას, კაპიტალისტურ ეკონომიკას ახასიათებს არა რყევები და სპაზმები, არამედ სტაბილურობა, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ეს დებულებები თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ ყალბია და უარყოფილია ფაქტებით. ცხადია, თანამედროვე იმპერიალიზმის პირობებში არ შეცვლილა ბურჯუაზიული სა-

ხელმწიფოს არსი და იგი სოციალისტურ არ ახორციელებს, ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ხელსაყობს უღელ ინტერესს გამოხატავს, ამას დანახვა არათუ ისე ძნელია იმ ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული განხილვის საფუძველზე, რომელსაც თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფო ახორციელებს მუშათა კლასის მიმართ. ვინ დაამტკიცებს, რომ ხელფასისა, სამუშაო დღის სიდიდისა, სამრეწველო და საარსებო პროდუქტებზე ფასების მოწესრიგების დროს თანამედროვე ბურჯუაზიული სახელმწიფო მუშათა მხარზე დგას? ასევე ყალბია თანამედროვე იმპერიალიზმის დამცველ ეკონომისტთა და სოციოლოგთა მტკიცება იმის შესახებ, რომ მსხვილი კერძო საკუთრება გაქრა, თუ თანდათან ქრება. ამას იმით ასაბუთებენ, რომ სააქციო კაპიტალის ზრდა და მოგებაში მონაწილეობის სისტემა თითქოს ნიშნავს მსხვილი კერძო კაპიტალისტური საკუთრების სახალხო საკუთრებად გადაქცევას. ეს არგუმენტები სავსებით უსაფუძველოა. ჯერ ერთი, წვრილი სააქციო კაპიტალი მთიაცავს მოსახლეობის მცირე ნაწილს, მეორე, ამ კაპიტალს არავითარი როლის თამაში არ შეუძლია მსხვილ მონოპოლიებში, წვრილი სააქციო კაპიტალის ზრდა სრულიადაც არ ნიშნავს მსხვილი კერძო კაპიტალისტური, მონოპოლისტური საკუთრების შევიწროებას. იგი ნიშნავს წვრილი სააქციო კაპიტალის მეტი ოდენობით კაპიტალისტური მაგნატების სამსახურში ჩაყენებას.

არ არის ძნელი დასანახი, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში პროლეტარიატი ისეთ უქონელ მშრომელთა მასას წარმოადგენს, როგორც იყო მარქსის სიცოცხლეში. არ არის ძნელი დასანახი რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ისევ ერთი მუკა მდიდრები ფლობენ წარმოების ძირითად საშუალებებს, რომ ნაციონალური სიმდიდრის უღელდესი ნაწილი თავმოყრილია

კაპიტალისტთა, მაგნატთა და მემამულეთა ხელში.

უსაფუძვლოა მტკიცება, რომ XX საუკუნის კაპიტალიზმში „რევოლუცია მოხდა შემოსავლებში“, ე. ი. შემოსავლების სიდიდის თვალსაზრისით გათანაბრდნენ კაპიტალისტები და მუშები. ეინც შეისწავლის ეროვნულ შემოსავალში მუშებისა და კაპიტალისტების წილის მდგომარეობას, იგი ნათლად დაინახავს, რომ ეროვნული შემოსავლის უდიდესი ნაწილი პრივლეგიური კლასების განკარგულებაში რჩება, ხოლო უმცირესი — მშრომელთა. ქრონიკული დაუტყობრობა, ზიგზაგობრივი, ციკლური განვითარება წარმოებისა არ ამღვეს მუშათა კლასს საშუალებას დაიკმაყოფილოს ელემენტარული საარსებო მოთხოვნილებანი და ხვალის იმედი იქონიოს. თანამედროვე კაპიტალიზმში ნამდვილად ძალაშია მარქსის საყოველთაო დაგროვების კანონი, ადგილი აქვს იმ ტენდენციას, რომელსაც მარქსმა თავის დროზე უწოდა სიმდიდრის დაგროვება უმცირესობის ხელში, სიღარიბისა — მშრომელთა მხარეზე. უსაფუძვლოა მტკიცება იმისა, თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმმა შეძლო ეკონომიკის უკრიზისო განვითარება. ამერიკის შეერთებულ შტატებს თუ მივიღებთ მხედველობაში, დავინახავთ, რომ იქ ეკონომიკაში არავითარ უკრიზისო განვითარებას ადგილი არ აქვს, პირიქით, ომის შემდეგ უფრო განშირდა ქარბწარმოების კრიზისები. კაპიტალისტური ეკონომიკის დაგვეგვის ცდებს მართალია აქვს ადგილი, მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში შექმნილია მგვეგმავი ორგანოები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაც უნდა კარგად გეგმონ კაპიტალისტებმა, გეგმის განხორციელება შეუძლებელია ბურჟუაზიული ეკონომიკის პირობებში. ინტერესთა სხვადასხვაობა და, პირველ რიგში, წარმოების საშუალებებზე კაპიტალისტური კერძო საკუთრება გამორიცხავს ეკონომიკის გე-

გურ განვითარებას, საზოგადოებრივ საწარმო ძალთა გონიერულ მართვებას. ასეთი კაპიტალისტური სწამსწავლელე, რომელსაც ბურჟუაზიის იდეოლოგები ალაშაზებენ. ღრმა წინააღმდეგობებში ვახლართული კაპიტალიზმი, დალუბვის წინაშე დგას. თანამედროვე კაპიტალისტური სინამდვილე ისეთი არ არის, როგორც იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგები სახავენ, და არც თანამედროვე მსოფლიო, განსაკუთრებით მისი სოციალისტური ნაწილი, არის ისეთი, როგორც იმპერიალიზმის იდეოლოგებს სურთ რომ იყოს. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მართლაც, უდიდესი ცვლილებები მოხდა, ცველახე დიადი მოვლენები. ამ ცვლებად მსოფლიოში არის სოციალიზმის სრული გამარჯვება საბჭოთა კავშირში და მსოფლიო სოციალიზმის წარმოქმნა, კოლონიალური სისტემის დაშლა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კაპიტალიზმის საერთო კრიზისი უფრო ღრმა არის და კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი უფრო მძაფრი, ვინამეს იყო მარქსისა და ლენინის დროს. კოლოსალურად გაზრდილი საწარმოო ძალების დროს, შრომის მაღალი განსაზოგადოების პირობებში წარმოების საშუალებებზე შენარჩუნებელია კერძო საკუთრება. კაპიტალისტური მონოპოლისტებისა და უაღრესად განვითარებული საწარმოო ძალების გვერდით, კოლოსალური მასშტაბით წარმოშობილია საზოგადოების დამანგრეველი ძალები. თანამედროვე კაპიტალიზმს ახასიათებს არა მშვიდობიანი განვითარება, როგორც გვარწმუნებენ იმპერიალისტური ბანაკიდან, არამედ აგრესიული პოლიტიკის განხორციელება. არასოდეს ისეთი ინტენსიური არ ყოფილა მილიტარიზაცია კაპიტალისტური ეკონომიკისა, როგორც დღეს არის. თანამედროვე იმპერიალიზმი სამხედრო შეიარაღებაზე აღურიცხველ საშუალებებს ხარჯავს, ქმნის ხალხთა მასობრივი

ქვეტის საშუალებებს და ატომური ყუმბარებით სერს ალაგმოს ხალხები, რომლებიც ეროვნული თავისუფლებისაკენ მიისწრაფვიან. მაგრამ იმპერიალისტები ყუმბარების გრიალით ვერ შეცვლიან ისტორიულ განვითარების კანონებს. მსოფლიოში მიმდინარე ახალი მოვლენები და ახალი პროცესები ახალ პრობლემებს აყენებენ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების წინაშე და ჩვენ დარწმუნებული ვართ, მარქსისა და ლენინის ტრადიციებზე მდგარი რევოლუციონერ-მარქსისტები წარმატებით გაართმევენ თავს თანამედროვეობის ურთულეს ეკონომიურ და პოლიტიკურ პრობლემებს. როგორადაც არ უნდა ამახინჯებდნენ სინამდვილეს მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკოსები, ისტორია ვითარდება გენიალური მოაზროვნეების მარქსისა და ლენინის მოძღვრების მიხედვით. მათი იდეების გამარჯვების ტრიუმფია საბჭოთა კავშირი და სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.

მარქსმა და ლენინმა გვიჩვენეს და მეცნიერულად დაასაბუთეს გარდუვალობა სოციალიზმისა და სოციალიზმის უპირატესობანი კაპიტალიზმის წინაშე. სოციალიზმმა თავისი არსებობისა და ბრძოლის მანძილზე ცხადყო, რომ არა კაპიტალიზმი, არამედ სოციალიზმი სახალხო წყობილება. სოციალიზმი აუქმებს კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედებას, რადგან აუქმებს კაპიტალისტურ კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე და საზოგადოებრივ წარმოების აყენებს ხალხის სამსახურში. სწორედ, რომ სოციალიზმის დროს არ შეიძლება საზოგადოებრივი წარმოება დაყრდნობილი წარმოების საშუალებების სოციალისტურ საკუთრებაზე ემსახურებოდეს კერძო პირთა გამდიდრების მიზანს, სწორედ, რომ სოციალისტური საკუთრების პირობებში არ შეიძლება წარმოების საშუალებანი მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის საშუალებანი იყვნენ. სოციალიზმის

უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი საკუთრების არსებობის პირობებში ის ანთორციელებს საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა გონივრულ, რაციონალურ გამოყენებას, ეკონომიკის უკრიზისო განვითარებას, აუქმებს ანარქიისა და კონკურენციის კანონს, უზრუნველყოფს ტექნიკისა და მეცნიერული აზრის აღმაველ განვითარებას, რაც საფუძველი ხდება მშრომელთა მატერიალური, კულტურული ცხოვრების განუხრელი აღმაველობისა და აყვავებისა. უდიდესი უპირატესობა სოციალიზმისა კაპიტალიზმის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მშრომელს, ამ მთავარ საწარმოო ძალას, კი არ ძარცავს და ფლანავს, არამედ აძლევს სრულყოფისა და განვითარების განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. უზრუნველყოფს მის კეთილდღეობასა და ყოველმხრივ გონივრულ შემოქმედებით გამოყენებას. თანამედროვე კაპიტალისტური მსოფლიოს მშრომელებში უფრო და უფრო მტკიცდება ის აზრი და რწმენა, რომ ნამდვილი ადამიანური ურთიერთობები, ადამიანთა ექსპლოატაციის მძიმე უღლისაგან განთავისუფლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სოციალიზმის პირობებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში აღნიშნულია: «კაცობრიობის მესამედი აშენებს ახალ ცხოვრებას მეცნიერული კომუნისმის დროში. მუშათა კლასის პირველი რაზმები, რომლებმაც თავი დააღწიეს კაპიტალიზმის უღელს, გამარჯვებას უადვილებენ თავიანთი კლასობრივი ძმების ახალ რაზმებს. სოციალიზმის სამყარო ფართოვდება, კაპიტალიზმის სამყარო ვიწროვდება, სოციალიზმი გარდუვალად შეცვლის ყველგან კაპიტალიზმს. ასეთია საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონი. იმპერიალიზმი უძლურია შეაჩეროს უძლველი განმათავისუფლებელი პროცესი, კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით კომუნისმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში».

ყოველ გაზაფხულს

ყოველ გაზაფხულს მე ვიგონებ
იმ ერთ გაზაფხულს,
როცა წითელი მიხაკები
გამომიგზავნენ...
მაშინ ვითვლიდი დაბადების
თექვსმეტ გაზაფხულს,
როცა პირველი ყვავილები
გამომიგზავნენ.
ის გაზაფხული წყნარი იყო
და გამჭვირვალე,
მიწაც ჩემსავით იღვიძებდა,
ახელდა თვლებს.
ჩემს განვლილ გზაზე უამრავი
ვარდი მინახავს,
მაგრამ მიხაკებს თითქოს ახლაც
გულში ვინახავ.
მიხაკის ფერი, სისხლის ფერი —
ბრძოლის ფერია
და მიხაკებიც, მე მგონია,
ამას მღერიან.
მაშინ ვითვლიდი დაბადების
თექვსმეტ გაზაფხულს,
როცა პირველად მიხაკები
გამომიგზავნენ.



მ ი თ რ ი ლ ა ტ ე

გ ო მ ა ნ ი

12. ანთროპოლოგია

დილით ხელმსუბუქად წაიხემსეს, მუხაშავრასა და სხვა „მომხედურ-მასპინძლებს“ სუფის ალმა წაპყვენენ.

სოფელს სოფელი გაფანტულ-გადაბმულად მოსდევდა. არა ისე, როგორც პონტოში, მიჯრილად და ჭგუფ-ჭგუფად. წყალი ზედმეტად ბევრი იყო ყველგან. თითქმის ყოველ ეზოში ღარის ნაკადული მოჩხრიალებდა. შარავზის პირებში ფშანის საცივები, დაბალ ჩალობილში, თვალმორცხვად იმზირებოდნენ. სარზე ტარგაყრილი აყირო და ახლოვე ჩასამუხლებული ქვა თითქმის ყოველ წყაროს ახლდა.

ბორცვებზე, ხილის ხეთა ჩრდილებში, წამოდგმული ან შეყუებული წაბლისძეულა ოდები და შქერის წნელის ფაცხა-ქარგვლები... ყაერისა და ისლის საბურავები იკარგებოდა ზამთარ-ზაფხულ მწვანეში. ყოველ მუხუროს ჰქონდა მუხის ჩრდილში რამ სალოცავი... მზვარეებზე ბევრი იყო ზეთისხილი... ხშირად ნიგვზნარი და ჩხავერშესეული ხუმბრა. ქობებში კი განუკითხავად მეფობდა თხმელა.

შეგარდის დაწაფებულმა თვალმა, კობტა ეზოებში, წიფლისა ან კობიტის ქვეშ შენიშნა, შემესრული მარნები... მერმე ისიც შეამჩნია, რომ ყოველი ხე ორ ხისგან შესდგებოდა... ერთი ძირაზე იყო, მეორე კი ვაზი მალღარი.

ბოგილამდე ასე იარეს. აქ მცირე სანაო იყო... ხალხი მენავეებსაც ვაპყავდა. ახლო მოსაბრუნებში კი ჭუმათის ფონიც იყო. ფონს ციხე ადგა თავზე.

მთაზე, ტყიან ქედების თავზე, ჩანდა ჭიგე-ჭუმათურა — ძველსალოცავი.

სწორედ მის დღეობაზე მიემართებოდნენ ახლო-მახლო სოფლები. დღეობა მთელი კვირა გრძელდებოდა... ამიტომ სანაოზე და საფონეზე ახლა მოსულიც ბევრი იყო, დაგვიანებულიც და უკვე უკან გამობრუნებულიც.

ფონის ციხეზე მზვერაკები იდგნენ.

— აქედან შევნიშნეთ თქვენი დანთებული ცეცხლი! შედღეობე ახლაგზრობა ვიწვიეთ, ამიტომ ვართ ასე მსუბუქად, თორემ ისე კოლხი ლაშქრის მეწინავე აზროსნები ვართ! — ბოლოს გახსნა თავისი „საიდუმლო“ მუხაშავრამ, უბელო ცხენი ფონში შეაგდო, ციხის მზვერაკებს აქედანვე მისცა მუნჯური ხელნიშანი.

— მშვიდობას ნიშნავს? — შეეკითხა ქაბუკი, რომელსაც მოეწონა მუხაშავრა და აღარ შორდებოდა.

— მშვიდობას... საპატიო სტუმრიანობას კი თავად იმეცნებენ! განა ნაცარში იქექებთან! სულ ნაკვერცხლის მყლაპავი ხალხია!

მაგრამ მითრო არ დაცხრა. აქ ყველაფერი არ იყო თქმული:

— კი მაგრამ, ამ დღეობა-კვირას, რამე უნდა იცეცხლო აინთება ტყეში, ან სუფ-

სის პირას, კოლოს საფარად, ყველას მიუხტებით?

— ახალტუმბარო! სწორედ აქ არის ნიშანი — ჭეგე-ჭუმათობას მომავალი ცეცხლს არ დაანთებს! დღეს დაანთება ჭეგე-ცეცხლი ჭუმათში! ჭეგე-ბურთივ გაგორდება... ამად გიწვიეთ ყველა!

ფარულმეფიონივ გავიდა და, ცოტა ქვემოთ, ნავეებით გამოვიდნენ თეთროლბანდა და მწვანეგვირგვინა ქალები. ურთიერთს მოუცადეს, შეჯარდნენ და ისე შეუღდნენ ჭუმათის აღმართს. მალე ხმადაბალი გალობაც წამოიწყეს.

— ჭუმათის მღვდრი მონები არიან... მამრმა მონებმა უკვე იპარეს გუშლამ, — ჩაეცინა მუხამავრას, — და ზოგი მათგანი აქ, ჩვენთან არიან! ღამის თავდასხმაზე წამოგვეყენეს მსხვილფეხა ხვასტაგის შეწირვა გუშინ იყო, დღეს ფრინველთა იქნება... მხოლოდ თეთრ მამალს იწირავს ჭეგე-მისარონი! ჰეა კი უფრო ხილსა და ლევეტელუს, მარადმწვანე სუროსა და დაფნის ფოთლებით შემკულს! ჩვენი ღმერთები კარგად ერკვევიან ფერებში! სქესშიაც!... მისარონის მონები მამრები არიან, ჰეასი — მღვდრეში... თავად ღმერთებისა კი რა მოგახსენო!

ფარულმეფიონი დაეწია მონა მღვდრების მარაქას, მაგრამ გასწრება არ იყო წესი. ყველა დაქვეითდა და უკან მიპყვა.

თეთროლბანდა და მწვანეგვირგვინა მარაქა კი გრძელ აღმართს მიპყვებოდა და გალობდა:

ღმერთო წყალთა და წყაროთა,
ლოცვად თარგულო ჰა... ჰეა!
ზეცათა სიბრძნით სახულო,
წარღვნიგან მსხნულო ჰა... ჰეა!
ქვეყნის სახელად ზრახულო,
სახელნათელო ჰა... ჰეა!

აღმართზე ტყე იყო და მიეთ-მოეთი... ხატიონზე მიმავალი ხალხი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩანდა... და თითქოს ტყე გლობდა ჰეა ღმერთისა და ქვეყნის საგალობელს.

ბოლოს გალაყანს მიაღწენენ. ირგე-

ლივ ზეთისხილის ტყე იყო... ცალკე კედარის კორომიც ჩანდა.

მითრო-შეგირდი შივ შევიდა და ნა-მორჩენილ მსცოვანთ დაელოდა... და უეცრად, ერთი ლანდის კვრით — სინოპეში, მითრას კარზე, კედარის კორომივ განჩნდა... ჩამოკიდებულ ძელს შემოჰკრა ხეგდა და მთელი სასახლე, მთელი ქალაქი, მთელი სამეფო, ყველა ღმერთი შეჰყარა და... თავის ცოცხლად ყოფნა და ტახტზე მოსვლა გააგებინა!

...გონზე რომ მოვიდა, ბედან-კოლხი გვერდში უდგა და მიმხედურად უმზერდა, მერმე ჩუმად უთხრა:

— ეგეც იქნება! ეგეც იქნება!

გალაყანში კი მხოლოდ დაფნა და შუაგულში დიდი მუნა იდგა. მის ქვეშ სვეტებიანი, შემადლებული სამსხვერპლო იყო თლილ ქვებით მშრალად ნაწყობი.

სვეტებზე კვერის ოდენა ორი ძელი იყო აკრული. მითრიდატემ მაშინვე იცნო კედარის ძელები. ერთზე მხოლოდ დიდი, თითქმის ერთი მეორეზე წამბული ორი თვალი იყო ამოჭრილი და სხივებად გასული ხაზები... ეს მითრა იყო. მეორეზე წვიმის ხაზები მოდიოდა ზევიდან, შუაში კი თვალდახუჭული წვეროსანი ჩანდა, რომელსაც ვეშაპის ბოლო ჰქონდა. ეს ალბათ ჰეა იყო.

სამსხვერპლოზე გრძელჭადარა, შავ-ახალუხა კაცი იდგა, ხელებდაკოტაგებულ-ლი და ქვევიდან მიწოდებულ თეთრ მამლებს, ხელჩვეულად ჰკლავდა და გაბმულად გაიძახოდა:

— შეიწიროს თქვენი თეთრი მამალი! თეთრმა მისარონმა! სინათლის მამამ!... ჭუმათურმა მუხამავრამ, უძველესმა ხეხატმა და ქვეყნის მოსახელემ და მფარველმა მწვანე ჰეამ. შეიწყალონ თქვენი მკვდარნი და ცოცხალნი! უბად-ნაბადი, მღვდრი და მამრი, ჩვილნი და მსცოვანნი, სტუმარ-მასპინძელი, წამსვლელ-დამჩრენი!

მოფართხალე მამლებს ქვევით, მუხის ძირთან ჰყრიდა, თავებს კი ბიბილოში მახათს უყრიდა, თოკზე ცხრა-ცხრას ჩი-

რივით აცემდა და მუხის ტოტებზე ჰკიდებდა.

ფარულმეფიონი რომ მისწვდა, მუხაშავრას ტოტებზე უკვე შეიდი აცმა ეკიდა.

— თუ არა ჰყავს ოჯახს თეთრი მამალი?

— ნანადირევ ფრინველსაც იღებს მუხაშავრა სამაგიეროდ... ტყუილნი თავისუფალ არიან... შინაურებს კი, ვარდა თეთრი მამლისა, არა... ბედშვებ მონებად ითვლებიან! ჩვენი მუხაშავრა კი თავისუფალ ტომის სალოცავია! — ამყად აუხსნა „ღეთაების თანამოგვარემ“.

მამლებს რომ მორჩა, ხატისხუცმა ხელი გადაიბანა და ახლა მუხას მიაშურა. ხატის ერთ მდგა-მოდგა, თავის ამოტანილ „საჭუმათო ხურჩინებს“ და მანდიკებს მისწვდა. ფშალისა და სუროს სუფრები ვალავანშივე გაიშალა.

მამაკაცები მამინვე შეუდგნენ ცარიელ თხიერაკების ბერვას. ამ დღეს ღვინის მასპინძელი „აგუნას მარანი“ იყო. ყველა თავისი ვაბერილი თხიერაკით უნდა მისულიყო და „სული“ უნდა ხატისხუცისთვის „ჩაებარებინა“. იგი კი ხატის ღვინოს ჩაუსხამდა, უკეთუ „დამონებით ან გვარის ღალატით“ არ ყარდა სული. არც „გვარის ვაყვაცობას“ დაუფიქვებდა ვისმე.

ხატისხუცმა ცულობით თავი მოუთხარა და მოუსუფთავა ასკოვიან თაღარს, ბადიმი მუხის ძირზე აყუდა, ბრკეცა და თავის ღვინოც ძირებს ჰეშვითა და ორ-შიმოთი ასხურა... არც ძველი და არც ახალი საწინახელი არ დაივიწყა.

— შეეწიოს ხე-ხატსა და ხატის ტომს, ჭუმათ-გალავნის ვრს, ჰე, აგუნა! აგუნა!

მუხაშავრამ მუხის ურო აიტაცა და ძველ საწინახელს დაჰკრა, ქუხილის ხმა გააღებინა, მერმე გაღასძახა:

— ჩვენ კვერი და ჩხავერი... მტერს ძვერი და ნადგელი!

— ჰე, აგუნა! აგუნა! — ახლა ჭუმათურას ერმა აიტაცა ძახილი.

— ჩვენ ბედი და ქორწილი... მტერს ღვედი და ბორკილი!

ძველ საწინახლის გუგუნიცა და მუხანას ძახილიც ვარიხიანდა. ხატისა და მუხის ხუცი ახლა მარნის კაცად იქცა და ვერ ორკაზე მოიშველია, მერმე კი კაკეს სპილენძის თუნგი ჩააბა და ჭურში ჩაუშვა. მოწოდებულ თხიერაკს ვერ სუნი აუღო, მერმე ხის ძაბრი ყელში მიუსადაგა და ღვინო ჩაუსხა.

შიგადაშიგ ტკაველა ყანწი დაატრიალა.

ღვინის ჩამორიგება ჩათაგებული არც იყო, მუხაშავრამ კვლავ თავად ჩაუღუქსა და საწინახელს მესხური შემოჰკრა...

— ჩვენს ვაყვაცებს ლელო ბურთი... მტრის ვაგლახებს გრძელი ხურთი...

ეს იყო და მუხის მიღმიდან ხატიონის ერში დიდი ტყავ-ბურთი გადმოგორდა. ხელად შეიქნა ერთი ყიფინი და ხელშეტაცება, მერმე ნამდვილი ხელჩართული მოჰყვა... ბურთს სხეულების მთელი გორა მიაწყდა და დააწვა.

— განაწილდით! განაწილდით! ვინ ვისთან ხართ!? — შეიქნა ძახილ-კვილი. და რამაც განსაკუთრებით ვაყვირვა მითრო-ჰაბუკი, უფრო შეტად ჰალეზი კიოღნენ.

— ჩემია და რას მერჩით! — ხელჩართულს შუაგულიდან ვაჰკიოდა შეჭირვებული ვაყის ხმა, — ჩემია, ხატისხუცო! მაჭუტა ვარ! მიჰოპიტე!

ხატისხუცმა სპილენძის თუნგს შემოჰკრა თოხის ტარი და ხელჩართული შეაჩერა.

— ბურთის ჩამტანი, ცოლოსანია, მაჭუტავ, დაილოცე!

ბურთის ჩამდგები, მოთელილად წამოდგა, ბურთს უფრო ჩაეჭიდა და ხატისხუცთან გვერდელად მივიდა.

ქალების სინარულმა და კისკასმა მუხის კენწეროს ააღწია. ხატისხუცის უთქმელად ყველამ იცოდა, რომ გაისი უხვეწორწილიანი და მრავალშვილიანი იქნებოდა... მაჭუტას, ვერ კიდევ ახალგაზრდას, უკვე შეიდი შეილი ჰყავდა და მათში ტყუპებიც ერია!

ხატისხუცმა ჯამში დაუსხა ღვინო. ხა-

ტის მონებმა უსიტყვო საგალობელი წამოიწყეს... ზმადობალი, დაფუხული და თანდათან მზარდი.

— უცოლო რომ ყოფილიყო, ყანწში დაესხამდა — მითროს წასჩურჩულა მუხამავრამ, — ხომ ჩამოხვალ ჩვენთან?... — და შეყოყმანებული ქაბუკი სულ სიწითლეში ჩააგდო, — ცოლოსანი ხარ თუ?... სატრფო კი არ ითვლება!

უფლისწულს სრულმოულოდნელად ლულუფას ღანდმა ზედ თვალზე გადაუქროლა, ხოლო უკანდრეკილ ფიქრით ინიშნა, რომ ხატონის ქალიშვილებს გაფაციცებით ათვალეერებდა... თავს შემოსწყრა, სახე იბრუნა და თან დაუქნია...

— ჩამოვალ!

მაჭუტამ ჭერ გადაჰკრა ღვინო, ლაშქები პირდაპირ ბურთზე შეაწმინდა და საწესო ლექსი გულმოუთმენლად ამოიძახა:

მუხამავრას მადლითა, ყველა
ღმერთის წყალობითა!
ახალგაზრდულ ძალითა,
წინაპრების კვალობითა!
თვალს დიდება, წყალს მშვიდობა,
ერთობლითი ვალობითა!
... ლელო — აქეთ სუფსა, იქით
ლუხუქელა!

ბურთი მადლა ასწია და ვალავანს იქით თავქვეზე დაეშვა. მრავალი ცოლოსანი უღვაშვადაგრებილი ვაკეკაცი გაჰყვა. თავის ქმრებს ავულონიებდნენ ცოლები.

ახლა მუხამავრა დატრიალდა:

— აბა, უცოლოებო! ერთი ვნახოთ მაგათი მუხლი! ცოლების იმედზე უფრო არიან!

ხელად უუღვაშოთა და უღვაშმოკოკრილთა დიდი გუნდიც შემოკრბა. მუხამავრამ სტუმრებსაც ჩამოუთარა. მითრიდატე ტყავის ჭუმბშივე გაჰყვა. აბა მის მშობილებსაც რა გააჩერებდა.

ჭუმათის კარგა ქვევით, მთავორიან ადგილზე, მაჭუტამ ერთი ყიფინი დაჰკრა და ბურთი მადლა ააგდო.

ბურთი ერთ ირაოზე, მზის სხივებში

გაილანდა და მერმე თითქოს მეხად ჩამოვარდა... არიო ყიფინი და დატრიალი... ხელ-ფეხი, თავ-სხეული... ცოლოსანი... ხან სად დაგორდებოდა მთავორებზე სხეულთ მორგვი, ხან სად!

ჭუმათ-ვალავანზე გადმომდგარი ხატონის ერი ყიფინით ეზნაურებოდა, სადმე სერზე ან კალთაზე გამოჩენილ ლელოს მოთამაშეთ. აქედან ცოლიანებისა და უცოლოების გარჩევა აღარ შეიძლებოდა, თამაში კი ხელჩართულ ბრძოლას უფრო ჰგავდა.

მითრო-ყმაწვილს თავისი სიმკვირცხლე ჰქონდა, მაგრამ აქ ვერცხლის წყალის სიკეაფე იყო საჭირო. ხელიც ვერ გააკარა ბურთს... ერთხელ-ორხელ სხეულთ მორგვში მოხვდა, ძლივს აზიდა თავისი და სხვისი სხეულთგორა და თავი აიშვა, მაგრამ ბურთი მისთვის უხილავი და უხელავი იყო... მერმე ცოლოსნებმა სულ გაიტაცეს ბურთი, ლუხუმელს გადასახედამდე მიიტანეს, ღელის ჩასავალში უყვლეს უცოლოებმა. თურმე ჩასაფრებელიც ჰყავდათ ჭგუფი... დიდი ბურხლი შეიქნა. ძლივს შეაჩერეს, მერმე უკან დააგორეს სხეულთგავი, მაგრამ ბურთი ვერა და ვერ გამოსძალეს. ახლა განზე, ბზის ტყისაკენ გაიწიეს ცოლოსნებმა...

— არიქა, ბზიარაში არ შეგვასწრონ! — შესძახა მუხამავრამ და სტუმართ ჭგუფით გზა ჩაუჭრა. მაგრამ ახლა თხილნარში შეასწრეს და მოჩიხულნი ერთ მოზრდილ ბუნქთან მიწენენ. ბურთი სხეულებით მიჰფარეს და თავისიანებს ყიფინით ნიშანი სცეს.

უცოლოები მიესიგნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. თხილის ბუნქს ვერ მოსწყვიტეს ცოლოსნების აკიდო. არადა, ზგავი ცოლოსანთა მოგორავდა.

მითრო-ჭაბუკმა მკვირცხლად იაზრა, ბუნქს მოავლო ხელი, თავქვე გადმოდრიკა და მოსწია...

— უცოლონო! ჭერ ბუნქი და მერმე ბურთი!

ძალა და ღონე მისცეს, თხილის ბუნქი ძირიანად მოთხარეს და ბელტიანად ამოაბრუნეს. ნიადაგამოცლილ ცოლო-

სანთ ბუჩქიც დაეკარგათ და ბურთიც. ტარიელმა იგდო ხელთ და კარგად გაიმანძილა... ფეხი დაუდგა და დასცეს, მაგრამ ბურთი ახლა სავლაცემ გაიტაცა და განზვ გაპყურებულა. თითქოს ფრთები შეიბა იქაც დახედნენ... ახლა მერცხლის კამარად შეუმარტებულა და ყველა მოატყუა. ისევ განზვ დაკლანა სარბოლი.

მითრო-ჭაბუკმა სინობური ბურთის თაყვანს მოიგონა. იქ ხელიდან ხელში გადაგდებით ვარბოდნენ... ეს ბერძნული ხერხი იყო. მაგრამ იქ ბურთიც უფრო მსუბუქი იყო, ბამბით ან მატყლით ნატენი. აქ კი არავინ სთმობდა ბურთს; თუ ოდნავი სამუალება ჰქონდა, თავად სწავდა ლელოს გატანა.

„დახე, რა ჭიჭურ-ხასიათისანი არიანი?“ გადაგდებით! გადაგდებით! ასე ვერ გავიტანო! — შესძახა და ბურთის გუნდს წინ გაუსწრო.

მუხამაზარამ ინიშნა, სავლაცეს მხარი მისცა, „ბურთის მოკრეში“ ჩაყვინთა და მიიტანა...

— აღარ შემიძლია... დაეიხრჩვი! — შესძახა სავლაცემ და ბურთი ზევით აავდო. მუხამაზარამ დაიჩინა, მაგრამ ფეხებში ხელნატაცები იყო და რას დაიძვროდა, ისევ ტარიელს გადაუგდო და თავად ცოლოსნები დააფერხა.

ტარიელს კი გული ამოესკვნა სირბილში... წინ ვიღაც სახელაუწილი და მოყვირებელი შემოედგა...

— ვინ ხარ?

— უცოლო ვარ, უცოლო!

— დაიფიცე!...

— ყველას ცოლებს ვფიცავარ!

ტარიელმა ბურთი ხარხარს გადააყოლა. ლელოს ახლა ხარხარის ცეცხლი მოედო. მადიციარი უცოლო კი ვარბოდა... აღარც შორს იყო სუფსა. მაინც ჩამოუსწრო ცოლოსანთა სერელმა, გადაეკლა... თუმცა მან იძალა და ბურთი შორს, წინ გაავარა...

ყოველ მხრივ შევარდნებით წამოუჭროლეს... აქ უკვე ვარჩევა აღარ იყო ოჯახის მიხედვით... მითრო-ჭაბუკმა ახლა გამალა თავისი გრძელი წვივები,

არც ბურთთან ჩაიხარა... ჭეინტი ამოქრა, წინ აავდო. შერშივე დაიჭირა და გაწინაურდა. უცნიდან დიდი მატყუბუ უსმოდა... ახლა უცოლოები აჯავბდნენ ცოლიანებს. მაშინ კი ჩააპირდაპირა მითრიდატემ... მის ფერხთით სუფსა დიოდა, ცისფერი, ლამაზი... როგორც ლულუფა!

ჭაბუკი შეკრთა და ზედ ნაპირზე შეყოვნდა. შორიახლოს კი მოჭრილად მორბოდნენ ცოლიანი და უცოლო...

— გადაავდე, ვაჟკაცი! — მოყვირობდა მუხამაზარა...

— ახლა ჩვენია!... მაგრამ ეს სულ უცოლობას ზომ არ ნიშნავს?

— არა, ვაჟო, არა! — მოიჭრა მუხამაზარა... სხვებიც მოიჭრენ...

— არადა... ესეც ლელო! — ჭაბუკმა დაოკებულ სიღინჯით გადასტყორცნა ბურთი სუფსაში და მდევართ ცარიელი ხელები გაუშვირა, — მე რა ვიცი მუხამაზარათა ნიშან-წყესი, არაფერი ავი არ დამებდლოს!

მუხამაზარამ სულ სხვა თვალთ შეჰხედა ჭაბუკს...

— შეშინდი თუ? შენ დასტურ სატრფო გეყოლებას? შენია ლელო... ბურთოცა და მოედანიც! ნიშანი კი ახლა ნახე! ნიშნების, გზა-ბილიკებისა და ნადირობის გამკვლევი ვარ...

...წყალმა აატივტივა ბურთი და კარგა ხანს ჩაუძირავ მუხარადივით მიაყურებდა, მერმე, ჩანს, გაიღინთა ირმის ბეწვი და „ლელომ“ ძირვე იწყო.

— წელს ღომის კარგი მოსავალი იქნება!... დახე, სად ჩაიძირა ბურთი! შენ კი ფხამავარი ხელი გქონია... ბედნიერიც და მძიმეც... ბედს ებრძვი თუ? — აღტაცებით დასძინა მუხამაზარამ და ბურთის გამტანი გადაჰკოცნა.

იმ დამ ჭევე-ჭეშმათის ხატობის სტუმრები იყვნენ ფარულმფეთიონნი. მთელი დამე ნადიმსა და ცეკვა-თამაშში გაატარეს. გალავანში დიდი ჭევე-ცეცხლი დაანთეს და მის ირგვლივ დიდფერხული ჩააბეს, ცალ-ცალკე მდებარე და მამრმა ხატის მონებმა, მერმე ცეცხლი გაიტანეს

და ყოველმა სუფრამ თავისთვის გააჩილა კოკონიცა და ფერხულიც... ახლა შუშპრობა და წყვილთა ცეკვა მოაყოლეს, სახუმართ ფარცაყუყუც და საბრძოლო ტუმალხორუმიც.

მითრო-ჭაბუკმაც კეთილად მოიღწინა, თავი ძიძის სოფელში ჩასთავალა და მუდმივი ევეციც ოდნავ მიეჩქმალა. ცოტა მეტი ღვინოც შესვა... დიდებულმა ჩხავერმა ამასური ქვაფათურა მოაგონა. შეიტკბო და მოისურვილა. ხასიათიც გაუწყო, ცოტა შეაკრთო კიდევაც და არა იმიტომ, რომ მოეწონა... ღვინო აზრს სრულიადაც არ უჩლუნგებდა... პირიქით, უმახვილებდა კიდევაც. მაგრამ სხვა ეშხშიაც შეჭყავდა... თითქოს თვალს უნისლავდა და ცეცხლის პირას მოცეკვავე ქალწულები მზერას სტაცებდნენ... თითქოს მხოლოდ ქალწულები ცეკვავდნენ... და უფრო მეტიც... მათში ტანყენარა ლულუფაც იყო... ხან მისი მოქნეული სხეული გაკრთებოდა აღისპირში, ხან ნატიფად კვეთილი სახე... სურათი შემკული დალალები... გამოსაცდელად საელაყს შეჭხედავდა და მიხვდებოდა რომ ცდება... უფრო ღიად შეჭხედავდა კომწიებსა და კვანწიებს და სახტად რჩებოდა... ახლა ყველა ლულუფობდა!

ბედან-კოლხმა სწორედ დროზე იხმო, მყუდროდ დაღმბულ კარავში და გზის არჩევანში ჩაავდო. მათი ჭგუფის ძირითადი ბირთვი აქ იყო.

დავა გურისა და გვაზას შორის გაცხარდა.

— ან მთაში უნდა ავიდეთ... — იძახდა გური ასკანელი.

— ან ზღვაში უნდა შევეცურდეთ... — ბანს აძლევდა და არსებითად ეწინააღმდეგებოდა გვაზა მეგრი.

— სუფსის აღმა, სოფელ-სოფელ... ასკანის ციხეც ვნახოთ... გიმამინძლებოთ... არც თუ ვიგრძელებთ გზას. მოგასვენებთ... ასე გადავიდეთ, მთა-მთა, რიონის მხარეზე... იქ კი არც თუ შორსაა საეგროს დიდი შარა... ერთიანი გზაცაა. პირიანიც და უხიფათოც!

— არა, ჩვენთან მტკოვანი ხალხია...

დავიდლებით ისედაც დრდნამგზავნი! და რადგან ჭაობები გაუვალა... ისევ ზღვა და ზომალდი სჯობს... ფოთი, დიდი საზომლო და საქარავნო წყალხმელეთა გზა იბერ-კოლხეთისა!.. თუ დიდი წყალია, ტენურზეც ავალთ!.. მხოლოდ ზღვაზე გემართებს სიფრთხილე, დანარჩენი აქაც უხიფათოა!

ყველამ ბედან-კოლხს შეხვდა.

— გური ასკანაში გვიწვევს, გვაზა — ფოთს... ორშია არჩევანი...

— არის შესამეც... — ჩემად დამძრა სიტყვა ჭაბუკმა, — ვიხმობ მუხამავრა! მუხამავრამ მოსვლისთანავე ორი რამ იკითხა...

— მენდობითი?... მაშ, ციხე-გოგია თქვენი მისავალი?

— გენდობით... ციხე-გოგინი გური ასკანელმა გითავდებ! აი, ჩენი სწავლული, ლელოს გამტანი შეგირდიც ვიძმობს! — დინჯად ჩამოუთვალა ბედანმა.

— მცირე ჭგუფის გაყვანას ვთავობ... სამი ნავით! აქვე ვიშოვნი... სუფსას დაეყვეთ, მერმე ფოთამდე ზღვა-ზღვა... დაბალი წყალია, ნაპირთან ვივლით... დიდი ზომალდი ვერც შემოვა, ერთ-ორ უტეგანზე მანძი... ზღვის იქითა მტერი ჩვენთვის უშიშარია... მეკობრეთ კი ჩვენც გაუქსწორდებით...

— ეს რამდენია — უტეგანი! — იკითხა ჭაბუკმა.

— ერთი უტეგანი, თითქმის ერთ ბერძნულ-პონტურ სტადიონს უდრის... ასორმოცდაათი დიდი ნაბიჭი რომ ვიანგარიშოთ!

— ფოთთან რაღას იზამ! იქ სამარცხოც არის და სახიფათოც! — ბედანს გადასხედა ასკანელმა.

— სულ არ შევალ ფოთში... ზღვიდან! პალმასტომის წყალსაძრომი ვიცი, ფოთის ზურგში, რიონში გავიტან ფხაქანს! მერმე აღმა თუ დაღმა — როგორც გერჩიოთ!

— კარგია, — გადასჭრა ბედანმა, — გური ასკანელი და გამყოლნი ცხენებითა და ბარბანით, ხმელეთის გზით წავლენ, ასკანის გადავლით, ხოლო თხუთმეტნი, სამი ნავით, მუხამავრას ეტყო-

089.01

ბით, პალიასტომის გზით წავალთ... გვა-
ზაც ჩვენთან იქნება. ეტიკებო შეყრის
ადგილში შეთანხმდით... ხვალ ნასაუზ-
მეც მივალთ!

მეორე დღეს, სწორედ იმ ადგილას,
სადაც უფლისწულმა ბურთი ჩაადგო,
სამი მსუბუქი კოლხური კამარა იყო
სარზე მომზული. მუხამავრამ და მიტ-
რო-შეგირდმა ყველაფერი ერთად გაა-
რიგეს.

მთლიან ხისა, ხელისგულის სისქემდე
ამორთვილს, ბოლომოკოპიტებულსა და
წვეწმამხველ ნავეს, ხოფების ორი
წყვილი ესხათ ჰდელში, ზედ ბადის-
ძველი, კვილი და თოყის მორგვი ხის
საბრუნელაზე იყო მიმავრებული.

— მსუბუქია? — ხელი ქვინტზე
ამოჰკრა და ასწია ჰბაუქმა...

— საცურავ-სათრეველას! სუფისი კა-
მარა... აღმაც წავალ თუ დამჩინა მდე-
ვარმა! — ნავს ცხენივით მოეაღერსა
მუხამავრა და წსადები ხალთები, საგ-
ზალი და იარაღი ნავეს შორის გაანაწი-
ლა... პირველ წყვილად ხოფებზე მუხა-
მავრა და მითრო-ჰაბუკი დაჯდნენ...
მეორეზე ტარიელ და გედე. მათთანვე
იყო ბედანი, სავლაკეს აგრეთვე მარდ
ნოსამს, მეორე ნავი ჩააბარეს, მასთან
იყვნენ აბო-იბერი, მენიხბეგბად კი
შერჩეული ამალოსანთავანი, მესამეზე
ზღვის ალალი და ბარგი იყო, გვაზა მეგ-
რმა თავად აირჩია ჩახთაულნი...

ნაპირებს თავიდანვე ტყენარი და ის-
ლნარა დაჰყვა. მღვრივდ ცისფერი წყა-
ლი მიჰმედ დიოდა. ვაჭკაბული ნავეები
და მათი კულწვართულა კვალი ახალ
ხნულივით გასდევდა მდინარის შუა-
გულს.

კოტა ზერულე, ფონში გური ასკანე-
ლის ცხენჭარაენი ვადიოდა. ნოსნებს
მოსაბრუნებში კიდევ აწვიდინეს ხმა...
მერმე დაბურული ტყე წამოაწვა მდინა-
რეს. ვადმოხრილ, მკლავგაფარჩხულ
გოლიათებს ფშალეების ფარდები და
კალთები ეკიდათ. წყალშიაც ბევრი იყო
ძირკვი და ხერგი.

ფრთხილად მისცურავდნენ, ესლა იყო,
თორემ წყალდაყოლებით ადვილი იყო

სვლა. ხოფების შეწყობილი მოსმა ნა-
ვეს მსუბუქად იტაცებდა და ჰმატებდა
სიჩქარეს. მაგრამ გზის კვლევა არც თუ
სულ ადვილი იყო. მდინარე თანდათან
ტყე-ჰალაში გაიშალა, ლაქამებსა და
ისლნარში შეიყუდა, უკვე ძნელსარკვევი
ხდებოდა მდინარის მთავარკალაპოტ...
აქა-იქ შავი წყალი უძრავად იდგა. გაუ-
ვალ ისლნარშიც შეიჩინნენ ნავეები. მაგ-
რამ მუხამავრას მართლაც უმცდარი
ყნოსვა და თვალი ჰქონდა, უმაღლ გაარ-
კვედა სწორ სავალს.

მდინარე კი სულ მღოვრდებოდა. ან-
ლა უფრო დააწვენენ ხოფებს... უამრავ
ფრინველისა და ზეცის მეტს ვერაფერს
ხედავდნენ.

შზის ჩახრისას მდინარე თითქმის შედ-
გა. მაგრამ ტალღამ და სიღრმის ჰავლმა
იმატა.

— უკვე ზღვის სუნთქვია! — ხოფის
მოსმას უმატა მუხამავრამ. სხეებმაც.
კოტაც და მდინარემ თითქოს ჰუდი მოი-
ხადა, მერმე ნაპირებმა ტანთ ვადიუარეს
ტყის სამოსი და გაიშალნენ. ნავის ტაატ-
მა ნიშანდობლივად ამცნოთ, რომ ქვეშ
გამოიკვალა წყალიცა და მისი ძალაც...
მათ პირდაპირ კი გამოდნარი მხო იყო...

— უკვე ზღვაში ვართ!

— ზღვაში თუ მზეში? — პონტოელმა
მიმოიხედა.

შავი უღრანი უკვე უკან იყო. ზღვის
ნაპირის უსწორო ხაზი გატეხილ კავი-
ვით იდო. გეზი მარჯვნივ აიღეს და ნა-
პირს შორიახლოს გაჰყვნენ.

— დამე ტყეში ვათიოთ? — იკითხა
მუხამავრამ.

— კოლოებია? — ერთად იკითხა
ყველამ...

— ჰერებან! არ ვიამებათ თუ?

— მამინ ზღვაში გვიჩვენია... — ხო-
ფი მოუსვა შეგირდმა...

— ორფეხა კოლოები უფრო არ იყ-
ბინებთან... არ გამოგვლანდონ სადმე?

შზის ჩასვლისას კიდევ შეთათბირ-
დნენ. ნავეები კიჩო-კიჩო უახლოვეს და
თანაც ხატობიდან გამოტანებული ხაქა-
პურები გატეხეს.

— მალთაყვას მივალწიოთ. იქ ვავი-

დეთ ნაპირზე, დედაბერასთან! — დაასკვნა მუხამაყრამ. — არც შორსაა დავიღვათ ფეხი წილებზე!

— რომ დაგვალამდეს, მიიგნებ? დედაბერას ვერ შევემჩნევთ ბნელაში! — ხაქაპურიც გადმოსცა და გადმოსძახა გვახამ.

— ახლოს ვიართ ნაპირთან! ცინ ძირი კი ნათელია! თვალეზი დამეცსო თუ?

ასევე ახლო-ახლო და ნაპირის ახლო დასანახავში გაჰყვნენ. საოცარი წყნარი საღამო იყო. ზღვა ძლივს სუნთქავდა. პონტოელი ხარბად ეწაფებოდა ჰაერს, ჰაელს, ხოფს, მსუბუქი ნავის სრბოლას... ზღვის თვალსაწიერს... ყველაფერს ხარბად... ყველაფერი კარგი იყო ხმელეთზე, მაგრამ ზღვა მაინც ყველაფერს სჯობდა.

ნავების ირგვლივ უცნაური ლელვა შეიქნა. ფაფარა ტალღას სულ ხშირად ფხიანი შავზურგი ამოეტიფრებოდა და უმაღლვე ისევ ვაჰქრებოდა...

— ზღვის ღორები თამაშობენ! ჩვენ მოგვეყვებიან! — აღმოხდა ჰაბუქს.

— დარს ნიშნავს! ვარსკვლავების რეკლებს დასდევენ ზღვაში! — ბედანდალოლიად, ფიქრიანად გაეხმაურა და აღარც გაეთიშა ფიქრს, — ეპ! ჩვენც ვარსკვლავებს ვეთამაშებით და, ვაითუ, ეს ყველაფერი მხოლოდ ანარეკლია!

მითრიდატეს აფორიაქებულ გულს ისარივით მოხვდა „ეს ვაითუ... ანარეკლი“ ზღვის ღორების კოლტმა სულ ახლოს ჩამოუჭროლეს ნავეებს. ერთმა მაინც სულ ჰქვეშ გაუყვირნია ნავს და ახლა მეორე მხარეს ამოჰყო დიდი დრუნჩი.

მითრიდატე ჰაბუქმა ჰვილთს სტაცა ხელი და ერთლამდზე, ცალხელით, მოწყვეტილად სტყორცნა.

— ესეც ანარეკლია!

ზღვის ღორმა ბოლოზეთქებით ჩაყვინთა. ნავში მსხდომთ აწვიდინა შეხეფები.

— ვაშა მარჯვენას! — შესძახა მუხამაყრამ და თავად მიიწია მორგვისაკენ.

— ახლა მარჯვედ, თოკი მიუშვიტ, თორემ ნავს გადაგვიბრუნებს!

მაგრამ აქაც დაასწრო მითრო-შეგირაღმა იგი დინჯად თოკს აყოლებდა სიღრმეში წასულ ზღვის ღორს, უკან ნავში კი მორგვი ცოცხალივით დაბტოდა. ბოლოს შეჩერდა. მითრო-უფლისწულმა ამოიშოკლა კიდევაც... მალე შორიახლოს თავი ამოჰყო ზღვის ღორმა და თოკი ისევ დაიჭიმა. ახლა ნაპირისაკენ ზურგნაჩენად მიჰქროდა ჰვილთაყრილი...

— მიუშვი ისევე! — თოკი მისცა მუხამაყრამ.

— არა! შემოვებრუნებ! — ფეხები ნავის ძვიდევებს გაშლილად მიაყრდნო და თოკი უფრო მოჰჭრა და მოსწია... ზღვის ცხოველმა ნაპირის გამწვრივ მონახა შევების სავალი... ნავიც აქეთ აითრია...

მითრო შეგირაღმა იდროვა და ზღვას ვაჰხედა...

— არ დაგვებნან! ნიშანი მიეციტ!

— ეს ვინ გყოლიათ, ამირანის შეგირდი! — გულიანად აყიყინდა მუხამაყრა, — ზღვის ღორი არ შეაბა ნავში?

...ცოტა ხნის შემდეგ ნავმა სიჩქარეს უკლო, მერმე ერთი ორიც გაიწია და სულ მოეშვა თოკი. ამირანის შეგირაღმა ისევ ამოკრიფა თოკი და ახლა ხოფოსნებს შეუძახა...

— მორჩა, აღარ იძვრის ჩვენი საბრძოლო ეტლი!

მათაც მოუსვენს ზოფები და მალე ატიტიცივებულ ზღვის ღორს მისწვდნენ.

— ფრთხილად, ცოცხალი არ იყოს! მაგის კუდის ძალა არაკად თქმულა!

— ფიქრი არ არის! — მითრო-შეგირაღმა სულ მოიშოკლა თოკი, ზურგზე მოახტა ნანადირევს, ჰვილთში სტაცა ხელი და ახლა ლაყუნებში ამოსდო თოკი.

— სადავე აღარ გეყო, ახლა აღვირბი უნაგირიც ხომ არ უნდა შედგა?

მუხამაყრამ ნიშანი მისცა სხვა ნავეებს და აღარც ნაპირი იყო შორს.

ნადავლი უკან ჩამოუბტეს ნავს და ისევ ზოფები დაჰკრეს.

მთვარემ დაღამებებს დაასწრო, ასე

რომ, ფარულ ნაოსნებს არც გასჭირვებიათ გზის სწორად კვალვა. ნაპირის კონცხზე დიდვარჯიანი ხე ტყის თავზე გამოყოფილად ჩანდა.

— დედაბერა ჩანს! აქ უნდა მივადგეთ ნაპირს! — გეზი უბირდაპირა მუხაშვარამ.

სულ ახლავს რომ მიცურდნენ, ეტიკმა ნავი არ შეაჩერა. ვიდრე დიდი მუხის ჩრდილი არ დაწვა წყალზე. მამინ სწორკუთხოვნად მოაბრუნა და უეცარ ჩრდილის სიბნელეში შეაგდო ნავი.

ჩრდილში ახალი მდინარება იგრძნო ჰაბუკმა.

— მდინარეში ვართ!

— ორში ერთად... არა სამში — მალთაყვანში, კაპარჭაში... დედაბერა კი მდინარეც არის და მუხაც! წყალსაძრომიც აქ არის! ამ მუხის ძირებში უნდა გავეძვრეთ... ეს საძრომელა უცხოთ არავინ იცის! აქ არის პალიასტომის კარი!

მიადგნენ კიდევაც... ძირები ხშირ ბადესავით გადასდებოდა ძაბრად მოწყურული სამი მდინარის ვიწრო ყელს და სავალს თითქოს სულ ხშავდა.

იყო მუხა, მისი შიშველი, ვეება კიბოსავით ძირები და მის იქით, ტყესავით მომდგარი უტები ისლნარი.

ნავეები რიგ-რიგობით შეძვრნენ თაღად გადმოსულ ძირებში. შიგადაშიგ ჩამოღწეულ მთვარის შუქი სულ აუცნაურებდა ძირშიშველა მუხას.

— ეს მართლა საძრომელა ყოფილა! — ხოფები ნავში ამოჰყარა და თავი ჩაშხარა მითრიდატემ. სხვებიც ასე მოიქცნენ.

— აქ, მუხის ძირში, ვათევთ ღამეს... ყველაზე მშრალი ადგილია... ხვალ აღრევე ვიქნებით ფოთში! — მუხაშვარა ძირებს დაეჭიდა და ზევით აძვრა, — თქვენ ცოტა წინ წააყენეთ ნავეები, ექ მყუდრო ყურება, სამი ნავი დაეტევა! მე სახთლებს ვნახავ!

— სახთლებს!?! — მაგრამ სოროს ეტიკი ბადის იქით გაუჩინარდა.

მყუდრო ყურეში ნაპირზე გავიდნენ და ნავეებიც სანახევროდ გაათრიეს. ზღვის ღორი სულ ამოიტანეს წყლიდან.

მუხის ტერფთან გაშალეს ტყავები და ნაბღები.

აქ არ აღწევდა მთვარის შუქი და ახლა დააფასეს მუხაშვარას მოტანილი სახთლები.

— არა, მაინც საღ გააჩინე!

— ეს ხე ხატია და ყოველი ნებსით თუ უნებლიეთ შემომსვლელი, რაიმეს სტოვეებს აქ... სანთელს კი, ვისაც აჭვს — უსათუოდ! დილით გაჩვენებთ!

მთელი ღამე არ სძინებია მითრიდატეს... და არა იმიტომ, რომ კოლოები აწუნებდნენ... მთელი მხარე... წინ გადაშლილი ზღვა თუ უკან — ჯერ უჩინარი ტბა, თავისი მომავალიც კი... ამ მუხის ძირებში გაყრილად და გაცრილად ეჩვენებოდა, ვარსკვლავების ანარეკლად ელანდებოდა.

ღამის წინ წვრილად გამოჰკითხა მუხაშვარას და მაინც ვერასგზით ვერ წარმოიდგინა მიწის ვიწრო და უკაცრიელი ზოლი, ზღვისა და ტბის შორის. ზღვ კიდევ სამი მდინარე, კაობებზე რომ აღარა ვთქვათ რა! თანაც, ზღვა, შფოთიანი პონტო, ყველაზე უშფოთველი ჩანს, თორემ ტბის მხრიდან უჩრველთა და ნადირთა ისეთი გნისას მოდის, რომ ამის მსგავსი არაფერი სმენია მითრიდატეს.

გათენების ერთი სული ჰქონდა და სწორედ გათენებისას ჩაეძინა.

ზღაპრულ ფაზისის ზღურბლთან იყო... და ელინურ აღზრდისა და განსწავლის ჰაბუკს იმ მითიურ ქვეყნის მრავალხმა სწვდებოდა, რომელიც მშობლიურ-ნათესაურიც იყო და სწავლითაც „ღმერთებისა, გმირებისა და მითების სავანედ“ ესახებოდა.

ეს რაღა სასწაული ხე-სრტეა!.. ექ ტუბაღებში, პონტოს სამხრეთ სანაპიროზე, ძმურ-მეზობლურ ტომებში კედარი იყო წმიდა ხე — ხე-კერბი, ხე-კელაბტარი, ხე-სვეტი ცხოვლისა!

აქეთ — ნათესავ ტომებში — მუხა ყოფილა, მუხა-ჰყონი თუ რკონი!... იგივე ხე-წმიდა, ჯეგე თუ ჯაგ-მუხა, ხე-ხატი, ხე-დედაბერა!... გრძნობითა და

აღლოთი აესებდა მიხვედრასა და საერთო ლანძვებს.

ვიღაც ფრთხილად შეეხო. უმაღლ გამოფინილდა და აზრი მოიცა. თავი მკვირცხლად წამოჰყო.

მის გვერდით, მუხის ტანზე მიყრდნობით, ბედან-კოლხი წამოწეულიყო. იქვე აბიო-იბერიც წამოწეული ჩანდა. დანარჩენთ ეძინათ.

ეს ორი აზროვანი მოხუცი კი თვალმოუწყვეტლად მადლა უმზერდა. ორივე განაბული ჩანდა.

იქ — აბლაბუდაში სხივი იბადებოდა... მეტი ვერაფერი ვერ დაინახა ნამძინარევა.

აღმოსავლეთით უკვე რიყრაყი და ნავლი დგებოდა. შორს, ზღვაში ოდნავ სხივგაქრული ქუფრი იწვა... ცა კი, საოცრად მწვანე ცა, ყორაზე შემდგარ ზღვას უფრო ჰგავდა. პაერში სრული სიჩუმე იდგა. ჩანს, ერთწამს, განთიადის საირაოზე ყველა სულდგმულს ძილი ერევა!

მითრიდატემ დაამთქნარა... მუხის ტანს ხელმეორედ ააყოლა მზერა... და ხელი მშვილდ-ისარს სტაცა. თუმცა მერმე ახალგაზრდაც მოხუცებივით გაინახა.

მუხის მთელი თამამი ვარჯი, გუნდა-გუნდა ხელხატულად და ბოლოქარგულად გამოსჩანდა... უფრო შეაკვირდა, ათასი ზოხობი მაინც იცდა მუხის ტოტებზე და სთვლემდა... თითქოს რკოს მაგიერ მუხას ზოხობი ება!

— ფაზიანა! — ჩურჩული აღმონდა, — აი, ამ ქვეყნის ნიშანი — მუხა და და ზოხობი, მუხა და ზოხობი!

სანახაობა სიზმრის ვაგრძელებას უფრო ჰგავდა.

სიფხიზლის გრძნობის მოსახვევად მუხის იქითა სამყაროს ვაჰხედა ჭაბუქმა.

...იქ — შორს, ჩრდილო ცისკიდურზე, აღმასთეთრა, უსწორო ზოლი თუ ზღუდე თვალს ეკიადა.

— კაკვასიონი?... ამირანეთი!

ახალი ზღაპარი იწყებოდა, ახალი ხილვა... ფიქრის უნაპირო საბორილო... ყმაწვილკაცს არც კი ეგონა, რომ ამდენი მშობლიურად მკიდევ ძარღვებითა და

ფესვებით ყოფილა მიჯაჭვული ამ, ჯერ მკაფიოდ გაუყოფ, სრულიად უნახავ-მისა და წყლის, სამყაროსთან!

„ნუთუ ჩვენ ყველანი გათვისტომებულნი ვართ აზროვანნი, ჩვენი გაჩენის დედა-აკვნებზე უხილავად მიჯაჭვული ამირანები ვართ!?“

...კაკვასიონის მხრიდან ცას შავი წერტილი გაეკრა... თანდათან მკაფიოდ გამოთავთავდა...

— ორბი ამირანის ტანჯვისა!

ორბმა კი მაღალი ირაო დაჰკრა და დედაბერა მუხა-მდინარისკენ წამოემართა. ახლა იგი აღმოსავლეთით უვლიდა მუხას და ფრთების მიღმართ, კაკვასიონის გარდა, თითქოს მზის ბრწყალიც მოჰქონდა.

დედაბერას ცარგვალში, ტოტების მადლა, თვალს მიეფარა ორბი, მაგრამ ახლა ხოხბების კრიახმა და ყვირილმა, ფრთების ფეთქამ შეძრა სადღედაბრო.

მუხის ხატოვანი ვარჯი ანახლად გაიზარდა, ირგვლივ გაფუჟდა და უფრო შეფერადდა... დიდ ბელტიფანტურად მოსწყდა და ყვილით პაერში თუ შემომდგარ ისლნარში გადნა.

გაქრა ხილვა და ახლა მნახველს ძილში ამოყოლილ სიზმრად დარჩა.

მითრო-ყმაწვილმა თავი ნახაღში წაყო და სიზმარ-ცხადს უკან აედევნა.

როდესაც გაეღვიძა, მზე უკვე მუხის ცარგვალში იყო. ყველა მდინარის პირას საქმიანობდა. ზღვის ღორი უკვე გამოწლული და აჭრილი იყო. ნაწილი ზიპისა ჭილობებში გამოკონილი. საგანგებოდ ათილილი „სამწვადე“ კი უკვე შიმხინებდა მუხის ნაკვერცხლებზე.

ზე-ხატის ჩრდილშივე ქვაკერბა და მცირე ნიში შენიშნა ჭაბუქმა... ახლა მიხვდა, საიდან გააჩინა მუხაშავრამ სანთლები.

ნიშის თავზე ფრთავართხმული ორბიც დაინახა.

— ვინ მოჰკლა? როდის?

— საელაქემ, ამ დილით! ჩვენს ზღვის ღორს დასცხრობოდა... ტვინი ამოეჭმამ!

— თუ გულ-ღვიძლი?... სიზმარი გრძელდება! — წაიბუტბუტა მითრიდა-

ტემ, ტანს გაიხადა და მუხის ძირებში ჩაბტა. მას ტარიელი, სავლაყე და ზოგი სხვაც მიჰყვა.

ზღვაში თავი გაჰყვეს თუ არა, ხუთი-ექვსი უტყვევანის შორებით, ფაზისისაყენ მიმავალი ხომალდი შენიშნეს.

გრძელი ნიჩბების წყებანი ზღაპრული ფრინველის ფრთებივით მწყობრად აღინაოლიოდნენ.

— სამქანდარა... სინაბური! — აღმოხდა მითრო-შეგირდს. წინ ხომალდს მკაფიოდ უჩანდა ხეში გამოკვეთილი, პირამქმული ცხენის თავი.

ზღვს ძმები არც გამობრუნებულან, ვიდრე სამქანდარა, სამხედრო ხომალდი ბეჭკოვან ყურეს არ მიეფარა.

ბედისწერა თითქოს უკან მოსდევდა

გამორიდებულ უფლისწულს. ეს კი თითქოს სიზმრისა თუ ზღაპრის ბოლოა იყო!

— ჩენი მდევარი არ იყოს? — ტარიელმა წასატრჩეულა ლტოლვილ მემკვიდრეს.

დედაბერას ძირში მოკლე, წრეფირო თათბირი შედგა. ვადაწყდა, რომ ჯერ აზიო-იბერი, გვაზა მეგრი, ტარიელი და გელე წავიდოდნენ ფოთს ზღვის გზით, ყველაფერს გაარკვევდნენ. „სიზნული“ და დანარჩენები აქ დაელოდებოდნენ მათ მობრუნებას ან შემონათვალს.

ერთი ნაგი, თევზის ზიპითა და ხორციით დატვირთული, „დაბრუნებულ მეთევზეთა“ სახით, ფოთისაკენ გატურდა. ზღვაზე სარკის სიწყინარე სუფევდა...

13. პალიასტომის სიზმარ-ცხადი

დედაბერას ძირების ეიწრო საძრომის თავზე ელოდნენ წასულებს ბედანი და მითრიდატე. მათ წინ ზღვა იყო, უკან ტბა. იქიდან ისევ გნისი მოდიოდა და უფლისწულს გულისყურს სტაცებდა. იქ, ალბათ, კარგი სამალავიც იყო, სიზმარ-ცხადის გაგრძელებაცა და შეფეკაცების კეთილიმოსასიონიც.

— ვითომ მალე მოვლენ?

— დღეს ნუ ველით მათ გამობრუნებას.

— მაშინ მე ტბაზე წავალ.

მუხაშავარამ მარჯვნივ ჯერ მალთაყვა მოიტოვა, მერმე დედაბერა-მდინარე და კაპარქას აჰყვა. გაიმანძილა და მიმდგარ ისლნარს აუარა, მერმე არჩია, არჩია, შიგ შეიჭრა და ნაფიან-მგზავრებიანად შეიკარგა, გვერდის ზოდების მოსმა აღარ ხერხდებოდა, მითრო-შეგირდსაცა და სავლაყესაც თავი დაანებებინა და მხოლოდ კიჩოს ხოდით მოქმედებდა. ფრთხილად და ჩუმად ეპარებოდა ისლისიქითა ტბის სარკესა და ხარეუხებს.

ირველივე, ასლომახლოში, გაბმულ ფრინველთ გნისი იდგა... და პა, ისლის დასალიერს რომ მიადწიეს, მუხაშავარამ

სულ შეაჩერა სვლა. ისლნარის უკვე გამჭვივრვალე კედელში ბზინავდა ტბაში ჩავარდნილი მზე, გედებით, ღერღეტებითა და იხვეებით გადაჭრულებული.

ასეთი სიმრავლე და ნაირ-ნაირობა არც მითრიდატეს, გატაცებულ მონადირეს, არც სავლაყეს არ ენახა. ზღვისპირეთში ყოველთვის ბევრია ფრინველი, მაგრამ ასეთი უთვალაობა!

— ეს რა ფრინველთ წარღვნა ყოფილა? — მშვილდ-ისარი სულ დაავიწყდა ქაბუქს.

ახლაგზრდები მონუსხულივით უმზერდნენ შავი გედების შეამაყებულ ცურვას, ხაზარულა იხვების თავყურყუმალა კოპჩიაობას, ჭიკვარების უძირო ყვინთვის, ბოლოსადგისთა კვატკვატს, ღორიხვების, ვარხვების, ათასჯურა ჭყიამპოებისა, წყლის ქათმებისა და თოლიების ფრენას, ცურვას და კრუალს. ზოგჯერ დაჭერილ და ნისკარტში ამოტრიალებული თევზის გულისთვის შეიქნებოდა ერთი ტაცი-გლეჯა... ახლა სხვაგან, ცაში ავარდებოდა, გადინაცვლებდა და გაშლილ მარაოსავით კვლავ ტბის სარკეს დააცხრებოდა ათასფრთიანი გუნდი.

გაოგნებულად, სულმოგებულად, ჩა-
მუხლულიყენენ ნავში ყმაწვილკაცები
და ღროის გრძნობა დაკარგოდან.

ბოლოს მუხაშავრამ წალდი მოიხელ-
თა და ნიღრით აბლომასლო ლელიანი
გამოსჭრა, ნავს თავზე გადაახურა, ბუ-
ნებრივად შენიღბა.

— აბა, ჩაწევით ახლა! საფრინველე-
ში მივალთ. მაგათი ენა თუ გესმით ვი-
სმე? ერთი რამეც ისურვილეთ... ირჩი-
ეთ ფრინველი! ადამიანს სიხარბეს ყვე-
ლაზე უფრო ნადირობაში შეატყობ!

ქაბუკები უსიტყვოდ ჩაწვნენ. რჩე-
ვით კი არა ურჩევიათ რა.

— შავი გედები? — ისევ თავად შე-
ეკითხა მუხაშავრა.

— არა ყველა ღმერთებს გაფიცებ.
ჩუმიად ვიყოთ, არ გაპქრეს ზმანება!

— არა, მკურნალთ შეგირდო, უფრთ-
ხობია — მუხაშავრამ თავადაც იფარა
ისლის კონა და ნავი დასძრა. ხოფი სულ
მსუბუქად ამოძრავა.

დასარკულზე ნელი ტატით გამოვი-
დნენ მოხიბლული მონადირენი. სულ
მაღე ფრინველთ შორის მიცურავდნენ.
არცთუ ერთდებოდნენ ფრთოსნები.
მხოლოდ ვზას უთმობდნენ, სულ ისევე,
როგორც შავ გედებს.

მხოლოდ ენაყვითელა ღერღეტებმა
ასტეხეს საშინელი ყაყანი, მთელი საბა-
ლიასტომო დააქუხეს, თუმცა არ კი აფ-
რინდნენ.

მაგრამ ხანგრძლივი განკვიფრება
ისეთივე ძნელი ასატანია, როგორც და-
ძაბული ტანჯვა.

— ვტყორცნი ისარს! წყალში გადავ-
ხტების.. გადავირევი! — აზრწასულად
ჩურჩულებდა სავლაკე.

მითრო ქაბუკი თავს ძალას ატანდა
და ძლივს ითმენდა. მუხაშავრა კი იხვი-
ვით კვატ-კვატს მოჰყვა და შუაგულში
შეიჭრა.

სულ ხელის მისაწვდომში ცურავდნენ
გედები და ღერღეტები, ჰყიამჰოვები კი
ნავის კიდეზე შემოჯდნენ და შექმნეს
ჭიკჭივი.

მაგრამ შეაჯაჰვედა და ფეხმაღალა

ლაკლაკიც რომ მოტყუვდა და ნავის
მოხარდახელზე დაეშვა, მაშინ მთარხ-
დატე-ყმაწვილმაც დაკარგა მოთმინება
და ქვევიდან ფეხებში ხელი შესტაცა
უნახავ ფრინველს.

ლაკლაკმა დიდი, შავზოლა ფრთები
აფრებივით ასავსავა, მისმა კრულმა
ცას უწია. და მაშინ მოხდა ახალი სას-
წაული... ტბა ყალყზე შედგა, ადგაფუნ-
და, იქუხა და ჰაერში შევარდა. ირგე-
ლივ ისეთი ღელვა და ჰაერთჭროლვა
შეიქმნა, რომ ისლის საბურავი სულ
გადასცივდა ნავს.

მითრომაც ხელი უშვა ლაკლაკს.

— აჰა! შენც მათთან წადი! ფრთები
გაქვს და გაგიხარია!

პალიასტომის მთელი ფრინველი აღ-
გა და სხვადასხვა მხარეს მიასურა.

— ახლა მარჯვედი! შემობრუნდებიან!
მაგრამ დამჯდარის სროლა არ იკადროთ,
ვაეკაცებო! — გააფრთხილა მუხაშავრამ
და ნავი ადგილზევე დაატრიალა.

მონადირეებს კი ისედაც ისეთი
გრძნობა ჰქონდათ, თითქოს ნავიც აი-
ტაცეს ფრინველებმა. მართლაც, ფრინ-
ველებმა გუნდ-გუნდად ისევ გადაუა-
რეს ნავს.

— შავ გედებს არა! — სავლაკეს შეს-
ძახა მითრიდატემ, — ძიძას მაგონებს!
— და კისერწაგარძელებულ ღერღეტე-
ბის გუნდს შუაგულში სტყორცნა ისა-
რი.

მეორეც მოასწრო. არც სავლაკე იყო
გონჯად. კიდეე და კიდეე... ხან იხვები,
ხან ვარხვები, ხან სრულიად უცნობი
ფრინველები უვლიდნენ.

მუხაშავრა სულ ამორიალებდა ნავს,
ჰკრეფდა ჩამოყრილ ფრინველს.

მითრიდატეს ერთმა ისარმა ორა
ყელფორუხა იხვი ერთად ჩამოავდო.

— გვეყო! — შესძახა ცეცხლმოდე-
ბულმა მონადირემ, — ბრძოლა ზომ არ
არის! მტრის ვლეტა! ესენიც ჩვენებუ-
რები არიან!

— ახლა კიდეე ერთ ნატბევარსაც და
ფიჩორსაც განახვებთ. ახლა გაუვალი
ტყე არის ლიაში. აქ წყალი და ხმელე-
თი ჭერ არ გაყრილა!

ისევ ხოფებს მოუსხდნენ, მკლავმაგრადა და ხელშეწყობილადაც დასცხეს. მალე ტბის ყურეში მოხვდნენ. ნავდანავ ტყეში შევიდნენ. დაბურული თხმელნარები, ვეება ბობოწვერიაანი წიფლები, მოშრიალე ვერხვები და ქალის წნორები. ეკალბარდითა და სუროებით გადაბურული და გადაფშალული პირველყოფილი ტყე, ჩახავსებული ხერგებითა და ატალახებული ნადირთ საძრომებით.

ჩრდილდაკრულ, შავად მწვანე წყალს ლობრისა და დამბალი ხის ყროლვა ასდიოდა.

— ირმები! — სავლაკემ მარჯვნივ გაახედა ორივე.

— ღორების კოლტი! აქეთ, მარცხნივ! — ახლა მუხამავერამ გააბა ჩურჩული. მითრო კი დაძაბული იდგა და სულ სხვაგან იმზირებოდა. ხელით ანიშნა. ძირამობრუნებულ ხელოს ჩაუარეს. მის ვეება ტანს ნამეხართან გაუძვრნენ თუ არა, ჭაბუკი მოსხლეტით შემოტრიალდა და ისარი მხარგამეტებით ზევით სტყორცნა.

ხის ნუეროვანს მოშრდილი, დაფორეჯული ნადირი მოსწყდა და წყალში ჩავარდა. — აფთარი! ბუღზე მოუსწრო! — მუხამავერამ ნავი შემობარუნა და დაჭრილ აფთარს ხელი სტაცა. მაგრამ ძლივს მოასწრო ვარიდებდა. აფთარი უკანასკნელი ძალით ებღღენა, სახელო შეახია და ფხაშერეული ცურვით წყალს მიჰყვა.

— არ გცოდნია აფთარის მოილეტება! ერთბაშე მავწდინე! — მითრიდატე მოიზიდა.

ნავი მალე მისწვდა. ჭაბუკმა მარცხენა წამოუქნია, აფთარი კბილების ღრტივალთ მიეტანა, ქეჩო მოიგრძელა. სწორედ აქ დასტაცა მითრიდატემ მარჯვენა, მალა ასწია და ვადამბრუნებულად ნავის ცხვირს დაანარცხა, ფუძის მალი გადაუტეხა და ნავში ჩაავდო, აფთარიმა უმალ ფეხები გაჭიმა.

— არ შეიძლება შევირდს შევირდად მიებაროს კაცი, არცთუ უიღეთო და

უნიჭო? — მაგრამ მუხამავერას ღიღი საუბარი აღარ დასცალდა. ირმების კვალზე მგლეების სროს წააწყდნენ. — სავლაკე, შენი ჭერია! წავივიდა ჭაობის მგელი!

სავლაკემ მარჯვედ სტყორცნა ისარი და ერთწლიურა მგელს ფაშეში გაუყარა, ციბრუტივით დაატრიალა. მგელმა მანაც იძალა და შეუფალ ბარდში შეძვრა... სროც იქით მიეტანა.

მუხამავერამ ნავით თავს დაუთარა და ბარდულ კუნძულს.

— სისხლი იყნოსეს, ახლა აღარ მოეშვებიან! შექამენ დაკოდილს!

— მგლის ჭიში და გერში პალიასტომზეც ასეთია, როგორც სხვაგან?

— მგელი მგელია ყველგან გესმის რა ამბავში არიან?

მალე პირსისხლიანი ძუ მგელი გამოხტა ლიქნარიდან და თავქვე ჩამოძუნებულდა. უფლისწულმა გალანდა თუ არა, სტყორცნა, წინა მხარში მოარტყა და დაავორა. მითროც გადახტა და მგელიც წამოვარდა, შემოეფეთა, მოდრეებულ ისარს ეცა, მონადირემ მიუწვია და მიბჭენით შიგ ხახაში დასცმეორე ისარი. მერმე მშვილდი მოსდო თავზე და სულთმობრძავი წამოათრია, ნავში ჩამოავდო და სისხლიანი ხელები აქვე წყალში ამოიბანა.

— ნეტავ ასევე მოვერეოდე ძუ მგლის ნაშიერით!

ნავი ისევ ტიალ წყალზე რომ გამოვიდა, მუხამავერამ ჩუმად იკითხა:

— ძუ მგლის ნაშიერები ვილა არიან, მკურნალ-ოსტატო?

— რომაელები.

ნავზე ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ხოფების მხარშეწყობილი და ხელმარდი მოსმა ისმოდა.

პალიასტომის ჩასპილენძებულ სარკეს მიდრეკილი მზის ნასხივი პირველყოფილ ეშხს მატებდა. უკვე სასაირობის ეამი იყო და ფრინველთ აურაცხელი გუნდები ირეოდნენ წყალშიცა და მავრშიც... მაგრამ მონადირენი მხოლოდ ტებებოდნენ, ოცნებობდნენ, თავთავისას იგონებდნენ...

— მოგეთა მოგვი აქ რომ ყოფილიყო, ნეტავ როგორ დახსნიდა მისნურ ნიშნებს? ეპ, აღამიანებს, რომ შეეძლოთ მომავლის ქვერეტა, რამდენი ზედმეტი სისხლი აღარ დაიდგებოდა?

ნაირ-ნაირი ფრთოსნები კი სულ უფლოდნენ ვარშემო. შავი გედები მართლაც ადგილის ძიებებით დაფრინავდნენ. მალე კი ზოხბებმაც იწყეს გადაფრენა.

— მე პონტო უმდიდრესი და უღამაზესი ქვეყანა მეგონა, მაგრამ პეას ქვეყანა, კოლხეთი, საოცარი რამე ყოფილა პალეასტომი კი განუმეორებელი სამყაროა ფრინველ-ცხოველთა!

მუხაშავრასაც ჰქონდა სათქმელი, მაგრამ თავს იკავებდა, თუმცა სათქმელსაველი გაუხვრიტა და მაინც ათქმევინა...

— აბა მე ჭერაც არ ვიცი თქვენი პონტოდან გადმოსვლის მიზეზი და მიზანი, მაგრამ ვგაძნობ, კეთილზრახვია-ნია. მეც მიგულეთ თქვენთან! თავდებად კვლავ გური ასკანელს დაფიყენებ!

— შენ ჩვენთან თავდებად აღარ გჭირდება! აღარც გავიშვებ! პალეასტომს ვფიცავ!

უკან ბრუნდებოდნენ ახალგაზრდები, ერთი დიდსარბიელით, სახელდობრ, პალეასტომის სამყაროთი შემდიდრებულნი და შეეგაყაყებულნი. განსაჯეთრებით ეს შეეხებოდა ფარულ შეგირდს, რომელსაც ბედისწერაც თითქოს მოსდევდა, მაგრამ ნიჭის ბედსამდურავი არ ეთქმოდა.

მათ თავზე გადავლით დედაბერას მუხისაკენ მიფრინავდნენ, მიფრინავდნენ ზოხბები.

— მუხა და ზოხბობი! მუხა და ზოხბობი! ჩურჩულებდა და ზოფს იმედიანად უსვამდა ჭაბუკი მითრიდატე.

პალეასტომის სიზმარ-ცხადი ვრძელდებოდა...

მხოლოდ მეორე დღელს, აღრიანად მობრუნდნენ მზევრავები. სიფრთხილსათვის ღამიანად გამოსულიყვნენ ზღვაში „სათევზაოდ“. ნაესადგომში სინო-

პური ზომალდი იდგა და არც წასვლის სამზადისი ეტყობოდა.

მზევრავებმა ზოგი რამე გაიფიქრეს. ვაც. გვაზა მეგრმა ფოთის ციხისათვის, თავისი ძველი ნაცნობი, მოინახულა და ქალაქში გაგებული ამბავი შეამოწმა. სასახლის დიდმოხელე იყო ჩამოსული სინოპედან, როჭის სპისა და ტახტის მცველთა გუნდის შესარჩევად. როჭიც კარგი ვაეჩინათ.

ეს არც იშვიათი და არც უჩვეულო იყო. კოლხებს უსხარტეს და უმარჯვეს მებრძოლებად სთვლიდნენ მთელი ზღვის სანაპიროზე „გახელებულ მემორებად“. მითრიდატენიც ასე იქცეოდნენ, მაგრამ „სირიელ დედოფალ-გვირგვინოსნის საქციელი კი დიდ ეჭვს იწვევდა.

ტარიელი დაუდარაჯდა და იცნო კიდევაც „დიდი მოხელე“ — ბაზო საქურისი.

დედაბერას ძირში ისევ ეიწრო, საიდუმლო თათბირი შეკრბა.

ბედან-კოლხი დაუყოვნებლივ გაილაშქროს მოითხოვდა.

— რაღა აქ სურთ სასახლის დაცვის შერჩევა, სირიელების მიზნობით, რომიელების შემყურეთი? ეს მხოლოდ მიზეზია... რაღაცა გაგებული აქვთ და გვეძებენ! გეზიც იციან! ჩანს, ვილაცამ გავცვა!

ყველა ჩააფიქრა ამ დასკვნამ.

აბიო-იბერმა მცხეთას გადასვლა, ყოველ შემთხვევაში, ზღვიდან „თავიდათავის“ გაშორება მოითხოვა.

გვაზა-მეგრი ფარულად ციხე-გოჯში ასვლას შესაძლებლად სთვლიდა... და, თუ მაინცდამაინც, მერმე სვანეთში გაზიზვნას ვარაუდობდა. ტარიელიც „გზის აქცევასა და შორს გაქცევას“ ასკენიდა.

მხოლოდ „თავიდათავი“ იყო ხმაგაყმენილი, თითქოს მას აქ არაფერი ეხებოდა.

მცოვნებმა იბერიაში წასვლა დაასკვნეს.

— მართალია, ეს ბევრ რასმე გვიფერხებს, მაგრამ საალაღბედოდ ვერ

გავხდით „თავდათავსა“. ამ შემთხვევაში „თავიდათავი“ „არსიანული“ იყო.

ბოლოს, ყველაფერი რომ გავარიგეს, გულსხმადა იღეს, მითრო-შეგირდის სიტყვის დაუძვრელობა.

ბედან-კოლხმა სხვათა შორის იკითხა:

— დუმილი — თანხმობას ნიშნავს თუ არა? მე ყველას ეკითხება?

— არა — ჩუმიად, თითქოს ძუხის ძირს უჩურჩულა „მღუმარემ“.

ახლა ყველა დადუმდა.

— მუხამავრა! — ნავებისაკენ ხმა-მალლა გასძახა ჭაბუქმა, — ნავები მოამზადე?

— უკვე დილიდანვე მზადაა! — შორიდანვე გამოეხმაურა ეტიკი.

აქ მოდი.

— ერთ ლანდზე!

— მსცოვანება დამავალეს გამომერკევი, — პალიასტომით ფაზისსა და რიონს შესაღწევად სულ ასეთი ბიამანი ადგილებია, მე რომ ვნახე?

— სულ, ვგონებ უფროც!... რიონის მკირე ჭაობ-ჭაობა ტოტი ხან სულ მოწყდება ხოლმე ტბას... მაშინ სულ უვალი და გაუვალია!

— ახლაც შეიძლება ასე იყოს?

— წელს, ხომ ნახეთ წყალუხვი წელიწადია... და თუ, მაინცდამაინც, ნავებს ცოტაზე გადავართვეთ! ტუბალემმა, ალბათ, არც იკით ნავჩოჩილა!

— კეთილი... მსცოვანება გადასწყვიტეს, ახლაც წავალთ! შენ ხარ თავიდათავი!

მუხამავრამ მსცოვანებს სხარტი სალაბი სცა და ნავებს მიაშურა.

— რიონზე გავალთ... ქალაქს უკან მოვექცევით. დანარჩენი მერმე დავასკვნათ! და რადგან მსცოვანებს შეატყო ჩუმბი უამბრობა, დაძინა, — თქვენ მეტი სიმეტი სიფრთხილე გამოქმედებთ, მე მეტი სიმეტი სითამამე, სადმე შუაში არ დაეკარგოთ ქეშმარიტება! მე ორფა ნახარახად შეფიქრება კოლხური როქის სპის წევევა... აი, კაცმა ცოტა-ცოტა შხამი რომ იხმიოს, სხვა უფრო დიდი შხამის დასაფოლებლად! ვერა, ვერა ვთქვი. „მი-

თრალთ“ წინააღმდეგ, სირიელები სრულიადაც ვერ ივარგებენ ჩვენში...

„კოლხნი“ კი აღსაშფოთებლად სინთეს სასახლეში არავის არ მოეჩვენება! იქნებ შეგონების ევალობაზეც იყოს ეს ვარაუდი? ხოლო ჩვენთვის თითქოს ზედმისწრებული ამბავია!... სიტყვები და გამოცდილება არ მყოფის, თორემ ალლო ასე მალაპარაკებს!

მსცოვანებმა თვალები აციცეს, მხრები აჩქნეს. ენები კი ჩაიშოკლეს. აღარ უდრო ჰქონდათ. აქედან გაცლა მაინც საჭირო იყო. ბედან-კოლხმა მაინც წაუჩურჩულა „შეგირდს“.

— მარტო ალლო არა კმარობს რთულ ვარაუდების გადასაწყვეტად!

— საბუთიც მაქვს!

ნავები ამჯერადაც კაპარქას აპყენენ, აათავეს და პალიასტომში შეცურდნენ... ფრინველეთი ისევ დააფორიექეს.

მუხამავრა რაღაც მისთვის გასარკვევ ნიშნებს მიჰყვებოდა. ბოლოს ჭაობების ძეწკვიც გამოჩნდა, თემცა შიგ წყლის მოძრაობა იმჩნეოდა.

ახლა აღმა აპყენენ შევიწროებულ სავალს. ზოგან თხელნარიც შეხედათ, ძირსაც კი მოედო ნავის კიჩო, მაგრამ არსად არ შეფერხებულან ვიწრო და მიეთმოეთ ნაკადში მოხვდნენ. აქეთ-იქით უკვე უღრანი ტყე იყო. ცა აღარ ჩანდა. თითქოს ერთი, შავ-მწვანე, ჩაჩრდილული, გრძელი გვირაბი იყო.

შვლების არვეს წააწყდნენ, ისინიც აღმა მიცურავდნენ. მერმე თახვების ოჯახს. ერთ მყუდრო ყურეში კი წიფლებზე უამრავი ციყვები ხტოდნენ. — ესეც საციყვეთი! — მეწინავე ნავი შედგა. — ახლა მალე სარიონოზეც გავალთ, მერმე მარცხნივ, დაყოლებით, ზღვა და ფოთის ციხეა, იქვე ქალაქიც... მარჯვნივ, წყალაღმა კი ხმელეთით გაუვალი ჭალადი.

— მსცოვანთა დავალებით, გავიდეთ რიონზე და მყუდრო, მშრალი ადგილი ვნახოთ ღამის სათევად! — ყველას მაგიერ გადასძახა შეგირდმა.

მსცოვანებმაც თავი დაშხარეს.

მეწინავე ნავი დაიძრა და სულ მალე

ტყემ უბე გახსნა, დიდი, ჩატვერებული სამკუთხედი მოიბა. ჭერ ნიავი მოჭროლდა, მერმე საგრძნობლად მომდინარე ტალღათა ლივლივი გამოჩნდა.

— რიონი! — მუხაშაერამ პეშვით ამოიღო წყალი, შუბლსა და სახეზე ისხურა, მერმე მრავალგზის შესვა. — ამაზე უფრო გემრიელი წყალი ქვეყანაზე არ არსებობს!

— ფაზისი! — ფიჭრინად ამეტყველდა მითრიდატე. — მითურ სავანეთა მდინარე, — მას მრავალი რამ სმენოდა და წაეკითხა ამ ზღაპრული მდინარის შესახებ და ნაეჭვეშ, ხელმისაწვდომში, დიოდა ტყბილი წყალი და ყველაფერს ირგვლოვ აჟადოვებდა. იგი მშობლიურ დაღისზე უფრო დიდი იყო... და პოი, უცნაურობაე! არანაკლებად მშობლიური! და იგი, მითრიდატე ტუბალი, საკმაოდ გაელინებულო, პონტოს უფლისწული, აქ, ფაზისზე თავს არგონავტად კი არ გრძნობს, არამედ ადგილის ძედ, აფსირტედ, რომელიც დალატს გადაურჩა, თავის შვების მდინარეს დაუბრუნდა და მით სალბუნობს!

რიონის შუადენაზე გავიდნენ და აღმა აჰყვენენ, ხოფებს დააწუნენ.

— იცით თქვენ, რომ ჩვენ ახლა ბერძენ და სხვათა მეცნიერთა, ფილოსოფოსთა, მიწისალმწერელთა დადგინებით ქვეყნის კიდეზე ვართ!? — ყველას გასაგონად გადასძახა მითრო-შეგირდმა.

— ეს როგორ?... როგორ თუ კიდეზე? — შემოსძახეს ნავებიდან.

— ისე რომ, ევროპას სამხრეთით ეგვიპტეს ნილოსი საზღვრავს, აღმოსავლეთით კი — ფაზისი! ახლა რიონ-ფაზისის აღმა მივალთ და მარცხნივ ევროპაა, ხელმარჯვნივ კი სხვა ქვეყანა — ასსუ! აზიათაც გამოითქმის! ისე კი, მაღლობა ღმერთებს, კოლხეთია აქეთაც და იქითაც! — ჭაბუკმა საოცრად მაღალი ხარხარი ამოუშვა. მდინარის ჰუპუმ ორივე ნაპირზე გაიტანა ეს ხარხარი, ნავებიდან ახალგაზრდებმაც ააყოლეს სიცილ-ჟრიაშული. ჭაბუკმა კი კუდი გამოუსკვნა თავის გალაღებას...

— არა უშავს რა, ქვეყნის კიდელებო,

ჩვენ ჩვენებურად დავყოფთ დედა-მარის აქეთა ნაწილს!

— აბა, გუდები დასცალეთ! ახლა მუხაშაერამ გადასძახა „კიდის ნაოსნებს“.

— რიონის წყალი სადიც არის, მსუბუქიც, არც შორდება და ბედის მომტანიც არის! — გუდას პირი შეუხსნა. დააპირქვავა და ფუყფუყით აავსო. სხვა ნავებზეც ასე მოიქცნენ. ახლა ყველას ჰქონდა გულამი რიონის „ბედი-წყალი“.

ჭაბუკი მითრიდატე მოხიბლულად უმზერდა გარემოს, მაგრამ ფიჭრი კი ვერ შორდებოდა ერთ მძიმე გადასაწყვეტს. უნახავად გაეცალოს ბაზო-საგურისას, როგორც მსოფიანები ერთხმად მოითხოვენ, თუ ნახოს და „მკვდრეთით აღდგეს! ძაფი აღადგინოს!? ფიჭრი ერთს ეტყვის, ალღო მეორეს! ბედანკოლხი კი განზრახ ჩამოუგდა ნაეში. ახლა სულ დუღღღებებს უკმაყოფილოდ

— აქ ნუ დავაყოვნებთ! ეს ხომ დიდი სანაოსნო-სახმელეთო გზაა კოლხ-იბერიისა, ალბათ, აღმა-დაღმა დაღამ ნავებიცა და ამბებიც!

მითრიდატემ გადასწყვიტა...

— აბა, მუხაშაერა! გაღმისაყენ... და როგორც ითქვა!

— ერთლანდზე! აბა, ხოფებო, ოფოფები ააფრინეთ! ერთი რიონული! ცქაფი და გრძელმოსმური! გაღმა ტყემდე სულის მოუთქმელად! მომყვეით!

ნავები გაიწვართნენ.

— უფრო გრძელ-მარდი! — არ ცხრებოდა მუხაშაერა, — კისკასური! ჩაუქი! შუა ღარში ვართ... ამირანული! ეს ხომ ამირანის მდინარეა!

მეხოფეებს, მართლაც, ამირანის ცეცხლი შეენთოთ. უწინარეს ყოვლისა მითრო-შეგირდს. იგი მარჯვენა ხოფზე იჭდა, დატოვებულ ნაპირს უმზერდა, თითქოს იმახსოვრებდა, „ქვეყნის კიდეზე“ როგორ მცირდებოდა, ილეოლა ტყე, როგორღაც ცხრებოდა უსწორო თვალსაზრისში.. მერმე თვალი რიონს ჩაჰყვა, ზღვის ნაპირს მიადგა. აზიდულ ციხეს შეაჩერდა. მოზრდილი გალაგანიც დაინახა, სხვა შენობებიც. გალაგან-

გართავ გამოსულიყო ქალაქი ზედ ზღვის პირზე, შემადლებულ კვარცხლებეზე მდგარი, კერპი რამ ჩანდა. ნავსადგომი კი ღიად იყო. და იქ, სხვა კამარანავებსა და კარაპებს შორის, სინოპური სამქანდარაც იდგა და გამოიყოფოდა. თავანის სანიშნოზე ალაში უფრიალებდა.

ამან კიდევ ერთხელ ჩააფიქრა უფლისწული. თუ საზვერავად და სადევრად იყო, რად აიღამებოდა ხომალდი?... და მაინც ნიშანი იყო თუ ხაფანგი ეს ალაში? ბედან-კოლხს მოუბრუნდა. ისიც ფოთს უშვებდა.

— კარგა მოშენებულა ქალაქი... იქ კი ღვთაების ქანდაკებაა! — მაგრამ ვიდრე ბედან-კოლხი დასახლებდა, მითრო-შეგირდისთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

მეწინავე ნავზე მუხამავრამ ერთი შესახა და კილო თანდათან დაუწია, დაბალბრუნვით საგალობელზე გადავიდა. სხეებიც აპყვენენ. სხვა ნავებზეც გადაფრიალდა გალობა.

— „ივენანა, ვარდო ნანა. იავ ნანი-ნაოოო...“

ოქროს აკვნებად ტაატობდნენ ნავები. გალობა უხილავ ნავლად ეფინებოდა სარიონოს, ჩასდევდა უღრანეთსა და უწევდა ზღვამდე, სადაც სხივი კონად ადგა მაღალ ქანდაკებას.

— ადგილის დედა! დია, ნანა! ნანა ღვთაება! ბერძენ მწიგნობართა ნახსენები ფაზინა... თუ ფაზი-ნანა! — მიხვდა მითრიდატე, მერმე მანაც ხმა მისცა.

ნავებზე კი გალობდნენ ნანა საგალობელს.

„მთვარის ნაშუქზე უკლია...
ვარსკვლავნი ღიად უხია,
იავარდ ტანზე უსხია, იავ ნანიანო!
კალთა ზღვა ვადსადენია,
გვირგვინად უდგას ტყენია,
ნათელიც ვადაჟენია!
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანიანო!“

ბედან-კოლხი კი ყურში უჩურჩულებდა ჭაბუკს:

— ნანა დიდი ღვთაებაა, ჩვენს ტო-

მებში თითქმის საყოველთაო, დიდი დედა, აქედან გავრცელდა საპურძენდშიც აც და ვგონებ რომშიაც. კიქს კუნიტუსა და რეას სახელითა სწამთ. ფოთს ჩამოსახლებულმა ბერძნებმა არტემიდელ მიიღეს და თავის ახალშენში მისი ძმის, აპოლონ მფარველ წინამძღოლის ქანდაკებაც და ტაძარიც დადგეს! მაგრამ ძველმა ღმერთმა აჯობა ჩამოსახლებულებს!

რიონმა ფართო მუხლი დაიღო, ერთიც მოახვდა ზღვას მითრიდატემ... სინოპური სამქანდარა კიდევ ჩანდა.

— მუხამავრა! ახლა სადმე გავინაპიროთ! დამე ვათიოთ!

— კიდევ ცოტაც, მერმე ისეთ ტყენაბადაში და სკვარამეთში შეგიყვანოთ, კოლოს მეტმა ვერავინ მოგვაგნოს!

და მართლაც, კუნძულ-კუნძულა ტყე და მაღალი ისლნარი სრულსაიმიედო სახიზრად ჩანდა.

არნახული სიმრავლის ფრინველი, მოქნეულ ვეება ცელივით, წამდაუწუმ სისინებდა და თვალსა სჭრიდა. გვერდის ტოტს გაჰყვენენ და ერთმანეთში რომ არ დაეკარგათ. ბაწარალებით მიცურავდნენ ერთ ტყე-კუნძულთან დაბალ ბექს მიადგენენ.

— აქ ცეცხლიც რომ დავანთოთ არაფერია მოგვიწევს! კია, თორემ კოლო შეგვქამს: — მუხამავრა პირველი გადახტა გარიყულ კუნძუზე და ნავის ცხვირი აითრია.

— დამე აქ ვრჩებით განა? — იკითხა აპო-იბერმა. მაგრამ პასუხი არავის არ გაუცია. ჩუმად იყო ბედან-კოლხიც, თუმცა ორივენი ნავში დარჩნენ.

მითრიდატემ კი ტარიელი და მუხამავრა მოინახულა. საქმე ისევ მოხუცების სახელით გააჩივა.

— გამაზადეთ ღამის სადგომი. ჩვენ ამ შამბიან კუნძულსაც ვნახავთ! — მერმე ტარიელი წაიყვანა და მოხუცებს ნავში ჩაუტყდა, ზოფი მოიქნია.

მიატანეს თუ არა მეზობელ კუნძულს, იქიდან საშინელი ზოტინითა და ლაწალუწით გადმოჟირგალდა ღორების კოლტი და მდინარეს ცურვით გაჰყვა.

— ხვარა მოგვი აქ რომ ყოფილიყო, უსათუოდ კეთილ ნიშნად ჩასთვლიდა მითრას წმიდა ცხოველთა შეყრას!

ბედანმა ყურთ იღო ხვარას სხენება.

— ვაგლახ, აქ მხოლოდ ბახო-საქურისია!

— მე უნდა ვნახო ბახო... ხვარას გამოგზავნილად მიჩნის!

— საბუთი? — შეძრწუნდა კოლხი.

— მერმე იქნება!

— ასეთი რამ უსაბუთოდ როგორ ითქმის?

— რა ვქნა, რომ ითქმის. წინასწარი საბუთის არქონა ყოველთვის უსაბუთობას როდი ნიშნავს, ჩემო მწურთნელო!

— ეს რიტორიკაში, აქ კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა! და არა მარტო პირადი.

— შეც ამიტომ ვბედავ! თორემ ამ უვალ-უღრანში მალეფთა და ფარვით რა გაკეთდება?

— ჯერ დავაეკაცო, და, გარდა ამისა, არის კიდევ ზრახვა. ციხე-გოფსა და მცხეთას მივიდეთ. იქ გაირკვევა „მომავლის კვანძი“.

— ზრახვა, რომელიც მე არ ვიცი?

— დიახ! მოგვიტყე, მაგრამ ჯერ არ შენსავე საკეთილდღეოდ.

მითრიდატეს ელვამ გადაურბინა სახეზე, მაგრამ არა თქვა რა. მერმე ჩუმად დასძინა:

— ხვარა — ბახვას გზითაც არის „მომავლის კვანძი“, რომელიც თქვენ არ იცით! ბარი-ბარში ვყოფილვართ. მე ჩემს წლოვანებას ჩემი ცხოვრების ვითარებამ გამასწრებინა!

მსკოვანები სულ სხარტად დარჩნენ.

— ახლა რაღას აპირებ? — პირდაპირ შეეკითხა მოხიბლული აბიო.

— ბახოს ნახვას. მაგრამ აქაც მინდა ვიდრთხილო. ჯერ სხვას გავგზავნი. მე უკვე დავრწმუნდი, რომ აღამიანის ხასიათი და პირობა ვერცხლის წყალსა ჰგავს. უკვე ემვიანი ვარ.

— მე წავალ! — მაშინვე თავი აღმართა ბედან-კოლხმა. მან იგრძნო, რომ მისი საურვე, ვაცოლებით უფრო მომწიფებული იყო. ვიდრე მას ეგონა.

— არა, შენ ვულს არ გაგიხსნის ბახო. ტარიელი წავიდეს. იმე კვანძი არის და, გარდა ამისა, ნიშანს გვატყნის!

— მე ვაგყვები მრჩევლად! — ახლა აბიო-ბებრი ჩამოდგა.

— მრჩევლები აქ დამჭირდებიან! მე უკვე მოფიჭრებული მაქვს, წავლენ ტარიელ, გედე, სავლაკე და მუხაშაერა. მრჩევლად კი გვაზა მეგრი ვაყაყოლოთ, ციხისთავთან ვაწყობს საქმეს.

— მუხაშაერამ ბევრი რამ არ იცის. არც ფიცის კაცია! — შეედავა ტარიელი.

— ყოვლად სანდოა! ფიცსაც მივალე-ბინებ... და მერმე ერთი რამ იცის — უკან, არა ვგონებ, რომ ვინმემ, მეტმა, გამოავნოს გზა!

— შენია ბურთი და მოედანი! — აღმოხდა ბედანს.

სულ მალე ერთი ნაგი განშორდა კუნძულს და რიონს წყალქვე დაჰყვა.

ტარიელს უბეში ედო, ბახოს მიერ შორთმეული ვერცხლისძეწვიანი სამაჯური.

ქალაქს ჩაუარეს. ფოთის ციხეს მოაკითხეს. გვაზა მეგრი მარტო წავიდა ციხისთავთან. იქ სიხარულით შეხვდნენ.

— გეძებთ. გეძებთ! რა მიწამ, რა წყალმა ჩაგვლაპა ბერ-კოჩო? — ციხის თავანიდან ჩამოსძახა ჯოტო ჭიხასთავმა და ცალი ხელი აასავსავა. მეორე ხელი მას ზღვის ბრძოლაში ჰქონდა დაკარგული.

— რა იყო ცალხელავ, რაში დაგჭირდი? — შორს დაუჭირა გვაზა მეგრმა.

ჯოტომ დაიმარტოხელა, თავანზე აიყვანა და ზღვისაკენ გაახედა.

— ჰხედავ სამქანდარას?

— ვხედავ და ვიცი, როქის სპას აგროვებენ პონტოსათვის! იქნებ ეს აფრია და თავად კი მონათვაჭარი ყურსალები არიან?

— არა, როქის სპას ჯერ ვერ აგროვებენ! მე დავეშალე, ვიდრე გოჯი კოლხობატონის დასტური არ მექნება!

— მერმე მე რაღად დაგჭირდი?

— ბახო-ხალიბი ვიდაც ტუბალებს

კითხულობს, მშვიდობიანი სიტყვა მო-
მაქვსო! მემკვიდრეობა უნდა გადაე-
ცეო, მპოვნელებს წილი ექნებაო.

— მაინც ვის? — დადარაჯდა გვაზა.

— ერთ-ერთს ბედან-კოლხს ასახე-
ლებს... ჩვენებური ბრძენ კაცი რომ
იყო სინოპეს. შენ გეცოდინება, ხომ
ტრაპიზონიდან მოხვალ?

— არ გამოვივა, სად არის! კოლხი არა
და. ერთი ტუბალი, სწავლული მკურ-
ნალი მეც მახლავს, იქნებ იმან იცის
რამე? არც ჩვენ გვაწყენდა წილი?

— შევახვედროთ, მოიყვან?

— მოვიყვან, მაგრამ... პონტოს ბო-
ლო ამბები შენ ხომ იცი. დალატი რამე
არ იყოს?

— აქ შევახვედრებ, ციხეში. ჩემ ხელით
იქნება ყველაფერი! — მიმხედურად
დაასკენა ჭიხასთავმა.

— მაშინ იხმე, ახლავე. მეც მალე მო-
ვიყვან ტუბალ მკურნალს. ჩვენც ახლო
ვიყოთ!

ჯოტომ კაცი აფრინა ხომალდზე. გვა-
ზა კი ისევე ნავთან ჩავიდა და ტარიელი
იხმო.

— ციხეში მოვა ბახო-ხალიბი, მარ-
ტო შეიყრებით, თუ ჩვენც გვახლოთ,
მე და ცალხელა ჭიხასთავი?

— მარტო.

— მალე! დავასწროთ მისვლა.

მართლაც დაასწრეს. ჯოტომ გალაგა-
ნი გადასერა და მარცხენა კოშკის ზედა
სადგომში წარუძღვა სტუმრებს.

სადგომიდან მთელი ციხის შიდა ეზო
ჩანდა, ადრევე შეამჩნიეს ბახო-ხალი-
ბისა და მისი მხლებლების მოსვლა.

ჩინებული ძღვენიც მოართვეს ჭიხას-
თავს, ჯოტო მიეგება და სუფრაზე იწვია
დარბაზში, მერმე მხლებლები თავის ხა-
ლხს შეატოვა ხელში, ბახო-ხალიბი კი
ცალკე იწვია „მარცხენა კოშკის სიმა-
ლიდან ქალაქის თავზე გადასახედად“.

— ერთ სინოპელ ტუბალს შეგყრიოთ,
თქვენი სამემკვიდრეო ძიებისა იქნებ
მან გაუწყოთ რამე?

ბახო უსიტყვოდ გაჰყვა.

სადგომის წინ ჯოტო ზრდილობიანად
შეღვა.

— თქვენ, ალბათ, ცალკე ინებებთ მე-
ყრას, მე ქონგურზე გავალ, თუ დაგვი-
რდეთ, დამეხმიათ! — კარში შეტრუვა
და გარედან რაზა დაადო.

სადგომში საკმაო ჩრდილ-ბინდი იყო.
ვიწრო სარკმელში შუქი ცელის პირი-
ვით შემოდინოდა. სვეტები კი უფრო
ამრავლებდნენ ჩრდილებს.

ხილული არავინ ჩანდა. შუაში თვე-
ზის ძვლით შემკული მრგვალი ტაბლა
იღგა.

ბახომ თვალი რომ შეაჩვია — ზედ
აბზინებული ნივთი შენიშნა.

„ჩემი ნობათი, ძღვნის სამაგიერო!“
გაიფიქრა და ხელი გაუწოდა, მაგრამ
ჯერ გაუშეშდა, მერმე შესტაცა. სინათ-
ლეზე დაწაფებულად გასინჯა, უდავოდ
ნამისარი სამაჯური იყო... აი, ვერცხლის
ძეწკვი, ესეც ოქროს ვარსკვლავი.

სამაჯური მალა ასწია და მუხლებზე
დაეცა, გულქვა საჭურისის, დაღარულ,
დაქოსაყვებულ ლაწებზე ცრემლები ჩა-
მოედინა.

— ყოვლად ძლიერ ღმერთებს, ცაბა-
ხმელთა და ზღვათა დიდება! ტომთ საზ-
სენებელნო. ხალიბთ სალოცავნო! კა-
ბირ-ღვთაებანო! მემკვიდრნო ნაპერწყ-
ლიანნო! — წართქმით ჩიფჩიფებდა ცო-
ტადერა ქილვაშში და სამაჯურს ზო-
ლად ჩამომდგარ შუქზე აელვარებდა.

ასევე მუხლმორთხმულს წამოადგა
თავზე სვეტების მიღმა დაყოვნებული
ტარიელი.

— რამ შეგძრა ასე? რა ინიშნე? არ
იცოდი თუ? ან ახლა რა იცი? ან რას
დაეძებ? — კითხვები დააყარა თავადაც
არანაკლებ განცვიფრებულმა.

ბახო შეკრთა, მაგრამ ცრემლები
აღარ დაჰფარა. ნელა წამოადგა და მოუ-
ლოდნელ მოსაუბრეს დაავიროდა.

— ტარიელ მცირე! ვიცოდი და მაინც
ვეძვობდი უმძველს! მე ხომ უბედური
ნაკაცარბ ვარ, ყველაფერში დაუძვებუ-
ლი. აი, გარდა ამისა! — ბახომ ხელში
სამაჯური შეაწკრიოდა. ყურთან მიი-
ტანა, მერმე უცბად ჩაქრა და თავის ნა-
კუჭში ჩაჯდა.

ტარიელმა იგრძნო, რომ ახლა იგი უნდა შეეკითხოს.

— აქ მარტონი ვართ. თუ რამ სათქმელი გაქვს, ან გადასაცემი...

— მაქვს, — მაგრამ ბახო ისევ ეჭვიანი საჭურისი იყო და ფეხსაც ითრევდა და სიტყვასაც, — შენ მამასთან მეგონე, საბერძნეთში... ყველას ასე ჰგონია პონტოს.

— მით უმჯობესი.

— მაგრამ შენ „სად“ ხარ? — უფრო დაახვია სიტყვა ხალობმა.

— „სამაჯურთან“ ვარ... განა არ კმარა ნიშნად?

— ნიშნად კმარა. — ბახომ სამაჯური უკან გადასცა და დადრკა, წერილობითისა და ქედლილ-მოჭრილის გარდა, ზეპირიცა მაქვს.

— წერილობითი გამატანე... დანარჩენზე შეგატყობინებ...

— როდის?

— როცა იქნება, აქ არავინ არაფერი არ იცის.

— კეთილი. არც ხომალდზე... — მერმე უეცრად ისევ მოიხარა და აკრახულებულად შეძახა, — ერთი მანახვეთ. ეს ეჭვები, შხამიანი ეჭვები, მკლავენ...

თავი გადამიღია, არად მიღირს. ეს ეჭვები... ხელს მიბორკავენ! თორემ ზღვიდან შავი ბედაური გამოირიყა! ყაბაღაბი გამოირიყა! სამი ცრუმარტვეია, მე თავად, ჩემი თვალით ვნახე! მისანმა მისნურად მითხრა, და გულ-ღვიძლი კი ეჭვებით მაქვს ამოქმული, რა ექნა? — მერმე მოაგონდა „წერილობითი“, ციდა სიფართოვის ტყავ-ქამარი შეიხსნა და წვერმოხრილ სატვერით შეარღვია, პერგამული ეტრათი ამოიღო, მაგრამ გადაცემა მაინც დააყოვნა, — უნდოგული მაქვს ნუ მიწყენ! ის მაინც მითხარით... როგორ? ზღვაში როგორ? ჩვენ სხვა გზა გავუფვლიეთ, მაგრამ ეს — ზღვისა — ყოველ მხრივ უმჯობესი გამოდგა! ამან შეაჩერა ჩანყი და რომაელების ჩარევა!

ტარიელმა იგრძნო, რომ ახლა მანაც რაიმე „მისანდობი“ უნდა გაუშხილოს.

— ზღვაში მე ვიყავ ნავით... დამანძობლებით!

ბახომ შუბლზე შემოიკრა ხელი.

— კიდევაც ამიტომ. აღარც აბჯარი ინდომა. ბინდსაც ელოდა! ეაშა შენს კაცობას, — გენდობი და როგორც გსურდეს გამომიყენეთ! — „წერილობითიც“ ორივე ხელით გადასცა.

ოთარ ჭალიძე

ჩემი გაზიზგიანი ანი

პოემა

შენსაკალი

უემურ შემოდგომას დავესწარი,
წვიმიდა უსიაშოდ, განუწყვეტლად
და თან წინაგრძნობა აბუზარი
რალაც მოულოდნელს მაუწყებდა.
ვთვლემდი უსამელოდ მოთენთილი
ჩემი უღიმამო არსებობით,
საბანს ვიკეცავდი კონვერტივით
და შიგ წერილივით ვთავსდებოდი.
სიზმრად მოვარდნილი თვითმფრინავი
ფოსტად შორეთისკენ წამიღებდა
და მე ვწრიალებდი ფიქრიანი
ძილში გაცოცხლებულ თარიღებად.
ილუმინატორი შემოთავადა?...
ველებს ჩავცქეროდი თვალანთებით.
ფრთვებქვეშ სიერცეები შემოჯარდა
მთებით, აკვამლული ქალაქებით.
მალღით დედამიწას დავეცქეროდი,
ნისლის სამყაროთი დანათრთვილი,
ვეებ თბილისიდან გავცქეოდი
ჩემს თავს, გაგზავნილი ბანათივით.
მაგრამ... ოთახია საოცრება —
თეთრი ღამეების ცხრაკლიტული,
მასთან უსახური გამოჩნდება
უცხო მირაჟები არქტიკული...
არსად ვემეტები გასაგზავნად,
მე აქ გავატარე შვებულება,
სადაც ტელეფონი, აბაჯანა,
სითბო, სიმყუდროვე მეგულებს.
მძლავრი მაგნიტური არესავით
რკინად მიმიტაცა, მიმიზიდა
და არ წამესვლება აღარსაით
ჩემი დამპყრობელი თბილისიდან.
ნუბაყოფლობითი დატყვევება

სუნთქვას ერთიათად მიადვილებს
და ვნთქავთ მოუწიფიარ სახეებად
მაჯააჩქარებულ სინამდვილეს.
და ჰა, თვითმფრინავით სიზმარულ
ჩემი ოთახიდან გადავეშვი,
ერთხანს მივიწყებას მიბარებულ
პირველ ჟრუანტელის სათავეში.
ფრთვად გადაქცეულ მხრების
ძალა წარსულისკენ მისვრის,
კანორეჟისორი ვნდები
ჩემი საკუთარი სიზმრის.
ქვეყნის პირველყოფილ ხილვით
ტკბილთან შევაზავებ მწარეს;
ტკივილს, მწუხარებას, ღიმილს
ფილმი ერთმანეთში გარეგს.
და ვრცელ კინოსიზმარს, მთლიანს,
უცებ გადავიღებ წამში,
როგორც ტრაფარეტულ ფინალს
ჩემს დღეს უკანასკნელს წავშლი.
გენერატორებში გამოწყვედულ
ათას ცხენისძალას მინდობილი,
ვგავარ კატორღიდან გამოქცეულს,
წვერი მიბიბინებს მინდორივით.
და ძირს მთაგრეხილი საოცარი
სხვისთვის რებუსია გასართობი,
ჩემთვის სამშობლოა სალოცავი,
დიდის გაჭირვებით დასათმობი...
სადაც დამრჩენია აღარავინ
ხელის ღვთისნიერად გამმართველი,
სადაც უმოწყალოდ დამლარავი
შენით გამჩენია სადარდელი.
შენთვის გამოფრინდი ოთახიდან,
შენით უმოწყალოდ მივსავათდი;

ცხრამთის გადაღმიდან მოგაკითხავს
 წლებში ჩაქარგული მისამართი.
 ფრთებქვეშ აწეწილი ღრუბლებია,
 ხანძრის ფუნჯებისგან შენაფერი,
 თუ რძით გატენილი რუმბებია,
 ჩემთვის სულერთია ყველაფერი.
 ჩემთვის ყველაფერი სულერთია,
 გარდა ერთადერთი ნახატისა,
 რომლის გახსენებამ ოხერტიალ
 გზებზე საეგლახოდ გადამხიზნა.
 თითქოს თვითმფრინავის სარკმელზეა
 სახე დახატული აკვარელით,
 ვინც ჩემს არსებობას ჩაემხევა —
 სულტბილ სიცოცხლეზე საყვარელი.
 ვინ თქვა შეჩერება გარდუვალის,
 ვინ თქვა სიყვარულის დაძველება!
 ახალ თაობათა სასთუმალიც
 თავქვეშ ათასწლობით დასველდება.
 და თუ სიძაბუნის ნიშანია
 კაცის გულწრფელობა, თავდადება,
 მაშ მე უსათუოდ მიჩქარია
 ასეთ საწუთროში დაბადება.
 თუ ეს ღალადისი აღსარების
 ბრიყვულ გულწვილობად ჩამეთვლება,
 უნდა ავიტანო ნამწვავების
 სულის ფიალაში ჩაფერფლება.
 უნდა მოვიტიმო გულამრევი
 ცილისწამებანი მოსისინე,
 რადგან სიცოცხლეში უამრავი
 გესლის გადმონთხევა მოვისმინე.
 რწმენა არასოდეს გამზარია

სხვათა უწმაწური მონატორით,
 თითქოს დედამიწა ბაზარია
 და ჩვენ — უსირცხვილო მთვარეები
 არა, დედამიწა სამყაროა,
 სადაც წყაროსავით ღურჯტალღება
 მოქექეს განახლების მახარობლად
 დიდი სიყვარულის უკვდავება.
 ჩვენ ვართ სიყვარულის მოსარჩლენი
 და თუ სათუთა არჩევანი,
 ბასრი ორღესულის მომარჯვებით
 მკლავი მომაქურით მარჩენალი.
 მაგრამ წუთიერი გახსენება
 განა მწვერვალამდე მიადწევდა?
 სიზმრის თვითმფრინავი ნამსხვრევებად
 უცებ ჩაიღწა მყინვარწვერთან.
 ვილაც დამიძახებს: ოთარით,
 ვილაც მომაკითხავს ჩამოვარდნილს...
 და ჩემს გამღვიძებულ ფოსტალიონს
 სქელი ამანათი ჩამოვართვი.
 უემურ შემოდგომას დავსწარი,
 წვიმდა უსიამოდ, განუწყვეტლად
 და თან წინათგრძნობა აბეზარი
 რაღაც მოულოდნელს მაუწყებდა.
 გავხსენ არმალანი საოცარი,
 უცხო ხელნაწერმა დამაგებდა.
 მწერდა ახალბედა კალოსანი:
 რვეულს გაბარებო დასაბეჭდად.
 და მე — გაოცებამორეული —
 მკითხველს წარვუდექი ნატვრისთვალით, —
 ჩემი უცნაური ორეულის
 წლობით ნაცოდელარ-ნაფიქრალით.

თ ა 3 0 1

— მინდა დავიწყება გარდასულის,
 სიმწრის წუთებისგან დასვენება,
 მაგრამ სისხლძარღვები დაქსაქსული
 ტვინში ერთდებიან გახსენებად.
 თითქოს საჯირითოდ გასაწვრთნელი
 ცხენის სადავენი მიმიშვია
 და ვგრძნობ — საბოლოო განსაცდელით
 ჩემი სამყოფელი თბილისშია,
 სადაც მივინდობივარ სიკვდილამდე
 ორგზის ომგადახდილ საუკუნეს,
 რომლის სისასტიკე, სიდიადე
 ხსოვნად წაყოლია დაღუბულებს.
 თბილისს — ევრაზიის გზაჯვარედინს —

ყელზე დავეციდე ავეაროსად
 და ყრმა, მოხუცივით ვჯაშებიდი
 ავ-კარგს შეუცნობელ სამყაროსას.
 დიდი ზარზეიმის საყურებლად
 ფიქრი სივრცეებში მიმილტვოდა,
 წითელ მოედნიდან მაყრუებდა
 ვაშა ალტაცებულ მილიონთა.
 და მეც, უყოყმანოდ აყოლილი
 ძალას მივყვებოდი ნაკადების,
 დიდად ბედნიერი, კმაყოფილი,
 მოწმე სიანღეთა დაბადების.
 განა ცხოვრებაზე უგუნვობ
 ფიქრებს ალტაცება დამაცლიდა,

როცა საზეიმოდ გუგუნებდა
 თვითონ სარკოფაგი გარდაცვლილთა.
 ნათელ მწვერვალისკენ გვეწვოდა
 ძალა — ატლანტებად დაძაბული
 გვეწამდა — სტუმარივით გვეწვოდა
 სახლში სანატრელი გაზაფხული.
 და გულს ვამხნევებდით გატაცებით,
 რომ თავს გაჭირვებას დავაღწევდით
 რიგში ღამისთევით, ჭაპანწყვეტით
 იღგენ ხუთწლედები გადამწყვეტი.
 „გადამწყვეტ წელში
 გადაწყვედეთ წელში“,
 ვილაც შაირობდა გესლიანად;
 დრომ ის ჩაისროლა სანაგვეში
 თავის უნამუსო ლექსიანად.
 განა გაურკვეველ გაორებას
 გრძნობდა ყმაწვილობა ომამდელი,
 რწმენა გადმოდუღდა წყარობად,
 წითელ მოედნიდან მონადენი.
 კაცი ტრიბუნაზე გადმომდგარი
 კი არ გვაშინებდა, გვანიშნებდა,
 რომ გვაქვს მომავალი საომარი
 და არ გვეკადრება დამწვიდება.
 ბედის მწვერლისაგან დაწერილი
 ცრემლით, მწუხარებით, დარდუბალით,
 ქვეყნის გაჩენიდან დაწყველილი
 ომი მოდიოდა გარდუვალი.
 ომი მოდიოდა პირინეის
 ხრიოკ მთაგრეხილის გადმოსეთქვით,
 ომი — ესპანეთის ბილიკებით,
 ომი — ფაშისტური ამბოხებით.
 ომი მოდიოდა უსაშველოდ
 და ცა დედამიწას მოიგლოვდა,
 ომი მოდიოდა უსაშვებოდ,
 ომი უბოდისოდ მოდიოდა.
 რუკა ესპანეთის მიმოფხაზეთ
 და ჭერ მშებელთაგან მოსაგლეხნი,
 ვთრთოვით, ვოცნებობდით გმირობაზე
 უღვაშაღინდელილი მოსწავლენი.
 ქართულ ჯარისკაცთა მოძახილზე
 ერთად ვწრილვდით ყმაწვილები,
 ყველა ქუდბედიან მოხალისეს
 ფრონტზე შურისთვალთ ვაცილებდით.
 მიწა — გერმანული საჭურველით
 თვალწინ გვიდგებოდა დაფლეთილი,
 ბევრჯერ გაფართოებთ გაჭირვებით
 კლასში გერმანულს გაკვეთილი.
 ფიჭვი შესწვდებოდა ყმაწვილური?..

რომ გზა ესპანეთში შესაღწევით
 იყო დაძინიძილი, დაცხრილულ
 როგორც ხეიბარის ფესხასგვეთი.
 ომი მოგრუნუნ ქვემეხებით
 ტანზე ასკდებოდა საუკუნეს,
 კლდეთა ერთმანეთზე შეხეთქებით
 მიწას აკვილებდა განუკურნელს.
 და ჩვენს მშვიდობიან ქალაქშიაც
 ომზე გამეტადდა საუბარი,
 დუნე მაჯისცემა გაახშირა,
 სისხლი ააჯანყა ნაგუბარი.
 უფროსკლასელებიც გავემზადეთ
 მხრების ოფიცრული მიმორხვეით,
 ვგებ ესპანეთში გავეგზავნეთ,
 წერილ ხმას კაცებით ვიბოხებდით.
 და ჰა, მოგვევლინა მასწავლებლად
 ახალ ჭრილობებით დანალარი,
 ძველი მოხალისე შეეწარბება,
 მათე ზალკასავით ტანმალალი.
 მის სველ საფეთქლებზე შეფრენილი
 თოვლი ქათქათებდა გასაღლობი
 და ყრუდ ახველებდა ბებერივით,
 ფილტვებდაცხრილული ავადმყოფი.
 ამბებს გვიყვებოდა დაწვრილებით,
 მსგავსი ბიბლიური ქადაგისა;
 სმენად გაკრეფილი ყმაწვილებს.
 კერპად ჯარისკაცი გადაიქცა.
 მისმა ნამაზობმა დაგვარწმუნა —
 რა გზით გადმოიხიწეს დაჭრილები.
 და სად აემგზავრა ვაჟაკურად
 გოგო — ესპანეთში ნაშვილები...
 ვისაც მეთხუთმეტე წელიწადმა
 ელდად მწუხარება დაარისხა
 და ვინც შეკვივლებით შეიცხადა
 წლები ახლობულთა დამარხვისა...
 ახლა დღეობაზე მოსალოცად
 აღარ მოსდიოდა ღვაწლმოსილი
 მამა — დაღუპული ბილბაოსთან,
 ძმები — გრენადაში დახოცილი.
 თითქოს სიბერემდე მოკყოლია
 კაბა — სიმწრემეში გადაცმული,
 ბჭობდა კაფანდარა გოგონია,
 როგორც დედაკაცი ხანდაზმული:
 — ომი გაისამდე დამთავრდება
 და იქ გაფრინდები ჰაიპარა,
 სადაც ნაუცბადვე საფლავებდა
 მიწა ესპანეთის გაითხარა.
 გეშე პასუხობდნენ დაჭრილები

კენესით, ნადვლიანი გამოხედვით:
 — შენ მაგ გახსენებოთ დაგვიჩინებდები,
 ომში დროშასავით გამოგვეყვები!
 გემი, ნატყვიარით დატვიფრული,
 ტალღებს უკუყრიდა ურიკებად,
 დინჯად მოდიოდა დატვირთული,
 კვამლი ასდიოდა შურისგებად.
 მიწას მიღწივს გაჭირვებით
 და გზა შეიმოკლეს მატარებლით.
 თრთოდნენ დაღუპულთა აჩრდილები,
 ძრწოდნენ უპატრონი პატარები.
 ბაღებს ევლებოდა გოგონია,
 თვალში უკვსავდა კვესაბელი.
 — ყველა ჩემნაირი ობოლია.
 როგორც უბედური ესპანეთი...
 კაცი ამშვიდებდა: დაისვენე,
 გზაზე უძილობით დაიძლები.

იგი პასუხობდა: — გაგიხსენე
 ცეცხლში ჩანავლული თარიღები,
 კაცი სადგურიდან სადგურამდე
 გოგოს აწყნარებდა მოლაღადეს;
 იგი ლოცულობდა: — დაუბედე,
 ღმერთო, განმკითხველი მოლაღატეს.
 კაცი უყვავებდა: — დაშვიდდები,
 ძილში უტკბილესი სიზმრებია.
 იგი პასუხობდა: — ფაშისტები
 სისხლის გუბებში სივდებიან.
 კაცი ამხნევებდა გოგონიას:
 — დარდი გადიყარე ადრინდელი...
 იგი პასუხობდა: — ობოლია
 ყველა უმადრიდო მადრიდელი.
 ახლა ტიკტიკებსო მერცხალივით, —
 ძველი ჯარისკაცი გვაუწყებდა.
 და ის ქალიშვილი ესპანელი
 ყველას შვევიყვარდა დაუსწრებლად.

თ ა ვ ი 2

მე რაც სიმრწემეში მიგემია, —
 ხსოვნის ჯურღმულეებში განაბული, —
 პურის უსასრულო რიგებია,
 წლობით ერთმანეთზე გადაბმული.
 რიგში ღამისტეხას დაჩვეული
 მწვემსურ იდილიას ვიგონებდი,
 მხმობდნენ, ხბორებივით დამშეული,
 ნავთის ცარიელი ბიდონები.
 ვიდექ უძილობით გაღაბული,
 ფიჭრში თავჩარგული, თავდახრილი,
 სახეს მიმწვანებდა გაზაფხული,
 ადრე გასათიბი ბალახივით.
 მაშინ მომაკითხა საოცარმა
 მზერამ მოლაგვარდო-მოკრიალემ,
 მე ის გადამეჭკა სალოცავად,
 როგორც მეზღვაურებს — ოკეანე.
 ახლად დარეკილი კლავიშოვით
 ჩემი გულსყური წარიტაცა
 და ის ესპანელი ქალიშვილი
 რიგში გავიცანი ყმაწვილკაცმა.
 როგორც ნირშეცვლილი ობელისკი
 მისმა გამოჩენამ გამომცვალა
 და ჩემს გაოგნებულ მშობლებსთვის
 ვიქცე ამოუხსნელ ამოცანად.
 ჰო, ის სიკეთეა სანუკვარი,
 მე რომ მაგიწყებდა სიყმაწვილეს,

მასთან გულახდილი საუბარი
 სიზმარს უსპეტაკებს მიხანგრძლივებს.
 მშობლებს უცრემლებოდ დასტიროდა,
 თვალს ვერ მისწორებდა დამშვიდებით
 შვილი რესპუბლიკულ პატრიოტთა,
 ქართველ მოხალისის ნაშვილები.
 როცა სიმძიმელი გაუვლიდა,
 ძუნწად მოკვეთილი შესავალით,
 გრძელ რიგს ქრუანტელად დაუვლიდა
 მისი ნაამბობი შემზარავი.
 ლიტრა სათბობისთვის ძილგამკრთალი
 ხალხი ქურდებოდა გარეშემო:
 — ვიწვი მინავლული ნადვერდალით,
 ვებ გათენებას წავეშველო...
 და ხმა მადრიდელი გოგონასი,
 კენესა სვეილიის მინდორ-ველთა,
 ჭლერდა უცნაური რეზონანსით
 ნავთის მოჭდარუნე ბიდონებთან.
 ლოლას ელვიანი, ქდალისფერი
 კაბა უხდებოდა მზისღილვბა...
 ცვევით, კასტინეტთა აქლერებით
 ლორკას რომანსეროს ღიღინებდა:
 — ეჰ, კორდოს ზარებზე
 მზე ამოელვარდა.
 ოქროსფერ ზარებოთ
 დარეკე, გრუნდავ.

მაგ ზარებს უსმენენ
კრძალვით, სასოებით,
ანდალუზიელი
საპატარძლოები.
ეგ ხმა ესპანეთის
გოგონებს აწვალებს,
სარკმლიდან ადრიან
უძვრებენ ვარსკვლავებს...
თხელშალმოსხვეულინი
რომ დაფარფატებენ,
მწუხრის ჭამს ღიმილით
ქუჩებს ანათებენ.
ეჰ, კორდოს ზარებზე
მზე ამოვლევარდა,
ეჰ, თქროს ზარები
დარეკე, გრენადა!
თვალს თუ შეავლებდნენ სიბრალულით,
ლოლა წარბშეკრული შესძახებდა:
— მე ვარ ქალიშვილი იბარურის,
სხვისგან შეწყალება მეძრახება.
განა სიამაყე იავარყვავ,
როგორ გამიბედონ შეცოდება!
მიწა შეეკლება იარაღად
და მას ესპანეთი ეწოდება.
ლოლას მეძახიან მეტსახელად,
გვარად სუარესი გახლავართო...
იყო კაფანდარა შესახედად,
ხელში ასაყვანად სახალვათო.
ჭგავდა ქარქაშიდან ამოდებულ
ბებუთს — მოშურნალის გამბალთველად,
მეხალისებოდა ამბოხებულ
გოგოს სითამამის გამართლება.

და ჰა, საცოდავად დაჩაგრული,
სახელეწილი ნაცემივით,
მწარე საფიქრალში თავნარტული
ლოლა შემეფეთა დაცრემლილი.
თეთრად მოქათქათე საყულოზე
აინდა ნაკურცხალის არშიები,
ცხარედ ქვითინებდა ანგელოზი —
ჩემი მასწავლებლის ნაშვილები.
შედგა, შიშნაჭამი დამაკვირდა
გოგო ჭირ-ვარამში გამოვლილი:
თუ არ გავასწარით ქალაქიდან,
დამელუბებოთ მამობილი...
თქვა და წარმომიგდა მოხალისის
სახე ჭრილობებით დანადარი;
უნდა ჩამედინა მოყვასისთვის
რალაც ვეგაცკური, ხმამაღალი.
მამის სათნოებას მინდობილი
ხვედრმა თავალებით გამაჭენა.
სიყრმის მეგობარი შვილობილით
და მე გვანუგემა მამაჩემმა...
მთაში ჰაიპარა გადაგვხვეწა,
სადაც მოგლაჯუნობს ლაჯიხევი,
სადაც ჭიუხებში ჩასალეწად
ჯიხვებს აჭიდებენ საჯიხენი,
სადაც დედულეთი საგალობლებს
მღერის ჩქერალეებთან შეტამებით,
სადაც არაყივით დამათრობელ
ჭურს ლოთებივით ვეხარბებით,
სადაც ალბიური სიგრილეა
და ზღვით მონაბერი სურნელება
მოაგარაკეთა იდილიას
სუფთა ოზონივით უნელდება.

თ ა ვ ი 3

თეთრად მოქათქათე აგარაკებს —
ზღვისპირ ხელაპყრობით დაჩოქილებს,
ძველმა მეგობრებმა საბანაკედ
ჩემი დედულეთი ამჯობინეს.
და სისხლამოყოლილ დახველებას
როცა დალანდავდა მამაჩემი,
მზაკაცს დაყვავებით ამხნევებდა:
— გული გაიმავრე, გადარჩები!
იქვე უზარმაზარ ქვამარილად
უშბა ლაპლაპებდა უკარება,
ლურჯი ლაგვარდისკენ ავარდნილი
გვწავდა მიწიერი უკვდავება.

დიდხანს შევეცქეროდით გოცებით
თოვლზე მიმოქცევას საღებავთა,
ლოლა ქალწულებრივ დამორცხვებით
იდგა გაშიშვლებულ ღვთაებასთან.
— შენი საქართველო ზღაპარია
თბილი, ახლობელი, მშობლიური,
ჩემი ესპანეთი სხვაგვარია,
ისიც ზღაპარია შორეული...
ყრუ და ყინულოვან სამყაროსთან
ლოლა მლოცველივით ღაღადებდა,
ხატად საგულეში ჩახატვოდა
მამობილისადმი თავდადება.

კაცი სახიკვედილოდ განწირული
 ბასკა ქალიშვილმა მოახედა,
 ფილტვებნატყვიარი, დაცხრილული
 იწვა დერეფანში, გორმანებთან.
 გადამჩინისადმი ერთგულებით
 მისმა გარჯილობამ გააოცა
 და ძღვენ-მოსაკითხით დედულეთი
 ლოლას აკითხავდა დასალოცად.
 თითქოს სიბერემდე მოჰყოლია
 კაბა სიმრწემეში გადაცმული,
 მნახველთ პასუხობდა გოგონია,
 როგორც დედაკაცი ხანდაზმული:
 — ღირსი უანგარო მადლობისა
 ვინლა გამაჩნია დანარჩენი?
 ვეგბ სიკვდილისგან გამოვიხსნა
 ჩემი ამაგდარი, გადამჩინი!..
 დიდად აკვირებდა მასპინძელთაც
 ბავშვის დაბრძენება ადრეული
 და მთებს წყალგარდნილი აღვიძებდა,
 ლოლას ქართულივით დამტვრეული:
 — ლოლა, ლოლიკელა, ლოლიკელა,
 თეთრ გვირილად ნაშობო,
 როგორც დღენი სიყრმისა,
 დაგიკარგავს სამშობლო.
 ლოლა, ლოლიკელა, ლოლიკელა,
 მიწა გიცდის დამწვარი,
 ადრულულა ჰაერში
 შენი კერის ნაცარი.
 ლოლა, ლოლიკელა, ლოლიკელა,
 ვერ გაგლუნა მიშვილმა,
 განა დედინაცვალმა,
 საქართველომ გიშველა.
 ლოლა, ლოლიკელა, ლოლიკელა,
 ლოლა, ლოლიკელა...
 ედერდა ფანდურებზე დანამდერი
 „ლოლა, ლოლიკელა, ლოლიკელა...“
 და მთის ჰაერისგან ანაღერი
 გოგო ქალდებოდა ბროლისყელა.
 ათწლედამთავრებულს დედულეთის
 მიწა მეძახოდა ზაფხულობით,
 სოფლის სკოლისაკენ შევუხვედი,
 ვიხუც ვმარხულობდი, ვნახულობდი.
 აღარ მიცხრებოდა ნაშვილები.
 ცქერა — ლოლასაკენ მიმართული,
 ჩემი მასწავლებლის ნაშვილების
 მებრძანებოდა ჩიქორთული.
 ისევ ახლდებოდა, მძაფრდებოდა
 ჩვენი საუბარი გაწყვეტილი;

მისი სიყმაწვილევ მთავრდებოდა,
 სოფლად დამთავრებულ ათწლედევით.
 და ჰა, ქუთუთონი მოვისრისე,
 ცხადი წარმომიდგა სიზმართად:
 ვნახე, გოგონებში მოკისკისე
 ლოლა შიშვლდებოდა მდინარესთან...
 ფილტვებჩაკირული მასწავლებლის
 ერთგულ ჭირისუფლად გაჩენილი,
 მხრებზე გადაყრილი ნაწნავებით
 კლდესთან ირხეოდა ჩანჩქერივით.
 ქვებში განაბული გავცქეროდი
 და იმ მიუწვდომელს მივამხეგავსე,
 რომლის სწორუპოვარ არსებობით
 კაცმა გააღმერთა სილამაზე.
 ჩემი დედულეთის ასულების
 ლხენას მისცემოდა თანატოლი,
 ჩქეფის თეძოვებზე დასხურებით
 თრთოდა, ტალღასავით ანათრთოლი.
 მთების გულდასხურულ, ერთფეროვან
 სინამდვილისაგან გამთიშული,
 ჩემდა სალოცავად ღმერთდებოდა
 ბასკი ქალიშვილი ტანშიშველი.
 მხრებზე აქაფებულ საჩქეფიდან
 ჩქერი ვფრქვეოდა აღმასებად
 და სრულ სილამაზეს მაჩვენებდა
 ვნების ამტყნავად, აღმაგზნებლად.
 სხვებზე მშვენიერი ათასწილად
 ტოლებს შესცინოდა თეთრკბილება...
 ტანით დამინახა, გამაცია
 მისმა უეცარმა შეკვივლებამ.
 და იმ სამახსოვრო საჩქეფიდან
 სისხლის საოცარი მოძალემა
 ყმაწვილს საქციელად დამებედა,
 როგორც ლოლასადმი მოკრძალება...
 ჩემდა სამწუხაროდ, სავალალოდ,
 განზე გამისტოდა ნაწყენივით,
 როგორც ტანგახდილი საბანაოდ,
 თვალს ვერ მისწორებდა დარცხვენილი.
 მე მის დამორცხვებას ვაფასებდი,
 მსურდა დავერახტე, შევეკაზმე
 და ორს შეგვხვედროდა აფხაზეთი
 ლტოლვილ ესპანელთა შეკრებაზე.
 ბოლოს უყისმათო, დაწყვეტილი
 თავი სამიჯნუროდ ავიმჩატე;
 მის კვალს უმიზეზოდ დარცხვენილი
 გავყვე. გავედევნე გაგრიფშამდე.
 სიზმრად ჩახუტებულ კარაბინით
 შორ ცას შევცქეროდი მირატიანს,

ლორკას შეყვარებულ გვადაკვიერის
ჩემად ვუმღეროდი სიზმარშიაც.
შავ ზღვას გავცქეროდი, თავპირველად
სადაც იალქნები აგვიშვია,
სადაც იანგარი აპრილდება,

სადაც აპრილივით გაგრიფშია.
და შორს, დასალიერს გადასულნი
ქექა-ქუხილივით ზარდამცემი,
გვხმობდა უეცარი დასასრული
ჩვენი უანგარო გატაცების.

თ ა ვ ი 4

თავზე ოლვანდრი დაგვნათოდა, —
ტოტით ესტრადაზე შეპარული.
მწვანე ნიჟარიდან დამთრობლად
ფლერდა კაპრიჩიო ესპანური.
მხარე იავარქმნილ რაინდების
ორკესტრს შეერწყმოდა სიზმარეთად,
წუთი იდუმალი გარინდების
ზღვაურს მელოდიად იზაგებდა.
გვრეგდა ვიოლინოს გაცეცხლებად,
როცა შეკვივლებდა ესპანეთი, —
თვალეზს გვიფანტავდა ნაპერწკლებად,
ლამის გადაგვეწვა ერთმანეთი.
ახლო სადგურამდე გასასვლელი
იწვა კილომეტრი შვიდიოდე.
ლოლას გავეუხილე გასამხელი:
— ნეტავ ესპანეთში მივდიოდე.
ჩემგან გამხსნევებულ, მწვანეოლილ
თვალეზს ჩავცქეროდი ნიშნისგებით,
რომელთ შეუცნობელ სიახლოვით
მე თავს ყმაწვილურად ვიმშვიდებდი.
უცებ გამაოცა, გამარინდა
მათმა სიშორიდან გამოხედვამ,
თითქოს ათასწლოვან სამარხიდან
სულმა წინაპრისამ ამოხეთქა.
თითქოს აბრჭყვიალდა ათასფერად
ღამე გატეხილი — ათას ერთი,
ბასკთა უახლოეს ნათესავად
ვიცან-საქართველო — აფხაზეთი.
და შორს — დასალიერს გადასული,
ქექა-ქუხილივით ზარდამცემი, —
მხმობდა უეცარი დასასრული
ჩვენი უანგარო გატაცების.
მხარე იავარქმნილ რაინდების
ორკესტრს შეერწყმოდა სიზმარეთად,
წუთი იდუმალი გარინდების
ზღვაურს მელოდიად იზაგებდა...
მისით ცოცხლდებოდა გაბოლილი
ცა და ქერქდამსკდარი დედამიწა,
ზღვა და ხეივნები მავნოლიის,

სულთქმა ამღვრეული დღეღამისა.
ბასკი ქალიშვილის თვალებიდან
ჯგერად გამომერთალი ათინათით
მზერა დამელიბრა, დამებინდა,
როგორც ავდრისაგან განთიადი.
გადმოხიზნულების ერიამული
რეგდა, ზარებივით დარდისმგვრელი
და ჩემს სისხლძარღვებში მიმალული
კენესა ცოცხლდებოდა ადრინდელი.
— მოვალ, ესპანეთო, ცოცხალ-მგვდარი,
შენთან დავეცემი ნაწვალები,
ღია ჭრილობები შემიკარი
შავად დაგრაგნილი ნაწნავებით.
ვილაც მეწვოდა შურისგებად:
— ამინ, აღვასრულებ დანაპირებს!..
და თან რესპუბლიკელთ ურიგებდა
ლულაჩალამებულ კარაბინებს.
— საშობლოს სიკეთე
იარაღს სწყურია,
მჭახედ რომ იტყუებს,
ეგ ჩემი სულია —
ლულაში ჩამძვრალი,
ხმად ჩაგუბებული,
არ არის დამზრალი,
დაძაბუნებული...
არ არის ეანგისგან
შეჭმული სრულიად...
და რომ ტექს ხანდისხან,
ეგ ჩემი სულია.
რა ხმა ჩამესმოდა დიდებული
ლტოლივლ ესპანელთა დასალოცად,
მან ზღვის ანაბარა მიგდებული
ქვები სასწაულად გააცოცხლა.
პალმებს ანაღებდა კოცონებად,
ტალღებს უკუქცევით აბრუნებდა,
რეგდა რესპუბლიკის მოწოდება
ლოლას გადადვილ საგულედან.
და შორს, დასალიერს გადასული,
ქექა-ქუხილივით ზარდამცემი,

გვსმობდა უეცარი დასასრული ჩვენი უანგარო გატაცების. თრთოდა შემოდგომა ზღვისპირეთთან, ზეცა გამშრალიყო უნისლობით, თითქოს აორთქლებას გვიპირებდა წუთით ნაჩუქარი წუთისოფლით. თავზე ოლეანდრი დაგვანათოდა — ისევ მინახულეთ აპრილშით; მწვანე ესტრადიდან დამათრობლად ჭლერდა ესპანური კაპრიჩიო. მზე რომ ჩადიოდა ფითრბანი, შავ ზღვას წააწერა განაჩენი, მაშინ მოგვევლინა თვითმფრინავით შავად მოღრუბლული მამაჩემი. ის არც ყმაწვილკაცურ გატაცებას და არც სითამამეს დამიშლიდა... თითქოს წაბორძიკდა წაასქეცვად, შედრკა ელდანაცემ ქალიშვილთან. ჭურღმულ-დიღვევებში გამოვლილი, მხრებით შემწგრველი სასახლეთა, ჟამთა სიავისგან გაბოლილი ძველი ბოლშევიკი ცახცახებდა... ლოლას მოფერებით ჩამოვარცხნა თმები — სიმწრისაგან გაოფლილი და ძლივს გასაგონად გამომარცვლა: გამოიძახესო მამობილი. თითქოს მოღწეულა სიბერემდის

ქალი. ქალიშვილის ტანსაცმელით, იდგა მონაგარი იბურების, დამორდილებული განსაცდელით. იდგა ხანდაზმული ახალგაზრდა, იგივე ახალგაზრდა ხანდაზმული, შუბლზე მწუხარებას ახაზავდა წუთი მონასავით დაღდასმული. თვალი გამისწორა მამაჩემმა და ხმის გაუღებლად დამარწმუნა, რომ ძმის უმოწყალო განაჩენით ხელფეხშეკრულივით გაბაწრულა. ვიდექ ორთავყვირად ორთაშუა, ზღვა ზვირთით აგვეღებდა კამეჩებად, ჩემსკენ ტალღასავით მოაშურა მღვრიე, ორჭოფულმა დაექვებამ. მწარე საგონებელს ეძლეოდა, წუსდა უჭუბუბედო ქალიშვილი, თითო ამოსუნთქვით ველებოდა გული სასუნთქავი ბალიშვივით. იდგა ელდისაგან ჩამოღლილი, სწამდა უჭოჭმანოდ, უცილობლად. სრული გულმართლობა მამობილის, მკაცრი სინამდვილის გულცივობა. და შორს — დასალიერს გადასული, ჭექა-ქუხილივით ზარდამცემი, გვსმობდა უეცარი დასასრული ჩვენი უანგარო გატაცების.

თ ა 3 0 5

მწკრივად, კრისტიანულ წველ: დრიცხვით მიდის ასწლეულთა ოცეული, ჩვენი საკუნე დედამიწის ბოლო ბილიკზეა მოქცეული. მიდის, უჭიდება ქარბორბალას, მასზე უფროსია ცხრაშეტივ; ძმები ანიშნებენ ნაბოლარას: — ჩადექ, კალამოტში ჩაეტიე! მაგრამ შეჩერება წუთიერი, სისხლის წამიერი შედღება დროის დაკარგვაა უდიერი და მას თვითმკვლელობა შეედრება. თავის უსათუო განწირვამდის ივლის ასწლეული ბარგაკრული, ეგებ დაიბრუნოს კაცისადმი რწმენა — უგზოუკალოდ დაკარგული. და მეც, აღდგენილი თარიღებით,

ვივლი საგანძურის მძებნელივით, სანამ კურტანივით დავირღვევი ტვირთით — ჟამთასვლამი შეძენილით. მე თუ შადრევანის შხეფებივით ჟამი მიმომფანტავს, მიმოშინსლავს, ნოეს კიდობანში შეფრენილი შევძლებ დაბრუნებას სიცოცხლისას. და თუ დამებედა სიარული გზიდან ცთომილივით გზაცდენილის, ყველა არამკითხვ სიბრალულით ჰკუას დამარიგებს გამზრდელივით. განა ცხოვრებაზე ხელჩაქნევით სულის შევიცანი სიდიადე, სამკედრო-სასიცოცხლო შეჯახებით ხვედრი მაჯახიერებს სიკვდილამდე. ჩვენი დედამიწა ათასწლობით რყევებს უხედებოდა ათბალიანს,

რადგან ადამის ძე თანაგრძნობით, რწმენით ამაგრებდა ადამიანს. და ხმა უცხოელი ლტოლვილისა ნუგეშს მაცოცხლებელს მარდილებდა: დედა დოლორესი მომივლისო, მასთან გაგზინდებით საჩივრულად. იდგა ქალიშვილი ტანაყრილი, ხვედრთან პაექრობდა უკუღმართთან. ცხარე, წინწანაქარ არაყივით ცრემლი ქუთუთოებს უმდუღრავდა. თავის დაჯერება განზრახულით, ძალთა საოცარი შემატება, სისხლის აჯანყება არნახული და ძუ ვეფხისებრი შემართება გმირულ თავგანწირვას მივაწერო, თუ ბრმა სითამამეს ბაღლობისას?..

— წადი, სტალინამდე მიადივი, ეგებ მამობილი გამოიხსნას. წადი, — ამხნევებდა მამაჩემი, — ქვეყნის გადმოგზებდავს მარჩენალი. შენი მამობილის გადაარჩენის სხვა არ გაგვანია არჩევანი. და რაც ბავშვობიდან დავისახეთ — ერთ გზას მოყვასისთვის ვიმეტებდით, როგორც პატარები — მამისაკენ, იმ გზას მივყვებოდით იმედებით. სტალინს ვაკითხავდით ოცნებებით მისი სწორკაცობის მოწმეები, მისი დღენიადაგ მლოცველები, მისი აღსულებების მომსწრეები; ვინც დიდ ლენინისგან ჩაბარა უნა ახლებური წელთაღრიცხვის და მტრულ გარემოცვის ანაბარა — ერთი შეექვსედი დედამიწის. ის ხან წარბშეკრული გაგვიცხხავდა და ხან აგვაგზნებდა მოფრეებით, ჩვენ მან ტრიბუნიდან გაგვიცხხავდა, რომ მტერს უსათუოდ მოვერვით. ის არ ეცემოდა დაწნული და არ დამჩნევია მკრეხელობა, როცა შინაური, გარეული მტერი მკებენარივით გვეხვეოდა. თვალს თუ გადავლებ დაკვირვებით, ქებაც მიუძღვნება საკადრისი, — მან რა დარბაისლურ დაფიქრებით იწყეთ ომისათვის სამზადისი. ზღვისპირ ამწვანებულ ნარინჯებით, ახალ გაწვევათა წაქეზებით,

მძიმე ინდუსტრიის მაჯისცემით, მძლავრი დნეპრპესებით, ზაპესებით, ჯაბირს, გაჭირვებას ნაჭილები მუშით, კოლმეურნით, მეღვქვეთი, მის ხმას ბუმბერაზის ნაბიჯებით გააყვა დედამიწის მეექვსედი. კაცი — ტრიბუნაზე გადმომდგარი — კი არ გვაშინებდა, გვანიშნებდა, რომ გვექვს მომავალი საომარი და არ გვეკადრება დამწვიდება. თვალწინ რესპუბლიკურ ესპანეთის ედგა სავალალო დამარცხება, და მან ომისათვის შემზადებით იწყო საზრიანი გამაკაცრება. მტრებთან მრისხნება დაიწვსა, თვითონ უნდობლობით გაეწამა და მის საამებლად აიღვსა უნა არაერთმა გარეწარმა. ვისაც შეამჩნია ორპირობა, ძმარი დაადინა ცხვირპირიდან და თუ მადნეული მოდიოდა, სუსხიცი მოდიოდა ციმბირიდან. მაგრამ ჯარისკაცმა თავმდაბალმა, მე ვინც მაგალითით მაკაცებდა, ნუთუ ღვარძლიანად დააბარალა სტალინის უსამართლო გამაკაცრება? ეგებ სიმწრისაგან მოწინსულმა ბოლშა ტყვიებივით ჩამწკრივა, ქვეყნის გამგებლისგან მოისურვა მებრძოლ ქვეყნისათვის თევანწირვა. და თუ დამარცხებით გამწარებულს ბოლშა საფანტოვით დაჰფანტვია... ერთხელ უპატრონო წყალწოდებულს ღმერთმა შეგინებაც აპატია. რწმენა, ჭაბანწყვეტა, თავდადება, თმები — ნადრევედ მოთოვლილი, ნუთუ დავიწყებას ჩაბარდება გზაზე გათოვლილი ფოთოლივით? ვდგავარ, გათანგული ვფიქრობ. ფიქრი ციმბირამდე წვდება: ჩემი მასწავლებლის სითბო როგორ გამიცისოს წლებმა. ვფიქრობ, სინანულით ვიწვი: კაცი — მამაჩემის ტოლი, ნუთუ აღგვილია მიწით, როგორც შარშანგელი თოვლი?

ნუთუ მომხდარია მოსახდენი?
 ვდგავარ უსუსური წიწილივით,
 მე ვარ თავდადმართზე მოსახვევი,
 თვლებქვეშ ვიღუწები სიმძიმით.
 ფრონტზე ნაშვილებმა ქალიშვილმა
 სახე შეიმშრალა ნაწვიმარი

და გზა ერთადერთი აირჩია,
 როგორც წარმატების საწინდარი
 ეტყვის მამაჩემი ფიქრიანი:
 — წადი, სტალინამდე მიალწვი!
 მოსწყდა აეროდრომს თვითმფრინავი
 და ჩემს არსებობას — სიყმაწვილე.

თ ა ვ 0 6

გაყრის წუთებიდან გამდუმებით
 მესმის: მოითმინე დაიცადე,
 მე და სამართალი დავბრუნდებით,
 ერთად მოგაკითხავთ გაისამდე...
 სანამ საქართველოს გამაშორებს
 და ცა ჩრდილოეთში გადამხიზნავს,
 ვიცი, თვითმფრინავში გამაჭრეოლებს
 შენი დედულეთის დანახვისას;
 სად მზე მელვრებოდა შეფეხივით
 და არც მოფერება დამკლებია,
 სადაც იისფერად შედებილი
 სკოლის დათრთვილური სარკლებია.
 სადაც აფიქრებდა მასპინძელთაც
 ჩემი „დაბრძენება“ ადრეული
 და მთებს წყალვარდნილი აღვიძებდა,
 ძველი ბუდეხავით დანგრეული.
 როცა გაიელვებს სამოსახლო,
 მწვანე კონდარით მობობინე,
 მინდა ღრუბლებიდან გადმოგძაბო:
 სად ხარ, მომისწარი, მოიბრინე.
 მაგრამ წამიერი გაფიქრება
 თითქოს განიავდა, გაფრინდაო;
 თვალწინ მოჩვენებად გამიქრება
 ახალახებული კარმიდამო,
 სადაც უკანასკნელ დაყვედრებით
 შენგან გამაცილა შემოდგომამ,
 ადრე ჩადველფილი ნადვერდლები
 დადლილ საფეთქლებზე შემატოვა.
 ერთი ესპანელი შევიცავდი
 მთელი ესპანეთის სინამდვილეს,
 ხუთი ბედნიერი წელიწადი
 უსამშობლოობას მიადვილებს.
 ჩემი მამობილი — განსწავლული,
 მისი ტკბილქართული გაკვეთილი,
 პირველ გადარევის სასწაული,
 შემდეგ — შეხვედრები ალკვეთილი,
 გვიან გამოსმოზა აკრძალული,

უშბა მსტოვარივით გაკმენდილი,
 ქამა-სოკოები დამცვარული,
 შენგან რიბირაბოს დაკრეფილი.
 ჩემგან ესპანურში გაწაფული
 სოფლის გოგონები სველტურება...
 ახლა თვითმფრინავში დაძაბული
 გული ნაკბენივით მეკუმშება.
 შენგან უდიდესი კმაყოფილი
 მივალ... მიპატრონე, მომიარე.
 თუ ვერ დავისხენი მამობილი,
 მანდ ვერ დავბრუნდები მგლოვიარე
 თავზე მუხთატებს დამარისხა,
 ბედმა მეათეჟერ გადამჟევა,
 მჯიჯგანა, მაჯახირა საკმარისად,
 მაინც მაიმედებს გამარჯვება,
 რადგან შევიცანი იღუმალი
 ძალა — ავგაროზად დაკიდული,
 ყველა მოკვდავისთვის მიუვალი
 ჩემთვის გაილება ცხრაკლიტული.
 წმინდანთ გადავწონი მიწიერი
 მე ამ ავგაროზის ანაბარა,
 ჩემი იღუმალი სიმლიერე
 მხოლოდ სიმართლეა თავანქარა.
 და თუ გზასავალი მომიკეტეს,
 ჩემზე გაიფიქრეს: „შეშლილია“,
 მე ამ ავგაროზის მოიმედეს
 ქვეყნად არაფრისა მეშინია.
 ახლა თვითმფრინავის ზარგრიალში
 დავრჩი გახსენების ანაბარა,
 სანამ მომისწრებდეს გარიერაჟი,
 მინდა სარკმელიდან გადაპარვა.
 მინდა ფეხაკრეფით გავილალო
 ფერად სიზმრებისკენ გამთენია
 და იმ ბალახებში ჩავიმალო —
 ძირს რომ ტალღებივით გამფენია.
 მინდა პირველყოფილ ერუანტელით,
 პირველ აღსარებად განვმეორდე

და შენ ჩურჩულებდე უდარდელი:
 „წადი, სიბერემდე დამელოდე...“
 სისხლი მიჯანყდება, მურჩება
 მკაცრი სინამდვილის გადაჭიდვით,
 ვცდილობ უხმაუროდ, შეუმჩნევლად
 მწვანე წარსულისკენ გადავიდე.
 მაგრამ უფსკრულია საშინელი
 ფრთებქვეშ დაღებული ხახასავით,
 მივალ საქართველოს ნაშვილები
 და არ წამესვლება აღარსაით.
 ჩემი უბედობის დატირება
 ახლა დავაპირე დიაცურად,
 როცა საიშედო ნაპირებთან
 დეღეამ ნაფოტივით მიმაცურა.
 ჩემს რთულ არსებაში ჩამოხედვა
 სხვას თუ გრძნეულივით შეუძლია,
 იგრძნობს — ვულკანური ამბოხება
 რარიგ გარინდებას შეუცვლია.
 რთულ და გასაოცრად თავისებურ
 ყოფას სიმარტოვე მიმარტივებს,
 მზერას, ლულასავით დამიზნებულს,
 ჩუმი აცრემლება მიბათილებს.
 მიმდევს, სანროსავით თანამგზავრად,
 რწმენა ამხედრებულ ლამანჩელის,
 მე მან შეუმცდარად დამასწავლა
 გზები მამობილის გადარჩენის.
 აბა, მთავრებელზე ქვეშაგებად
 ვხედავ გადაფენილ გადასასვლელს;
 ღრუბლად წამოსულმა ვეშაპებმა
 ჩვენი თვითმფრინავი გადასანსლეს.
 უცებ ჩამობნელდა კაბინაში,
 ხვედრმა იგრიალა მებისებრად:
 აღარ მოგესწრებათ გარიჟრაჟი,

აღარც გადარჩენა გელირსებათ!..
 და ჩემს მოცახცახე თანამგზავრთა უკუ
 ელდით გაყინულმა სახეებმა
 თვითონ უნუგეშო ახალგაზრდას
 მთხოვეს განსაცდელში გამხნევება.
 ვიდრე დავაპირე თანაგრძნობა,
 ხალხი გამოცოცხლდა ქანცკაცლილი, —
 ისევ სინათლეში განაგრძობდა
 ფრენას თვითმფრინავი თავდასხნილი.
 მრუმე ღრუბლებიდან გამოფრენამ
 სიერცის გაგვიფინა ფიანდაში,
 თოვლის ბაბუების გამოფინას
 ჭგავდა მთავრებილი სილამაზით.
 მისი სიძლიერის მოიშველემ
 ლოცვა თანამგზავრებს დავასწარი:
 მზვო, სასიკეთოდ მოიხედე,
 იხსენ ესპანეთი გადამწვარი!
 ახლაც მთავრებილი გადამწვლია...
 მისი სიციცხლალე მეხალისა;
 ფრთებქვეშ ჩრდილნათელის თამაშია
 და კვლავ — ორთაბრძოლა დღელამისა.
 მთები — საყვარელი სიკვილიამდე —
 გზაზე მომყვებიან ნატერისთვალთ, —
 თითქოს მეათასედ მივეფრინავდე
 უცხო საძაქრო მაგისტრალიდ.
 სანამ საქართველოს გამამორებს
 და ცა ჩრდილოეთში გადამხიზნავს,
 მჯერა — თვითმფრინავში გამაქრეოლებს
 შენი დედულეთის დანახვისას.
 ბევრჯერ დასტეხია ქარტეხილი
 ამ მთებს ესპანეთზე უარესი...
 გნატრობს დათოფილი, დამეხილი,
 შენი ლოლიკელა სუარესი.

თ ა ვ ი 7

ფართო მოედანთა ფეთქვა,
 რაღაც გარდუვალის შიში,
 თბილისის შტუკურია ერთად,
 ქვათილილ შენობათა ჩრდილში.
 მივალ, გაბრუებულ ქუჩას
 ჩემი არაფერი ესმის,
 როგორც ჩაბნელებულ უკრას —
 წუხელ ღაწვრილი ღეჭისი.
 ხმას ვერ გადავაწვდენ ქალაქს,
 რადგან გაოგნებულ თბილისს

მეტე საზრუნავი არ აქვს
 გარდა დღევანდელი დილის.
 უნივერსიტეტის ბაღთან,
 სადაც სიყმაწვილე წყდება,
 აყივინებული დამხვედა
 ძველი ძმაცაცების წყება.
 ბაღში, დაღუშებულ რადიოსთან,
 იდგა ყრიაშული სტუდენტური,
 იქვე დაღვრემილი დადიოდა
 ვილაც ხეიბარი უბედურა...

სამჯზის აგვიარა, ჩაგვიარა
 მტახედ მობაკუნე ყავარჯნებით,
 ბოლოს მარშალივით დაგვიბარა:
 — გველოთ, ჯველებო, გამარჯვებით!
 — არის გამარჯვება! — მივაძახეთ
 და თან ყვინჩილური თვაწვევით
 ხვალის მეხთატეხას, სივავლახეს
 არად მივიჩნევდით ყრმაკაცები.
 ცბელ გულს უდარდულად ვიმშვიდებდით.
 შვეიდად შრიალუბდა ხეივანი.
 თავის ყავარჯნზე მინიშნებით
 გამოგვეშვიდობა ხეივარი.
 განა ბალღებოვით გვაშინებდა
 შიში — აბურაგან-ამოკრული,
 თითქოს წინაპართა აჩრდილებმა
 სული შთაგებურესო ამბოქრული.
 სწრაფად დაღვინება გაგვიძნელდა,
 მაჭრის დაგვებუდა ამბოხება,
 სტუმრებს გამაშვარებდა მასპინძელთა
 ჩვენსკენ სიბრალულით გამოხედვა.
 იდგა ვალბურგული ღრიანცელი
 და ვერ გვაიწყებდნენ პურ-მარილით,
 კომისარიატში მისასვლელნი
 დრო რომ მოდიოდა სტუმარივით.
 თითქოს სტალინგრადი, ლენინგრადი
 გმირულ თავგანწირვით დავისხენით,
 თითქოს არმიებად შეგვრიალდით
 მტრების სატახტოში განრისხებით.
 გვქონდა იერიში დასალევეზე,
 ვტექდით, ძაგდაგებდნენ კარ-ფანჯრები,
 თითქოს რეისსტაგი დაცავლევით
 და შინ ჩამოვბრძანდით გამარჯვებით.
 მაგრამ საუკუნის ქარტეხილის, —
 ომის წარმოდგენა ყმაწვილური,
 იყო უმკაცრესი გაკვეთილით
 გადასავიწყებლად ჭანწირული.

ჯერ ხომ მირიადი დასაძლველი
 გვედგა უკანასკნელ ნახტომამდის.
 სიკვდილს გვიმიზნებდა განსაცდელში
 ჯერი გვედარაჯობდა აეტომატის.
 წინ ჯერ ჩაბარებულ ქალაქების
 წყება მოგველოდა ასაღებად,
 მტერი თავაშვებულ დაქაღნებით
 თავს ჯერ უძლევულად ასაღებდა.
 ჯერ არც მოგრუსუნე ბარიკადად
 გვხმობდა დარუბანდი მთავრეხილით,
 ჯერ არ ციაგობდა სტალინგრადი,
 ცაში გაჩაღებულ მარიხივით.
 ტანკებს, გადაჯვეილ გარმონებად,
 უკან მიბლაოდნენ ველ-მინდვრები,
 ზეაგს ჯერ მოთმინებით აგორებდა
 ომის გააფთრება მერმინდელი.
 ჯერ არ დაწყებულა გადამწყვეტი
 ბრძოლა სარეზერვო ნაწილების,
 ჯერაც რომანტიკულ გატაცებით
 ფრონტზე ვოცნებობდით ყმაწვილები.
 და რაც საგანგაშო საყვირებდა
 ყფფდა დაბრძენებულ გონებისთვის,
 ჩემში გულისწყრომას აღვივებდა,
 როგორც შეფერხება დროებითი.
 წყალში იყრებოდა უსარწყულოდ
 წლები ხუთწლეულების, განახლების,
 სია იზრდებოდა უსასრულოდ
 ბრძოლით დათმობილი ქალაქების.
 ჩინჩხნი აფეთქებულ ელსადგურთა
 იწყნენ მდინარეთა ნაპირებთან,
 ოხვრა გემდაღუპულ მეზღაურთა
 ჩვიდმეტწლიანებასა გვაფიქრებდა.
 როცა დროებითი შეფერხების
 ბოღმამ უძილობით გავგახსია,
 ზათქად ატეხილი ქვემეხებით
 მტერმა მოიკითხა კავკასია.

თ ა ვ ი 8

ყრმობის გულუბრყვილო ადტკინება
 გაქრა, კაცობაში გადასვლამდის;
 გვხმობდა უმკაცრესი გაფრთხილება
 ჯართა უნაღლესი მთავარსარდლის,
 ჩაკლა პირადულზე საუბარი
 ომის საზრუნავმა, თადარიგმა;
 ჩვენი მშობლიური, სანუკვარი

სკოლა ჰოსპიტალად გარდაიქმნა.
 მისი ფანჯრებიდან თოფებივით
 ჩანდა ყავარჯნები ხეივართა;
 წარუმატებლობა დროებითი
 სისხლში შიმშილივით შეიზარდა.
 სანამ მოგვეღირსა სანატრელი
 რივით ჯარისკაცის საბუთები,

„არასრულწლოვანი პატარები“,
 ყურში ჩაგვესმოდა გამუდმებით.
 დაჭრილთ ღვარძლიანი შეგინება
 ბევრჯერ გადავცლაპეთ გამწყარლებმა,
 რადგან შვეიცანიოთ შეგირდებმა
 ომი — უსასტიკეს მასწავლებლად.
 ომი — მოგრიალე ქვეშევებით
 ტანზე ასკდებოდა საუკუნეს,
 კლდეთა ერთმანეთზე შეხუთქებით
 მიწას აკივლებდა განუკურნელს.
 ბედის მწერლისაგან დაწერილი,
 სისხლით, მწუხარებით, დარდუბალით,
 ქვეყნის გაჩენიდან დაწყებული
 ომი გრუხუნებდა გარდუვალი.
 ომმა ლტოლვილები შეაერთა
 ერთი ხმამაღალი დახველებით,
 ომმა შემაფეთა ებრაელთა
 შიშით გატანჯული სახეები.
 ომმა გააზშირა გადმოხიზნულ
 ხალხის ღრიანცელი საოცარი,
 ბაზრის წუმბეებში ამოხიზნულთ
 ჭაჭა იზიდავდა წყაროსავით.
 ქიქას იხუტებდა გამოწრტილს
 დედა რძემუშუმრალ უცოდველთა,
 ოჯახს — ერთიანად ამოწყვეტილს —
 წუთით გაბრუნება უცოცხლებდა.
 დაჭრილ მეზღვაურებს არაყისგან
 ზურგზე ასდიოდა ოხშივარი,
 ბაზრებს შეეხარდა დანასისხლად
 მათი ყავარჯნები კოყრიანი.
 სტეენდა სილატაკე დახლებიდან,
 თითბრის ბალთიანი ქამარავით;
 და შინ უსადილოს დამხვედრია
 მარტო ზოსტნეული — ქვემარლით.
 ხელის გასაჭირში გამთბობლები, —
 დროის, ჩინებული მომარჯვებით, —
 ჩვენი ძველისძველი ნაცნობები, —
 ფიცხლად დაფაცურდნენ ქორვაჭრები...
 ყველა სანოვანის გამგებლები,
 ყველა ცხრაკლიტულის გამღებლები,
 ყველა დაუბმელის დამბმელები,
 ბაზრებს ჩმეესიენ გამგელებით.
 მე მათ დამარწმუნეს მეთასვედ,
 როგორ შესძლებიათ არდანდობა,
 ცილის დაწამება ქვეყანაზე,
 გულის კაპიკებად გადადნობა.
 ძმათა გამეტება დასახერტად,

მურით მეზობელთა დაბეზლება,
 ცეცხლში აშენება სასახლეები
 სხვათა ჭირ-ვარამით აღწევება
 მე მათ გავეცანი აკენიდანვე
 და მწამს, თამთასვლაში მგზავრობისას,
 ის, რაც მოვითმინე, ავიტანე,
 ნაყოფს შურისგებად გამოისხამს.
 და მა, ახალწვეულ ყმაწვილს,
 ღარიბს, მოურიდალს, ამაყს,
 ვილაც დასალევედ მანვდის
 ცხარე, წინწანაჭარ არაყს.
 ვსვამ და მოგნიასე ბაზრის
 ხმაურს ვაყურადებ გამრობს,
 ვსვამ და მიღამდება აზრი,
 ვილაც ქორვაჭარი მათრობს.
 -- რა გაქვს გასაყიდი, ბალო?
 -- მამის ფარაჯაა ძველი...
 ის დღე სიზმარულ მახსოვს
 და ჩემს უზნურობას ვწყველი.
 მუქთად გაყიდული ფარაჯიდან
 თითქოს ჩამსემოდა სამდურავი:
 ხვედრმა დენიკინთან დამაჭიდა,
 ტყვიას მაჭუდებდა სამურავი.
 ცეცხლით მადუხაებდნენ ბასმანები,
 ვთუღე ტრამალეები გადამწვარი,
 სად არ დამათრევედა მამაშენი,
 სად არ დავყვებოდი თანამგზავრი.
 ხვედრმა უბედობა დამარისსა
 ყმაწვილ ჯარისკაცის გადამიდეს,
 ვინც მე შევიძულე დანასისხლად,
 რისთვის ჩამაბარე გადაწყიდველს?!
 ცეცხლში გარუჯული, გაბოლილი,
 ძველი ჯარისკაცის ტანსაცმელი,
 ერთი კალაპოტი საპონივით
 განა გროშებზეა გასაცვლელი?
 სისხლი ამიმღვრია სამდურავმა,
 ბოლმამ გამოჟონა საგუბარი
 და იმ ქორვაჭართან საუბარმა
 თავი შემაზარა საკუთარი.
 ზღვა ხალხს მივარდვევდი, ვაგინებდი
 ბაზარს, გადაწყიდველს, ქესატობას,
 ვსვამდი წარმოდგენილ საღვინეთი
 ჩემგან გაყიდულის შესანდობარს...
 დახლთან შემეგება მიკიტანი
 და ჭრელ ხილბანდში შეხვეული
 მშობლებს მოსაკითხად მივეტანე
 ცოტა თორნეული, ძეხვეული.



ღვინოც წამოსკუბდა მაგიდაზე,
სუფრას დაღვრემილინო მოვუსხედით.

თავი ვაქვაცურად დავიფასე
ჩემი გულსაწყალი მოხუცებით.

თ ა 3 0 9

ფრონტზე მივდიოდი გამთენია
და გზას მილოცავდა მამაჩემი:
— ქვეყნად არჩევანი რამდენია,
ერთი დაგრჩენია ასარჩევი. —
მამის ჩამესმოდა შეგონება, —
როცა ჩავიხელთებს განსაცდელი,
რწმენა ნურასოდეს გვეონება
იმ ძველ მაზარასებრ გასაცდელი
დუდა რიქრაჭამდე დამიბურდა,
თვალეებს იმშრალებდა მოსასხამით,
მისგან ჩამესმოდა დარიგება,
გულის ამომსკუნელი ლოცვასავით.
და რაც არაერთხელ დამშართნია,
ღვინომ ამამღვრია შესამწინედა.
— შეილო, ლოლასაგან ბარათი! —
შემთვრალს მომახარა დედაჩემმა.
„... შიშმა და ვარაშმა გამათავა
და როცა იმედი გადამიწყდა,
მამობილს მოხედა სამართალმა,
მებრძოლმა ფარაჯა გადაიყვა.
...ოშმა და ჯარისკაცს ერთმანეთი
დასჭირდათ და ჩემი გადამრჩენი
ფრონტზეა, ყველანი ენატრებით...
უსიტყვოდ გამოგეთ დანარჩენი...
ცეცხლი და მებრძოლი დამობილდნენ,
მეც გზაზე შემომხვდა არჩევანი, —
სანგარში მიკითხეთ მამობილთან,
ვით პოლკის ნაცადი თარჯიმანი“.
უსიტყვოდ შევიტყე ბარათიდან
ცხოვრების კანონის უცვლელობა,
რომ რკინის ნებასაც აბადია —
ადამის ძისადმი სულგრძელობა.
პირველად ვიხილე მამაჩემის
თვალეების ცრემლებით ამოვსება
და მისი ძმობილის გადარჩენის
პირველად ვისმინე საოცრება.
ლოლასგან არ იყო გასაკვირი,
ცეცხლში თუ თავისით გადაფრინდა;
„ნევასთან დავიკავე გვადაკვირის, —
ხმა მესმა ფრონტული ბარათიდან, —
განგებამ სიკვდილთან შემაფეთა

და ახლა თარჯიმანს მიკისრია:
ცხვრებივით მორგეილ ესპანელთა
მისმენდეს „ცისფერი დივიზია“.
დრო როცა დადგება სადილობის
და ქანგი ნაცნობი ამალელებს,
ჯარისკაცთ ვახსენებ რადიოთი:
— პასუხი გაცეით ფალანგელებს!..
გახსოვდეთ იბერთა სიზვიადე,
გახსოვდეთ, ვინ იყო ალკაზარი,
გახსოვდეთ მადრიდი სიკვდილამდე,
გახსოვდეთ გრენადა გადამწვარი.
ყოველდღე, საფრონტო რადიოთი
ვქადაგებ მიწურში, მამობილთან.
და მათი მებრძოლი ათიოდე
ჩაგვებრდა, ჩვენს მზარეს გადმოვიდა“...
ჩუმად ამიცრემლდა თმაჭალარა
მამა — ჟამთაყვარისგან მინავლული, —
მომშის გადარჩენამ გაახარა,
თუ მე დამტიროდა სინანულით?
— გული დაიმშვიდე, მამაჩემო,
ჩვენი განმორების თარიღია...
წუთისოფლისათვის გასამრჯელო
ჯერ ხომ არასოდეს გამიღია.
ვთქვი და ნადარბალ ოთახიდან
„მრავალგამიერი“ განავარდდა,
ქვედა თმახიან მოძახილად
ჩემი ეშელონი გარდაბანთან.
ტკბილი მოხუცები შევიბრაღე, —
შიში საფეთქლებზე მიპკიროდით.
გამომეშვიდობე შენიანებს, —
შავი ბედისწერა მიკიოდა.
ზარი აკივლებულ ორთქლმავლისა,
მუბლს რომ მიკეცავდა ნოჭებად.
ძველ კარს შემოდებს ოთახისას
და ჩვენს მავიდასთან ჩამოჯდება...
არღანს აკივლებს მეზობელი —
ძველი დარდიმანდი — დალაღბაში:
— ძმებო, უკითხავად შემოველი
ღვთისგან მიტოვებულ დარბაზში! —
თქვა და გადაშანშლა მაგიდაზე
თვეში — წუხანდელი დაჭერილი,

ქუდიც, არიფების ყაიდაზე,
 სუფრას მიუმატა საჭმელივით.
 კინტო დიდინებდა შეხალება,
 არღანს აკივლებდა, აწივლებდა
 და მთელ სამეზობლოს ახარებდა
 ჩემი ზარზეიმით გაცილება.
 სუფრა გაწყობილი სანაჭებოდ
 ზიარ აივანზე გადაბარგდა
 და ჩემს წასაყვანად, საგანგებოდ
 იდგა ეშულონი გარდაბანთან.
 სანამ მოფარდნილ განთიადი
 სივრცეს გაწულავდა მანძილებად,
 ძველი — თბილისური მარიფათით
 უბნის თავგაცობა მაცილებდა.
 მძინარო აღვიძებდა ნაჭეიფარ

არღნის მოძახილი ყურწამლები, —
 მჭვრეტდნენ ბადეაგრულ სარემლებიდან,
 როგორც ოძელაშვილს — ტუსალები.
 სკოლას, კოსპიტალად გადაქცეულს,
 ჩუმად ჩავეარეთ აჩრდილებად,
 მწვანე ხალათიან ახალწვეულს
 რიდიტ შემომხედეს დაჭრილებმა.
 ქუდი მოვუხადე, მომესალმნენ
 სკოლის ხეივარი მოსახლენი.
 ფრონტზე დასახარჯი ღონესავით
 ვალი მიმყვებოდა მოსახდელი.
 ხვატში საჩრდილობლად, საგრილობლად
 ჩრდილიტ მიმყვებოდა შევანაბდა
 და ჩემს წასაყვანად გაჰკიოდა
 შავი ორთქლმავალი გარდაბანთან.

□ გაზრდილობა იძნება □

ხიზი სარეხელი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

უცებ მის შორიახლო კვამლის მთა აღიმართა. ძლიერმა ტალღამ პირქვე დასცა. მიწის გაყინული ბელტები ხრიალით ზედ დაეყარა და ისე მოეჩვენა, თითქოს ცოცხლად ჩაიმარხა სანგარში. პერი არ ჰყოფნიდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ თავს მალდა არ სწევდა, რადგან სანგარზე უკვე გრუხუნით გადადიოდნენ მტრის ტანკები.

„ერთმა ჯარისკაცმაც ხომ ბრძოლის ველზე თავი მოიმკვდარუნა და ტყვედ ჩავარდნას გადაარჩა!“ — ამით ინუგეშებდა თავს და ცდილობდა მოეგონა ვინ უამბო, ან რომელ წიგნში ამოიკითხა ეს ამბავი.

ამასობაში სანგარის თავზე ტანკების გრუხუნი მისწყდა. აქა-იქლა ისმოდა თოფების ბათქა-ბუთქი. ემდაეამ ქუხდნენ ქვემეხები.

ფრთხილად ამოძვრა მიწიდან. მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ სიცივისაგან გათოშლიყო. ხელთათმანები გაიძრო, ხელები სულის ბერკით გაითბო, სახე თოვლით დაიზილა და მიწაყრილზე აბობლდა.

ირგვლივ ნაყუმბარევი ორმოები მოჩანდა. სისხლით შეღებილ თოვლზე საბჭოთა და გერმანულ მეთმართა გვამები ეყარა. სანამ სული ედგათ სასიკვდილოდ არ ზოგავდნენ, ახლა კი მშვიდად იწვნენ ერთმანეთის გვერდით, თითქოს ერთი დედმამის შვილები ყოფილიყვნენ. მოთარეშე ქარს მინდვრიდან თოვლის ფიფქები მოჰქონდა და ამ მწუხარე აღავს თეთრი სუღარით მოსავდა.

ხელმარცხნივ პატარა ქალა იყო.

ბრძოლის დაწყებამდე იქ მეორე ოცეულს ეკავა საბრძოლო ზღუდე.

ქალისაკენ გახიზდა. სათითაოდ აცქერდებოდა თავიანთ ოცეულის ჯარისკაცებს. რაღაც ორიოდ საათის წინ ისინი ცოცხლები იყვნენ, ეწეოდნენ თამბაქოს, საუბრობდნენ, იცინოდნენ. ახლა კი დასახიზრებულნი, მოკრუნხულნი და გაფიჩხულნი იწვნენ ისე, როგორც მოუსწრო სიკვდილმა.

ქალისპირს რომ მიადწია, წამოდგა და თოფმომარჯვებული სიღრმეში მიმავალ ბილივს გაჰყვა. ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს, რადგან ქალაში ბინდთან ერთად, ბურუსიც ჩამოწვა და ეშინოდა. ბილივი არ დაჰკარგვოდა.

უცებ რაღაც ჩხარუნი შემოესმა და უმალ ადგილზე გაქვავდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. აღბათ მომეჩვენაო, გაიფიქრა. მაგრამ გადადგათუ არა ნაბიჯი, ჩხარუნი კვლავ გაიგონა. და მაშინდა მიხვდა, რომ ეს მისივე უღვაშებზე ასხმული ყინულის ძაფები ჩხარუნობდა.

ქალა რომ გალია, იქვე გზისპირას დაბანაკებული გერმანელები დაინახა. შეცივებული ჯარისკაცები გზაზე მირბი-მორბოდნენ და მკერდზე ხელბებს ტყაპუნით სხეულს ითბობდნენ.

ცივად გაბრუნდა უკან და შუა ქალაში ერთ ჩახერგილ ხეზე ჩამოჯდა. ცოტა მუხლს შეეასვენებ, თანაც მოვიფიქრებ რა გზას დავადგეო.

მართლაც რა იღონოს, რა გზას დაადგეს? წინ და უკან გერმანელები არიან. აქეთ-იქით გადაჰიმულ ტრიალ მინდორ-

ზე კი თეთრ ვეშაპივით გაწოლილა თოვლი.

ქალაში ჩამოვარდნილ სიჩუმეს მიუგოდო ყური და ამ უძირო სიწყნარეში რაღაც უცნაური ხმები შემოესმა. ეჩვენებოდა, რომ თოვლით დახვეწილი ტოტები ტერციალებდნენ, მიძინებული ხეები კი მშვიდად ფშვინავდნენ.

ეჰ, ნეტავი ერთი-ორი საათით ისიც დააძინა! საშიში არაფერია, დაძინება შეიძლება, გერმანელები ხომ ღამით ტყეში შესვლას ვაუტობიან, მაგრამ ვაითუ ყინვამ ცხვირ-პირი, ან ფეხები დააზრას. თავი არყის ხეზე მისდო, თვალი დახუჭა და იმ წამსვე ხერხევა ამოუშვა. ასე უცებ კი არ ჩაეძინა. თავს იტყუებდა, ვითომ მძინავს და გემრიელად ვებრინავო.

ამ ნეტარყუნებაში იყო, რომ ფეხის ხმა შემოესმა. წამოხტა და თოფი მომარჯვა.

— ვინ ხარ, შესდექი! — შესძახა მან, როგორც კი შეეძლო ხმადაბლა, და თავისივე ხრინწიანი ხმისა თვითონვე შეეშინდა.

— სამედიცინო და ვარ! — გაისმა ქალის შემვრთალი ხმა.

„თუ სიზმარში არა ვარ, ამ განსაცდელის ეამს რაღა ქალი გამომეცხადა?“ — გაიფიქრა ვაჟმა, ისევ ხეზე დაეშვა და თვალი დახუჭა.

ბილიყზე გაჩერებული ქალი კი გოცელები იყო. რაშია საქმე, გარკვევით გავიგონე კაცის ხმა, მაგრამ ასე უცებ რა დაემართა, რატომ დადუმდაო, და შიშნარევი ხმით დაიძახა:

— ადამიანიშვილი არა ხარ, ხმა ამოიღე, რაღა ეს მინდა, მე ისედაც შეშინია, მთლად ვთრთი!

არა, ეს უკვე სიზმარს აღარ ჰკავდა! ვაჟი უმალ ზეზე წამოიჭრა და ცხადლივ დაინახა: ბილიყზე ფარაჯაში ჩაბუდნული ქალი მოაბიჯებდა, წელში მოხრილი, მაგრამ რაღაც მიმზიდველი გრაციოზა და მხრების ოდნავი რბევით.

ქალი მისგან ორ ნაბიჯზე შეჩერდა. შევებით ამოისუნთქა და თქვა:

— ოჰ, რა ბედნიერი ვარ, რომ კიდევ შევხვდი ადამიანს! — თან მხრებიდან თოვლის ფიქტები მოიცვალა. თანაც კალთები დაიბერტყა, თითქოს ოთახის კარებს მისდგომია და შიგ აპირებს შესვლასო.

— მეც მიხარია! — თქვა ვაჟამ და გაიფიქრა, ნეტავი ისეთი რა ვუთხრა ამ ქალსა, რომ გაეამხნევეო და ვანუგეშოო.

— ამხანაგო მებრძოლო, რომელ ბატალიონიდან ხარ? — შეეკითხა ქალი.

— პირველიდან, შენა?

— მე მეორედან!

— ნეტავ საით დაიხიეს ჩვენმა ბატალიონებმა?

— არ ვიცი! ჩვენი ოცეული მანამდე იცავდა ზღუდეს, სანამ ფაშისტთა ტანკებმა არ გადაქელეს. თუ რა მოხდა სხვა ქვეგანაყოფებში არ ვიცი! შენ როგორღა მოხვდი აქ?

— ამ დილით მოწინავეზე მოვიღო. მტრის არტილერიის ცეცხლმა შუა გზაზე მომიწრო. ორი საათი ნაყუმბარევი ორმოში ვაფარებდი თავს. საარტილერიო დაბომბვა რომ შეწყდა, გზადაგზა დაჭრილებს ქრილობებში ვუხვევდი. ჯერ მტერს თავდაცვითი ზღუდე არ გაერღვია, რომ ფაშისტი მეავტომატეები დაგვესხნენ თავს და ცეცხლი დაგვიშინეს. ახლაც ვაოცებული ვარ, ასე მალულად როგორ წამოგვებარნენ. ციდან ჩამოფრინდნენ, თუ მიწიდან ამოძვრნენ? დაჭრილები მტერს იგერიებდნენ. მე კი მეხვეწებოდნენ, ძვირფასო დაო, ჩვენ ისედაც ვაწირულნი ვართ, აქ მოგვიწევს სიკვდილი, შენ მაინც უშველე თავსო. ერთმა მებრძოლმა ხელის ბიძგით გამაქცია ზურგისაკენ. გზაში ისევ გერმანელ მეავტომატეებს გადავეყარე. ვერც ტყემლე მივაღწიე, ვერც შარაგზაზე გავედი და ბოლოს ქალას შემოვაფარე თავი. ოჰ, როგორ მოვიქანცე, მუხლი შეკეცება, დავსხდეთ რა?!

ხეზე რომ ჩამოსხდნენ, მხოლოდ მაშინ შეამჩნია ვაჟმა, რომ ქალს მარცხენა ხელი ღრმად ჩაეყო უბეში.

„გვი თუ დაჭრილია!“ — გულში გაპკრა და თითქოს უჭირს ამ არასასიამოვნო ამბის გაგებაო, ქალს ნაღვლიანი თანაგრძნობით შეეკითხა:

— ხელი რატომ გიდევს უბეში, დაჭრილი ხარ?

— ეგლა მაკლდა! — გაიცინა ხალისიანად ქალმა — ხელთათმანი დამეკარვა. ჩემს სიცოცხლეში არაფერი დამიკარგავს, მეც არ ვიცი, ახლა რაღა დამემართა.

ვაჟმა ხელთათმანი გაიძრო და ქალს შესთავაზა, შენ ჩაიცვი, მე არა მიჭირსრა, სიცივეს შეჩვეული ვარო.

ქალმა როდი იუარა. ვაჟს ხელთათმანი იმ ეკლეუცის სინებიერით ჩამოართვა. ვისაც ეტრფიან და მორჩილობენ, თანაც მხიარულად ჩაიცინა, ეს რამხელა მაჭა და მტევანი გქონია, ორივე ხელი ჩამეტევო.

ქამდავამ, როცა მტრის ასროლილი შუშუნა ქალაშიც ჩამოიხედავდა, ისინი ერთმანეთს თვალბში აცქერდებოდნენ.

ქალს სინორჩე, სიჯანსაღე და სისხლჭარბობა ემჩნეოდა. მის სანთელივით მოციმციმე თვალბში, დაჭირხლული გრძელი წამწამები რომ ფარავდა, ვაჟი რაღაც ახალ სამყაროს ჳერეტდა, რაც განუცდელ სიხარულსა და სიტკბობებს ჳირდებოდა.

ქალსაც დიდ საიმოვნებას ანიჭებდა მფარველად მოვლენილ ჳაბუეის გვერდით ჳლომა. მისი მზრუნველობა სიხარულით და რაღაც გამოუცდელი მღელვარებით ავსებდა.

და ქალი ვაჟისადმი სულ უფრო უსაზღვრო თანაგრძნობით, სითბოთი, წმინდა სინაზით იმჳვალებოდა. თვალბში შესციცინებდა, ამჳარად აწონებდა თავს, ეალერსებოდა.

ქალმა ჩანთიდან პურის ნატეხი ამოიღო, თოფის კონდახით შუაზე გატეხა და მოზრდილი ნატეხი ვაჟს გაუწოდა.

— ეგ შენ მიირთვი! — იუარა ვაჟმა.

— მე ქალი ვარ, ნაკლები ულუფა მეკუთვინის, თან არც მჳია. — და ქალ-

მა პურის ნატეხი ძალათი მიაჩეჩა ხელში.

— ჩაი, ან ყავა რომ დაგვეყოლებოდა, მეფური ვახშამი გამოგვივიდოდა! — ამბობდა ვაჟი და გეზრიელად ლოლნიდა გაქვავებულ პურს.

— უჩაიობას შეველევი. ოღონდ ამსვა-დამსვა და ჩვენ ლუმელზე დამსვა. ასე არასოდეს შემციცინია. აჳმდე ფეხები მეწვოდა, ახლა კი ველარაფერს ვგრძნობ, ალბათ დამაზრა?!

— გაიარ-გამოიარე და ვახურდები! — ურჩია ვაჟმა და მკლავზე ხელის მოჭერით გამხსნევა.

ქალი წამოდგა. ჳერ ადგილზე ხტუნაობდა, მერე ბილივზე გაიქცა-გამოიქცა. ვაფიჩხული ფეხის თითები ვაჟმაღა, სხეულიც ვაუთბა, მაგრამ ყველაზე უფრო ის ალაგი უხურდა, ვაჟი მკლავზე ხელით რომ შეეხბო. ვაოცებული იყო. ასეთ ვანსაცდელის ვაჟს, ეს რა სულელური ფიქრი დამებადა. იქნებ ჳკუაზე შევიშალე და აღარა გამეგებარა. ვაჟმა ხელის მოჭერით გამამხსნევა, მე კი კუნთბში ისეთი სითბოსა და სინაზესა ვგრძნობ, ლამის თავბრუ დამეხვესო. ვაჟიც წამოდგა. ხის გასწვრივ გაიარ-გამოიარა, ერთი-ორჳერ ჩაბუქნა. მუშტების ცემით კინაღამ გულმჳერდი შეინგრაია და მერე ისევ ხეზე დაჭადა.

ეს რა საშინელ ღღეში არიან! ცა თითქოს იწმინდება და ყინვა უფრო მოუჭერს. სიცივეს კიდევაც რომ ვაუძლონ, ალბათ ხვალ უთენია მტრის ჳურგის ნაწილები მოადგებიან ჳალას, თვი-თონ ცოცხალი თავით არავის ჩაბარდებდა, მაგრამ ქალის ბედი აფიქრებს. საბრალო გოგო! ფაშისტებმა რომ ჩაიგდონ, აწვალებენ, დასჯიჯგნიან, ტანჯა-წვალებაში ამოხდიან სულს.

— რა თავი ჩავილუნავს, ხომ არ ჩაგვიძინა! — უთხრა ქალმა და ვაჟს გვერდით მოუჭადა.

— არა, ფიქრებმა გამიტაცეს.

გრძნობააცელქებულ ქალის ვაფერძკრათალებულ სახეზე სილამაზე იფურჩქნებოდა. თითქოს ჳაბუეის თვალბში,

ლიმილში, უსიტყვო მოწონებასა და აღტაცებაში საკუთარ სილამაზის ანარეკლს ეპყვებოდა.

ვაჟმა წასჩურჩულა:

— კიდევ გცივა!

— მცივა! შენა?

— არც ისე!

თან იმის დამატება უნდოდა, შენს გვერდით რა შემაცივრებდესო, მაგრამ ვერ შეებდა; ქალს ხელფეხი ეყინება, მთელი სხეული უძაგდაგებს და ამის თქმით, ვაითუ პატივმოყვარეობა შეეფლახო. მთელი არსებით მოუნდა ქალს მოფერებოდა, მიაღერებოდა. ფრთხილად მოხვია მხარზე ხელი და თავისკენ მიიზიდა. ქალს არაერთხელ წინააღმდეგობა არ გაუწევია, თითქოს წინასწარ შეგუებულია ამასო, თვითონაც ვაჟისკენ გადაიხარა და თავით მის მკერდზე მიესკენა.

ვაჟს თავბრუ ესხმოდა. გული ხან აჩქარებით უცემდა, ხან უჩერდებოდა.

ქალიც ღელავდა. ვაჟის ნახუნთქი პაერი, შუბლზე ჩამოშლილ თმების კულულებს რომ უწეწავდა, ტანში ატრყობდებოდა.

— გეძინება? — წასჩურჩულა ვაჟმა.

— ძალიან.

ჭაბუკმა უფრო მაგრად ჩაიკრა ქალი მკერდში, სულის შებერვით შეეცადა გაეთხო მისთვის შეცივებული ლოყები, მაგრამ უნებურად მათი ტუჩები ერთმანეთს მიეწებნენ.

— რა ტკბილი ყოფილა პირველი კოცნა! — აღმოხდა ჭაბუკს.

ვაჟის ვარაუდით, სამზრეთით ორისამი კილომეტრის დაშორებით დიდი ტყე იწყებოდა. თუ იქამდე მიაღწევდნენ, მერე როდილა გაუჭირდებოდათ გარემოცვიდან გასვლა.

ისინი ამ იმედით გაუღვინნ გზას.

წინ ვაჟი მიაბიჯებდა, ფეხდაფეხ მისდევდა ქალი. გაუცვლევ თოვლს მკერდით მხარღვევდნენ. ანაპერწყლებული

ყინვა სახეს უკაწრავდათ, აღმასის ფეფქი თვალწარბზე ჭირხლად ესხმოდათ.

ქალი რომ გალიეს, მათ წინ მიჩვეული დაფარული ველი გადაიშალა. გელს შარავნა სჭრიდა. შარავნაზე ტანკებისა და მანქანების კოლონები იდგა. ველის მიღმა მოჩანდა პორიზონტზე გადაჭიმული ტყის მუქი ზოლი. ერთ ალაგას მანქანებს შორის მანძილი ასიოდრ მეტრი იყო. აი იქეთ აიღეს გეზი.

შარავნას რომ მიაღწიეს, ნაყუმბარევი ორმოში შეისვენეს.

ვაჟი უხელთათმანო ხელს იღლიაში იდებდა.

ქალმა შენიშნა ეს და ხელთათმანი შეაძლია, მაგრამ ვაჟმა იუარა. ქალი ვაჟის ხელს წაეტანა, ერთხანს სულის შებერვით უთბობდა, მაგრამ ფილტვებიდან ამონადენი ჰაერიც ცივი იყო, გაყინული. ამიტომ ადგა და უბეში ჩაიკრა ვაჟის გაფიჩხული თითები.

შესაფერისი დრო შეარჩიეს, გზაზე მუცლით გადახობდნენ და თოვლით ვადათეთრებულ ველს დაადგნენ.

თითქმის ორი საათი იარეს შეუსვენებლივ. ქალს ახირებული ახი აეკვირბოდა. ეჩვენებოდა, რომ რაც მეტს მიდიოდნენ ტყე უფრო შორდებოდათ. ერთგან წელამდე თოვლში ჩაიფლო, ეგონა ვაჟი მიეშველებოდა, ხელს გაუწვდიდა. ფეხზე წამოაყენებდა, მაგრამ იგი თავჩაღუნული მიაღრვევდა თოვლს და უკან არ იხედებოდა.

შეშინებულმა ქალმა შეჰკივლა:

— ვაიმე, დედა!

ვაჟმა ქალს მიაშურა, ხელი გაუწოდა და ფეხზე წამოაყენა.

ქალს სანიტარული ჩანთაღა ეკიდა მხარზე, ვაჟმა ისიც ჩამოართვა და თვითონ მოიგდო ზურგზე.

ათიოდრ წუთის შემდეგ ქალი ისევ შეჩერდა. თავჩაქინდრულს ხელები მოტეხილი ფრთებივით ჩამოსცვენოდა.

ვაჟმა დაუძახა, რას გაჩერებულხარ, ხომ არ ჩაგეძინაო.

ქალს არც პასუხი გაუცია, არც განძრეულა.

ვაჟი კიდევ შეეხმურა, მაგრამ ქალი კვლავ დუმდა.

ვაჟი ახლო მივიდა, მხარში ხელი ჩაავლო და შეანჭდრია.

ქალი შეკრთა, უაზროდ ხელები გაასავსავა, თან ხმადაბლა ჩაილაპარაკა. მეც არ ვიცი, რა დამემართა, ნუთუ შეიძლება ზეზეულა და მერე ისიც თვალგახელილი ძილიო.

ვაჟი მხარში ამოუდგა ქალს და ისე განაგრძეს გზა.

უცებ წინ რაღაც შავ საგნებს მოჰკრეს თვალი, რაც თოვლით დაფარულ მინდორზე ნათლად გამოირჩეოდა.

ქალი დაბეჭითებით ამბობდა, აქ ან სოფელია, ან მიწურებიო.

ვაჟმა იცოდა, რომ არც ერთი იყო, არც მეორე, მაგრამ ქალისათვის იმედი რომ არ მოეშალა, კვერს უკრავდა, მეც ასე მგონიაო. თან ისეთი დიდი სურვილი ჰქონდა, მართლა სოფელი ან მიწურები ყოფილიყო, ბოლოს ეს თვითონაც დაიჯერა. ისიც კი წარმოიდგინა, ვითომ ტირიფონის ველზე იყო და თავიანთ სოფლისაკენ მიაბიჯებდა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ საგნებს, მით უფრო იმედი უქარწყლდებოდათ. მართლაც ისინი თვითმფრინავის ნამსხვრევები გამოდგა.

უცებ რაღაც ორასიოდენ ნაბიჯზე, ცაში ზედიზედ აიჭრნენ კამკაშა შუშხუნები და ირგვლივ დღესავით განათდა.

ქალ-ვაჟი პირქვე დაემხო.

ტყის მხრიდან რამდენიმე ცეცხლის ალი გამოიჭრა, მანათობელმა ტყვიებმა თავზე გადაუქროლეს, რასაც თან ავტომატების ჯერის დამაყრუებელი ბათქაბუთქი მოჰყვა.

აყუდნენ ტყვიამფრქვევები. სადღაც ტყის მიღმა დაიქუხეს ქვემეხებმაც. ყუმბარები ზარითა და ზათქით ირგვლივ დაენარცხნენ.

ვაჟი ქალს აფრთხილებდა, თოვლში ღრმად ჩაიფალი, ეს ტყვიისაგანაც დაგიფარავს, ყინვისაგანაცო.

ქალი უძრავად იწვა, კრინტს არ სძრავდა. ძვალ-რბილში გამჭდარ ყინ-

ვას, მისთვის შიშისა და ზიფათის ვრძნობა წაერთმია...

აი თურმე სად სწერებოდა სიკვდილი! ტყვიას კიდევაც რომ გადაურჩეს, ყინვას სად წაუფა. ნუთუ ამ ტანჯვა-წვალე-ბაში ამოხდება სული?!

«ჯერ კიდევ გვიან არ არის, ჯერ კიდევ შეიძლება თავის გადარჩენა!» — ესმოდა ყუმბარების აფეთქებათა ხმა ში.

მერე სად არის ხსნა, რით შეუძლია თავის გადარჩენა?! სულ იმას არ ეუბნებოდნენ შენი სილამაზით ყველგან თავს გაიტან, შენ თვალთა ელვარებით მხეცებს მოათენიერებ, მთებს შესძრავო?! მაშ რატომ უტვრინდება, რატომ არ ემუდარება ყინვას?! ვინ იცის იქნებ სილამაზეც დაჰკარგა, სახე დაემანჭა, ბებერ ქალს დაემსგავსა. ალბათ მალე მთლიანად გაითოშება და შესაზარი გახდება.

და ქალს სურვილი აღეძრა წამოჭრილიყო, ტირილით ყინვას შეეედრებოდა, ქალი ვარ, ნუ მომკლავ, შემობრალეო. წამოიწია კიდევ, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა, თითქოს კისერზე მსხვილი ჯაჭვები შეემათ, ხელფეხზე უღრეკი ბორკილი დაედოთ.

«ვაითუ ხელფეხი მომაზრა?!» — თავში გაუფლვა და მთელი სხეული აუკანკალდა. ჭირხლით ერთმანეთზე მიწებებული ბაგენი გახსნა, სიფრიფანა ყინულით დაფარულ ტუჩის კუთხეებზე ენა მოისვია, ამოიგმინა და ძლივს გამოსცრა:

— ვაიმე, მიშველეთ!

ნეტავი ასე რად წაერთვა ხმა?! ნუთუ ცოცხლად იყინება?! სიკვდილი ზომენის წართმევით იწყება?! ალბათ მასაც ამიტომ ჩაუვარდა ენა. თუ ეს ასე არ არის, მაშ მის გვერდში მყოფ ჰაბუქს ხმა როგორ ვერ მიაწვდინა?! ვაითუ ვაჟის თავზეც რაიმე უბედურებაა?!

ისეთი შემადრწუნებელი იყო ქალისათვის ამის გაფიქრება, რომ ატირებულის ხმით შესძახა:

— რა დაგემართა!

— არაფერი, ნუ გეშინია!

— სულაც არ შეშინია. ოღონდ ყინვას ველარ ვიტან, ვითომები!

როგორც კი ცაზე დაკიდული შუშხუნა ჩაიფერფლა, ვაჟი ქალთან მიხობდა. სახე თოვლით დაუზილა, ხელები დაუსრისა, თან ამხნევებდა, გამაგრდი, ალბათ ჩვენი ნაწილები ახლო არიან, თორემ მტერი ასეთ სიფრთხილეს არ გამოიჩენდა, არც ამოდენა ცეცხლს დაგვიშენდაო.

როდის-როდის, სროლა შეწყდა.

არემარე წყვდიადმა მოიცვა, ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. ვაჟი ქალს ეჩურჩულებოდა, ახლავე უნდა უკუვიქცეთ, ორი-სამი კილომეტრი მარცხნივ გადავუხვიეთ. იქ გერმანელები აღარ იქნებიან და ადვილად შევალთ ტყეში.

— რა ვქნა, ფეხები დამაზრა, სიარული აღარ შემძლია! — თქვა ქალმა ისეთი საბრალე ხმით, რომ თავისი გულისტკივილი კილოთი უფრო გამოხატა, ვიდრე სიტყვებით. — იქნებ სკობდეს მტრის ზურგში დავრჩეთ!? აქედან არც ისე შორს დედაჩემის მოხუცი მშობლები ცხოვრობენ. იმათი ზუტორი დაბურულ ტყეშია. მხოლოდ თხილამურებით შეიძლება იქ მისვლა. რაღა არ ექნება ბებიაჩემს ჩემთვის შენახული. მერე რა გემრიელი ღვეზელის გამოცხობა იცის. იმაზე უკეთ ქვეყანაზე ალბათ არაფერი ახურებს ღუმელს. ახანოც რაღაც თავისებური აქვთ. ვაგარვარებულ ქვეებს წყალს რომ დავასხავდი, ისეთი მხურვალე ორთქლი ავარდებოდა, უმაღლესში ვიწურებოდი, ბუღით მთელი სხეული მეწვოდა. ახლა მაინც გარემოცვაში ვართ. გერმანელებსაც რომ გადავურჩეთ, ყინვა მოგვიდებს ბოლოს. რა დაშვდება, თუ ცოტაოდენი ხნით მოხუცებს შევაფარებთ თავს?!

— ეს ხომ ფარხმლის დაცრაა?!

— სხვა გამოსავალი რომ არ არის? ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ბედზე. რადგან ახლა თავად ვართ ჩვენი თავის მეთაური!

— ჩვენი მეთაური ჩვენი სინდისია.

ჩვენ უნდა ნამუსიანად შევასრულოთ ჯარისკაცის მოვალეობა!

ქალს აღარაფერი უთქვამს. მხოლოდ თავი გააქნია, რა ვქნა, არ შემძლიაო. გამტერებული იჭდა, თითქოს ყინვას შეურიგდა, შეეგუა და აღსასრულს მორჩილებით ელოდა.

ვაჟი ქალს მუხლებში ჩაუვარდა. გულამომჯდარი ეხვეწებოდა, ემუდარებოდა. ძალღონე მოიკრიბე, სულით ნუ დაეცემი, ნუ დაკნინდები. მოძრაობაშია მხოლოდ ხსნა. ისედაც ცოტა დრო დავერჩა და ყოველი წუთი ძვირფასია. თუ გათენებამდე ტყეში არ შევალწიეთ, დავიღუპებითო.

ქალი უსიცოცხლო თვალებით მისჩერებოდა ვაჟს, უარის ნიშნად თავს აქნევდა.

— რახან არ გინდა მომისმინო, მაშ გიბრძანებ! — უცებ აენთო ვაჟი.

— რა ვქნა, არ შემძლია! ხომ გესმის როგორ წამერთვა ხმა! ხელფეხი მომეკვეთა, ვკანკალებ, სუნთქვა მიჭირს, გული მიღონდება! — და ქალმა პირი იბრუნა, რადგან ეგონა ვაჟი დაინახავდა მის თვალებიდან გადმოცეწილ ცრემლებს, ყინულის წინწილებად გადაქცეულნი დაწვებზე რომ ეწეწებოდნენ.

— ნუ ტირი, ნუ! — ხმა მოითაფლა ვაჟმა და ქალი მკერდში ჩაიკრა.

— შენ წადი, თავს უშველე! მე აღარაფერი მეშველება, სიკვდილს ვერ გადავურჩები!

— უშენოდ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ! რაკილა ბედმა ამ განსაცდელში შეგვყარა, თუ სიკვდილი გვიწერია, დე ერთად დავიხოცოთ!

ქალს გული აუჩუყდა. აქვითინდა.

ვაჟმა დაუკოცა საყელოში ჩაბუღნილი ლოყები და მომლამო ყინულის წინწილები ტუჩზე შეაღწა. ამან კიდევ უფრო შეაბრალა ქალი. ახლა უკვე ემუდარებოდა, წავიდეთ, თუ სიარული არ შეგიძლია, ხელით გატარებო. თან ისეთი გზნებით უკოცნიდა ბაგეებს, თითქოს კოცნის სიტკბობასთან ერ-

თად, წასვლის თანხმობაც უნდა გამოსტაცოსო.

ქალმა ვაჟის ტუჩებში სითბო იგრძნო. შვების მომგვრელმა გრძობამ დაუარა ძარღვებში, სისხლი აუჩქროლდა. იმანაც შემოხვია ვაჟს ხელი, კოცნას კოცნითვე უბასუხა.

წასვლაზე ერთმანეთისთვის აღარაფერი უთქვამთ. უსიტყვოდ, გუმანიო შეთანხმდნენ.

ისინი უკუიქცნენ. მერე მარცხნივ გადაუხვიეს, მთელი საათი შეუსვენებლივ იარეს ვაუკვალავ თოვლში და ბოლოს ისევ ტყისკენ იბრუნეს პირო.

— გინდა დავისვენოთ! — ეჩურჩულებოდა ვაჟი.

— არა! ისედაც ფეხები მომაზრა და უარესი დამემართება. თანაც დაღლილ მუხლს რომ შეევასვენებ, მერე უფრო გამიძინებდება სიარული!..

ტყიდან თითქმის იმავე, მანძილით იყვნენ დაცილებულნი, რომ ცაში კვლავ აიჭრნენ კაშკაშა შუშხუნები.

უმალ პირქვე დაემხნენ და თოვლში ჩაიმაღლნენ. მგეზავმა ტყვიებმა წყვედიანი ცეცხლის ხაზებით დასერეს. აღარ იცოდნენ რა გზას დასდგომოდნენ. ვაჟი ამბობდა, სჯობია ისევ იმ ჭალაში დავიშალეთ, საცა ერთმანეთს შევხვდით. შარავნიდან ის არც ისე ახლოა და შეიძლება გერმანელებმა იქით არც გაიხედონ. დღისით კი მდგომარეობა გვიჩვენებს როგორ მოვიქცეთო.

ქალი თავისას გაიძახოდა, მტრის ზურგში დაერჩეთ და თავი ბაბუაჩემიანთ ზუტორს შევაფაროთო. ცოტას დაესვენებთ. ძალღონეს მოვიკრებთ. როცა ჩამოთბება, თხილამურებით ტყე-ტყე ვივლით და გარემოცვიდან აღვილად გავალთ. ან ავდგეთ და პარტიზანებს შევეურთდეთ! ვანა პარტიზანები ფაშისტებს ნაკლებ მუსრს ავლებენო.

— ვნახოთ, იქნებ ასეც მოვიქცეთ. ახლა კი სანამ თავზე არ დაგვეთენებია, გზას გვუდგვეთ! — თქვა ბოლოს ვაჟმა. მიდიოდნენ და მიდიოდნენ. თვითო-

ნაც უკვირდით სად ჰქონდათ ამდენი ძალა და გამძლეობა.

გერმანული

აღმათ აღარც ისე შორს უნდასუთფილიყო ჭალა, რომ მსუსხავმა ქარაყინვამ დაუბერა. ხვავრიელად წამოხვეტილი თოვლი ჰაერში ვანიავდა, ირგვლივ ყველაფერი დაიბურა, აღარაფერი ჩანდა.

ვაჟს ის უკლავდა გულს, ეს რა დაწყველილ ბედზე ვყოფილვარ გაჩენილი. რატომღაც მეგონა ჩემს საბედოს უთუოდ რუსთაველის გამაზირზე შევხვდებოდი, მასთან ერთად ფუნეკულიორზე ვისიერებდი, კოჭრის ტყეში ვიხეტიალებდი. მე კი ეს რა საშინელ ქარცეცხლში შევხვდი ამ ქალსო.

ქალს გული იმაზე სწყდებოდა, აღმათ კაცისთვისაც დიდი უბედურებაა სიყვარულის განუცდელად სიკვდილი. სხვა არაფერი მინდა, ჩემს ბედში მყოფ ქაბუქს, ამ დიდ გასაჭირში მხსნელად და მფარველად რომ მომევილინა, სიამოვნება მივანიჭო, ვნების ალში ჩავახრჩოვო. თან თავიდან ვერ იცილებდა ამბავს, ბავშვობაში ბებიამ რომ უამბოთურმე ქალ-ვაჟისათვის ქარბუქს მოუსწვრია მინდორში და სოფლისკენ გზაველარ გაუგნიათ. უქმელ-უსმელობით, უძილობითა და ქარბუქთან ჭიდილით მუხლი ჩაჰკეციათ და ორივე წაუნამქრავს. ისინი მხოლოდ გაზაფხულით უნახავთ. ერთმანეთთან ჩაკრულ-ჩახუტულებს მშვიდად სძინებიათ მარადიული ძილით.

ვაჟი ქალს მხრებით უმყუდროებდა, როცა ქარაშოტი წამოვიდოდა, ისინი ერთმანეთს ეკვროდნენ, თან თოვლში იმალებოდნენ, ვიდრე ძლიერი ტალღა თავზე არ გადაუვლიდათ.

უცებ მათ წინ საბძელი აღიმართა.

ვაჟმა ქალი უკანა კედელთან გააჩერა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ჯერ მე მივალ მაღულად, გავიგებ, იქნებ შიგ ვინ არიანო. ფეხაკრეფით შემოუარა საბძელს და დახურულ კარებთან შეჩერდა. შიგ ფაჩი-ფუჩი არ ისმოდა. კარი შეაღო. საბძელში ისე ბნელოდა, ვერაფერი დაინახა. ხელების ფათურით

შევიდა. აქეთ-იქით კაცის სიბაღღაღად რაღაც ელაგა, რასაც ზევიდან ნამჯა ეყარა. ნამჯაში ხელი შეჭყო და მკვრივი ნაგნები შუა-შუა დახეთქილ მორის შემას მიამსგავსა.

მხოლოდ კარის პირდაპირ, უკანა კედელთან იყო ცარიელი ადგილი.

გარეთ ფეხის ხმა გაისმა და საბძლის კარებს ვიღაც მიუახლოვდა.

ვაქს სული შეეგუბა, გული ყელში მოებჯინა. მას შეეძლო ელვისისისწრაფით უკან მიბრუნება, მაგრამ იცოდა, რომ ჩანახაი გაყინული იყო და ტყუილად ვაჩრებოდა.

— მე ვარ, ვედარ დაველოდე, მთელი სხეული მიკანკალეხს. სული მეხუთება! — ზურგს უკან გაისმა ქალის ხმა.

ქარბუქს საბძლისათვის ალაგ-ალაგ ლურჯში აეხადა, ხის კედლები აქა-იქ ჭურვებს გაჭნგრია. ისე რომ ქარყინვა საბძელშიც დანაფარდობდა. მიუხედავად ამისა, ქალვაცხს იგი მყუდრო თავშესაფარად ეჩვენათ.

ქალი ბეჭებით ნამჯაგადაფარებულ მკვრივ საგნებს მიეყრდნო, უძრავად იდგა, კრინტს არ სძრავდა.

ვაჟმა ცარიელ ალაგას დახორავებულ ნამჯა ლეიბივით გაშალა, თავით სანიტარული ჩანთა დადო, ქალი დააწვინა, ზევიდან ნამჯა დააყარა და წასჩურჩულა:

— კარგად ჩაიბუდნე, ჩათბები!

— შენ რაღას აპირებ? დაწექი! — მიუგო კანკალით ქალმა.

— მივიხედ-მოვიხედავ, გავიგებ საფრთხე ხომ არაფერი გველის.

— იქნებ, უფრო მყუდრო ალაგი გამოჩანოს. ეპ, ნეტავი როგორმე ცეცხლი ავეენთო!

— ერიპა, ასანთი რომ გვექონოდა, იქნებ მართლაც ვაგვეჩაღებია კოცონი!

— ასანთი მგონი მე მაქვს, აბა ჩანთაში ნახე! მე ხელის განძრევა არ შემიძლია!

ვაჟმა დიდხანს აფათურა ჩანთაში ხელი, მაგრამ ასანთი ვერ მოძებნა. როცა დანანებით ხელი ჩაიჭნია, ასანთის

მსგავსი არაფერიცა, ქალმა მიუგო, ოი, როგორ გადამავიწყდა, ასანთი გუშინ დაჭრილ ჯარისკაცს მივეცედი. ეს მის მშვენიერად ახსოვდა, მაგრამ ვაქს ასანთი მაინც მოაძებნია, იქნებ ჯარისკაცმა დამიბრუნა და გადამავიწყდაო.

ვაქი გარეთ გავიდა.

თოვლს სითეთრე მომატებოდა, სხივმფენი, მბრწყინავი გამბდარიყო. ყინვა უფრო მძინვარებდა, სუსხავდა. საბძლის უკანა მხარეს, სხვა მხარეებთან შედარებით, ცა უფრო ნათელი ჩანდა. ამით მიხვდა, რომ გზა არევიათ და აღმოსავლეთით კი არა, დასავლეთით უკლიათ.

საბძელს ირგვლივ შემოუარა. მერე ორმხრივ ჩარიგებულ არყის ხეებს შუა მიშავალ გზას ჩაჰყვა. ორასიოდენ ნაბიჯი რომ გაიარა, ხელმარჯვნივ ქალის წინ ფერდობზე ნაცარტუტად ქცეული სოფელი დაინახა. ნასახლარები ქარბუქს თოვლით გადაელესა. მხოლოდ ღუმელების შემოლილი საკვამლე მიღებილა მოჩანდა. ახლო-მახლო აღმინანის ჭაჭანება არ იყო, არც ცეცხლი ენთო სადმე, არც კვამლის სუნი ტრიალებდა ჰაერში.

ვაჟმა ირგვლივ ყველაფერი შეათვალიერა და ისევ საბძელში გაბრუნდა.

ქალმა მისი ფეხის ხმა გაიგონა თუ არა, შესტირა:

— სად ხარ აქამდე? უარესი დამემართა, მთლად გავიყინე! თან რაღაც შემზარავი მეჩვენება აქაურობა. მეშინია!

— რისა გეშინია?

— მეც არ ვიცი, თვალი ვერ გამიხეულია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სასაფლაოზე ვიყო. ოჰ, თან როგორ მცივა! ნუთუ ახლომახლო არაეინ ცხოვრობს?! წავიდეთ, შეგვიბრალებენ, ცეცხლზე გავვათბობენ!

— ორ კილომეტრზე გადამწვარი სოფელია.

— წავიდეთ, იქ წავიდეთ! ნაცარი მაინც იქნება რომელიმე ღუმელში თბი-

ლად შემონახული! შიგ შევძვრეთ, ნა-
ცარში ჩავიმარხოთ!

— არა, ეს არ შეიძლება... ჯერ ერთი,
სოფელი, ეტყობა, დიდხნის გადამწვა-
რია, რადგან ზევიდან თოვლის საბანი
აფარია, თანაც საცაა გათენდება და ვაი-
თუ თავი საფრთხეში ჩაეიდგოთ. ჯერ-
ჯერობით აქ დავრჩეთ, ნამჯაში ჩავიმა-
ლოთ, მგონი როგორმე გავითბობა
ძვლებს!

— ვერა, აქ ვერასოდეს ვერ გავსაბე-
ბით, აბა ერთი ნახე, ნამჯაში ყინულის
ლოლუები ურევია.

ვაქმა ნამჯა ხელით მოსინჯა და მიუ-
გო, ეს ლოლუები კი არა, ნედლი ღე-
როებია გაყინული.

ვაქმა ქალს ფარაჯა გახადა და ქვეშ
დაუგო. თავისი ფარაჯა კი დაახურა.
საბძელის კუნჭულებში რამდენიმე ილ-
ღია ნამჯა მოხვეტა და ფარაჯას ზევი-
დან დააყარა. მერე თვითონაც ცივ სა-
რეცელში შესრიალდა, ქალს ტანზე მი-
ეკრა. ისინი ერთმანეთს ეხუტებოდნენ,
რასაც გაღვიძებული ვნება კი არა, გათ-
ბობის წყურვილი აიძულებდათ.

ვაქი ქალს გულს უმაგრებდა, ეს
მტანჯველი გრძნობა დროებითია, ყვე-
ლაფერი გაივლის, სიზმარივით დაგა-
ვიწყდება. დამით მომხდარი ამბავი, რაც
არ უნდა შემამარწყუნებელი იყოს, დი-
ლით ნაკლებ შემზარავია. გათენებამდე
კი ბევრი აღარაფერი დარჩა. დღისით
ქარბუქიც ჩადგება, ყინვაც მოიკლებსო.

ქალი კრინტს არ სძარავდა, უარყოფის
ნიშნად მხოლოდ თავს აქნევდა, რასაც
ვაქი მისი ლოყის ლოყაზე შეხებით
გრძნობდა. — ცოტა ზომ ჩავთბა! —
ეჩურჩულებოდა ვაქი.

— ამას აღბათ ვეღარც ვეღირსები!

ვაქმა უფრო მაგრად ჩაიხუტა ქალი,
სახე თავისკენ მოუბრუნა და გზნებით
დაუყოვნა ტუჩები, ლოყები, თვალები,
ყელი.

ვაქი პატარა ჭუჭრუტანასაც არ სტო-
ვებდა ღიად, რომ ფილტვებიდან ამო-
ნადენი თბილი პერტის მცირეოდენი ნა-
წილიც არ დაეკარგულიყო, მაგრამ სა-

რეცელი არ თბებოდა. იქნებ ცოტა
შეთბა კიდევ, მაგრამ ქალ-ვაქს ეს შე-
უმჩნეველი რჩებოდათ, რადგან სითბოს
შეგრძნების უნარი აღარ გააჩნდათ.

სადაც სიცოცხლეა, იქ სითბოც არის.
ეს ორი რამ წარმოდგენილია უერთმა-
ნეთოდ. ფარაჯის ქვეშ კი ორი გული
სძვებდა, ოთხი ფილტვი სუნთქავდა. და
აი მათ გაყინულ სარეცელში ნელ-ნელა
სითბო დატრიალდა.

როგორც ყინვით გათოშილ ადამია-
ნებს ემართებათ ხოლმე, მათაც ოდნავ
სითბო იგრძნეს თუ არა, საშინლად მოი-
თენთნენ, არაქათი გამოეცალათ და თავ-
წამრთმევი ძილი მოერიათ.

ქალი არ იძინებდა, ვითუ ძილში გა-
ვიყინო და ვეღარ გავიღვიძოთ. ვაქი
გულს უმაგრებდა, ეტყობა, ჩვენმა
ძვლებმა სითბო იგრძნო, თორემ ძილი
არ მოგვერეოდა. დავიძინოთ, ფიქრი არ
არის, ძილში უფრო ჩავთბებებით.

ასე კი ამბობდა, მაგრამ პატარა ში-
შის ქარი იმასაც უქროდა, ამიტომ გა-
დაწყვიტა, ქალს დაეძინა, თვითონ კი
ეფხიზლა.

ქალს ძილმა მალე წაართვა თავი, მაგ-
რამ როგორც მოღლილ-მოქანცულ ად-
მიანებს სჩვევიათ, ჩაძინებისთანავე ელ-
ვიძებოდა.

ვაქი ერთხანს თავს იმაგრებდა, მაგ-
რამ ნელ-ნელა ისიც ბურანში წავიდა.
სიზმარიც კი ნახა, ვითომ შინ იყო,
რბილ ქვეშაგებზე იწვა და ტკბილად
ვიძინა.

იგი რაღაც შემავფოთებელმა გრძნო-
ბამ შეახტუნა. კუნთები უხურდა, გულ-
ში თბილი ტალღა უეცოდა, მის არსე-
ბას იმ ძლიერი გრძნობით რომ აბრუებ-
და, რაც სიცოცხლის მოწოდებაა, სი-
ცოცხლესავით შეუჩერებელი და მარა-
ღია.

ეტყობა, ქალიც ამავე გრძნობამ შე-
აკრთო. გული აჩქარებით უცემდა, სუნ-
თქვა ეკვროდა.

ერთხანს ორივე გატყრენილი იწვა,
თითქოს განუცდელი ნეტარების მოლო-
დინში ცდუნებათა ძლიერმა ჯაჭვმა შე-

ბოკო. აღარაფერი უშლიდათ ხელს ტვილ ნეტარებას მისცემოდნენ, მაგრამ ეგონათ ისევ სიცივით ძაგდაგებდნენ. მათ კი უნდოდათ, ენატრებოდათ ერთმანეთისთვის სრულყოფილად მიენიჭებიათ ის დიდი ბედნიერება, ქორწინების პირველ ღამეს ნეფე-დედოფალი რომ განიცდის ხოლმე.

— კიდევ გცივა? — ეჩურჩულებოდა ვაჟი.

— მცივა! შენა?

— მეც მცივა!

და ისინი ერთმანეთს ვაზის რქაფოთოლივით ჩაეკვრნენ.

უცებ გარეთ მოთარეშე ქარყინვამ მანქანის გუგუნის ხმა მოიტანა.

განა სიყვარულით დამთვრალი გული ქვეყანაზე რაიმეს შეუშინდება?

გუგუნე სწრაფად ახლოვდებოდა.

ვაჟმა ფარაჯა ოდნავ ასწია. ქუჭრუტანაში გამოჭრილმა სინათლემ ქალს სახე გაუნათა. ქალი ისე გაოცებული შესცქეროდა, ვით ახლად გაღვიძებული ბავშვი, შემზარავი სიზმარი რომ ნახა. შიში და ძრწოლა, რაც ფერმკრთალ სახეზე აღბეჭდოდა, ბევრად უფრო პატარა შეხედულუბას აძლევდა მას, ვიდრე ვაჟს ეგონა.

— ნუ გეშინია, ისინი საბძელს გვერდით ჩაუვლიან, აქ არც შემოიხედავენ! ჩიხოლაგადაფარებული სატვირთო მანქანა, გზაზე თოვლს რომ ძლივს მოარღვევდა, საბძლიდან ასიოდე ნაბიჯზე შეჩერდა. თოვლები ერთ ადგილზე ტრიალებდნენ.

მანქანის კაბინიდან ორი გერმანელი გადმოვიდა, ექვსნიც ძარიდან ჩამოხტნენ, ისინი მანქანას უკნიდან მიაწვინენ, თან ერთი ღრიანცელი შეუღვათ.

მანქანამ იბუქსავა, იბუქსავა, ბოლოს წინ გაიჭრა და მთელი საბძელი შეზანზარდა.

— ნუ გეშინია, ისინი ალბათ შეშის წასადებად მოვიდნენ! — წასჩურჩულა ვაჟმა, როცა მანქანა საბძლის წინ შეჩერდა. ქალმა ხელზე ხელი მოუჭირა, რითაც თითქოს ეს უნდოდა ეთქვა, შენს

გვერდით სიკვდილისაც არ მეშინიო!

გერმანელებმა მანქანა ქაჩიყ უსაბძელს მიაყენეს და უკანა კიდე ჩამოხტნენ. ორი ჯარისკაცი ძარაზე ახტა და გაფიჩხული გვაშების გადმოყრას შეუდგნენ. ფეხებმოწყვეტილი, თავმოგლეჯილი, შუაზე გაჩხილი გვაშები ყინვას გაეჭვავებინა. თან ისე შეეცვალა და დამეახინჯებია, ადამიანების ცხედრებს კი არა, შეშას უფრო გავდნენ.

ძირს მყოფი ჯარისკაცები გვაშებს თავსა და ფეხებში ხელს ავლებდნენ, ფეტვის ტომარასავით აქეთ-იქით აქნევდნენ და საბძელში ისროდნენ.

ვაჟს ეგონა, გერმანელებს შეშა გამქონდათ გარეთ, ამიტომ ქალის ლოყაზე მიწებებული ბაგეების მოძრაობით ანიშნა, ნუ გეშინია, ისინი ეტყობა მართლაც შეშის წასადებად არიან მოსულიო.

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქანია.

შუა საბძელში გვაშები ისე დახორავდა, რომ ერთი გადაგორდა და ქალვაჟს ფეხებზე დაეცა.

არცერთს არაფერი სტყენია, მაგრამ ორივეს ის შემზარავი ფიქრი სქვალივდა, ვაითუ ზევიდან შეშა კიდევ გადმოგვაყარონ და მაშინ რაღა გვეშველებო. სულგანაბულნი წამითწამზე ელოდნენ ამ საშინელებას. თან ერთმანეთს ოდნავ ხელის მოჭერით ანუგეშებდნენ, ამხნევებდნენ.

ამასობაში გერმანელები გვაშების შეყრას მორჩნენ. მანქანიდან ბენზინით სავსე ორი ავზა ჩამოიღეს და ჯერ საბძლის აქეთ-იქით ერთიერთმანეთზე დალაგებულ ცხედრებს, ქალ-ვაჟს შეშის მორები რომ ეგონათ, მერე ახლად მოზიდულუბასაც უხვად გადაასხეს. მანქანაში ჩასხდნენ და რომელი გზითაც მოვიდნენ, იმავე გზით გაემართნენ.

მანქანა რომ დაიძრა, ვაჟმა ქალს წასჩურჩულა, გვეშველაო, და უსახლგრო სიზარულის გამოსახატავად მთელი სახე დაუკოცნა.

ქალმა კოცნითვე უპასუხა, თან წასჩურჩულა, ეს რა ბენზინის სუნი დატ-

რიალდა, პატარაზე ფარაჯა გადავიხადოთ, თორემ პერი აღარ მყოფნისო.

— ეტყობა ცეცხლი დაანთეს. ცოტა კიდევ გაიჭირვე, იმათ ნაცეცხლურზე ჩვენც გავაჩალებთ კოცონს!

მანქანამ ორმოციოდე მეტრი გაიარა და შეჩერდა. გერმანელებმა მხრებიდან შაშხანები შეიხსნეს და ცეცხლგამჩენი ტყვიები დაუშინეს საბძელს, ტყვიები ტაკატაკით სკდებოდნენ და გვამებს ცეცხლის აღში ხვევდნენ. თვალის დახამხამების უმაღ მთელი საბძელი თოფის წამლის კასრივით აენთო.

რამდენიმე ტყვიამ ქალვას თავზე გადაუქროლა და მათ ყურის ძირთან ფიკრულ კედელს ლაწალუწი აუყენა.

ვაჟმა მკლავი შემოხვია ქალს, თან ტანით შეეცადა გადაფარებოდა მის სხეულს. ქალს უცებ ისე მოეჩვენა, ვაჟის მკლავი კი არა, მხარზე ცეცხლის ალი შემოველო, რამაც ბუნდოვანი სიამოვნება მოჰგვარა, მაგრამ ერთბაშად მთელი სხეული აეგრიბა, აეკლავა და იყვირა:

— ვაიმე დედა, ვიწვი! — და ცეცხლმოდებულ გულიდან საშინელი კივილი აღმოხდა.

— ეს რაღაა?! — ამის დაძახებალა მოასწრო ვაჟმა, უფრო მაგრად ჩაეკრა დამუგუზებულ ქალს და თვითონაც უმაღ ცეცხლად იქცა.



შეშორების დღეები

დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ,
 არ გამივლია ძვირფას მხარეში,
 ვის არ დაატკობს ხელახლა ხილვა —
 მშობლიურ კუთხის კრძალვა და ვშხი.
 გზაზე მაყვლები მხედებიან ხშირად —
 ეტყობათ მზისგან გული იჯერეს,
 გადმოშვებულან კლდიდან წყლის პირად,
 თითქოს ანკესით თვევებს იჭერენ.
 ხოლო სულ ზევით, ამაყი სულით —
 მუქ სამოსელში მიჯრილან მთები,
 დგას მოჭრილ ხეთა საამო სუნი,
 მოთიბულ მინდვრის სურნელით ვთვრები.
 აჭეთ კი, ისევ კაცს თვალებს ჭრიან
 პალეზის, ზერების მთელი კრებული,

მანქანების და ურმბერს ჭრიას
 მოაქვს ყურძენა ჩაშაჭრებული...
 და მეც რას ვუცდი, მივიდე დროა,
 იქ, სადაც მოჩქეფს ამდენი ღვინო —
 ჩავდებ და მწიფე მტევნების გროვას
 სისხლივით წვენი გამოვადინო.
 შემდეგ კი, დაღ ქვევრს როგოზე შემოთ
 შემთვაცალო თოხით აყალო,
 და ოქროს კბილზე სიმინდის ღეროს —
 ფხვიერი მიწა შემოვყავარო...
 ისე ფრთხილად რომ არ ვასლო ხელი —
 ცვარ-ნამს, რომელსაც ფურჩხე ვხედავ...
 ო, როგორ მინდა იყოს დღეგრძელი
 გმირი შეილების მშობელი დედა!

ვე შეგახიზაბა მიყვარს ქართული

ქართველი კაცი მუდამ არის სიცოცხლით
 სავსე,
 ვერ იმორჩილებს მას სიყრმიდან გლოვა
 და დარდი,
 გულით არ ტუნწობს, არ მათხოვრობს,
 ამაყად დადის,
 რადგან მან იცის შრომის ფასი ამ
 ქვეყანაზე.
 მომაგლბს ფუძეს საიმედო ხელით
 იკეთებს,
 მუდამ ბრძოლაში, ოფლისღვარში არის
 გართული,
 ბედნიერია, სხვას არავის ართმევს
 სიკეთეს —
 მეც ამისათვის გამძლეობა მიყვარს
 ქართული!
 რა ვუყოთ, ხან თუ ესტუმრება ჩვენს
 გულს ნაღველი,

ოდესმე ზეცა თვით მართალსაც
 მოუჭებსდება,
 და მაინც ქართველს დარდთან ბრძოლა
 ისე უხდება,
 თომ ჭირის დღესაც ნათელია მისი
 სახელი.
 ცრემლს როცა იწმენდს, თითქო სევდა
 პატარავდება,
 მაგრამ წამითაც არ წყვეტს ბრძოლას
 ვარამთან გული,
 და ვაჭკაცური შებრძოლებით მტერს
 უმკლავდება —
 მეც ამისათვის შემართება მიყვარს .
 ქართული!
 მიდიან დღენი მწუხარების... მოდის
 ლზინისა,
 და მაინც სხვი შემოდგომის ოდნავ
 დუნდება,


მაგრამ ქვევრებში როცა ღვინო
 აშუშუნდება —
 მთელ სოფელს უცებ მოედება ხმა
 ქორწილისა...
 ტაში, დაირა, ისევ ტაში, ალავერდობა,

სიმღერის ეშხში მაყრიონიც არის
 ჩართული,
 და სუფრის თავში რომ დასვაშენ
 ნეფე-დედოფალს —
 მე ამისთვის მაყრიონიც მიყვარს
 ქართული!

ს ი კ ვ რ ი ღ ი

ერთხელ, როდესაც საღამოს პირად,
 ზამთრის ბინდში რომ გაეცდი ტყის წიაღს,
 თოვლის ნამჭერში მავალი ფრთხილად —
 გზაზე სიკვდილი წამოხეწია.
 ჯერ მკრთალად ჩანდა ბურუსის რკალში,
 და როცა ირგვლივ იმატა თოვამ,
 მოვიდა ახლო, ჩამხედა თვალში
 და მოკრძალებით სიცოცხლე მიხოცა.
 ვერ მივხე, ანკი როგორ ვეტყვოდი —
 წაიღე ჩემი ცხოვრების ფუძე,
 რასაც სიყრმიდან დღემდე ვეტრფოდი,
 ვით სიბრძნის წიგნის შენახულ ფურცელს.
 მაგრამ ის მაინც ვით ქარ-ბორია
 გაშლილ ტრამალზე ამაყად მდგარი,
 ყვიროდა, — კმარა რაც გიცხოვრია,
 რაც გიშრომია საკმაო არის...
 ნუთუ არ იყი — შენი აისი
 დასრულდა უკვე გაპქრა ვით ლანდი,

და ძველებურად აღონიხიც
 აღარა გწყალობს თავისი მადლით.
 — რას შედავ, ბრყყო! დაე დაისი —
 რა შენაღვლება, იცდიდეს ქვემოთ...
 ამდენს რომ შედავ, შენ ჯერ რა იცი
 დაუწერელი ლექსების გემო!
 განა არ ხედავ, უკულო მტრებთან
 ბრძოლის დღეები როგორ მიდიან,
 არც სამშობლოსთან, არც მეგობრებთან
 ჯერ ჩემი ვალი არ მომიხდია!...
 და მიხვდა იგი, რომ ჯერ არ მქონდა
 მოთავებული ამ ქვეყნად საქმე,
 გულამღვრეული ჩაფიქრდა ოღნავ,
 თან ანთებული თვალეზივ ჩაქრნენ...
 და ბოლოს გაპქრა ჩუმად ხლებული —
 სული ბოროტი, სიავით სავსე,
 და აღმათ სადმე ჩასაფრებული
 კვლავ მიდარაჯებს ცხოვრების გზაზე!



მალა ამისლავილი

საბავშვო კანზაზა

1

დაფდაფების და
საყვირების ამტყდარ ხმაურში,
თქვენ, ძმობის ნიშნად,
ყველა დროსა მზისკენ აუშვით.

ცა გასპეტაკდა
იგუნდის დარბაზებივით, —
ლა რაინდული
სილაშაზის დადგა ზეიმი.

ბეჭდაუდებელ,
ქედმოხრელ ახალგაზრდების
მიისწრაფიან
ტრიბუნისკენ მწყობრი რაზმები...

— სალამი სარმის,
მუშტისა და შტანგის ოსტატებს!
თქვენ, პირველობას
ჯადოჭარიც ვერ გამოგტაცებთ...

სალამი შუბის,
ბირთვისა და ბადროს მტყორცნელებს,
პირველობაზე
მსოფლიოში მათ დიდ ოცნებებს..

სალამი ღერძის,
ტაიჭის და ორძელის გმირებს,
მათი სახელი
რომ გადასცდა ხმელეთის ღირეს...

სალამი ზეცის,
მყინვარების და ზღვის რაინდებს.
ზვალ კიდევ რამდენ
რანდობის გზა-კვალს გაიგნებთ...

სალამი ყველა
შედოდეს და ყველა მორბენალს,
კვლად გაჭრილნი —
შორიდან რომ ჩანხართ ორბებად...

სალამი ბურთის
გამტაცებელს უმხურვალესი,
მოულოდნელი
დარტყმებით რომ ახვევს ბადეში...

სალამი ყველა
მონადირეს, ყველა სნაიპერს!
ამდენ სიყვარულს
კაცის გული ვეღარც დაიტევს...

2

ყოველ გაზაფხულზე, მაისის მაგივრად,
დუშმანი მოდიოდა ცეცხლით და მახელით.
შხაპუნა, შხაპუნა
წვიმების მაგივრად
სისხლი შეფედებოდა გზაჯვარედინებზე.

ყოველ გაზაფხულზე, ბულბულის მაგივრად,
ტყვია გვიგალობდა, ისარი გვისტვენდა.
ხასხასა, ხასხასა
ყლორტების მაგივრად,
ტანს მხოლოდ ფარ-შუბი იყრიდა თამამად.

ყოველ გაზაფხულზე, ყვავილთა მაგივრად,
კვამლი და ხანძარი ჰყვავოდა ბაღებში, —
და ასეთ გაზაფხულს,
ულმობელ გაზაფხულს,
ჩვენ ისევ მშვიერი ზამთარი გვერჩია...

ეჭვი, ვინ იცის, ჰანგს ლეზადესავით
მიტომატ უბერავს ხმა კავშირისა,

როცა კი — ქართველებს — „ზამთარიას“,
 მეშვიდე ცამდე აპყაეთ გუგუნით...

3

ო, რა ბევრია ამ დიად ცისქვეშ
 ყურდანები და ობელისკები...

— ო, რა ბევრია! —
 ვამბობთ და გული
 ღამის ქვითინით ჩაკვდეს ბუდეში.
 მაგრამ უეცრად ყველა წარწერა
 ერთ დიდ კოცონად წამოენთება, —
 და ერთ ენაზე აბუბუნდება:

— ჩვენ არა ვნანობთ,
 ჩვენ არა ვნანობთ,
 რომ სამშობლოსთვის დავიფერფლენით.
 ჩვენ ეს შეეძლებოდა?!
 თქვენ უნდა ხვალ-ზეგ
 შეუძლებელიც შესძლოთ, თორემ
 რა ბედენაა მართო ქვითინი?!

ჩვენ, შავი მიწა, მკერდს რომ გვაყრია,
 არ გვემძიმება...
 არ გვემძიმება...
 ყელაზე დიდი ტვირთი თქვენ გაწევთ, —
 და ეს ტვირთი
 თვათ დედამიწა,
 რომელიც უნდა გადასცეთ მყობადს!..

4

ტილეგრაფის მათეულეებზე
 დიაკლაკნა ელვა,
 ბლუჟა-ბლუჟა ნაპერწკლები
 შეაყარა მერცხლებს;
 კამ იჭუბა, რძის მხეფებად
 წამოვიდა დელგმა, —
 და ზურმუხტის ნაწნავები
 აუწეწა ძეწინებს...

დალბა მიწა ნაბელტარი,
 შეიშმუნა მხრები, —
 და ჭეჯილის ჭეჯიმები
 წამოშალა ყველგან;
 ატყდა შმაგი ნიაღვრების
 ზაფთიანი ხმებიც, —

გაზაფხულის ღრეობაა,
 განა მართლა დელგმა!..



პოი, ტკბილო გაზაფხულო,
 გამარჯვება შენდა!
 გამარჯვების ქვეყანაში
 მობრძანება გშვენის...
 ელვა ელდად დასცემია
 წუბილსა და სევდას,
 სიჭაბუკეს მოგვაგონებს
 მჭეხარება შენი...

დიდება და უკვდავება
 შენს უტკბილეს ნექტარს!
 ჩვენს იმედად ყოფილიყავ,
 ჩვენდა სასახლოდ, —
 და იქ, სადაც საქსაულის
 ჩარღვიც არა ფეთქავს,
 ჩვენი გმირი ჭაბუკები
 გაიტანენ ლულოს!..

5

ჩვენ ვიცით საზღვარი მიწის,
 ჩვენ ვიცით საზღვარი ზღვისა,
 რისთვისაც ელელავთ და ეიწვით,
 როდესაც სამშობლოს ვიცავთ...

არსებობს საზღვარი ერთიც,
 ეს არი საზღვარი ცისა,
 მშობლიურ ლაჯვარდს რომ ერთყმის,
 აგებებს უნისლო სისხამს...

ო, წინათ, მცირე ხნის წინათ,
 წინაპრებს არც ახსოვთ იგი;
 ის მხოლოდ ჩვენთვისა ბრწყინავს, —
 და აკი სიციცხლედ გვიღირს...

ის მხოლოდ მას მერე გაჩნდა,
 რაც ქვეყნად ფოლაღის არწივს
 ეღირსა ფრთის ლაღად გაშლა
 ცოცხალი არწივის თვალწინ...

და როგორც საზღვარი მიწის,
 და როგორც საზღვარი ზღვისა,
 არ უნდა დასტურად ფიცი,
 მტკიცეა საზღვარი ცისაც!..

6

არც ისე ვიწროა
 ეს ჩვენი პლანეტა,
 რომ კაცობრიობა
 ბოლმანი ჩავარდეს;
 ხანატრი მომავლის
 კომპასი
 დაგვემტვრას,
 ჩაგბარდეთ წარსულის
 უმწეო ჩალვადრებს.

დიდება სიციცხლეს!
 მზიური სამყარო
 გვეოფნიდა,
 გვეოფნის და
 გვეყოფა კიდევაც...
 ეინც კაცობრიობის
 სიციცხლით არ ხარობს,
 თვით ჩაკვდეს,
 სიკვდილში
 თუ ეძებს დიდებას!..
 დიადი ცხოვრების
 დიადი სიმართლე
 მძლავრია
 წყველთა

დაწყველილ ატომზე;
 მსოფლიო მშვიდობის
 შუქურა სინათლეს
 დელგმაში ნამყოფი
 დედები ნატრობენ...

დღე,
 ბოლმით დამუნჯდნენ
 ზარბაზნის ლულები,
 არ იფოფრებოდნენ
 ხანძრები ღამეში...
 მიწასაც მოსწყინდა
 ამდენი წყლულები,
 ამდენი ძრწოლა და
 სიკვდილის თარეში...

დიდება სიციცხლეს!
 მზიური სამყარო
 გვეოფნიდა,
 გვეოფნის და
 გვეყოფა კიდევაც...
 ეინც კაცობრიობის
 სიციცხლით არ ხარობს,
 თვით ჩაკვდეს,
 სიკვდილში
 თუ ეძებს დიდებას!..





ნაწილი კარგად

ს ა გ შ ო ბ ლ ო

ის არის ჩემში
მომზიბლავი,
თაებრუდამსჯევი
და ხმაძლიერი.
ის არის ჩემში,
და იესება

სიცარიელე,
ის არის ჩემში,
ჩემი დიდი,
ჩემი ერცაბე,
ის არის ყველგან
და მე შეძახის.

მოსუმი გღახი

იგი მარტოა
ამ წერგებთან.
თავის ვაზებთან
და ნაოფლართან.
იგი მარტოა
და საეალიც

თათქოს მოთავდა,
წვიად სახეწე
ისეე გაპკრავს
შრომის ხალისი.
და იგი სასხლავს
ლესავს ხვალისთვის.

ბერა იოანე მოძმე ბასკეზის სანახავად ეს-
პანეთის იბერიისში წასტლა.

ქმულეზიდან

სდუმს პირინეი
შორეული,
ჩამავალ შუით და
ღრუბლით მორთული,
სადღაც გალობენ
ლამაზად და
თითქმის ქართულად,
ყვაჯილთა ხსოვნა
მივიწყებულ
ათინათს ეტებს,
და ქარი არბევს
ცთუნებულ ლერწმებს

ნათელს შორეულს
მისდევს ლანდი
და კანტაბრები
ნისლში კრთებიან.
უკან მაღალი,
გულწვიადი
თეთრი შთები
ქმათა სიწუმე
ლამის გზებზე
ეძახის ასკეტს
— ეს იოანე
დაეძებს ბასკებს.



ომი უკვე აღარ იყო

მ ო თ ხ რ ო ბ ა

პ რ ო ლ ო ბ ი

ძალ-ღონე გამოგველია, მეტი სიარული უკვე აღარ შეგვეძლო, წინ კი ისევ აგვეყუდა მთა, უფრო მაღალი და უფრო ციცაბო ბილიკებით დასერილი. ტვირთი, თითქოს სინესტივით გაუღუნთილავ, თანდათან დამძიმდა. აღარც მზემ მოგვცა საშველი. უღვთოდ გვაცხუნებდა. ვიღრე ქვიან ბილიკზე ცხენებს სიარული შეეძლოთ, ბარგის თრევით თავი არ შეგვიწუხებია, ახლა კი მთები თითქოს სამაგიეროს გვიხიდიდნენ ერთგული პირუტყვის გაწვალების გამო: ზემოთ და ზემოთ მხოლოდ ადამიანი თუ შესძლებდა გავლას. ბარგი მსხვილი თოკით გამოვებით წაბლის გრძელ კეტზე. სიმძიმე ოსხივე თანამგზავრის მხრებზე განაწილდა.

— აქ ქვეები ცოტაა, ქვემოდან რომ არ ამოგვეტანა? — ხმა მოგვაწვდინა სულ უკან მომავალმა ამხანაგმა და ღრმად ამოიხვნეშა. ისიც, ისევე როგორც დანარჩენი სამი, სტუდენტი იყო.

— ქვეა კი არა, მარმარილოა! როგორ გვეგონა, სასეირნოდ მოვდიოდით? — მიფრთხილდი, უთხრა ყაზბეგმა თმაჭალა-რა შატს, — მიუგო მას შუაში მომავალმა დაბალ-დაბალმა ჯმუხმა ბიჭმა. მას, ეტყობოდა, სხვებზე ნაკლებ აწვებოდა მხარზე ტვირთი და ხუმრობის გუნებაზეც ამიტომ იყო.

— პაპირისი მოვწიოთ, შეიძლება? — ძლივს გავხსენი კრიჭა მე.

მხოლოდ პანჩა სდუმდა. ის უხმოდ მიგვიძლოდა წინ და რაღაც თავის საფიქრალს ფიქრობდა. ახლა უკვე ყველა ვამჩნევდით: რაც უფრო ვუახლოვდებოდით მიზანს, პანჩას მით უფრო ვრეოდა ნაღველი.

— თავად წამოიწყო, ხარბივით შეგვაბა უღელში და გვათრევიანებს ამ ქვას. თითქოს ოქროს ზოდი იყოს, თვითონ კი... — საყვედურის თქმა სცადა შუათანამ, ბალახზე დაჯდა და ოფლი მოიწმინდა, თან პანჩას უყურებდა, — სიტყვას გაზით ვერ ამოგლეჯს კაცი პირიდან. სასაფლაოზე ხომ არა ხარ, ან ეს მთენი საფლავის ქვეები ხომ არ გგონია!

— ჩემთვის მიგაქვთ? — მოუჭრა პანჩამ და შავ ობელისკს შეხედა. ობელისკი ბრეზენტში იყო შეფუთული. ერთგან, ქსოვილის ნახევში, მოჩანდა ორად-ორი სიტყვა: „...დაცემულთა სახსოვრად...“

— არა მგონია. ცოცხლებს ძეგლებს არ ეუღდგამთ. ის მაინც გვითხარია, ადგილი კარგად ვახსოვს? ვაითუ უკვე გავცდივით? მთა მთას მიავაგვს. თუ მარჯვედ არ იქნები, აქ კაცი საკუთარ სახლსაც ვერ იპოვნი.

— კარგად ვახსოვს, — ისევ მოსჭრა პანჩამ.

— შენ თვითონ დამარხე?

— ტყუილა რისთვის მალაპარაკებ?!

— როდისღა მოასწარი აქ ყოფნა! სკოლა, ჯარი. ინსტიტუტი... შენი ღღე

და მოსწრება ქალაქში ხარ. ასი წელიწადია გიციან და ერთხელაც არ მახსოვს, ოდესმე მთების დალაშქვრა მოგედრომებიანოს.

— ამ მთასაც გადავივლით და ორი მომდევნო მთის შუა დაგვანახებთ.

— სულ უკანასკნელად როდის იყავი აქ?

— ნუ გამახსენებ, თუ ძმა ხარ, იმ ზაფხულს.

— გესმით, ბიჭებო? რამდენ რომანს აგონებებს, ვინ იცის, ეს ადგილები!

— ისევე სისულელეს ამბობ. გეტყობა, ენა გექაეება. კარგი ამბების მოყოლა, ვიცი, არ შემარჯვება, მაგრამ, რაკი აგრეთა, მაინც მოყვები. მაშინ ყველა მიხვდებით, რომ ეს ამბავი არც თქვენ დაგავიწყდებოდათ. — პანჩამ პაპიროსს მოუყიდა და გაჩუმდა. ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, ხმას აღარ იღებდა.

ახლა, ვინ იფიქრებდა, თუ ამგვარ რასმე მოგვიყვებოდა. მისი მღელვარება, რომელიც თბრობის დროს დაეფუფლა, თანდათან ჩვენიც ვადმოგვედო.

1

პირველი ომის შემდგომი ზაფხული იდგა ჩვენ ჯერ კიდევ აულ აფსარაში ეცხოვრობდით. სახლ-კარისა და კარმიდამოს ბატონ-პატრონები მე, ათი წლის ბიჭი, და დედაჩემი ვიყავით, მამას ველოდით. ნახევრადჩამქრალი იმედი რომ ის დაბრუნდებოდა, ომის დამთავრებამ ხელახლა აგვინთო.

აფსარა ზღვისთან უფრო ახლოა, ვიდრე მთებთან. ამ ძველი აფხაზური აულის სახლები კედლებიან-სახურავიანა ხის მასალით არის აშენებული. ვერა და ვერ იგუა აფსარამ უხეში და ცივი ცემენტით.

ძნელად თუ მოიპოვება სადმე სხვა აული და სოფელი, სადაც ასე უყვარდეთ პირუტყვი, როგორც აფსარაში. თუ ყონაღის გულის გასახარად აქაური ქალიშვილის დანიშვნა გადაგიწყვეტით, არაა საჭირო თავიდან ბოლომდე ჩა-

მოთვალთ სასიძოს ღირსებანი, რომ ის მაგალითად, გაქვნიებული ცხენიდან იღებს მიწაზე დაგდებულ შაურინს, რომ ის ასეთი და ასეთი შონადირეა და ტყვიას თუნდ თვალში გაართყამს გაფრენილ არწივს, რომ უსიერ მთებში ყოველგვარი შიშის გარეშე შეუძლია იაროს დღისით თუ ღამით, თითქოსდა ზღვის სანაპიროზე მიიბიჯებდეს... არა, არ არის საჭირო ყოველივე ამის ჩამოთვლა, რითაც მთელის სიმამაცესა და ვაჟკაცობას დაემტკიცებდით. საბატარძლოს მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა გააგონოთ, მხოლოდ ერთი სიტყვა: რომ ის, სასიძო, იმ გვარის კაცია, რომელსაც საძოვარზე ათასობით სული თხა დაუღის, ასი სული ღარიბ-ღატაკის გამოსაკვებად ტყეში გაუშვია და თვით ვაჟი, თავისი პირადი თვისებებით, ღირსია მამა-პაპათა გვარისა.

იმ დღეებშიც კი, როდესაც აულს ცოტაზე ცოტა მამაკაცები ჰყავდა, ომის დროს, აფსარელებს ადრინდებულად დაჰყავდათ თავიანთი ჯოგები მალაშთიან-ალბურ საძოვრებზე. ვარდა იმისა, რომ ალბურ საძოვრებზე თხის წველადობა მატულობდა, იყო კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც მათ არ შეეძლოთ თხა მთელ ზაფხულს დაბლობში დაეტოვებინათ. ეს ვახლდათ ზღვის სიახლოვე. რაც უფრო მწვავედ აცხუნებდა მზე დედამიწას, თხაც მით უფრო ეტანებოდა და სვამდა ზღვის მარილიან წყალს. ზღვის პირას ჯოგის უყურადღებოდ დატოვება მის სრულ დაღუპვას უდრიდა.

იმ ზაფხულს, როცა ეს ამბავი მოხდა, ომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ აფსარას მამაკაცები მაინც აკლდა. თუ ყურს კარგად მიუვდებდით, ტყიდანაც და მინდვრიდანაც მხოლოდ ერთადერთი მამაკაცის — მწყემს ნესტორის ხმას გაიგონებდით. ნესტორი ყველასგან პატივცემული მენახირე ვახლდათ. იყო დრო, როდესაც მთასა და ბარში სიარული მის ერთნაირად ეადვილებოდა, მაგრამ ჩემს ბატარა ბიჭობაში, ნესტორი ისე დაბერებული იყო, არამცთუ მთაში,

ვაკეხედაც კი უჭირდა სიარული, ძლიერსლა დათრევდა სხეულს.

ენისის სიცხეს მიწა საშინლად გაეხურებინა. მინდორი ერთიანად მოეფშენა ხვატს. ახლოვდებოდა მთის საძოვრებზე თხის გარეკვის დრო.

ერთხელ, ის იყო, მე და დედაჩემი სადილად ვაბირებდით დაჯდომას, ეზოში ბაბუა ნესტორი შემოხანხალდა. მაშინ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ნესტორი მთელი აულის ბავშვებს ბაბუად გვერგებოდა და ჩვენც მას შვილიშვილებად და შვილთა შვილიშვილებად ვერგებოდით. ამიტომაც ყველა ოჯახს ბედნიერებად მიჩნდა ბერიკაცის სტუმრობა. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ნესტორი უცოლშვილო დაბერებული კაცი იყო, საკუთარი თავშესაფარიც არ გააჩნდა და ზამთარ-ზაფხულ მწყემსის კარავში ცხოვრობდა.

— დედა, ნესტორ ბაბუა მოდის! — დავიყვირე მე და სასურველი სტუმრის შესახვედრად გავიქეცი.

— რამოდენა გაზრდილხარ, ბიჭო! — მომესიყვარულა მოხუცი, — ცხენზე შეჯდომისას კაცს უზანგს დაუკავებ. ეპეე, მთლად არ დავაკაცებულა? — ერთხელ კიდევ ამხედ-დამხედა, თითქოს ჩემს სიმაღლეს ამოწმებდო, და მხარზე ხელი დამაყრდნო. ამნაირად, კარგად მახსოვდა, სხვა დროს არ დამლაპარაკებია, არც ასე თანატოლსავეთ მომქეცვია. და მეც, დარწმუნებული, რომ უკვე ვაკაცი ვიყავი, მის წინ თავაწეული ვიდექი და აფართოლებული გულის ფეთქვას ყურს ვუგდებდი.

— ტატა, იქნებ წყალი დამალევიწონო, — მისალმების მაგიერ მიმართა მოხუცმა დედას, როცა ისიც ეზოში გამოვიდა და სტუმარს მიეგება. დედაჩემის ნამდვილი სახელი იყო ტატეი და არა ტატა, მაგრამ ნესტორ ბაბუა, ჩვეულებისამებრ, დიდსა და ბატარას ახალი, თავისებური სახელებით ნათლავდა. მას თითქოს თავისი განსაკუთრებული ენა ჰქონდა და ეს ენა ყველამ ვიცოდით. წყალი დამალევიწონო, თუ გეტყვოდა, უნდა მიმხედარიყავი, რომ მწყურვალად

იყო და შშიერიც. ამიტომ სასმელთან ერთად ლუკმაც უნდა მიგეწოდებინა.

ორლულიანი სანადირო თოფი მხრიდან ჩამოიღო, ფეხებშუა ჩაიდგა და შუა ეზოში თუთის ძირას მოიკალათა. მე თვალმოუშორებლივ მიეჩერებოდი თოფს. „თავს ძლიერს ერევა და თოფი კი დღემუდამ თან დააქვს, — ვფიქრობდი გულში, — რისამე მოკვლა მაინც შეეძლოს. ეჰ, ნეტავი ჩემთვის მოეცა!“

— რა იყო, ბიჭო, მოგწონს? — მან ხელი გადაუსვა თოფის ლულას და ეშმაკურად მკითხა.

პასუხი ვერ მოვისაზრე და ესა ვკითხე:

— ისერის?

— შენ კი ვისერია თოფი ოდესმე?

— როდის ვისროდი! — მიუღვე მე, თოფს ვინ მომაშავებდა-მეთქი, მინდოდა კი მეთქვა.

— როგორა გგონია, ვითომ კარგი არ იქნებოდა მხარზე თოფის ვადება და აიმ გორებზე ხეტიალი? იქ ნადირიც ბევრია და ფრინველიც. ინადირებდა კაცი.

ვერ მივხვდი, ეს რისთვის მითხრა, რისთვის მაღიზიანებდა და დიდი ხნის წინათ გულში ამოჭრილ სურვილს თუ ოცნებას რა მიზნით მიღვივებდა.

— ესე იგი, არასოდეს არ ვისერია თოფი, არა? — გამიმეორა კითხვა, — მოხვალ ხვალ ჩემთან, კარავში?

— მასროლინებთ?

— ჯერ მოდი. მთაში წასვლა გინდა?

— დედა არ მიშვებს, პატარა ხარო.

ამ ლაპარაკის დროს დედაჩემმა სუფერა გამოიტანა და მოხუცს წინ დაუდგა. ნესტორ ბაბუას არ უყვარდა ღომის თეფშზე გადმოღება. უთუოდ ტაბაჯზე უნდა გადმოგელო.

— ბიჭი უნდა წაგართვა, ტატა, — თქვა მან ისე, რომ არც ჩემთვის და არც დედაჩემისთვის არ შემოუხედია. სამაგიეროდ, მე და დედაჩემმა შეეხედეთ ერთმანეთს.

— ასეა, სხვა გამოსავალი არ არის, — განაგრძო სტუმარმა, — მე აღარ შემიძლია, მუხლი აღარ მომდევს. უფრო-

სებმაც იციან. ბიჭს ჰაერიც მოუხდება. სულ ერთია, რა უნდა გააკეთოს აქ ამ სიტუცხში პანჩა, მართალს არ ვამბობ? — და მე შემომხედა.

— ვაიმე, რას ვაგვიკეთებთ მერე მთაში ბავშვი — შეიოცა დედამ.

აფსარულებს, ისევე როგორც მეზღვაურებს, ქალების წაყვანა არა სჩვევიათ თავიანთ შორეულ მგზავრობაში. ქალი თარსი ფეხის პატრონიაო, ამბობდნენ. არც დედაჩემი იყო, რასაკვირველია, ნამყოფი მადალმთიან საძოვრებზე, მაგრამ სხვათა მონაყოლით იცოდა, რა დიდი ჯათა ადგათ იქ შწყეშეებს.

— სხვა გზა არა მაქვს, — ერთხელ კიდევ გაიმეორა ნესტორმა, — რომელიმე გამოცდილ შწყეშეს მივამაგრებთ.

— წამიყვანეთ, წამოვალ! — წამოვიძახე მე და ცოტადა აკლდა კისერზე არ დავეკიდე ნესტორ ბაბუას, მაგრამ დედაჩემის გამომეტყველებამ შემაჩერა. დედას აშკარად არ მოსწონდა ჩემი სულსწრაფობა. აფსარულ ბიჭისათვის თხის ჯოგის ნდობა იმის მომასწავებელი იყო, რომ მას იარაღის ტარებას ნება ეძლეოდა, შეეძლო ცხენიც შეეკაზმა და ეჭენებინა, ერთი სიტყვით, ყველგან და ყველაფერში ეგრძნო თავი მამაკაცთა თანაბრად.

— ვის გამოვატანო? — მორჩილად იკითხა დედაჩემმა. მან იცოდა, რომ თუ ბაბუა ნესტორი რასმე იტყოდა, მისი სიტყვა უთუოდ უნდა შესრულებულიყო.

— მახმულს.

— ხიფაფის ქმარს?

— ჰო, მახმულ აფსარბას.

2

მესამე დღეს გზას გავუდევით. დედა პირველად მისტუმრებდა ასე შორ გზაზე. ყველაფერი მოეშუადებინა და ჩაექუჭა, რაც კი, მისი აზრით, მგზავრობაში დამჭირდებოდა. გულაში თავლის კვერიც მედო, ლავამიც, სხვა რამეებიც. ნესტორ ბაბუამ ბანდულები და რბილი ტყავის წულები შემეიკრა.

— აბა, შენ იცი, არსად დაგვეკარგოს, მამაჩემის ნაქონია. მეც სამოც წელიწადს მეკიდა ქამარზე. დღეიდან უნდა ატარო მთაში. მე ჩემი წილი უკვე დავლიე, — მითხრა ნესტორმა და ახმაჩირი — ხის ქერქისაგან ვაკეთებული ტოლჩა მომაწოდა. დედამ მამისეული კომბალი მომიტანა, მაგრამ, ვინაიდან კომბალი ჩემზე მალაოდ აღმოჩნდა, მე იძულებული ვავხდი ის შინ დამეტოვებინა. მივიღე, რის მიღებაზეც დღედაღამ ვოცნებობდი — თოფი. ნესტორმა იქამდე გამოგვაცილა, სადამდეც შეიძლო. უკან დაბრუნების წინ კი თოფი გადმომიცა და თან მითხრა: „სახელოვნად გეტარებინოს, შვილო!“ თავისი ხელით შემომარტყა და შემისკვნა სავაზნეც. სავაზნე სავსე იყო გატენილი და სანთლით თავგადავობილი ვაზნებით. მოხუცმა სათითაოდ ამიხსნა, რომელი ვაზნა იყო მაგრად გატენილი და რომელი კიდევ ფლავყვედ.

თოფი კარგა ხანს არავის ეხმარა. ამას კაცი პირველ დანახვისთანავე მიხედვობოდი. ტუჩიდან, რაც მთავარია, დენტის სუნი არ ამოსდიოდა.

მე უკვე აღჭურვილი ვიყავი საქმისათვის საჭირო ყველა საქურვლით. ერთი შიშილა მქონდა: მახმულს არ დავებრუნებინე და შუაგზიდან უკან არ დავებრუნებინე. დაბრუნების შიში ძალიან მაფიქრებდა, დედაჩემს კი, პირიქით — სწორედ ეს შესაძლებლობა ასულდგმულებდა, იქნებ ღმერთი შემეწიოს, მახმულმა ბიჭი დაიწუნოს და უკან გამომიგზავნოსო.

მახმული და ჩვენ ახლო-ახლო ვცხოვრობდით. ჩვენს ეზოში რომ მამალი დიოცილებდა, პირველი მისი მამალი მისცემდა ხოლმე ხმას. სამი თვე არც კი იქნებოდა გასული, რაც მახმული ომიდან დაბრუნდა. ცნობით ომამდეც ვიცნობდი — ჩვენსა დაიარებოდა, მაგრამ მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და არამეტუ მისი ხასიათი, სახეც კი ძლიერსლივობით მახსოვდა. უფრო მეტი რამ ჩამჩენოდა მეხსიერებაში იმ წერილებიდან, რომლებსაც ის აულში გზავნიდა.

და ამბებიდან მის შესახებ აულში რომ ჰყვებოდნენ.

მახმუდის დედა, დიდედა, როგორც დედაჩემი ეძახდა, ისე ღრმად მოხუცებული იყო, რომ თვით ნესტორ ბაბუაც კი შვილად შეეფერებოდა. ხიფათი, მახმუდის ცოლი, ჭერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, დედაჩემის ხნისა, ვერც წერდა და ვერც კითხულობდა. როცა მახმუდის წერილი მოუვიდოდათ, ყოველთვის მე ვუკითხავდი. აულში ყველაზე უფრო ნასწავლი ეგ არისო, ამბობდა ჩემზე დიდედა. ერთხელ, ცოლისათვის გამოგზავნილ წერილში მახმუდს ვახუთის ამოხაჭერი ჩაედო. ვახუთში მახმუდის ფოტო ყოფილიყო დაბეჭდილი. იქვე მის შესახებ პაწია კორესპონდენციაც მოეთავსებინათ. იმაზე, რაც ვახუთში იყო მოთხრობილი, მახმუდი წერილში აღარას ამბობდა. აულში ერთი ადამიანიც აღარ დამიტოვებია, ვის წინაშეც თავიდან ბოლომდე არ ჩამებულბულუბინოს ვახუთის ამონაჭერი. დიდედა შემდეგ უბით ატარებდა ამ ვახუთს. რაკი ოჯახში სიხარული მიეუტანე, ჩურჩხელებითაც კი დამასახუქრა. ეს ამბავი საჭულდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში. შევიტყე თუ არა, სამწყესურში მახმუდთან ერთად უნდა წავიდე-მეთქი, გული სიამაყით ამევსო. მაშინვე მთელ სოფელს მოვდე ახალი ამბავი. თანატოლები შურით სკდებოდნენ.

— ეგ იმათი ჯილაგის არის, ვის მეგობრობასაც ძველ დროში თვით თავადებიც კი ესწრაფვოდნენ. მამამაგისი, გუაჩალა — ღმერთო, სასუფეველი და უშეკიდრე მის სულს! — ჩემი მარჯვენა ხელი იყო. მწყემსობაც მახმუდთან მომიწია. კაცისათვის სულსაც არ დაიშურებს, სიცოცხლეს განაცვალეშს. აფსარბას გვარს ათასობით სული თხა დაუდიოდა და ასი სული კიდევ გზაჯვარედინზე ჰყავდა გაშვებული. — ნესტორმა ასე დაუხასიათა დედაჩემს მახმუდი.

ახლა მე მიმხვდარი ვარ, რატომ არ დამაბრუნა უკან მახმუდმა, მაგრამ მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც სურდა ჩემთან მეგობრობა.

ამბობენ, მაღალ მთებში, ალაშურ საძოვრებზე ასევე საძნელო საქმეა, მაგრამ თუკი ააღწევ, იქ ყოფნას არაფერი სჯობიაო. მე ყველაზე უფრო ვრძელი გზაც კი სიხარულს მგვრიდა. ზემოთ კარავში უნდა ათხო დამე, მთებს უნდა მიეჩვიო. ყოველი ცისმარე დღე თვალი ერთსა და იმავე მთებს უყურებს. კარავშიც ერთი და იგივე ადამიანებია. ერთფეროვნებისაგან მოგვრილი მოწყენილობა მაგლაცუნსავით გაწვება გულზე. გზა სულ სხვა ხილია. დაანთებ ცეცხლს. ირგვლივ ბნელა, სიწყნარეა, მხოლოდ შენი კოცონი კიაფობს. თუ ძილი მოგერევა, დაიდებ ქვეშ თხის ტყავს, გაეხვევი ბანჯგვლიან ნაბადში და მიაშტრდები აციმციმებული ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. ამოირჩევ ერთ-ერთ ვარსკვლავს, იმას, რომელიც სხვებზე დიდია და სხვებზე უფრო კაშკაშებს, უყურებ და ფიქრობ ზვალინდელ გზაზე. შენი ვარსკვლავი თანდათან დაპატარავებას იწყებს, იკარგება სხვა ვარსკვლავებს შორის, ტბილი ძილის მოძალეებას თავისი გააქვს. დილით, ნუ გეშინია, გვიან არ გამოგვცილებია. ზედ ყურისძირში კოდო დაიწყებს ბზუილს. მაშინვე ზეზე წამოხტები. მერე ცხენებს შეკახმაგთ, საპალნეს აჰკიდებთ და ხელახლა გაუდგებით გზას. ახალი მთები, ახალი წყაროები... ხოლო როცა დადლილობა მოგეთნავს, წინამძღოლ ვერძზე მოგივა გული. მთელი გზის მანძილზე ჯოგს ის მიუძღვის, შეუძახებ, ნაბიჯს აჩქარებინებ, თორემ ეს რაა, თვითონაც ნელა მიდის და არც სხვებს უშვებს წინ! ცოტა ჩქარა რომ ევლო, ამ დროს უკვე მისული იქნებოდით დანიშნულ ადგილზე.

სამჭერ ჩუქსავე აჩინი! მიწაში და თავი მთებისაკენ ვუყავი. ძალიან მომწონდა აჩხინის იმ მხარეს მიტრიალება, საითაც გზა გვედო. უკან მომავალი მგზავრი აჩხინის მდგომარეობით გამოიცნობდა, თუ რა მიმართულებით გავი-

1 თავმოკაუჭებული ჯობი, რომელზედაც კარდალს ჰკიდებენ.

არეთ. მწყემსისათვის აჩხინი კომპასიო, თქვა სარქალმა ბაჯგამ, რომელიც იალალებზე ჩვენთან ერთად მოდიოდა. როგორც კი დაგვაბინავებდა, ის მაშინვე შინ უნდა დაბრუნებულიყო. ბაჯგა სარქალიც ვახლდათ და ამ თანამდებობას სხვა საქმესაც უთავსებდა — აულში ბრიგადირის მოვალეობას ასრულებდა.

მთელი გზა ისე გავლიეთ, ერთხელაც ვერ მოვიჭერე გული ჩემს მეგობარ მახმუდთან მასლაათით. ის წინ მიუძლოდა ჯოგს, ბაჯგა და მე უკან მივეყვებოდით და გზადაგზა თოთო თიკნებს ვსვამდით ზოლმე კალათაში. თიკნებს ნორჩი ფეხები ტკიოდათ წვეტიან ქვებზე ხტომის გამო და სიარული უჭირდათ. თიკნებიან კალათას ცხენებს ვკიდებდით და ვცდილობდით ძალიან არ ჩამორჩენოდით აღმართ-აღმართ მიმავალ ჯოგს.

რამდენჯერ მითხრა ბაჯგამ, თოფი მოიხსენი, რად გინდა, ბეჭით რომ მოათრევო, მაგრამ ერთხელაც არ დაეუჭერე. სადილობის დროს და შემდეგ საღამოს, როცა დასასვენებლად ვჩერდებოდით, თოფიდან ვაზნებს ვიღებდი და შიგ იმ ვაზნებს ვაწყობდი, რომლებიც, ჩემი აზრით, ნაოცნებარ ნადირთან შესაბამედ ვამოღებებოდა. აი, უცებ გადმოვვიხტება ბუჩქებიდან და იქვე ვავაცხებინებ სულს ერთადერთი ვასროლით. როგორ მწყურდა რაიმე გმირობის ჩადენა, რაიმე ისეთის მომოქმედება, რითაც მახმულს მოგვეწონებოდა. ის მხარზე ხელს დამარტყამდა და მეტყობდა: „ყოჩაღ, მიხარია, რომ არ მოვტყუებულვარ შენში, თავიდანვე ამ აზრისა ვიყავი“. ის ხომ ჭარბიკაცი იყო, მტერთან ნაომარი, მე კი აღარ მერგო ომში წასვლა და გერმანელების ელტა, ხელი პატარაობამ შემიშალა და ვიდრე წამოვიზრდებოდი, ომი კიდევაც დამთავრდა. მაგრამ ახლა არცთუ ისე პატარა ვარ. გმირობის ჩადენა მეც შემიძლია. ხომ შეიძლება, კუნაპეტ ლამეში, როცა მწყემსებს ძინავთ და თვით ყარაზისაც კი, ჩვენს ძალს, რული მორევი, ხეობიდან უზარმაზარი შავი დათვი

გამოვარდეს და ჯოგს ეძგუროს. ქოთბი ყარაზაში წვაფწავს ასტეხს, ბაჯგა და მახმული კომბლეს სტაცებენ ხელს, რადგან მათ თოფები არა აქვთ, და დათვს წინ გადაუღებებიან. გააფთრებული მხეცი ღმუილით შეუტყვს მათ და სწორედ იმ დროს, როდესაც ორივეს მოეჩვენება, ხსნა არსაით არის და დათვს ვერცერთი ვეღარ გადაუჩნებითო, გამაყრუებლად იჭექებს ჩემი თოფი და უზარმაზარი შავი დათვი იქვე გაიშხლართება. მახმული ხომ შეიტყობს და შეიტყობს, რა ვაქაცაც ვყოფილვარ, ეს ამბავი ჩვენი მეზობლის გოგოს შაშნას ყურამდეც მივა. შაშნამ, როცა შეიტყო, მე ჯოგის სამწყემსავად იალალებზე მივდიოდი, ცხვირი აიბზუა და მითხრა: „შენ რა მწყემსობა უნდა ვასწიო იქ, თვითონ ხარ მოსამწყემსავი!“ სროლის დროს ფრთხილად უნდა ვიყო, რათა ჩახმახები არ ამერიოს. აქეთ სადათვე კარტეჩია, იქით — საფანტი.

მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, დათვი არ გამოჩნდა. სამაგიეროდ, ციცაბო გზა რომ ავიარეთ, ცხენის კეხზე დაკიდებული აბკული — რძის მოსაკავებელი ხის ჭურჭელი უცებ მოწყდა და კისრისტეხით გადაეშვა ღრმა ხევში. შიშისაგან გული შემიქანდა. მახმული უთოფოდ ჩავიდა ხევში და ორ ადგილას გატეხილი აბკული ამოიტახა.

3

მეოთხე დღეს ქანცამოლენულებმა მივალწიეთ იმ მთას, სადაც უნდა მივსულიყავით. გზაში ჯოგი დაგვივარდა. როცა შევატყობდით, თხებს მეტი სიარული აღარ შეეძლოთ, საცოდავებს ვკლავდით, ვატყავებდით და ტყავს ცხენის ტახტაზე ვკიდებდით.

— ომამდე, როცა აქ სამწყემსურში დავიარებოდი, კარავი აიმ ადგილას გვედგა, — მახმულმა ხელით დაგვანახა კარგა მოზრდილი ბაქნისმაგვარი მწვანე ვაგე.

— შენზე უკეთ ვინ იცის, სად ჯობს შეჩერება. ტყუილად ხომ არ ჰქვია ამ მთას აფსარბების მთა, — მიუფო ბაჯვამ.

ცხენებს ტვირთი ჩამოეხსენით. მძიმე საბალნით გატანჯული, გაოფლილი ცხენები მაშინვე ხარბად ეცნენ მთის მსუყე ბალახს, ცხენებზე ნაკლებ არც ჩვენ მოგვწვივინოდა. ზურგზე წამოკიდებულ გულდებში ნაგულვები საგზალი უკვე შემოგვევლია, სადილ-ვახშმის ხარშის დრო კი არ იყო. მხოლოდ თხა არ შეუწუხებია შიშხილს. ჯოგი თან მიდიოდა და თან გზადგაზა ბალახს წიწკნიდა.

— ცოტაც უნდა მოვითმინოთ, — თქვა მახმუდმა, — ჯერ, სანამ იჯრას მოვაშხადებდეთ, კარავი უნდა დავდგათ, თორემ დაგვალამდება.

— თუთუნი მაინც მოვწიო, — ბაჯვა ფქვილით სავსე გულდაზე ჩამოჭდა, ქისა ამოიღო და ყალიონი გატენა.

მახმუდმა, თითქოს რაღაც დაუქარგავს და ეძებსო, თავისი სევანური ქელი მოიხალა და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო. თვალბეჭეში რაღაც დიდი სიხარულის ნაპერწკალი უციალებდა. პირზე ღიმილი ადგა. ალბათ, ყოველი ბორცვი, ყოველი ბილიკი რაღაცას აგონებდა. მე ვიცოდი, რომ ომამდე მთელი მისი ცხოვრება მთებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ იმის წარმოდგენა, თუ რას გრძნობს ხანგრძლივი განშორების შემდეგ მშობლიურ ადგილებში დაბრუნებული ადამიანი, ჯერ არ შემეძლო.

— ფრონტზე რომ იტყოდნენ, კავკასიის მთებში უკვე გერმანელები არიანო, მე რატომღაც აი, ეს ადგილები და აი, ეს წყარო მაგონდებოდა, თითქოს სხვა მთები და სხვა წყარო არც ყოფილიყოს, — თქვა მახმუდმა და ეს უფრო თავისთავს უთხრა, ვინემ ჩვენ.

— შენ, ალბათ, მხოლოდ ახლა რწმუნდები, რომ ნამდვილად დაბრუნდი და შინა ხარ, — შეეხმინა ბაჯვამ.

— დასწყევლოს ღმერთმა, ხანდახან მაინც როგორ მოგვეწყინება კაცს. ვახურებულ ომში, რასაკვირველია, მოგონებებისათვის არავის სცხელა, მაგრამ ლაზარეთში... ეს ადგილები ისე მენა-

ტრებოდა, თვალიდან ველარ ვიშორებდი. რა არის, იცი, უცნაური? როცა ტკივილებისაგან საშველი ვეძებო და სადაც არის სული გამჩენისათვის უნდა მიმებარებინა, მეჩვენებოდა, რომ თუ თვალს ერთი შევლებით აქაურობას დავინახავდი და ამ წყაროს წყალს დავლევდი, ყველა სატკივარი წამსვე მომეშვებოდა და საღსალამათი უმალ ფეხზე წამოვდებოდი.

— ლაზარეთში დიდხანს იწევი? — ჰკითხა ბაჯვამ.

— მაგის მოგონებაც არა ღირს. ვერაფერი სასიამოვნო სასტუმროა, — მიუფო მახმუდმა და ღიმილი მოერია, — ერთ ზაფხულს მე და მამაჩემი, როგორც ყოველთვის, ამოვედით ამ ჩვენს მთებში. ნესტორიც ჩვენთან იყო მაშინ. ეს მთა მემკვიდრეობით გვერგო ბაბუასაგან, ბაბუამ კი თავისი მამისაგან მიიღო. საგვარეულო მამულივით გვექონდა. ამოვედით, ესე იგი, აქ ერთხელ, ამოვრეკეთ თხები და რას ვხედავთ: ჩვენს კარავში ვიღაც ოყრაყს არ მოუკალათინა? დამეჯდრა ის მამაცხოვნიებული და ფეხი ფეხზე გადაუღვია. ზის და ქაჩაყს ყალიონს. „ვინა ხარ, კაცო?“ — ჰკითხა მამაჩემმა. „ვერა ხედავ?“ — უპასუხა იმან და ხელი მთებისაკენ გაიშვირა. საჭიროდ არც კი სცნო, უფრო გასაგებად აეხსნა რამე, მოვიხედეთ და სახტად დავრჩით: ჩვენს სამოვარზე მისი ჯოგი ძოვს. „ეს ჩვენი ადგილია, ძმობილო“, — უთხრა მამაჩემმა, დაუბატყებელ სტუმარს ეს სიტყვები ისე სასაცილოდ მოეჩვენა, თითქოს შიშის დაპატრონება მოგვედრომებინოს. „რა გაცილებს?“ — ვეკითხებით. „საიდან არის თქვენი, ამისხენით, თუ არ გეზარებათ!“ — გვეუბნება პასუხად. „ეს საძოვარი ბაბუაჩემისაგან მივიღეთ მემკვიდრეობით, — აუხსნა — მამაჩემმა, — ბაბუამ პეპერასაგან მიიღო, პეპერამ კილენა...“ მოძალადემ ერთი გადაიხარხარა და გვეუბნება:

„რეგოლუცია... გავიგონიით ასეთი სიტყვა? აი, ეს მოხდა და დღეის ამათი იქით შენ-ჩემობა აღარ იქნება, არის მხოლოდ „ჩვენი“. თქმა რაღად უნდა,

თავი გამოვიდეთ. საქმე კინაღამ ჩხუბზე მივიდა. მამაჩემი ცდილობდა აეხსნა, რომ ყოველ დროს, თვით მაშინაც კი, როცა თავადს ხარკს ვუხდიდით, საძოვარი ჩვენი იყო და ის ახლაც ჩვენია, მაგრამ მოძალადე კვლავ ფეხი-ფეხგადადებული იქდა და ყალიონს არხეინად ამოვლებდა, აქაოდა, ძალლი იყეფებს, იყეფებს და გაჩუმდებო. „მიწა, — გვიტხრა ერთხელ კიდევ, — სახელმწიფოსია და ეს ჯოჯიკ მე რომ ვაძოვებ, სახელმწიფოსია გახლავთ“.

— ასე წავართვათ?

— მოიცა, ყური მიგდე, რა მოხდა... ნესტორი მაშინაც მოხუცებული იყო, მაგრამ თუ რაიმე ისეთი მოხდებოდა, უმაწვილივით აენტებოდა ხოლმე. ეს რასა ჰგავს? — დაიღრიალა, — ვილაცა ოტროველამ საძოვარი უნდა წაგვართვას? და გაიძრო ხანჯალი. მამაჩემმა ხვეწნა დაუწყო, მამა ნუ წაგიწყდება, მოიცა, დაწყნარდით.

— მიატოვებ საძოვარი?

— რაღა გვექნა, სხვა ვხა თუ აღარ იყო. ვადავიარეთ აი, ის მთა და დღევანდით ახალი კარავი. სამმა დღემ განვლო. ნესტორი ვერა და ვერ შეურიგდა ამ ამბავს — როგორ თუ ერთმა კაცმა სამი კაცი გამოგვავდო, თავი საღლა გამოეყუთ შერცხვენილებმაო. მამაჩემი ისევ ამშვიდებდა. მესამე დღეს ის ვაჟბატონი თვალცრემლიანი მოდის ჩვენთან კარავში და გვეუბნება, მომეხმარეთ, ძმებო, ჯოჯი დამეკარგავო. მთაში კანონები ისეთივეა, როგორც ზღვაზე: ღმერთი დავსჯის, თუ ვასაჭირში ჩავარდნილს დამხმარე ხელი არ გაუწოდებ. თუნდაც მტერი იყოს შენი, თუ რამე გაუჭირდა, უსათუოდ უნდა დავხმარო. თუმცა შენ კაციშვილისა არაფერი ვაცხობა, მოგეხმარებით, მოგაძებნივითო, უთხრა ნესტორმა და წასასვლელადაც მოემზადა, მაგრამ მამაჩემი ფრთხილი კაცი იყო — არ გაუშვა ნესტორი. „თუ სადმე დავინახეთ, შეგატყობინებთ,“ — უთხრა მოსულს. კიდევ სამი დღე ეძება ვაჟბატონმა თავისი ჯოჯი, არც ამ ძებნიდან

გამოვიდა რამე. მოვიდა ისევ ჩვენთან და გვეუბნება: თუ ჩემი ჯოჯი ვიღვე ცოცხალია, ალბათ, ზღვისპირაზე იქნება ჩასულიო. აქედან ზღვამდე სამი დღის სავალია. მე ქვემოთ ჩავალ, იქნებ თხის კვალს სადმე წავაწყდე, თქვენ კი კარავს მიმიტყვიეთ ყურადღება, იქ ბევრი ბარგი და სანოვავე მაქვსო. მამაჩემმა შორს დაიჭირა — აბა, სადა გვეცალია შენი ბარგის მისახედავადო. მაშინო, გვეუბნება, ჩემს ბარგს აქ ვადმოვიტან, თქვენს კარავში და, სანამ ამოვბრუნდებოდე, შემიხახეთო. მამაჩემმა ამაზედაც უარი სტკიცა. თვითონაც ძლივს ვთავსდებით ამ ჰაწაწინა კარავში, ბარგი საღლა უნდა დავაწყუთო. გარეთ დავაწყობინებდით, მაგრამ ვაითუ ძალღებმა და ნახირმა გავოხხროსო. რაკი სხვა ველარაფერი მოიფიქრა, შეგვეხვეწა, თუ აგრეა, სამივე ჩემს კარავში ვადადითო. აბა, რა ძალა გვადგია, ჩვენი ბარგი წინ და უკან ვათრიოთო, მიუგო მამაჩემმა. მე თვითონ ვადაგიტანთო. რაღა გვეთქმოდა. ადგა და თავისი ზურვით ვადაზიდა ჩვენი ბარგი-ბარხანა, მამამ უთხრა: შემოგვეციე, თუ შენს ჯოჯს იპოვნი, ძველ ადგილს აღარ წაგვართმევ და ჩვენი ხელით აშენებული კარავიდან აღარ გამოგვეყრო. ღმერთმა ვისმინოსო, წამოიძახა ვაჟბატონმა ოლონდ ჯოჯი ვიპოვნო და მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს, თუ ერთი სიტყვა კიდევ შემოგებდითო. შუაღღემდე ზიდა ამ ყეყეჩმა ჩვენი ბარგი თავის კარავში და როდესაც მოათავა, მამაჩემმა დადებული აღთქმა ერთხელ კიდევ მოაგონა და უთხრა: „აი, ხომ ხედავ იმ მთას? იმ მთას მეორე მთა ემბის. იმასაც რომ ვადივლი, მოსახვევი შეგხედება. მოუხვევ და ბალახოვან ჭალაში ვახვალ. ჭალას გარეშემო სალო კლდეები ერტყმის. შენი ჯოჯი ამქადა იქ არის, იქ ბალახობს და ღამესაც იქ ათევს“.

— როგორ, მამაშენმა იცოდა, ჯოჯი სადაც იყო და აქამდე არ ეუბნებოდა?

— თვითონ ვადარეკა. ცხვირწინ აართვა ჯოჯი.

— ლამით?

— რას ამბობ, დღისით-შუისით! საქმე ის არის, რომ ჩვენც არაფერი ვიცოდით, არ გავგვიძლია. მერე ამბობდა, ბრძოლა და სულელს სწორედ ასე უნდა მოექცეო.

— ეჰ, ცოტა როდი დაუჭდა თქვენს გვარს ამ მიწის შენარჩუნება.

— ეს მთა და მშობლიური კერა ჩემთვის ერთია. ვიდრე ცოცხალია თუნდ ერთი აფსარბი, აქ მისი ცეცხლი უნდა ენთოს! — დაამთავრა თავისი მოთხრობა მახმულმა.

— შევედგეთ კარავის დადგმას, — ბაჭვა ზეზე წამოდგა.

— მოიცათ, თუ მეხსიერება არ მალატობს, ომამდე, როცა აქ უკანასკნელად მყავდა ჯოჯი, აიმ პატარა გამოქვაბულში რაღაცა დავმალე. წამო, პანჩა, ვნახოთ, თუ დარჩა რამე, — მითხრა მახმულმა და ნაჯახს დასწვდა. გავყვი.

გამოქვაბულის შესასვლელი დიდი ხნის წინათ დაეთარა შქერსა და სუროს. მახმულმა შესასვლელი ნაჯახით გაკაფა და გამოქვაბულში შეძრა. იქ კვარს მოუკიდა და რაღაცის ძებნას შეუდგა. შემდეგ მავთული მომაწოდა, რითაც ბრეზენტის კარავს კიმავენ ხოლმე, და ამ მავთულს ნაჯახი, ჩაქური და ხელით გამოჩორკინილი ვეება ხის ჩამჩა მოაყოლა. მავთული დაეანგული იყო. მე მისი გამლა ვცადე, გავშალე კიდევ, მაგრამ დაშალი ძაფივით შემომაწყდა ხელში.

უკვე ბნელოდა, როცა კარავის მოწყობა დაგამთავრეთ.

მთებმა მშვიდად მიგვიდეს. არც სეტყვა მოდიოდა, არც წვიმა, რასაკვირველია, აღარც ომი იყო...

4

დილას, როდესაც გამომეღვიძა, ბაჭვა უკვე აღარ დამხვედრია.

— შეხედე, მახმულ, ზღვა! — წამოვიძახე კარვიდან გამოსვლისას.

მახმულმა აღერსიანად გამიღიმა.

— აი, მზე ამოვიდეს და დაინახავ, რას უზამს მაგ შენს ზღვას!

მთელი უზარმაზარი ხეობა სქელი ქანლით იყო პირამდე ამოვსებული. მე არასოდეს დამენახა ღრუბლები ზემოდან და ამიტომაც მოგტყუედი, ღრუბელი ზღვად მივიჩნიე. თვით მოლოგივე ზვირთებსაც კი ვამჩნევდი.

პატარა ბიჭობაში წყაროსთან ბურქალი მიყვარდა. ჩვენი წყარო წერილი კედის სიმსხოდ გადმოწყანწყარებდა კლდიდან და უმალ შქერისა და ძახველის ბუჩქებში იმალებოდა. იმავე დღეს, როგორც კი მოვეწყეთ, მახმულმა წყაროს თვალი აუხილა, ბროლივით გამჭვირვალე კამარა მზეს აჩვენა, აქეთ-იქით შქერი და ძახველი შემოუკაფა და იქაურობა გაწმინდა. მე ღარი დავუგეწყალი საყვარლად წამოვიდა ღარზე.

როგორ არ ვეცადე, რა გვეგმები არ დავაწყე სახვალიოდ, მომდევნო დილას მახმულმა მაინც დამასწრო ვადვიძება და ადგომა. ვადვიძებ ნაბადი და ჩამოვბტი თაროდან. მახმული სწორედ ამ დროს შემოვიდა კარავში, თხები მოეწველა. რძით სავსე სათლი შემოიტანა.

— ხომ კარვად გეძინა, ბიჭი?

— რატომ არ გამაღვიძე, მოხმარება არ გინდოდა?

— იძინე, არა უშავს. წუხელ ერთი სანტიმეტრით მაინც ვერ გაიზარდე?

— და მახმულმა მხარზე ხელი დამარტყა.

ანშესას — ახალ რძეს, რომელსაც ხის კათხაში ასხამენ და შემდეგ შიგ ჩავდებული გახურებული კვით აცხელებენ, ისე სათუთად მიშზადებდა, თითქოს ავადმყოფი ვყოფილიყავი. არ ვიცო, რამდენად სასარგებლოა ამნაირი რძე, მაგრამ, მახსოვს, სკოლაში მასწავლებელი გვეუბნებოდა, რომ სწორედ ამ წესით აშზადებდნენ საქმელს, როცა აღამიანმა ჯერ კიდევ არ იტოდა რკინა, ხოლო ცეცხლი სულ ახალი გამოვონილი იყო.

მახმულის მზრუნველობა და ჩემდამი სიყვარულის გამომვლავნება, რაღა თქმა უნდა, ძალიან მსიამოვნებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, გულზედაც ვსკდებოდი,

რადგან ეს ზრუნვა დადასტურება იყო იმისა, რომ მე ჯერ ისევ პატარა ვიყავი და მახმულს თანატოლად და ამხანაგად ვერ გამოვადგებოდი.

კარავში მარტო ვრჩებოდი ხოლმე. ყველს ამოვიყვანდი, სადილისათვის ღომს მოვამზადებდი, შიგ ყველის ნაჭრებს ჩაუერთავდი, გარეშემო კი მოხარულ ხორცს შემოვულაგებდი, კალათაში ქილით მაწონს ჩავდამდი და შევეყვებოდი აღმართს. მახმული ზემოთ, სწორედ ჩვენი კარვის ასწვრივ, აძოვებდა ჯოგს. კარვიდან ერთხელაც არ გამოვსულვარ ისე, რომ ჩემი თოფი თან არ წამომეღოს. შემოვიერთყამდი სავაზნეს, გავტენიდი თოფს და გავიდებდი მხარზე. მივდივარ, მივამიჭებ და თოფის ლულა თავზე ირმის რქასავით მადგას. ერთი წუთითაც კი არ მტოვებდა ოცნება და სურვილი, სასიკვდილო განსაცდელიდან მეხსნა ჯოგი და აღამიანებო.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, მახმულს სადილი მოვუშაადე, ჩემი თავიც, რასაკვირველია, არ დამვიწყებია, რადგან ის უჩემოდ არაფერს ჰამდა, და შევეუდე აღმართს. წვიმის შემდეგ ჰაერში ღორთქო ბალახისა და აფუებული მიწის სუნი იდგა. პირდაბანილი კლდეები თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ. გვეგონებოდა, ზღვა აკაშკაშებულა მზის ჩასვლის წინო. მე უკვე მთავრების ზურგზე მივამიჭებდი და თან მწყევსურ სიმღერას ვდილინებდი. სუსტი ნიავი ჩემს თმას ეთამაშებოდა, მიჩეჩავდა და წამდაუწუმ თვალეში მაყრიდა.

— ეჭპეი! — შემომესმა მახმულის ხმა. ხმის სიძლიერის მიხედვით ვივარაუდე, რომ ის სულ ახლოს იყო. მთაში ასეა: შორი მანძილი ახლო გეჩვენება და შორეული ხმაც სულ ახლოს ისმის.

მახმული მარტო არ იყო. მის გვერდით ვილაც უცხო კაცი იქდა მწყვანზე. ეტყობოდა, საუბრით უკვე მოეჭვრებინათ გული. მაინც ისე იყვნენ გართული, ჩემი მიახლოება ვერც კი შენიშნეს. კაცების წინ ჩვენს ყარაბაშს მოეკალათნა და, თითქოს მოსაუბრეებს ყურს უგდებდნო, ხან აქეთ გადასწყვდა თავს და

გაირინდებოდა, ხან — იქით. დარწმუნებული იყო, რომ საჭმელს სწორედ მას ვუზიდავდი, რათა თავისი კერძი სუფთა ჰაერზე მიერთმია. ჩემს მიახლოებას სუნით გრძნობდა. ვერ კრუსუნს ასტეხდა, მერე თავისი გრძელი ფეხებით გულზე შემომებლატებოდა.

— შენია? — ჰკითხა უცნობმა მახმულს, როცა კალათა მათ წინ დავდგი.

— მეგობარი კაცია, ერთად ვუღბვართ ჯოგს. მე ჯერ არა მყავს შვილი. ვერ მოვასწარი. — მიუგო მახმულმა, გაულემა და თვალების ხამხამს მოუხშირა.

მე აღრე შენიშნული მქონდა: მახმული თვალეზს მაშინაც ჭუტავდა ხოლმე, როცა ეს სრულეზითაც არ იყო საჭირო, და საკმაოდ ხშირადაც. თავისთვის ზის თუ ვინმეს ელაბარაკება, უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდო, დაიწყებს თვალეზის ჭუტეას, მერე კი ხელისგულს მიიფარებს ზედ და ასეა ერთხანს. ბაჯვას ვკითხე, ამას ავრე რად შერება-მეთქი, ომამდე არ შერებოდაო, მიბასუხა. თუმცა ვიცოდი, ეს დიდი მანკი იყო, მე მაინც როგორღაც მომწონდა. მახმული თითქოს თვალეზუნობას მეთამაშებოდა.

ჩვენი კარვის სიახლოვეს, მთელი დღის სავალზეც კი, მწყემსების ერთი კარავიც არ იდგა. ამიტომ გადაწყვიტე: უცნობი მამაკაცი ან მონადირე იყო, ანდა რაიმე ამბის ამოსატანად გამოგზავნილი მაინც. მახმულს ჩურჩულით ვკითხე, ვინ არის-მეთქი.

— რაო, რას გეკითხება? — უცნობმაც მახმულს მიმართა. უთუოდ არ ეჭამნიკა, ჩემი შეკითხვა მხოლოდ მახმულს რომ შეეხებოდა და არა ორივეს.

— მამის ამბავი უნდა გაიგოს, ხომ არ ჩამოსულაო. არაფერი გაგიგონია?

— სად ყავს მამა?

— ომში...

— ომიდან რომ ყველა ბრუნდებოდეს...

— შენ, აღბათ, იმის თქმა გინდა, რომ ბერლინი შორს არის. იქიდან ჩამოსვ-

ლას დიდი დრო სჭირდება, — იქვე გააწყვეტინა უცნობს მახმულმა, მაგრამ უცნობის მიერ ნათქვამი სიტყვები ისე მტკივნეულად მომხვდა გულზე, ცრემლი მომერია.

— რომელ ადგილებში მოგიწია ბრძოლა? — უცნობმა ისევ მახმულს მიმართა.

— ძირითადად ქერჩში. ბოლო დროს პოლონეთში ვიყავი. ჩემი დივიზია ბერლინში შევიდა, მე კი ლაზარეთში მომიხდა შესვენება. ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა ლაზარეთიდან გამოვეწერე „ფიზიკურად ჯანმრთელი“, მაგრამ ფრონტზე წასვლის ნება უკვე აღარ მომცეს. ეს რა მოსაგონია. სხვა რამეზე გველაპარაკა... ნადირობაზე, მაგალითად. გახსოვს...

მახმულმა რაღაც ძველი ამბის მოყოლა დაიწყო. უცნობმა ისევ გააწყვეტინა და კვლავ ომზე განაგრძო გამოკითხვა. შე ვიცოდი, რომ მახმულს ომის ამბების გახსენება არ უყვარდა. როცა აქეთ, მთის საძოვრებისაკენ მოვდიოდით, გზის პირას, უზარმაზარი ცაცხვის ხეზე, ქერჩში ამოკვეთილი წარწერა წაეკითხე: „ამ ხის ქვეშ განისვენებს გმირის სიკვდილით დაცემული უმცროსი სერჟანტი მი...“ ქუდები მოვიხადეთ და რამდენიმე წუთს მდუმარედ ვიდევით უცნობი მეომრის საფლავთან.

— არ დააცალეს წარწერის ბოლომდე ამოჭრა, — თქვა მახმულმა და ამოიხარა.

როდესაც შესასვენებლად გავჩერდით, სადილზე, ბაჭამ დაიწყო მოყოლა, თუ რა შემთხვევა ომში. ბაჭა, ისევე როგორც მახმული, ომის მონაწილე იყო, მაგრამ ფრონტზე მხოლოდ ერთი წელიწადი გავტარებინა. თავისი ამბავი რომ დაამთავრა, ბაჭა მახმულს მიუბრუნდა და თხოვა, ახლა შენ მოყვიო, გვითხარი, რისთვის დავაჯილდოეს და გაზეთშიაც რა გმირობის გამო გაგწერესო. სხვა რამე მოვეყვით, შეეხებოდა მახმულს, ომი... გმირობა... აი, ხომ ნახეთ ხეზე ამოკვეთილი წარწერა, ეს არის ომის თავი და ბოლო.

ამ ცოტა ხნის წინათ, როცა ეს ლაპარაკი უკვე გადავიწყებულნი მქონდა, მე თვითონ მოვეუყევი მახმულს ერთი ამბავი. რომელიც საკუთარი თვალთ ვნახე. მოყოლის დროს ცოტათი კიდევაც ვყოყნობდი, აი, მე ომში არა ვყოფილვარ, მაგრამ ომის მსხვერპლი საკუთარი თვალთ მინახავს-მეთქი.

— ცხელი დღე იყო. ბალებში საბანაოდ ჩავედი კოდორზე. მოდიდების შემდეგ წყალი, ის იყო, უბრუნდებოდა თავის კალაპოტს. ბავშვები ნაპირ-ნაპირ ავეყვით მდინარეს, რათა საბანაოდ უკეთესი ადგილი მოგვეძებნა. ვხედავთ, ქვიშაზე რაღაც დევს, ზედ ნაპირთან. მივირბინეთ და... როგორ გგონია, რა იყო? ჯარისკაცი! სწორედ იმ წუთას გამოერიყა მდინარეს. მერე შევიტყუეთ, აღიდებულ წყალს უბედური სათავიდან წამოვლო.

— პირზე რძე არ შეგშრობია და უკვე მკვდრებზე ლაპარაკობ? — მახმულმა მკაცრად შემაწყვეტინა, მაგრამ მე მაინც არ შევეპუე და განვაგრძე:

— მკვდრებზე... რომ იცოდეთ, როგორ მეშინია მკვდრების და საფლავების... იმ ბეჭის ახლოს, სადაც აფსარელებმა ის ჯარისკაცი დამარხეს, მე არც კი ვამივლია. ერთი კვირა გავიდა, თვალზე რული არ მეკარებოდა.

— ამისთანა რამეს სხვა დროს ნუ მოყვები და ნურც მე შემეკითხები ომის ამბებს.

აქამდე მახსოვდა, რომ ჩემს მიერ მოთხრობილმა ამბავმა მახმულზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. მინდოდა უცნობსაც შეეწყვიტა ომზე ლაპარაკი, მაგრამ თითქოს მე მეჭიბრებაო, ის მაინც თავისას განაგრძობდა:

— მე კი კავკასიის მთებს იქით არსად მიბრძოლია. თოდისწამალოს სუნი მაინც საკმაოდ ვიყნოსე, მთებში...

— საით მიეჩქარები? — შეაწყვეტინა მახმულმა.

— ბევრი, ძალიან ბევრი დაიღუპა...

— ოჯახში ხომ მშვიდობა დავხვდა?

— ბევრი სიცივისაგან კვდებოდა, იყინებოდა. მტერს ეგონა, კავკასია თბი-

ლი მხარეაო და ესეც შენი თბილი მხარე!

— რამ ამოგიყვანა ამ სიშორეს?

— დავიჭერი და სოხუმის ჰოსპიტალში ვიწევი. ის ბრძოლა, მე რომ დამჭირეს...

და უცნობი შეუღდა თავისი გმირობების ჩამოთვლას, ყოველივე ამას კი ისე ჰყვებოდა, თითქოს ყველაზე უფრო კეთილშობილური საქციელი ჩაედინოს. დიდი სიამოვნებით მოჰყვა, თუ ერთხელ, გზის მოსახვევში, როგორ მოულოდნელად აღმოჩნდა გერმანელის პირისპირ, როგორ ვერ მოასწრო გერმანელმა პირის გაღებაც კი და როგორ გაუხეტიქა მას თავი დუგლუგის ერთი დარტყმით. ამას მერე ისიც მოაყოლა, როგორ დასჭირეს ბრძოლაში ერთი ჩვენი ჯარისკაცი და მან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან სახიფათო იყო, დაჭრილი საკუთარი ზურგით გამოიტანა ბრძოლის ველიდან. მაგრამ დაჭრილმა სული მიიწვ დალია და მან თავისი ხელით მიიბარა ის მიწას. მოგვიყვა, როგორ მოხვდა ხელჩართულ ბრძოლაში და რამდენ გერმანელ ჯარისკაცს გაუპო ხიშტით გული და მუცელი. ყოველივე ამას უცნობი იმნაირად ჰყვებოდა, თითქოს აყვედრიდა მახმულს — აი, შენ მეგრად დამშვენებული გაქვს ორდენებითა და მედლებით, ვაზეთშიაც იყავი გაწერილი, მაგრამ ჩემი ნახევარიც არ გავიყვებოდა, თუმცა ჩემი გმირობის ამბავი არც არსად თქმულა და არც არსად დაწერილაო. მისი აზრით, რაც უფრო მეტს ილაპარაკებდა ომის, სისხლისა და სიკვდილის შესახებ, მით უფრო ადვილად დაამტკიცებდა თანამოსაუბრის წინაშე თავის უპირატესობას, ბრძოლის ველზე გამოჩენილ გმირობას.

— რას ეძებ აქ? — მოულოდნელად შეაწყვეტინა მახმულმა.

უცნობმა, რომელსაც მტაცებლური გამოხედვა ჰქონდა და თავისი მონაყოლით, უფრო კი იმით, რაც მამაზე თქვა, ჩემი ზიზღი დაიმსახურა, პასუხად რაღაც უჩუჩრჩულა მახმულს.

მახმულდი, თითქოს სახეში სილა გაერთყას ვისმე, ერთბაშად შეიცვალა.

ტუჩები აუქანკალდა. რაღაც უნდოდა ეპასუხა, მაგრამ საჭირო სიტყვე ვერ იპოვნა, თუ ლაპარაკის უნარი წაერთმეოდა, მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „შენ... შენ...“ მერე უეცრად ზეზე წამოვარდა. არასოდეს მენახა ასე გაათრებულნი და გაბოროტებულნი. შემეშინდა, არ გაართყას-მეთქი.

— მახმულ... სადილი... სადილი მოგიტანე, — წავილულულულე მე და კალათიდან ჩის ჯამებისა და კოვზების ამოლაგება დავიწყე.

— როგორ გამიბედე ამის გამხელა! — თქვა მახმულმა და ფრანის დაბოლოება „შე უსინდისო“ ან „შე სინდისისაგან გარეცხილო“, თავისთვის შეინახა.

— სანადიროდ უკეთესს ვერ იშოვნე. ვერ გამივია, გული რაზე მოგდის? — თქვა უცნობმა და მახმულს კატისებური თვალებით აჰხედ-დაჰხედა.

— მიირთვით, ბატონო, — ისევე ამოვიღე ხმა მე.

— მოიტა აქ! — მახმულმა ხელი წაავლო თეფშებს, ღომს, ხორცის ნაჭრებს, უწესრიგოდ კალათაში ჩაყარა და მე მომიბრუნდა, — წამო!

ჩვენ წავედით და უცნობი იმავ ადგილზე დავტოვეთ.

სალამოს, როცა ჯოგი სადგომში შევრეკეთ და კარავში ვახშამსაც მოვუსხედით, მე გამბედაობა მოვიკრიბე და მახმულს ვკითხე:

— ვინ იყო ის კაცი?

— ძველი ნაცნობია. ოდესღაც ერთად ვნადირობდით.

— რასმე ეძებდა?

— იარაღს. ეგ რას დავიდევს, ვის დარჩა ოხრად! ზედ უნდა დააკლა. მაგისთვის ესეც ცოტაა. კაცის კი არა, მხეცის გული ჰქონია.

— იარაღს? სად არის მერე აქ იარაღი?

— ბრძოლების ადგილზე, ხეობებში. ამისთანები ფაშისტებზე უარესები არიან. არც კია ცოცხლად გაშვების ღირსი! მე ხეირიანად ვერ გავიგე, რაც მახმულმა მითხრა, ვერც მისი ასეთი აღმფოთება ამეხსნა, მაგრამ ჩაძიებაც მომე-

რიდა, მითუმეტეს, რომ ვგრძნობდი: უცნობის უბრალო გახსენებაც კი წონასწორობას უკარგავდა. ძილის წინ, ვითომდა იმისთვის, რომ რაიმე გამამხნევებელი მეთქვა, ესა ვკითხე:

— შენზე ამბობენ, დიდი მონადირე იყო და ტყიდან არასდროს ხელცარიელი არ დაბრუნებულაო. ახლა რატომ აღარ ნადირობ? გინდა, მოგცემ ჩემს თოფს და გაიარე, მე კარავში დავრჩები.

— აღარ ვნადირობ, — მომიგო მან და მცირე ფიქრის შემდეგ დაუმატა, — საკმარისია ისედაც ბევრი სისხლი ვნახე...

5

მთებში ვარსკვლავები სულ სხვანაირად ბრწყინავენ. აქ ისინი ისე ახლოა, გგონია, ხელით მისწვდები. ცას კილით კიდემდე ფარავენ და რაღაც იმედის მომცემად გიუფუფნებენ თვალებს. ამისთანა ღამეებში მე ცის ცქერით ვერ ვძლები ხოლმე.

— ხედავ ნათელ ზოლს, ცას რომ სეჩავს? ეს ირმის ნახტომია. როცა ირმის ნახტომი ზღვიდან მთებისაკენ წაიწვეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მთებში თოვლი გადნა და ჯოგებს და მწყემსებს გზა ხსნილი აქვთ, ხოლო როდესაც იგივე ირმის ნახტომი ცაზე ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენ გადაიხრება, ეს იმის მომასწავებელია, რომ დროა მწყემსებმა ჯოგი ბარისაკენ დასძრან, თორემ მალე თოვლი ჩაეკრავს გზებს, — მოიხრა მახმულმა, როდესაც დამინახა, რა გატაცებული და ხარბად ვაკვირდებოდი ცის მნათობებს. ვერ მივხვდი, თავადაც სჯეროდა, რაც მითხრა, თუ მხოლოდ გადმოცემას იმეორებდა.

— სანამ ირმის ნახტომი მდგომარეობას არ შეიცვლის, ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ?

— სახლი მოგნატარა?

— მინდა გავიგო, მამა ჩამოვიდა თუ არა.

— ამ ცოტა ხანში ბაჭა ამოგვაკითხავს. სწორედ ის მოიტანს სასიხარუ-

ლო ამბავს. უკან რომ გაბრუნდებ, თუ გინდა, შენც წაყვები და ათი თუ თორმეტი დღე დარჩი სახლში. ნუ მოიწყენ! — მანუგეშა მახმულმა და ხელი ვადამისვა თავზე.

სურვილი მწვავედა, მამა უფრო ხშირად მომეგონებინა. „მალე ჩამოვა, აწი მალე ჩამოვა. ბერლინი ყურისპირა ხომ არ არის. იქიდან აქამდე ჩამოსვლას დრო ხომ უნდა!“ მინდოდა ხშირ-ხშირად გაეხსენებინა თავისი ეს სიტყვები მახმულს, გაემეორებინა, რომ მამა უცნებელი და ჯანმრთელი დაბრუნდება, მაგრამ ასე მალიმალ მამაზე სიტყვის ჩამოგლებას ვერა ვბედავდი. მეშინოდა, ვაითუ მახმულმა იფიქროს, თითქოს მასთან ერთად თავს ცულად ვგრძნობდე და ეწყინოს-მეთქი.

ძალიან ბევრჯერ დამგვიანებია დილას აღგომა, ბევრჯერ არც სადილი ამიტანია თავის დროზე, მაგრამ ერთხელაც არ მახსოვს, მახმულს საყვედური ან სხვა რაიმე საწყენი სიტყვა ეთქვას ჩემთვის. „არა უშავს რა, უნდა ძძინო ახალგაზრდამ, მამ როგორ, ძილში უფრო გაიზრდები!“ — მეუბნებოდა ხოლმე ნახევრად ზეპრობით, ნახევრად სერიოზულად.

ასე გადიოდა დღეები.

ერთხელ მახმულმა ჯოგი კარვის ირგვლივ მინდორში გაშალა და ნასადილეც კარავში წამოწვა წასაძინებლად. ამ დღეს ძალიან მხიარულ გუნებაზე იყო. რამდენჯერმე გაიმეორა, რა კარგია აქ ყოფნაო. მე ცეცხლი გავაჩადე, კანჯოზე კარდალი ჩამოვკიდე და ვახშმისათვის ღომის ვაკეთების თადარიგს შეველექი. მახმული ხითხითებდა — პატარა დიასახლისი ხარო. ღომი მალე ვაკეთდა, მაგრამ ვიდრე ის იხარშებოდა, მახმულს ჩაეძინა და მეც აღარ ვამიღვიძებია. ვიჭექი და მიწინარეს ვუყურებდი. სახურავის ჭუჭრუტანაში ჩამოჭრილი სინათლის მკრთალი ზოლი მას სახეზე ეცემოდა და მთელ სახეს უნათებდა. ზემოთ ავძვევრი და სინათლეს ტყაპუჭი ჩამოვადარე. მახმულს ეძინა, მე კი მას დავტრიალებდი თავს ჩემი ფიქრებით. მარცხენა ხელი თავქ-

ვემ ამოდო, მარჯვენა კი გულზე დაესვენებინა. მე ჯერ კიდევ აქეთობისას, გზაში მივაქციე ყურადღება, რომ მახმული მარჯვენა ხელს ვერ შლიდა. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა ერთხელ ტყეში წავედით ხმელი ფიჩხის მოსაგროვებლად. დიდრონი ლოდების შუა არყის ხე ამოსულიყო და თავისი ნაზი, მზინვარე კანი თეთრად ქათქათებდა. მე და მახმული ხესთან მივედით. მან ნაჯახი მომცა და მითხრა, ნელ-ნელა მოჰგერიო, ნუ იჩქარებო. მე ხე მოვჭერი, გავსხებე და კიდევაც დავმორე.

— გატანით მე გავიტან, შენი დახმარება არ დამჭირდება, — მითხრა შემდეგ, — მიიმეც ნუ ასწევ, არაფერი იტკინო.

ამ სიტყვებით მან მორი მხარზე გაიღო და კარვისაკენ წაიდა. ნელა, ფრთხილად მიდიოდა, დაკვირვებულად აბიჯებდა ქვიდან ქვაზე. უცებ ფეხქვეშ ქვა გადაუტრიალდა და მხარზე ვადებული მორი ვადმოუტყურდა. მან მაშინაღორად დააბირა ხის შეჩერება მარჯვენა ხელით, მაგრამ ამის მაგივრად გმინვა აღმოხდა, მარჯვენა ხელის ნიდაყვზე მარცხენა იტაცა და საცოდავად მოაკავეული ერთ ადგილზე გაჩერდა. მე მეგონა, რომ ხელი ხემ ატკინა. კარავში როცა შევედიოდი, მაშინდა მითხრა:

— გადი, ჯოგს მიხედ, — და გარეთ გამომისტუმრა. მე სიბილით გავეჭანე იქით, სადაც ჯოგი მეგულბოდა და როცა დავრწმუნდი, ყველაფერი რიგზეა-მეთქი, ისევ კარავში დავბრუნდი. კართან მივედი თუ არა, დავინახე: მახმული თავის ნიდაყვს დაჰყურებდა. თვალი შევასწარი ღრმა ჭრილობას.

— წადი, წადი, წყაროსთან ითამაშე! — ხელახლა სცადა მახმულმა ჩემი თავიდან მოშორება. ახალა მივხვდი, რომ წელანაც ამ მიზნით გამაგზავნა ჯოგის დასახედავად.

გვიან ღამით, როცა ძალიან შევეხევეწ და აღარ მოვეწვი, მან უსიტყვოდ გამიმხილა თავისი საიდუმლო — ჩიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ვაშალა. ცხვირსახოცში წვრილი თეთრი ძვალი

ყოფილიყო გახვეული. ადამიანის ძვლის დანახვისთანავე ზურგზე ჭიანჭველები დამასხდნენ.

— აი, რა არ მადღევდა მოსვენებას. არყის ხემ კეთილი საქმე ჰქნა — მვეთორი მოძრაობით მკლავი გამაჭიმივინა და ნაჭრილობევიდან მკვდარი ძვალი ამოვარდა.

— ძალიან გტკივა?

— ახლა არც ისე, — დამამშვიდა მან და ხუჭუჭ თმაზე ხელი ვადამისვა. სახეზე ისეთი მშვიდი ღიმილი დასთამაშებდა, რომ მე დაეიჯერე, ტკივილმა ნამდვილად გაუარა-მეთქი.

ღამით ღრმად და მშვიდად ეძინა. ვახშმის საქმელად ვადვიძება ვერ ვაგუბედე. შემეცოდა. კედლიდან თოფი ჩამოვიღე, გულმოდგინედ ვაეწმინდე და თავის შესაყოლიებლად ხელახლა დავმალე, მერე ისევ აწყობას შევუდექი. ფიქრით ომსაც ვადაწვდი, მახმულსაც. მოვიგონე რას იწერებოდა თავის წერილებში, რომლებსაც მის შინაურებს მე ვუკითხავდი. მკლავის ჭრილობა არცერთ წერილში არ უხსენებია, არც ის უთქვამს, თუ როგორ დაიმარხა მიწაში დაბომბვის დროს, რომ დიდხანს იწვა ჰოსპიტალში და როცა ჰოსპიტლიდან გამოეწერა, კვლავ ფრონტზე გაგზავნა მოითხოვა, მაგრამ მისი თხოვნა უფროსებმა ყურად არ იღეს. ვითომც რატომ არ გაგზავნიდნენ, თუკი ის „ფიზიკურად ჯანმრთელი“ იყო? გამახსენდა, როგორი ჭებით იხსენიებდნენ ვახეთში, როგორი ალტაცებით შეხვდნენ აფსარელები ომიდან დაბრუნებულს, მას კი ენაც არ დაუსველებია, სიტყვაც არ უთქვამს ჩადენილი გმირობის შესახებ. ამას თუ იტყოდა: „კი, ბრძოლამ მოგვიწიაო“. ეს იყო და ეს. ვინ იცის, იქნებ შინაურებს არც კი შეუტყვიათ, თუ მას ასეთი საშინელი ჭრილობა ჰქონდა მარჯვენა მკლავზე. „როცა მეც გამიწვევენ ფრონტზე, მეც ისე დავხოცავ გერმანელებს, როგორც მახმული ხოცავდა!“ — გავიფიქრე და გატენილი ვაზნა ლულაში შევაცურე. სწორედ ამ დროს ყარა-

ბაში გამოხტა ბუჩქებიდან. პირით რალაც შავს მოარბენინებდა.

— ყარაბაშ, გაუშვი პირი! — დავუყვირე და გარეთ გამოვევარდი. ძალი დაფრთხა, ნადავლი დააგდო და შე- მომაჩერდა. დავხედე იმ შავ სავანს, დავხედე და გავევირდი.

— პანჩა, რას ათვლიერებ მანდ? — მახმულს უკვე ვაღვიძებოდა და კარვი- დანვე მომაძახა.

— რა ვიცი, რალაც ტყავის ჩანთა მო- ათრია ძალღმა.

— მოიტა, დამანახე!

ჩანთას უკვე ლობა დაეწყო. მახმულ- მა ის ფრთხილად გახსნა და ამოიღო, რაც შიგ იდო. სამკუთხედად დაკეცი- ლი წერილები ვიციანი. იქ კიდევ რა- ლაც საბუთი ვიპოვნეთ. წაკითხვა არც წერილებისა და არც დოკუმენტებისა აღარ შეიძლებოდა. ასოები ერთმანეთ- ში გადასულიყო, დანესტიანებულიყო და ნესტისაგან ქაღალდს ფორი მოსდე- ბოდა. ერთადერთი, რაც სინესტესა და დროს გადარჩენოდა, ეს გახლდათ პაწია სარკე, რომელიც ჩანთის ფსკერზე იდო და წინანდებურად ბრწყინავდა.

— ალბათ, ვისმე დაეკარგა, — ვთქვი მე.

— ეს საველე ჩანთაა, — წაილაპარა- კა მახმულმა, — ჯარისკაცის ნაჭონი. სად იპოვნა ნეტავი ძალღმა?

— არ ვიცი, სადღაც ქვევით, შგონი, ხეობიდან ამოიტანა.

ყარაბაში თავის ბრიყვულ თვალებს აცეცებდა და კულს აქიციებდა, თით- ქოს ამით უნდოდა ეთქვა: ხომ ხედავთ, როგორი საჩუქარი მოგართვით და ახლა მაინც შემომხედეთ, თქვე კაი დედ-მა- მის შეიღებო.

მახმულმა გამაფრთხილა ჩანთისათვის ხელი არ მეხლო და ფრთხილად შემოს- ღო ის კარვის სახურავზე. ასევე მოქ- ცა სამკუთხე წერილებსა და საბუთსაც, იქ ერთიცა და მეორეც მზეზე გაშრებო- ღა.

— ნეტა სად უნდა ეპოვნა? — მახ- მული საგონებელს მიეცა.

ვერ გამეგო, ასე რად წუხდა. გახა- სულ ერთი არ იყო, სადაც იპოვნა ძალ- ღმა ეს ნივთები?

მეორე დღეს ყარაბაშმა კიდევ რალაც მოარბენინა. დავხედეთ. ეს უკვე ტყავის- ჩექმა იყო. მე ვერც კი შევნიშნე, რო- გორ შემოათრია ის ძალღმა კარავში. თორემ რომ დამენახა, დავმალავდი და მახმულს არ ვაჩვენებდი...

მთები მშვიდად იდგნენ. ჩემი ხელით დაგებულ ღარზე ანკარა წყარო მოწ- ანწკარებდა.

— ომი უკვე აღარ იყო...

თარგმან რევაზ ჯაშარიძე

ოქროს პარლი

უმეტესევა ალშვანგის მალაზიაში

1921 წლის მთელი ზამთარი ოდესაში ეცხოვრობდა, მზა ტანსაცმლის ყოფილ მალაზიაში, რომელსაც „ალშვანგ ი კომპანი“ ერქვა. წინასწარ არაეინ არ გამოფრთხილებია, მივედი და მეორე სართულზე სამი მოზრდილი ოთახი დაეკვირე, ადრე იქ მისაზომებელი ყოფილიყო ყველა ოთახს თავისი საკრე ჰქონდა ბემის მინისა.

სარკეები ისე მაგრად ჩაუდგათ კედლებში, რომ ამოღება ტყვილად ვცადეთ მე და პოეტმა ედუარდ მაგრიკიმ. ჩვენი ჰქუთი სარკეები ახალ ბაზარში უნდა ვაგვეტანა და სურსათზე გადავეცევალა. ბევრი ვეტრიალეთ, ვიჯახირეთ, მაგრამ ძვრა ვერ ვეუყავით. საკვირველია, გამზარეიდაც კი არ გამზარულა არცერთი.

მისაზომებელში არავითარი ავეჯი არ იღვა, გარდა დამპალი ბურბუშელით სავსე სამი უთისა. კიდევ კარგი, რომ მინის კარი ადვილი ჩამოსახსნელი იყო. ყოველ საღამოს ჩამოვიღებდი ხოლმე იმ კარს, ჰქევ ორ ყუთს შევუდგამდი და ზედ ლოკინს ვშლიდი.

მინის კარი ლევისა, აბა, რას დაიჭერდა, ყინულივით მოლოპული იყო. ღამეში ერთი ათქერ მაინც უნდა მოაქვინა ძირს ბრავვანი.

როგორც კი ლევი აეურღებოდა, იმ წუთას გამოშვლებიებოდა, თითქოს ცხელი რამ წამრესო, და სუნთქვაშერული ვიწყე, ოდნე ვანძრევისაღ მეშინადა, თათი რომ თითია, თითებსაც არ გამოძრავებდი. იქნებ მაინც მაინც მიშველას, ლევი აღარ დაეურღეს-შეთქი. მაგრამ უკვე დაეურღებულს რაღა გააჩერებდა.

სასაცილო ამბავი იყო-შეთქი, ვერ ვიტყვი. ცივი ზამთარი იღვა. ზღვა ნავსადგურიდან „მეორე შდრევენამდე“ გაიყინა. ავი ნარდ-ოსტი ერთიანად აშანდაცებდა გრანიტის ქვაფენილებს. ცას სათოვლე პირი არ უჩინდა. ამ უთოვლობაში სიცივე თითქოს ძნელი ასატანი იყო.

მისაზომებელში პატარა თუნუქის ღუმელი იღვა — „ბურეუკა“. მარტო ღუმელით რა უნდა გვექნა, შეშა არა გვქონდა. ვინდა ავეწითო, სამ ვევებერთელა ოთახს ას სითბო მაინც ვერ გასწვლებოდა. „ბურეუკაზე“ ჩაის თუ ავიღე-

ღებდით ხოლმე. ნამდვილ ჩაის კი არა, სტაფილოსას ამ ამბავს რამდენიმე ძველი ვაზეთი ჰყოფინდა.

მესამე ყუთს მაგიდად ვხმარობდით. იმ „მავიდაზე“ ბეუტი გვედგა. მოსალამოვდებოდა თუ არა, ავანთებდი ბეუტს და დაეწვებოდი. რაც კი რამ თბილა მქონდა, ზედ დაეყრიდი, ცოტას ჩავითბუნებდი და ხოზე მარია დე ერედისა ლექსებს გეითხლობდი, გიორგი შენგელის თარგმანს. კრებული იმ შიმშილობის წელიწადს დაესტამბათ ოდესაში, და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ერედის ლექსებს ჩვენი ვეუკეობა არ შეუსუსტებია. რომაელებივით თავს შედგარად ვგრანთობდით და იმავე შენგელის ლექსს ვიხსენებდით: „ძმებო, რომაელები ეართ, სისხლისაგან ვიცლებით...“

სისხლისაგან, რასაკვირველია, არ ვიცლებოდით, მაგრამ ხანდახან ჩვენც, გულგაუბნებლ, მზიარულ ახალგაზრდებს, მეტისმეტად გვეცოდა და გვეშოდა. ოდონდ დრტვინივით — არაეინ არ ედრტვინივდით.

ჰქევმით, მალაზიის პირველ სართულზე, სამხატვრო არტელი იყო. იქ საეჭვოდ ფუსფუსებდნენ, ჩხიკყეველაობდნენ. ამ საწარმოს სათავეში ერთი ჯალანა მხატვარი ედგა, ოდესაში „პარების მეფედ“ ცნობილი.

არტელი ათასიორ დაეცეთას იღებდა. იქ ამარებსაც ამზადებდნენ, ქალის პატარა ქულებსაც ჰქერავდნენ და ხისძირიან ფესხაემელსაც (ეს ხისძირიანი ფესხაემელი ანტიკური სისადავით გამოარჩეოდა: ხის ძირზე სამოთვე თასმა იყო გადაქიშული). მეშტარი თუ გამოზნდებოდა, კინსათვის საკვლამებსაც ხატავდნენ (რეკლამებს ვეუბო-საღებავებში წერდნენ შრუფე ფირფიტებზე).

მაგრამ ერთხელ ბედმა გაუღიმა სახელმსნოს — ეგრეთწოდებული „ცხვირის სამკაული“ დაუცვეთს იმხანად შვაი ზღვის ერთადერთი თბოშველისათვის. იმ თბოშველს „ბესტელი“ ერქვა. პირველი რეისით ბათუმისაკენ უნდა წასულიყო.

სამკაული ფერცლოვანი რეისისაგან გამოკვე-

რის, მერე ოქროსფერი მცენარეული ორნამენტით დაამშვენეს.

„პესტელის“ სამკაული ყველას თვალში მოუვიდა, მილიციელი ეორა კოზლოვსკი ზოგჯერ საუბრედასაც კი მიატრებდა ხოლმე, რომ მორთული „პესტელი“ ენახა.

მამინე ვაზუთ „მორიაცში“ ვმეშობდი მღერნად. „მორიაცის“ თანმშრომლები იყვნენ აგრეთვე ახალგაზრდა მწერლები კატაევი, ბაგრაიკი, ბაბელა, ოლემა და ილფი. ძველ, ნაყად მწერალთაგან ჩვენი რედაქციაში ხშირად შემოდიოდა მხოლოდ ანდრეი სობოლი — როგორც იტყვიან, სულში ჩასაძვრენი, მუდამ რაღაცით აღელვებული, მოუსვენარი კაცი.

ერთხელ სობოლი „მორიაცში“ მოთხოვნა მოიტანა, თავი და მოლო ერთმანეთში იყო არეული, თუმცა თემის მხრივ საინტერესო ჩანდა, თანაც უსათუოდ ნიჭიერი კაცის ხელი ეტეობოდა.

რევოლუციის ზეგავლენითაა შექმნილი სევანური მოთხრობებიც, მათი ძირითადი აზრი, მათში დახატულ პერსონაჟთა ურთიერთობის ხასიათი. ეს ითქმის „ლაშხეთის ბატონსა“ და „უშვულზე“, „პარტიზანებსა“ და „მტრებზე“, „ხალდესა“, და კიდევ სხვებზე. მწერალი ეძებს ორიგინალურ მასალასა და სიტუაციას, რათა ცნობილ აზრებსა და იდეებს მისცეს აღმოჩენის ხასიათი, მძაფრი მოულოდნელობა და ახალი მნიშვნელობა.

ის ცდილობს გაანთავისუფლოს ეს იდეები შაბლონურობისა და ზოგადობისაგან და აქციოს ავტორისეულად. ამ ორიგინალური მასალის პოეტურ დამუშავებას თავისთავშივე აქვს გამართლება. ამით მწერალი ახერხებს, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს თავისი მისწრაფება შემოქმედებითი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი და, თუნდაც თემის არჩევით, ცნობილი პრობლემის ახალ ნიადაგზე დასმით, გამოხატოს თავისი პიროვნება.

თუმცა მწერალი მშვენივრად იცნობს სევანეს (ამის გარეშე არც არაფერს დასწერდა), მაინც არ უარყო მთიელებზე რომანტიკული და ეგზოტიკური

წარმოდგენები, და ნებით თუ უნებლიეთ, საკმაოდ შეიტანა თავის მოთხრობებში.

სევანურ მოთხრობებს მკაცრად გამოკვეთილი, კლასიკური სიუჟეტი აქვს. მწერალი ახლა ამბავსა და სიუჟეტზე მუშაობს (სევანური მოთხრობების ეს მხარე საესეებით სწორად აღინიშნა ჩვენს კრიტიკაში). ამბავი უჩვეულოა, იშვიათა. მწერლის მიზანია გააოცოს მკითხველი ამბით. მკითხველს სამუდამოდ უნდა ჩარჩეს ის მესხიერებაში, როგორც მანამდე გაუგონარი, უცნაური და, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანიც. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მწერალი ერიდება თავისი პოზიციის წინ წამოწევას და მთელს იმედს სიუჟეტზე ამყარებს. მაგრამ მისი პოზიცია აქ მაინც საერთოა, სავალდებულო და არა სუბიექტური. თანაც ამ სიუჟეტს, ამბავს, თავისი ძალა აქვს და თქვენც მთელი ყურადღება თვით ამბავზე და არა მის შემთხვევლ ინდივიდზე გადაგაქვთ. ამბავი იწყება, ვითარდება და პერსონაჟები ელოდებიან ფინალს, რომ თავისი ხასიათის სრულიად ახალი, ან მოულოდნელი მხარე გვაჩვენონ. რაჯი ნაწარმოების ღერძს ამბავი შეადგენს, ძნელია ავტორი გაიქცეს ტრადიციულ ქარგებს. თანაც აქ არ არის წინ წამოწეული მწერლის დამოკიდებულება ამბავთან და მისი შეფასება, როგორც ეს თანამედროვე პროზაში ხდება, (ამიტომ ძნელია მოსალოდნელი ასოციაციების, მიმსგავსებების თავიდან აცილება. მკითხველი ნაწარმოების ანალიზებს ეძებს ცხოვრებაში, ლიტერატორი — ლიტერატურაში. ვინც გულმოდგინედ ეძებს, ის, ალბათ, იპოვის კიდევ სიუჟეტს აქ თვითმყოფი, დამოუკიდებელი, ერთადერთი აზრი და მნიშვნელობა აქვს. მწერლის ორიგინალობა ამბის მოძებნითა და სიუჟეტის აგვობით ამოიწურება. არც „მტრების“, არც „პარტიზანების“, არც „ლაშხეთის ბატონის“ ფინალი მოულოდნელი არ არის. ამ ფინალს თვით ამბავი ამზადებს.

სევანურ მოთხრობებში თითქოს ცალკე

დგას ორი ნოველა, „მურზაყანი“ და „წარმართი“. მათში ფიქსირებულია არა რაიმე ამბავი, თუნდაც საინტერესო და ორიგინალური, აქ ორიგინალურია ვნებები, რომელთაც დაუმორჩილებიათ პერსონაჟები. ორიგინალურია და მნიშვნელოვანი ამ პერსონაჟთა ხასიათი, მათი რწმენა, მათი მოქმედება. ისინი ებრძვიან შეგნებულად თუ ქვეცნობიერად, ტრადიციას და სიბუნდეს. ისინი გამოხატავენ ყველაზე ბნელსა და ტრაგიკულს, ყველაზე ნათელსა და პოეტურს ერის სულში.

„მურზაყანში“ დახატულია რწმენა, ბრმა და უმღეველი, რომელმაც არ იცის გონების ჩარევა და ანგარიში. ეს რწმენა ჩაიკრულია სულში და სხეულში, როგორც უწმინდესი მოვალეობის სიმბოლო. ის სათავეს იღებს სამაგიეროს მიზღვის საუკუნოვან ტრადიციებში. ღრმად მოხუცებული მურზაყანი, უკანასკნელი მამაკაცი თავის გვარში, იღებს შვილის სისხლს. ვალი მოხდილია, სისხლი აღებული, შვილის სული დაწყნარებული. კაცი მართალია შვილთან, ტრადიციასთან და თავის ღმერთთან. მაგრამ სასამართლოზე, მურზაყანის ახლობლებსაც და მტრებსაც მისი გამართლება უნდათ. ნათესავი ქალები და მეზობლები მოხუცს იცოდებენ და ამტკიცებენ: მურზაყანი არ არის, არ შეიძლება იყოს მკვლელი, რადგან ის ფიზიკურად დაუძლეურებული, მიხრწნილი ბებერია. მტრებიც ამართლებენ: თუ მურზაყანი დამნაშავედ სცნეს და გადასახლეს, ვეღარ აიღებენ სისხლს, რადგან მოხუცი უკანასკნელი მამაკაცია გვარში. ყოველივე იმით, რაც სასამართლოზე ხდება, მურზაყანი შემფოთებულია და აღელვებული. მისი სულიერი მდგომარეობა ტრაგიკულია და უმწეო. ვას უნდა, რომ დაუჯერონ, უნდა, რომ დამნაშავედ სცნონ, — ის ამით ცოცხლობს. ის იცავს, ხვეწნითა და მუდართით, ლანძღვითა და წყევლა-კრულვით, თავის სიმართლეს, ვალის მოხდის გრძნობით გამოწვეულ სიამაყეს. ის საშინელია და დიდებული, დამნაშავეა და მართალია

ერთსა და იმავე დროს. თქვენ უკვე აღარ ფიქრობთ ორიგინალურ სიუჟეტსა და სიტუაციაზე. მკითხველს იბურობს ის ვნებები, უაღრესად ჩვეულებრივი და ამავე დროს შეუცნობელი, რომელიც ამ სიუჟეტის მეოხებით და ამ სიტუაციაშია გაჩენილი. და მართლაც აქ სიუჟეტს, ამბავს არ შეიძლება ჰქონდეს თვითმიზნური დაზიზნულება და გამართლება. აქ არის მხოლოდ კარგად მოფიქრებული და გამოყენებული საშუალებები, ხერხები, დიდი ადამიანური და ადამიანურად მნიშვნელოვანი ვნებისა და აზრის გადმოსაცემად.

ნოველა ისეთი ეანრია, სადაც დიდი პრობლემები ჩვეულებრივში, ერთის შეხედვით უმნიშვნელოში, იბადება. ამ აზრით ყოველი ჰეშმარტი ნოველა ქვეტექსტს შეიცავს, რომელშიც ცხოვრებასთან თუ ხელოვნებასთან შწერლის დამოკიდებულების საინტერესო აზრი უნდა იყოს ნაგულისხმევი.

ნოველა „წარმართი“ ფიქრია ხელოვნებასა და ხელოვანზე. ის დაკვირვებაა ცხოვრებაზე. ის დაკვირვებაა იმ გზაზე, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია, ამ ნოველაში თითქოს ხოტბა აქვს შესხმული პრიმიტივიზმს და ეს ხოტბაც გულუბრყვილოდ როდია მოტივირებული. ეს არის ერთი შეხედვით საკმაოდ უცნაური ნაწარმოები, იმ აზრით, რომ რაფინირებული გემოვნების, საკუთარ პრაქტიკაში პრიმიტივისტული ხედვისა და შესრულების უარყოფელი მწერალი, პირველყოფილის თვალსა და ხედვას უმდერის.

იქნებ ეს ნოველა მწერალს ჩაავონა ფიროსმანისა და ანრი რუსოს „დაგვიანებულმა“ გენიამ, ან მათი ფერწერის პირველ შემდგამებელთა უმეცრებამ, ან იქნებ ძველმა ქართულმა ხელოვნებამ უკარნახა მას გმირის ხასიათი, ნაწარმოების თემა და პრობლემა, იქნებ მან თავისი აზრი გამოთქვა მხოლოდ წარმართობაზე, რომელიც წმინდანთა ნათელით მოსავდა კლდესა და მზეს და მყინვარებს, იქნებ საბაბად კმართა ორიგინა-

ლური საფლავის ქვეც სვანურ სოფელში, „რომელზედაც გამოკვეთილია საჭურველით დამშვენებული კაცი“.

მწერალმა ერთმანეთს დაუპირისპირა წმინდანთა უხილავი სამყარო და ხილული ქვეყანა. და როცა მისი გმირი, მხატვარი სოზარი ეკლესიის ფრესკებს ათვალიერებს, გაოცებულია და გაკვირვებული: წმინდანებზე უფრო სოზარს დამხატვანი აოცებდა. „ცხადია მათ უნახავთ ისინი, ვისაც ხატავენ“ — ფიქრობდა ის (ხომ არ არის აქ გამოთქმული ავტორის გაკვირვება ყველა იმ მხატვრის გამო, რომლებიც სიამოვნებით ხატავდნენ იმ საგნებსა და ადამიანებს, თვალთაღაც რომ არ უნახავთ, და წარმოსახავენ მხოლოდ ნაკარნახევს?).

კაცმა რომ თქვას, მწერალი უმღერის არა იმდენად პირველყოფილის თვალსა და ხედვას, არა სოზარის პრიმიტიულ ნახატსა და ხილვებს, არამედ მის თავისებურებას თემისა და საგნის არჩევაში, სიახლეს და დამოკიდებულებას მათს გადაწყვეტაში. სოზარი თვითონვე კარნახობს თავის თავს და თავისუფალია კანონებისაგან. მისთვის არსებობს ემპირიული, უშუალოდ შოკებულ და არა წარმოდგენაში შექმნილი უსახო ღვთაება. ის ხატავს თავის ვნებას, აღტაცებასა და სევდას. მის პრიმიტიულ ნახატში, ისევე როგორც სვანურ სიმღერაში, იგრძნობა მთების სიყვარული და დარდი მთებზე. ის სილამაზეს უბრუნებს საგნებსა და ადამიანებს, რომლებმაც სილამაზე განაცდევინეს და მისცეს მის სულს. პირველყოფილი სიწმინდე და გულუბრყვილობა, აღმოჩენის სიხარული ახლავს მის განცდასა და ფიქრს. ჰეშმარიტი ხელოვნებაც, მწერლის აზრით, პირველხილვისა და გულწრფელობაშია.

სოზარი შეუხედავი ქონდრის კაცია, თითქმის მახინჯი, მაგრამ მისი სული ამბოღებულია და მშვენიერი. თავისთავად ამ დაპირისპირებაში, ასეთ კონტრასტში ცოტაა ორიგინალური და ახალი (შესახებდავად ის, ალბათ, პრიმიტივისტების ნახატსა ჰგავს). ასეთი დაპი-

რისპირებით, რაც ყოველთვის ერთგვარ რისკთანაა დაკავშირებული, ავტორმა ზედმეტად დატვირთა ნაწარმოების მიზანარსი, მაგრამ არა უვნია რა მისთვის, მან მხოლოდ უფრო მკვეთრად გამოჰყო ბრბოში სოზარის სახე და მისცა მის გაუცნობიერებელ ამბოხებას ტრადიციისა და კანონების წინააღმდეგ, ზედმიწევნით ინდივიდუალური, გასაგებები და, შეიძლება ითქვას, ჰეროიკული ხასიათი.

მაგრამ ის არ ხატავს გმირებს. ის საერთოდ არ ხატავს გმირებს, ან დახატავს მათ სიცოცხლეში ერთხელ. გმირი, როგორც „მოვლენილი“, მას არ სწამს. მისთვის გმირი ძლიერი ხასიათია, მამაკაცია მამაკაცთა შორის. მას ჰყოფნის სინაზე უყვარდეს ისინი, გაუგოს და აფასებდეს მათ. მისი ძლიერი ხასიათები, ჩვეულებრივ გმირებად იქცევიან შესაბამის სიტუაციებში და თავის დროზე. მას ჰყავს ძლიერი ხასიათის ქალები. ისინი როდენის ქარს გვანან. ქარი და გრივალი სადღაც შორს, მათი სულის სიღრმეში, აღვივებს ცეცხლს და შიგნიდან ანათებს და ათბობს მათ სახეებს.

ყოველი კარგი მკითხველი აღმოაჩენს სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებებში ახალსა და მნიშვნელოვანს. ეს ითქმის ყველა იმ ნაწარმოებზე საერთოდ, რომელიც ჩვეულებრივებს ფარგლებს სცილდება, რომელიც შექმნილია ინტუიციით და არა მხოლოდ კანონებით, გონებით და იმის ცოდნით, თუ რა როგორ კეთდება.

სერგო კლდიაშვილის მოთხრობებში არის ერთი, საკმაოდ ცნობილი, საკმაოდ პოპულარული მოთხრობა „სერაფიტი“. მისი იდეა, სულ ორი სიტყვით, ასეთია: ჩირადაც არ ღირს ხელოვნების იშვიათი ძეგლის სილამაზე ადამიანის სიცოცხლესთან შედარებით. მაგრამ ასეთი შეპირისპირება ხელოვნების ძეგლის სიყვარულისა და ადამიანის სიცოცხლისათვის ზრუნვისა გაუმართლებელია. ხელოვნების ძეგლი, ისტორიული ძეგლი თავის ადგილზეა, ადამიანის სიცოცხლისათვის ზრუნვა კი — თავის ადგილზე.

ისინი არ უშლიან, თავისი ბუნებით არ უპირისპირდებიან, არ უარყოფენ ერთმანეთს. პირიქით, ცხადია, ყველაზე იშვიათი ქმნილების ნახვაც შეიძლება ჩაემიწარდეს თუ იქვე, შესს თვალიწინ რაიმე უბედურება დატრიალდება, მაგრამ ამ ფსიქოლოგიურად სავსებით სწორ, მრავალგზისა და მრავალთავან განცდილ, გრძნობას არ უნდა მიეყვანა მწერალი მათ ურთიერთგამომრიცხავ ანტაგონიზმამდე.

გასაგებია ავტორის კონცეფცია, რომელიც ამ მოთხრობაშია გამოთქმული. ცხოვრება და სიცოცხლე, როგორც ის გვეძლევა თავისი ბუნებრივი სახით, არის მხატვრული, ესთეტიკური იდეალი. მაგრამ როცა მწერალი ამ იდეალს უპირისპირებს ხელოვნების ძეგლთა სიყვარულს, ანგარიშს არ უწევს სწორედ იმ ხელოვნებას, რომელიც შეიძლება სწორედ ასეთი იდეალისაკენ მიისწრაფვის.

შეხედულება ხელოვნებაზე, და ზოგიერთ ხელოვანზე, შეხედულება, რომელიც იგრძნობა მწერლის პოზიცია, გამოთქმულია „ძველთაძველ ამბავში“. ის, რაც დღესაც ხდება, სამწუხაროდ და არა იშვიათად, იმ ძველთაძველ ამბისა თუ ლეგენდის აზრს აცოცხლებს. აი მცირე ნაწყვეტი ამ მოთხრობიდან: „თუმცა მოქანდაკე ლიზიპე ოსტატობით თავის თანამედროვეებზე მაღლა იდგა, კოლეგებს ის მაინც აბუჩად აგდებულნი ჰყავდათ, ვინაიდან მეტად მოკრძალებული იყო და უმეტეს დროს შრომაში ატარებდა.

ვინმე დიპოკრატე, ესეც მოქანდაკე, მაგრამ უფრო დიდი ოსტატი იმისა, თუ როგორ მიაღწიოს კაცმა კეთილ ცხოვრებას, ასე იტყოდა ხოლმე:

— დე, ლიზიპემ იმით ინუგეშოს თავი, რომ ტალანტი აქვს, ის ვერასოდეს ვერ იგემებს სიხარულს თავის ნიჭისაგან. რა თქმა უნდა, კარგია, თუ მარჯვე ხელითა და მგზნებარე გულით დაგაჯილდოვეს ღმერთებმა, მაგრამ, მერწმუნეთ, უფრო მნიშვნელოვანია გქონდეს უნარი ცხოვრებაში ყველაფერი შესს სასარგებლოდ

გამოიყენო და მიაღწიო იმას, რომ შესწავლით არაფერს ჩანდეს, თუნდაც სხვა ვინმე უფრო ღირსეული იყოს“. ცხადია, თქვენ მრავალი დიპოკრატე მოგავინდებთ, მაგრამ, ჯერ ერთი, დიპოკრატების საქმეს ბოლოს და ბოლოს დრო გადაწყვეტს და მეორეც, იმედი უნდა ექონიოთ, ქვეყნად არ დაილევა ჰქვიანი ხალხი, რომლებიც „კეისარს კეისრისას მიუზღავენ“.

პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის ზეგავლენითაა დაწერილი სერგო კლდიაშვილის ერთერთი საუცხოო მოთხრობა „ფერფლი“. ცხადია აქაც რევოლუციის დანახვას მთავარი. ომი ანგრევს, მაგრამ აშენებს კიდევ ადამიანთა შორის პრაქტიკული და ინტელექტუალური ურთიერთობის ხიდს. ამ ხიდს ერთ ბედში მყოფი, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ფსიქოლოგიური და პრაქტიკული მდგომარეობა აგებს. ბატალური სცენები, რომელიც ამ მოთხრობაში ზომიერებით, ნატურალიზმისა და ცრემლნარევი გრძნობიერების გარეშეა დახატული, ლაპარაკობს ტრადიციულად გაგებული ეპიური თხრობის, ხედვის უნარზე. ცხადია, სერგო კლდიაშვილი არ არის ტრადიციულად მიჩნეული ეპიური აზროვნების, განცდისა და ხედვის მწერალი, მაგრამ დღევანდელი ეპოსი კარდინალურად განსხვავდება ტრადიციულისაგან. იქნებ საჭირო იყოს ახალი ტერმინი ან ცნება, რომელიც დღეს გამოხატავს იმას, რასაც წინათ ეპიურში ვგულისხმობდით და ხაზს გაუსვამთ, როგორც ეპოსის ხასიათის ცვლილებას, ისე მისი დანიშნულებისა და ფუნქციის ევოლუციას. ამ აზრით, ეპიური ნაწარმოებებია სერგო კლდიაშვილის „ფერფლიც“, „პატარა ცხოვრებაცა“ და, განსაკუთრებით, „მყუდრო სავანე“. სამივე ნაწარმოები ლაპარაკობს დღევანდელი ქართული ეპიური აზროვნების დონეზეც და იმ შინაგან თუ გარეგან ცვლილებებზე, რომლებიც ამ ეპოსში ერთი მწერლის მავალითზე განიცადა.

სერგო კლდიაშვილის პროზა პოეტური პროზაა, მაგრამ ის არ არის ლირიკული. შთაბეჭდილება აქ რჩება შთაბეჭდილებად, არ ცვლის საგანს, ემოციონალური საწყისებიც ექვემდებარებიან ინტელექტუალურს.

„ფერფლსა“ და „მყუდრო სავანეში“ მკითხველს ხიბლავს დიდი სიმართლე, სისადავე და დრამატიზმი. კვლავ და კვლავ იგრძნობა მწერლის დაუღალავი სწრაფვა შემოქმედებითი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

ქართული ნოველისტიკის შედეგად უნდა ჩაითვალოს მოთხრობა „ქალაქი ხევი“¹. ალბათ, ვერაფერი წაშლის იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ამ მოთხრობამ მოახდინა ჩვენზე და იმ განწყობას, რომელიც მოთხრობის გახსენებისთანავე გვეუფლება ხოლმე. „ქალაქი ხევი“, „შემოდგომის წვიმა“, „ჰინკა ბიჭები“, „მინდვრის ყვავილი“, „ჯორდანო ბრუნო“ და კიდევ სხვა მოთხრობები ქართული ლიტერატურის სავანეშია. ეს მოთხრობები ისეთივე ოსტატობითა და ორიგინალობით არიან შესრულებულნი, როგორც „ლამბალო და ყაშა“, „თავსაფრიალი დედაკაცი“, „პაკი აბა“ და „ალმასგირ კიბულან“. მართალია, ყველა მათგანი სულ სხვადასხვა სტილსა და ხასიათშია გადაწყვეტილი, ყველა მათგანი სხვადასხვა მწერლურსა და მსოფლშეგრძნებითს სფეროს გადმოსცემს, მაგრამ სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენი ქართული ნოველისტიკის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. ვასული წლის პროზის მიმოხილვა კრიტიკოსმა გურამ გვერდწითელმა სერგო კლდიაშვილის ერთ ახალ მოთხრობაზე „მინაქრიან გოგონაზე“ ააგო და სავსებით სამართლიანადაც. ტალანტის ძალა, წვდომის სიღრმე და ინტუიციური ხილვა მხოლოდ სქელტანიანი ნაწარმოებებით როდი განისაზღვრება.

ცხადია, იოლი არაა იმ თვისებების ჩა-

მოთვლა და განსაზღვრა, რომელთა გამო სერგო კლდიაშვილის მოთხრობები ასეთ დიდ ლიტერატურად ითვლება. მაგრამ ასევე ეჭვგარეშეა, რომ ამ თვისებების სათავე მწერლის პიროვნება, მისი პოეტური სული, მისი რაფინირებული გემოვნებაა. ის ქმნის სავსებით სუბიექტურ სამყაროს, მის მიერ დახატული ნივთებიც კი ცოცხალნი არიან განწყობილებებითა და მოგონებებით. მათ დაჰკრავს გაუვალი ტყეების, ბავშვური გულწრფელობისა და სევდიანი სიყვარულის სურნელი. მათ ამოძრავებთ ადამიანთა შორის ყველაზე მტკივნეული და მსუბუქი, ყველაზე უფრო შინაგანი და ღრმა სულიერი ურთიერთობები. და რამდენი ნაღველი, რამდენი სინატიფა ამ უცნაური ირონიით სავსე დამოკიდებულებაში ადამიანებისა და მათი ცხოვრებისადმი.

თითქმის ყოველ ნაწარმოებში, პეიზაჟის ზატვის, ამბის აგებისა და ხასიათების ძერწვისას, სერგო კლდიაშვილი ამჟღავნებს საკმაოდ დაუფარავ მტრობას შაბლონისა და შტამპისადმი. რა თქმა უნდა, ძნელია მუდამ გაექცე უკვე თქმულსა და ცნობილს, მაგრამ მხოლოდ ასეთი მისწრაფებაა აღმოჩენებისა და სიახლის წინაპირობა, რადგან ძლიერი ზეგავლენა წარსულისა და ტრადიციისა, სხვისი თვალთ ხედვას, სხვისი გულით გრძნობას, სხვისი გონებით აზროვნებას ნიშნავს.

სერგო კლდიაშვილის პროზა დღევანდელი პროზაა. მისი გემოვნება, მისი მხატვრობა, მისი აზროვნება ხელინდელი პროზის წინამძღვარია. ის არის მშვენიერი ხიდი, რომლითაც შეგიძლია გაღმა ვახვიდე. მისი შემოქმედება, ისევე როგორც მისი პიროვნება, რთული, დასრულებული და მთლიანია. მისი მხატვრობა სიცოცხლის სიყვარულის, ცხოვრების სიყვარულის, ადამიანთა სიყვარულის მხატვრობაა.



ვეფხისტყაონის ავტორის შინაობისათვის

შეორე, როგორც ცნობილია, ქართული ეკლესიის პროგრესულ ძალთა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ გულაბერისძემ, მას შემდეგ, რაც მან, საქართველოში რეაქციის გაძლიერების შედეგად, კათალიკოსის ტახტი დაქარაღდა, თავი იერუსალიმის ჭვარის მონასტერს შეაფარა და იქ ხანგრძლივად მოღვაწეობდა. ეს ფაქტიც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჭვარის მონასტერში პროგრესულ-დემოკრატიული სულისკვეთება სუფევდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გაუძევაბარი იქნებოდა ნიკოლოზ გულაბერისძის იქ წავლენა და დამკვიდრების ფაქტი.

ამ ვარაუდებთან გათვალისწინება, ვფიქრობთ, ნათელს ჰყენს იმ ურთიერთ სიმშაბათების მიზეზებს, რომლებიც შეიმჩნევა, ერთი მხრივ, ჭვარის მონასტრის ხელმძღვანელებსა და მეორე მხრივ, ვეფხისტყაონის ავტორს შორის.

მაგრამ ამ სიმშაბათების გასაგებად უფრო მეტის თქმაც შეგვიძლია: ვეფხისტყაონის ავტორი, რომელიც ქართული ეკლესიის პროგრესულ-დემოკრატიული დასის ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო წარმომადგენელია და რომელმაც, საფიქრებელია, სწორედ ამ დასის რეაქციამზე გამარჯვების მეოხებით მიიღო რუსთველის დიდად საპატიო ტული, უთუოდ ახლო ურთიერთობაში იქნებოდა ამ დასის მთავარ ხელმძღვანელ ნიკოლოზ გულაბერისძესთან. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ხსენებულ ნიკოლოზსა და შოთა რუსთაველს შორის ამჟამად იდებრი ნათესაობაც შეინიშნება.¹ მაშასადამე, რუსთველს იერუსალიმის ჭვარის მონასტრისაღმად განსაკუთრებული სიმშაბათები უნდა ჰქონოდა არა მარტო იმიტომ, რომ ხსენებულ

მონასტრის კრებული პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო, არამედ იმიტომაც, რომ იქ მოღვაწეობდა მისი მახლობელი ადამიანი (შესაძლოა ამზრდელიც), პროგრესული დასის ღვაწლშობილი ხელმძღვანელი და ნიჭიერი მწერალი ნიკოლოზ გულაბერისძე.

აქედან კიდევ უფრო ცხადია, თუ რატომ იყო ჭვარის მონასტერი ასე მიზიდველი რუსთველისათვის, რატომ ზრუნავდა იგი მისი დამწველებელი გემმათის შეკეთებისათვის და რატომ აფასებდა, თავის მხრივ, ჭვარის მონასტრის კრებული ასე დიდად რუსთველს.

ვფიქრობთ, საკითხი ნათელია.

ვადავლივართ მეორე საკითხზე.

როგორია ის ტანსაცმელი, რომელიც რუსთველს ჭვარის მონასტრის პორტრეტის მიხედვით აცვია? — საეროა თუ სასულიერო?

თანამედროვე რუსთველოლოგიაში გავრცელებულია აზრი, რომლის მიხედვით ჭვარის მონასტრის ფრესკაზე რუსთველი წარმოდგენილია როგორც სამოქალაქო ვაზირი, მკურნალთუხუცესი, რომელსაც აცვია სამოქალაქო ვაზირთათვის დამახასიათებელი ტანსაცმელი, ე. წ. სკარამანგი, თავზე ახურავს იმგვარად ხასიათის მრგვალი ქუდი, ხოლო ვარსამოსეულის საყურადღებო მოვლებული აქვს ყარყუმის თეთრი ბეწვი, რომლის ანალოგია თითქმის მხოლოდ ფრანგულ და იტალიურ ხელოვნების ძეგლებში მოიპოვება.

საკითხის ყოველმხრივ შესწავლამ იმ დასკვნამდე მივყავანა, რომ ხსენებული აზრი, რომელსაც რუსთველოლოგიაში ამჟამად გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს, დასაბუთებული და მცდარია. სინამდვილეში რუსთველი ჭვარის მონასტერში გამოხატულია არა სავაზირო სკარამანგით, არამედ სამეფო ტანსაცმელით — პორფირაბისონით, რომლის ჩაცმის

უფლება, როგორც ზემოთ დაენიანეთ, მეფის გარდა ჰქონდათ მხოლოდ ვაზირებზე მღვდელ-მთავრებს და, მათ შორის, რუსთველებსაც. მაშასადამე, ტანსაცმელი, რომელიც ჭვარის მონასტრის ფრესკაზე რუსთველს აცვია, სავსებით არის და სასულიეროც, იღონდ მისი ჩაცმა სამოქალაქო ვაზირებს არავითარ შემთხ-

დასასტული. იხ. „მნათობი“ № 4.

1 მხედველობაში გვაქვს ნ. გულაბერისძის ნაშრომი „საკითხები სუეტისა ცხოველისა, ქუართისა სუფთოსისა და კათოლიკე ეკლესიისა“. რომელშიც, ჩანასახის სახით, მამაკაცისა და ქალის თანასწორობას იდეაა მოცემული (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 298-300).

ვევსი არ შეეძლოთ, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ პორტუგალიზაციის მხოლოდ შედეგია და მღვდელმთავართა სამოსელი იყო.

სადაც გაჩნდა აზრი, თითქმის ყველის მონასტრის სურათზე რუსთველს სურდა დღევანდელის, ევროპა კი, ევაზრის ტანსაცმელი აცვია? ამგვარი აზრის გაჩენასა და გავრცელებას ხელი შეუწყო თეიმურაზ ბაგრატიონის კონცეფციამ, რომელზეც ზემოთ ვკვლიდა საუბარი. რაკ მკვლევარებმა რუსთველს ერისკაცობა ირწმუნეს, ცხადია, მისი ტანსაცმელიც საეროს-აკოს ტანსაცმელად უნდა მივჩნიათ და მიიზიანეს კიდევაც.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ აღორძინების პერიოდის მოღვაწენი, მათ შორის ტიმოთე ვაბაშვილი, არაფერს არ ამბობენ არც რუსთველის ერისკაცობაზე და არც მის ვითომდა საეროს-აკოს ტანსაცმელზე, რადგან იმ დროს უცვლელ-სათვის ცნობილი იყო, რომ რუსთველი სასულიერო პირია, გამოჩენილი მღვდელმთავარია და მას ტანსაცმელიც თავისი რანგის შესაფერისი აცვია, ამით აიხსნება, რომ ტიმოთე, რომელიც თვითონაც მღვდელმთავარი იყო და მშვენიერად იცოდა, რაც უნდა სცმოდათ მღვდელმთავრებს, რუსთველს ტანსაცმელზე არაფერს არ ამბობს. ანუ რა უნდა ეთქვა, როდესაც მან თავისი თვალთ დანახა, რომ რუსთველს სწორედ რუსთველის, ე. ი. მღვდელმთავრის ტანსაცმელი აცვია? ცხადია, ტიმოთესთვის ამ საკითხში უცვლელად ნათელი იყო და არავითარი პრობლემა არ არსებობდა.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ აღორძინების პერიოდის ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი შეცნიერები — დავით ჩუბინაშვილი და პლატონ იოსელიანი მიუთითებდნენ, რუსთველი ყვარის მონასტრის სურათზე სასულიერო პირის (ბერის) ტანსაცმელშია გამოყვანილი, რადგან მათ სწამდათ ტრადიციული შეხედულება შოთა რუსთველს ბერად შედგომანზე და ეს შეხედულება თ. ბაგრატიონის კონცეფციამაც კი ვერ შეურყიათ.

მაგრამ დროთა ევოლუციაში თ. ბაგრატიონის ყალბმა კონცეფციამ, როგორც ჩანს, მისი თავისი როლი ითამაშა და მკვლევარებმა თანდათან სხვა თვალთ დაუწყეს ყურება რუსთველის ყვარის მონასტრის პორტრეტს. ნიკოლოზ ჩუბინაშვილის აზრით, რომელმაც ყვარის მონასტრის 1845 წელს იწახლა, პორტრეტზე რუსთველს „ზეილამ მსხია ცივრის ფერი ხორდა საეროსკაცი, თეთრის სამხრითა“¹ და არის ეს საეროსკაცი ხორდა? ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ხორდა არის ძველბერძნული სიტყვა და ნიშნავს ტანს² და

უხეშ სამოსს, დერვიშთა ტანსაცმელს, სწორედ საკვარველია, რომ ჩვენს ლექსიკონარებს ძვირფასი ძირისა და ყარყუმის სამოსელი დერვიშთა უხეშ ტანსაცმელად მივჩნევია.

უფრო საყრდენლთა ალ. ცაგარელს ცნობა, რომელმაც ყვარის მონასტრის 1883 წელს იწახლა. მისი სიტყვით, რუსთველი მონასტრის პორტრეტზე გამოჩახულია «в одеянии грузинского вельможи средних веков», როგორც ვხედავთ, აქ უკვე ღიადების ტანსაცმელზეა ლაპარაკი, თუმცა ევაზრის ქრისტიანობა არაა. შემდგომში, იმავე ყვარის მონასტრის აღმოჩენილი შოთა მკურნალთ-უხუცესის აღაბის გავლენით ალ. ცაგარელს «Вельможа» „ევაზრად“ გადაიქცა და რუსთველი ლიტერატურაში გაბატონდა აზრი, რომლის მიხედვით ყვარის მონასტრის პორტრეტზე რუსთველი თითქოს წარმოდგენილია საერო ევაზრის, სახელდობრ, მკურნალთ-უხუცესის სკარამანგიო, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ეს აზრი სრულიად უნადავგაა.

თუ რამდენად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ამგვარ გაბატონებულ შეხედულება ყვარის მონასტრში გამოჩახულია რუსთველის ტანსაცმელზე, ამას კარგად გვიჩვენებს აზრთა ის დიდი სხვადასხვაობა და აშკარა ნებისმიერი მსჯელობა, რომელიც ამ საკითხზე თანამედროვე მკვლევართა შორის შეინიშნება. მკვლევარებმა სულ სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრს გამოთქამდნენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა, მკვლავად, სკარამანგიო აღნიშნულება, მისი გარეგანი ფორმა, ფერი და ა. შ. პაულე ინგოროყვა ფიქრობს, რომ სკარამანგი არის გარედან ჩასაცმული, წამოსახშირ; პროფ. ს. კაყაბაძის აზრით კი, პირიქით, სკარამანგი შინით ჩასაცმულია³. ავად შ. ამირანაშვილს შინაა, რომ სკარამანგს საქართველოში ატარებდნენ ევაზრები და ერთსაერთისთავეები⁴; პ. ინგოროყვას აზრით კი, ის მხოლოდ ევაზრთა ტანსაცმელია და ერისთავთ-ერისთავებს არ შეიძლებოდა ჩაეცვათ ავტო-

1 იქვე.
 2 სხენებული აღაბი იერუსალიმში აღმოაჩინა ნ. მარმა 1902 წელს (იხ. აღაბნი ჭუბინის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ს. პეტერბურგი, 1914 წ.).
 3 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963, გვ. 847.
 4 ს. კაყაბაძე, რუსთველი და მისი ეფხის-ტფალისანი, 1966, გვ. 117.
 5 შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში (შოთა რუსთველი, თხუ საუბათ-ლეო კრებული, 1966, გვ. 160).
 6 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I,

1 შოთა რუსთველი, საიტილიო კრებული, 1966, გვ. 84.
 2 „მნათობი“, № 5.

რთა ერთი ნაწილი სთვლის, რომ რუსთველის „სკარამანგი“ წითელი ფერისაა, სხვების აზრით იგი უჭეი წითელი ანუ ჟივრისფერია, ხოლო მესამე ავტორებიც არიან, რომელთა აზრით ის შიშვითლო იხსენიება.

აზრთა ასეთი სხვადასხვაობა უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ლიტერატურაში იმავედ ვაბატონებდნენ თვალსაზრისი რუსთველის ზემოხსენებულ ტანსაცმელზე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

სრული ულოგოობა შეიძინევა მკვლევართა იმ მსჯელობაშიც, რომელიც რუსთველის თავსაბურავს შეეხება. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, რუსთველს აბურავს „მთალი თეთრი არაღიზინი“, რას ეწოდება არაღიზინი? მისივე ლექსიკონის მიხედვით, არაღიზინი (არაზინინი) ქართულად არის იგივე თალფაქი, ხოლო ბუსულად снуфийка ანუ снуфья. მაგრამ რაღა არის ეს თალფაქი ანუ სუფია? ყველა თანამედროვე ლექსიკონის მიხედვით, სუფია არის მართლმადიდებელი ეკლესიაში კელტის მსაბურავი თავსაბურავი ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, მღვდლის ქუდი. კეთილი, მაგრამ ახლა ესეც ვეითხოვთ: თუკი რუსთველის ქუდი ჩვენმა ავტორმა მართლა სუფიად ანუ მღვდლის ქუდად მიიხსნია, როგორღა ამტკიცებს იგი, რუსთველი ერისკაცის ტანსაცმელში გამოწეობილი? აქ ულოგოობა ამყარა. ნ. ჩუბინაშვილი რომ იბრძობებოდ და ლოკურად მსჯელობდეს, მას, ეჭვქვეშ უნდა დაეყენებია თეიმურაზ ბაგრატიონის მთელი კონცეფცია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი ამოცანა მის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ულოგოობა შეიძინევა პროფ. ალ. ცვაჭრლის მსჯელობაშიც. მას თვითონვე მოჰყავს უცხოელი მოგზაურების — ბრეიენბახისა და ჩუდის სარწმუნო ცნობები; რომელთა მიხედვით ქართულები შუა საუკუნეებში ატარებდნენ: სასულიერო პირები — შრვავლ ქუდებს, ხოლო საერონი — თახეუთხა ქუდებს.¹

¹ ს. კვაბაძე, დასახელ. ნაშრ., გვ. 116 და სხვ.

² ნ. ჩუბინაშვილი (შოთა რუსთველი, საილბილეო კრებულო, 1966, გვ. 8).

³ შ. ამირანაშვილი (შოთა რუსთველი, ისტ. საილბილეო კრებულო, გვ. 160).

⁴ «В 1483 г. был в Иерусалиме путешественник Брейденбах, который говорит, что грузин много в Иерусалиме... у духовных круглые шапки, у мирян четырехугольные...»

В 1519 г. ...был в Иерусалиме путешественник Чуди, который... о шапках говорит также, что выше сказано» (Памятники грузинской старины, გვ. 58—60).

თუ ამ ცნობებს დავემყარებთ და იმ გარემოებასაც ვავითვალისწინებთ, რომ რუსთველს ჯვარის მონასტრის ფრესკაზე მინგალი ქუდი აბურავს, დასკვნა თავისთავად ცხელი უნდა იყოს, ე. ი. უნდა ვეღარათ, რომ რუსთველს სასულიერო პირის ქუდი აბურავს. მაგრამ ალ. ცვაჭრელი ამ გარემოებას ანგარიშს არ უწყევს და, ალბათ, იმავე თეიმურაზის კონცეფციის გავლენით, ცვარწმუნეობს, რუსთველს ერისკაცის ტანსაცმელი აცვიოთ. ცხადია, აქ ლოგიკა წინასწარ შედგენილმა აზრმა შეიწირა.

სამწუხაროდ, მსგავსი ულოგოობა, ცოტაღ თუ ბევრად, თანამედროვე ავტორთა მსჯელობაც ახმათაბებს, რაც იმავე წინასწარ შედგენილი აზრის გავლენის შედეგია. მაგალითად, იმის დაამტკიცებელ მთავარ საბუთად, რომ რუსთველიც ჯვარის მონასტრის ფრესკაზე თითოთქოს საერო ვაზირის ტანსაცმელშია გამოწყობილი, თანამედროვე ავტორები, ჩვეულებრივ, მიუთითებენ ეინწუისის ტაძარში წარმოდგენილ შვიგნობართუხუცესისა და ქვონდიდელის ანტონ გლონისთავისძის თანასახულებზე, რომლის თავსაბურავი რუსთველის თავსაბურავს ემსგავსება, მაგრამ ხსენებულ ავტორებს ავიწყლებათ, რომ შვიგნობართუხუცესს არ შეიძლებოდა საერო ტანსაცმელი სცმოდა, აკად. შ. ამირანაშვილი ამბობს, „ანტონ გლონისთავისძეს, შვიგნობართუხუცესს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქონდიდელიც იყო, თავზე აქვს საერო თავსაბურავი მეფის გვირგვინის სახისო“¹. ამასვე იმეორებს პ. ინგოროყვაეც. მისი სიტყვით, ეინწუისის ფრესკაზე / შვიგნობართუხუცესი ანტონი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთავარბიძეობის იყო, გამოსახულია არა მღვდელმთავრის მიტრით, არამედ საეპისკოპოსო თურით, მრგვალი თავსაბურავით, რადგან ანტონი არა მარტო ქვონდიდელი მთავარბიძეობის იყო, არამედ ამავე დროს იგი იყო საეპისკოპოსო მეთაური, პირველი ვაზირი“².

სწორედ საკვირელებაა, რა საფუძველზე, ან რა ლოგიკის ძალით შეიძლება ამტკიცო, ანტონის სასულიერო პირი იყო, მაგრამ მთავარ საერო ტანსაცმელი ეცვიო? როგორ შეიძლება, რომ აღმოჩნდეს მთავარბიძეობის ულოგიკო და ეკლესიაში საერო ტანსაცმლით დეხვატო? აქ, რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველის იმაზე მითითება, რომ ანტონ გლონისთავისძე პირველი ვაზირი, ე. ი. შვიგნობართუხუცესიც იყო, რადგან ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია ცნობილია, რომ შვიგნობართუხუცესები,

¹ შ. ამირანაშვილი, „შოთა რუსთველის პორტრეტის“ გამოხატულება მკვლ. ქართულ ხელოვნებაში“ (თავ. საილბილეო კრებულო, გვ. 160).

² პ. ინგოროყვაე, თხზ. კრებ. I, გვ. 848.

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე კყინაიღვლის სახელისად მიიღებდნენ, ბერები იყვნენ, და როგორ შეიძლება, ბერს, ე. ი. სასულიერო პირს საერო ტანსაცმელი სცმოდა? ხსენებული პატივცემული ავტორები რომ იმიტომ იყვნენ და ლოგიკურად მსჯელობდნენ, რუსთაველისა და ანტონ გლონისთავისძის თავსაბურავთა მსგავსების ნჯეტრიდან მათ სულ სხვაგვარი დასკვნა უნდა გამოეტანათ, კერძოდ, მათ უნდა ელიარებინათ, რომ რუსთაველის თავსაბურავი ჰგავს სასულიერო პირის, ანტონ გლონისთავისძის თავსაბურავს. მაგრამ ამგვარი ელიარება ხომ მათი წინასწარმედგინილი აზრის დარღვევის მომასწავებელი იქნებოდა?¹

დაბოლოს, სრულიად უსაფუძვლოა, ჩვენი აზრით, ზოგიერთი ავტორის მტკიცება, თითქოს უარყოფითი ძვირფასი ბეჭედი, რომელიც რუსთაველის ზედა სამოსს (პორტფორს) სარჩულად უდევს და საველოზედაც მოვლებული აქვს, ქართული სინამდვილისათვის უცხო იყოს. აქედ. შ. ამირანაშვილი გვარწმუნებს, თითქოს „უარყოფითი ბეჭედი თეთრ, გაღმრეცილ საყვლის, რომელიც რუსთაველის პორტრეტზე შეკეთებულ ჩანს... ერთადერთი ანალოგი... მოეპოვება საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებაში“ და რომ ვითომც „ქართველ დიდ მოხელეს (ე. ი. შთაი რუსთაველს, პ. რ.) ჩაცმულობის სახეობთ ხანაათის მისაციმად შეუთვრებია ის წესი; რომელიც გავრცელებულა ყოფილა საფრანგეთში“.²

ასეთი ეარადი, ვეძირობთ, სრულიად გუამართლებელი და უსაფუძვლოა, განა რუსთაველი მოდების ამჟოლი ყმაწვილი იყო, რომ უცხოური ტანსაცმლით მოხიზლულიყო და ჯვაროსანი ფრანგებისაგან მისი თატვი გადაეღო? რა დააჯერებელია, რომ ის ბრძენი მოხეცი, რომელიც ჯვარის მონატრის პორტრეტზეა გამოსახული და რომელმაც თავისი გონება, გე-

ლი და შეიძლება იქვეას მთელი სიცოცხლეც საქართველოს დიდებას შესწირა, ტანსაცმელს ფრანგული საყვლითა მოიხრთადა? ძველი ტანსაცმელი არ არის, რომ ასეთ უცნაურ მტკიცებასდე შეეცადო მხოლოდ წინასწარ შედგინილსა და შეუძომწმებელ აზრს შეუძლია მიიყვანოს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჯვარის მონატრის ფრესკაზე წარმოდგენილი რუსთაველის ტანსაცმლის ხანაათის დადგენა და ახსნა, როგორც საერო ვაზარის ტანსაცმლისა, დასაბუთებული არ არის და არც შეიძლება იყოს.

სულ სხვა სურათი გვეჩვენება, თუ დავეშვებით, რომ ხსენებული ტანსაცმელი ზეუღლებრივი პორტფორ-ბისონია, რომელიც შეფეთა და მღვდელმთავართა სამოსელი იყო. ამგვარი დაშვებით ერთობმად ყველაფერი ნათელი გახდება. მართლაც, რაში გვეჭირდება ჩვენ საფრანგეთისა და იტალიის ანალოგიები, როცა ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ ცნობილია პორტფორ-ბისონის დანიშნულება და მისი გარეგანი აღწერილობა? გაიხსენით, მაგალითად, რას ამბობს სულხან-საბა ორბელიანი პორტფორსა და ბისონზე. მისი განმარტებით, ბისონი „სამოსელი არს ვრცელი სამფეოკინი სამღვდლო (დ) პატრიარქის შესამოსელად“ ცნობილი პორტფორის განმარტების დროისამებდა დასაქმნა: „ბისონი და პორტფორი არს სრულსა-ფეორი მეფეთა და მღვდელ-მთავართა სამოსელად მომასწავებს, რათა დასთხოონ სისხლი მათი, ვითარცა ქრისტეშან ერისთავის“.³

როგორც ვხედავთ, საბა აქ არა მარტო პორტფორსა და ბისონის დანიშნულებას განმარტავს, არამედ იმის ახსნასაც ვეძილებს, თუ რატომბა პორტფორი სანხლს ფეორი მამსახრად, მისი განმარტებიდან ირკვევა, რომ სამეფო და სამღვდელმთავარი ვარსამოსლის წითელი ფერი სამპოლური გამოხატულება ყოფილა მეფეთა და მღვდელმთავართა მოვალეობისა, ქრისტეს მსგავსად, დაღვარონ თავიანთი სისხლი ერისთავის ზემოთ, როდესაც „ღმრთაებთს გეჯარს“ ვიხილავდით, დაეინახეთ, რომ რუსთაველ მღვდელმთავარებს დათო მეფემ პორტფორისონის ჩაცმის უფლება მინიშნა მათი სამეფორო მოღვაწეობისათვის, ე. ი. სწორედ ისეთი საქმრთვის, რომელიც მოიხრთეს ერისთავის სისხლს დასთხევს, ამ სიტყვის პარადპირი მნიშვნელობით. არა ვგვონია, რომ ამ ორ მოვალეობას შორის არსებული კავშირი ძნელი შესამნიშვევი იყოს. არა ვგვონია, ავრთებ, რომ საბა ორბელიანი განმარტების სსწორეში ვინმემ იტვი შეიტანოს, რადგან სულხან-საბა, როგორც ცნობილია, თვითონ მოღვაწეობდა რი-

¹ ბ. ლომინაძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთიერთობა: VIII-XII სს. საქართველოში (ტრებულში „საქართველო რუსთაველის ხანაში“, გვ. 86).

² ფრიალ საევეო „საბუთია“ ავრთვე. ბეთანიაში წარმოდგენილი ფრესკა მანდარტორთუნეკეს სუმბატ ორბელიანისა, რადგან, ჯერ ერთი, სუმბატისა და რუსთაველის ტანსაცმელი ერთმანეთისაგან არსებობად განსხვავებულია, ხოლო მეორეც, სუმბატ, როგორც ცნობილია, ღემსას აჯანყების შემდეგ ბერად აღიკვეცა („სუმბატ სვიმონ ქსნელი“), ამიტომ ჯერ ის უნდა დადგინდეს, თვით მისი ტანსაცმელი — ბეთანის ფრესკის მხედრით — საეროა თუ სასულიერო, და მხოლოდ ამის შემდეგ შედარდეს იგი რუსთაველის ტანსაცმელს.

³ დასახელებული ნაშრომი, გვ. 162.

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1, 1966, გვ. 103, 624.

გორც საერთო, ისე სასულიერო ასპარეზზე და, ცხადია, კარგად ეცოდნებოდა საქართველოს მეფეთა და მღვდელმთავართა ტანსაცმლის სახელიცა და დანიშნულებაც.

რაც შეეხება სწავლებულ ტანსაცმლის გარეგან ფორმას, ესეც საკმაოდ ცნობილია და ამ საკითხზე დეია-კამათი, ეფიჭობით, ზედმეტია. საკმარისია აღმოაჩინო გაცენოს სპეციალურ ლიტერატურას, ვერძოდ ივ. ჯავახიშვილის, ნ. ჩოფიყაშვილისა და ივ. ციციშვილის სათანადო ნაშრომებს,¹ რათა, დაახლოებით მაინც, ცხადი გახდეს პორფირ-მისონის დანიშნულებაცა და გარეგანი ფორმაც.

ჩვენი მიზნობათვის განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს უკანასკნელი მეფის, ვიოტრი XII პორფირის აღწერილობა, რომელსაც ეკუთვნის ისეთი საწოდ ატროსის კალამს, როგორც ი. ჭავჭავაძე ილიას სიტყვით, გორავი შეფისათვის „კოვალენსკის გამოატანა იმპერატორმა პაულემ... სამეფო პორფირი ყარაულის ბეწვისა, შეინდისფერ ხავერდის საბირთვი“². თავისთავად იფიქრებოდა, რომ საქართველოს მეფეს გამოუგზავნიდნენ მისი ღირსების შესადგურ, ვ. ა. ქართველ მეფეთა სამისის, მათ შორის პორფირს, რომელსაც ილიას მოწმობით, ყარაულის ბეწვის სარბული და შეინდისფერი საბირე ჰქონია. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ სწორედ ამნაირი პორფირი აქვს წამოსხმული ჯვარის მონასტერში გაშობასულ რუსთველს, რაც სრულიად ექვემოტრეული საბუთია რუსთველის ნამდვილი ვინაობის დასადგენად.

ასეთია ამ საკითხის მეცნიერული ვაგება. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ გამოჩენილი მკვლევარების — შ. ამირანაშვილისა და პ. ინგოროყვას შეტყულებები რუსთველის ტანსაცმელზე, ჩვენივენი მიუღებულ დებულებებთან ერთად, შეიცავენ არაერთ საურადღებო დაკვირვებას და სწორ აზრს, რომლებიც არსებითად ეთანხმებიან და აღსატურებენ სწავლებულ საკითხის ჩვენს მიერ შეშთაჯებულ ჯაგებას. მაგალითად, აკად. შ. ამირანაშვილი გარკვევით მიუთითებს, რომ რუსთველის, აგრეთვე ანტონ გლოინისათვის, თანსაბურავი „მომდინარეობს მეფის გვირგვინის ფორმიდან“ და „მეფის გვირგვინის სისხისა“, რასაც, მისი აზრით, აღსატურებს ის ფაქტი,

რომ „ამ სისხის გვირგვინი მიტრა აქვს დავით აღმაშენებელს გელათის მხატვრობაში“¹.

ეს დაკვირვება უთუოდ სწორია, მაგრამ რის გვირგვინზე იგი, თუ არა იმან, რომ რუსთველს სამეფო ტანსაცმელი აცვია? სამეფო სამოსელზე (პორფირ-მისონზე) რუსთველს, ცხადია, თანსაბურავიც შესაფერი უნდა ჰქონოდა და აქვს კიდევაც: მის ახურავს სწორედ იმის მსგავსი გვირგვინი „მიტრა“, რომლითაც დავით აღმაშენებელი გელათის ფრესკაზეა წარმოდგენილი და რომელიც საბას მღვდელმთავრის გვირგვინად აქვს განმარტებული.

განსაკუთრებით საინტერესოა პ. ინგოროყვას დაკვირვება და მსჯელობა რუსთველის ტანსაცმლის მეფის ტანსაცმელთან სიახლოვეზე, პარტიკული მკვლევარი შევენიერად ზედებს და ასაბუთებს კიდევაც, რომ რუსთველი ტანსაცმელი უფრო სამეფო ტანსაცმელს ჰგავს, ვიდრე ვაზირისას, მაგრამ ამ ფაქტის სწორ ახსნას ვერ გვაძლევს. მისი აზრით, „გარეგანი პარტიკის ასეთი განსაკუთრებული ნიშანი სამეფო რანგისა, როგორც იგი პორფირის სამოსლის ტარება“ შოთას მინიჭებული ჰქონდა იმიტომ, რომ იგი ეკუთვნოდა ჰერეთის ბაგრატიონებს, რომლებსაც ასეთი პარტიკატივა თითქმის „ღატოვებული ჰქონდათ როგორც საქართველოს სამეფო ვეარის განმტოებას, როგორც ჰერეთის მხარის უოფილი მეფეების შთამომავალი“².

ამგვარი მტკიცების უნდადაგობა დღეს სადავო აღარავსთვითია, რადგან ექვემოტრად დამტკიცდა, რომ რუსთავი არასდროს არ შედიოდა ჰერეთის შემადგენლობაში და, მაშასადამე, რუსთველიც ვერ იქნებოდა ჰერეთის ბაგრატიონი, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, განა შეიძლება იმის დამეება, რომ მეფის საზეიმო ტანსაცმელი, რომელიც მეფის უზენაესი ძალაუფლების სიმბოლოა, შეეძლო მის შორეულ და თანაც უჯვე დამტკობილ ნათესავს ეტარებინა? ეს ხომ სრულიად წარმოუდგენელი აშხაქია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამეფო ტანსაცმელს არა თუ მეფის შორეული ნათესავი და მეგვარი, არამედ მისი ღვიძლი ძმაც ეი ვერ ჩაიკეთებდა. ერთადერთი აღმოაჩინა, რომელსაც შეეძლო გარეველ ვითარებაში სამეფო ტანსაცმელი ჩაეცვა, ეს იყო მღვდელმთავარი, რომელიც თავლებოდა ერის სულიერ მწყემსად, ამ ქვეყნად ქრისტი ღმერთის შობადილედ და, მაშასადამე, მოვალე იყო, მეფესთან ერთად, დანიშნობა სისხლი თვისი ერის დასაცავად.

ეფიჭობით, ვეელაფერა ნათელია.

გადავლივართ მესამე საკითხზე.

შესაძლებელია თუ არა, ახალი თვალსაზრისის

¹ შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 159-160.

² პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 850.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, 1929, გვ. 206-207; ნ. ჩოფიყაშვილი, ქართული კონსტიტუცი (VI-XIV სს.), 1964, გვ. 71-75, 148-149; ა. ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, 1955 გვ. 80.

² ა. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრება, ტ. II, 1941, გვ. 496.

მიხედვით, ჭვარის მონასტრის ფრესკაზე წარმოდგენილი რუსთველი და იმავე მონასტრის სააღაპე წიგნში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი ერთი და იგივე პირი იყოს?

ამ კითხვას ჩვენ, არსებითად, უკვე ზემოთ გავყვეით პასუხი და არა გვეგონია, სიტყვის გაგრაძელება საქირთა იყოს, მით უმეტეს, რომ სადავო აქ არაფერია, ამიტომ ვიტყვით ძალიან მოკლედ: თუკი ქართულ ეკლესიას საბელმწიფოებრივი ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული, თუკი საბელმწიფოს პირველი ვაზირი სასულიერო პირი იყო, თუკი მღვდელმთავრები ხშირად ჭარის სარდლებიც იყვნენ, შევის მდივნებიც, სახელმწიფო ელჩებიც და ა. შ., რატომ იტყვობდა შეუძლებელია, რომ სასულიერო პირს, მღვდელმთავრს, მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა დაეკავებია? მაშასადამე, თავისთავად ცხადია, რომ შოთა რუსთველს შეეძლო მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაც სტეროდა ისე, რომ ბერობიდან არ გამოსულიყო, თუმცა ეს უნაქანსენელი შესაძლებლობაც არ უფიქრა გაშორიებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შოთა რუსთველისა და სააღაპე წიგნში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობა, ჩვენი აზრით, ჭერ საბოლოოდ დამტკიცებული არ არის და საქირთა ამ საკითხის შემდგომი, გაღრმავებული შესწავლა, მაგრამ მათი იგივეობის ფაქტი ოდნავად ვერ შეუშლის ხელს ჩვენს მიერ გაშთქმულ ახალ თვალსაზრისს, რადგან სასულიერო პირისაგან საერო ხასიათის თანამდებობის დაკავება ფეოდალურ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა.

უფრო მეტს თქმაც შეიძლება: თუკი საბოლოოდ დამტკიცდება, რომ შოთა რუსთველი და შოთა მეჭურჭლეთუხუცესი ერთი და იგივე პირია, ეს გარემოება არა თუ ხელს შეუშლის, არამედ, პირიქით, ხელს შეუწყობს ისტორიულ ფაქტების გაგებას და გაიკლებით უკეთ ავიხსნის ისეთ მოვლენებსაც, რომლებიც აქამდე გაუგებარი იყო. მაგალითად, ცნობილია, რომ აღაპებში ერთგვარი დღაჯაკები, ჩვეულებრივ, ცოლებთან ერთად მოიხსენებიან ხოლმე, მაგრამ ჭვარის მონასტრის აღაპებში შოთას ცოლი მოხსენიებული არ არის; ეს ფაქტი მკვლევართა შორის გავკვირებას იწვევს. პროფ. ს. კაკაბაძე ამბობს: მოსალოდნელი იყო, რომ ნორმალურ პირობებში შოთას ჭვარის მონასტერში თავისი ცოლის ილაპაც დაეწვებია, მაგრამ ჩვენ გადავხსინვეთ ჭვარის მონასტრის აღაპებში ქალების შეახებუველა ჩანაწერები და შოთას ცოლის აღაპი ვერ ვიპოვეთო, რა დასკვნა გამოვსავს შეცნიერს ამ საყურადღებო ფაქტიდან? დასკვნა

ასეთია: რაკი შოთას ცოლის აღაპი არაად ჩანს, მაშასადამე, მართალი უფიქრა ზოგჯერ ფიქროვს კლორისტის ფანტასტიური ცნობა, || მოთქმა შოთა რუსთველს ცოლმა ვიღაც ხანგთან თუ არაბთან უღალატა და ამის გამო რუსთველის თვალი დაიშალაო. ძნელი შესაძინევი არ არის, რომ ასეთი, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური დასკვნა ზემოხსენებული ფაქტიდან მკვლევარს შეუძლია ვააკეთოს მხოლოდ წინასწარმედგენილი ვაღბა აზრის გავლენით, სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, არც შოთას ცოლის დაღატობა და არც მისი თვალის ვითომდა დაშლის დაუქვრებელი ამბავი აქ არაფერ შემაშია, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მღვდელმთავრები ბერები იყვნენ, ბერს კი ცოლი არ შეიძლებაო პულოდა. მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია, რომ აღაპებში მოხსენიებული არ არის და არც შეიძლება იყოს რუსთველის, ისევე როგორც სხვა რომელიმე მღვდელმთავრის, ცოლი.

როგორც ვხედავთ, ახალი თვალსაზრისის შექმნა ისტორიული ფაქტები სრულიად ძალდაუტანებლად იჭერენ თავიანთ ბუნებრივ აღგვილს და მათი შინაარსაც ჩვენთვის სასწავლებელად გასაგები ხდება.

გადავდივართ მეოთხე საკითხზე.

შესაძლებელია თუ არა, რომ სასულიერო პირს სახელი „შოთა“ რქმეოდა? ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხომ არ ქმნის ჩვენს მიერ წამოყენებული თვალსაზრისისათვის რაიმე დამარჯობებს ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელი შოთა, რომელიც თავისი წარმართობით ქრისტიანული არ უნდა იყოს?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, საქირთა გეოგრაფიით საკითხი არის თუ არა საბოლოოდ დადგინილი, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორს ნამდვილად შოთა ერქვა?

როგორც ცნობილია, ამ საკითხზე შეცნიერება შორის არსებობდა სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ჭერ კიდევ XIX საუკუნეში ჩიხისაბა. ხსენებულ საუკუნეში იყვნენ მკვლევარები, რომელთა აზრით, ვეფხისტყაოსნის ავტორს ერქვა არა შოთა, არამედ ივანე (იოვანე)¹. იმავე ხანებში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული შეხედულება, რომ შოთას ნამდვილი სახელი იყო ამოთა. ამ აზრს ჩვენს დროშიც დაიკნებით იცავდა პროფ. ს. კაკაბაძე², იგივე ავტორ-

1 ვიოტრი ბაჩათოვი, Памятники письменности Грузии («Кавказ», 1849 № 29, 25/VI); ა. გოლოვინი, Историческое обозрение Грузии («Кавказский календарь на 1865 г., 1864 г. გვ. 77), ნ. ლუბოვინა, Тамара (წიგნი «Природа и люди на Кавказе и за Кавказом» 1869, შემდგენელი პ. ნადეჟდინი).

2 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

მა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა შოთას მეორადი (შერქმეული) სახელი ყოფილიყო სულხანი¹.

ცალკე უნდა გამოვყოთ აქედ კ. კეკელიძის აზრი, რომლის მიხედვით, ჩვენ საერთოდ არ ვიცით, რა ერქვა ვეფხისტყაოსნის ავტორს და მხოლოდ პირობითად ვუძებთ მას შოთას².

ტყვემთ დარწმუნდებით, რომ ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობისათვის უფროდ არსებობს გარკვეული საფუძველი. თუმცა ეს საფუძველი არ იძლევა იმგვარი სექტიციზმის უფლებას, როგორც აქედ კ. კეკელიძე იჩენდა. საკითხის ვულდასმით და ყოველმხრივ შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის ამჟამად გარკვეული და მეცნიერთა დიდი უმრავლესობისაგანაც აღიარებული სახელი „შოთა“, ნამდვილი სახელია იმ ვენიონისა, რომელმაც უკვედაო პოემა ვეფხისტყაოსანი შექმნა, ოღონდ შოთა არის მისი საერისკაცო სახელი, ბერად შედგომის შემდეგ კი მას უფროდ სხვა სახელი ერქმოდა.

დავასაბუთოთ წამოყენებული დებულება.

საიდან მომდინარეობს და რა საფუძველს ემყარება ამჟამად დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის მიხედვით ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელი არის შოთა? ეს ტრადიცია ემყარება სამ წყაროს: ზალბურ „შემოქმედებას ანუ ფოლკლორს, აღორძინების პერიოდის ლიტერატურულ ტრადიციებს და იერუსალიმის ჯვარის მონასტერში წარმოდგენილ რუსთველის ფრესკის წარწერას. ჩვენ ზედმეტად დივიანა სატიკის ვაგერებელა ფოლკლორის მონაცემებსა და ლიტერატურულ ტრადიციებზე, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახალხო მოქმედებაცა და აღორძინების ხანის მწერლებიც ვეფხისტყაოსნის ავტორად ერთსულოვნად შოთას ასახელებენ. ეს ფაქტი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, რადგან წარმოდგენილია, რომ სხვენებულ წყაროთა ასეთ ერთსულოვან ჩვენებას რაიმე რეალურ-ისტორიული საფუძველი არ ვაჩინდეს, მაგრამ, რამდენადაც ჩვენი თვის სხვენებული საფუძველი უცნობია, იძულებული ვართ ელითრობა, რომ ლიტერატურული ტრადიციები და ზალბური ვადმოცემები — მათი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად — არ გვაძლევენ სადაყო პრობლემის, საბოლოოდ გადაწყვეტის საშუალებას. სამაგიეროდ, ჯვარის მონასტრის ფრესკის წარწერა ისეთი ვადამწყვეტი მნიშვნელობის საბუთია, რომელიც სარულიად ექვმიურთადად ვივალსტურებს ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელის ნამდვილობას. ამიტომ შეეხებით ამ საბუთს უფრო დარწმუნებით.

აკად. კ. კეკელიძემ ექვმიურ დააყენა ჯვარის

მონასტრის ფრესკისა და მისი წარწერის მნიშვნელობა ვეფხისტყაოსნის ავტორის ვენიონის დასადგენად. ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ავტორის ისტორია“ მან სცადა ის აზრი დაესაბუთებინა, რომ თითქმის შოთა, როგორც ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელი, გამოგონილი იყო XV-XVII საუკუნეებში ჯვარის მონასტრის აღამში მოხსენიებული „შოთა მეტურტლეთუბეცისა“ ვალენით და რომ თითქმის ეს შოთა მეტურტლეთუბეცეა ნიკიფორე ირბაშვი, ჯვარის მონასტრის მამამ, შეუდომით ვაიგვავა რუსთველის სახელთან, რაც აღბეჭდა კიდეც მონასტრის სვეტზე 1643 წელს³.

სამბედნიეროდ, ვანსვენებული მეცნიერის მთელი ეს მსჯელობა ამჟამად რუსთველოლოგიის უკვე განვლილი ეტაპია. როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც იერუსალიმში იმოგზაურა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ — ირ. აბაშიძის, ა. შანიძისა და ვ. წყნეთისის შემადგენლობით, ახალი შეტი მოეფინა რუსთველის ბიოგრაფიის მრავალ საკვანძო საკითხს, რომელთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი პოეტის სახელის დღდასტურებას უჭირავს. სამეცნიერო ექსპედიციის მნიშვნელოვან დამსახურებულ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ალ. ბარამიძე, უნდა ჩაითვალოს რუსთველის პორტრეტის წარწერის სწორად ვამაფრეს და ვააზრება. ექსპედიციამ დაადგინა, რომ სხვენებული წარწერა ორი ნაწილისაგან შედგება: ჭვემიოდან პორტრეტის აწერია „რუსთველი“, რაც ვამოსახული პირის ვინაობას აღნიშნავს, ზემოდან კი წარწერილია „ამისა დამხატვაჲსა შოთას(ს) შეუნდენეს ლმერთმანს ამინ“. რამდენადაც წარწერის ორივე ნაწილი ერთი და იგივე ხელით არის შესრულებული, უდავოა, რომ საქმე გვაქვს ერთ მთლიან წარწერასთან, რომლის ორივე ნაწილი ერთმანეთთან უშუალო კავშირშია და ერთსა და იმავე პირის, სახელდობრ, სერაიმზე გამოხატულ რუსთველს შეეხება. წარწერის ამგვარი ვაგების სისწორე რომ უოველგვარ ექვს ვარეშეა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იმავე მონასტერში მოიპოვება ზუსტად ანალოგიური ხასიათის წარწერები, რომლებიც შეეხება ისტორიაში ვარჯად ცნობილ მღვდელმოაფრებს არსენს და ვამბიულ დრანდელს.

ამრიგად, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში დღეს უცილობლად დამკვიდრებულია, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის ნამდვილად შოთა ერქვა. მაგრამ ამ ტკმშარიტების დადგენით პოეტის სახელის პრობლემა სრულიად არ არის ამოწურული, როგორც ეს ვეკლევართა დიდ უმრავლესობას, და მათ შორის აკად. ალ. ბარამიძესაც, მგონია.

¹ იქვე, გვ. 94.

² კ. კეკელიძე, ძვ. ჭართ. მწ., ისტორია, II, 1952, გვ. 109.

³ კ. კეკელიძე, დასახ. ნშრ., ტ. II, 1952, გვ. 106-108.

ცნობილია, რომ პრეტ. ს. კაიბაძემ, უკვე მას შეუდგა, რაც იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მასალები გამოქვეყნდა, კვლავ ვაიმერია ის აზრი, რომ რუსთაველის ნამდვილი სახელი ამოთანი არისო. ამის გამო მას მკაცრად დაუსხა თავს აღ. ბარამიძე, რომელსაც პოეტის სახელის ირველივ შემდგომი კამათი, როგორც ჩანს, ზედმეტად მაიანია. ეგება რა ეფეხისტყაოსნის მამუკა თავაძლავილისეულ ხელნაწერს, აქ წარმოდგინლ რუსთაველის სურათს და მის დაზიანებულ წარწერას, რომელშიც ს. კაიბაძემ „ამოთანი“ ამოიკრთხა, აღ. ბარამიძე ამბობს: „საკვირველია, საიდან მიიღო ს. კაიბაძემ ამოთან. ამის მსგავსი რამ წარწერაში არ არის... მამუკა რუსთაველს უწოდებს შოთას და არა ამოთანს. მიუღო ისტორია ამოთანის შესახებ შეთხზული და მოგონილია ს. კაიბაძის მიერ... ამოთანი ს. კაიბაძის ფანტაზიის ნაყოფია“.¹

ასე კატეგორიულად მსჯელობს აღ. ბარამიძე. ჩვენი აზრით, პატივცემული შველევარი უფროდ მართლია, როცა აცხადებს, რომ ზემოხსენებული დაზიანებული წარწერის მიხედვით, რომელსაც სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად კითხულობს, არ შეიძლება ვაბტაკოთ, რუსთაველს ამოთანი ერქვაო, მაგრამ იგი სრულებითაც არ არის მართალი, როცა ვვარწმუნებს თითქმის მთელი ისტორია ამოთანის შესახებ ს. კაიბაძის მიერ იყოს შეთხზული და მისი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდეს.

საკუთვლათოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჟერ კიდევ XIX საუკუნეში იყო გამოთქმული და საკმაოდ ფართოდაც გაერკლებული მოსაზრება, რომლის მიხედვით რუსთაველის სრული და ნამდვილი სახელი უნდა ყოფილიყო ამოთანი, ხოლო შოთა ამ სახელის კნინობით ფორმად, პოეტისათვის საალურსოდ შერქმეულ მეტსახელად შიანდათ. ამ საკითხზე განსაკუთრებით ბევრს წერდა ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია კიკინაძე, რომელმაც წერილების მთელი სერია მიუძღვნა რუსთაველის სახელის პრობლემას. წერილში, რომლის სათაურია „ამოთან, თუ შოთა?“ და რომელიც 1885 წელს ვახუთ „დროებაში“ დაიბეჭდა, ზ. კიკინაძე საზოგადოებას ამცნობდა, რომ მან იპოვა ზელნაწერი წიგნი, სათაურით „მემხოლოე სულიერი“, დაწერილი XIX ს. დასაწყისში „რუსეთში მყოფის ბატონიშვილების ერთის ქართველის მღელღისაგან“.² რომელშიც ვეფ-

ხისტყაოსანი მოხსენიებულია როგორც „შოთის რუსთაველის ნაწარმოები, და განაგრძობდა: „აქამდის მრავალთათვის საკუთრველი“ უყო, რომ შოთას ქრისტიანობაში აღაბნემა ჩამოხსენს საქართველოში და რუსთაველისთვის კი უწოდებიათო... ეხლა კი ჩვენ უბეკოდ ვერწმუნდებით, რომ რუსთაველისთვის ამოთანი უნდა ეწოდებინათ, რადგანაც ამოთანი ქრისტიანობის შემდეგაც იხმარებდა... უმეკველია, რომ რუსთაველის სახელი ამოთანი იქნებოდა და ხალხისაგან შოთათ გადაკეთებული, რადგანაც საქართველოს ერს უფრო ვადვილება ისეთი სახელების ხმარება და ხსენება, რომელთაც კნინობითი ფორმა აქვს მიცემული“.¹

ესი წერილი ცხადსყმებს, ჟერ ერთი, იმ ფაქტს, რომ ამოთანის ამბავი ს. კაიბაძის მოგონილი და შეთხზული არ ყოფილა; მეორეც, — ამოთანის საკითხი შემთხვევით კი არ აღძრულა ქართველი საზოგადოების წინაშე, არამედ მას გარკვეული მიზეზი და თანაც ერთგვარი საფუძველი ჰქონდა.

ზ. კიკინაძე შემდგომი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და ეტრნალ „თეატრის“ ფურცლებზე მის შესახებ რამდენიმე წერილი დასტამბდა. ხსენებულ წერილებში ავტორმა უფრო ზუსტად ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი და საკმაოდ ნათლად განმარტა ის მიზეზები, რომლებიც სახელ „შოთას“ მიმართ მის დაუკვეებას იწვევდა.

ჩვენ ყოველთვის ვეფირობდით, რომ ვეფხისტყაოსანის ავტორს შოთა ერქვა, მაგრამ ექვი ვეუპარებოდათ, — ამბობს ზ. კიკინაძე და განაგრძობს: „ამის ექვეში შეყენას ჩვენ ის უფრო ვეაბედებინებდა და ვეაფიქრებინებდა, რომ შოთას სახელით დღეს მთელ ქრისტიანურებაში არც ერთი წმინდანი არ მოიპოვება და ამის ძალით ქრისტიანთ ეკლესიათ კრებავებს ეს სახელიც არ შეუტანიათ თავიანთ სახელთ კანონთ კრებებში, ამ სახელით მათ არც ერთი პირი არ შეუტყარაობდა და უცენიანთ წმინდანთ და მამროგორც მოხდებოდა უამისოდ, რომ სარწმუნოებით ეფანტიე ბერ-მონოზენებს ეს სახელი ქრისტიანობის დროს შეუპარვოდათ და ვაერეკლებულიყო ხალხში, ეს სახელწოდება „შოთა“ ქრისტეს წინათ, საქართველოში ეკრათთა-ვეანისციემის დროს იყო გაერეკლებული... ხალხს ისე ვესჯდომია ეს სახელი თავის რბოლსა და ძეაღში, მათ ეს ისეთ საღმრთო ვალად ვარდაქვევით და იმის ისეთი პატივისციემა ჰქონიან, რომ ეს საყერპო სახელი ქრისტიანობაშიც კი შეუტანიან და უხმარიათ, მაგრამ ცვლილებით კი: ისე რომ სიტყვისთვის თავში ასო ა მიუღებებინათ და ბოლოში თანდებული ანი“.² როგორც ვხედავთ, აქ საკმაოდ მწყობრად არის ჩამოყალიბებული ავტორის თვალსაზრისი.

1. ა. ბარამიძე, შ. რუსთაველი და ქართველობა ქვერის მონასტერი იერუსალიმში (საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, 1966, გვ. 20-21).

2. ს. კაიბაძის განმარტებით, აქ იონა ზელაშვილი იგულისხმება (ს. კაიბაძე, რუსთაველი და მისი ეფეხისტყაოსანი, გვ. 95).

¹ ვახ. „დროება“, 1885, 13 აგვისტო.
² ეტრნ. „თეატრი“, 1886 წ. № 49.

საქათის ამგვარი გაგება იმდენად დამაყრებლად მოსჩვენებოდა ქართული კულტურის იმდროინდელ მესვეურებს, რომ ი. გოგებაშვილს შესაძლებლად დაუნახავს ხსენებული თვალსაზრისი, მიეროდენი სახეცვლილებით, სასკოლო სახელმძღვანელოში, „ბუნების კარში“ შეტანა. 1885 წლიდან მოკლებული ხსენებულ სახელმძღვანელოში იბეჭდებოდა რუსთველის მოკლე ბიოგრაფია, რომელიც, ავტორის სიტყვით, ზეპირსიტყვიანობას ემყარებოდა. ამ ბიოგრაფიაში ნათქვამი იყო (ციტატა მოგვეყავს „ბუნების კარში“ 1912 წლის გამოცემის მიხედვით): „ჩვენს სასიბიჯლო პოეტს სახელად რქმევია ამოთან და აქედან წარმომდგარა შემოკლებული სასკოლო სახელი „შოთა“. როგორც ახლა, ისე უწინდელს დროში ქართველებს ძლიერ უყვარდათ საუკმინჯლო სახელების ხმაირება დღეების შესახებ, როგორც ახლა, ისე უწინ სამოციოთხმოცი წლის მოხუცებულებს ეძახდნენ: კობე, სანტრო, ვანო, ილიკო და სხვანი. აი, ამ ჩვეულებებს წყალობით რუსთველს შერჩენია ბავშვობის სახელი „შოთა“¹.

ცხადია, რაკი ამოთანა, როგორც ვითომდა რუსთველის ნამდვილი სახელი, სასკოლო სახელმძღვანელოშიც კი შეუტანიათ, ეს იმის უდაგო შიშობაა, რომ აზრი ხსენებული სახელის ნამდვილობისა იმდროინდელ მოღვაწეთა და მეცნიერთა შორის ფართოდ გაერყელებული ყოფილა. მართლაც ზ. ჭიჭინაძე თვითონვე ევამცინობს, ჩემმა წერილმა ამოთანის შესახებ საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა და დასძენს: დამიტყვი ბაქრაძემაც დავვიდასტურა, რომ „შოთის ნამდვილი სახელი ამოთანა უნდა იყოს“².

ამ გამოიწვია ამოთანის ასეთი წარმეტება? ზ. ჭიჭინაძის აზრით, როგორც დავიანახეთ, „შოთას“ მიმართ ექვევს ის გარემოება იწვევდა, რომ ეს სახელი არ იყო შეტანილი ქრისტიანული კულტურის კალენდარში, იმ მიზეზით, რომ „შოთას“ სახელით დღეს მთელ ქრისტიანურში არც ერთი წმინდანი არ მოიპოვებოა“. მაგრამ აქ დასმის სრულად ბუნებრივი კითხვა: ვანა „შოთას“ ვარა ცოტაა არაქრისტიანული წარმოშობის სახელები, რომლებსაც ქრისტიანობის დროს ქართველები ატარებდნენ და რომლებიც არახდროს არ ყოფილა შეტანილი საეკლესიო კალენდრის წმინდანთა სიაში? ასეთი სახელები ხომ უპირადაა ქრისტიანობამ, როგორც ცნობილია, მიიღო და გაავრცელა მრავალი არაქრისტიანული, წარმართობისდროინდელი სახელი, რადგან იმდროინდელი იყო ანგარიში გვერსა ხალხში დამკვიდრებული ტრადიციებისათვის. თვით ზ. ჭიჭინაძეც აღიარებს, სახელი „შოთას“ ხმარება ქართველ ხალხს ისე

შეუთესებია, რომ „ამ ჩვეულებაზე ვერც საეკლესიო კანონებს უმოკმედია და ვერც რამ სხვა ბრძანებით მხარებდასაო“-ს. ეს აზრი ნაკლებით სწორია, მაგრამ აქედან-ლოგურად გამომდინარეობს შემდეგი დსაცნა: მართო საეკლესიო კალენდარში შეტანილობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო საქმარისი მიზეზი იმისა, რომ სახელი შოთა, როგორც ერისკაცის სახელი, აეთვალწუნებოდა და მის ივლიად „ამოთანა“ დაემკვიდრებოდა. მაშ, რა იყო ამის მიზეზი?

ჩვენი აზრით, „ამოთანის“ წარმოშობისა და გაერყელების ნამდვილი მიზეზების გასაგებად, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოება: ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორში, როგორც უკვე ვნახეთ, შოთა რუსთველი, ასე თვ იგი, ყოველთვის სასულიერო პირად შეთვალა წარმოდგენილი; აღორძინების ხანაში მის რუსთველ მღვდელმთავრად სთვლიდნენ; შემდეგში, თ. ბაგრატიონის წყალობით, მართალია, რუსთველი აღარ მიაჩნდათ სასულიერო პირად, მაგრამ ვაღმოცემი მუხუცების ყომას პოეტის ბერად შედგომის შესახებ, მონე ყოველთვის სჭროდათ; ბერი კი ხომ იგივე სასულიერო პირია და ის ვერ ატარებდა ისეთ სახელს, რომელიც საეკლესიო კალენდარში არ იყო მოხსენიებული. აი, ჩვენი აზრით, ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ რუსთველი ითვლებს ასე აწუხებდათ წმინდანთა სიაში „შოთას“ მოუხსენიებლობა და ამის გამო პოეტს ხან ამოთანს არქმევდნენ, ხან იოვანეს და ხან კიდევ სულხანს.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსთველის სახელის ირგვლივ გრველდროინდელ ხანაში შექმნილ მთელ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტორიკოს პლატონ იოსელიანის პატარა ნაშრომს — „შოთა რუსთველი“, რომელიც ჯერ ვახუშტი „ქაეკახში“ დაბეჭდა, ხოლო შემდეგ ცალკე ბროშურადაც გამოიცა. ამ ნაშრომში გამოთქმულია უაღრესად საყურადღებო და არსებითად სწორი თვალსაზრისი პოეტის სახელის შესახებ, ამიტომ ზედმეტი არ იქნება ახლოს გავვეცნოთ ამ თვალსაზრისს.

სახელი შოთა წმინდა ქართული სახელია და ძალიან ძველიცაა, — ამბობს პ. იოსელიანი და განაგრძობს:

«Этого имени нет в святцах христианских, и не было обязательного обычая у древних христиан, как и у грузин, при крещении давать имена святых, прославленных церковью»³.

მივაქციოთ ყურადღება: საეკლესიო ცხოვრების ისეთი ყარგი მყოფნე, როგორც პ. იოსელიანია, გვიმოწმებს, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში არ იყო საეკლესიო, მონათლას

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 6, 1959, გვ. 680-681.

² „თეატრი“, 1886, № 50.

³ ივე.

³ П. Иоселиани, «Шота Руставели», Душет, 1870, гв. 1-2.

დროს ადამიანსათვის მიიწეო და მიიწეო წმინდნის სახელი დერქმითათ.

ავტორი განაგრძობს:

«Очень часто грузины, уже времен христианских, при втором рождении духовном от св. купели (так выражалась грузинская церковь, согласно выражению вселенской церкви) получали имена героических эпох народа, и очень часто же эти имена, по высоте христианской жизни лиц, их носивших или ради принимаемых ими за церковь и христианское отечество мученических венцов, освящались благодатью духовною для синов церкви, их прославившей. Так явились в грузинском христианском царстве имена Або, Раждена, Арчила, Кетеваны и другие. Таково и имя прославленного веками поэта Шоты Руставели. Из имен, таким образом образовавшихся, одни вписаны в святцы грузинской церкви, другие остались или в книгах церковных, неизданных, или в предании народа»¹.

როგორც ვხედავთ, ჩვენი გამოჩენილი დღესმეფეველი აქ უდავოდ მეცნიერულად მსჯელობს: ჩვენთვის საინტერესო მოვლენის განვითარების ის ეკლესიის დოგმებით კი არ განაპირობებს, არამედ, პირიქით, ხალხის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი პრაქტიკის გავრცელებით ხსნის საეკლესიო ნორმების ცვლილება-განვითარებას, რაც შეთოდლოგიურად სავსებით სწორია.

3. იოსელიანის ზემოპოტანილი მსჯელობა და, ცხადია, რომ არაქრისტიანული წარმოშობის სახელები, რომელთაც შინათვის დროს ქართველები ხშირად იღებდნენ, შემდგომში შეიძლებოდა გადატყველიყო ქრისტიანულ სახელებად, მაგრამ საეკლესიო კალენდარში შეიღობა ამ გაქრისტიანებული სახელების მარტო ერთი ნაწილი, მათი მეორე ნაწილი რჩებოდა ან გამოუცემელ საეკლესიო წიგნებში, ან კიდევ ხალხის ვადმოცემებში.

საყურადღებოა, რომ 3. იოსელიანი, როგორც ეს მისი ნაშრომიდან ცხადად ჩანს, სახელ „შოთას“ რუსთველის მხოლოდ საეროს-კაცო სახელად მიიჩნევდა; მას ეწვიც კი არ ეპარებოდა, რომ ბერად შედგომის შემდეგ პოეტს სხვა სახელი უნდა რქმეოდა, ოღონდ, მისი აზრით, «Осталось неизвестным... под каким именем поэт... вступил в тишину немолчного небесного слова в Иерусалиме»².

როგორც ითქვა, 3. იოსელიანის ზემოკადმოცემული თვალსაზრისი ჩვენ არსებითად სწორ თვალსაზრისად მიგვაჩნია, მაგრამ აქ შეიძლება დაიბადოს შემდეგი კანონიერი კითხვა: თუკი „შოთა“ პოეტის საეროსკაცო სახელია/

ხოლო ბერობაში მას სხვა სახელი ჰქონდა, როგორ მოხდა, რომ გვიან მომასტერში რუსთველი მოხსენიებულია საეროსკაცო სახელით — მაშინა შესაძლებელია, რომ სასულიერო მამებისა და ერისკაცო სახელით მოახსენიონ და ისიც მომასტერში?

კონკრეტული ისტორიული მისაღის, ყებოძოთ კი საეკლესიო საბუთების, ყურადღებით შესწავლამ ჩვენი საეკლესიო დოკუმენტები, რომ სასულიერო პირის საეროსკაცო სახელით მოხსენიება შესაძლებელი ყოფილა როგორც საისტორიო წყაროებში, ასევე ეკლესია-მონასტრებში.

გავეცნობოთ ზოგიერთ დამახასიათებელ მაგალითს.

ცნობილია, რომ XI საუკუნეში საქართველო კათალიკოზ-პატრიარქის ტახტი ეკია დიდად განათლებულ სასულიერო პირს, რომლის საეროსკაცო სახელი იყო ოქროპირი, ხოლო სასულიერო სახელი — იოვანე. სახელი „ოქროპირი“, ისევე როგორც სახელი „შოთა“, არ არის შეტანილი ქრისტიან წმინდანების სახელთა სიაში. ამის მიუხედავად, ხეწებელი კათალიკოზ-პატრიარქი ისტორიულ საბუთებში უფრო ხშირად ოქროპირად იხსენიება. მართალია, ზოგიერთ საეკლესიო დოკუმენტში, კერძოდ შიო-შღვიმის სახელით ეტრატში, ხეწებელი მამამთავარი იოვანედ იწოდება, მაგრამ სხვა დოკუმენტებში ის იწოდება ოქროპირი-იოვანედ³, ან კიდევ უბრალოდ — ოქროპირად. დამახასიათებელია, რომ ისეთ დიდმნიშვნელოვან საისტორიო წყაროში, როგორც „ქართლის ცხოვრება“, იგი ყველგან ოქროპირად იწოდება. მაგალითად, „შატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს: „დაჲდა კათალიკოს-პატრიარქი ოქროპირი, და აშინცა მრავალნი შემადგა დიდსა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა“⁴; ან: „წმიდამან აშინ კათალიკოს-პატრიარქმან ოქროპირი(მს) მრავალნი ეკლესიანი აღაშენნა და განაახლნა“⁵; ან კიდევ: „გარდაიცვალა კათალიკოს-პატრიარქი ოქროპირ, და დაჲდა გორგი ტაოელი“⁶.

ამ ამონაწერებიდან ცხადად ჩანს, რომ ისტორიულ წყაროებში სასულიერო პირის მოხსენიება მისი საეროსკაცო სახელით სავსებით შესაძლებელი ყოფილა, თუნდაც რომ ეს სახელი კალენდარული (კანონიზებული) არ ყოფილიყო. თავისთავად იგულისხმება, თუკი თვით კათალიკოს-პატრიარქი შეიძლებოდა არაკალენდარული საეროსკაცო სახელით მოხსენიებით, რუსთველიც ასევე შეიძლებოდა მოხსენიებით არაკალენდარული საეროსკაცო სახელით.

1 თ. ყორღანი, ქრონიკები, 1893, გვ. 80.
 2 საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1948 წლისათვის, გვ. 105.
 3 „ქართლის ცხოვრება“, I, 1955, გვ. 296.
 4 იქვე.
 5 იქვე, გვ. 313.

1 იქვე-
 2 იქვე-

მაგრამ შეიძლება ჩვენ შემოგვედავონ და გვიოთხან, „ქართლის ცხოვრება“, რაც უნდა იყოს, მაინც საერო ხასიათის ნაწარმოებია, მონასტერში კი ივნებ შეუძლებელი იყო მღვდელმთავარი საეროკაცო სახელით მოეხსენებიათ.

ამგვარი შემოდავების უსაფუძვლობას ამტკიცებს შემდეგი ფაქტები: იერუსალიმის ჭვარის მონასტერში, შოთა რუსთველს ვარდა, სხვა მღვდელმთავრებიც ყოფილან წარმოდგენილი არაყალენდარული და საეროკაცო სახელებით. მაგალითად, ერთ-ერთ კედელზე გამოხატული ყოფილა ორი მღვდელმთავარი, რომლებსაც ასეთი წარწერა ჰქონიათ: „ღირსი ნუნუს ეპისკოპოსი ქართველი“ და „ღირსი ეპისკოპოსი კონდ ქართველი“! აქ ერთი ამ სახელთაგანი (ნუნუს და კონდ) კალენდარული არაა, ისინი წარმართობის დროიდან მომდინარე სახელებია. მ კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცნობილი მღვდელმთავარი ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილი, რომელიც თვითონ იყო ჭვარის მონასტრის წინამძღვარი და თვითონვე ხელმძღვანელობდა ამ მონასტრის ვანახლება-მოხატვას, ხსენებული მონასტრის წარწერებში და სხვა დოკუმენტებში ხან სასულიერო სახელით ყოფილა მოხსენიებული, ხან კიდევ საეროკაცო სახელით. ცნობას ამის შესახებ გვაწვდის ისეთი სანდო და თვითმხილველი მოწმე, როგორც პროფ. ალ. ცაგარელია. ის ამბობს:

«Никофор Чолокашвили в надписях, записях и у писателей называется в одно и то же время и мирским и монашеским именем: то Никифором то Николаем»¹.

ამ ამონაწერებიდან ცხადზე უცხადესია, რომ სასულიერო და საერო სახელებს შორის ფორდალიზმის ეპოქაში ჩინური კედელი არ ყოფილა აღმართული და მღვდელმთავრის მოხსენება მისი საეროკაცო სახელით ამ დროს სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიუჩნევათ. ეს ვარაუდებია ჩვენთვის გასაგებია უნდა იყოს, რადგან ვინ არ იცის, რომ ბევრი გამოჩენილი მოღვაწის სახელი ჭერ კიდევ მის ბერად შედგომამდე დიდი ხნით ადრე ხდებოდა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი და როგორღა შეეძლო მისი წამლა გვიან შერქმეულ სასულიერო სახელს? ეს აზრი მით უფრო სწორია რუსთველის მიმართ, რომლის გენია, ეჭვს ვარაუდშია, ახალგაზრდობაშივე უკუდავების შარავან-

დელით შემოსავდა პოეტის სახელს და რაღა მალას შეეძლო ხალხის ხსოვნიდან მისი საეროკაცო სახელის ამოშლა?!

ვფიქრობ, ეს საკითხიც ნათელია, მაგრამ საეჭვო რომ აღარაფერი დარჩეს, დავასახელებთ კიდევ ერთ, უაღრესად საინტერესო და დიდძალიწვენილოვან ფაქტს, რომელიც, ჩვენი აზრით, საბოლოოდ სწვევტს სახელ „შოთასთან“ ქართული ეკლესიის დამოკიდებულების პრობლემას და აქარწყლებს მის მიმართ ყოველგვარ ეჭვებს. მხედველობაში გვაქვს ქართულ ეკლესიაში წმინდანთა განსაკუთრებული ჭვუფის არსებობის ფაქტი, რასაც ჩვენ ყურადღება მივაქცევთ საქართველოს ეკლესიის კალენდრის შესწავლის დროს. ირკვევა, რომ ქართულ ეკლესიაში, როგორც ამას სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატეს მიერ გამოცემული კალენდარი გვაცნობს,² დაწვეებული ყოფილა იმ პირთა საგანგებო მოსახსენებელი, რომლებიც საქართველოში ეწამენ, მაგრამ ქრისტიანული ეკლესიის ოფიციალურ, კანონიზებულ სააში შეტანილი არ არიან. აქედან ჩანს, რომ ქართულ ეკლესიის დავისი საკუთარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთიველი წმინდანებიც ყოფილა, რომელთა სახელები თუმცა კანონიზებული არ ყოფილა, მაგრამ ჩვენს ეკლესიაში მაინც წმინდანებად მოხსენიებოდნენ.

ეს მოსახსენებელი, რომელიც დაწვეებული ყოფილა 11(24) დეკემბერს, იწყება შემდეგი სიტყვებით: „ხსენება ყოველთა წმიდთა, სა-

¹ ჩვენ დამაჯერებლად გვეჩვენება ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება ამის შესახებ, რომ რუსთველს ვეფხისტყაოსნის დაწერამდე უნდა ჰქონოდა ლექსები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს ფრანგი ავტორის ფრანკ ტუსენის მიერ არაბული წყაროდან პროზად ნათარგმნი ქართული ლექსები, რომელთა შორის რუსთველის ერთი ლექსის ნაწვევტიც მოიპოვება. მიხეილ მამაცაშვილის აზრით, რომელმაც ხსენებული ლექსის ქართული თარგმანი 1959 წელს უფრანს „დროშაში“ (№ 11) გამოაქვეყნა, კრებული, საოდანაც ტუსენმა ქართული ლექსები თარგმნა, შედგენილი უნდა იყოს სირიელი მწერლის აბულ ფარაჟ ბარ ჰებრეუსის მიერ; ეს აბულ ფარაჟი სასულიერო პირი უფოდა და XIII საუკუნის მეორე ნახევარში მას სამხეტოში ეპისკოპოსის ტახტი სჭერია. საფიქრებელია, რომ სწორედ აქ, საქართველოს მეზობელ ქვეყანაში გაეცნო აბულ ფარაჟი ქართული პოეტების და მათ შორის რუსთველის ლექსებს. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსთველის ბიოგრაფიისათვის.

² საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1943 წლისათვის, გვ. 64.

¹ ჰ. ინგოროყეა, თხზულებანი, ტ. 1 გვ. 811.

² იქვე, გვ. 815.

³ А. Цагарели, Памятники грузинской старины, გვ. 107.

ქართველში წამებულია, რომელია შორის უნდა ვივლით... ამის შემდეგ შორის წმინდანთა სახელების ჩამოთვლა და დასახელებულია 187 წმინდანი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ამ „წმიდა“ სახელთა შორის მოხსენიებულია ქართველი ხალხისათვის ძვირფასი სახელი შოთა, აგრეთვე სახელი ოქროპირი და შრავალი სხვა მათი მსგავსი არაკლენდარული ქართული სახელი. აქედან ცხადია, თუ რატომ არ ეტყობოდა ქართულ ეკლესიას სახელები შოთა, ოქროპირი და სხვა მისთანები.

აქედან ცხადია, აგრეთვე, თუ რატომ მიიჩნის იერუსალიმის წყარის მონასტრის მამებმა შესაძლებლად, რომ რუსთველის სურათისთვის წყაფრათ იხა მისი ნაყლებად ცნობილი სასულიერო სახელი (რომელიც, შესაძლოა, მართლაც კლენდარული ამოთანი, ან იოვანე იყო), არამედ ეველასათვის ცნობილი და საყვარელი საერისიყო სახელი შოთა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ისტორიამ, რომელიც ყოველგვარი ღირებულების ნამდვილი დამფასებელია, რუსთველის სასულიერო სახელი დაიფრწა, პოეტის საერისიყო სახელი კი შემოგვიჩინა. ვფიქრობთ, ეს საესებით ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ქართველი ხალხისათვის რუსთველი ძვირფასი იყო არა როგორც მღვდელმთავარი, არამედ როგორც პოეტი.

გადავდივართ უკანასკნელ, მეხუთე საკითხზე. რა ხასიათისა და რამდენად სანდოა იერუსალიმის წყარის მონასტრთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებს, რომლებიც ხსენებულ მონასტერში რუსთველს უფინას გვიდასტურებენ?

ამ საკითხის გარკვევის, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო რუსთველის ბიოგრაფიის შესწავლისათვის, არამედ, აგრეთვე, იმ არასწორი ტრენდციის გამოძევების თვალსაზრისითაც, რომელიც ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის გარკვევის მიზართ თანამედროვე რუსთველოლოგიაში შეიმჩნევა.

ჩვენ უკვე გვგონდა საუბარი ქართული ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის შესახებ, რომელიც, ხალხური შემოქმედების მსგავსად, გვიდასტურებს იერუსალიმის წყარის მონასტერში რუსთველს წასვლისა და ბერად შედგომის ფაქტს. ეს ტრადიციული შეხედულება იმდენად მტკიცედ იყო ქართულ ლიტერატურაში ფეხგადგმული, რომ იგი მთლიანად თითო თეიმურაზ ბაგრატიონმაც ვერ უარყო, თუმცა თეიმურაზი, გარკვეული მიზნით, ამტკიცებდა, რუსთველი წყარის მონასტერში ბერად არ შემდგარა, ერისკაცად ცხოვრობდა.

ტრადიციული შეხედულება ეს, თეიმურაზისეული „შესწორება“ ხალხით აიტაცეს იმ ავტორებმა, რომლებიც ცდილობდნენ, რაღაც

არ უნდა დაქდომოდით, ჩამოეცილებით დიდი პოეტი სასულიერო წოდებისათვის. მაგრამ სხენებული შესწორების ულოგოზონს თანამდებროვე შევლევარებს შეუშინვევლი. არ დასრინინათ და სწორედ აქედან წარმოდგა აზრი, რომელიც საეკლესიო ხლის საერთოდ რუსთველის იერუსალიმში უფინას თვით ფაქტს.

გავეცნობთ ამ საკითხს უფრო ახლოს. ექვთიმეზარა თანამედროვე ავტორებს (მ. ნუცუბიძე, შ. ამირანაშვილი და სხვ.), რომელია აზრით რუსთველი მოხუცობის ვაჟს იერუსალიმის წყარის მონასტერში თითქოს ერისკაცად დამკვიდრა და ბერად არ შემდგარა, აყად. ალ. ბარამიძე ამბობს: „რუსთველს მონასტერში წესით შეეძლო მოეხილა იერუსალიმი და ღრთებთით თავშესაფარი ეპოვა წყარის მონასტერში, მონასტრის სასტუმრო სადგომში, მაგრამ რაღაც დაუფერებელია, რომ პოეტს თავისი ცხოვრების პირველ ნახევარს (თუ ბოლო წლებს) მონასტერში გაეტარებინა და ბერად არ ადამკვიდრო. მონასტერი ხომ მოხუცებულთა თავშესაფარი არ უფილია!“¹

ეს შენიშვნა უდავოდ მართებულია, მაგრამ რა დასკვნა გამოჰყავს აქედან მეცნიერს? იმის ნაცვლად, რომ უკვედრო თეიმურაზიდან მომდინარე უსაფრთხო აზრი რუსთველის ერისკაცობაზე, მან ექვის ქვეშ დააყენა იერუსალიმში რუსთველის უფინას თვით ფაქტი; ის ამბობს: „ჩვენ ვფიქრობთ, არ არსებობს რაიმე ბელშესახებ და ანგარიშგასაწევი მოსაზრება, რომელიც უტოლებელ უფინას შოთა რუსთველის უფინას იერუსალიმში, მის დამკვიდრებას წყარის მონასტერში, იქ აღსრულებას და იქვე სამარადისო განსასვენების პოვნას“².

სხვა ნაწარმში ალ. ბარამიძე კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და აზუსტებს თავის თვალსაზრისს, ის ამბობს: „არ არსებობს რაიმე სერიოზულად ანგარიშგასაწევი მოსაზრება, რომელიც უტოლებელ უფინას შოთა რუსთველის დამკვიდრებას წყარის მონასტერში, მის იქ აღსრულებას და იქვე სამარადისო განსასვენების პოვნას. მაგრამ არც ამის ხელაღებით უარყოფს შეიძლება. იმეამინდელი წესის კვლობაზე რუსთველს შეეძლო მოხუცობისას ბერად შემდგარიყო, დამკვიდრებულიყო სახლ-ვარგარეთულ ქართულ მონასტერში (ყეროზ, წყარის მონასტერში) და იქ აღსრულებულიყო. ყდონდ, ვიმეორებთ, სამარადისო საბუთები არ გვაქვს“³.

როგორც ვხედავთ, ალ. ბარამიძე ხელაღებით არ უარყოფს არც იერუსალიმის წყარის მო-

¹ საიუბილიუო კრებული „შოთა რუსთველი“, გვ. 21.

² იქვე, გვ. 22.

³ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 61.

ნასტერში რუსთველის წასვლისა და არც მისი ბერად შედგომის შესაძლებლობას, ოღონდ მეცნიერს მიანია, რომ არ არსებობს რაიმე ანგარიშგასაწევი მოსაზრება, ან საბუთი, რომელიც ამას დაგვიდასტურებდა. აქ ბუნებრივად იხადება კითხვა: თუკი მართლა არ არსებობს არც რაიმე საბუთი და არც რაიმე ანგარიშგასაწევი მოსაზრება, როგორღა გვირცხვინდა ასე ფართოდ ქართულ ლიტერატურაში შემდეგულმა რუსთველის იერუსალიმში წასვლისა და ბერად შედგომის შესახებ? ამ კითხვებზე ავტორი შემდეგ პასუხს გააძლევს: „ჩვენ დამარწმუნებლად ვგაჩვენება დ. კარიჭაშვილის ვაჩა-არც, რომ ჭვარის მონასტრის კედელზე გამოხატულმა სურათმა შეუწყო ხელი იერუსალიმში რუსთველის დამკვიდრებაზე თქმულების წარმოშობას. მართლაც, და, რუსთველის ფრესკა ჭვარის მონასტრის კედელზე ვერ დაგვიმტკიცებ პოეტის იქ ყოფნის (და ნი უფრო იქ დამკვიდრების) ფაქტს, მაგრამ ვასაგებს ხდის თქმულებებისა და ლეგენდების წარმოშობის მიზეზებსა და ხასიათს. არაფერს პოზიტიურს არ ამბობს რუსთველის იერუსალიმში ყოფნაზე საბაბო მოსახსენებელიც“¹.

ამრიგად, ქართულ ლიტერატურაში, ისევე როგორც ფოლკლორში, ფართოდ გავრცელებული შეხედულება რუსთველის იერუსალიმში წასვლასა და იქ ბერად აღკვეცაზე, ალ. ბარამიძის აზრით, არის უსაფუძვლო ლეგენდა, რომლის გაჩენის ერთადერთი მიზეზი ჭვარის მონასტრის კედელზე გამოხატული რუსთველის ფრესკაა.

გვაბატოს პატივცემულმა მეცნიერმა, მკერამ ამგვარი თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, შეიძლება ვაჩინოეო მხოლოდ ნებისმიერი და ტენდენციური მსჯელობის შედეგად, როცა მკვლევარი, მიუხედავად მისი უფელსათვის ცნობილი კეთილანდისიერებისა და ობიექტურობისა, იძულებულია ფაქტები წინასწარ შედგენილი აზრის სასარგებლოდ უგულვებელყო. ალ. ბარამიძე, როგორც ჩანს, ვერასაგზით ვერ შერიგებია დიდი პოეტის ბერად აღკვეცის აზრს და ცდილობს გამოჩინოს იგი სასულიერო წოდებისაგან, მაგრამ ეს სრულიად ზედმეტი შრომა-გაჩაჯა: თამარის ეპოქის სასულიერო წოდება არაფრით არ ყოფილა იმავე ეპოქის საერო ფეოდალებზე უფრო ცელი, ხოლო თუ მაინც არსებობდა რაიმე არსებითი განსხვავება მათ შორის, — მხოლოდ ის, რომ სასულიერო ფეოდალები, როგორც წესი, გაცილებით უფრო განათლებულნი იყვნენ ვიდრე მათი მომე საერო ფეოდალები.

ახლა ვახოთ, არსებობს თუ არა სინამდვილეში რაიმე ანგარიშგასაწევი მოსაზრებები თუ საბუთები, რომლებიც დაგვიდასტურებენ რუსთველს იერუსალიმში ყოფნას.

დავიწყოთ ტომთუ ვაბაშვილის ცნობებით. გავიხსენოთ ტომთეს სიტყვები: „ჭვარის მონასტერი დამკვიდრებულა და უცნაურმა უწეო სვეტი გუაჩალებია და დუხატეინებმა შოხაამს რუსთველს, შექურტულთ უხუცესს. თითონაც შიგ ხატია მოხუცებულა“¹.

ამ დიდმნიშვნელოვანი ცნობის არსის ვასაგებად საჭიროა ვათვალისწინებულა იქნას შემდეგი ვაჩემოვანნი:

ჭერი ერთი, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ტომთუ აქ გაცილებით მეტს ამბობს, ვიდრე მას პორტრეტის წარწერისა და საბაბად ჩანაწერის მიხედვით შევადლო ეთქვა: არც პორტრეტის წარწერა და არც საბაბად ჩანაწერი არ შეიცავენ ცნობებს მონასტრის დამკვიდრებისა და რუსთველის მიერ გუმბათის ქვეშ სვეტების განახლება-მოხატვაზე. მანასადამე, ორში ერთი უნდა ევულისხმეთ: ნნ ტომთეს ჰქონდა რაღაც სხვა წყარო, საიდანაც მან ეს ცნობები გაიგო, ან არადა მან თვითონ შეთხზა ეს ცნობები.

მკვლევარი ელ. მეტრეველი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ტომთეს ნაშრომი, ამბობს: „ტომთუ ზეპირად არაფერს წერდა... შოთა რუსთველის იერუსალიმში მოღვეწეობის დახასიათებასთვისაც ტომთეს უსარგებლია წერილობითი წყაროებით (აღაბებით, მოსახსენებლებით), მონასტრის კედლის მხატვრობითა და ზეპირი გადმოცემებით“².

თვით ტომთუ ქართულია გარკვევით აცხადებს, რომ მასალები ჭვარის მონასტრის ისტორიაზე, რომელშიც რუსთველის შესახებ ცნობებიც იგულისხმება, მას წერილობითი წყაროებიდან ამოუკვებია; ის ამბობს: „უკეთეს გეგზოს ცნობად, თუ ქართულნი ვითარ იპარობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვეთი მუნ წერილთა შინა“³.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ არავითარ უფლება არ გვაქვს ვიფიქროთ, თითქოს ზემოხსენებული ცნობები ტომთემ თვითონ შეთხზა. ექვევლია, მას ჰქონდა სათანადო წერილობითი წყარო, რომელსაც ყურადღებდა, სხვათა შორის, ამ აზრს იზიარებს ალ. ბარამიძეც, რომელიც ამბობს: „რუსთველის ევოდენ მოძულე ტომთუ ვაბაშვილი პოეტს დაუშნაბურებლად სასიკეთოს ვერაფერს მიაწერდა. მით უფრო ვერ მიაწერდა მონასტრის განსახლებლისა და მოხატეინებლის პატივს, საამისო უტყველო საბუთები რომ არ ჰქონოდა“⁴.

სავსებით სწორი მსჯელობაა, მაგრამ რა გამოდის აქედან?

¹ მიმოსლვა, გვ. 80.

² მიმოსლვა, გვ. 656.

³ იქვე, გვ. 77.

⁴ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 44.

აქედან ლოგიკურად გამოსის, რომ გარდა პორტრეტისა და სააღაპე ჩანაწერისა, არსებული სხვა საბუთებიც, რომლებშიც ასახულია რუსთველის იერუსალიმში ყოფნისა და მის მიერ ქვარის მონასტრის განახლება-მოხატვის ფაქტი.

შეორე მართალია, ტომოთე პირდაპირ არ ამბობს, რუსთველი იერუსალიმში ჩავიდაო, მაგრამ რაღა საჭირო იყო იმის თქმა, რაც თავისთავად იგულისხმებოდა? როცა ტომოთე გადმოგვცემს, რუსთველს მონასტრის სვეტნი ვაუხალებია და მოუხატვინებიაო, ესეც, გველისხმობს, რომ რუსთველი იერუსალიმში ჩავიდაო, თორემ უამისოდ როგორ განახლება და მოხატვინებდა მონასტრის სვეტებს?

აღ. ბარამიძე ცდილობს ამ წინააღმდეგობას თავი დააღწიოს და ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს: მონასტრის შეკეთებისთვის „არ იყო აუცილებელი ვაზირის შორეულ მხარეში გამგზავრება და სარეკლამაციო სამუშაოების აღვიღებ ხელმძღვანელობა, მას თავისუფლად შეეძლო საქართველოდან გაეგზავნა საჭირო საღარებო (როგორც მოქცა, შავალითად, ლევან დადიანი მე-17 საუკუნეში)“¹. დაახლოებით ასეთვე აზრისა პ. ინგოროყვაძე, რომელიც, აგრეთვე, დადიანების ანალოგიას იშველიებს. მისი აზრით, შოთას თავისი მძისის შესასრულებლად შექმლო იერუსალიმში გაეგზავნა ცნობილი მღვდელმთავარი ანტონ ალავერდელი², რომლის აღაპიც ჩაწერილი ყოფილა ქვარის მონასტრის სააღაპე წიგნში რუსთველის აღმათ ერთდროულად.

წინელი შესაძლებელი არაა, რომ ეს მოსაზრებანი ცალმხრივი მსჯელობის ნაყოფია და მათ არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნიათ. რუსთველს რომ, დადიანების მსგავსად, სხვა მღვდელმთავარი გაეგზავნა იერუსალიმში და მონასტრის განახლება-მოხატვისათვის საჭირო სახელმწიფო (თუ საკუთარი) საღარებო მისთვის გაეტანებია, მაშინ ტომოთე ამ ფაქტს იმგვარადვე ჩაწერდა, როგორც ლევან დადიანის ღვაწლი აღნიშნა. გაეხსენოთ, როგორ აქვს ტომოთეს გადმოცემული რუსთველის და ლევან დადიანის ღვაწლი და შევადაროთ ისინი ერთმანეთს: „ქვარის მონასტრის დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი ვაუხალებია და დამხატვინებია შოთას რუსთველს, მეჭურჭლეთ უხუცეს(ს). თათონაც შივ ხატია მოხუცებული. ამისა შემდგომად კვალად დაძველებულა და ვაუხალებია და აღმშენებია საკურთხევლის ზეით კონიქი დადიანს ლეონს და მეუღლესა მისსა ენსტანდარეჩან დედოფალს, პოლასის ქალს, ორნივე შივ ხატთან. ამისი გამვე ჩოლოყაშვილა-თმანისვილი მტეხის წინამძღვარი და ქვარის მამა ნიკოლოზ

ყოფილა. დადიანს ამის ხელით გაუცეთებია“³. როგორც ვხედავთ, ტომოთე ვაუხალები, რომელსაც უარესად ზუსტი ცნობები აქვს, სულ სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგამს რუსთველისა და ლეონ დადიანის საქმიანობის სურათს: ის პირდაპირ ამბობს, დადიანმა მონასტრის დაძველებული ნაწილი სხვისა ხელით განახალაო. ესეც, ამავე იტყუდა ტომოთე რუსთველის შესახებაც, საამისო საფუძველი რომ ქონოდა, მაგრამ საქმეც ისაა, ასეთი საფუძველი არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულყო, რადგან რუსთველს, თუნდაც მას მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაც სჭირებოდა, არ შეეძლო თავის მაგიერ იერუსალიმში რომელიმე მღვდელმთავარი გაეგზავნა. ჩატომ არ შეეძლო? იმიტომ, რომ მეჭურჭლეთუხუცესს სასულიერო უწყებებზე ხელი არ მიუწევდებოდა და არც ერთი მღვდელმთავარი მას არ ემორჩილებოდა. შით უმეტეს, არ შეეძლო მას იერუსალიმში გაეგზავნა ისეთი ვაგლენიანი მღვდელმთავარი, როგორც ალავერდელი იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალავერდელი კახეთის უბირველი და გვირგვინისანი მღვდელმთავარი იყო და მისი ვაგზავნ-გამოგზავნა, საფიქრებელია, არა თუ რომელიმე საერო ვეზირს, არამედ თვით მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიელსაც არ შეეძლო, რადგან ალავერდელი, ისევე როგორც მამყვერელი, თითქმის ისეთივე ვაგლენიანი მღვდელმთავარი იყო, როგორც თვით ჰყონდიელი. ამით ახსენება, რომ სამეფო დარბაზში ალავერდელი ჰყონდიელის მომდევნო საქმეზე წაღებოდა: ამითვე ახსენება ის საურჩაღებო ფაქტიც, რომ კახეთის ეპისკოპოსების კურთხევა ალავერდელის ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა. ასეთი მაღალი პატივის მქონე მღვდელმთავარის გაგზავნა საზღვარგარეთ რაიმე სახელმწიფო საქმეზე შეიძლებოდა მხოლოდ მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის გადაწყვეტილებით და არავითარ შემთხვევაში ცალკე ვაზირის სურვილით.

სულ სხვაგვარი იყო დადიანების მდგომარეობა. ისინი, როგორც ცნობილია, ოდიშის, არსებობდა დამოუკიდებელ, სამთავროს განაგებდნენ და თავის ტერიტორიაზე თითქმის ხელმწიფის უფლებებით სარგებლობდნენ.⁴ მამასადაც, მათ, მართლაც, თავისუფლად შეეძ-

1 მიმოსლვა, გვ. 80.
 2 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 48.
 3 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 396.
 4 იმდროინდელი დადიანების ტიტული ისტორიულ დოკუმენტებში ასე იხსენიება: „ჩვენ ხელმწიფედ დადგინებულმან დიდისა ოდიშის სვანთა-კვერისა მპყრობელქონებულმან დადიანმან პატრონმა ოტამანამ“ (თ. ყორღანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 1903, გვ. 102).

1 იქვე, გვ. 61.
 2 პ. ინგოროყვაძე, თხზულებანი, I, გვ. 729.

ლოთ თავიანთი სამთავროს მღვდელმთავრების გაგზავნა ყველგან, სადაც მოსურებდნენ.

მესამე, ტიპოთე გაბაშვილის ზემოპოტანოლ ცნობაში შოთა მოხსენიებულია როგორც რუსთველი და, აგრეთვე, როგორც მეჭურჭლეთუხუცესი. ეს ნიშნავს, რომ ტიპოთეს წარმოდგენით (ან იმ წერილობითი წყაროების მიხედვით, რომლებითაც ის სარგებლობდა), შოთა მღვდელმთავარი იყო და მეჭურჭლეთუხუცესი (ერთადროულად, ან სხვადასხვა დროს). მაგრამ საინტერესოა გაირკვეს ასეთი კითხვა: იერუსალიმში წასვლისა და ქაზახის მონასტრის შეკეთება-მოხატვის დაეალება შოთას როგორც რუსთველ მღვდელმთავარს უფრო შეეფერებოდა, თუ როგორც მეჭურჭლეთუხუცესს? თანამედროვე მკვლევარები, ჩვეულებრივ, გვერდს უვლიან ტიპოთეს ცნობის პირველ და მთავარ ნაწილს (შოთას რუსთველობას), რადგან „რუსთველი“ მათ პოეტის გვარ-წოდება ჰქონიათ, და მთელი ყურადღება ვადააქვთ ტიპოთეს ცნობის მეორე ნაწილზე: ისინი ემპირიულად კემშარიტებად მიიჩნევენ იმ აზრს, რომ თითქოს ქართული კულტურის კრებისათვის, კერძოდ კი ეკლესია-მონასტრებისათვის, ზრუნვა მეჭურჭლეთუხუცესის მოვალეობას შეადგენდა „შოთა რუსთველი“. — ამბობს ალ. ბარამიძე. — ყოფილა თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი... ცხადია, სწორედ მას დაეკისრებოდა საზღვარგარეთული (და არა მარტო საზღვარგარეთული) ქართული კულტურის კრებისათვის ზრუნვა¹. „ცხადიო“, — ამბობს აქ მეცნიერი, მაგრამ საიდან არის ცხადი ის აზრი, რომ ეკლესია-მონასტრებისათვის ზრუნვა მაინცა და მაინც მეჭურჭლეთუხუცესის მოვალეობას შეადგენდა? როგორ?! საქართველოში აღარ იყვნენ არც კათალიკოს-პატრიარქი, არც მკურნალები, არც მოძველები-მოძღვარი და არც სხვა მღვდელმთავრები?! ქართულ ისტორიულ მეცნიერებას მოეპოვება უტყუარი საბუთები, საიდანაც ჩანს, რომ საერთო ევაზირება, და შოთას მეჭურჭლეთუხუცესსაც ეკლესია-მონასტრებისათვის ზრუნვა სრულებით არ ეტეებოდათ, ისინი სასულიერო უწყებების საქმეებში, საერთოდ, ვერ ჩაერეოდნენ.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა მღვდელმთავრობაში არა თუ რომელიმე ევაზირი, თვით მეფეც კი ვერ ჩაერეოდა, რადგან იმ დროს ქართული ეკლესია დამოუკიდებელი ძალა იყო და სასულიერო ხელისუფლება გაცილებით უფრო დიდი გავლენით სარგებლობდა სახელმწიფოში, ვიდრე საერთო ხელისუფლებამ. ამ მხრივ დამახასიათებელია ფაქტი, რომ-

ლიც გადმოცემულია გიორგი მერჩულეს შესანიშნავ ნაწარმოებში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ (951 წ.), მერჩულეს გვიანრობას, რომ მეფე ბაგრატ ერეკლესთან საბრძანებოდან დაიბარა იმხანის ტაძრის უბრალო მონაზონი სამა, რომელმაც უარი თქვა მეფესთან გამოცხადებაზე; იგი მარტო მაშინ გამოცხადდა, როცა თავისი სასულიერო უფროსის გრიგოლის თხოვნა მიიღო; გამოცხადებლობის მიზეზი რომ ჰქონოდა, სამამ შემდეგი საუერადლებო სიტყვებით მიმართა ბაგრატ ერეკლეს: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესყენილთა. შენ ნათესაეთი ამით მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთა, შენ წარმავლთა ამით ეამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუერეთა მეფე და სრული ჰგეეს ეცეალებელი, უფამოა, დაუსაბამოა, დაუსრულებელი მეფე ანგელთა და კაცთა და უფროას შენსა ჯერ არს სმენა სიტყუათა მისთა, რომელმანცა ბრძანა, ეთარამდე: „ვერვის კელაწიფების მონებათა თრთა უფალთა“. არამედ აწ სიტყუითა ძმისა და მოძღვარისა ჩუენისა გრიგოლისთა მოვედ წინაშე შენსა“².

ამ ფაქტთან ნათლად ჩანს, რომ მეფე საუერის საქართველოში არსებობდა მთელი თეორია, რომელიც სასულიერო ხელისუფლების საერთო უპირატესობას ასაბუთებდა და რომელსაც პრაქტიკულ ცხოვრებაში რეალური საფუძველი გააჩნდა.

საერთო ხელისუფლებამ საქართველოში მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს მოახერხა სასულიერო მამათა ძალა-უფლების ნაწილობრივი შეზღუდვა, რის შედეგად მეფეს საეკლესიო საქმეებში ჩარევის საშუალება მიეცა. მაგრამ ეს ჩარევა ხლებოდა არა ისე, ვისაც როგორც მოეხერხებოდა, არამედ საამისოდ საგანგებოდ შექმნილი ემადლესი თანამდებობის მკურთხეული პირის მეშვეობით, რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო სახელმწიფოს პირველი ევაზირი და ქართული ეკლესიის ერთერთი დიდი კათდრის ეპისკოპოსი. მისი სახელი იყო შვიგნობართუხუცესი-ჰუგნდიდელი, რომელიც მეფის შემდეგ სახელმწიფოში პირველი კაცი იყო, მეფის შამად იწოდებოდა და ყველა დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს განაგებდა; მასვე ევალებოდა ეკლესიაში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება და ამდენად, ცხადია, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლების საქმეც მას ეტეებოდა.

რაც შეეხება დანარჩენ ევაზირებს, როგორც ითქვა, მათ სასულიერო საქმეებზე ზელო არ მოეწოდებოდათ. ქართულ ისტორიოგრაფიას მოეპოვება შესანიშნავი ისტორიული დოკუმენ-

¹ ალ. ბარამიძე, დსაზ. ნაშრომი, გვ. 61.

² ბ. ლომინაძე, სახელმწ. და ეკლესიის ერთობა VIII-XII სს. საქართველოში (კრებულში „საქართველო რუსთველის ხანაში“, გვ. 69).

³ ძველი ქართული ლიტერატურის ქრისტომათია, I, 1946, გვ. 119.

ტი «გარიგება ხელშეწყობის კარისა» (XIV ს.), რომელიც გავრთიანებული საქართველოს ვითარებას ასახავს და რომელშიც ზუსტად არის ჩამოყალიბებული ეპისკოპოსის უფლება-მოვალეობანი. ამ დოკუმენტში საგანგებოდ და დამწერლობით არის ჩამოთვლილი მეპატრონე-ეპისკოპოსის სახელი, ე. ი. ის საქმეები, რომლებიც ამ ეპისკოპოსის გამგებლობაში შედიოდა, მაგრამ მასში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი არც ეკლესია-მონასტრებზე და არც სხვა რაიმე სასულიერო თუ კულტურულ საქმეზე. ამ დოკუმენტის საშუალებით ხერხდება ზუსტად იქნას დადგენილი მეპატრონე-ეპისკოპოსის საქმიანობის სფერო; ირრევა, ეგრძოდ, რომ მეპატრონე-ეპისკოპოსი განაგებდა ძველ ქალაქებს, ვიკარებს, და სავაჭროებს, მეფის სალაროს ეუფენო ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელს, აგრეთვე, სხვა ლარს (ე. ი. განმეულებასა და ძვირფასი აბრეშუმის ჭიკვილი) და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელს (ჭურჭელში სამხედრო და სახელოანი იარაღ-მოწყობილობაც იგულისხმებოდა); მეპატრონე-ეპისკოპოსი ემორჩილებოდა იმ „საეპისკოპოსოს ნაცვალს, მექაფი, მუშრები, ქალაქის ამირანი, მეპატრონე ქალაქისანი და თვით დარბაზს მყოფნი მეპატრონენი»¹.

აი, ეს გახლდათ მეპატრონე-ეპისკოპოსის სამამულო. როგორც ვხედავთ, ყველაფერი ეს ეკლესია-მონასტრებისაგან ძალიან შორს ღვას.

ამრიგად, ცხადია არა ის, რომ თითქმის ეკლესია-მონასტრების განახლება-მოხატვა მეპატრონე-ეპისკოპოსის მოვალეობას შეადგენდა, არამედ ის, რომ ამ საქმესთან შესწავლულ ვაზონს არაფერი საერთო არ ჰქონია.

თუ ზემოაღნიშნულ გარემოებებს სათანადოდ გაითვალისწინებთ, დაერწმუნდებით, რომ ტომოთე გაბაშვილის ცნობები არა თუ ამგვარი მგასაწყეო საბუთი არ არის, არამედ ფრად საყურადღებო და სანდო ისტორიული წყაროა; რომელიც სავესებით საქმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ შოთა რუსთველი იერუსალიმის ჭვარის მონასტერში ნამდვილად ღოგალა, ოღონდ, არა როგორც მეპატრონე-ეპისკოპოსი, რომელსაც მონასტერთან არაფერი უსაქმებოდა, არამედ როგორც მღვდელმთავარა, რომლის პირდაპირ მოვალეობას ეკლესია-მონასტრებზე ზრუნვა შეადგენდა.

სწორედ ამ გარემოებით უნდა იხსნას ის საყურადღებო ფაქტი, რომ ჭვარის მონასტრის პირდაპირ ჭეშე აწერია „რუსთველი“ და არა „მეპატრონე-ეპისკოპოსი“.

ფრიად საყურადღებოა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ არა მარტო ჭვარის მონასტერში, არამედ, საერთოდ, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში არსად გამოხატული არ არის, და არც შეიძლება იყოს, არც ერთი მეპატრონე-ეპისკოპოსის, რაც საქმეებით ბუნებრივი მოვლენაა:

სამაგიეროდ, არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს, ეკლესია და მონასტერი, სადაც მღვდელმთავრები არ იყვნენ. გამომდინარე, მარტო იერუსალიმის ჭვარის მონასტერში წესდებოდა მღვდენილია ათობით ეპისკოპოსისა და მთავარეპისკოპოსის პორტრეტი; თვით იმ სვეტიცხოვე კი, რომელზეც შოთა რუსთველია დახატული, რუსთველს ვარდა, აღმუქვლია კიდევ სამი სხვა მღვდელმთავარი, სახელდობრ: გრიგოლ დრანდელი, თეოდორე მანგლელი და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. რაი სვეტის ოთხივე გვერდი მღვდელმთავრების პორტრეტებს უჭირავთ, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს სვეტი (ისევე როგორც ჭვარის მონასტრის დანარჩენი სვეტებიც) განეუფენილი ყოფილა სასულიერო პირთათვის, ეგრძოდ ეპისკოპოსთათვის.

განა ყველაფერი ეს თავისთავად არ შეტყვევებს, ვინ იყო რუსთველი, რისთვის ჩავდა იგი იერუსალიმში და რატომ გამოხატეს მონასტრის სამატიო ადგილებზე?

საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, გამოუცხვლია. რა დასაყურებელია, რომ ეკლესიის მამებს დაეიწუნოდათ თავიანთი საკუთარი რუსთველი, რომელიც საქმენათა განმარტობაში ქართული ეკლესიის გამოჩენილი ხელმძღვანელი მოღვაწე იყო, და მის ნაცვალად ჭვარის მონასტერში, მეფეების, წმინდანებისა და მღვდელმთავრების გვერდით, დაეხატათ ეკლესიის მოძულე პოეტი — ერისკაცი, რომელიც ამავე დროს, რაღაც სასწაილის ძალიან, სწორედ იმ მღვდელმთავრის, სახელს თუ ზედწოდებას ატარებდა, რომლის ეუფენილი ადგილიც მან მონასტერში დაიკავა?

ეს ისეთი დაუეყრებელი ამბავია, რომ მისი დასაბუთება შეუძლებელია რაინდღაა ლამაზად შეთხზული თეორიული ვერსიებით, როგორცაა, მაგალითად, აკად. შ. ნუცუბაძის მოსაზრება, თითქმის ეკლესიის შოთა რუსთველთან „შერკება“ სურდა და ამიტომ“ ხელიდან არ გაუშვა შემოხვევა გზადანეული ცხვარი თავისს სამწყობო დებურებშიაო.²

ჩვენი ღრმა რწმენით, კიდევაც რომ არ გავანდეს სხვა საბუთი, მარტო ტომოთე გაბაშვილის ზემოთხიანი ცნობებიც, თუ მათ ისტორიულ ასექტში წყიკითხავთ და სწორად ვაივებთ, საქმარისი ოქნებოდა რუსთველის ნამდვილი ენაშაღის გამოსარკვევად, აგრეთვე, იერუსალიმში მისი ყოფნის ფაქტის დასადაგნად. მაგრამ, საუბედიროდ, ჩვენ მოგვემოკება იერუსალიმთან და ჭვარის მონასტერთან

1 პ. ინგოროყვა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 833-834.

2 «Не пренебрегла случаем вернуть в свою паству заблудшую овцу» (Ш. Нуцубидзе. Творчество Руставели, გვ. 283).

დაკავშირებული მრავალი სხვა საბუთი და მოსაზრება, რომლებიც არა თუ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი არ არიან, არამედ ფასდაუდებელ განაზრახვებს წარმოადგენენ რუსთველოლოგიური მკვლევარებისათვის.

შვევხით მოცულად ამ საბუთებსა და მოსაზრებებს.

გასული საუკუნის მი-იან წლებში, პარიზში, ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ჯვაროსანთა ლაშქრობის ისტორიისადმი მიძღვნილი მრავალტომიანი კრებული, რომლის შესახებ ტომში მოთავსებულია ნაშრომი სულთან იუსუფის (სა-ლაღინის) ცხოვრების შესახებ. ამ ნაშრომში, რომლის ავტორია ხანებულ სულთანთან და-ახლოებული და მისი მოღვაწეობის თვითმხილველი პირი აბულ მეჰაყენ იბნ-შედადის, მოიხილება ფრიად საყურადღებო ცნობები იერუსალიმში თამარ მეფის დავალებით ჩასული ქართველ ელჩის შესახებ, თუმცა ელჩის ვინაობა დასაბუთებული არ არის. იბნ-შედადის ცნობებს ურთაღებდა მიჰქეთა პროფ. ალ. ცაგარელმა, რომელმაც სწორედ იმ ხანებში მოიარა იერუსალიმი და შესწავლა ჯვარის მონასტრის ძეგლები. დაეყრდნო რა ხანებულ ავტორის ცნობებს, აგრეთვე ჯვარის მონასტრის მასალებს, შეცნობა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია იბნ-შედადის მიერ მოხსენიებული ელჩი პეტრი შოთა რუსთველი იყო.

თი, როგორც მსჯელობს ამ საკითხზე ალ. ცაგარელი: «В 1192—1193 г. царица Тамара и грузины, — рассказывает Ибн-Шедадд, — предлагали султану Саладину 200 тысяч динаров за захваченный мусульманами в 1187 году, при взятии ими Иерусалима, Крест на котором был распят Спаситель, и просили того же Султана о возвращении отнятых у них Иерусалимских обителей.

Быть может и хождение в Св. землю известного грузинского поэта времен Тамары, Руставели, было совершено по воле этой славной царицы. Поэт, как гласит предание, расписал и возобновил Крестный монастырь. Это предание, дошедшее до нас в рассказах грузинских писателей XVII и XVIII вв., царя Арчила, католикоса Антония I, епископа Тимоте, воспроизведено и в фресках Крестного монастыря»¹.

ასეთია პროფ. ალ. ცაგარელის სავარაუდო მოსაზრება, რომელიც არა მარტო იბნ-შედადის ნაშრომს ეყრდნობა, არამედ ითვალისწინებს ქართული ლიტერატურის მონაცემების, მათ

შორის ტიმოთე გაბაშვილის ცნობების, და აგრეთვე, ჯვარის მონასტრში წარმოდგენილი რუსთველის პორტრეტის მნიშვნელობას. მაშინ-სადამე, ხსენებულ მოსაზრებას განაჩინა რეალური საფუძველი, ამასთან იგი ევთიმის გაბაშვილს შეცნობის, რომელმაც ადგილზე იხანულა ჯვარის მონასტერი და სავანეებოდ შეიარჩილა მისი ძეგლები. მაშ, რატომ არ უნდა იყოს ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევი?

ქვემოთ ზეენ დაეინახავთ, რომ რთველოლოგიის შემდგომმა განვითარებამ თანდათან გააფართოვა ალ. ცაგარელის მიერ გამოთქმული მოსაზრების საფუძველი და სავარაუდოდ გამოთქმული მისი მოსაზრება სარწმუნო დებულებად აქცია.

ჯერ კიდევ 1897 წელს (ვიორგი ლენინის გადმოცემით) ვაზეთ „ივერიამი“ გამოქვეყნებულა ფრიად საინტერესო წერილი, რომლის ავტორია სავსებით უთანხმებია ალ. ცაგარელის მოსაზრებას და თავის მხრივ ამავრებს მას მეორე არაბი ისტორიკოსის არაქმანდის ნაშრომიდან აღიღებული საინტერესო ცნობებით. ხსენებულ ისტორიკოსის ცნობები ძირითადად იბნ-შედადის ცნობების ანალოგიურია, რაც უაღრესად საყურადღებო ფაქტია.

მაგრამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან და, ზეენ აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩითვალოს 1905 წელს იერუსალიმში, ბერძნულ ენაზე, გამოცემული ვიორგი პანაპიზილის ნაშრომი ჯვარის მონასტრის შესახებ, რომელიც მთლიანად და სავსებით აღსატრებს პროფ. ალ. ცაგარელის მოსაზრებას. ეს ნაშრომი დაბეჭდილა მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალურ ორგანოში „ახალ სიონში“ (ტ. II, 1905 წ.). რომელიც იერუსალიმში გამოდის. მასში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია შემდეგი: «В 1192 году Шота Руставели предпринял поездку в святое место Иерусалима, куда он был направлен царицей Тамарой с задачей реставрировать монастырь»².

ამ სტრიქონების ავტორი ვახლავთ ჯვარის მონასტრის ოფიციალური მემკვიდრე, რომელსაც, ცხადია, არ შეეძლო თვითონ გამოეგონებოდა აქ აღნიშნული ამბავი. ეჭვს ვერგვია, რომ მას, ისევე როგორც ტიმოთე გაბაშვილს, ზელო ჰქონია წერილობითი წყარო, რომელშიც აღბეჭდილი უფილა შოთა რუსთველის იერუსალიმში ჩასვლისა და მის მიერ ჯვარის მონასტრის შეკეთების ფაქტი.

ამ დღიად საყურადღებო ცნობის შემდეგ, მტკიცება იმისა, რომ თითქმის დღემდე არ გავაანდეს არც ერთი ანგარიშგასაწევი საბუ-

¹ გ. ლენინი, იერუსალიმში რუსთველის პორტრეტის გამო (გაზ. „კომუნისტი“, 1962, 31 ივლისი).

² «Вечерний Тбилиси», 1965, 9/VI.

¹ А. Цагарели. Памятники грузинской старины, გვ. 49—50.

თი, რომელიც რუსთველის იერუსალიმში ყოფნას დაგვიდასტურებდა, ნებისმიერ და ტენდენციურ მსჯელობად მივაგნოთ. კრიტიკულად განწყობილ მკვლევარს, რა თქმა უნდა, შეუძლია პანამიხაილის ცნობა, ამა თუ იმ მიზეზით, ეჭვის ქვეშ დააყენოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, არავის არ შეუძლია იმის თქმა, თითქოს იგი საყურადღებო და ანგარიშგასაწევი არ იყოს.

მაგრამ შევეუთქვამოთ.

1924 წელს ინგლისელ მწერალს ლევს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ იერუსალიმის ჭვარის მონასტერი „რუსთველის გარდაცვალების ადგილია“¹.

1937 წელს ქართველმა არქიმანდრიტმა გრიგორ ფერაქიმე, წარსულში ვარშაის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორმა, გამოსცა წიგნი „ქართველი ბერების ნაამბობი არაქართულ პოლიტიკაშია გადმოცემით“, რომელშიც ანთქვამი ყოფილა, რომ შოთა რუსთველი ცხოვრობდა იერუსალიმის ჭვარის მონასტერში როგორც ბერი, იქვე გარდაიცვალა და დასაფლავებულაც იქვეა².

1960 წელს იერუსალიმში გამოიცა დოქტორ ხაიმ ვარდის ნაშრომი «Монастырь святого Креста» სადაც, აგრეთვე, აღნიშნული ყოფილა რუსთველის იერუსალიმში ყოფნისა და ჭვარის მონასტერში მისი დამკვიდრების ამბავი³.

1959 წელს მოსკოვში გამოვიდა უკრაინელი მწერლის გრიგორ პლოტკინის წიგნი „Поездка в Израиль“, რომელშიც მოიპოვება საგანგებო თავი „რუსთველის საფლავი“. ავტორი აქ ვეაყენებს ჭვარის მონასტრის მოწყობა შორის დამკვიდრებულ გადმოცემას რუსთველის იერუსალიმში ჩასვლის, ბერად აღკვეცისა და იქვე დასაფლავების შესახებ.

«Поселившись в монастыре св. Креста,—უთქვამს გ. პლოტკინისა და მისი თანამგზავრებისათვის ჭვარის მონასტრის წინამძღვარს, ბერებმ ბერს სოფოკლიესს,—великий поэт с помощью своих друзей—монахов украсил стены этого храма чудесными фресками, изображающими родные кавказские пейзажи и некоторые сюжеты из грузинской истории...»

Поэтому после его смерти, были оказаны монахам особые почести: его прах похоронили у подножия правой колонны, одной из тех, что поддерживают свод храма⁴.

უნდა აღინიშნოს, რომ მწერალ გ. პლოტკინის ამ ცნობამ, რომელიც სავსებით ემთხვევა ტიპოვთ ვაბაშვილს, პანამიხაილისა და სხვა ბე-

ტობა წერილობით ჩვენებებს, მითხველია შორის დიდი ინტერესი გამოიწვიოს. ეს ინტერესი კიდევ უფრო გააღრმავა ორი საბჭოთა ეურისტის ს. ლოსევისა და ივ. სტოგინის მიერ პრესაში გამოქვეყნებულმა წერილებმა, რომლებშიც გადმოცემული იყო ჭვარის მონასტრის შემოტანის, ვიორგი პანამიხაილის ზემოხსენებული ნაშრომის ცნობები რუსთველის იერუსალიმში ყოფნაზე და მთელი რიგი სხვა საყურადღებო მასალები⁵. ამ საკითხებზე ქართულ პრესაში ვაიშალა ფართო დისკუსია, რასაც შედეგად მოჰყვა იერუსალიმში საგანგებო სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა და მრავალი სადავო საკითხის მეცნიერული გაშუქება. დისკუსიამ და ექსპედიციის მიერ მოპოვებულმა საინტერესო მასალებმა ახალი ბიჭი მისცეს რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების გაშლას და მოამზადეს ნიადაგი რუსთველის იუბილეს წარმატებით ჩატარებისათვის.

თითქოს მისალონდელი იყო, რომ ასეთ ხელსაყრელ ვითარებაში ჩვენი წამყვანი რუსთველოლოგები შესაძლებდნენ ყეროვნად დაეფასებათ იერუსალიმის ჭვარის მონასტრთან დაკავშირებული რუსთველის ბიოგრაფიის ფაქტები და გაეღრმავებინათ მათი მეცნიერული შესწავლა, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა; იმდენად ძლიერი იყო რუსთველის ერსკაცობის თეორია, რომ გამოჩენილი მკვლევარებიც კი, ბეჯითად მიჰყვებოდნენ ერთხელვე გარკვეულ უაღბ გზას და ქეშმარიტებისაყენ მიშვალ ბიოკებს ვერ ამჩნევდნენ. ამ მხრე დამახასიათებელია ჭვარის მონასტრის მატანეს ცნობის მიმართ აყად. აღ. ბარამიძის მიერ დაკავებულ პოზიციას. თავდაპირველად, როდესაც უკრაინლისტმა ს. ლოსევმა ხსენებული ცნობა გამოჰქვეყნა, აღ. ბარამიძე მას დიდი ინტერესით შეხედა და ისიც კი უნაცხვდა, რომ იგი „შეიძლება ჩაითვალოს ვალიდეს აღმოჩენად რუსთველოლოგიის დარგში“⁶; მაგრამ მისი ეს ინტერესი მალე განელდა. სპეციალურ წერილში, რომელიც 1965 წელს „კომუნისტში“ დაიბეჭდა და რომელიც რუსთველის იერუსალიმ-

¹ გ. პლოტკინის ცნობაში ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ, გადმოცემის თანახმად, რუსთველს იერუსალიმის ჭვარის მონასტერში აყოლია „მეგობარი — ბერები“. ეს ფაქტი სავსებით ეთანხმება ჩვენს მიერ გამოქვეყნულ მოსაზრებას იმ ურთიერთ სიმბათიებზე, რაც ამჟამად შეიძინევა ჭვარის მონასტრის კრებულსა და შოთა რუსთველს შორის.

² ს. ლოსევი, შოთა რუსთველის საფლავის შესახებ (გვ. „კომუნისტში“, 1960, 19 ივნისი).

Ив. Стобун, О Крестном монастыре в Иерусалиме, портрете и могиле Шота Руставели («Вечерний Тбилиси», 1965, 9/VI).

³ გვ. „კომუნისტში“, 1960, 19 ივნისი.

¹ გვ. „კომუნისტში“, 1960, 19 ივნისი.

² იქვე.

³ «Вечерний Тбилиси», 1965, 9/VI.

⁴ Г. Плоткин, Поездка в Израиль, М. 1959, გვ. 120.

9. „მნათობი“, № 5.

ში ყოფნის პრობლემის შეცვლა, ალ. ბარამიძემ, არსებითად, უარყო პანამიხაილის ცნობების მნიშვნელობა და კვლავ გამოერა დავით კარიკაშვილის მიერ ვერ კიდევ სამოცი წლის წინათ გამოთქმული მოსაზრება, რუსთველი იერუსალიმში ყოფნა ლეგენდაა, რომელიც ქვარის მონასტრის პორტრეტს წყალობით წარმოიშვა; ამასთან, ავტორი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ რუსთველის საბიოგრაფია სკიოთებზე მსჯელობისას „დიდი სიფრთხილე გვიართებსო“¹.

თავის შემდგომ ნაშრომებში, სახელდობრ, მონოგრაფიაში „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, რომელიც 1966 წელს გამოიცა, ავრთვე, ვრცელ მიმოხილვაში „შოთა რუსთველი და ქართული ქვარის მონასტრი იერუსალიმში“², რომელიც სპეციალურად ქვარის მონასტრთან დაკავშირებული პრობლემებისადმი მიძღვნილი, ალ. ბარამიძე ერთ სიტყვასაც აღარ ამბობს ქვარის მონასტრის მემკვიდრის გიორგი პანამიხაილის ცნობაზე, ისევე, როგორც არც კი ასხენებს პროფ. ალ. ცაგარლისა და მთელი რიგი სხვა ავტორების მოსაზრებებს რუსთველის იერუსალიმში ყოფნაზე.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ისეთი გამოჩენილი რუსთველოლოგიც კი, როგორც ალ. ბარამიძე, იძულებულია უარყო პანამიხაილის საინტერესო ცნობაც, ტიმოთე გაბაშვილის შეცნობებაც, პროფ. ალ. ცაგარლის მოსაზრებაც და მრავალი სხვა ავტორის წერილობითი თუ ზეპირი გადმოცემაც რუსთველის იერუსალიმში ყოფნაზე და, უკველვე ამის ნაცვლად, შეიწყნაროს დ. კარიკაშვილია დრომოქმული მოსაზრება, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გაჩნდა, რა ათქვლეს მას ასე მოიძიეს? ცხადია, ერთბაშად შემუშავებული აზრია, რომელსაც ის დიდი გულმოდგინებით იცავს.

რაც შეეხება სიფრთხილზე მიითქვამს, უნდა ითქვას, რომ სიფრთხილე, რა თქმა უნდა, ყარვი რამ არის და მეცნიერებაში განსაკუთრებით საჭიროა, მაგრამ სიფრთხილსაც, ისევე როგორც ყველაფერს აღამიანურ მოქმედებას, თავისი შინაგანი ლოგიკა აქვს; თუ აღამიან მართო ერთი რიგის ფაქტებისადმი გადამტეტბელ სიფრთხილს გამოიჩენს, ხოლო მეორე რიგის ფაქტებს სრულიად უქრიტიკოდ მიიღებს, ასეთ სიფრთხილს მეცნიერებაში მართო ზიანის მოტანა შეუძლია. მაგალითად, თუ დავით კარიკაშვილს უსაფუძველო და არსებითად პრიმიტიულ მოსაზრებას ადვილად გავიზიარებთ, რატომ არ უნდა გავიზიაროთ პროფ. ალ. ცაგარლის მოსაზრება, რომელიც ტუ-

ღურ-ისტორიულ ფაქტებსა და ფილანტროპულ-ლიტერატურულ ტრადიციებს ეყრდნობა? ან კიდევ: თუკი თეიმურაზ ბაგრატიონის „შქარად ყალბ კონცეფციას უქრიტიკოდ მიყრდნობი, რატომ უნდა უგულვებელყოთ ქვარის მონასტრის ოფიციალური მემკვიდრე, რომელიც სრულებითაც არაა დაინტერესებული, რუსთველის ბიოგრაფია თვისი მიზნის შესაფერად გადაამსხავდესო.

ერთი სიტყვით, ზოგიერთ ჩვენს მკვლევარს კეშმარტივებს დანახვას ეშლის არა იმდენად ანგარიშგასაწევი საბუთების უქონლობა, არამედ, უმთავრესად, საკითხებისადმი არასწორი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა.

ჩვენი აზრით, თუ საქმეს ობიექტურად შეეხედეთ და სათანადო ანგარიშს გაუწევთ ქვარის მონასტრთან დაკავშირებულ ფაქტებსა და საბუთებს, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა და საუბარი, გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს იმდროინდელი შინაგანი ცხოვრების, კერძოდ კი პროგრესულ და რეპრესულ ძალთა ურთიერთ ბრძოლის ასტორიას, რასაც ჩვენი რუსთველოლოგები, ჩვეულებრივ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მაშინ რუსთველის — როგორც სასულიერო პირის — იერუსალიმში ყოფნის ფაქტი ყველასათვის უღერო გახდება.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. არსებული მასალებისა და თამარის დროს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზის საშუალებას ვეძიებთ გამოთქვით მოსაზრება, რომ რუსთველი იერუსალიმში უნდა გამგზავრებულიყო არა ერთბაშად, არამედ რაზმ-რაზმად, თამარის დავალებით, 1192 წელს, ხოლო მეორედ, ყველთარი სურვილით, 1193 თამარის გარდაცვალების შემდეგ.

ყარ ერთი, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ვარემოებას, რომ თამარ მეფის დავალებით რუსთველის იერუსალიმში ჩასვლის თარიღი, 1192 წელი, რაზუდაც ქვარის მონასტრის მემკვიდრე მიუთითებს, ძალიან ნიშანდობლივია არა მართო იმიტომ, რომ იგი ემთხვევა არაბი ისტორიკოსის იბნ-შედადის ცნობას სწორედ იმავე ხანებში (1192-1193 წლებში) სულთან სალადინთან თამარის ელჩის მისვლის შესახებ, არამედ იმიტომაც, რომ საქართველოს იმდროინდელი შინაგანი ცხოვრების მოვლენები შეუძლებელს ხდიდნენ სალადინთან ელჩის გაგზავნას 1192 წელზე უფრო ადრე. ცნობილია, რომ სალადინმა იერუსალიმი დაიპყრო 1187 წელს, თითქმის ბუნებრივია იქნებოდა, რომ საქართველოს მთავრობას იმავე 1187 წელს, ან მომდევნო წლებში მაინც, მიეღო ზომები მუსლიმანთაგან მტაცებული ქარული საყანგების დასაბრუნებლად, მაგრამ ეს ასე არ მოხდარა; თამარ მეფე მხოლოდ 5-6 წლის შემდეგ აგზავნის ამ საქმეზე ელჩს.

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1965, 13 ივნისი.

² საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველი“, 1966 წ.

ჩით აიხსნება ასეთი დაგვიანება? ეიცვ საჭარბოვანად ისტორიის იცნობს, დაგვიანებება, რომ ეს დაგვიანება აიხსნება საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით.

როგორც ცნობილია, გერ კიდევ გიორგი III სიციხელემ, სახელდობრ 1177 წელს, საქართველოში დაიწყო დიდი პოლიტიკური კრიზისი, რომელიც გავრცელდა 13 წელწადს, ე. ი. 1191 წლამდე. ამ კრიზისის პირველი აქტი იყო ღმნა უფლისწულისა და მისი მომხრეების 1177-1178 წლებს სისლამანი აყენება გიორგი III ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოლო მისი უკანასკნელი აქტი — გიორგი რუსისა და მისი მომხრეების დიდი შეიარაღებული აყენება თამარ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ 1191 წელს. მხოლოდ ამ აყენების განადგურების შემდეგ მიეთა საეკლერი საშუალება თამარ მეფესა და მის მომხრე მოწინავე ძალებს, ეხრნათ მვეთის შემდგომ წინააღმდეგობითარებაზე და გადასულიყვნენ ვადაწყვეტი შტრეაზე როგორც შინაგო, რე გარეშე შტრეების წინააღმდეგ; მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, აგრეთვე, მესულმანთან მიტაცებული სახლვარგარეთული ქართული საყანეების განთავისუფლებაზე ზრუნვა.

მეორე, ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ საქართველოს მეფეებში უცხო მვეთებში ელნება, ჩვეულებრივ, სასულიერო პირებს გზავნიდნენ მაშინაც კი, როცა ელრობის მიხანი საერო ხასიათის საქმის მოგვარება იყო; მით უმეტეს, წარმოდგენილია რომ თამარ მეფეს „წმინდა ქალაქში“ სასულიერო საქმის მოსაგვარებლად საერო პირი გარეგზავნა. მაშასადამე, ყოველ ეტეს გარეშეა, რომ ელნი, რომელიც თამარ მეფემ 1192 წელს სილამანი გავზავნა, უთოდვე სასულიერო პირი, რომელმე გამოიჩინილი ქართველი მღვდელმთავარი იქნებოდა.

მესამე, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ იერუსალიმში დიდმნიშვნელოვანი სასულიერო საქმის გამო მეფის ელნად წასვლა დიდი და საპატიო დავალება იყო, რომელიც შეიძლებოდა მიენდით სამღვდელთების მხოლოდ პროგრესული ფრთის წარმომადგენლის, დიდად ნიჭიერი და მეფის კართან დაახლოებული მღვდელმთავრისათვის, რომელიც თამარის აბსოლუტური ნდობით მსარგებლებდა. შესაძლოა; გარყვეული შინშვნელობა ჰქონოდა იმ გარემოებასაც, რომ რუსთველის ტახტი ტერიტორიულდაც ახლოს იყო დედაქალაქთან.

1. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, — საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958 წ., გვ. 219.

მეოთხე, ყურადღებას ამახრებებს, დამოლოთ, ის გარემოებაც, რომ თვით რუსთველი, ხელოვნურად აღნიშნული მიზეზების გამო, დიდი ინტერესებუელი იქნებოდა სახლვარგარეთული ქართული საყანეების ნახვით, სადაც მას შრავალი თანამოხრე (მთ შორის ნიკოლოზ გულაბერისძე) ეგულებოდა რუსთველის სტრავილა კი, სხვა მღვდელმთავრებთან შედარებით, მეფის კარზე, ცხადია, მეტი გავლენა ექნებოდა.

რაც შეეხება იერუსალიმში რუსთველის მეორედ გამგზავრებას, ეს უკვე სულ სხვა სიტუაციაში უნდა მომხდარიყო. დიდი ეპოქა რომელმაც რუსთველს ქნარი ასაზრდოვან დასრულდა. ტრიუმფალური გამარჯვებება რღვევის წინშემა შესცვალა. გარდაიცვალა დავით მეფე — სოსლანი (1206 წ. — ეპოქის გამრი; გარდაიცვალა ნიკოლოზ გულაბერისძე (1210 წ. ახლოს) — ეკლესიის პროგრესულ ძალთა ბელადი; დამოლოთ, გარდაიცვალა თვით თამარი (1212 წ.) — სიმბოლო საქართველოს დიდებასა და შთავგანება რუსთველის მოეხიისა. გიორგი ღამა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმადლებზე, იგი უფრო ვართობაზე ფიქრობდა, ვიდრე სახელმწიფოს საქმეებზე. გამოჩნდნენ „ღვთისაგან დასაქვლად მოეღწერი“ მონგოლები; გაძლიერდა საერო და სასულიერო რეაქცია. ერთი სიტყვით, დრო შეიცვალა.

ასეთ პირობებში საქმარსზე მეტიც იქნებოდა იმის მიზეზები, რომ მოხდეს პოეტის აქტიური მოღვწეობის ასპარეზი დაეტოვებია და მონასტრის მუდღრო ბანაზე, საუკუნო განსაქარებლობზე ეფიქრა.

როგორც ჩანს, დიდი პოეტის მიერ სამშობლოს სამუდამოდ დატოვება ხალხმა განსაკუთრებით ღრმად განიცადა, უთოდვე ამით უნდა აიხსნოს ის საველოსხმო ფაქტი, რომ დღემდე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია შეპოჩინილი ვადმოცება, რუსთველის იერუსალიმში წასვლისა და ბერად შედგომის შესახებ. ბერად შედგომის ამბავი ხალხურ ვადმოცემაში, ეტყობა — ანარეკლია იმ ფაქტისა, რომ ქუარის მონასტრში დიდი მღვდელმთავარი რუსთველი, არცებული წესის თანახმად, ხელს აიღებდა ყოველგვარ ბატონსა და პრივილეგიებზე და იცხოვრებდა უბრალო ბერად, სწორედ

1 ვეფქრობთ, სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს მოსე ქანაშვილის შემდეგი აზრი: „რაცი შეეხება რუსთველის იერუსალიმში წასვლის ამბავს, ამის მიზეზად შეიძლება ჩითივალის ღამა გიორგის უფანო საქცალი... რახან ღამა ესოდენ დავცა, აღარ მოიწმომია აქ ღარჩენა, წავიდა იერუსალიმს და იქ გარდაიცვალა“ (გაზ. „საქართველო“, 1917 წ., № 15).

ისევე, როგორც ნიკოლოზ გულაბერისძე მო-
ქცა.

საფიქრებელია, რომ ქვარის მონასტრის და-
შკენებული ნაწილის შეკეთება და მოხატვა
რუსთველს ამ მეორედ გამგზავრების დროს
უნდა მოეხდინა და თანაც თავისი საკუთარი
ხარჯით. პირველი გამგზავრების დროს, როცა
იგი მეფის ელჩი იყო და გარკვეულ დავალებას
ასრულებდა, რუსთველს, ალბათ, არ ექნებოდა
დრო და საშუალება მონასტრის განახ-
ლება-მოხატვაზე ეზრუნა, მით უმეტეს, რომ
ასეთი განახლება-მოხატვა, თურქთა ბატონო-
ბის პირობებში, მართა ქვარის მონასტრის რო-
დი დასჭირდებოდა; გარდა ამისა, რუსთველს
რომ ქვარის მონასტერი თმარის დავალებათა
და სახელმწიფოს სასარგებო განხატვებში, მა-
შინ მონაწილეობის კრებული მის ღვაწლს ასეთი
დიდი პატივით არ აღნიშნავდა.

საფიქრებელია; აგრეთვე, რომ ქვარის მონას-
ტრში წარმოდგენილი რუსთველის პორტრე-
ტი შესრულებულია მისი იერუსალიმში მეო-
რედ ჩასვლისა და იქ საბოლოოდ დამკვიდ-
რების შემდეგ, რასაც გვიმოწმებს პოეტის ასა-
კიცი და თვით პორტრეტის შესრულების რე-
ლისტიური სტილიც. ჩანს, რუსთველის პორ-
ტრეტს მხატვარი უშეალოდ ნატურადან ასრუ-
ლებდა, ამიტომაცაა პოეტის სახე და თვალები
ასეთი ციხეხალი და გამომეტყველი.

რაც შეეხება რუსთველის პორტრეტის ვედ-
რების კომპოზიციის სიმბოლურ შინაარსს, აღ-
ვირად შესაძლებელია, რომ მართალი იყვნენ
ის მკვლევარები, რომლებიც მასში სხვადასხვა
ფილოსოფიური იდეების მხატვრულ ასახვას ხე-
დავენ, მაგრამ როგორც არ უნდა აიხსნას ხე-
ნებური სიმბოლიცა, ჩვენთვის ერთი რამ სავ-
სებით ცხადია: პორტრეტზე გამოხატულია გე-
ნიალური პოეტი და გამოჩენილი მღვდელმთა-
ვარი, ერის სულიერი მამა, რომელიც მხურვა-
ლედ ლოცულობს და ავედრებს ღმერთს სა-
სართველის აღიებებს, საყვარელი სამშობლოს
და ხალხის ბედნიერებას!

ასეთია ძირითადი საკითხების ის წრე, რო-
მელიც იერუსალიმის ქვარის მონასტრთანაა
დაკავშირებული და რომელსაც დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს ეფესისტყაოსნის ავტორის ენაო-
ბის დასადგენად.

როგორც დავინახეთ, ქვარის მონასტერი და
მისი ძველები ისევე აშკარად დღადადებენ რუს-
თველის ნამღვილ ვინაობას, როგორც საქარ-
თველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატუ-
რის მრავალიცხოვანი მონაცემები, რომელთა
შესახებ ზემოთ ვეჭონდა საუბარი.

1. ამ ჩვენს საუბარელო მისაზრებებს მხარს
უჭერს იბნ-შედადის ცნობა; თუცა ესეც კი-
ც პანაიხობაღის მიხედვით, რუსთველის ელ-
ჩობის მიზანს სწორედ ქვარის მონასტრის რე-
ტავრაცია შეადგენდა.

ამრიგად, ჩვენ, შესაძლებლობის ფარგლებ-
ში, განვიხილეთ და გვაანალიზებთ რუსთვე-
ლოლოგიაში დღემდე ცნობილი და ეფესოს-
ტყაოსნის ავტორის ენაობასთან დაკავშირებუ-
ლი თითქმის ყველა ძირითადი საკითხი; ნაწი-
ლობრივ შევხებით, აგრეთვე, პოეტის შიოფლ-
მხედველობას და იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკ-
ურ გარემოს, რომელმაც რუსთველი წარმო-
შვა.

ამ განხილვამ და ანალიზმა თვალნათლევ და-
გვანახვა, რომ არ ასუბობს არც ერთი მეცნი-
ერულად შემოწმებული ფაქტი, რომელიც არ
ეთანხმებოდეს და ხელს უშლიდეს ახალი თვალ-
საზრისის ამოსავალ დებულებას, პირიქით,
ყველა დღემდე ცნობილი ფაქტი და არგუმენ-
ტი, როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურუ-
ლი და ფოლკლორული, მოწმობს, რომ რუს-
თველი ნამღვილად დიდად განათლებული სა-
სულიერო პირი და რუსთავის მღვდელმთა-
ვარი იყო.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თით-
ქმის ეფესისტყაოსანი, რაიმე მხრივ, სასულიერო
ნაწარმოებია და ქრისტიანული რელიგიის საქ-
მეს ემსახურება? რა თქმა უნდა, არა. ეფესოს-
ტყაოსანი მხოლოდ გარეგნულად და ფორმა-
ლურად ღვას ქრისტიანობის ნიადაგზე, არსე-
ბითად კი ზემანიზმის სულსაყვარებით გაყ-
ვენილი პოემაა, რომელიც ქვარის უთარის
შუთსაფუძნების ქრისტიანულ-საკეტურ იდე-
ოლოგიას.

როგორც ეფესისტყაოსნის ვებრებს აცეით
უცხოური ტანსაცმელი, სული კი ქართული
ულგათ, ასევე ეფესისტყაოსნისათვის ქრისტიან-
ობა ვარჯვენი სამოსელია, მისი სული კი ზე-
მანისტურ-რენესანსულია. ფორმალურად ეფე-
სისტყაოსანში არაფერი არ ეწინააღმდეგება
ქრისტიანობას, ფაქტურად კი ეს საოცარი
პოემა მთლიანად ქრისტიანობის საწინააღმდე-
გო ნაწარმოებია.

სხვაგვარად გამოხატვა თავისი მოწინავე აზ-
რებისა რუსთველს არ შეეძლო, რადგან იგი
თავისი ეპოქის შვილი იყო. თუკი ევროპის სა-
ხელმწიფოებში, შუთსაუკუნეების მთელ მან-
ძილზე, ეკლესიისა და ფეოდალიზმის წინააღ-
მდეგ ბრძოლა იმავე ქრისტიანობის ჩარჩოებში
მიმდინარეობდა; თუკი მე-16 საუკუნეშიც კი,
თვით ყველაზე რადიკალური სახალხო რეფო-
რეციონი ძიგეოლოგები ბაზლიან მიმართავდნენ
და ადრექრისტიანობისდროინდელი თავისუფ-
ლების აღდგენას მოითხოვდნენ, რა ვსაკვი-
რია, რომ მე-12 საუკუნის პოეტს თავისი აზ-
ლი, ზემანისტურად აზრები იმავე ქრისტიანუ-
ლი რელიგიის გარეგან საზოგადოება ვეხვია?

ესეც უნდა ითქვას: რუსთველის ზემანის-
ტური იდეები რაიმე შემთხვევითი და განსა-

ეუბრებულ ვარემოების შედეგი კი არ არის, არამედ იმდროინდელი საქართველოს მთელ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ეკონომიკური ნაყოფია. თავისთავად ცხადია, ვიდრე საქართველოში მატერიალური ცხოვრების პირობები, რთული საჯარო ვითარებისა და ქვეყნის შინაური დაქუცმაცებულობის შედეგად, მიიმე იყო და ხალხი უკიდურეს განსაცდელში იმყოფებოდა, ეძლეო ხალხის ერთადერთი ხსნა და იმედი ღმერთი და ეკლესია იყო, ქართული ლიტერატურის ცენტრში წმინდანები და მათი ცხოვრება უნდა მდგარიყო. იმ დროს საეკლესიო ლიტერატურა დროის მოთხოვნილებას უბასუხებდა და საზოგადოებრივ ფუნქციას, ეპოქის დაცემას ასრულებდა. მაგრამ შემდგომში, როდესაც საქართველო ვერითანად და იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს ერთერთი უდიდესი და უმდიდრესი სახელმწიფო გახდა, როდესაც იმატა მატერიალურმა დოვლათმა და ხალხის ცხოვრება, საერაობა, საგრძნობლად გაუმჯობესდა, როდესაც გაძლიერდა ელასთი ბრძოლა და გაბატონებული კლასები ფუფუნებაში ჩაეფლან, როდესაც ღმერთის ვარა და ხალხს იმედად ძლიერი მეფეები (დავითი, გიორგი, თამარა) მოველინენ, „წმინდანთა ცხოვრება“ მეორე პლანზე უნდა დამდგარიყო და მის ნაცვლად ლიტერატურას წინ წამოეწია ამქვეყნიური, ხორციელი ინტერესები: უნდა შექმნილიყო ლიტერატურა, რომელიც დასახლებულ ამქვეყნიურ ბედნიერების, სიცოცხლის, სიყვარულს ეკონომიკურებას, და, ამავე დროს, შეინარჩუნებდა ხალხის ზნეობრივ სიწმინდესა და სიფიქსეს.

ეკლესიას, რომელიც იმდროინდელი კულტურისა და იდეოლოგიის ხელმძღვანელი იყო, არ შეეძლო შეეცვლილი ვითარებისათვის ანგარიში არ გაეწია და თვითონვე არ ეზარუნა საერო ლიტერატურის (სხევე როგორც ისტორიო-გრაფიკისა და სხვ.) შექმნაზე. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ეკლესია სახელმწიფოს დაქვემდებარა და, შესაძლებლად, მას საერო საქმეებზე ზრუნვაც დაეკარგა. ამოგად, ეკლესიის მამებს, თუ მათ სურდათ, ეპოქის მოთხოვნილებათა სიმძლავრე დარჩენილიყვნენ და ხალხში გაეღწა არ დაეკარგათ, გზა უნდა გაეხსნათ საერო ლიტერატურისათვის. აი, სად იყო ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ ქართული საერო ლიტერატურა სასულიერო მწერლობის წიაღში აღმოცენდა და მის შემდგომ განვითარებასაც დიდი ბიძგი სწორედ სასულიერო პირებმა მისცეს.

მაგრამ რაი საერო ლიტერატურას ერთხელევე გზა გაეხსნა; რაი ეკლესია იძულებული გახდა, ასე თუ ისე, შეეწყინებია ხალხის ამქვეყნიურ ინტერესებზე წერა, რაი, ამავე დროს, ხალხში დიდი იყო მოთხოვნილება საე-

რო ხასიათის ლიტერატურაზე, უნდა გამოქვენილიყო ადამიანი-გენიოსი, რომელიც ეფიქრებოდა „სასულიერო მამებს“ მერს საერო ლიტერატურისათვის განჭრებულ მარშალ ენში, გადასახლება ამ ჩარჩოებს და ბასუხს ვასცემდა იმდროინდელი ცხოვრების მომწიფებულ ამოცანას, გამოხატავდა ხალხის სულიერ მიწრაფებას. სწორედ ასეთი გენიოსი გახლდათ შოთა რუსთველი, რომელიც იმავ სასულიერო წოდების წიაღში აღიზარდა, მაგრამ თავისი წოდების ინტერესებს შორს ვასცილდა.

შოთა არ არის თვითნაწყოელი პოეტი. იგი პროფესიული მწერალი-გენიოსია, რომელმაც უნაყოფო იცის თავისი დროის პოეტის კანონები; ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ იგი პროფესიული საეკლესიო პოეზიის ტრადიციებზე აღიზარდა.

შოთამ უბაღლოდ იცის ქართული ენა, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ მისი სწავლავლბრდა, ძირითადად, ქართულ ენაზე და ქართულ ეკლესია-მონასტრებში თუ სასულიერო აკადემიებში მიმდინარეობდა.

შოთა ზემოქვეყნით კარგად იცნობს ქრისტიანულ მოძღვრებას და თავისი დროის ღვთისმეტყველურ თეორიებს. რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ მას მიღებული ჰქონდა უზღულესი სასულიერო განათლება და თვითონაც თავისი დროის უდიდესი მოაზროვნე იყო. შოთა რომ ერთსაყვეო ყოფილაყო, ცხადია, ვერ შესძლებდა მიეღო ასეთი ბრწყინვალე განათლება და დავაბური შეცნირებას მწვერვლები, რადგან სწავლა-განათლება იმ დროს სასულიერო უწყების მონაპოლია იყო, ერთსაყვეო დრო და ენერგია კი, უმთავრესად, სამშობრო წრეთას, ნადირობასა და ომებს ხმარდებოდა.

შოთა ბუნებისაგან უხედა დაქილოებული პოეტი და მოაზროვნეა, რომელმაც შეიწოვა და შეისისხლბორცა ყოველივე კარგი, რაც მისი დროის საქართველოში მოიპოვებოდა და შესარულა დიდი ეპოქალური ამოცანა: შექმნა პოემა, რომელიც თემცა ფორმალურად არ სცილდებოდა ქრისტიანული მოძღვრებას ჩარჩოებს, მაგრამ ფაქტიურად არღვევს ამ ჩარჩოებს და ემსახურება ხალხის ამქვეყნიურ, რეალურ-ადამიანურ ინტერესებს.

შოთა ეპოქალური მოველნაა, დიდი ეპოქის უყეთეს ფიქრთა და გრძნობათა მწვერვალა. ნუ დავგავიწყებება, რომ რუსთველის საქართველო იმდროინდელი მსოფლიოს ერთერთი ყველაზე დაწინაურებული და კულტურული ქვეყანა იყო. საქართველო იმ დროს ევროლიზებული მსოფლიოს სათავეში მდგომი ბიზანტიას პირველობას ეცილებოდა, ხოლო ქართული აზრი მსოფლიო მასშტაბის გეგანებას იმენდა. ამიტომაცაა, რომ რუსთველის გმირები ასე თავისუფლად დანაჯარობენ იმდროინდე-

ლა მსოფლიოს სხედასხვა ქვეყანაში. შემდგომში საქართველოს აღარასოდეს არ უთამაშნია მსგავსი მსოფლიო მასშტაბის როლი და ამიტომაცაა, რომ რუსთველის მსგავსი გენიოსიც აღარ გვევლია. დღეს დღეის ძეძუ გამოზრდისო, — იტყვდა ილია ჭავჭავაძე.

შოთა რუსთველი იყო კაცო კაცო სარელი: მას ტანთ ემოსა სამდღელო ტანსაცმელი თითქოს იმისათვის, რომ საშუალება ჰქონოდა თავისი ხალხის სულგრილი მწყევლის და ნამდვილი მამა გამზღარეთო; ხელთ ეპყრა ხმალი, რათა გაჭირვების განსა ფეოდალთა და გლეხთა ლაშქარს წინ გაძლოლოდა და ქართველი ხალხის შტრები შეემუნრა; გულში უღვივოდა პოეზიის დიდი ცეცხლი, რათა თავისი ერის უწმინდესი გრძნობები, ფიჭრები და იდეალები უკედლე პოეტურ სიმღერად ექცია.

შოთა რუსთველი იყო გმირული სულის მქონე ადამიანი. მან დაამარცხა ბორჯბა და დღევრძელობა მიაწიჭა კეთილს. მან დაამარცხა თვით სიკვდილი, რადგან მიხვდა, რომ:

ვერ დამიჭირაეს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა
კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალ-
გულოვანი;
ზოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და
მსცოვანი;
სწობს სიციცხლესა ნაზრახსა სიკვდილი საბე-
ლოვანი!

შოთა რუსთველის უბადლო გენიამ აამაღლა, გააძლიერა და დაამშვენა ქართველი ადამიანი. მან ასწავლა თავის ხალხს ჭირსა მთგან ჭეიქორივით გამაგრება, ასწავლა ბრძოლა, სიციცხლე და სიყვარული!

მაგრამ რუსთველის გენიამ არა მარტო ქართველი ადამიანი აამაღლა, არამედ მთელ კაცობრიობას გაუწია სამსახური; ეფფხისტყაოსანი არის კაცობრიობის კუთვნილი ფასდღედებული განძი, რომელიც დღესაც გულს უთრთოლებს ყველას, რა ერის შვილიც არ უნდა იყოს იგი.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ვეფხისტყაოსნის აეტორის ეინაობის გამოცკევეა, ქართველ მეცნიერთა უწმინდესი მოვალეობაა.

და თუ ჩვენ შევძელით თუნდაც სულ მცირე წელიწადი შეგვეტანა ამ დიდ ეროვნულ საქმეში, თავს ბედნიერად ჩავთვლით.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ წარმოღვენილი გამოცველვა უნაყოლო მიეინიოთ. ჩვენ ვეცმის, აგრეთვე, რომ შემოთავაზებული თვალსაზრისი ყველსაგან ერთბაშად შეწყნარებული არ იქნება და მას, აღმათ, ბეერა მოწინააღმდეგე გამოუჩნდება, მაგრამ არა გვეონია, ეს გარემოება დამაღონებელი იყოს. დარწმუნებული ვართ, რუსთველოლოგიის ბრობლემებზე განსალი მეცნიერული კამათი, თუნდაც ის მწვავე კამათიც იყოს, ქართულ კულტურას მხოლოდ სარგებლობას მოუტანს.





„დინარას“ პრობლემისათვის

როგორც ზემოთ აღნიშნულ სწორედ სახელე-
ბის გადაკეთება, მ. ბროსეს აზრით; ყველაზე
ბუნებრივი ახსნა რუსული ძეგლის იმ „ზოგი-
ერთი შეუსაბამობისა, რომლებიც გაოცებას
იწვევენ“ (გვ. 490).

ჩამოვთვალეთ ეს „ზოგიერთი შეუსაბამობა“,
რომელიც მ. ბროსეს აზრით ნაწარმოებში
მოიპოვება:

თამარს ეწოდება დინარა; გიორგი III-ის
ნაცვლად დინარას მამად დასახელებულია
აღუქსანდრე შელუხი; დინარა არასოდეს გა-
თხოვილა, უშვილოდ ვარდაიცვალა და ხელი-
სუფლება ნათესავებს გადასცა; რუმის სულ-
ტანის ამბუქერის ნაცვლად დინარას ებრძვის
სპარსეთის მეფე ადრამელუხი; მოხსენებულია
უცნობი „შაბრენის მონასტერი“; დინარა უშუ-
ალოდ მონაწილეობს ბრძოლაში და ჰკლავს
სპარსთა მეფეს; დინარამ აიღო ქალაქები თავ-
რიზი და შამხა; დინარას მეფობის ხანგრძლი-
ვობა 38 წელი და ექვსი თვე; დინარა დამარ-
ხეს „შაბრენის“ მონასტერში, მ. ბროსე არ
აღნიშნავს სხვა მნიშვნელოვან განსხვავებებს,
რომლებიც „დინარას“ და თამარ მეფის ის-
ტორიებს შორის არსებობს. შავალითად, დი-
დებულების წინააღმდეგობა ომის დაწყების
საკითხში, დინარას მიერ (ისე როგორც მამა-
მისის მხრივ) სპარსელებისათვის ზარკის გა-
დახდა და სხვა (ამაზე იხ. ქვემოთ).

არცერთი ეს ვარაუდები არ არის არც შამ-
ქორის ომის ისტორიულ აღწერაში, არც სა-
ერთოდ თამარის მეფობის ისტორიებში. მათი
დამაკმაყოფილებელი ახსნა მკვლევარმა თავის
ნაშრომში ვერ მოკვცა. საკითხის თანამედროვე
მკვლევარიც, რომელიც „სავსებით იზიარებს
ბროსეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას“, აღ-
ნიშნავს, რომ „ბროსეს არგუმენტაცია საკმა-
რისად არ მიგვაჩნია საკითხის გადასაწყვე-
ტად“¹.

დასასრული იხ. „მნათობი“, № 4.

¹ ი. ცინცაძე, რუსული თქმულების „დინა-
რას“ საკითხისათვის; თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები, ტ. X, 1939, გვ. 63.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია სრული ობიექტუ-
რობით დავასვენათ, რომ მ. ბროსემ ვერ და-
საბუთა მის მიერ წამოყენებული დებულება.

1858 წელს ა. ნ. პიპინმა გამოაქვეყნა ვრცე-
ლი გამოკვლევა რუსული მოთხრობებისა და
ზღაპრების შესახებ, რომელშიაც განიხილა
„დინარასთან“ დაკავშირებული საკითხებიც. ა.
პიპინი იზიარებდა მ. ბროსეს დებულებას,
თელიდა, რომ ნაწარმოები რუსეთში შემოტა-
ნილი იყო „ნახევრადგანსწავილი ქართველე-
ბის მიერ“, მაგრამ იმ თავისებურებასაც აღ-
ნიშნავდა, რომ „მოთხრობა დინარაზე“ მკითხ-
ველში უფრო ზღაპრული ამბებისადმი აღ-
ძრავდა ინტერესს, ვიდრე ისტორიული ფაქ-
ტებისადმი (გვ. 222). თავისი ცნობილი „რუ-
სული ლიტერატურის ისტორიის“ (ტ. II) ვეე-
ლა გამოცემაში ა. პიპინი იმეორებდა ამ დე-
ბულებას და უოგულგვარი დასაბუთების ვარ-
უე ამბობდა, რომ „დინარა არის თამარ მეფე“,
მ. ბროსეს კვლად რუსულ ძეგლში აღწერილ
ბრძოლას ა. პიპინი აიგივებდა თამარის მიერ
გადახდილ შამქორის ომთან.

XX საუკუნის ათიან წლებში მ. ბროსეს
მიერ წამოყენებული დებულების წინააღმდეგ
გამოვიდა ეპისკოპოსი კირიონი (გიორგი სა-
ძაგლეშვილი) თავის ცნობილ წიგნში². იგი
თვლიდა, რომ ნაწარმოებში ასახულია X საუ-
კუნის პირეთის მოღვაწე დინარა დედოფალი,
თუ „ქართლის ცხოვრებაში“ უფრო დაწერი-
ლებითი ცნობები დინარაზე არ მოგვეპოვება,
ეს იმიტომ, რომ პირეთის სამეფოს თავისი
მეტანე ქონდა, რომელიც „სამწუხაროდ ჯერ-
ჯერობით უცნობია“ (გვ. 112).

მ. ბროსეს შეხედულებას, განაგრძობს კამათს
კირიონი, მაშინ შეაძლებოდა მისცემოდა სა-

¹ А. Н. Пыпин, Очерк литературной
истории старинных повестей и сказок
русских; Ученые Записки второго отде-
ления имп. Академии Наук, кн. IV,
1958, стр. 218—222.

² Епископ Кирьян, Культурная роль
Иверии в истории Руси, Тифлис, 1910,
стр. 110—113.

მართლის მსგავსი რაიმე მნიშვნელობა, რომ დინარას სახელი სულ არ გვხვდებოდეს საქართველოს ისტორიაში, მაგრამ იგი ისტორიულაპირია და კარგადაა ცნობილი ჩვენი მემკვიდრეებისა და სომეხი მწერლებისათვის. თამარი, გვახსენებს კირიონი, ვახოვილი იყო რუს მთავარ გიორგიზე, ანდრია პოგოლიძესკან შვილზე და ცნობილი უნდა ყოფილიყო რუსებისათვის.

კირიონის ცნობით, 1639 წელს კახეთში მყოფ რუსეთის ელჩს თავად თ. თ. ვოლკონსკის ალავერდის არქიეპისკოპოსი ზებედე აცნობდა, რომ ალავერდის მონასტერი დაარსებულია ქართველი დედოფლის, სპარსეთის მეფეზე გამარჯვებული დინარას შვილის მიერ, რომლის ნუსტი ასაფლავია მონასტრის ეკლესიაში, ხლო მემკვიდრეები, დინარას სახელმწიფო მემკვიდრეები და მისი სპარსეთის მეფეზე გამარჯვების თბობის დროს, ღმერთს უპატივად გვერდს იმას, ვახოვილი იყო იგი და ჰყავდა შვილები თუ არა (გვ. 112-113).

დინარაში რომ თამარ მეფე ყოფილიყო ნაგულისხმევი, მსჯელობს კირიონი, ქართველი არქიეპისკოპოსი, წიგნიერი კაცი, არ იცოდა, რომ მემკვიდრე არას ამბობს დინარას ვახოვილზე და შვილებს უპატივებდა. რადგან „ქართლის ცხოვრება“ დაწერილივით მოგვითხრობს თამარის ორ ქორწინებაზე და ვცნობს, რომ მას ჰყავდა ვაჟი გიორგი და ქალი რუსუდანი და თამარიცა და გიორგიც ალავერდში კი არა, არამედ ველათში არიან დამარხდნენ (გვ. 113).

თავის წიგნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კირიონი საუბრადებო აზრს გამოთქვამს: „რუსმა შვიგნობარმა, რომელმაც ეს მოთხრობა გადაიღო, დაამხინჯა პირადი სახელები, როგორც ეს ხშირად ხდება რუსულ წერილობით ძეგლებში. ქართული მატინის ცნობით დინარა მმართველ ადარანსე მესხის ქალიშვილია, მან კი ადარანსე მესხი ალექსანდრე მელუხაძე აქცია“ (გვ. 111).

ცხადია, ადარანსეს ალექსანდრედ გადაკეთება უფრო მოსალოდნელი იყო რუსი შვიგნობარის მიერ, ვიდრე გიორგის ალექსანდრედ ან თამარის დინარად გადასჯავარება.

ეპისკოპოს კირიონის მოსაზრებამ, ისე როგორც სხვა დებულებებმა მის სავალო ტენდენციურ წიგნიდან, მომხრეები ვერ ჰპოვა. კირიონის აზრი დინარაზე უარყოფილია პროფ. ა. ცინცაძის შრომაში (იხ. ქვემოთ).

რუსი მკვლევარებიდან ყველაზე ვრცელი და მრავალმხრივი სპეციალური ნაშრომი „დინარას“ უძღვნა 1926 წელს აკად. მ. ნ. სპერან-

სკომ. მიმოიხილავს რა ძველის გარშემო არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, მკვლევარი აღნიშნავს რომ მეცნიერების მიერ უკვე უძველესადაა ცნობილი რომ არის გარკვეული ნაწილობით დაკავშირებული ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა მისი წარმოშობის, ენის, იდეური მიმართების, შვემის თაბილის და სხვა. ყველა აღნიშნულ საკითხს თვით ავტორი იცნობს და სათანადო დასკვნებზე გამოატყვის.

ნაწარმოების წარმოშობის საკითხში მ. სპერანსკი ძირითადად ეყრდნობა მ. ბროსეს დებულებებსა და იზიარებს მათ. როდესაც საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობს, მკვლევარი იყენებს მ. ბროსეს მიერ 1849 წელს ფრანგულად გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიას და სამაოდ უხვ შვიგნობებშიც ეწეებს (სმარათლიანად საყვედურობს მას ამის გამო პროფ. ა. ცინცაძე თავის გამოკვლევებში). ასე მაგალითად, პეტრის მკვლევარი დასავლეთ საქართველოს შიკეთებებს, დინარას ბრძოლის ანალოგიურ შიკეთების ომს უძღვს, მაგრამ მის მოწინააღმდეგე ნეტარდინს (რუენადინს) ასახელებს, რომელიც ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს 10 წლის შემდეგ მოხდა ბასიანის ომში, „შაბრუნის მონასტერში იგი შაბრუნის მონასტრად მიიჩნეეს, რომელიც თვითმე სვანეთში იმყოფება, ჭყონდიდელის მფარველად სწავს დეხკონდიდელი, მეტეხის ნაცვალად „მეტეხი“. მ. სპერანსკი თვლის, რომ მ. ბროსემ დეტალურად შეადარა „დინარას“ ტექსტი ქართულ მატინებს, ეს კი ასე არ ყოფილა (ეს დეტალური შედარება მხოლოდ ჩვენს დროს პროფ. ა. ცინცაძის მიერ მოხდა). მკვლევარი ეტყვის გამოთქვამს, მართლა არ მოწინააღმდეგე თამარ მეფე პირადად ბრძოლებში, თუ მხოლოდ ქართული მატინეები ვეგრევებენ ასე; თამარის მატინისეული ისტორია მას ლეგენდად მოაჩნია. მეტიც, მისი დასკვნით ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებას“ ლეგენდები სდებია საფუძვლად, თუმცე არსებულა ქართული ლეგენდა თამარზე, რომელსაც ამ ლეგენდში უკვე დინარა რქმევი და იგი საფუძვლად დასდებია როგორც რუსულ „მოთხრობას დინარაზე“, ისე ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებას“ და სხვა.

მ. ბროსეს ვეადა, მ. სპერანსკის მსჯელობა ამგვარია: პეტრის დინარ დედოფლის სახელი და საქმენი ნაცვალად ცნობილია საქართველოს ისტორიაში და თუ ცნობილია, დაკავშირებულია სულ სხვა ამბებთან. „სამეცნიეროდ ვანთქმული თამარ მეფის ისტორიაში ვხვდებით იმ ფაბულის თითქმის ყველაზე ძირითად ნა-

¹ М. Н. Сперанский, Повесть о Динаре в русской письменности; Известия отделения русского языка и словесности Академии Наук СССР, т. XXXI, 1926, стр. 43—92.

წილებს, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს მოთხოვნას დინარაზე“ (გვ. 53—54). ავტორს მხედველობაში აქვს შამქორის ომის ის აღწერილობა, რომელიც ქართლის ცხოვრებაშია მოცემული.

ის დამთხვევები, რომლებიც რუსულ „დინარას“ და თამარ მეფის ისტორიას შორის არსებობს, მ. სპერანსკის აზრით შემდეგია:

1. მსგავსია ნუქარდინისა და აღრამელუხის მოთხოვნები თამარისა და დინარას შიშართ.

2. ბრძოლის წინ თამარი ლაშქარს სიტყვით მიმართავს და ახსენებს ბიბლიურ გედეონს, რომელმაც 300 კაცით დაამარცხა ფრიცხვი მადიაშელნი. ასევე იტყუვა დინარაც, რომელსაც აგრეთვე მოჰყავს ბიბლიის ანალოგიური ადგილი.

3. ამ სიტყვის შემდეგ თამარი ფეხშიშველი შიღის მონასტერში და ლაცულბს ღვთისმშობლის ხატის წინაშე. ასევე იტყუა დინარაც.

4. მართლაც, ქართულ მატრიანეთა ჩვენებით თამარი, თავისი მხედარმოთაგრების საშუალებით აწუხობდა ლაშქრობებს, მაგრამ ამერად იგი თვით მონაწილეობს ლაშქრობაში. დინარაც მონაწილეობს ლაშქრობაში და უფროდ ეშვება ბრძოლაში, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს მტრის დამარცხებაში (გვ. 56—57).

მ. სპერანსკის მიერ ჩამოთვლილ ამ დამთხვევებზე და პარალელებზე ჩვენ ქვემოთ გვიჩვენებთ დაწვრილებითი მსჯელობა. ახლა კი მხოლოდ ერთ ვარაუდს აღვნიშნავთ.

არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ თამარი ბრძოლაში პირდაპირ არასოდეს მონაწილეობდა. შამქორის ომში ქართველების ჭარს დავით სოსლანი ზღვრულად ეხმარებოდა, თამარი კი ტახტზელას იყო ყრმა უფლისწულთან ერთად. დავითმა გამარჯვების მხარობლად მის მანდატურთ-უხუცესს გამოუწვავინა (მათივე ეპოქის მხარეების ცნობით მხარობლად თამართან საჩუქის მხარგრძელი თმოგველი მოვიდა).

ბასიანის ომშიც ქართველებს დავითი სარდლობდა. თამარი ჯერ ვარძიში იყო, სადაც ომში მიმავალი ლაშქარი დალოცა, შემდეგ კი ომრჩებს წვიდა. ომრჩებს მასთან იყვნენ ქართლის კათალიკოსი თეოდორე, მრავალნი ქვისკოპოსნი და მონაზონნი, აგრეთვე პოეტი იოანე შათელი და სხვები. ჭარს საომრად უბაბრეცი წაჰყოლია, ხოლო მოწინავე მებრძოლებად იყვნენ ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი და ორნი მძინე ახალციხელი — შალვა და ივანე. განვიხილოთ, თუ რა განსხვავებებია, მ. სპერანსკის შეხედულებით, „დინარას“ და თამარს შორის. ამ განსხვავებებს მკვლევარი „წარიღმანს“ უწოდებს და მათ ვაკერით მოახსენიებ.

დინარა არ გათხოვილა და სიციცხლის დასასრულს ძალაუფლება ნათესავენს გადასცა,

თამარი კი ორჯერ იყო გათხოვილი და ტახტი შეიღს გადასცა (გვ. 58).

ეს განსხვავებები ჩვენ „წერილობაში“ არ გვგვანია. ჩვენი აზრით იგი ერთ-ერთი იმ განსხვავებებია, რომლის არსებობა ნათლად მიგვითითებს, რომ რუს ავტორებს თავიანთი ნაწარმოების შექმნისას წყაროდ თამარის ისტორია კი არ ჰქონიათ, არამედ რაღაც სხვა მხედრობები, რომლებიც თამარის ისტორიაში ფართოდ გავრცელებული პიბლიური გედეონის გმირობის ამბავი ამოიკითხეს მხოლოდ (რომ ეს ამბავიც აქედან არაა აღებული, ამაზე ქვემოთ) და იური ბოგოლიუბსკის დაწვრილებით მოთხოვნილი ამბავი, მათთვის პირველხარისხოვანი ისტორიული ფაქტი, უგულებელმავდეს თამარის შეიღებებზე არა ერთხელაა ლაშქარეი ისტორიებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ შეიღების საკითხს, ე. ი. დინასტიის ვაგრაბლების საკითხს ჩვეულებრივი ადგილი კი არ უქონიაგ თამარის ისტორიკოსების ნაწარმებში, არამედ ამ საკითხთან თამარის ცხოვრებისა და მმართველობის მრავალი საკანმომოწმებელი დაცემიერებული.

სხვა განსხვავებებზე მსჯელობისას, მ. სპერანსკი ახსენებს თამარისა და დინარას წლავანებას ტახტზე ასვლისას, დინარას მიერ თავრიზის აღებას და სხვ. ძირითად განსხვავებებს კი იგი ყურადღებას არ აქცევს.

ამრიგად, მ. სპერანსკიმ ვერ შეძლო წარმოედგინა რაიმე ახალი საბუთი ან მოსაზრება იმის დასამტყიცებლად, რომ „მოთხოვნა დინარაზე“ თამარის ისტორიის მიხედვით შექმნილი ნაწარმოებია, რომ დინარა თამარია.

IV

ახლა უნდა შევეხოთ იმ ნაშრომს, რომელიც უველანზე უფრო მნიშვნელოვნად სრულად და დასაბუთებულად მიგვანჩია „დინარას“ შესახებ არსებულ მთელს ლიტერატურაში. ესაა პროფ. ი. ცინცაძის გამოკვლევა „რუსული თქმულების „დინარას“ საკითხისათვის“, უნდა ვთხოვროთ, რომ განაყოფიერებული სფეროთილით კვიდებთ ხელს ამ საქმეს, რადგან კარგად გვაქვს შეგნებელი ავტორის კომპეტენტობა და დამსახურება ძველი პერიოდის რუსულ-ქართულ ურთიერთობათა კვლევის საქმეში და მისი ღრმა და ფაქტურ დამოკიდებულება ისტორიული დოკუმენტებისადმი.

პროფ. ი. ცინცაძის სამართლიანი აზრით, მიუხედავად მრავალი შეკვლევის მიერ გწეული შრომისა, „საკითხი „დინარას“ თქმულები

1 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. X, 1939, გვ. 59—93.

ბის წარმოშობის შესახებ საეკლესიო გარკვეული არ არის (გვ. 59).

ავტორს ბუნებრივად მაინცა, რომ მ. ბროსემ რუსული ნაწარმოების გაცნობისთანავე, მასში თამარის შეფობის ანალოგია დაინახა, იგი უნაზღაურებლად მ. ბროსეს იმპიაც, რომ მისი „მოხარება რუსულ ტექსტში „თამარის“ „დინარად“ გადაკეთების შესახებ საეკლესიო შესაძლებელია“ და აცხვინა; „შირადად ჩვენ საეკლესიო ენობრივობით ბროსეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ რუსულ თქმულებაში მოხსენიებული „დინარა“ და მისი მოღვაწეობა თამარ მეფის ამავე არის, მაგრამ ბროსეს არეგისტრაცია საქმარისად არ მიგვაჩინა საკითხის გადასაწყვეტად. ამიტომ ვგადაგზავნა შევეცდებით ახალი ცნობებით საეკლესიო და საღაო საკითხებს მეტი გარკვეულობა მივცეთ“ (გვ. 63).

შემდეგ მკვლევარი ეპისკოპოს კირიანის შეხედულებათა განხილვა-კრიტიკაზე გადადის. ვინაიდან სხვაგან დეტალურად აღარ განვიხილავთ კირიანის მოსაზრებებს, დაწერილობით გავუცნოთ ამ ადგილს ი. ცინცაძის გამოკვლევაში (თავისთავად ის იმითაა არის საინტერესო, თუ რა მახვილი თვალთა ეუბრებს მკვლევართა ისტორიულ საბუთებს და ასწორებს სხვა ავტორთა უნებლო შეცდომებს).

პროფ. ი. ცინცაძის აზრით ჰერეთის დინარადლეოფლის რუსულ „დინარასთან“ გაიგებება მართო საბუთების მიმსგავსებით ვერ დამტკიცდება (შეფანშნაეთ, რომ ამ სახელის მიმსგავსება ეი არ არის, არამედ ერთი და იგივე სიტყვაა). მისი სამართლიანი აზრით, „რუსულ თქმულებაში აღწერილი დინარა არაფერში არ მოივას ჰერეთის დინარადლეოფლის. ვარადა ზემოთ მოყვანილი ცნობისა (ზემოთ მკვლევარის მოაქვს ცნობილი ადგილი „ქართლის ცხოვრებად“ დინარადლეოფლის შესახებ), სხვა არაერთი ცნობა დინარადლეოფლის მოღვაწეობაზე ჩვენ არ გვაქვს წარჩერობით. ამ ცნობიდან დინარა მეფედ არ ჩანს, და, რაც მთავარია, მასთან ერთმეფობა არ იყო საქართველოში. ეს ამავე დაახლოებით მე-10 საუკუნის დასაწყისში სხვა. აღარანსეს სხვა შეიღებე ჰუვად, ერთი მთვანი ზემოთ მოყვანილ ამონაწერში იხსენიება „გურგენ ერისთავთ-ერისთავი“ (გვ. 64).

ამ მოსაზრებების განხილვისას სამი საკითხი დგება.

პირველი — თუ „დინარაში“ ამავე ეტება სრულად საქართველოს ერთ თვითმწყობელ მეფეს, მკვლევარის აზრი („მასთან ერთმეფობა არ იყო საქართველოში“) საეკლესიო ანგარიშგასაწყვეთია, მაგრამ ამის დამტკიცება წერ არავის უცდია. ხოლო რუსული თხზულების „ივერიის დედოფალი“ შეიძლება უფილიფო აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე დამოუკიდებელი სამეფოს გამგებელიც. დინარადლეოფლის დროსათვის ჰერეთი დამოუკიდებელი სამეფო

იყო ჰერეთის მკვლევარი აღმანათლის მემბრტანე მისე კალნატოველზე დაყრდნობით არც ვხვდის, რომ 893 წელს ჰერეთის მთავარს გრიგორს (პამას) მიუღია „მეფის“ ტიტული. ამბივად IX საუკუნის უკანასკნელ წლებში ჰერეთის სამთავროს ხელისუფალნი უკვე მეფის ტიტულს იღებდნენ, ხოლო ჰერეთი უკვე სამეფოა. ეს ამავე გრძელდებოდა, ალბათ მასამდე. ვიდრე ჰერეთი საბოლოოდ არ შეეერთდა საქართველოს ერთიან სამეფოს. ამისთან ერთად გაიხსენსოთ თამარ მეფის ოფიციალური ტიტული: „აფხაზთა და ქართველთა; ჩანთა, კახთა სომეხთა მეფე, და დედოფალი შარაენაშა და შანაშა და ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმწყობელი“², ხოლო მამამისი გიორგი III ოფიციალურად ოდნავ განსხვავებით იწოდებოდა: აფხაზთა, ქართველთა, ჩანთა, და კახთა მეფე, შარაენაშა და შანაშა და აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მფლობელი“³ რომ ვივრცე ვხედავთ, აქ არსად. ივერია ხსენდება არ არის. საერთოდ, თამარის ივერიის დედოფლად წარმოადგენა შეუძლებელია, ვაერთიანებულ საქართველოს არასდროს ივერია არ რქმევი.

მეორე — როდესაც ჩვენ ვაკვირით, რომ რუსული მოთხრობის დინარა არაფერით არ ჰყავს ჰერეთის დინარადლეოფლის, ბუნებრივია, ვეყრადნობით ამ დარბ ცნობებს ამ უკანასკნელზე, რომელიც დღეს ჩვენთვის „ქართლის ცხოვრების“ საშუალებით არის ხელმასაწიფლოში. მაგრამ არასოდეს დაგვიშვია ის აზრი, რომ შესაძლებელია ოდესღაც მასზე სხვა, ჩვენამდე არამოწმული ცნობებშიც არსებობდა (ჰერეთი სამეფო იყო და მას შეიძლებადა ჰყოლოდა თავისი მემბრტანეები). ჩვენა მსხვედრელებით ეს აზრი დასაშვებია, რადგან თუ დამტკიცდა, რომ რუსული მოთხრობის დინარა არ არის თამარ მეფე. ე. ი. ის აღმანათ, რომელიც უხვი ისტორიული ცნობები გვაქვს, რატომ არ შეიძლება დავეშვათ, რომ ეს იყო იმავე სახელის მატარებელი სხვა პიროვნება, აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სამეფოს დედოფალი. რომელზედაც ცნობები თითქმის არ გვაჩვენია?

მესამე — თუ ჰერეთის დინარას მებში ჰყავდა და ამიტომ არ შეიძლება რუსული მოთხრობის ეპირის პროტოტიპად ჩაითვალოს, გვიხსენსოთ, რომ არც თამარი იყო გიორგი III ერთადერთი მეფი. მას ჰყავდა და რუსულდანი, ამავე მოგვითითებს როგორც ლშაა გიორგის-დროინდელი მემბრტანე, ისე ბასილი ეზოს-მოკლავარი „ცხოვრებაში მეფეთ-მეფისა თამარისი“:

1 ი. ჰაპეაშვილი, IX — XII ს. ჰერეთის პოლიტიკური ისტორიიდან, საქ. მეცნ. აკადემიის „მაცნე“, № 3 (36), 1967, გვ. 71.

2 თ. კორდანი, ქრონიკები, II, გვ. 37.

3 საქართველოს სინელები, III, 1926, დამატება, გვ. 2.

„და ასევე მამისა მისისა (თამარ მეფისა) გიორგისი, რუსუდან დედოფალი, იყო ტყვილი და მოწყალე, ნუგეშისმცემელი და შეხებუ-წელი, და მზრდელი ჩვილია და იბობთა, რომელ ღირსნი მათგან ზრდისანი ნამბობთა მათთა წინაშე მოესმედიან. ხელთა მისგან ნაქმარი სა-უდართა და გულსითა იგზავნებოდა“¹.

„ამას (შამადა რუსუდანი) წინაშე იყო თამარ მამინ, ვითარცა თავისა მამიდასა თანა, დიოტრთ თვისით, რომელსაც რუსუდანივე მოაქუნდა სახელად“².

პროფ. ი. ცინცაძე აღნიშნავს, რომ კირიონს „გულთვალისწინებია ის ვარაუგობა, რომ დინარ-დედოფალი შვილი იყო ადარნასესა და აქედან იგი მარტოვად ხდის რუსულ თქმულებაში „დინარას“ შამად ალექსანდრეს მოხსენიებას, მისი აზრით ქართული ადარნასე რუსებმა დაამახინჯეს და ალექსანდრედ გადააქეთეს“ (გვ. 63). ჩვენ არ გვესმის, თუ რა ფუნქციას ასრულებს პატივცემული მკვლევარის გამოთქმა „მარტივად ხდის“, მითვმეტეს, როცა იგი იქვე ამბობს, რომ „მართლაც, ადარნასეს „ალექსანდრედ“ გადააქეთება უფრო ადვილად შეიძლება მომხდარიყო, ვინემ თამარ-მეფის მამის „გიორგის“ „ალექსანდრედ“ გადააქეთებო“.

განვიხილოთ ის ადგილი პროფ. ი. ცინცაძის გამოკვლევისა, სადაც პატივცემული ივტორი ფაქტობრივად სწორია კირიონთან კამათში, მაგრამ არსებითად ეს არაფერს ცვლის და ვერაფერს მატებს ამ დებულებას, რომ დინარა თამარ მეფეა.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კირიონს მოაქვს ერთი ეპიზოდი 1639 წლის რუსთა ელჩობისა კახეთში, რომლის საშუალებით იგი სათანადო დასკვნას აკეთებს თუქსი მოსახრების შესარგებლად. ჩვენ ეს ფაქტი ზემოთ ვანგებ უკომენტაროდ დავტოვებთ, რადგან მის საუბრეთა განმარტებას ი. ცინცაძე იძლევა:

„აღნიშნავთ, რომ დიპლომატიური გაიმართა ზებედუ ალავერდესა და რუს იოსებ არქიმანდრიტს შორის. ტექსტი ზებედეს მარტივად არქიპისკოპოსს ეწოდება, ხოლო იოსებ იბატის მონასტრის არქიმანდრიტს მხოლოდ არქიმანდრიტი, სახელები ალბათ სიმოქალასათვის არ არის ტექსტში მოცემული: И архимарит говорил: видим, что строение было немалое (ლაპარაკია, ალავერდის ტაძარზე) и спросил ево (არქიპისკოპოსს ზებედე ალავერდესს), хто тот монастырь строил? И архиепископ (ზებედე) сказал: была Динара царевна в грузех и перского царя

победила; тоё Динары сын Георгий строил монастырь и в свое имя в церковь святого великомученика Георгия поставил, да сам лежит здез церкви. А архимарит говорил: пишет в летописцах, что Динара царевна в грузех царствовала в перского безбожного царя победила, и потом царство ее на много лет была мирно; а того не пишет, что у нее дети были или замужем была. И они долго думав, сказал архиепископ: была-де замужем“.

„ი. სწორედ ეს ადგილი, განავრცობს პროფ. ი. ცინცაძე, არის გამოყენებული კირიონის მიერ თავის ნაშრომში. როგორც ვხედავთ, ზებედე ალავერდელი ეს არ აცხადებს მატიაშენი დინარას ქმრისა და შვილების შესახებ არაფერი სწორიაო, არამედ რუსი არქიმანდრიტი. ესაა სანტერესია, რომელ მატიაშენზე ლაპარაკობს რუსი არქიმანდრიტი. მას უდავოდ მხედველობაში აქვს რუსული თქმულება „დინარას“ შესახებ, იქ მართლაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ დინარა გულთხორცილი დაიბნა, არ ისურვა ქმარი და გააღაყეების შემდეგ ტახტი ნათესავს გადასცა, ზებედე ეს მას ეუბნება დინარას შვილმა გიორგიმ ააგო ალავერდის ტაძარი; ამიტომ ეკითხება მას რუსი არქიმანდრიტი, მისი ცნობებით დინარას შვილი და ქმარი არ ჰყავდა, და რადუნად სწორია ზებედეს მოწოდებული ცნობა, ზებედე ალავერდელი დაბეჭიყებით ეუბნება, ქმარი და შვილები ჰყავდათ. ასეთია რუსულ ძეგლში დაცული ცნობა. ამ ცნობიდან, პირაქით, ჩვენ ვტყობობთ, რომ „დინარას“ ამბებში ქართველები თამარ მეფის პიროვნებას ხედვენ (თუ მკვლევარს „ქართველებში“ მხედველობაში ჰყავს ზებედე და მისი თანმხლები პირები, ამ ადგილიდან აღნიშნული დასკვნა არ გამოდის. რადგან თუ ორივე მხარე ერთ პიროვნებას გულისხმობდა, კმათი აღარ ატყვებოდა — თ. შ.). ზებედე ალავერდელს კითხონი დიდ ნდობას უცხადებს: განსწავლულთა კაცი იყოო. ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი იმდროისათვის განათლებულ კაცად არ ჩაითვლება. მის მიერ მოწოდებული ცნობა, რომ თითქმის ალავერდის ტაძარი თამარ მეფის შვილმა ლაშა გიორგიმ ააშენა არ არის სწორი. იგი რომ ნაკითხა აღმაინი ყოფილიყო, მას ეცოდინებოდა ალავერდის აღშენებულთა ისტორია. შესაძლებელია კახეთის შამად მდგომარეობა ერთ-ერთი ხელის შემშლელი მიზეზთაგანი იყოს მისი სათანადო განსწავლულობისა, როგორც რუსულ ძეგლში დაცული ცნობიდან ჩამს, ზებედე სამი წლის ნაგებობა ყოფილა და რაც მოთვარია: „а леты архиепископ мал, всего лет 30“ (გვ. 65—66).

განვიხილოთ ეს საინტერესო ნაწყვეტი და პროფ. ი. ცინცაძის დასკვნა. დავუშვათ, რომ ზებედე ალავერდელი იმდენად გამსწავლული არ არის (როგორც ჩანს, ეს საბუთი უნდა იყოს),

¹ „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ვეველი ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, 1955, გვ. 369, ქვემოთ, სადაც უბრალოდ „ქართლის ცხოვრებაზე“ იქნება მითითება, ეს გამოკვლა ივლისსმება.

² „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959, გვ. 115.

რომ არ იცის ალავერდის ტაძრის აგების ისტორია და მას, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თამარისა და მისი შვილის გიორგი ლაშას სიხელს უყავს მიზნებს; არც ის იცის, რომ გიორგის დასაფლავებინა ადგილად მატიაწემი ვილათია დასახლებული და ამ შემთხვევაშიც ალავერდის განსაიდგინებლად მის საფლავს იქვე ასახელებს. როცა რუსი არქიმანდრიტი ეკითხება, ვინ ააგო მონასტერიო, ზებედე პასუხობს (რუსული საელჩოს ტექსტის მიხედვით) დინარას შვილმა გიორგიმ. რუსი ეუბნება, ჩემი ცნობებით დინარა არ გათხოვილა და შვილი არა ჰყოლიო.

ამის შემდეგ მოდის საბუთის ავტორის (იქ დამსწრე პირის) მრავალმხედველოვანი რეზიუმე: *И ОНИ ДОЛГО ДУМАВ...* რაზე უნდა დაფიქრებულყო ზებედე? თავის განუწყვეტლობას მიუხედავად, მან, ყოველ შემთხვევაში, ის მტკიცედ იცის, რომ თამარს შვილი ჰყავდა და პასუხობს კიდევ დადებითად: *БЫЛА-ДЕ ЗАМУЖЕМ*. ეს გაურკვეველია, პაუზა და „ოღბანს ფიქრა“ ამანა გამოიწვევა, რომ ერთი სხვა აღაშინებელ ლაბარაკობს, მეორე—სხვაზე, ზებედე უარყოფდა არა აქვს დინარაზე, ხოლო რუსი არქიმანდრიტს თამარზე. ზებედე რომ თამარზე ლაბარაკობს იქედან, მან, რომ იგი მის გათხოვებასა და შვილის ყოლაზე უფროსად და შეკითხვის შემდეგ, აღასტერებს კიდევ ამას. ბოლო რუსი არქიმანდრიტი რომ რუსული მითხრობის დინარაზე ლაბარაკობს იქედან ჩანს, რომ მტკიცედ იცის მისი ცხოვრების ამბავი, გაუთხოვრობა და შვილების არყოლა, საიდან გამოდის პროფ. ი. ტინცაის მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში, „დინარას“ ამბებში რუსები და ქართველები თამარ მეფის პიროვნებას ხედავენ, — ჩვენთვის გაურკვეველია. ასეთი დასკვნის გამოსატანად ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში საფუძველი არ არსებობს. პირაქით, აქ ნათლად ჩანს, რომ ერთი მოსაუბრე სხვა პიროვნებას ახსენებს (ზებედე—თამარს, გათხოვილი იყო და შვილები ჰყავდათ). მეორე კი სხვა პიროვნებაზე ეკითხება (რუსი — დინარაზე, არ გათხოვილა, შვილი არა ჰყოლია და მისი ძე ალავერდს როგორ ააშენებდა). ჩვენთვის ეს საუბრითი ცხადია.

მაგრამ საიდან გაჩნდა ზებედეს ნათქვამში „დინარას“ „თამარის“ მადეგრად? ცხადია, რუსი ჩამწერით ან ცვლამწერით შეშველებით. ყურადღება მთავრით იმას, რა პირობებში და ვინ სი თანდასწრებით ხდება ეს საუბარი.

როგორც თ. ბოლივეტოვისა და ა. ზვატოვის საელჩოს საბუთებიდან ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ვპირობდა და დიალოგს ადგილი ჰქონია 1630 წლის 11 სექტემბერს, სამშაბათს. ზებედეს თავისთან მიუწვევია რუსეთის საელჩოს სასულიერო ნაწილი: არქიმანდრიტი იოსებ-

ბი, მღვდელი ალექსი და დიაკონი არსენი. ქართველების მხრივ ყოფილან: არქიმანდრიტი ზებედე, მიტროპოლიტი ნიკოფორე და უბისკოპოსი ზქაჩია. რუსებს თან წაუწვევინათ თან იხის მთარგმნელებიც. რუსებს სულ სამი მთარგმნელი ახლდათ საქართველოში: ერთი „პერევიოდნიკი“ ივანე მთიარშჩიკოვი, იგი მთავარი იყო მთარგმნელებში, მას ევალებოდა მღვივობა, მოლაპარაკების ჩაწერა, ოქმის შედგენა; ორი სხვა ტუბრალო „ტალმანი“ იყო, ე. ი. ზეპირად მთარგმნელები. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ერთი მათგანი იყო ბერძნული ენის მცოდნე თეოდორე პოლშჩიკოვი, ხოლო მეორე — თურქულის მცოდნე ლეონტი მინინი. ქართული არცერთმა მათგანმა არ იცოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზებედესაც უნდა ჰყოლიოდა თავისი მთარგმნელი, მიუთმეტეს, თუ იგი ეგრე-რიგად გამსწავლული არ იყო. მისი ქართულად ნალაპარაკევა ვინმეს უნდა ეთარგმნა, ან ბერძნულად, ან თურქულად, რათა რუს მთარგმნელებს შემდეგ როცა უნდა ეთარგმნათ იგი თავისი უფროსებისათვის. საუბრის ამ გართულებულ პროცესში ადვილი შესაძლებელი იქნებოდა ის მომხდარიყო, რაც ჩვენ ზემოთ ვთარგმნდეთ: მოსაუბრეებს სხვადასხვა პიროვნებები ჰყავდათ მხედველობაში თამარისა და დინარას ხსენების დროს.

მეორე მხრივ, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ახალ გარემოებას, რომელიც რუსეთის საელჩოს იმავე დოკუმენტებში მოიპოვება. ამ გარემოებით სავსებით ცხადი ხდება, რომ რუსებმა იციან, როგორ წარმოითქმის და იწერება სახელი თამარი, თამარა, თამარია, თამარია, სრულია და ე. ი. არ ეტყვიან იგი „დინარაში“ და არც ეცლიან მას „დინარათი“. ამით საფუძველი ეცლება მკვლევარების იმ მოსაზრებასაც, რომ თითქმის რუსები „თამარში“ „დინარას“ გულისხმობენ, თამარის სახელი დინარათი ცვლიან, და ამ მოსაზრებაზე დამყარებულ მთელს რაც დებულებებსაც.

ზებედესა და იოსების საუბარი არ დამთავრებულა ალავერდის მონასტრის ამშენებელთა ძიებით. ზემოაღნიშნული გაურკვეველობის, პაუზისა და გაუგებრობის შემდეგ, დიალოგი ევლავ გაგრძელდა. რუსი არქიმანდრიტი კითხვოდა, რატომ არაა ქართულ ეკლესიებზე ყურბანი, რატომ არ არის ვადათხილი საეკლესიოებები, არ არის აღსავლის კარები და სხვ. ზებედე თავის პართლებით პასუხობს, რომ ურწმუნოთა შემოსევამ გააძარტა ეკლესიები, მტრებმა მოაწვრიეს ყურბი და ა. შ. აქვე დიკვრით აღნიშნავს იმ საინტერესო ფაქტს, რომ რუსებს არა ჰყარათ მისი, საბუთში აღნიშნულია, რომ ზებედე ტყვის, რომ ქართულ ეკლესიებს ყურბი არ ჰქონიათ და სხვ. ზებედეს არ სურს სტუმრებთან კამათი, იგი ვრძნობს,

¹ იხ. მ. ბოლივეტოვის მიითითებული გამოცემა, გვ. 158-426.

რომ რუსეთის სამღვდლოების წარმომადგენლები მასაც და ქართულ ეკლესიასაც ეკვირთვით, ქედმაღლურად უუფრებენ, ამიტომ ეუბნება: «Не буди спороваться, добро вам пожаловать прохладиться. да сбегайте маху гонимы: «И потом говорил о царе-реве Темразо-матери именем Т А М А Р И И, как ее шах многими и различными муками мучал, и на древе распинал, и главу ее отсекал; а дву сынов Тамраза царя ускопил и ныне их у себя держит. И архимарит спросил: Темразовы матери Т а м а р и и кости где ныне? И он сказал: у шаха. И как архимарит был в олтаре в церкви святого Георгия и видел на престоле в корыбце главу да руку сухи; и сказали, что та глава и руна Темразовы матери Т а м а р и и...»¹.

ჩვენ აქ არ შევხვებით საკითხს, თუ რატომ უწოდებენ რუსი ელჩები ქეთევან-წამებულს თამარს. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ რუსებმა იციან სახელი თამარი, სწორედ მას და სრულიდაც დინარაში არ ეწოდებათ.

V

მეორე საკითხი ეხება ზემოაღნიშნულზე უფრო აღრულებულ პერიოდს. 1618 წელს თეიმურაზს მოსკოვში სხვადასხვა დავალებით იღმეზნე ბარბოტი გაუგზავნია. მოსკოვში ბარბოტონ რუსი დიპლომატისათვის უამბნია, რომ თეიმურაზს სამფლობელო მტრის აუთობრება (საქმე ეხება შაჰ-აბასის მეორედ შემოსევას 1616 წელს და კახეთის სასტიკ აობრებას), ხოლო თვით მეფე იმერეთშია გადახვეწილი: «А живет-де ныне государь его под турским в башачицкой земле, а по их по грузински в имерельской земле, где лежат Динара царица»².

ამს მეორე ფაქტიც ემატება: ბარბოტონს მოსკოვში თეიმურაზის წერილი ჩაუტანია, რომლის, სამწუხაროდ, მხოლოდ რუსული თარგმანი შემონახულა. მასში თეიმურაზი, აღწერს რა თავის გავირეგებას სპარსთაგან, აღნიშნავს: «И из против его постоыл немногo и, увидя свое неиможнее, пошол из с своей земли прочь, в башничицкую землю. А та земля православная ж крестьянскал вера, а по грузински имя той земли Имерель, а тут лежит Динара царица»³.

პროფ. ი. ცინცაძე ამ ფაქტებიდან გამოძიებარე ასკენის, რომ კახელებმა იციან რუსული „დინარას“ ამბავი: „თეიმურაზ მეფე რუსი მო-

ხელების გაუღენის გარეშე, თავისი ინიციატივით, საქიროდ თელის ხაზი გაუსვას ამ გარემოებას, რომ თვით სწორედ იმერეთის ქვეყანაშია, სადაც „დინარა“ დედოფალია დასახლებული, რად კირდება თეიმურაზს ამ დეტალი აღნიშვნა? თეიმურაზი და მისი ელჩი საქმოდ ნიშანდობლივად აღწერენ წერილსა და მოხსენებაში იმერეთის მგვრამ ამით არ მყოფილდებიან და, როგორც ჩანს, რაღაც რუსებისათვის ნაცნობი ფაქტით უნდათ იმერეთის ნიშანდობლივობა ამცნონ, სხვაგვარად „დინარას“ საფუძვლის დასახლება სრულიად გაუგებარია, იმერეთში სხვა მეფე-დედოფლების საფლავებიც იყო, მგვრამ არ მოხსენებიათ; ეკვი არ არის, კახეთში 1618 წელს იციან, რომ რუსეთში „დინარას“ ამბავი ცნობილია“. (გვ. 87).

საქმე იმაშია, რომ პატივცემული მეფეეკვირ აქაც დინარას მგვირად თამარ მეფეს გულისხმობს, მისი აზრით „კახელებიც რუსულ „დინარაში“ თამარ-მეფეს გულისხმობენ; რამდენადაც ეციტ ქართული წყაროები თამარ-მეფის საფლავის ადგილად გელათს ასახელებენ და გელათი ხომ იმერეთშია“.

ჩვენ ვერ ვავიზიარებთ მეფეეკვირის მოსახრებას, რომ კახელებიც დინარაში თამარ მეფეს გულისხმობენ. ამის მავალით ჩვენ ზემოთ მოვიტინეთ, როცა ვაეცენით ზებედესა და იოსების საუბარს, ბარბოტი მოსკოვში დინარაზე და არა თამარზე ლაპარაკობს, თეიმურაზი თავის წერილში დინარას და არა თამარ მეფეს ახსენებს. როცა რუსეთში თავად ეოლკონსკისა და დიაც ზეატონს თეიმურაზთან უღებდალ გზავნიან და „ნაყას“ აძლევენ — რა უნდა უთხრან კახეთის მეფეს — „დინარას წმინდა სტეულზე“ ლაპარაკობდენ? როცა ეოლკონსკი იმერეთში ჩავა და თეიმურაზთან მოლაპარაკებას აწარმოებს, ისინი ევლაც დინარაზე, მის წმინდა ნეშტზე“ საუბრობენ? ოთხჯერაა დინარა ნახსენები და არც ერთხელ თამარი, მაშინ, როდესაც როგორც ენახეთ, რუსებმა კარგად იციან როგორ გამოითქმის და იწერება თამარის სახელი.

პროფ. ი. ცინცაძის აზრით, „ერთი ვარემოება მაინც განმარტებას მოითხოვს. თუ კი ქართველებს რუსული „დინარა“ თამარ-მეფედ ესმოდათ, მაშინ უნდა ეფიქროთ, რომ როცა კახელებს რუს ელჩებთან საუბარი ჰქონდათ და „დინარაზე“ ლაპარაკობდენ, ალბათ „დინარას“ „თამარად“ გამოთქვამდნენ. საინტერესოა, რატომ არ შეამწორეს ეს სახელწოდება რუსებმა, ზოგიერთი მავალით ვვაფიქრებინებს, რომ რუსებს აეცოდებულად ესმოდათ და მათ იცოდნენ, რომ ქართველები „თამარს“ გამოთქვამდნენ, მგვრამ ისინი მაინც „დინარას“ სწერდნენ.

¹ მ. პოლივეტკოვის მითითებულ გამოცემა, გვ. 373.

² იქვე, გვ. 40.

³ იქვე, გვ. 45. ი. ცინცაძეს შეეღობით აქვს მითითებულა 371-372 გვერდები.

¹ მ. პოლივეტკოვის მითითებულ გამოცემა, გვ. 194.

² იქვე, გვ. 305.

მე-17 საუკუნის რუს ელტა აღწერილობებიდან ჩანს, რომ მათ მშვენივრად იციან როგორ გაემოთქმის ქართულ საკუთარი სახელები, მაგრამ ისინი ვითომ რუსულ გამოთქმას უფარდებენ და აქეთებენ თავისებურად, მაგალითად, თენიურას I მეუღლეს ისინი ყველგან „Христина“-ს ან „Кристина“-ს ეძახიან, მაგრამ ერთგან განმარტებულია, რომ რუსულად ეწოდება მას „Кристина“ ხოლო ქართულად ხორეშანი: «И того Юрья и сестры Александры царь дочь, по русски Кристина, по грузински Хотошен за Темразом царем ныне». ალავერდის მონასტერს რუსი ელტები „Лавверди“-ს ეძახიან, მაგრამ ერთგან ახსნილია, რომ ქართველები ალავერდს უწოდებენ: «Августа 11 пристав Рамазан... велел архимариту Иосифу ехать Георгия монастыря Лаверды к архиепископу Зеведею; по месту его грузинцы зовут Аливердео»¹.

ქართული სახელების რუსულად გადაკეთების წესზე ჩვენ უკვე ვლაპარაკეთ, აქ კვლავ აღვნიშნავთ, რომ „თამარი“ არ მიეკუთვნება გადასაკეთებელ სახელთა რიგს.

რაც შეეხება პროფ. ა. ცინცაძის მოსაზრებას, რომ თეიმურაზ-1 და მისი ელჩი ხარიტონი „ღინარას“ ხსენებით იმერეთის ნიშნდობლოვბას აცნობენ რუსებს (ეს ცხადია, სწორია) და თამარს გულისხმობენ, რადგან თამარ მეფე გელათში (ე. ა. იმერეთში) ასაფლავიაო, — უნდა შევნიშნოთ არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ თეიმურაზი და ხარიტონი უშუალოდ ღინარ-დედოფლის გულისხმობდნენ. ვაჭიანეთი, რომ ღინარას „წმინდა ნეტიც“ იმერეთში ასაფლავია. „ქართლის ცხოვრებაში“ არის ამაზე ირიბი მითითება:

„მატიანე ქართლისაში“ ვკითხულობთ: „და მათვე ეამთა, რაჟამს წარმოვიდა ბაგრატ აფხაზთა მეფე, ეჲლად მიიქციეს კაცნი პერეთისანი და შერთხენ დავითს: აღიღო დავით პერეთი. შემდგომად შერთდნას ეამისა მისი ცვაღა. ეჲლად გამოვიდა ყოვლისა სმათა თვისითა ბაგრატ, აღიღო შერთეთ პერეთი. დავითა ღინარ დედოფალი თვისად. იყუო ძეხნად კახეთისა, და ძალთა მისითა მიუწოდომებოთა არ წელ წარბიხნა ციხეთს კახეთისანი“².

ეს ამბავი ხდება 1010 წელს, როდესაც ბაგრატ III-მ შერთედ დალაშქრა პერეთი და „დაიჭირა ღინარ დედოფალი თვისად“. მ. ბროსეს ახსნით ეს გამოთქმა იმას ნიშნავს, რომ ბაგრატმა მითვისა წმინდანად აღიარებული ღინარ-დედოფლის ნეშტი (ვაჭიანეთი, რომ

ღინარ-დედოფალმა პერეთი მართლმადიდებლობაზე მოაქცია). მეუღლეთი აქ, ალბათ, იმას გულისხმობდა, რომ ღინარას „წმინდა ნეტიც“ ბაგრატმა გადასაყენა იქ, სადაც „სიძველეთა“ სადაც სამეფო კარი ჰქონდა და ურბი პერეთელები ამით კიდევ ერთხელ დისაჟა და დაამცირა.

მაგრამ ვახუშტი წერს: „ხოლო შემდგომად დავითისა... დასჯდა მე მისი კვირიცე ქორიკოზად. ეს კვირიცე შეიპყრა მეფემან ბაგრატ და დაიპყრა კახეთი თვით. ხოლო პერეთს მოაკვდრიყო იშხანეც და არღარა ვინ იყო მკვიდრი, თენიურ ღინარ დედოფლისა: მოვიდა ბაგრატ მეფე, დაიპყრა თვით პერეთი და წარიყვანა ღინარ დედოფალი და დასხნა ერისთავნი თვისნი“³. ვახუშტის ცნობით ღინარ დედოფალი ამ დროს ცოცხალი ყოფილა. როცა ვახუშტი ამ ფაქტს აღნიშნავდა, ალბათ მას რაიმე სათანადო ცნობაც გააჩნდა, ან ასე გაავსო „მატიანე ქართლისას“ გამოთქმა „დაიპყრა ღინარ დედოფალი თვისად“.

არავითარი შემთხვევაში ვახუშტის ცნობის იგორბინება არ შეიძლება, მაგრამ მაინც თვალსა დაედევნოთ ქრონოლოგიურ მონაცემებს.

როგორც ვიცით, ადარანსაე პატრიკის შემდეგ პერეთის მეფეა (ვახუშტის ცნობით) აღარანსეს მე ღინარ დედოფლის ქმარი — იშხანიის მამა (სახელე უცნობია). მისი სიკვდილის შემდეგ გამეფებულია იშხანიკი, რომელთან ერთად სამეფოს მმართველად არის დედამისი — ღინარ დედოფალი; ეს მმართველობა, როგორც პერეთის მეუღლეთმა ვაიარევიან დაიწყო დაახლოებით 940-იანი წლებიდან მაინც, თუ ადრე არა, ამ პერიოდში ღინარ დედოფალი, რომელიც უკვე დაქვრივებული ყოფილა, შესაძლებელია მთლად ახალგაზრდა არ ყოფილიყო. ხოლო ბაგრატ III-ის მიერ ღინარ დედოფლის „თვისად დაქვრა“ 1010 წელს მოხდა. ამიტომ ვვარაუდობთ ჩვენ, რომ ამ დროისათვის ღინარ დედოფალი ცოცხალი აღარ უნდა ყოფილიყო. თ. შამაშვილი ფიქრობს, რომ „ეზუშტისა და „მატიანე ქართლისას“ მიერ 1010 წლისთვის პერეთში ღინარ დედოფლის მოხსენება, როგორც ჩანს სხვა ღინარას უნდა გულისხმობდეს და არა იშხანიკის დედას“⁴. ამ სხვა ღინარაზე არავითარი ცნობა წყაროებში არ მოიპოვება. მაგრამ ჩანს ეს მეუღლეთი არ ეთანხმება ვახუშტის ცნობას და თვლის, რომ პერეთის მართლმადიდებლობაზე მომქცევი ღინარ დედოფალი ამ დროს ცოცხალი აღარ უნდა ყოფილიყო.

¹ ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 151-152.

² თ. შამაშვილი, IX-XII სს პერეთის პოლიტიკური ისტორიიდან, საქ. მეცნ. შტატი. № 4 (37), 1967, გვ. 164.

³ იქვე, გვ. 162.

¹ ა. ცინცაძის მითითებული შრომა გვ. 65. სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ ეს რუსული „ალავერდო“ ამ შემთხვევაში ალავერდს ნიშნავს არ უნდა ეკუთვნოდეს, არამედ უნებდეს — ადგილის მძივდვით ქართველები უნებდეს ალავერდს უწოდებენო. მაგრამ ეს საქმის არის არ ცვლის.

² „ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, გვ. 279.

ივანე ჯავახიშვილი, როცა ბაგრატიის მიერ პერსიის დაპყრობის ამბებს ვაღმოვცემს, კონსტანტინოს გარეშე ამბობს: „მეფემ ხელმოწერა დაიპყრა პერსეთი, დაიჭირა დინარ დედოფალი და კახეთის ციხეების აღებას შეუდგა“¹. ნათელია, რომ მეკლევარა დინარ დედოფალს ცოცხლად ვეღვისშობს.

დეკლარაციით კვლავ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს. „მატიანე ქართლისაჲს ავტორი იმავე ამბავში, სადაც აღნიშნულია, რომ, ბაგრატ... დიპირა დინარ დედოფალი თვისად“, განაგრძობს: „...იწყო ძებნად კახეთისა, და ძალითა მისითა მიუწოდებოდათა ორ წელ წაბიზუნა ყოველნი ცახენი კახეთისანი. შეაწყდელა კვირიც ბოქორჲსა, და დაუყენა ციხესა გარშემო მცველნი წელწადამდი, წარიღა ბოქორმაჲცა და დაიპყრა სრულად პერსეთი და კახეთი, წარმოაყვანა კვირიც და დაიჭირა თვისსა კარსაზედა“².

ამ ორ გამოთქმას შორის — „დიპირა დინარ დედოფალი თვისად“ და „წარმოაყვანა კვირიც და დაიჭირა თვისსა კარსა ზედა“ — არსებული განსხვავება იმაზე ხომ არ უნდა მიუთითებდეს, რომ კვირიც ცოცხლად არის დაპყრილი, დინარ დედოფალი კი არა, და ამას ემყარება ბროსეს ახსნა?

მიუხედავად მ. ბროსესა და სხვა მეკლევართა აზრისა, აგრეთვე საკუთარი ეკვისი, ვფიქრობ, უნდა ვარწმუნოთ ვახუშტისა და ივ. ჯავახიშვილის ცნობა და დინარ დედოფალი ამ დროს ცოცხლად ვიგულისხმობთ. მაგრამ ეს ჩვენი ლეგლემბისათვის არაფერს ეკლს. თუ ბაგრატმა „დაიჭირა დინარ დედოფალი თვისად“ („მატიანე ქართლისაჲ“) და „წარმოაყვანა“ (ვახუშტი) იმ დროისათვის (1010 წელს) იგი ღმრთლად მოხუცო იქნებოდა და სადღე იმერეთში (ლოხის იქით) დასაფლავდებოდა ამ ქუთაისს ან ბედიას და როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურების მქონე, შეიკლბა წმინდანადაც შერაცხულიყო.

იქნება ის დასკვნა გამოდის, რომ თეიმურაზის მიერ დინარას საფლავის იმერეთში მოხსენიება არც ამ შემთხვევაში იქნებოდა საფუძველს მოკლებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბაგრატ III ბედის საყდრის აღმშენებელია და ბედიის საეპისკოპოსოს დამაარსებელი. „ამანვე დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოკვალა მუნ გუდაყენისა საეპისკოპოსო, შეწირინა სოფელნი შრავალნი ყოველთა ზეთთა და ადგილთა, გასარტულა ყოველთა ენგებოთა, შეამყო ყოველთა სამკაულთა ველისა, აქრობსა და დასვა ეპისკოპოსი“³.

ბაგრატმა აგრეთვე ქუთაისის დიდძალ საყდარი აქრობს, რახედაც ხაჯაყანთ ამბობს შემადიანე: „ამანვე აქრობს ველისაჲს ქუთაისისა ვანგებოთა ლადისა“ და მარწმინდელითა. რამეთუ შემოყარინა მახლობელნი ყოველნი და კათალიკოსანი, მღვდელმთმურანი და ყოველთა მონასტერთა წინამძღვარნი, და ყოველნი დაღებულნი ზემონი და ქვემონი, მამულისა და სამეფოსა მისსა მყოფნი და სხვათა ყოველნი სახელმწიფოთანი“⁴.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „წმინდა დინარ-დედოფლის ნეშტი“ ბაგრატმა ან ბედიას ან ქუთაისს დასაფლავა. საეპისკოპოსოდ ახლად ნაკურთხ საყდარს ამ ქუთაისის ეკლესიის კურთხევის დროს გააძარაღდ დიდ ზემოს სწორედ რომ დაამშვენებდა „წმინდანის“ ნეშტის დასვენების ან გადმოტანის რატუნალი. მაგრამ ჩვენი ეს ვარაუდი ვარაუდად რჩება, რადგან ამის შესახებ ცნობები არ მოპოოებთ. ყოველ შემთხვევაში, ის კი ნათელია, რომ დინარას ნეშტი ბაგრატის სამფლობელოში იქნებოდა დასაფლავებული. თვით ბაგრატი ბედიასა დაქრბაღულა.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ პატრიცემულ ი. ცინციპის ამ დასკვნას, რომ „რუსულ თქმულებაში თამარ მეფის“ „დინარად“ გადაკეთების შესაძლებლობის საკითხი ყველა ჩვენს ხელთ არსებული ცნობების საშუალებით უფრო მეტიოდ სოფრძეულზე დგას, ვინემ ეს ბროსეს მჭირდა მიცემული თავის წერილში“ (გვ. 69).

უნდა აღინიშნოს, რომ თამარის დინარად გადაკეთების საკითხი, რუსების მიერ სხვა ქართული სახელების გადაკეთების შემთხვევების ანალოგიით, ისევე დაუსაბუთებელი დარჩა, როგორც ეს მ. ბროსეს მჭირდა. მოხდა პირიქით, რამდენადაც ჩვენ შევძელით იმავე და სხვა ფაქტების გაანალიზება, უფრო სარწმუნო გახდა ის ვარაუდება, რომ დინარა არ არის გადაკეთებული სახელი თამარ მეფისა.

ვინაიდან ქართველობით სახელზე გრძელდება საუბარი, განვიხილოთ, თუ როგორ ხსნის მეკლევარი თამარის მამის სახელს „გიორგის“ დინარას მამის სახელ „ალექსანდრედ“ გადაკეთებისა.

„ქართული სახელების რუსულ ძეგლებში თვინებურად გადაკეთების მთავალითემი გვეფიქრებინებს, რომ როცა რუსები პირველად თამარ-მეფის ამბავს ეცნობოდნენ, მაშინვე იგა არ ჩაუწერიათ, ზემორად ვრცელდებოდა ვარკვეულ წრეებში, ხოლო როცა თამარ-მეფის ამბავს საფუძველზე „დინარას“ რუსული თქმულება დაიწერა გარკვეული მიზნით, დინარას მამის სახელი, ზემოაღმუშელების დროს ყველაზე ნაკლებ საინტერესო და დაიწყებდას მიცემული, ჩაწერილ თქმულებაში შესაძლებელია „ალექსანდრედ“ გადაკეთდა“ (გვ. 69).

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 131.
² ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 279.
³ იქვე, გვ. 281.

⁴ იქვე.
² იქვე, გვ.283.

შეიძლება ეს მართლაც ასე მომხდარიყო. მაგრამ ჩვენ შემდეგი ვარაუდები გვაქვებენ:

1. როგორც აღინიშნა, ადგილი არ ჰქონია ქართული სახელების „თეოსტურად“ გადაკეთებას; გადაკეთება — ვალსებუდობა კანონზომიერად ხდებოდა, რომლის მიხედვით „გიორგი“ გადაკეთდებოდა „ეგორად“, „იურიდი“ — „იურიდი“ ან „ეგორად“.

2. ამ საქმე გეჰქვს არა გადაკეთებასთან, არამედ სახელის შეცვლასთან.

3. რუსული მოთხრობის თავისებურებანი — ფორმა, სიტყვები, კომპოზიცია, შემადგენლობა — არ მიუთითებს იმაზე, რომ იგი ზეპირად გადაცემულიყო და პირდაპირ არ ჩაწერილიყოს. ნაწარმოები შეიცავს მტკიცე თხრობას დასაწყისსა და ბოლოსში, მისა მთავარი ნაწილებია: ოთხი წერილი (ორი აღრამელებისა და ორი დინარას), დინარას ვრცელი სიტყვა-მართლმად, მისივე ლოცვა, კვლევა (ამჟრად მხოლოდ) სიტყვა-მართლმად. ეს თავისებურებანი ართულებენ „მოთხრობის“ ზეპირად გავრცელების შესაძლებლობას (თუმცა, ცხადია, არ გამოიხატავენ მას) და მის წიგნურ, ლიტერატურულ ხასიათზე მიუთითებენ. ნაწარმოები ცნობილია ერთი ძირითადი რედაქციით, რომლის ნუსხები უმნიშვნელო განსხვავებებთან ერთდამოკრძავენ. ეს განსხვავებები ძირითადად „შეჭანიკური“ ხასიათისაა. ნაწარმოების ზეპირად გავრცელება კი, ცნობილია, ხელს უწყობს მისი სხვადასხვა რედაქციის გაჩენას, უოველ შემთხვევაში სიტყვები, კომპოზიციური და სხვა განსხვავებებით ან სახესხვაობათა წარმოშობას. ასეთი რამ „დინარას“ არ ახასიათებს.

სანატრესო, ფერადი, მკვლევარის შემდეგ მოსაზრება: ჩვენ რომ არ ვიცოდეთ, რომ დინარა თამარ მეფეა, ეს რომ მეგლის შინაარსით არ მტკიცდებოდეს „გიორგის“ „ალექსანდრედ“. გადაკეთების საკითხი გადაუღახვად დამარჯობებლად გვექნებოდა“ (გვ. 69). ე. ი. ფაქტი სახელის გადაკეთებისა დამოუკიდებლად ვერ აიხსნება და დაკავშირებული არ არის სახელების გადაკეთების აღნიშნულ პრაქტიკასთან.

ამ საკითხის რკვევის დასაწყისში პატივცემული ავტორი ცხადად ამბობს: „როგორც მოხდა, რომ დინარას თქმულებაში გიორგის ნაცვლად ალექსანდრე იხსენიება — ჩვეთვის ვაუწყებელი“ (გვ. 69). რაც შეეხება იმას, რომ ნაწარმოების შინაარსით მტკიცდება დინარას თამარ მეფობა, ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შეეხებით.

აქვე მოვლედ განვიხილავთ საკითხს, რომელიც რუსულ ტექსტში მოხსენიებული „შაბრენის“ მონასტრის ეხება. ეს მიუთმეტეს სინატრესო, რომ „შაბრენის“ მონასტრში დინარას რამ არა მარტო ილიცა, არამედ იგი იქცა მის სამღვდლო განსაყვებლად. ყველა რუსულ ხელნაწერში „შაბრენი“ იხსენიება დინარას სატლავის ადგილად.

ეს სახელწოდება ძველში სხვადასხვა ფორმით არის მოხსენიებული: შაბრენი, შაბრენსკი, შერბენსკი, შერბელსკი და ბერსკი; რაგონსკი ზემოთ დავიხსენო, აქედან შ. ბროსის ვერსიის ლეთისმშობლის მონასტერი გამოიყვანა. შ. ბროსის ეს მოსაზრება არცერთმა მკვლევარმა არ გათხიზა.

პროფ. ი. ცინცაძე აღნიშნავს: „თამარის მეორე ისტორიის თხზულებიდან ჩანს, რომ თამარ მეფე შაქორის ომის წინ მეტეხის „ლეთისმშობლის“ ეკლესიაში მიდის სალოცავად, რქვინდინის ომის წინაც „ლეთისმშობლის“ მონასტრში, თამარ მეფის დასაფლავებად გელათის „ლეთისმშობლის“ მონასტრში ხდება. ძველად ამ მონასტრების სახელწოდება ასე გამოითქმოდა: მონეტების ლეთისმშობელი, ვარძისა ლეთისმშობელი, გელათისა ლეთისმშობელი. თუ წარმოვიდგინო, რომ ქართული აცნობდა რუსს თამარის ისტორიას და მონასტრების ან სახელებს ასტენებდა იგი, რუსს ხომ ამ რთულ და ძნელად გამოსათქვამ წინადადება-სახელწოდებიდან შინაარსს არ გამოიძიებდა, ადვილად შესაძლებელია იგი შეირჩენდა მხოლოდ „ლეთისმშობელს“, და რადგანაც სიტყვის პირველი ნაწილი რუსისათვის ძნელად გამოსათქმელ სამ იჭირალ თამაშოანისაგან შედგება „ლეთ“, ეს სიტყვაც უნდა შეცვლილიყო „შობელ“, აქედან რუსული „შობელსკი“ (გვ. 71).

უნდა ვიღიროთ, რომ არც ეს ახსნა გვეჩვენება დამაჯერებლად:

რატომ შეინარჩუნებდა რუსი ენის მოსატეხ „ლეთისმშობელს“ და არა გაცილებით უფრო ადვილ და უბრალო „გელათს“, რომელსაც იმინ ასტენებდ და „გელათს“ ან „გელათს“ უწოდებენ, ან, ეთქვას, ვარძისა, ან მეტეხს. რომლებიც გაცილებით უფრო ადვილია წარმოსათქმელად და ქალაქზე დასაფქსირებლად, ვიდრე აღნიშნული სიტყვა, — გუჟებარია ან, ეთქვას, რატომ აქ გამოიძიებდა „რთულსა და ძნელად გამოსათქვამ წინადადება-სახელწოდებას“, ან სიღინ ვიციო, რომ რუსის ინფორმატორი ქართული ამ რთულ გამოთქმას ქართულად ეუბნებოდა?

სხვა ავტორების ეკვლად, ჩვენც ამაზე ვამთავრებთ სახელების გარემოში მსჯელობას და აღნიშნავთ, რომ ამ საკითხში დასაბუთებული მოსაზრება ვერც ერთმა მკვლევარმა ვერ წარმოადგინა. მაგრამ მთავარი მანიც ნაწარმოების შინაარსია, რომელიც მკვლევართა აზრით ნათლად მიუთითებს, დინარა რომ თამარ მეფეა. ჩვენ კი ამაში თხზულების შინაარსის განხილვა უფრო გვაქვებს. ამ განხილვაზე გადავიდეთ სწორედ.

VI

ჩვენი დავიარებით, თუ რაიმე მსგავსება არის რუსულ დინარას თქმულებასა და თამარის ისტორიას შორის, ეს მსგავსება შეგვიძლია დავინახოთ მხოლოდ და მხოლოდ თამარის

მეორე, ახლად აღმოჩენილი ისტორიკოსის ნაშრომში“ (გვ. 71) — ამბობს ბროფ. ი. ცინცაძე, გულისხმობს რა ი. ჭავჭავაძის მიერ აღმოჩენილ ბასილა ეპისმოძღვრის „ცხოვრებას მეფეთ-მეფისა თამარისა“. მ. ბროსე ზომ შამქორის ომს თვლიდა დინარას მოთხრობაში აღწერილი ამბის სურვეტად. ასევე, ი. ცინცაძის აზრით, თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში აღწერილი ამ ომის ზოგიერთი ადგილი მართლაც მიაგავს რუსულ მოთხრობაში აღწერილ ამბებს.

განვიხილოთ ეს საკითხი. ბასილის თხზულებაში შამქორის ომის ამბები შემდეგნაირად არის გადმოცემული.

ომის შემდეგ, რაც მემკვიდრე აღნიშნავს, რომ თამარს მეორე შვილი — რუსუდანი — შეეძინა, ნათქვამია:

ბედნიერმა და გაძლიერებულმა საქართველომ იწყო სპარსელების რბევა და მოიპოვა საყვირველი გამარჯვებანი: ქართველთა ბრძანებით, ცხებითა მჭონებელნი ციხეებს ცლიდნენ, ტყვეებასა და ალაფის სიმრავლისაგან აღივსო ყოველი კაცი. ზოლო ცოცხლად გადარჩენილი სპარსელები მელეობს შესგავსად იმალუბოდნენ და თხუნელებით მიძვრებოდნენ მიწაში.

შემჩნუნდნენ სპარსნი, უღონობამ მოიცვა ისინი. ერთი იმედი-და დარჩენილათ — თავის განწირვა. ამისათვის შეეკრებნენ შეთქმულებითი, შეიღებეს პირი და სამოსელი, მივიდნენ ხალიფასთან, აუწყეს თავიანთი ქირი და დამარება სთხოვეს. ხალიფამ გახსნა ძველი საგანძურნი, წარაღინა კაცნი სპარსეთში და მიცვა აურაცხელი ოქრო ურაცხვი ლაშქრის მფიცავრებად. თანაც ბრძანება გასცა, თუ რომელიმე სამთავრო ლაშქარს არ გამოიყვანდა, დაესაჯათ „იზედა მისელთა“. შეიკრება უხარმანარი ქარი, რომელმაც თავი მოიყარა ადრად-ბაღდადს, და მხოლოდ მაშინ გაამქდავენეს, რომ საქართველოზე მოდიოდნენ.

გვიგო ყოველივე ეს თამარმა და მოიწვია ვაზირები. უბრძანა ანტონ ჭყონდიდელს, „არა ავითა გულოთა, არცა დედაკაცურა სიტყვითა“. სასწრაფოდ დაეწერა და დაეგზავნა ბრძანება, რათა მსწრაფდ შეკრებოდათ მხედრობა, აგრეთვე შეეტყობინებინათ ყველა გულსიისა და მონასტრისათვის, რომ მოეწყობა ღამის თევანი და ლიტანიობანი...

ბრძანება საქმედ იქცა ათი დღის განმავლობაში, „ეთიარცა ერთი შეკრდნეთა, მოფარნდა ყოველი მხედარი, სავსენი სიბარულითა“.

შეიკრებნენ სომხეთში. მივიდა თამარ, იხილა ლაშქარმა რამდენიმე დღეს სალოცავად დააყოფინა. შემდეგ მეფემ უთხრა მათ:

„მინი ჩემო, ყოვლდ ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენთან არს. გასმია გედონისათვის საჰასნი და სიმრავლე ურიცხვი მადიამელთა მათ მიერ 10. „მნათობი“, № 5.

მოწყვედილი, ეწალად ასურასტანელთა მანაკო ლოცვითა ეხვეკელისითა წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაკემულნი? მხოლოდ კდრანობის ოდენ მიენდენით. და გულნი თქვენნი სიმამრთა თლთ იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჭუარისა მიმართ ქრისტესისა ივანე. შესწრაფეთ ქვეყნად მათთა შეწყევნითა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისათა და ძალთა უძლეველთა ჭუარისათა წარემართენით“.

თამარმა ულოცა მათ და შეავადრა ღმერთს, წარუძღვნა ძელი ცხოვრებისა. და თან წარატანა ანტონ ჭყონდიდელი.

თვით კი წამოვიდა, გაიხადა ფეხთა სამოსელი და მიშველი ფეხით მივიდა მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში, და წმინდა ხატის წინაშე მდგარი, ცრემლით ევედრებოდა ღმერთს.

რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა სარგის მხარგრძელი თმოგველი და ახარა თამარს ქართველების გამარჯვება.

ბრძოლა ამგვარად მოხდა: ქართველთა ლაშქარი შევიდა მტრის ქვეყანაში და იხილა განძასა და შამქორს შუამდგარი მტერი, რომელიც კალიასავით ურაცხვი იყო.

გაღმოჩნენ ცხენებიდან, ილოცეს, ღმერთსა და წმინდა ჭუარს თავუანი სცეს და „ეთიარ არწიეთა მიმართეს, და ეთიარ ვეღზეც ეყვეთნეს. და პირველსავე წყობასა ათეცი რაზმი მათი დახსნეს და შესდგნენ მახვილი მათი და ძალი ღმერთისა, და ეთიარცა თავუთა მოსვრიდეს, და ეთიარცა ქათამთა იპყრობდეს დიდთა მათ ამირათა...“

თავისი ღონის მავებარი ბუბუქარი (ბუბუქარი) კი შიშისაგან სადღაც თხრილში („ხნარცემში“) დაიმაღა.

ამის შემდეგ ქართველთა ლაშქარი მივიდა განძას, რომლის მოჭალაქენი გამოეგებნენ, მშვიდობა ითხოვეს და ქალაქი ნებით ჩააბარეს. დავით სოსლანი-დაქდა სასულტრო ტახტზე, განძელეზმა დიდი ნაღიმი მოუწყეს ქართველთ მხედარმთავრებს და დიდი ძღვენიც მიართვეს.

აქ ზაქარია და ივანე მხარგრძელები სწორად ვერ მოიქცნენ, რადგან განძა, თამარის შეუტყობინებულად, მირმირანს გადასცეს. ქართველების წამოსვლის შემდეგ, ცოცხლად გადარჩენილი ბუბუქარი მივიდა განძაში და ქალაქი „მას-მე მისცეს“.

ამ ოლიმპორი („უღიშპიანისა“) გამარჯვებით, რომელიც აღექსანდრეს დარიოსზე გამარჯვებას თუ შეედრება, გახარებული ქართველთა ლაშქარი სამშობლოში წამოვიდა.

მას თამარი მიეგება, რომელმაც უკვე იყო და მტრის დამარცხების ამბავი მახარობლად

მისულ სარგის მხარგრელ თმოგველისაგან.

ტელისი სიგის აღაფით და სხე!

შინაარსობლივად დინარას მოთხრობას ამ ამაბეთან კავშირი არა აქვს. მაგრამ მათ შორის არის თრი დამთხვევა, რომლის საფუძველზე მველევარები თვლიან (კერძოდ, პროფ. ი. ცინცაძე), რომ ნაწარმოების წყაროს ეს აღწერა წარმოადგენს.

პირველი დამთხვევა: როგორც ვიცით, დინარა, დიდებულებისადმი მიმართულ თავის ვრცელი სიტყვის დასაწყისში, ამბობს: „გაიხსენეთ, ძმებო, დებორა და გედეონი, რომლებმაც შედიამელნი დამარცხეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდება ხალხი აყვავდათ“ და სხვ.

შეადარეთ ეს ნაწარმოებთ თამარის მიმართვას ლაშქრისადმი, რომლის ტექსტი ჩვენ ზემოთ ამოვიწერეთ: დაეინახეთ, რომ მათი მსგავსება ცხადია.

ეს ადვილი თითქოს უტყუარი საბუთია იმისა, „რომ „დინარას“ ავტორს თამარის ისტორიით უსარგებლნია. ორივე ნაწევრში მოხსენებულია გედეონი, აღნიშნულია მტრის ჭარის სიჭარბე და მოწოდება ღმერთს მივინდეთო“ (გვ. 72). მაგრამ, რომ ამ ადგილზე დაყრდნობით არ შეიძლება ისეთი რთული საკითხის გადაწყვეტა, როგორცაა ნაწარმოების წყაროდ თამარის ისტორიის აღიარება, იქედან სჩანს, რომ ბიბლიის ეს მეთად პოპულარული პერსონაჟები და საერთოდ გედეონის გმირობის ამავე ქრისტიანული ქვეყნების სხვა მრავალ ნაწარმოებშია მოტანილი, განსაკუთრებით ისეთი ფაქტების აღწერას დროს, როდესაც მტერი რიტელობრივად სპარტობს მეორე მხარეს.

თუთი რუსული ლიტერატურის ძველ ძეგლებში არა ერთხელ გვხვდება იგი. ცნობილი მველევარის ა. ა. ზამინის სიტყვებით გედეონისა და დებორას სახელები, როგორც მეგრული ლექსისა ურველთაა წინააღმდეგ. გვხვდება არა მარტო „მოთხრობაში დინარაზე“, არამედ XVI საუკუნის მოგვარე სხვა ძეგლებში, რომლებიც ეხებიან ყაზანის სახანოს წინააღმდეგ რუსეთის ბრძოლის თემს.

მეორე ცნობილი მველევარი კ. ვ. ბახილევიჩი, რომელიც ავრთვეე შეგხო „დინარას“ საკითხს, აღნიშნავს, რომ დებორასა და გედეონის ეპიზოდები შეიძლებაა ყოფილიყო აღებული ეპოსკოპოსის ბასიანეს მიმართვიდან ივანე მესამისადმი, სადაც ბასიანე ამბობს:

«Яко же ес се глаголю... и Девору с вараком и Гедеоном тремя сты гувившего множество тысячъ Мадиямлян... и иных

въставляще им бог и избавление их от работы иноплеменики и работана им иноплеменицы: ныне же тогдаже господь!».

როგორც ვხედავთ, ეს ტექსტი უფრო ახლოს არის „დინარას“ ტექსტთან, მასში დებორაც არის მოხსენიებული.

თუთი პატრივტეული ი. ცინცაძეც აღნიშნავს განხილვებში ამ მომენტებს შორის: „მაგრამ მსგავსებასთან ერთად გამსხვავებაც თვალახინია. რუსული თქმულების დინარას სიტყვა უფრო ვრცელია. ეს ადვილი ახახსნულია. რუსული თქმულების ავტორს, მას შემდეგ, რაც მან მხედრობას უარი ათქმევინა მტრის წინააღმდეგ წასვლაზე, პართლაც ესაუბრობდა დინარას სიტყვა ვინევერცო სათანადო არგუმენტებით და თავისი მხედრობა მტრის საწინააღმდეგოდ წასვლაზე დაეთანხმებინა. ამიტომ არის რუსული თქმულებაში, რომ დინარა თავის დიდებულებს არწმუნებს, თუ რა უხედურება დაატყუებდათ მათ, თუ ისინი საბარბოლევად არ წავლენ. დინარა იძულებული ხდება თვით მისივე მავალათი თავის დიდებულებს და ომში წასვლელად გზადაცა. ამდენიდაც ვიცით, თამარ მეფის ცხოვრებაში ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს, რა თქმა უნდა, რუს ავტორის შემოქმედების ნაყოფია, მან ვარყვეული მოსაზრებით აავი თავისი თხზულება ამ სახით“ (გვ. 72).

ყოველ შემთხვევაში, ერთი კი ცხადია, რომ ბიბლიის ცნობილ ადვილზე მითითებით, რომლის მოხსენება სხვა რუსულ ძეგლებშიაც ხშირად გვხვდება, ვერ გადაწყდება. ის საკითხი, რომ ერთი ქრისტიანული ერის მხატვრული ნაწარმოები მეორე ქრისტიანული ერის ისტორიულ ქრონიკაზე დამყარებული.

მეორე დამთხვევა: თამარის მეორე ისტორიაში აღნიშნულია: „ხოლოცა მათ (ლაშქარს) და შეავერდნა ღმერთსა, წარძელენა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდრელი, ხოლო თვით წარახანდა სამოსელნი ფერხანი და ფერხიე შიშულითა ფერხითა, მიიწია ტამარსა ლეთის-მშობლისასა მეტებითა და წინაშე ხატსა მას წოდებასა მდებარე არა დასცხრობლა ცრმულითა ვერებდა. ვიდრემდის სრულ ყოღმერთმან სახაროელი მისი“ ანალოგიურად იქცევა დინარაც: „ედღოფაღმა დინარა-ქალწულმა ბრძანა მიეღო მინა ჭარის სალაშქროდ მომზადება, ხოლო თვითონ ხელწმიფე წარბანდა შაბრენის მონასტერში, რაჟა შეეხოვნა ყოღმრემდინდა ლეთისმშობლისათვის დახმარების აღმოწენა მტრის წინააღმდეგ. წავილა ფეხშიშველი ველიანი, წაეტიანი ქვებით მოკორ-

1 К. В. Базилевич, Внешняя политика русского централизованного государства. Вторая половина XV века, 1952, стр. 412.

2 ბასილი ვზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთა მეფისა თამარისა, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, 1944, გვ. 19-22.

3 А. А. Зимин, И. С. Пересветов и его современники, изд. АН СССР, 1958, стр. 108.

წყველი მძიმე გზით. როცა მონასტერში მივი-
და, ყოვლადწმინდა ლეთამშობლის ეკლესიაში
შევიდა, მუხლებზე დაცვა ხატის წინ და და-
იწყო ლოცვა“. შემდეგ მოტანილია დინარას
ლოცვის ტექსტი.

საქმე, ჩასაკვირველია, იმაში კი არ არის, თუ
რა განსხვავებას ვიპოვეთ ამ ორ ნაწყვეტს შო-
რის (განმარტება კი არის; თამარმა ჯარი ვაის-
ტუმრა, მეგრ მეტრეხში ილიკა, დინარა კი, სა-
ნამ ჯარი მოგზაადგოდა, მანამ ლოცულობს,
თამარის ლოცვის ტექსტი ისტორიიდან უცნო-
ბია, თამარი მეტრეხში მიდის, დინარა კი „შაბრე-
ნის“ მონასტერში), მთავარი ისაა, რომ აქ თით-
ქმის იმეგავსავე დამთხვევასთან გვაქვს საქმე,
როგორც „გედუონის“ ეპიზოდთან დავაშორე-
ბით იყო. ეს ეპიზოდის ვარგენტო ხასიათისაა.
თვითმპყრობელი ქალისაგან სავსებით მოსალო-
დნელი. ხოლო ჩვენ, როდესაც ერთი ისტორი-
ული პიროვნების მეორესთან იგივეობას ვამტ-
კიცებთ, უნდა მოვხაზოთ ამ ისტორიული პირის
ცხოვრებაში ისეთი ეპიზოდები, რომლებიც მხო-
ლოდ მისთვისაა დამახასიათებელი, მხოლოდ მის
პიროვნებაზე მიგვიფიქრებს და არა საერთოდ.
ვარგენტულ დამთხვევაზე, ხოლო, რომ ვამტკი-
ცობთ თამარისა და დინარას იგივეობა იმ მიზე-
ვებით, რომ ისინი ორთავენი იმის წინ მონას-
ტერში სალოცავად ფეხმძიველნი წასულან, ეს
ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დინარა თამარ
მეფეა.

სწორედ მომდევნო ეპიზოდია იმგვარი, რო-
მელიც დამახასიათებელია თამარ მეფისათვის.
თამარს არსადღეს მთელი მონაწილეობა ბრძო-
ლებში, იმებით შემთხვევაში თუ ლაშქარი გა-
უცილებია. ბრძოლებს და ლაშქრობებს ხელმ-
ძღვანელობდნენ მთავარსარდალი დავით სოს-
ლანი და სხვა ცნობილი, თამარის ისტორიებში
პრავალგზის მოხსენიებული, მხედართმთავრები,
მისი სამხედრო ინსტიტუტი ისე იყო მოწყობი-
ლი, რომ მის არ სჭირდებოდა ბრძოლაში ჩაბმა,
თავგანწირვა, ხმლის ქნევა... დინარა კი, არა თუ
მიღის ლაშქრად, არამედ უშუალოდ მონაწილე-
ობს ბრძოლაში, ფაქტურად მისმა გმირობამ
გადაწყვიტა ბრძოლის ბედი, როცა მან სავე-
თარი ხმლით ვანგმირა აღრამელენი, თავი წააჭ-
რა, შეუხე წამოიგო და საბარი ხმლი დაეჭყვილა
მტრებს. სპარსნი იოტნენ და დინარამ გაიმარ-
ჯა: იი ეს ამბავი არის წარმოუდგენელი თამა-
რისათვის, სწორედ ამ ეპიზოდის გამოც არ შე-
იძლება ჩაითვალოს, რომ დინარა თამარ მეფეა,
რომ „მოთხრობაში“ თამარის მეფობის ამბები
უშუალოდ არის, რომ ეს ნაწარმოები თამარის
ისტორიებს ეყრდნობა.

„თამარ-მეფის არც პირველს და არც მეორე
ისტორიკოსს შამქორის იმის აღწერას დროს
არაფერი აქვთ ნათქვამი იმის შესახებ, რომ დი-
დებულნი უარს ეუბნებოდნენ თამარს მტრის
წინააღმდეგ წასვლაზე, პირაქით, მათი აღწერით,

როგორც კი ვაიგვის თამარის მეომრებმა ლაშქ-
რად გვიწვევენო, სიხარულით შეხვდნენ ამ ამ-
ბავს და სწრაფად შეიყარნენ „სალაშქროდ“
სამართლიანად აღნიშნავს პრ.ფ. ი. ციციანე
(გვ. 71).

ახლა ვაიხსენებო, თუ რაზეა აგებულია
„მოთხრობა დინარაზე“ სწორედ იმაზე, რომ
დიდებულეები უარს ეუბნებებიან
დინარას აღრამელენის წინააღმდეგ ბრძოლაზე,
დინარა იძულებულია მათ მიმართოს
ურცულო სიტყვით, რათა აღწყოს, რა მოსუყუნ.
მათ უარს, აღაფრთოვანოს თინი და მტრის წი-
ნააღმდეგ დასძრას. თითქმის მთელი ნაწარმო-
ები (ყოველ შემთხვევაში, ორი მესამედი) დი-
დებულეების უარით გამოწვეულ დინარას სი-
ტუვის უქრავს. ეს უბრალო ეპიზოდი კი არ
არის, არამედ ნაწარმოების კვანძია, მისი
იდუგობა გამიზნულობის ხორც-
შესხმაია, მისი თავი და ბოლოა. ფაქტურად,
ნაწარმოები სწორედ იმიტომ არის დაწერილი
და ამგვარად აგებული, რომ მკითხველი დაარ-
წუნდეს შეფასებულ ურჩობის სიცულებში, პო-
ბულარიზაცია ვაუწიოს თვითმპყრობელისადმი
უსიტყუო მორჩილების იდეას. როგორც ვი-
ციო, დინარა მიიღწევს თავის მიზანს და ლაშ-
ქარს მტრის წინააღმდეგ დაძარცვს.

ეს ერთ-ერთი იმ დიდმნიშვნელოვანი
განსხვავებათაგანია „დინარასა“ და
თამარ მეფის ისტორიებს შორის, რომელიც,
ჩვენი აზრით, შეუძლებელს ხდის მეორესაგან
პირველის წარმოშობას, თამარის ორივე ისტო-
რიიდან, ქართველი ისტორიკოსების მრავალ გა-
მოკლევადან ყოველგვარ ეჭვს გარეშეა ცნობი-
ლი, რომ ისეთი რამ თამარის მეფობაში არ
შეიძლება.

მაგრამ იქნებ დინარასა და მისი დიდებულე-
ბის ამ ურთიერთობის ეპიზოდში თამარის მეფო-
ბის პირველი წლების ამბებია ნაფულისხმევა,
როცა ორი ფრადი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხ-
და დიდებულეების ურჩობასთან დაკავშირებით?
თამარის მეორე ისტორიაში მითითება ამის შე-
სახებ არ მოიპოვება. მხოლოდ „ისტორიანი და
ახმანი შარავანდუთანი“ გვაწვდის ცნობებს
მათ შესახებ.

პირველი აღნიშნულ ფაქტოვანი იყო დიდ-
გვარიანი მოხელეების გაფიცვა, რომელთაც „სუ-
რდათ ძველის ძველი წოდებრივი უპირატესობა
გაეაყლებინათ და კვლავინდებურად წოდებრი-
ვი და ნაომავლობითი თვისებები პირად ღირ-
სებაზე მაღლა დავყენებინათ. ესე იგი მათ უნ-
დოდნათ მოეცნოთ ის, რაც დიდა ხნისა და მედ-
გარის მუშაობის წყალობით საქართველოს კე-
თილდულობისა და წარმატებისათვის თამარის წი-
ნაპრებმა შექმნეს.“¹ როგორც ვიციო, გა ფ ი ც უ-

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია,
ტ. II, 1965, გვ. 246.

ლებმა გაიმყარა ქვეს, უგეარო და უზნო ეპირები—პირისპასაღარი და მინდატურთ-უხუცესი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრო-ღონდა დაამყეს. ი. ჯავახიშვილის აზრით, „ეს, რასაკვირველია, საქართველოს სახელმწიფოებრივი და სოციალური წარმატებისათვის შეტად საზიანო იყო; შეიღობა საქართველოს მოწინავე მოღვაწეებისა და მეფეების თავგამოდებულ და მეღვაწე კირნახულობით მოპოვებულ შედეგზე, რომ აღმინანის პირად ღირსებას შესაფერისი პატივი უნდა ჰქონოდა ცხოვრებაში და ყველაფერი გვიარსებოდათ არ განისაზღვრებოდა“.¹

უბრალო შედარებითაც ცხადია, რომ თამარის მეფობის ეს ვინაობა არ ძახებდა „ღინარაში“, და ვერც აისახებოდა, რადგან თამარი ამ საკითხში დამარცხდა.

მეორე ფაქტი ეხება მეკურტლუო-უხუცესის ყუთლუ-არსლანისა და მისი მომხრეების მიერ თამარისადმი საერთო პოლიტიკური მოთხოვნის წამოყენებას. მან „თხოვა კარავი დედ-ვემდე ველსა ისანისსა და სანახებასა საგოდებლისსა და თქვა: „დასხდომილი მუნ შიგა, გან-მგებლნი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, გუადრებდით და ეცნობებდით თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინდა სრულ იქნებოდეს განგებული ჩუენი“.²

ი. ჯავახიშვილის აზრით, ყუთლუ-არსლანის გეგმის მიხედვით, მეფის უფლება საქართველოში სრულებით უნდა შეზღუდულიყო და ჩამორთმეოდა, მას მხოლოდ აღმასრულებლობითი უფლება რჩებოდა. უმაღლეს დაწესებულება „ქარაქში დასხდომილი“ კი სრული უფლება უნიჭებოდა: მათ ექნებოდათ უფლება „მიცემისა და მიღებისა“, აღბით ბრძანებისა, ხარჯებისა და მოხსენებისა, ამასთანავე „წყალობისა და შერისხვისანი“, ანუ უზენაესი მართლმსაჯულებისა უფლება... ამგვარად ცხადია, რომ საქართველოში თეოკრატიული უფლების ანტილიც უნდა გამჭრალიყო და მის მაგიერ პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა დაარსებულიყო“.³ საბოლოოდ, როგორც ვიცით, ყუთლუ-არსლანი დამარცხდა.

რასაკვირველია, დიდებულების ურჩობა ღინარისადმი არც ამ ისტორიულ ფაქტზე უნდა იყოს დამყარებული. მაშ რაღა რჩება?

VII

გავიხილოთ კიდევ „ღინარაში“ დაკუმირებული რამდენიმე საინტერესო საკითხი.

„ღინარას მოთხრობის“ დასაწყისშივე ნათქვამია:

¹ იქვე, გვ. 247.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 31.

³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 250.

მია, რომ ღინარა, ისევე როგორც მამარის, ხარკს უგზავნის სპარსეთის მეფეს.

თავი პირობა: ი. ცინცაძის შეტყუებით ლომ ვთქვით, „ქართულ წყაროებში არსად ჩვენ ვხედავთ არ მოგვებოვება, რომ თამარ-მეფე ან მისი მამა ვიორგი III ხარკს აძლევდა რომელიმე სახელმწიფოს, მით უმეტეს სპარსელებს. რუსული თქმულება კი ამ ხარკის გავზავნის ვარაუბრით აკეთებს სპარსეთის მეფისა და ღინარას შორის წამოჭრილ კონფლიქტის კვანძს“. (გვ. 74). სხვის რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ ამ „ხარკის საკითხით“ შეიძლება გამოვევტანა დასკვნა, რომ ღინარა არ არის თამარ მეფე და „მოთხრობა ღინარაზე“ არ ასახავს თამარის მეფობის ისტორიულ ამბებს.

გავიხსენოთ, რა მიზეზით მოხდა შამქორის ომი, რა ამბები უძლოდა წინ მას (მათი შედარება იმ მიზეზებთან, რის გამოც ღინარასა და ადრამელის ომი ატყდა, სრულიად შეუძლებელია, არავითარი ანალოგია მათ შორის არ არსებობს). ცნობილია, რომ აბუბაქრ ათაბაგმა ხელში ჩაიგდო ადერბაიჯანის სულთანის ტახტი და ისურვა შარვანშას დაპყრობა. შარვანში კი ჯერ კიდევ დაეთ აღმამენბლის დროიდან საქართველოს მორჩილება, მისი მოყვამ ქვეყანა იყო და ამიტომ ბუნებრივია, შარვანში დასაპყრობა საქართველოს, თავის მეფეებს, სთხოვა. საქართველო შარვანშას ეხმარება და სასტიკად ამარცხებს აბუბაქრის ჯარებს შამქორის ომში. ყველაფერი ეს აღწერილია თამარის პირველსა და მეორე ისტორიებშიც, რომელსაც მეკლეგარები „ღინარას“ პირდაპირ თუ არაპირდაპირ წყაროდ ასახელებენ. როგორც შეიძლება ისტორიულად ამ აზრის დამტკიცება, რომ თამარს, მაშინ უზარმაზარი და უძლიერესი სახელმწიფოს მფლობელს, ეინწე ხარკის გადადის მასთანობდა? ჩვენ ეს სრულიად წარმოუდგენლად მივიჩნევთ.

საკითხი თითქოს ნათელია. მაგრამ მიუხედავად მეკლეგარის მსჯელობას.

გინაიდან შამქორის ომის აღწერილობაში ზემოდაღნიშნული ფაქტის ანალოგია არ აღმოჩნდა, პირველყოფილი ი. ცინცაძე მიმართავს თამარის მეფობის სხვა პერიოდს, ბასიანის ომის ამბებს, რუქნადინისა და თამარის მიერ სანუქარების გაცივების ფაქტს.

„საქმე ის არის, რომ თუ შამქორის ომის აღწერილობის დროს ქართველ ისტორიკოსს არაფერი აქვს სანუქარების გაგზავნაზე ნათქვამი, სამაგიეროდ თამარის იმავე მეორე ისტორიკოსს (მხოლოდ მეორე ისტორიკოსს) რუქნადინის წინააღმდეგ წამოხრებულ ომის აღწერილობის დასაწყისში ნათქვამი აქვს: „ესე (რუქნადინი) იხმებდა ზაქვით სიყვარულსა და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათვის მრავალ ჟამ, და ძღვენთა შეწვიერთა მრავალთა. ეგრეთვე თამარ

პუფდა ნაცეალსა, სახედ მოციქულთა წარავლ-
ნდა ძღვენთა, გარნა იგი. ზაქვასა პფარვიდა და
ფიცთა შირი, გამსტრობად მოსწრაფე იყო ამის
სამეფოსა“ (გვ. 75).

ე. ა. ტრძის სულტის მიერ ევრაეულად მორ-
თმეულ ძღვენის სანაცვლოდ თამარიც ძღვენს
უგზავნიდაო. ეს ამბავი სრულიად ბუნებრივია
სხვადასხვა ქვეყნის მმართველთა ურთიერთობა-
ში. თამარი ხომ თავის მოყვ და მოხარვე ქვე-
ყნების მმართველებსაც საჩუქრებდა. იმავე
ამონაწერებიდან სხანს, რომ რეკნადინი ევრაეუ-
ლად იქცეოდა, საჩუქრებს გზავნიდა, თვით კი
საქართველოზე თავდასხმას აპირებდაო.

პატრიცეუმელი ე. ცინცაძე ასე მსჯელობს ამ
საქოთხზე: „ჩვენ ვფიქრობთ თამარის მეორე
ისტორიკოსის ზემოთ მოყვანილ ცნებად უნდა
იყოს გამოყენებული რუსი ავტორის მიერ დი-
ნარას თქმულებაში და თავისებურად გადაკეთე-
ბული. რუსულ თქმულებაშიც ავტორი ცდი-
ლობს დინარას მშვიდობისმოყვარეობა აუწყოს
მკითხველს, ხოლო სპარსეთის მეფე ვერაგად
გამოიყვანოს, რომელსაც ვადაწყვეტილი აქვს
ივარიის დაპყრობა, მაგრამ წინასწარ საჩუქრებს
მოითხოვს“ (გვ. 75). პატრიცეუმელი მკვლევარის
ამ ანალოგიას ვერ მივემხრობით, იგი სათანა-
დოდ დასაბუთებული არ ჩანს.

რუსულ ნაწარმოებში ნათლად არის ხაზგას-
მეული, რომ აღრამელები დინარასაგან საჩუქ-
რებს მ მოთხოვეს — გამოუგზავნე ჩვენ
უდიდებულესობას დიდი საჩუქრები“, — ფაქ-
ტიურად ხარკს მოითხოვეს. დინარამ
„გაუგზავნა მას... უფრო დიდი საჩუქრები, ვიდრე
მამამისი უგზავნიდა“. ფაქტიურად მეტი
ხარკი გაუგზავნა, რადგან აქ არა ორმ-
ხრივი საჩუქრების გაცვლაზეა ლაპარაკი, არა-
მედ რაღაც დადგენილი წესის შე-
სრულებაზე, რომელსაც დინარას მამაც
ასრულებდა. რა აქვს საერთო ამ ფაქტთან თა-
მარისა და რეკნადინის მიერ საჩუქრების გაც-
ვლას, ან რა კავშირი აქვს აღრამელების ამჟერა
ავტრისას რეკნადინის შენიღბულ ევრაგობა-
თან?

ახლა, მკვლევარის კვლად, რეკნადინისა და
თამარის მიმოწერას მივამჩნიებ. „თუ ჩვენ, —
ამბობს პროფ. ე. ცინცაძე, — რუსულ თქმულე-
ბაში მოყვანილ სპარსთა მეფის დინარასადმი
გამოგზავნილ უტლიმატუმს შევადარებთ რეკნ-
ადინის თამარისადმი გამოგზავნილ წერილს,
მსგავსებას ვერ ვპოვებთ, გარდა იმისა, რომ
ორივე უტლიმატუმში ისეა წარმოდგენილი, რომ
იგი აცილებულა“. (გვ. 75). მართლაც, ორი-
ვე წერილის შედარება სრულიად სხვადასხვა
სურათს იძლევა.

ბასილი ეზოსმოძღვრის „ისტორიაში“ რეკნ-
ადინის წერილი ასე იკითხება:

„მე ნეტარდინ, სულტანი ყოვლისა ცასა: ქუე-
შისა, უმადლესი, მიმსგავსებული ძლიერებასა

ანგელოზთისა, თანამდგომი ღმრთისა, მივლენ-
ბული დიდისა მოქმედისაგან, მოგმცნებ მეფე-
სა ქართველთისა თამარს. შენ გიბრძანებნია უწარ-
თუელთად აღებად ხრმალოა და ღმრთისაგან
საყუარელისა ისლემთა ერისა და ხოცად და კუ-
ალად ნათესავსა. ზედა თავისუფალსა დადებად
ხარკი ყმებური. და აწ მე მოვალ, რათა უსა-
გო სამართალი სახლსა სპარსთათა და განგუე-
ართო შენ და ერი ვგ შენი. არასოდეს კადრებად
აღებად ხრმლისა, რომელი დმერთსა ჩვენდა
უბოძებია. ხოლო ცხოვრებით იგი ოდენ ვაცხო-
ვრო, რომელმან უწინარეს მოსკელისა ჩემისა თა-
ყუანი მცეს წინაშე კარვისა ჩემისა და ალია-
როს ქადაგება მოჰამად მოციქულისა, და უარ-
ისა სქული შენი და ზელობა თვისთა იწყოს
წინაშე ჩემსა ლეწვად ჯვარისა, რომლისა მიმართ
დავიკეთ ცუდი საპოებაი და აწ მოვლდი ნაც-
ვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა...“¹

როგორც ვხედავთ, ამ წერილში რეკნადინს
მიზნად აქვს თამარის მიერ შევიწყობილი სპა-
რსელების დაცვა და შერისაჩივბა მათი დახოც-
ვის გამო.

უფრო მოკლეა რეკნადინის წერილი, რომე-
ლიც მოტანილია თამარის პირველი ისტორი-
კოსის ტექსტში („ისტორიანი და ახმანი შარა-
ენანდეთანი“): „ღმრთისა ოდენ უტყვენისთა
და ყოველთა კილთა მწყარობელისა! ყოველი
მოყო რეგუენია და შენ გიბრძანებია ქართვე-
ლთათვის აღებად ხრმალი მესულმანთა ხოცად-
ესე არცა რომელ ხრმალი დიდისა მოციქულისა
მოქმედისა, მისისა ერის თვისა, ბოძებულთა. აწ
წარმომავლენისა ყოველი მხედრობა ჩემი, რათა
აღეხოცო ყოველი მამაკაცი ვაგ ჯეჟნისა, და
ცოცხალი იგი ოდენ დაჩრეს, რომელი წინამო-
მეგებოს, თაყუანის-ცეს ჩათრსა ჩემსა, სისოება
იგი თქუენი ჭუარა წინაშე ჩემსა დალწურს და
მოჰმადი აღიაროს...“²

შინაარსობლივად ამ ორ რედაქციას შორის
არსებითი განსხვავება არ არის. ახლა ენახოთ
აღრამელების ელჩების პირით დინარასადმი
შენათვალბი: „თუ გსურს დაამსახურო ჩემი
წყალობა და შეინარჩუნო ძალადფლება ივერი-
აში, გამოუგზავნე ჩემს უდიდებულესობას დი-
დი საჩუქრები. თუ ასე არ მოიქცევი, გიბრძა-
ნებ დასტოვო ხელისუფლება, ხელი აიღო მას-
ზე. მაგრამ შეიძლება შენ გსურს ან ვამედო არ
დაემორჩილო ჩემს ბრძანებას, განარისხო ჩე-
ნი უდიდებულესობა, მაშინ შენს მიმართ მო-
წყალებას არ გამოვიჩენ“.

აღრამელების მეორე შენათვალბი:

„თუ გსურს დედოფალი დარჩე და ჩემი
წყალობა დაიმსახურო, გიბრძანებ მომცე
ყველა ფრკი და შენ მხოლოდ კე რან გე-
ბი და აცტოვო. თუ ასე არ მოიქცევი, მა-

¹ ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 26.
² ქართლის ცხოვრება, ტ. 11, 1959, გვ. 93.

შენ დაეძრავ შენა წინააღმდეგ მთელს ჩემს ქარს, ხელთ ვიგდებ შენს სამეფოს, დაეიმორჩილებ შენს დადებულებსა;

ვეფქრობთ, რომ ყოველგვარი დაწერილობითი შედარების გარეშე საგნებით ნათელია, რომ რუქნადინისა და ადრამელუნის წერალებს შორის საერთო, თუნდაც შორეულად, არაფერია.

მეგრამ მსგავსებაა ადრესატების პასუხში. „სამაგიეროდ, — განაგრძობს პატივემული მკვლევარი, — რუსულ თქმულებაში მოცემული დინარას პასუხი ძალიან მიაგავს თამარის რუქნადინისადმი გავზავნილ სამასხუო წერილს.“ (გვ. 76).

ვანიხილობთ ეს წერილებზე.

ჩვენ მოვიტანთ დინარას წერილის ქართულ თარგმანს (იგი არაფრით განსხვავდება რუსულ ტექსტისაგან, ისე როგორც ზემოდ მოტანილი ადრამელუნის წერილების თარგმანები), რომ შედარება უფრო ადვილი იყოს.

დინარას პირველი პასუხი ადრამელუნისადმი: „შენ მიმარბნებ ხელი ავიღო სამეფვიდრეო ძალაუფლებაზე, რაც მამამ გადმომიცა. მეგრამ ძალაუფლება მე მივიღე არა შენგან, არამეც ღვთისაგან. ღმერთმა მე მეტი მომანიჭა ვიდრე შენ: რა ნაწილი გვეუთვნის შენ იმ ქვეყანაში, რომელიც ყოველად უბნო და ყოველად წმინდა ღვთისმშობლის ხედრია? იმიტომ კი არ გივზავნი საიუჭრებს, რომ შენი მეშინია, თქვენ ურჯულა ენა და კანონები გავქვთ. ჩვენ კი ქეშმარიტი ღმერთის კანონი გვაქვს. და ჩვენ მხოლოდ მისი გვეშინია, მხოლოდ მის მოწყობებას ვითხოვთ. და ან როგორ შევიძლია შენ, მოკვდავს, ასე ილაპარაკო საყუართ თავზე, ასე განაღდო შენი თავი, თუ ამის უფლება ზეგარდმო არ გვეძება მინიჭებულ?“

თამარას პასუხი რუქნადინისადმი (ცინიდან ს. ფაუხენშვილის რედაქციით გამოსულ „ქართლას ტოპოგრაფიაში“ მოთავსებულ თამარის წერილის ტექსტი რამდენადმე განსხვავდება ი. ცინციანის მიერ მოტანილ ტექსტისაგან, მოგვაქვს ეს უკანასკნელი):

„ძალსა ღვთისა მპყრობელისასა მინდობილმან, და მარალს ქალწულისა მარამის შევედრებულმან, და ზატიოსნისა ქუარისა სასოებით მოსაემან, წარვიციხებ ღვთის განმარსხებელი წიგნი შენი, მითა ნუქარ დინ, და ესკან სიერუენნი შენი, რათა ბეე ღმერთი იყოს, არა გასიფესა რამეთუ ყოველი ცრულ მფუცავი სახელსა ღვთისა მის მიერ აღხოცოს, შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა შეიერიეთა მინდობილ ხარ, უმეცარი მსჯედრთა ღვთისათა, ხოლო მე არცა სმდიდრებთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა არას სხვასა კაცობრიუსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძისა ღვთისა, ყოველასა მპყრობელისასა, და შეწევნასა ქრისტეს ქუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ. ესე რაერთარი შემოგვთვალა, წარმოამიფლენია მხედრობა ქრის-

ტეს მოსატელე: არა შენდა თაყვანისცემილ, არამედ დამხობად შენდა. შევადრეხე შენგან და ამპარტუენისა ველისა შეწყვეტეთა განისწავლო ღვთის მიერ არლარა ვმობად სახელსა მისსა...“ (გვ. 77).

ერთგვარი მსგავსებასთან ერთად ჩვენ დიდ განსხვავებასაც ვხედავთ მოტანილ ტექსტებს შორის. ტონი, თემა, იდეა — სხვადასხვაა.

საინტერესოა პატივემული მკვლევარის კომენტარი: „ტექსტები ერთი მეორესაგან განსხვავდებიან, მეგრამ მიუხედავად ამისა, ორივეში ერთი და იგივე იდეა არის გატარებული, ორივეში სპარსთა სიმრავლე ხაზგასმულია, ორივეში სპარსთა მეფის ქედმაღლობაა აღნიშნული, ორივეში გაამაყებულ სპარსთა მეფეს ქრისტიანული ღმერთით ემუქრებიან, მტრის სამზავლის დასართუვნად ღმერთის იმედევეთ, და რაც მთავარია, ორივე ტექსტში მეფის უფლების ღვთისნებობაა ხაზგასმული. „ღვთის მშობლის“ ნებჟა და სურვილს არიან მინდობილი დინარა და თამარი.“ (გვ. 77).

ერთი შეხედვით ეს მართლაც ასეა, მეგრამ ვანიხილობთ უფრო დაწვრილებით.

„ოქრავმა სპარსთა სიმრავლე ხაზგასმულია“ — დინარას ტექსტში ამაზე ლაპარაკი სულ არ არის. თამარის ტექსტში სპარსთა სიმრავლე კი არ არის ხაზგასმული, არამედ ის, რომ რუქნადინის მინდობილია „ოქროს შეკრებულთა სიმრავლისა შეიერიეთა“, თამარი კი არც თავის „სპათა სიმრავლესა“ მინდობილი, არც სხვა რაიმე „კაცობრიუს საქმეს“;

„ორივეში სპარსთა მეფის ქედმაღლობაა აღნიშნული“ — დინარა ეკითხება ადრამელუნს, რა უფლებით ადიდებ შენს თავსო, თამარა „ამპარტუენის“ უწოდებს ტრუსტანს;

„ორივეში სპარსთა მეფის ქრისტიანული ღმერთით ემუქრებიან“ — დინარას პასუხში ამაზე არ არის ლაპარაკი, თამარი კი სწერს რუქნადინს, ხომ გავიგონია, „ცრუ მფუცავი ღვთის მიერ აღხოცეობა“;

„რაც მთავარია ორივე ტექსტში მეფის უფლების ღვთისნებობაა ხაზგასმული“ — არც ამ „მთავარშია“ ერთნაირობა. მართალია, დინარა ამბობს, „ძალაუფლება ღვთისაგან მიქვსო“, მეგრამ თამარი ამაზე სლუბს, იგი მხოლოდ „ძალსა ღვთისა მინდობილია“;

„ღვთის მშობლის ნებჟა და სურვილს არიან მინდობილი დინარა და თამარი“ — დინარა მხოლოდ ამას ამბობს, რომ მისი ქვეყანას „ღვთისმშობლის ხედრია“, თამარი კი „ძალსა ღვთისასა ყოველსა მპყრობელისასა“ ე. ი. ქრისტეს არის მინდობილი, ღვთისმშობლის კი მხოლოდ მავედრებელია. იგი მეორედაც ამბობს, რომ „მინდობილი ვარ ძისა ღვთისასა“ და არა ღვთისმშობლისა.

ამრიგად, ორივე ტექსტში ერთნაირი დარბა მხოლოდ მტრის ქედმაღლობაზე მითითება, რაც

არ უნდა იყოს დაფუძნებული „დინარას“ ავტორის თამარის ამ წერილზე დაყრდნობით.

ეს რომ ასეა, ამაზე დინარას აღრამელებსადმი გავზავნილი მეორე პასუხიც მივითითებთ: „თუ შენ ასეთი მკაცრობა ჯაბით თავს დამსწმინდ, გამოილამაშებრბ ნუ სტე ბავ შე ექალი შევილის წინააღმდეგ, კიდევ რომ გაამარჯვო, სამარცხინო იქნება შენთვის უბოლო რ ბავ შეზე გამარჯვება. თუკი მე ღეთისა ჩემსაგან დახმარებას მივიღებ, თუ ყოვლად-წმინდა ღეთისმ-შობელი მე გამარჯვებას მომანიჭებს, თუ მე ჩემი ქალურ კი ფხვი შენს მყურე სხეულს დავადგი და თავი მოაკვეთი, რა დიდება და პატივი მხედება მე წილად — სპარსეთის მეფეზე ქალური ძალით გამარჯვებულს, რა დიდ პატივსა და დიდებას მოეუხევე მე ივერიის ქალებს და როგორ შევიარცხვენ და გაეაწმინდებ სპარსელებს“.

ძნელად თუ წარმოსადგენია თამარი ამგვარი წერილის ავტორად, ისიც წარმოუდგენელია რომ ეს ტექსტი თამარის რომელიმე წერილის მიხედვით იყოს შედგენილი (ერთგან ბასილი, თითქმის დინარას ზემომოხანალი ქალური წერილის პასუხად, ხანს უსჯამს იმ გარემოებას, რომ ომის დამწყების წინ თამარმა უბრძანა ანტონ ჭყონდიდელს ბრძანების დამწერა „არა ავითა გულითა, არცა დედაცუტოთა სიტყუითა“).

ამიტომ ჩვენ არ მივიჩნია საჭიროდ დასაბუთებულად პროფ. ი. ცინცაძის დებულება: „დინარას“ რუსულ თქმულებას საფუძვლად უდევს არა მარტო შამქორის ომის ამბები, არამედ თამარ-მეფის მოღვაწეობის მთელი ისტორია, თამარის მეორე ისტორიკოსის რედაქციით დამუშავებული“ (გვ. 74).

მაგრამ ჩვენი საბოლოო დასკვნისათვის ერთი უნდა გავითვალისწინოთ: ის გარემოება, რომ საერთოდ ბტერთან მიწერ-მოწერის ფაქტი „დინარასში“ სახებუა, იგი უნდა ჩაითვალოს თამარის ისტორიაში მოახრობილ რეცნადინთან ურთიერთობის ანალოგიად.

VIII

„დინარას“ ტექსტში გვხვდება ერთი ვერტიკალური გამოთქმა, რომელსაც მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს. იქ სადაც ლაპარაკია სპარსელების დამარცხებასა და სპარსეთის ქალაქების დაპყრობაზე აღნიშნულია:

«ашамагин повеле на свой конские подковы имати»

ქართულად ეს ადგილი ასეა თარგმნილი: „ხოლო შემახიდან ბრძანა ხარკი აეღო ცხენის ნალებით“.

აღნიშნული ადგილის ამგვარი გაგება მ. ბროსემ შემოიტანა. იგი აღნიშნავდა რომ წინადადებას აქვია სიტყვა „დანა“, რომლის აღდგენის შემდეგ წინადადება გაიშორებოდა:

«а Шамахин повеле на свои конские подковы дань имати!».

პროფ. ი. ცინცაძის აზრით, მ. ბროსეა შეუწრება დაუსაბუთებელია. მისი ვართულო, აქ შეიძლება თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებადან ერთი საინტერესო ადგილის უხეიროდ გადაკეთებასთან გვეკონდეს საქმე. „სწინებულ ისტორიკოსს, იქ, სადაც ლაპარაკი აქვს დამარცხებულ რეცნადინის ლაშქარში მყოფ სულტანებისა და ამირების დატყვევებაზე, ერსოვანის მფლობელის შესახებ წერს, რომ თამარ მეფეც: „იგი დაიჭირა ტუბილის პატიმრად... ხოლო ევე ოდენის სახელოვანი კაცი და დიდებული განყიდა ნალად ცხენისა, რომელმე ესე ჰყო თამარ პატივად სახლისა თვისისა, და დიდებად, რომელი ესე არაოდეს ვისანც ქმნილი იყო დასაბამითგან. ესე დიდებად და სახეცხეზლად თვისად ყოა, ასეთი არაჩვეულბრძოვი განჯარგულება, მართლაც მიმზიდველი უნდა ყოფილიყო რუსი ავტორისათვის და შესაძლებელია, როგორც აღნიშნეთ, თქმულებს პირვანდელ ტექსტში სწორედ ამაზე ყოფილიყო ლაპარაკი“ (გვ. 83).

თავს ნების მივცემთ და მთლიანად არ დავუბანძობთ პატივიმულ მკვლევარს. ქართულ ისტორიკოსის ტექსტში ნათლდაა ნათქვამი, რომ კაცი „განყიდა ნალად ცხენთა“. თუ ეს დეტალი „მიმზიდველი უნდა ყოფილიყო რუსი ავტორისათვის“ (საკვირფელო კია, რომ თამარის ისტორიიდან, რომლითაც მკვლევარის აზრით რუსი ავტორები სარგებლობდნენ, მათ ის ვერ ამოკითხეს, რომ მისი ქმარი რუსი უფლისწული იყო, რომ თამარი მეორედ გაახოცა, ორი შვილი გაიჩინა და ამ დეტალზე შეჩერდნენ), მაშინ იგი ასევე, ან დასალოებოთ ასე, ან დამახინებულად, მაგრამ ასევე მისახედრად უნდა გადასულიყო რუსულ ტექსტში. იქ კი იმაზეა ლაპარაკი, რომ დინარამ «возложи дань на Тевриз на свою потребу, на масти (милости) драгия; Шамахин сбегалсагеа нелსებში — ашамагин, ашамахею, а с шамахия, ящики, ашигы) повеле на свои конские подковы имати, а прочие грады раздаде велможам своим». ე. ი. დინარამ ზოგი ქალაქი დახარკა (თავრიზი, შემახა), ხოლო ზოგი თავის დიდებულებს დაურბავო. ეს ადგილი ძალიანაც დამახინებელია რომ იყოს, კონტრესტოდან სავსებით ნათელია, რომ საქმე ეხება დაპყრობილ ქალაქებზე ხარკის დაღებას და არა კაცის გაყიდვას. მ. ბროსემ კონტრესტის მიხედვით, ძალდაუტანებლად გამართა წინადადება.

პროფ. ი. ცინცაძის აზრით, „შინე გუფე-ბარია ცხენის ნალის ხარკად დაღება ქალ შემახზე, რად დაიჭირა რუსული თქმულებს ავტორს მაინცდამაინც შემხის ხარკის დახასიათე-

1 მ. ბროსეს მიითებული შრომა, გვ. 486.

ბა, როცა არცერთი ქალაქის ხარკზე ლაშქარაი არ არის თხოვნილი" (გვ. 83). საესეებით გე-თანხმებით მკვლევარს. ეს ადგილი დიდ ეპოს იწყებს; თამარის ისტორიაში აღწესებული, მარ-თლაც გუგუონარა ფაქტის გამოძახილი ხომ არაა იგი?

მეგრამ შეიძლება იმის როგორმე დამტკიცე-ბა, რომ რუსმა ავტორებმა შემახის ნაღით და-ხარკვა მიხედვით თამარის მეორე ისტორი-კოსის ერთნაირ მფლობელის ნაღად გაიყიდეს? ამბიდან აიღეს? ხომ არ აიღეს იმავე რუსმა ავტორებმა იგივე ისტორიიდან სხვა მათთვის უფრო სანატრესო, მათი პოლიტიკური ტენდენ-ციისათვის უფრო საჭირო (ასეთი რამ მრავალაა თამარის ისტორიებში), თამარისათვის დამაბ-სიათებელი, საერთოდაც უფრო საყურადღებო ფაქტები და ამბები? იას ხომ ვერ ვიტყვით, რომ ნაღის ეს ამბავი რაიმე განსაკუთრებულ მიზნისათვის სჭირდებოდა რუს ავტორებს, „მო-თხრობის" იდეურ ან შინაარსობრივ ამოცანას ვასახებრებოდა?

იმის გამო, რომ ქართულ ძეგლებში არსად აღნიშნული არ არის, რომ შაქქორას ომში გამარჯვების შემდეგ თამარის ლაშქარს თავრიზი აეღო, შ. ბროსეცა და შ. სპერსეციც გაყვირე-ბას გამოთქვამდნენ, თუ საიდან მოხდა ეს ამ-ბავი „ღინარას" ტექსტში, რომელიც მათი აზ-რით შაქქორას ომის ამბებს ასახავდა, მათთვის ეს ფაქტი გუგუბარი იყო.

პროფ. ი. ცინცაძე ნაწარმოებში თავრიზის სხეულების ფაქტით თავს იმ დებულებას ასაბუ-თებს, რომ რუსულ „მოთხრობას" საფუძვლად უდევს თამარის ომების რაღდენამე აღწერილო-ბა, ან თამარის ისტორია საერთოდ და არა მხო-ლოდ შაქქორას ომის ამბები.

მკვლევარის აზრით აღნიშნული ფაქტი რუ-სულ თხზულებებში შევიდა 1207-1210 წლებში ქართველების მიერ შიდა ირანში მოწყობილი ლაშქრობის აღწერიდან. აი ეს ადგილი პროფ. ი. ცინცაძის ნაშრომიდან: „თამარ-მეფის ისტო-რიკოსი ირანისაკენ წარმოებულ ბრძოლების აღწერაში თავრიზის ქართველების მიერ დამ-ყრობის სურათისად აღდგინება: წარმოებმართ-ნენ და მიმართეს ქალაქსა თავრეთისასა, გარდაე-ლეს შიდა დევსაფხად მოსდებულ, და ვითარ ეს-მით თავრეთს მყოფთა წინადა ქართველთა ლაშ-ქართა, ვაჭრთეს და ძრწოლმან შეიპყრნა ყო-ველი მკვიდრნი თავრეთისანი, ხოჲანი და ყო-ველი წარბინებულნი და მიმდგომნი თავრეთის ქალაქისანი. მაშინ განიზრახეს, რათა ხარკის მიცემითა და ძვინითა... დაამწყვიდონ პირნი ქარ-თულთა საბაანი. წარმოაგონეს მოცაქულნი და თხოვეს მშვიდობა, არა მოთხრება, ქალაქი-სა მათისა... და მოვადეს უადნი, ხოჲანი და ყო-ველი თავადნი თავრეთისანი, და მიიღეს ოქრო, ვერცხლი, ღარი, თვალი, მარგალიტი... აღი-წესეს ღიღნი და მცირენი". მთელი სპარსეთი ზო-

რანსამდე აიკლო თამარის ლაშქარმა და დიდის ნაღავლით ტფილისში დაბრუნდა... ჩვენ ვეჭვ-რობთ ქართველი ისტორიკოსის, სწორედ ეს ცნობაც გამოყენებულ აქვს რუსული თხზულებ-ების ავტორს თავისი თხოვრებისათვის¹.

ვგრ თს უნდა აღინიშნოს, რომ ენობა ამ ლაშ-ქრობის შესახებ თამარის მეორე ისტორიკოსს არ გააჩნია; იგი „ისტორიანსა და ამხანაშს" მი-იბოვება. როგორც ტექსტიდან ჩანს ქართვე-ლებს თავრიზი არ დუბუჭიათ, შემინებულმა ავტორებებმა ნებადართული ჩაბარეს „თავ-რეთი" (ყურადღება მივაქციეთ სახელის ამ ფო-რმასაც, რუსულში ორჯერვე მოხსენებულია „ტყვიზ" ფორმით). მკვლევარს თავისი დას-ყენის დასაბუთებისათვის სხვა გარავითარი მოსაზ-რება არ წამოუყვებია, გარდა იმისა, რომ აქაც და იქაც თავრიზია ნახსენები.

რომ ქართველთა ეს ძველამოსილი ლაშქრობა შიდა ირანში რუსულ „მოთხრობასთან" ძნელი დასაკავშირებელია, ჩვენი აზრით, იქედანაც ჩანს, რომ ეს დიდი სახებდრო ექსპედიცია თა-მარამ და მისმა მზედარმათავრებმა მოაწყვეს არა სპარსელთა თავდასხმისაგან თავდაცვის მიზნით, არამედ მოჭარბებული ძალის სილაღით. ეს იყო ნამდვილი აგრესია მხედარმთავართა სურ-ვილისა და თხოვნის შედეგად თამარის მიერ ნე-ბადართული, ქართველთა ძველამოსილი ლაშქ-რის უძლეველობის რწმენაზე დამყარებული. გა-ნა ჰგავს რამით მაინც რუსული თხოვრების „სუსტი, ბავშვი-ქალწული" ღინარა, რომელიც თავს იცავს ძლიერი მტრის შემოტყვისაგან, რო-მელსაც სხვა არა ღარჩენია, გარდა პირადი თავ-განწირვისა, თამარ მეფეს?

პროფ. ი. ცინცაძე ეტება აგრეთვე ერთ-ერთ იმ ძირითად საკითხს, რომელიც ნათლად მივი-თითებს, რომ რუსული „მოთხრობის" ღინარა არ არის თამარ მეფე. ეს არის ღინარას უმუყა-ლოდ ომში მონაწილეობის, მისი საბრძოლო გმირობის ამბავი. ზემოთ ამ საკითხს ჩვენ უკვე შეეხებო, მაგრამ აქაც განვიხილავთ უკვე სხვა ასპექტში.

აქ საჭიროა ერთი გარემოების აღნიშვნა. იმ იშვიათ მომენტებს, რომლებიც ღინარასა და თა-მარ მეფის შგაფებაზე მიუთითებენ, მკვლევარ-ები თამარის ისტორიკოსების აღწერილობები-დან ამოღებულ ამბებზე თვლიან, ხოლო იმ იდეურ მიმართებას და შინაარსობრივ უპიზო-დებს, რომლებიც მათს განსხვავებაზე მიუთითე-

¹ იქვე, გვ. 84, პროფ. ი. ცინცაძის მიერ მო-ტანილი ეს ტექსტი („ქართლის ცხოვრების" ზ. კვიციანიძისეულ და მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრების" გამოცემებიდან) რამ-ღინადმდე განსხვავდება „ქართლის ცხოვრების" უახლესი, ს. ყაბჯინიშვილისეული გამოცემის სათანადო ტექსტიდან, მეგრამ არა არსებო-თად.

ბენ, რაც ძალიან ხშირია — „მოთხრობის“ ავტორების ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევენ. და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში ორივე ამ ხასიათის მომენტები სავესებით ერთმანეთთან შერწყმულია, ერთმანეთისაგან ლოკაციურად გამოიზიარებოდა და მათი გამოცალკევება ყოველად შეუძლებელია.

პატივცემული მკვლევარი წერს: „უნდა აღინიშნოს ის ძირითადი გამსხვავება, რომელიც დინარას რუსულ თქმულებასა და ქართულ წყაროებს შორის არსებობს, ეს არის რუსულ თქმულებაში მოთხრობილი ამბავი დინარას უშუალოდ ომში მონაწილეობის მიღების შესახებ და დინარას მიერ საეკლესიო ხელის სპარსთა შეფრთხილის თავის მოკვლა. ასეთი რამ ქართულ წყაროებში არ არის და არც სინამდვილეში ყოფილა. საიდან აიღო რუსული თქმულების ავტორმა ეს ამბავი? ქართულ ძეგლებში, მართალია, აღნიშნულია, რომ ლაშქარს ზნობად ახლავს თამარ მეფე (ჩვენ ვიტყვით, რომ იშვიათად — თ. ბ.). ომში მიმავალ ლაშქარს იგი ინახულებს, დალოცავს, საზღვრამდე მიაცილებს, მაგრამ თვით ომში იგი არასოდეს ყოფილა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ამბავი მთლიანად რუსი ავტორის ფანტაზიის ნაყოფი არის.“ (გვ. 84).

განვიხილოთ ეს საკითხი. თუ დინარა მკვლევარის აზრით, თამარ მეფეა, და მისი მოქმედების ჩვენებისას ავტორი ეყრდნობა თამარის ისტორიკოსებს, მაშინ „რუსი ავტორის ფანტაზიის ნაყოფს“ შედეგად შეთხზული დინარას უშუალოდ ომში მონაწილეობა და სპარსთა მეფის პირადად მისგან მოკვლა უნდა რამდენადმე მაინც ეწინააღმდეგებოდეს დინარას ლოგიკურ მოქმედებას, მის სახეს, ორგანულად არ უნდა გამოიზიარებოდეს ნაწარმოების შინაარსიდან და რამდენადმე მაინც ამოვარდნილი უნდა იყოს დინარას ხასიათიდან. სინამდვილეში ეს ასე არ არის.

დინარას დამეჭრა სპარსთა მეფე ადრამელეში. დინარამ მიმართა დიდებულებს მოზიადებულნივენი სპარსოვლად. შიშით შეხურობა დიდებულები უარს ამბობენ ზბოლანზე. დინარა მიმართავს მათ სიტყვით, ამხელს მათი მოქმედების უგუნდრობას, მერტლ შეურაცხყოფელი ევათებობით „ამკობს“ მათ: „ნუ დაემსგავსებით სუსტ, ოსრულ ქალებს“. „როგორც მუელადღებულ ქალს თავისი ოსრულობა ამბიებს, ასევე თქვენი, რაკი სიძლიერე შეიძინეთ და მედიდებობით აღვისენით, ფეხქვეშ თელეთ თქვენს ერთმორწმუნეთა ჩვეურლებას, უარყოფით ერთმორწმუნეთა სიყვარულს“. „შემდეგ კი თვითონვე დაიწყებთ მოთქმა-გოდებას, თვითონვე იქნებით დაფლავილი, როგორც უვარგისი ძონმები, ფეხქვეშ გათელილი და თქვენზე არაიენი იზრუნებს“. „დაივიწყეთ მედიდებობა, უკუაგდეთ შიში“.

დინარა მიმართავს უძლიერეს „არგუნებს“ და მღვლევარად ამბობს: „და მეც ქალწული, ასევე გამოვალ მთ წინააღმდეგ: დავიწყებ ქალურ ხასისტეს, აღვივებო მამაკაცური ძალით, სიბრალე შემოვიტყამ, რკინის სატურგელით შევიმოსები, თავზე მუზარადს დავიხურავ, ქალწულის ხელით ლაზვარს დავიჭერ...“

დინარა ომში მიდის, საეკლესიო ხელით განგმირავს ადრამელესს და სხვ.

ყველაფერი ეს ლოგიკურია, ერთიერთიდან გამოიზიარებ, რუსული თხზულების დინარას ხასიათიდან გამოიზიარებ, შექმნილი გარემოების მიერ გამოწვეული, მდგომარეობიდან გამოვალაობით გაპირობებული ცანაზნომიერება. თუ დინარას ომში მონაწილეობა ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, მაშინ მთელი ეს მოთხრობა ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, ე. ი. არ ეყრდნობა თამარის ისტორიულ ქრონიკებს.

ამგვარია სიუჟეტის ლოგიკა, მხატვრული სხის ლოგიკა, შექმნილი ხასიათის ფსიქოლოგიის ლოგიკა.

ყველაფერ ამას ჩვენ სულ სხვა დასკვნამდე მივყავართ, ვიდრე წინამორბედი მკვლევარები.

* * *

ცხადია, ჩვენ ვერ განვიხილოთ პროფ. ი. ცინცაძის მიერ წამოყენებული ყველა მოსაზრება და დებულება. მაგრამ მთავარი მის გამოკვლევაში, ის ძირითადი ფაქტები, რომლითაც პატივცემული მკვლევარი დინარასა და თამარის იგივეობას ამტკიცებს, ზემოთ ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, ობიექტურად არის განხილული.

IX

1948 წელს გამოქვეყნებულ „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“ პროფ. ვ. შიდურია გაცხრით შეგხო დინარას საკითხს. მისი აზრითაც „მოთხრობის სიუჟეტს საფუძვლად უდევს ცნობები ქართული მითიანეობიდან და ხალხური თქმულებანი ცნობილი ქართველი მეფის თამარის (მოთხრობაში შეცდომით დინარად წოდებულს) „უსყულოთა“ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ...“ (გვ. VII). სხვა ადგილას მკვლევარი აღნიშნავს, რომ „დინარა — XII საუკუნის ცნობილი თამარ მეფის დამახინჯებული სახელი... თამარის მამა (გოარგი) შეცდომით არის აღქმანდრედ წოდებული, არასწორად გადმოცემულია სპარსეთის მეფის სახელი“ (გვ. 397).

სპარსეთის მეფის „ადრამელესის“ სახელს სხვა მკვლევარებმაც შეხებთან და მათაც შეცდომად და დამახინჯებლად მოიწინევათ. მაგრამ არსებობს აქად. კ. კეკელიძის მითითება ადრამელესზე: იგი თელიდა, რომ ეს სახელი რუს

აეტორს აღებული აქვს „თევდორე ედესელის ცხოვრებადანი“, IX საუკუნის ბერძნული ძეგლიდან, რომელიც ძველი რუსი მკვლევართათვის ცნობილი იყო XI საუკუნის თარგმანით. ამასვე აღსატყობებს პროფ. ტ. რუხაძე, როცა აღნიშნავს, რომ კიმენტი ქართულ პავლიკონადში (V-X სს) და მონგოლთა ხანის (XII-XV სს) რუსულ მწერლობაში წინდება საერთო ბერძნულ წყაროდან მომავალი თხზულებები „ცხოვრება და მოქალაქეობა თევდორე ედესელისა...“, რომელიც მოგვითხრობს თავად ასაველს „ადრამელეკ მეფისა სპარსთათისა...“, რომელსაც „არა ერთი ბოროტისა ყოფილი ენება ქრისტიანეთა ზედა“.¹

პროფ. ე. ვ. ბაზილევინი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს საფარგო პოლიტიკის შესახებ „მოთხრობას დინარაზე“ აღიარებს XV საუკუნის ბოლოს რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური და კულტურული დაახლოების შედეგად შექმნილ ნაწარმოებად (გვ. 411). მკვლევარი იხიარულს შ. ბრასეს მიერ პირველად წამოყენებულ მონაზრებას და აღნიშნავს, რომ სიუჟეტის საერთო ზღაპრულობასთან ერთად, შსაში ბევრია საერთო თამარის მეფობის ისტორიასთან. მისი აზრით საფუძველი გაეყვას ეიფქორი, რომ „მოთხრობის“ ფაბულად გამოყენებულია ნამდვილი ამბები თამარის მეფობიდან. განსაკუთრებით კი წარმატებით იმის აღწერა აღემოს სულთან ნუქარადინთან, რაც ქართველებსათვის ძველმოსილი შამქორის ბრძოლით დამთავრდა (?) (გვ. 411).

პროფ. ა. ცინცაძის კვლად უნდა აღვნიშნოთ, რომ უნეტარი რუსი მკვლევარებისა, რომელნიც „დინარას“ საკითხს ეხებოდნენ, მაგალითად, შ. სპერსკი, ე. ბაზილევინი და სხვები, სწორად უნებ შეცდომებს უშვებენ, როცა საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებს იხილავენ. აქაც, ე. ბაზილევინი რეკლამინთან ბრძოლას შამქორის იმთან აიკვირებს, მაშინ, როდესაც ეს იყო ბასიანის ომი, რომელიც შამქორის ბრძოლისაგან (რომელშიაც ქართველებმა ადრბაჯანის ათაბაგი აბუბეჭრი დაამარცხეს) 10 წლას შემდეგ, 1205 წელს, მოხდა.

ე. ბაზილევინის აზრით „მოთხრობა დინარაზე“ კიდევ მეოცნის თავის ყოველმხრივ მკვლევარს, რადგან ქრეცკობით ღიად რჩება სა-

¹ იხ. ლ. ბოწინიძის ნაშრომი „დინარაზე“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომებში, ტ. 7, 1955, გვ. 141.

² ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII ს. ს.), 1960, გვ. 125.

³ К. В. Базилевич. Внешняя политика русского централизованного государства. Вторая половина XV века, 1952, стр. 411—412.

კითხი თარგმნილი თუ ორიგინალური რუსული ძეგლია იგი. მან პირველმა მიეთითა, რომ ნაწარმოები დამოკიდებულია რუსულ მატერიალურ მოთხრობაზე.

«О приходе Ахмеда и в особенности послания Вассиана Рыло к Ивану III на Угру» (გვ. 412).

მკვლევარის დაკვირვებით დედოფალ დინარის მდგომარეობა სპარსელებზე გალაშქრების წინ ძალიან მოგვაკონებს თვით ივანე III მდგომარეობას ახმედანის მოახლოებისას. ივერის დედოფლის დიდებულები, ისევე როგორც მოსკოვის დიდი მთავრის ზოგბერტი ბოთარო, მოითხოვდნენ მორჩილებას სპარსელებს. ევანო მტრის წინაშე. ე. ბაზილევინის მონაზრებით დიდებულებას წინაშე წარმოთქმული დინარის სიტყვა საერთო კომპოზიციით მეტად მოგვაკონებს ეპისკოპოს ბასიანეს მიმართვას ივანესადმი, ხოლო ზოგიერთი ადგილი შეიცავს ტექსტურად დამოხვევას. ამის დასადასტურებლად მკვლევარად მიუთითებს „დინარას“ და ბასიანეს ტექსტის იმ ადგილებზე, სადაც ლაპარაკი დინარასა და გედოვზე.

შედარებით განსხვავებული დებულებანი (ზოგიერთი საკითხში) წამოაყენა ლ. ს. შამქორელიმ თავის მიმოხილვაში რუსულ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა შესახებ.

ლ. შამქორელს აზრით თამარის დინარად გადაქცევა სახელის დამახინჯება კი არ არის არამედ კონტამინაცია. რუსული მოთხრობის ავტორმა ერთმანეთში აურია ამ ორი დედოფლის სახელი, რომლებზედაც მას უკმაობა დენდ. კონტამინაციის ფაქტზე, მკვლევარის მონაზრებით, ის მიუთითებს, რომ ნაწარმოების გვირის მიმად დასახელებულია მეფე ალექსანდრე, თამარის მამის ვიორგის მავიერად. მკვლევარი თანახმაა ეპისკოპოს კირაოსის მონაზრებას, რომ სახელი ალექსანდრე დინარად დედოფლის მამის სახელის აღარწერეს დამახინჯება (მაგრამ კირაონზე ავტორი რატომღაც არ მიუთითებს) (გვ. 307).

ლ. შამქორელმა ასე ხსნის „სახელთა გაუგებარ არევას რუსულ მოთხრობაში“:

როდესაც ქართველი ელჩები ჰყვებოდნენ რუსეთში საქართველოს გაქრისტიანების შესახებ, მათ უამბეს რუსებს დინარას ამბავი, რომელმაც პერეთი გაქრისტიანა (ეს არაა მთლად ზუსტი, რადგან დინარამ მხოლოდ მართლმადიდებლობაზე მოაქცია პერეთი, თუმცა ამას იმ შემთხვევაში არა აქვს დიდი მნიშვნელობა). დინარას სახელი რუსებს მესსიერებაში აღიბეჭდებოდა, მაგრამ ქართველები დამწერლებით

¹ Л. С. Шамхорова. Культурные связи Грузии с Россией в V — XVII веках; Труды отдела древн. русск. лит. АН СССР, т. IX, 1953, стр. 307—312.

შეიკრებოდნენ თამარს მეფობის ამბებზე, როცა რუსებს საქართველოს აცნობდნენ და „შემდეგ თამარ მეფის გმირობის ამბავთა თხრობა უნებურად შეიძლება შერწყმულიყო მოთხრობის ავტორის გონებაში... დინარ დედოფლის სახელთან“ (გვ. 309).

ლ. შეგელიოვს აზრით ნაწარმოების ავტორი უნდა იყოს იმდროინდელი პირების, პუბლიცისტებისა და მწერლების იმ წრის, რომელიც თავს იყრიდა მიტრამოლიტ მაყარას გარშემო.

საბოლოოდ, ლ. შეგელიოვა ვარაუდობს, რომ ნაწარმოები შეთხზულია იმ მანაწერების საფუძველზე, რომლებიც ქართველი ელჩების საშუალებით შექმნილა. მისი აზრით, ზოგიერთი წერილშია, რომელიც ნაწარმოების ტექსტს შემოუნახავს, უძველად მივეითითებს იმაზე, რომ სწარმოებდა ელჩების ნაშრომის ჩაწერა, ჩაწერასა და მის ლიტერატურულად დამუშავებას შორის დიდი დრო უნდა გასულიყო (გვ. 312).

იმის დასამტკიცებლად, რომ დინარ თამარ მეფეა ლ. შეგელიოვს გამოკვლევაში მ. ბროსეს, მ. სპერსეისა და ი. ცინცაძის ნაშრომებთან შედარებით ახალი არაფერი მოიპოვება. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ლ. შეგელიოვს მოსახრება კონტამინაციის სავარაუდოებელი ფაქტის შესახებ, რომელსაც ახლა განვიხილავთ.

ლ. შეგელიოვა პირველად, კირონის შემდეგ, უშვებს შესაძლებლობას, რომ მოთხრობილი იყო ბერეთის დინარ-დედოფლის ამბავი.

თუ ჩვენც დავუშვებთ ამას და ევარაუდებთ, რომ მოთხრობილი გყრდნობოდნენ „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებს, მაშინ მათ მოსათხრობიე ფაქტორად არაფერი ექნებოდა.

გავიხსენოთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დინარ-დედოფალი გვევლინება არის ნახსენები ორჯერ „ბერეთი... დინარ დედოფალმან მოაქცევინა მართლმადიდებლად“¹ და „მაგრად... დაიჭრა იმ დინარ დედოფალი თვისად“² ე. ი. არსებითად აქ მოსათხრობი არაფერია.

მაგრამ ლ. შეგელიოვს ეკლავ თუ დავუშვებთ, რომ ჰქონდა ადგილი თხრობას დინარ-დედოფალზე, ისიც უნდა დავუშვათ, რომ მოთხრობელს ამასათვის რაღაც შასალაც

გაიწინათ, ე. ი. უსარგებლოთ რაღაც ჩვენთვის უცნობი ზეპირი ან წერილობითი მწარმოება... ამგვარია ამ საკითხის ვითარება, სტყვევრანდ დინარ-დედოფლის ამბების თხრობა. შეუძლებელი იქნებოდა.

თუ ქართველებს მიერ რუსებისათვის დინარ-დედოფალზე თხრობის შესაძლებლობას დავუშვებთ ჩვენთვის უცნობი წყაროს საფუძველზე, რატომ იმის დაშვებაც არ შეიძლება, რომ ქართველებს ეს ნაშრომი სწორედ რუსულ „დინარაში“ აღწერილ ამბებს შეიცავდა, რომ მოთხრობილი იყო დინარ-დედოფლის ცხოვრების ჩვენთვის უცნობი ეპიზოდი?

პროფ. ი. ცინცაძის ყოველმხრივა გამოკვლევას შემდეგ შედარებით ვრცელი ნაშრომები „დინარას“ შესახებ ლ. მონენიძესა და ა. ზამინა ვუთხინათ.

ლ. მონენიძის წერაში გამოიხატებოდა ი. ცინცაძის რიგი ძირითადი ლეზულებანი. მისი მთავარი ამოსავალი წერტილი ის არის, რომ დინარას საქართველოს მეფე თამარია, მაგრამ მასში ზოგი ახალი მომენტიც არის, ჩვენ მათ მოკლედ შევხვებით.

„თამარის“ სახელს „დინარად“ გადაკეთებას ავტორი ერთოვრთი ამგვარი არგუმენტით ასაბუთებს: „არ არის გამოჩვენებული აგრეთვე, რომ თამარი დინარად გადაკეთეს იმიტომ, რომ არსებობდა რუსული გვარი ტამარა (პოლკოვნიკი ტამარა 1770-80-იან წლებში იყო ქუთაისში; მან ბრძანა ეკატერინე მეორესათვის ბრძანებულად მუსიკოსის სიმლირის ჩაწერა). ალბათ რუსებისათვის ეს სახელი (ე. ი. თამარი — თ. ბ.) რამდენაღმე უცნაურად გამოიყურებოდა და მათ გადაწყვიტეს მისი შეცვლა დინარათი“ (გვ. 140). ჩვენ ვეთანხმებით პროფ. ა. ზამინს იმაში, რომ ეს ახსნა სრულიად არადამაკმაყოფილებელია.

ერთ-ერთი მთავარ განსტავებას თამარ მეფის ისტორიასა და „დინარას“ შორის ავტორი იმაში ხედავს, რომ „დინარაში“ ნახსენებია ქართველთათვის უცნობი „შაბრენის მონასტერი“ (გვ. 141).

მოაქვს რა ამ საკითხზე მ. ბროსესა და ი. ცინცაძის ჩვენთვის უცვე ცნობილი შეხედულებანი, ავტორი აღნიშნავს: „არსებობს სხვა მონახრებაც — დეკ. ტ. რეზაძისა ქართველი ისტორიკოსი პ. იოსელიანი აღნიშნავდა, რომ საქართველოში არსებობდა მონასტერი ე. წ. „ვაბრენი“; იქნებ ეს არის სწორედ „შაბრენი“ (გვ. 142).

ავტორის სურათი დაცვს ასეთია: „მირიავდ, შეიძლება დადგენილად ჩათვალოს, რომ რუსული „დინარას“ წყაროს წარმოადგენს თამარ მეფის ისტორიის თარივე რედაქცია, ნაწარმოებ-

¹ იმის დასამტკიცებლად, რომ ელჩების, კერძოდ ქართველი ელჩების ნაშრომებს ჩაწერა ხდებოდა, სრულიადაც არ არის საჭირო „დინარას“ მოშველიება. იმაზე მივეითითებენ უშუალოდ ფაქტები, მაგალითად, თეიმურაზის ელისი იღუმენ ხარითონის მონათხრობი მთლიანადაა ჩაწერილი რუსი დიპლომატების მიერ, ხარითონის ნაშრომი ჩაწერა ილექსი შახოვმა. (იხ. მ. პოლივეტკოვის „მასალები“ გვ. 39 და მომდევნო)
² ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 226.
³ იქვე, გვ. 279.

¹ Л. Г. Дзюценидзе. Повесть о Динаре: Сборник научных работ студентов Тбилисского государственного университета, № 7, 1955, стр. 135—146.

ში გამოყენებულა მონაცემები შამქორისა და ბასიანის ომებზე" (გვ. 144).

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ასეთი დასკვნის გამოტანა „დინარას“ ტექსტისა და თამარის ისტორიების შედარებით არ ზერბდება. ახლო ლ. ძოწენიძის ანალოგიურ დასკვნას რაიმე ახალი დასაბუთება არ მოუპოვება.

1958 წელს გამოქვეყნდა ა. ა. ზიმინის კაბიტალური ნაშრომი ივანე პერესვეტოვისა და მისი თანამედროვეების შესახებ.¹ მასში მკვლევარი „დინარას“ საკითხსაც შეეხო. ნაწარმოების წარმოშობა, მისი აზრით, დაკავშირებულია მიტროპოლიტ მაყარის ლიტერატურულ წრესთან.

ა. ზიმინი მიმოიხილავს წინამორბედი მკვლევარების ნაშრომებს „დინარაზე“. ამ მიმოხილვიდან ჩვენ რამდენიმე საკითხს შეეგებებით.

ვინაიდან ჩვენს რა მ. ბროსეს გამოკვლევას, ა. ზიმინი აკენებს, რომ მ. ბროსემ „დინარა“ დაუკავშირა ქართულ ლეგენდებს თამარზე. ეს არაა ზუსტი, რადგან მ. ბროსემ „დინარა“ აგრეთვე საქართველოს, თამარის ისტორიისა და ცენტრალური რუსეთის (მოსკოლის) დაუკავშირა.

ა. ზიმინის აზრით მ. სპერანსკიმ «на основании тщательного изучения материалов установил, что в ее основе лежат легенды о царице Тамаре».

(გვ. 104). ეს არ არის სწორი, რადგან მ. სპერანსკის არ შეუსწავლია, ისიც „тщательно“ ქართული მასალები, იგი სარგებლობდა მხოლოდ მ. ბროსესა და ა. ხახანაშვილის შრომებით, ე. ი. მხოლოდ რუსულ ენაზე არსებული მასალებით (ამიტომ უშვებდა შეცდომებს). არც ის დამატებები ა. მ. სპერანსკის, რომ „დინარა“ დაფუძნებულია მხოლოდ თამარის შესახებ არსებულ ლეგენდებზე. მ. სპერანსკი ნაწარმოების წარმოშობის საკითხში ძირითადად მ. ბროსეს შეხედულებებს იმეორებდა და მათ ვალკავენებს ცდილობდა.

მ. სპერანსკიმ, ა. ზიმინის სიტყვით, თითქოს ძველის ორი რედაქციაც დაადგინა. ეს არაა სწორი, მ. სპერანსკის რედაქციები არ ვანდუსევენია, იგი პირდაპირ მიუთითებს ამაზე (სპერანსკისა, როგორც ვერ შენიშნა ეს ისეთმა ფრთხილმა და დაკვირვებულმა მკვლევარმა, როგორც ა. ზიმინმა). მ. სპერანსკი აღნიშნავდა:

«Самые списки Повести о Динаре... в общем представляют одну первоначальную редакцию, но по составу текста представляют две разновидности»². მეორეგან მ. სპერანსკი კიდევ ერთხელ სპეციალურად ამბობს:

¹ А. А. Зимин, И. С. Пересветов и его современник; изд. АН СССР, 1958, стр. 102—108.

² მ. სპერანსკის მიითებული შრომა, გვ. 63 (ზაზი ჩვენია).

«Повесть известна нам в одной редакции, так как немногие отличия списков друг от друга... не имеют редакционного характера, а скорее характер механический, не внося изменений в идейный смысл содержания».

ა. ზიმინი შეტად სუსტ შეფასებას აძლევს ი. ცინცაძის გამოკვლევას, რომელიც უკვლავ უფრო მნიშვნელოვანი, სრული და საბუთიანი მათთვის ვინც იზიარებს შეხედულებას, რომ დინარა თამარ მეფეა. იგი ეტემა აგრეთვე კორნელის, საბაროვის, ბიძინის, სნეგორიევის, ვლანოვის, სობოლევსკის, ბაზილევინის, შაველიძის და სხვა მკვლევართა საერთო დებულებებს, რომელთა კონსტატაციით კმაყოფილდება.

თუთ ა. ზიმინის აზრით „დინარას“ ჩიწერა და დამუშავება მოხდა XVI საუკუნის შუა პერიოდში. მან მიაკვლია ერთ-ერთ ნუსხას, რომელიც სათავეს უდებდა მიტროპოლიტ მაყარის გარემოცვიდან გამოსულ ნაწარმოებთან მთელს კომპლექსში (ე. წ. „როგორც კი სობორანო“, № 82). იმავე კრებულში არის მოკლე ცნობა მიტროპოლიტის საუბრის შესახებ სინაელ ბერ გროგოლიან 1547 წლის დასაწყისში. ა. ზიმინის აზრით, შესაძლებელია, რომ სინას მთის ბერძენი ან ათონელი ბერების საშუალებით, რომლებიც XVI საუკუნის შუა პერიოდში მოსკოვში იყვნენ, ლეგენდა დინარაზე ცნობილი გახდა მოსკოვის მიტროპოლიტისათვის და ჩაწერა მისი ნაწარმის ლიტერატურულ წრის რომელიმე წარმომადგენლის მიერ. ივერიის ქართველთა მონასტერი, რომელიც ერთი უძველესთაგანია, საუკუნეების მანძილზე იყო დაკავშირებული საქართველოსთან. მხოლოდ ლეგენდა ივერიანზე, როგორც „ლეთისმშობლის წილზე“, რომელმაც ასახვა პოემა „დინარაში“, არა მარტო გავრცელებული იყო საქართველოში, არამედ უშუალოდ იყო დაკავშირებული ივერიის მონასტერთან (გვ. 107).

ა. ზიმინის აღიარებით, მას არ მიაჩნია შესაძლებელი იმის რკვევა, თუ როგორ შეიქმნა ქართული ლეგენდა დინარაზე. ადგილი დასაშვებია, მისი აზრით რომ თქმულება შედარებით გვიან წარმოიშვა. სამეცნიეროდ, მას შესაძლებლად მიაჩნია ვაარკვიოს, თუ რომ მიიზიდა „დინარას“ სიუჟეტში იოსიფლიანელი მწერლები.

ა. ზიმინის მსკელობა ამაყარია: ნაწარმოებში ნაილად იგრძობა დინარას ლეგენდის საეკლესიო დამუშავების ხასიათი. „მოცხრობა“ თითქოს შედის ლეთისმშობლის შესახებ იმ ლეგენდის ციკლში, რომელიც მოთავსებულია ამ ნაწარმოების ვერადით ე. წ. „როგორც კრებულში“. ლეთისმშობელი, როგორც ცნობილია, მოსკოვის მიტროპოლიტთა მფარველი იყო, ხოლო „მოცხრობაში“ ლეთის-

მშობელი უხილავად თან სდევს მთელს ამბავს. მის მიმართაც ლოცვით ივერის დედოფალი; ლეთისმშობელი უხარება მის მტრის დამარცხებაში; მადლობის ნიშნად მის სწორადვე ძვირფას საბჭუქებს. ივერია საერთოდ განხილულია, როგორც „ლეთისმშობლის წილი“ ქვეყანას. საეკლესიო ტრადიციული ფერებითაა მოცემული დინარას სახეც. ნორჩი დედოფალი „ყველაზე დიდი გულმოდგინებით სწავლობდა საღმრთო წერილს“, გამოირჩევა „უწინარობით“, „მოწყალობით“, „ხალხისადმი სიყვარულით“. სპარსელებს დინარა ებრძვის მხოლოდ თავის ქრისტიანული რწმენის დასაცავად და გამარჯვებას მხოლოდ ლეთისმშობლის დახმარებით აღწევს. აღიქმის თანამედროვე, დინარა სპარსელთათვის წართქველ საუნჯეს ლეთისმშობელს სწირავს „შაბრენის“ მონასტერში, სადაც დამარხდება კიდევ (გვ. 107).

იმ პერიოდში, განაგრძობს ა. ზიმინი, როდესაც რუსეთში დაიხდა საეთხი, რათა მონასტრებს უფლება მიენებოდათ „სქელის მოსახსენებლად“ შეწირულ უძრავ ქონებაზე, ავტორი ცდილობდა ისე აეგო ნაწარმოები, რომ მასში მთავარი ყოფილიყო ლეთისმშობლისადმი დედოფლის უხარმაზარი შეწირულების ამბავი (გვ. 108).

იოსებლიანთა ძირითადი პოლიტიკური პროგრამის შესაბამისად, ამბობს ა. ზიმინი, „მოთხრობაში“ გატარებულია აზრი, რომ თვითმპყრობელები ძალაუფლება ლეთის მებრ არის დადგენილი, რომ აუტოლბეულია ფეოდალური არისტოკრატების დამორჩილება მონარქის მიერ. დინარა თვით აღიარება, რომ ძალაუფლება მის ლეთისგან აქვს. მისი დიდებულები უარს ეტყენებიან სპარსელებთან ომზე, მაგრამ საბოლოოდ აღფრთოვანდებიან დედოფლის სიტყვით. ეს ეპიზოდი, მართალია, ქართულ მართაწილებში არ არის, ამიტომ იგი რუს ავტორს უნდა შეეთხზა — ასკენის მკვლევარი (გვ. 108).

დინარა ნაწარმოებში დასახულია ბრძენ და სამართლიან მმართველად, ხოლო რუსეთში სასამართლო რეფორმის ჩატარება, შენიშნავს ა. ზიმინი (ეს საეთხი ნაიალდედად მოტანიეს ჰეგეს), რომელიც დამთავრდა 1550 წელს „სქედნიეის“ გამოცემით, მოავრობის წინაშე ვერ კიდევ XVI საუკუნის 40-იან წლებში იდგა არანაყვებ მნიშვნელოვან „მოთხრობაში“ გამოცხადებულ პროგრამა ბრძოლისა „ბარბაროსების“ და „ურწმუნოების“ წინააღმდეგ.

გედონისა და დებორას სახეები, როგორც მებრძოლებისა „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ, შენიშნავს ა. ზიმინი, გვხვდება არა მარტო ამ ნაწარმოებში, არამედ XVI საუკუნის შუა პერიოდის მთელ ომის სტვება ძეგლებში, რომლებიც ყაზანის წინააღმდეგ რუსეთის ბრძოლის თემას ეხებოდნენ (გვ. 108).

თუ ჩვენ ა. ზიმინის ამ ანალიზს დავუთანხმებთ და მის თვალსაზრისს გავიზიარებთ,

კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით იმაში, რომ ამ ანაწერ შეშინა არც უშუალოდ დიმიტრ მეფე და არც მისი ისტორიული ქრონიკები. საბოლოოდ, პროფ. ტ. რუხბაძე მოსახრებათა შესახებ.

თავის რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ფაქტებით აღსაყვ და სანტრესკო წიგნში პროფ. ტ. რუხბაძე, ცხადია, „დინარას“ საკითხსაც შეხება!

იგი იცავს და აღრმავებს იმ შეხედულებას, რომ დინარა თამარ მეფეა, რომ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს თამარის ისტორიებში.

მკვლევარი სახელსაც კი უცვლის ნაწარმოებს და უწოდებს „მოთხრობას დინარა-თამარზე“.

ამ მოსაზრების დასაბუთების პროფ. ტ. რუხბაძე ახდენს როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილი, ისე ზოგიერთი ახალი დებულებითაც. ძირითადი მათ შორის შემდეგია:

„ყველაფრიდან ჩანს, რომ ქართველებსა და რუსებს დინარას სახით თამარ დედოფალი (1184-1215 წ.) წარმოუდგენიათ. ამიტომ ზედაპეტია ლაპარაკი პერეტის დედოფალ დინარაზე“ (გვ. 122).

ჩვენ ზემოთ ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ ეს ასე არ უნდა იყოს. ყველაფრიდან — „დინარას“ შინაარსიდან, იდეური გამომწველობიდან, თამარის ისტორიებთან მისი სივრცითი დაპირისპირებიდან, ცალკეული ეპიზოდების აღწერაიდან, დინარა დედოფლის ხასიათიდან და მოქმედებიდან — ჩანს, რომ იგი არაა თამარ მეფე.

ნაწარმოების ტ. რუხბაძის აზრით, „სერწყმულია სამი ელემენტი — ხალხური, ლტერატურული, და ისტორიული. რუსი ხალხის ფანტაზიის ნაყოფია თამარა-დინარას ქალწულებრივი ცხოვრება, ფეხშიშველა წასვლა შაბრენის მონასტერში, დინარას მიერ აღრმავებ სპარსეთში მდებარე თავის მოკვითა და ნაწილობრივ იდგა „ლეთისმშობლის წილდომილობისა...“ (გვ. 122).

თუ ეს „რუსი ხალხის ფანტაზიის ნაყოფია“, მაშინ ამაღ უნდა დაემატოს შემდეგაც: დინარას პეტია დინარა და არა თამარი, მაშინათა იდექსანდრე და არა გიორგი, დინარა მართა-გამგებლობა დაიწყო სპარსეთის მეფის აღრმავლების დროს, სპარსეთის მეფემ განიზრახა წაყვინა იგი თავის ოლქში სირიაში, დინარა და მამამისი ხარკს უხდიდნენ და უხდიან სპარსეთის მეფის, აღრმავლების ორი წერილის შინაარსი, დინარას ორი პასუხის შინაარსი, დიდებულების შიში და წინააღმდეგობა ომის დაწყების საქმეში და ამით წარმოშობილი მთავარი კონფლიქტი, დიდებულებისადმი მიმართული დინარას სიტყვის შინაარსი (ე. ი. ნაწარმოების სახეცარზე მეტი), სპარსეთის მეფის მოკვითილი თავის შემზე ჩამოკმევა და სპარსეთის ქალქ თავრისში

1 ტ. რუხბაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს), 1960, გვ. 117-128.

წაღება, თავრიზის აღება, ნანუკოძისოსორის ლაღის ლანგის ზეღი ჩავდებ, შემახიდან ბარკის აღება ცხენის ნაღებით, დინარას მეფობა 28 წელსა და 6 თვის, უშვილოდ ვარდაცვალება, ხელისუფლების ვადაცვა ნათესავებისათვის და შარჩენის მონასტერში დასაფლავება...
 2. ი. ფაქტუარად, მთელი მოთხრობა.

თამარისათვის რჩება მხოლოდ ის, რომ იგი, ქალი ტახტზე ავიდა მამის შემდეგ, ერთ-ერთი სატყევეში ახსენა ზიბოლერი გედუონი და სალოცავად ფეხშიშველი წაიდა მონასტერში...

ეფემრობით, რომ ეს ძლიერ ცოტა იქნის დასამტყიცებლად, რომ დინარა თამარ მეფეა, ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებანი — განსხვავებანი იქ ძალიან ბევრ საბუთს შეიცავს მათი ავივობის უარსაყოფად.

ტ. რუხაძე აღნიშნავს: „თქმულების“ ძირითადი სიუჟეტური წყარო, როგორც ახლა დადგინდა (პროფ. ი. ცინცაძე) და ვახარებულა რუსი მეცნიერების მეტრად (პროფ. ა. ზიბინი), თამარ მეფის ისტორიის-ბიოგრაფიების წარწერებებში უნდა ეყვიოთ“.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ი. ცინცაძისა და ა. ზიბინის შეხედულებანი და სათანადო დასკვნა ვაკეთებთ, რომ „დინარას“ სიუჟეტური წყარო თამარის ისტორიაში არ ჩანს, დღესათვის მეცნიერებაში ცნობილია თამარის ორი ისტორია — „ისტორიანი და აზმანი შარაგანდდთან“, „საფორება მეფეთ-მეფისა თამარიისი“ და აგრეთვე ლაშა გიორგიისდროინდელი მეპატრიანის მოკლე „საფორება დიდისა მეფეთ-მეფის თამარიისი“, ამ სამივე ისტორიული ძეგლის გულდასმით შეყურებამ „დინარას მოთხრობასთან“ (საბოკლისათვის შედარება-შეყურების დაწერილებითი პროექტი აქ არ ავივისახეს), მოეტირებთ მხოლოდ მთავარი მომენტები). საუბრითი დაავარწმუნა იმასი, რომ რუსულ მოთხრობა არ არის დაყრდნობილი აღნიშნულ ძეგლებზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ანალოგია მათ შორის მოიქვამება.

ჩანს, რომ „თქმულების“ ავტორ-ჩამწერმა იცის შაქორის ომი, ბასიანის ლაშქრობა და საერთოდ თამარ-დინარას სამხედრო მოღვაწეობის მთელი ისტორია“, (გვ. 123), განაგრძობს ტ. რუხაძე.

ზემოთ ჩვენ შედარებით ნათელეყავით, რომ შაქორის ომი (ომის დაწყების მუხებზე და მიზნები, ბრძოლის შედეგობა, მასში მონაწილენი, მისი შედეგები და სხვა) არც ერთ მომენტში და არც ერთ დეტალში არ ასახულია „დინარას მოთხრობაში“, იგი მისი ავტორისათვის სრულიად უცნობია.

რაც შეეხება ბასიანის ბრძოლას, იგი ისევე არ არის ასახული რუსულ მოთხრობაში, როგორც შაქორის ომი, საბოკლისათვის მის აღ-

წერის „საქართველოს ისტორიის“ ახალ სახელმძღვანელოდანი მოვიტანო!

„საქართველოს სამხედრო წარმადებებმა დიდად შეამოთა დასავლეთის თურქთა სამყარო. ამ დროს იქ, მცირე აზიაში, ყველაზე დიდი თურქული სახელმწიფო რუმის სასულტნო იყო, რუმის სულტანმა რენკალინმა, ისევე როგორც თავის დროზე აღდრბაიჯანის ათაბაგმა აბუბეგრმა (აქ აბუღლახმა შაქორის ომი — თ. ბ.), საქართველოს წინააღმდეგ თურქთა შეერთებული ლაშქრობის მოწყობა განიზრახა, რუმის სულტანმა არა ერთი თურქი ხელმწიფე წარმოიტანა თან და დიდი შეერთებული ჯარით საქართველოს წახადენად დიძირა.

რენკალინმა სწორად ეერა შეაფასა საქართველის ძალი. ამ პოლიტიკურ შეცდომას სამხედრო შეცდომებზე ზედ მიყოლა და ომიც სამარცხებივად წააგო, როცა რუმის სულტანმა დიდძალი ჯარი შემოიყარა, მან თავი უძლეველად წარმოიდგინა, ხოლო საქართველოს საქმე გათავებულად ჩათვალა. რენკალინმა თამარ მეფეს ბრძოლა კანდიტებით აღსავსე წერილი გამოუგზავნა (რენკალინის წერაღის ტექსტი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ — თ. ბ.); სულტანი მოთხოვდა, საქართველოს ქრისტიანობა უარყო და მას, რუმის სულტანს დამორჩილებოდა. სულტანის შეცდომით საქართველოს სამეფო ჯარმა მარჯვედ ისარგებლა, თამარ მეფემ სულტანს პასუხი განზრახ დაუგვიანა და ვიდრე რენკალინის ელჩი მეფის კარზე იმყოფებოდა და პასუხს ელოდა, თამარმა ლაშქრის შეყრა ბრძანა. საქართველოს ჯარი სწრაფად შეიყარა და გემარათი ბასიანისაკენ, სადაც სულტანი დამანებულდ იყო და საქართველოს მიზრე ელჩისა და პასუხს ელოდა.

თამარ მეფემ შორს ვააცილა ომში მიმავალი ლაშქარი, ლაშქარს თან მიჰყავებოდა რენკალინის ელჩიც, ქართველებმა სულტანის ელჩი და ქართველი მოციქული თამარის საპასუხო წერილით მხოლოდ მამის დააწინაურეს, როცა თვითონვე მიახლოებული იყვნენ სულტანის უზარმაზარ ბანაკს, ასე, რომ, ეთიარება სრულიად შეიცვალა, თავდასხმელის როლი ქართველები აღმოჩნდნენ და მათ არც ვაუშვიათ ზელოდნ ეს ინიციტივა, ვიდრე მტერი სასტიკად არ დაამარცხეს.

რენკალინი ვაიქცა, მისი დროსაც კი ქართველებს დარჩა, რუმის სულტანის არა ერთი მოკავშირე მფლობელი ტყვედ ჩაეყარა გამარჯვებულთ. კერძოდ ტყვედ წამოიყვანეს ერზინკის სულტანი, რომელსაც თამარ მეფემ ყოვლად დამამორჩებელი სასჯელი მიავა: მეფემ ტყვე სულტანი მონად გავიდა და მის ფასად ჯობის (ცხენის — თ. ბ.) ნაღი აიღო, გამარჯვე-

1 ნ. ბერძენიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 202-203.

ბელმა ქართველებმა დიდი სამხედრო დავა იმოყეს. ეს იყო 1205 წელს.

ადილი შესაძინებია, რომ ეს აღწერა, რომელიც ზუსტად ასახავს ბასიანის ომის ვითარებას, არაერთაჲ კვირში არ არის „დინარას მოთხრობათან“.

ერთი დეტალიც, რუენადინთან კონფლიქტის გადმოცემისას ქართული მემატიანე, ისტორიანი და აზნაი შარავანდღლთანის“ ავტორი, საინტერესო და ქართული დიდებულნი მისათვის დამახასიათებელ ამბავს გადმოცემას, რომელსაც რუსული მოთხრობის ავტორი, თუცა იგი თამაზის ისტორიით სარგებლობდა, ყურადღებას მიაქცევდა (მცელვეართა აზრით, იგი ხომ ისეთ „არაჩვეულებრივ“ და „მომზიდველ“ დეტალს აქცევს ყურადღებას, როგორცა ერთნაირი მშართველის ნალღ გაყოფა).

მემატიანე აღნიშნავს: „და ვითარ მოვიდა მოციქული (რუენადინის ელჩი) და შეუყვანეს მეფეს თანა თამაზსა წინაშე, წიგნი მისცა და წარდგა, იყურო არასა საყიდრებელთა სიტყუათ: თქმად: „უყოთ მეფემან თქვენმან დაუტეოს სჯული, ამყრას სულთანმან ცოლად; და უყოთ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარკად სულთნისა!“ ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათ: ამით, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უხეტია ხელთა პირსა, და ვითარცა მკვდარი დეცა და დგა. ვითარ აზოდნეს და ამართეს და ცნობად მოვიდა, რქუა ზაქარია: „თუ მოციქული არ იყავ (ე. ი. თუ ელჩი არ ყოფილიყო), პირველად ენისა აღმოცემა იყო შენი სამართალი და შემდგა თვისა, კადნიერად კავრებდა სათვას. აჲ არ არს სიტყუაჲ ესე წიგნი მართვი ნუქარდის და არცეი: ჩვენ ესა ვართ წყობად და წინამოგებებად, სამართალი ღმრთისა იყავინ!“

„დინარას მოთხრობის“ დიდებულება კი პირიქით, დაფრთხნენ და იმში წასვლამდე უარი თქვეს!

ქართველი ვარის შიდა ირანში დიდი ლაშქრობა კი, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, თამაზის სამხედრო ძლევამოსილებაზე იყო დამყარებული. ლაშქარმა მაშინ ადვილად აიღო, დარბაზი, დაიმორჩილა და დახარკა ქალაქებმა ბარანდი, თაყრისი, მისანი, ზენჭანი, ყუხვირი, ირანის შუა გულში რომ-გურს მიაღწია და დიდი აღაფთი დატეირთული უკან უღენებლად დაბრუნდა. არც სხვა, თამარის დროს, მომხდარი ბრძოლა და ლაშქრობა უდგებდა თუნდაც რომე მხარედან „დინარაში“ მოთხრობად ამხავს.

საიდან გამოდის, რომ „ავტორ-ლაშქარმა იცის შამქორის ომი, ბასიანის ლაშქრობა და საერთოდ, თამარ-დინარას სამხედრო მოღაქეობის მთელი ისტორია“, — ჩვენთვის უცნობია.

მცელვეარი აღნიშნავს: „შეიძლება ზედმეტად მივიჩნიოთ საქართველოს ისტორიის სახელ-

მძღვანელოს 71 პარაგრაფში გამოქვეყნულ მისაზარებას, რომლითაც, თამაზის ეპოქაში, ბიზანტიკაში დაწერილი დიდი პოემა ლექსრდ ტრამლეც ხოტბას ასახავს თამარ მეფეს. ამ პოემშიც კი ვხვდებით გვევლინება ივერიის დედოფლის დინარას სახელით. ეს პოემა შემდეგ რუსულად ითარგმნა და დღად პოპულარული იყო“ (გვ. 123).

პროფ. ტ. რუხაძე გულისხმობს ნ. ბერძენიშვილის, ი. ქავთაშვილის, ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორიას“, რომელშიც ავტორებმა, როგორც ჩანს, იზარებდნენ ა. სიბოლევსკის შეხედულებას „დინარას“ ბერძნულად თარგმნის რუსებზე (ამის თაობაზე იხ. ქვემოთ). ის სხვა რამე მისაზრება ვაჩინდათ, როცა „დინარას“ ბიზანტიკურ პოემაზე ასახელებდნენ.

ნ. წამაროების „პირდაპირი წყაროთა თამარის პირველი ისტორიისი“ (გვ. 126).

ე. ი. პატყვიშვილი ტ. რუხაძის აზრით „ისტორიანი და აზნაი შარავანდღლთანის“ „დინარას მოთხრობის“ პირდაპირი წყაროთა ცნობილია, თუ რას ნიშნავს მეცნიერებაში ტერმინი „პირდაპირი წყარო“. ამიტომ მეტად საინტერესოა ის მისაზრებანი, ფაქტები და საბუთები, რომელთა საფუძველზე მცელვეარს ამგვარი დამკენა გამოაქვს.

დაბოლოს მცელვეარი იმასაც კი ფიქრობს, რომ „ქართული წყაროების მიჭედვით შესაძლებელია „დინარას მოთხრობის“ ფრაზება შესწორდეს, მოხდეს მათი კონიუქტურა“ (გვ. 127).

როგორც ვხედავთ, პროფ. ტ. რუხაძე მთელს კატეგორიულიზმით ამტკიცებს, რომ დინარა თამარ მეფეა და რუსული „მოთხრობას“ პირდაპირი წყაროთა თამარის ისტორიები.

ამ საკითხებზე ჩვენ უფრო დაწერილებით ზემოთ ვამსჯელთ და აქ ამ მსჯელობას აღარ გაივმოვრებთ.

X

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ თითქმის ყველა მცელვეარის მისაზრებანი „დინარას“ ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის შესახებ.

ფაქტების ანალიზით, ტექსტების შეჯერებით მცელვეარების დებულებათა შემოწმებით, ისტორიული ანალოგიების განხილვით, დეტალურის ძიებით და კონკრეტული მსჯელობით ჩვენ ვეცადეთ ტრადიციული შეხედულების ახლებურად გააზრება და შეცვლა.

ეთაქრობთ, რომ ნაშრომში ნათლადა ვარკვეული ჩვენი პოზიცია ამ საკითხში და ამიტომ არ შეუძლებით დასკვნების ჩამოყალიბებას. მთავარი და ერთადერთი დასკვნა ის არის, რომ დინარა თამარ მეფედ არ ჩანს, რუსული „მოთხრობა“ არ უნდა ეყარებოდეს უნალოდ თამარის ისტორიებს.

შეიძლებადა ამით დაეკმაყოფილებულიყოთ

და აქ-დაგვესა და წერტილი. ცხადია, „დინარასთან“ დაკავშირებულ ყველა პრობლემას ამ მცირე ნაშრომში ვერ გადავწყვეტდით და არც მოგვეთხოვებოდა იმ ამოცანის ფარგლებში, რომელიც დაეისახეთ.

მაგრამ ჩვენს წინ დგას კიდევ ორი საკითხი რომელიც ბუნებრივად გამოძინარეობს ზემოთ ჩატარებულ კვლევებიდან და, ალბათ, მართებული არ იქნებოდა მათთვის გვერდის ავლა. პირველი ეხება კვლევის მეთოდოლოგიურ მხარეს, ხოლო მეორე — ჩვენს მოსაზრებათა, ასე ვთქვათ, პოზიტიურ ნაწილს.

პირველი საკითხის განხილვისას უნდა დავუბრუნდეთ იმ მოსაზრებას, რომელიც ამ ნაშრომის დასაწყისში მოვიტანეთ: ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრულ ნაწარმოებთან და არა ისტორიულ დოკუმენტთან, ამიტომ განა უცნაური არ იქნებოდა მის ყველა დეტალში გვეხია ისტორიული პირებისა და მოვლენების ზუსტი, პირდაპირი და უშუალო ასახვა?

მაგრამ თვით საკითხის ამგვარად დაყენება „დინარასთან“ დაკავშირებით, მთლად სწორად არ მიგვანინია, რადგან, თუ ვამბობთ, რომ რაღაც მხატვრული ნაწარმოები რომელიც ისტორიულ პიროვნებას ვუღიხმობს, ამის დამტკიცება სათანადო კონკრეტული არგუმენტაციით შესაძლებელი უნდა იყოს, მართალია, მწერლობაში რეალიზმის მეთოდის დამკვიდრებამდე არ ყოფილა შემუშავებული ე. წ. „ისტორიზმის“ მეთოდი, თვით რეალისტურ მწერლებიც ზოგჯერ სათანადოდ მას არ იცავენ, მიიუშვებენ ეს არ მოეთხოვება შესაფერხებებში შექმნილ ნაწარმოებს, როცა მწერლები ისტორიულ პირებსა და მოვლენებს მეტად „თავისუფლად“ გაიდგობდნენ. მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს რაღაც ზღვრისაღივ, მყარი საფუძველი იმისთვის, რომ მიუხედავად ამისა თუ იმ მხატვრული სახის ისტორიულ პროტოტიპზე? და განა ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ამისთვის მხოლოდ ის კმარა, რომ დინარა თამარის მსგავსად ტატიის ერთადერთი, შემკვიდრე იყო? თუ სხვა ყველაფერი შეცვლილია — სახელიდან და ოჯახური მდგომარეობიდან დაწყებული მმართველობის ხასიათით, ფორმით, ზოგადი ისტორიული ვითარებით, კონკრეტული მოქმედებით, ფონით და ფაქტობრივ დამთავრებულა, — ეფექტობით, ეს არ კმარა.

ამიტომ მეთოდოლოგიურად გამართლებულად მიგვანინია მკვლევართა არა ერთი თაობის ღვაწლი „დინარას“ საკითხის გარკვევაში და ჩვენი მცირე ცდაც ამ მხრივ.

წამოჭრილ საკითხს მეორე მხარეც აქვს. დავეუბნოთ, რომ „დინარას მოახრობის“ რუსი ავტორის შთაგონა ქართული მეფის თამარის სახემ და ამ შთაგონებამ მას საკუთარი სამშობლოს, რუსეთის მდგომარეობით წარმოშობილი იდეებისა და მწვავე პოლიტიკური ტენდენციების შემცველი ნაწარმოები შეაქმნევინა;

ამ თავისი პოლიტიკური ამოცანის მიხედვით თამარის ისტორიებში შეცვალა ყველაფერი ის, რაც მას უშუალოდ არ სჭირდებოდა: შეცვალა თამარის დროის რეალურ-ისტორიული სურათი შეთხზული ამბებით, შეცვალა ტენდენციები და პოლიტიკური ასპექტები, რამაც გამოიწვია დეცენტრალიზაცია და სხვადასხვა რეალურების შეცვლა; შეცვალა ავტორმა გმირის სახელიც, ხასიათიც, ფსიქოლოგიაც, ოჯახური მდგომარეობაც, ხელში ხმალი ააღებინა და ბრძოლის ველზე გაიყვანა.

განა ეს ახალი გმირი იქნება თამარ მეფე, რომლის სახელიც ავტორის შემოქმედებით პროცესში სრული მეტამორფოზა განიცდია? განა ამ მეტამორფოზის შემდეგ იგი კვლავ დინარას პროტოტიპად დარჩება?

ცხადია, არა. ეს თითქმის იმასვე ნიშნავს, რომ ავთანდილის, ტარიელის, ნესტანის, თინათინის პროტოტიპები არაბეთისა და ინდოეთის ისტორიაში გვექმნება.

იმ სახეცელილების შემდეგ დინარა რუსული მოახრობის, რუსული სინამდვილის გმირია და არა თამარ მეფე. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა ადარა აქვს იმას, თუ ვინ შთაგონა ავტორის ეს სახე.

თუ საკითხის ამ მეორე ასპექტს დავუბრუნდებით, მაშინ აღარ უნდა განვაყვებოდით, რომ დინარას ისტორიული პროტოტიპი თამარია, და მოთუშვებენ ის, რომ დინარა თამარ მეფეა.

მეორე საკითხი უფრო რთულია, მასზე მეცნიერულად დავსვლით არგუმენტარულად მასუბის ვაცემა ძველია. აქ მხოლოდ პოტიციებით შეიძლება შემოვიფარგლოთ.

სად და როდის შეიქმნა „მოთხრობა დინარაზე“ და ამასთან დაკავშირებით, ვინ იყო ბოლოსდაბოლოს, ეს დინარა, გაანდდა მას ისტორიული პროტოტიპი თუ არა?

თვით სახელი „დინარა“ თავისთავად არ განდებოდა შესაფერხებების რუსეთში, არც ერთ სხვა რუსულ წერალობით ძველში (თუ არა ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით) ეს სახელი არ გვეხვებოდა. თვით ჩვენ დრომდე ეს სახელი რუსეთში არ გავრცელებულა. საქართველოშიც არ ყოფილა ძველად იგი ცნობილი, გარდა ჰერეთის დინარ დედოფლისა, ახლაც არ გვეხვება ხშირად. იგი აღმოსავლური წარმოშობისაა. სად იყო გავრცელებული — არაბეთში, სპარსეთში, სომხეთში, საბერძნეთში? ძნელი, დასადგენია, ნაწარმოებში ნათლადა ნათქვამია, რომ ეს არის ივერთის მფლობელი დინარა. მამის სახელია ილექსანდრე. ამ მხრივ მეტი არაფერია. არ ვახოვილა (არ ისურვა), შვილები არ ჰყოლია, ლეონისმოსავი იყო, დიდი გმირობა ჩიდიხა და „შაბრენში“ დასაფლავდა. ძნელად ამოსახსნელი ამოცანაა.

ამ საქმეში იქნებ ოდნე მაინც დაგვეხმაროს გამოჩენილი რუსი მეცნიერის აკად. ა. სობო-

ლევსის მოსახრება „დინარის მოთხოვნის“ წარმოშობის შესახებ?

განვიხილოთ ეს მოსახრება.

ყველა რუსი მეკლევარი ამტკიცებს, რომ „მოთხოვნა დინარზე“ ორიგინალური რუსული ძეგლია და წარმოიშვა XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის პირველი ნახევრის ფარგლებში. ამ ორ ზღვარს შემდეგ მოსახრებით სდგენენ რუსი მემატიანის ცნობით 1552 წელს ყაზანისათვის ბრძოლის დროს ივანე მრისხანე ლაშქარისადმი მიმართულ სიტყვაში დინარას ბრძოლის მავალითს იხსენიებს. ამრავალ ნაწარმოებში ამ თარიღზე გვიან თითქოს არ უნდა დაწერილიყო. მაგრამ ივანე მრისხანის შიგრ ყაზანის აღების ამბები თვით რუს მემატიანეს უფრო გვიანდელ პერიოდში აქვს შედგენილი და დინარას ხსენება საქეთარი ინიციატივითაც შეეძლო. მეორეს მხრე, მოთხოვნის უძველეს ნუსხა 1564-1565 წლებს განეკუთვნება, ე. ი. ამ თარიღზე გვიან იგი მაინც არ უნდა შექმნილიყო. XV საუკუნის ბოლოს მეკლევარები იმ გარუდამ ასახელებენ, რომ ამ დროს იწყება რუსეთ-სამართლებლის დიპლომატიური ურთიერთობანი და ამიტომ საქართველოდან „დინარას“ სიტყვების შტამს ამაზე აღნიშნა (1491 წლამდე) არ მოხდებოდა.

ტეოლოგიამდე შევნიშობთა სრულიად განსხვავებულ შეხედულება „დინარას“ წარმოშობის თაობაზე წამოაყენა აკად. ა. სობოლევსკიმ. 1926 წელს აკად. მ. სპერანსკი შეეცადა უარყო მისი დებულებანი, მაგრამ ა. სობოლევსკი კატეგორიულად იცავდა თავის შეხედულებათა სისწორეს და 1928 წელს უბასუბა ოპონენტს სპეციალური გამოკვლევით. ჩვენ სრულიადაც არ გესურს ჩავერიოთ თავიანთი დარგის ამ ორი გოლიათის კამათში, მაგრამ იმის კონსტატაცია მაინც უნდა მოვხდინოთ, რომ მ. სპერანსკიმ ვერ შეძლო ა. სობოლევსკის შეხედულებათა გაბათილება და არც უბასუბა მის ბოლო წყაროს, რომელშიც ყველაზე უფრო სრულად არის ჩამოყალიბებული მეკლევარის შტაციებანი. დღემდე ა. სობოლევსკის შეხედულებანი არავის მიერ უარყოფილია ის არის, მის დღემდით უვლიან გვერდს.

ა. სობოლევსკის შეხედულებით „მოთხოვნა დინარზე“ ორიგინალური რუსული ძეგლი კი არაა, არამედ ნათარგმნი თხზულებაა. ითარგმნა იგი, მისი აზრით, მეტად აღრე, ვერ კიდევ მონღოლების შემოსვლამდე ბერძნულიდან (ე. ი. XIII საუკუნის მეორე მეოთხედამდე — თ. ბ.).

1896 წელს პეტერბურგში ა. სობოლევსკი გამოსულა მოხსენებით „ძველი სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების“ სტომაზე და ეს დებულება წამოუყენებია.

1 Отчеты о заседании общества любителей древней письменности 1896 — 1897 годов; Памятники древней письменности, вып. 124, СПб, 1897, стр. 28.

11. „მხოლოდ“, № 5.

1910 წელს გამოქვეყნდა ა. სობოლევსკის ცნობილი ვრცელი ნაშრომი „მასალები და გამოკვლევები სლავური ფოლორეფიის დარგში და“, რომლის ერთ-ერთ თემში შეკვლევარმა მოაახსნა იმ ძველი ძეგლების სია, რომლებიც, მისი აზრით, რუსულად მონღოლების შემოსვლამდე უნდა ყოფილიყო თარგმნილი (ამას შეცნინერი ძიებითად და ძველების უნობრივი მხარის ბრწყინვალე ანალიზით ადგენდა). ამ სიაში 23-ე ნომრად დასახელებულია „მოთხოვნა ივერეის დედოფალ დინარაზე“ I. ამით მან ეჭვის ქვეშ დააყენა თითქმის ყველა მეკლევართა შტაციება, რომ ნაწარმოები შექმნილია XVI საუკუნეში, რუსეთში.

ეს შეხედულება ა. სობოლევსკის ერთ მთლიან გამოკვლევად არ გაუფორმებია. ამის გამო აკად. მ. სპერანსკის მისი დებულებანი არასაკმაოდ მიუხედავად და სპეციალური კრიტიკით გამოსულა 1926 წელს.

მართალია, ა. სობოლევსკის შეხედულებანი „დინარაზე“ ზემოხსენებულ ორ წყაროში ნაწევრ-ნაწევრად აღმოჩნდა, მაგრამ მათი წარმოდგენა მაინც შეიძლება.

მისი აზრით, თითქმის ყოველთვის შეიძლება გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ის თარგმანებ, რომელიც შესრულდა უშუალოდ ბერძნულიდან ძველ რუსეთში (მონღოლამდელ რუსეთში) და უფრო გვიანდელი თარგმანები სამხრეთ სლავებისა, განსხვავებანი მათ შორის არა იმდენად ფონეტიკისა და მორფოლოგიის დარგში მოიპოვება (ზოგიერთი გამოჩაყლის გაზრდა), რამდენადაც ლექსიკის დარგში. „დინარაში“ ამგვარ ლექსიკურ მინიშნებებზე შეკვლევანი მიიჩნევენ სიტყვებს: бессермьский (закон), (блудо) лалное, (броня (мног), 4.)...

ნაწარმოების ბერძნულ ორიგინალზე მიუთითებს, ა. სობოლევსკის შეხედულებით, აგრეთვე ბერძნულს მსგავსი თქმები, „გრეციზმები“, ენის ხელოვნებობა, რთულ სიტყვათა ხმარება და ვანლაგება. მისი აზრით, ყველაფერი ეს მიგვიანშენებს იმისად, რომ ბერძნული ორიგინალი ღმრთადაც იყო დაწერილი.

ბერძნულს სისარგებლოდ მიგვიითთებს აორისტისა და იმპერატივის არქაული ფორმებიც.

«И употребление таких слов, как бытие в смысле истории, солнечный варь, чадь в значении ребенка и т. д.»

მ. სპერანსკის კრიტიკის მოთავსი მომენტები შემადგეში მდგომარეობს:

1 А. И. Соболевский, Особенности русских переводов до-монгольского периода; Сборник Отделения русского языка и словесности, т. 88, № 3, 1910, стр. 162—177.

2 М. Н. Сперанский. Повесть о Динаре в русской письменности; Известия Отделения русского языка и словесности Академии Наук СССР, т. XXXI, 1926, стр. 43—92.

„ღინარას მოთხრობა“ მცირე მოცულობის გამო არ მიეცემა თანხა იმ ძველთა რიცხვს, რომელთა ლექსიკონმა ანალოზმა შეძლება მათ წარმოგვარებაზე მიგვიანდეს (ა. სობოლევსკი თვლიდა, რომ სათანადო ლექსიკონი ანალოზის ჩასატარებლად ნაწარმოები საქმაოდ ვრცელი უნდა ყოფილიყო). მ. სპერანსკის აზრით ა. სობოლევსკის მიერ აღნიშნული სიტყვები შესაძლებელია ავიტოვოთ რუსული ორიგინალური ძეგლის თვისებებს შეადგენდა, ხოლო აორსტისა და იმპერატორის აღნიშნული ფორმები ავტორის ნაქვებ განათლებულობაზე ან დაწერილობის ტრადიციებზე მიგვიითხებენ.

«Употребление таких слов, как бытие (история), чады (ребенок), в смысле показания архаичности текста также не внушают доверия».

ეს სიტყვები უფრო გვიანდელ რუსულ ტექსტებშია გვხვდება (გვ. 50). თანაც დღემდე ნაწარმოების ბერძნული ორიგინალი აღმოჩენილი არ არის.

მ. სპერანსკი ასევე: ა. სობოლევსკის არც ერთი მტკიცება ატყობებდა იმაზე არ მიგვიითხებენ, რომ მოთხრობა ძველ პერიოდში ბერძნულიდან იყო თარგმნილი (გვ. 51).

მის საპასუხო დანერგა ა. სობოლევსკიმ ახალი გამოკვლევა (მცირე მოცულობისა), რომელიც 1928 წელს გამოაქვეყნა.¹

მართალი დებულებას ავტორი გამოკვლევის დასაწყისშივე გვამცნობს: „ზემი აზრით, ძველი რუსული მოთხრობა დინარაზე თარგმნილია ბერძნული ტექსტიდან, რომელიც გვიანდელი ბერძნებისათვის ჩვეული რეატირფიანი იამბიური ლექსით იყო დაწერილი“ (გვ. 391).

ამ თვისის მკვლევარი შემდეგნაირად ასაბუთებს: მისი აზრით, ძველი რუსულმა სიტყვა-სიტყვათმა თარგმანმა ქარბდა შეინარჩუნა გვიანდელი ბერძნული პოეტური სტილის თავისებურებანი. ნაწარმოების ტექსტში ამ სტილის კვალს მკვლევარი ზედაც ე. წ. ანატორ აშინ და სინტერესო მავალითები მოაქვს:

Таковую пречистая дарова помощь немощной чади; и тако (во) храбрество показа женским ополчением; и от такового гласа девицы; и таковым прозвоньем копыя; и таковою скороости девица гласа; и таковое держание; и такову державу немощной чади вруча; и таков разум дарова...

შემდეგ მკვლევარს მოაქვს მრავალი შედარებები, რომლებიც, მისი აზრით, ნაწარმოების ბერძნულიდან თარგმანზე მიგვიითხებენ. სინტერესოა აგრეთვე ა. სობოლევსკის ცნობები ბერძნული ტექსტის ლექსური სახე რუსული თარგმანის საშუალებით. მისი აზრით,

ბერძნული ლექსის კვალი ნათლად წინ შემდეგნაირად განლაგებულ სტრუქტურებში:

«И многуо радостиво правит державу свою

и поление имуще о своем владостержестве...

Иду на вас с величеством воинства своего

И восприиму ты и вся вельможа с тобою да а. შ.

მკვლევარს სინტერესო ექსპერიმენტულიც არაა:

«Кое-где я попробовал сделать буквальный перевод нашего текста на греческий язык и... получившийся у меня ямбический восьмистопный размер имеет цезуру после первых пяти слогов и конечное слово стиха с ударением на предпоследнем слове». (გვ. 393).

შემდეგ მკვლევარი ანალოზს უცუთებს ნაწარმოების ლექსიკონ მასალას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ იგი ძველიც არის და თავისებურიც. ერთ მავალითს მოვიტანთ მხოლოდ:

«Слово персяни, «Персий царь» обычно только для древних текстов. Слов Кизилбаш, Кызилбашский, обычных в московских документах XVI — XVII веков для обозначения персов и всего персидского, нет в повести» (გვ. 394).

ანალოზურ ფაქტებზე დაყრდნობით ა. სობოლევსკი ასევე:

«Я вижу в повести о Динаре одно из произведений трапезундско-греческой литературы, пришедшее на Русь через Корсунь, который во времена латинской империи в Константинополе, входил в состав Трапезундского царства. Думаю, что она (повесть) пришла на Русь не одна. Ср. повесть о Дигенисе, также о Вавилонском царстве, где действует обещание, т. е. грузин». (გვ. 395).

ვიმეორებთ, რომ დღემდე ა. სობოლევსკის ეს მოსაზრებანი არც განხილული, არც უარყოფილი არ არის.

გადაწყვეტილად ვერაფერს ვიტყვი ა. სობოლევსკის დებულების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ამით ის ჩანს, რომ ყველაფერი ისე უბრალო და ადვილი არაა „ღინარასთან“ დაკავშირებით, როგორც ზოგიერთ ავტორს ეჩვენება. პრობლემა რთულია და შემდგომ კვლევით მისი მოთხოვნის, ვფიქრობთ, ქართული ბიზანტიოლოგებიც დაინტერესდებიან ამ საკითხით.

თუ დამტკიცდა, რომ ნაწარმოები ბერძნულიდანაა თარგმნილი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი ორიგინალი რუსულში შეიტანეს ბერძენმა ბერებმა, რომელთა მრავალრიცხოვანმა ჩვეულებმა, 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ რუსეთს მიაშურეს და განავრდეს მოღვაწეობა.

¹ А. И. Соболевский, К повести о пачице Динаре; Известия по русскому языку и словесности Академии наук СССР, т. 1, кн. 2, 1928 стр. 391-395.

საბოლოოდ აქ წარმოვადგენთ ჩვენს რამდენიმე მოსაზრებას „დინარას“ ტექსტის თავისებურებათა შესახებ, რომლებთაც ნაკლები ყურადღება მიაქციეს წინამორბედმა მკვლევარებმა:

„მოთხრობას დინარაზე“ ახასიათებს მკაფიოდ გამოვლენილი ლექსურ-პოეტური ბუნება. ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ნაწარმოების ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი ლირიკული საწყისი. ფაქტიურად ნაწარმოები ლირიკულ მონილოგს წარმოადგენს. რომელსაც წინ უძღვის მცირე ექსპოზიციის დაბოლოს ახლავს შემდგომ მომხდარი ამბების სხარტი ჩამოთვლა.

„დინარა“ არ არის ეპოსი, ეპოსისათვის დამახასიათებელი ნიშნებითა და თავისებურებებით. ჩანს, იგი არ უნდა იყოს მეტაინიდან ვადმოწერილი ნაწარმოები, ან მეტაინის თხრობის მიხედვით შექმნილი თხზულება, თუმცა ისიც ცხადია, რომ რაღაც ისტორიული საფუძველი მას გააჩნია.

„დინარა“ ლირიკული მხატვრული კვნილებაა, რომელიც მკაფიოდ იყოფა ლირიკულსავე პერიოდებად. ეს პერიოდებია: მოკლე შესავალი — დინარას დასასიათება, სპარსეთის მეფის შეუქარაო აღსაკვე წერილები, დინარას გულწრფელი მოკლევადი პასუხები, კონფლიქტი დედებლებთან და დინარას მღვდლარე, ქალური ზინანით გამსჭვალული სიტყვა — მონილოგი.

ეს სიტყვა მხოლოდ ქალს შეეძლო წარმოეთქვა, ამაზე მიუთითებს ის სპეციფიკური შედარებები, რომელსაც დინარა ამმართავს და ხაზგასმული დაპირისპირება მის ქალწულებზე უმწიფობასა და სპარსელის ურაცხვ ძალას შორის.

ნაწარმოები კომპოზიციურად საესეზობო შეკრულია და დამთავრებული. იგი აგებულია ლოგიკურად და შეიცავს ერთ ამბავს. კომპოზიციის ვამოცდელი ავტორის ნახელავია, რომელმაც იცის, როგორ განლაგოს ამბავი, რით დაიწყოს, რით დამთავროს, რა მომენტებზე გაამახვილოს ყურადღება. მასში არ არის არაფერი ზედმეტი, არავითარი გადახვევა და წვრილმანები. ყველაფერი დაქვემდებარებულია თხზულების ძირითად ხაზს და მიზანს.

თხზულების სიუჟეტი მარტივი და სწორ-ხაზოვანი აგებულებისაა, იგი შევეთრად განსხვავდება თამარის ისტორიებიდან, ან მას ცალკეულ ადგილებიდან. სიუჟეტი საესეზობო დამორჩილებულია ნაწარმოების ძირითად იდეას.

ხოლო ეს ძირითადი იდეა იგრეთვე საესეზობო განსხვავებულია თამარის ისტორიკოსების მიზანდასახულობიდან, ძირითადი იდეის არის, თუ როგორ იხსნა ლეონისმობიელმა დინარა საშინელი გამსაცდელისაგან; ლეონისმობელი ყოვლად ძლიერია, ვინც მას მივინდობა — გამიარჯვებს; უმწიფო ქალწულის გამარჯვება ძლიერ სპარსეთის მეფეზე ამის მავალი-თია.

სხვათა შორის ამ ოთხი კომპონენტის ანალიზი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ „მოთხრობა დინარაზე“ შექმნილია არა თამარის ისტორიული ქრონიკების მიხედვით, არამედ რაღაც სხვა წყაროებზე დაყრდნობით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ ვვაშვიტანლად მიგვიანია:

1. „მოთხრობა დინარაზე“ არ ემყარება თამარზე არსებულ ქართულ ისტორიულ ქრონიკებს, ეს ქრონიკები არაა მისი შექმნის უშუალო წყარო.

2. დინარას გაიგევა თამართან შეუძლებელია. თამარის ისტორიული პიროვნება და მოთხრობაში მოცემული დინარას მხატვრული სახე მთავარსა და ვადამწვევებში ერთმანეთს ვერ უთავსდება, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არის დამთხვევები.

პიპოტეზის სახით ვაყენებთ შემდეგ ვებულებას

1. ბიზანტიაში ან ტრაპიზონის სამეფოში, XIII საუკუნეში, შეიქმნა პოეტური ნაწარმოები ივერიის დედოფალ დინარას შესახებ, რომელშიც, შესაძლებელია, რამდენადმე ასახა თამარ მეფის ცხოვრების ზოგიერთი ამბავი. ნაწარმოები სასულიერო წრეში უნდა შეთხზულიყო. მისი მთავარი ვნირი განწმენდილია ყოველგვარი „მიწიერისაგან“ და მოცემულია, როგორც იდეალური, უბიწო, ღვთისმოსავი მინდობილი მმართველი.

2. რუსეთში ნაწარმოები შეტანილ იქნა ბერძენი ბერების იმ ემოვანტული ტალის მიერ, რომელიც კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ მიიწვიდა ევროპის ქვეყნებს, განსაკუთრებით მოსკოვის სამეფოს. აქ იგი ითარგმნა იმ სასულიერო წრეში, რომელიც ახლოს იდგა მეფის გარემოცვასთან, როგორც რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის სასარგებლო, აქტიულო ნაწარმოები.

ამ პიპოტეზის მართებულობის განხილვა-გამორკვევას ჩვენი შემდგომი კვლევის ამოცანად ვისახავთ.

„ი ვ ე რ ი უ მ ი“

მიხეილ ჯავახიშვილის პირად არქივში, სხვა მასალებთან ერთად, ჩამდენიმე საქაღალდე ინახება, რომელთაც მწერლის ხელით გაეთვალაწილებს წარწერა — „სასცენარო მასალები“, ამ საწარმოებში თანამოყრდინი მ. ჯავახიშვილის დრამატული კანონის ნაწარმოებები: სცენარები, პიესები, ლიბრეტოები. ეს მასალები ნათლად შეტყვევებენ იმ ინტერესზე, რომელსაც იხილდა მწერალი თეატრისა და კინოს მიმართ. მას დიდი სურვილი ჰქონდა თავისი ზოგადი ნაწარმოები სცენასა და ეკრანზე გადაეტანა, ამიტომ ამ საქმეს დიდი დრო და ენერჯია მოახმარა.

მ. ჯავახიშვილს სხვადასხვა დროს დაუწერია „არსენა მარაბდელის“, „კეკე კვაჭანტირაძის“, „თეთრი საელოს“ და სხვათა ინსცენირებანი, გარდა ამისა, მას დაუწერილი ჰქვს რამდენიმე დამოუკიდებელი სცენარიც. შვებამ, საბოლოო მიზანი, ენა საკუთარი სცენარი ან პიესა ეკრანსა და სცენაზე, სამწუხაროდ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მწერლის სიცოცხლეში არ მოხერხდა და ამ მიმართულებით პრაქტიკულად გადადგმული ნაბიჯები უნაყოფოდ დამთავრდა.

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მ. ჯავახიშვილს, 1926 წელს, შესაძლებლობა ჰქონდა, საქართველოს ფარგლებს გარეთ, ევროპოდ, მოსკოვში, ქართული სტუდიის სცენაზე დაეცა პიესა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, სხვადასხვა მიზეზების გამო, არც ეს შესაძლებლობა იქნა გამოყენებული. მ. ჯავახიშვილისა და მ. დავითის მიმოწერიდან, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს, ირკვევა, რომ 1926 წ. 21 დეკემბერს, მ. დავითი, რომელიც ამდროს მოსკოვში მოღვაწეობდა, წერილს უგზავნის მწერალს და სთხოვს, ქართული სტუდიისათვის დაწეროს პიესა. მოგვიყვას ადგილთან ამ მიმოწერიდან: „...ეგ, მიხეილ! რომ შეგეძლოს „გავაბრიჯვოთ“ და ერთი სასცენო პიესა დაგვიწეროთ... ჩვენ სტუდიისათვის, რასაკვირველია. არ გავცინოთ ასეთ „მომალეზაზე“. შე კი მგონია: ერთი კარგი მონღოზი და... არც ეს საქმე გაიჭირდებათ. საერთოდ თქვენს ნაწერებში დინამიკა დიდი ზოლზე... ცხოვრების დიდი დაკვირვება, მომზადება, ცოდნა, საღი თვალი და ყური... მოიცალეთ სცენისთვისაც“.

1927 წ. 10 თებერვლის მ. ჯავახიშვილის საპასუხო წერილში ეკითხულობთ: „...თქვენც მოინდომეთ ზემო „გავაბრიჯვოთ“, მიჩვენეთ, პიესა დასწერეთ. ბევრნი მიჩვენენ და მეც ვაპირებ, მაგრამ ვერც ის უნდა მოვიშროთ, რაც სულს მიხტოვს და ვერც ის სდგას, ვერც კი შრავალი არიან: რომანები: „წითელი ქაჯანი“, „არსენა“, „აჯანყება მონასტერში“ და სხვადასხვა პირველი ორი რომანი უკვე დაწყებული მქვს. ზაფხულში უნდა გავაყოფო. ზღუდელში კი „აჯანყება“ დავასრულებ და... შეიძლება დრამაც ესკადო. თუ მოვერადე, ასლს გამოვიგზავნი“ (ივლისსმება „აჯანყების ხიზნების“ გავრცელება, რომლის დაწერა მწერალს განზრახული ჰქონდა — ქ. ჯ.).

მწერლის პირადი არქივის მასალებიდან ირკვევა, რომ 1927 წელს მან დაწერა პიესა, რომელსაც „ივერილი“ დაარქვა. ირკვევა, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ პიესას დიდი ინტერესით გაეცნო საქართველოს თეატრალური საზოგადოება. ვფიქრობთ, ეს პიესა, მწერალს მოსკოვში ქართული სტუდიისათვის არ გაუგზავნია, ეინაიდან მიმოწერაში ამას შესახებ არაფერია ნათქვამი.

„ივერილის“ არსებობა დღემდე ფართო საზოგადოებასათვის ცნობილი არ იყო, ამიტომ ჩვენი წერილის მიზანია, მკითხველს გაეაცნოს პიესის ირგვლივ მწერლის პირად არქივში დაცული, დღემდე უცნობი მასალა, ევროპოდ, მწერლებისა და რეჟისორების მიმოწერა, რომელიც 1926-1927 წლებს განეკუთვნება. არქივის მასალები საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ პიესაზე, თვითონ პიესის ავტორი კი, სამწუხაროდ, მწერლის არქივს არ შემორჩა. ვერც სხვაგან შევაკვლიეთ მას. დღესდღეობით პიესა დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

პიესის შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით, მაგრამ რაც ცნობილია, ისიც მეტად საყურადღებოა და საინტერესოა. ჩვენ ხელთ გვაქვს პირადი წერილები, რომლებიც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, ადვილი შესაძლებელია, პიესა განადგურებას გადაურჩა და რომელიმე თეატრისა ან რეჟისორის პირად არქივში ინახება. ამას ის ფაქტიც გვიამტყიყებს, რომ „ივერილი“, როგორც ირკვევა, თავიდანვე რამ-

დენამე ცალად ყოფილა გადამწერილი და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების თეატრებში დაგზავნილი. ამიტომ ამდენ არ ვკარავთ, რომ მის კვალს უფროდ საძებნო მოვაგებთ. ვფიქრობთ, ამ მნიშვნელოვან საქმეში ჩვენი საზოგადოებაც დაგვეხმარება.

არქივის მასალებიდან ირკვევა, რომ „ივერიუმში“ ხელდასმის (ს. ახმეტელი, ა. ფაღავა, მ. მ. ქორელი) მოწონება და მაღალი შეფასება დამოსახტრა. იგი რამდენიმე რევიზორის მიერ ერთხმად იქნა დასაფასებლად მიღებული. პიესის განწმეოვა გამოთავდა ახრი, რომ ის არის ლიტერატურულად და სცენურად საინტერესო ნაწარმოები. ამის თემა და ფაბულა დიდ საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს, იგი თანამედროვე თემაზეა დაწერილი და ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს ეხება“ — აღნიშნავდა მის. ქორელი. ყველა ზემოაღნიშნული თვისების გამო პიესამ თავიდანვე მიიხურა საზოგადოების ყურადღება. აღინიშნა აგრეთვე ნაყოფი, რომ პიესა საკმაოდ მოზრდილი იყო და შემოკლება-დახვეწვას საჭიროებდა.

ცნობილია, რომ პიესით დაინტერესდა და მისი დაღწმა განიზრახა ერთდროულად საქართველოს სამმა თეატრმა: თბილისის რუსთაველის სახელობის დრამატულმა თეატრმა, ბათუმისა და ქუთაისის თეატრებმა. ამ თეატრების რევიზორებს — ს. ახმეტელს, ა. ფაღავასა და მ. ქორელს პიესის თაობაზე ავტორთან მთლიანაკება და მიწერამოწერა ჰქონდათ. სამივე თეატრი ყოფილა მოწადინებული რეპერტუარში შეყვანა ეს პიესა. იმ დროს პრესაში რამდენჯერმე იყო დაბეჭდილი რუსთაველის თეატრის განცხადებაც, რომელიც აუწყებდა საზოგადოებას ახლო მომავალში ამ პიესის დადგმის შესახებ. ეს ფაქტი დასტურდება თეატრი ავტორის წერილიდან, რომელიც ქვემოთ მოვეყვანთ. როგორც ჩანს, ინტერესს პიესისადმი ძალზე დიდი იყო. მაგრამ დღემდე ცნობილი არ არის, თუ რამ შეუშალა ხელი მოწონებული და აღიარებული ნაწარმოების სცენაზე განხორციელებას.

ზედმოთხსენიებული პიესაზე მსჯელობა, ვინაიდან ნაწარმოებს არ ვცნობთ, მაგრამ პიესის მხატვრულ ღირებებაზე შეტყულებს თუნდაც ის, რომ საინტერესო მაღალი შეფასება მიუტია „ივერიუმისათვის“ და გამოთქვამს ახრი, რომ „ბოლო წლებში ქართულად ასეთი პიესა აჩვენა დღეწერიან“. ასეთი გამოხენილი ხელოვანის შეფასება თავისთავად ზეერის მოქმედა. ახმეტელის არს გერანტი ჰქონდაც კლასტურებს წერილში, რომელიც მან 1927 წ. 10 მაისს მ. ჯავახიშვილს მისწერა, მიგვეყვანს ნაწილები ამ წერილიდან: „...საინტერესო ახმეტელს შენი „ივერიუმი“ ძალიან მოსწონს. ამ ბოლო წლებში ქართულად ასეთი პიესა არ დაწერილაო. ჟურ კიდევ ცოტათი მოთბობის სტაღის ვაულებ: ეტაობა, მაგრამ შემდეგ ამ გაუღენისა-

გან განთავისუფლებოა. მხოლოდ ვიცი, ვკავის სახელი შესცვალა, ეს სრულიად დასოკლებული ნაწარმოებიაო“.

მ. ქორელის წერილიდან ირკვევა, რომ მისთვის მოქმედი პირი კვები კვებანტრია იყო. მაგრამ, ამასთანავე ჩანს ისიც, რომ მიუხედავად მთავარ მერსონაქად კვების გამოყენისა, პიესა რომანის ინსცენირების არ წარმოადგენდა. პიესა დამოუკიდებელი ნაწარმოები ყოფილა. ამ ფაქტს თვითონ ავტორიც ადასტურებს მ. დადიანისადმი მიწერილ წერილში: „... მე ეწერ კვების დაბრუნების ამბავს პიესად“. ცხადია, მ. ჯავახიშვილმა თავის პიესას სიუჟეტად კვების საწარმოველი დაბრუნების შედეგ მომხდარი ამბები დაედო და რომანის სიუჟეტს საკმაოდ დააშორა, რის გამო ნაწარმოებმა ახალი სახე მიიღო.

პიესა რომ კვების დაბრუნების ამბავს ეხებოდა, ამას მ. ჯავახიშვილი კიდევ ერთ ადგილას, 1927 წ. 19 დეკემბერს, მ. დადიანისადმი ვფიხენილ წერილში ადასტურებს. მწერალი აღნიშნავს რუსთაველის თეატრში გამართულ თათბირზე, რომელიც თემების შეჩვენვას მიძღვდა. მას, ს. ახმეტელთან ერთად, საჯაროდ განუცხადებია, რომ ახალ პიესაზე მუშაობს. წერილში ნათქვამია: „...მეც და ახმეტელმაც განვაცხადეთ, რომ მე ეწერ კვების დაბრუნების ამბავს პიესად“.

„ივერიუმი“ რომ დამოუკიდებელი ნაწარმოები იყო და რომანის ინსცენირების არ წარმოადგენდა ამას ისიც ადასტურებს, რომ მ. ჯავახიშვილმა ადრევე იცოდა, პრესას საშუალებით და მ. დადიანის წერილიდან, რომ ეს უკანასკნელი, მოსკოვის იწითელი თეატრის დაკვეთით, უკვე მუშაობდა „კვები კვებანტრიაში“ ინსცენირებაზე. ამის თაობაზე ავტორმა თავისი მისამართზე წერილობით შეატყობინა კიდევ მ. დადიანს, საიდანაც ირკვევა, რომ ის არ ყოფილა წინააღმდეგ დადიანის ინსცენირებისა. მწერალს, განზრახული რომ ჰქონოდა რომანის ინსცენირება თვითონ გაეცოთინა, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში თანხმობას აღარ მისცემდა მ. დადიანს და აცნობებდა, რომ თვითონ აჩარებს რომანის გადაკეთებას პიესად. მ. ჯავახიშვილი კი პირიქით, მ. დადიანს შეპირდა ხელის შეწყობას და დაბარების დაწყებას მისი პიესის სცენისაკენ გზის გასაფლვად. ეს ფაქტი იმხვე მტყუველებს, რომ მწერალს ნათქვამული ჰქონდა რომანის გაჩარება დაეწერა პიესად, რომელიც ახალ სიუჟეტზე ეწებოდა ივერული და მ. დადიანის ინსცენირება მას ზეღარ არ შეუშლიდა.

მოგვეყვანს მ. დადიანისა და მ. ჯავახიშვილის წერილებიდან ადგილები, რომლებიც უშუალოდ პიესას ეხება. 1926 წ. 21 ივლისს მ. დადიანი მ. ჯავახიშვილს სწერდა: „საყვარელი მიხეილ კარგა ხანი მინდა მოწერა ორი რამის გამო,

მაგრამ დანამდვილებით არ ვიცი თქვენი მისამართი და ამჟამად ევროპა-მოვლელ ლიხა ზერტნიშვილს ვატან ამ წერილს, ორი რამ თქვენ არ თხოვლემს შეეხება — კავისი და ჯაყოს. კვავი უფროდ გვეოდიანებათ რომ „წიფილმა თეატრმა“ შემოიკეთა პიესად ამეიხია. მე მაშინვე ვთხოვე თქვენი ნებართვით გამოეცანათ ლა უთოოდ ეს ასე მოხდა, რადგან პროლეტარული კანდედაის ოფიციალი წერილი მომივიდა, რითაც მავალემა მემშობის დაწვევას. აესა ამჟამად მზადა მაქვს. ვთხოვთ, რომ თქვენც ქომაგობა გავეწიათ დადგმისათვის, რადგან, თქმა არ უნდა, თქვენთვისაც დასანანი აქნება თუ რაიანიად არ განსაზღვრდა სცენაზე ეს თქვენი საყურადღებო ნაწარმოები“.

მ. ჯავახიშვილის საპასუხის წერილში ვკითხულობთ: „...ზაფხულშივე გავიგე გავთებიდან და ელვანგანაც (ანდრონიკაშვილი, ქ. ჯ.), რომ „კვავზე“ მუშაობთ. ჩემი აზრი მაშინვე დაეხარა ელს. ეხლაც გავიმეორებ. პიესის ტექნიკა კარგად იყო და ნიჭიც შეგწევთ. ამიტომ, ღარწმუნებულთ ვარ, „კვავის“ ნედლ მასალას შესაფერად ვარდაქმნით და ამოსწერათ. საქმეს ის აძინებებს, რომ „კვავი“ ქრონოლოგიური წესით — ქრონიკის ფორმით არის დაწერილი. სრული სიმართლეა ისიც, რომ ესეთი პიესა კონსტრუქტიული ფორმით უნდა დაიდგას. მთლიანი კვანძის უქონლობა დინამიკად უნდა აინაზღაუროს. ზედ ენახავ კანდედას და მოველაპარაკებო“.

მ. ჯავახიშვილთან პიესის თაობაზე, ს. ახმეტისი ვარდა, ა. ფლავიანაც ჰქონია პირადი საუბარი და მიმოწერა. ბათუმთან ვამოგზავნილ წერილში (1927 წ. 18 აგვისტოს) ა. ფლავიანო სწერდა: „დიდად პარტიკულუო ბატონო მახვილ როგორც გავიგე, თქვენ პიესას სწერთ. თუ არ მეტი, ნახეარი შგონი დამთავრებული ვაქეთ. თუ გახსოვთ მე თქვენთან მქონდა კიდევ საუბარი პიესის შესახებ. ამჟამად კიდევ უფრო მჭირდება ორიგინალური ნაწარმოები. უელსაც ბათუმში ვრჩები ქართული დრამის სეზონის ნაწარმოებლად და ვეძებ შესაფერისს პიესას. ვთხოვთ არ დაიხაროთ და ღია ბარათით შეცნობთ: რა მდგომარეობაშია თქვენი პიესა. იქნება დამთავრეთ კიდევ. თუ დამთავრებულა, ვთხოვთ სასწრაფოდ გადააწერიოთ ჩვესს ხარაზე და ფსადადებით ვადმომგზავნათ ბათუმში, აკადემიური თეატრის მისამართით. თუ დავბლოთ და არაფერში დაგვებრკოლა, პირველ რიგში შევეუდგებით თქვენი პიესის მზადებას და სეზონის ვასახსნელად — ოქტომბრის დამიღვის — ვადგამთ. რუსთაველის თეატრთან შეთანხმებული ვართ და ეს გარემოება არ დაგვაზარდობს“.

თბილისში უოფინსას ა. ფლავიანო ვაცნობა პიესას, რომელიც ძალზე მოსწონება და მაშინვე აღტაცებული წერილი გავგზავნიდა ავტორისათვის: „...მე უკვე ტოლისში ვარ და გავცეპანი

კიდევ თქვენს პიესას. გულწრფელად გლოცავთ და უზომოდ მოხარული ვარქუ ნდემქვეთი მშვენიერი პიესა დაგვიწერია... კლერტიკატიკულად ხომ თქმა არ უნდა კარგი იქნებოდა, მაგრამ სცენიურადაც რომ მშვენიერია. დიდის საამყოფნობთ გადავიცხობთ ერთაშად მიუხედავად მისი სიდიდისა. ესა მოუთმენლად ველი ტექსტს შესასწავლად და დასადგმელად. ამჟამად თქვენი ზელთანაწერა კვამია“. წერილი დაწერილია 1927 წ. 8/VIII.

მეორე წერილიდან ჩანს, რომ პიესის ცალი, რომელიც ა. ფლავიანად გადააწერინა, ბათუმში თან წაიღო. ამგვარად ირკვევა, რომ პიესაზე მუშაობას სხვა თეატრებზე აღრე ბათუმის თეატრი შეუდგა. მაგრამ, თავიდანვე აღმოჩნდა დაბრკოლება, რომელიც ზელს უშლიდა დადგმას, ეს იყო თეატრის ფინანსური მდგომარეობა. პიესა დიდ ხარჯებს მოითხოვდა, რაც არ გააჩნდა თეატრს. ასე რომ, პიესის დადგმის ერთ-ერთი შემფერხებელი მიზეზი ბათუმის თეატრის მატერიალური მდგომარეობა იყო. მეორე წერილში ა. ფლავიანო აღნიშნავდა ამ მდგომარეობას და სთხოვდა მ. ჯავახიშვილს, პიესის დადგმას რომ ზელი არ შეშლოდა და კარგად დაწყებული საქმე არ ჩაშლილყო, მათ მიერ შეთავაზებულ პირობებზე დათანხმებულიყო, რაც დიდი შეღავათი იქნებოდა თეატრისათვის. ამით საშუალება მიეცემოდათ პიესაზე მუშაობა კვლავ განეგრძათ და განხორციელებინათ მისი დადგმა.

ამით წყდება მიმოწერა ბათუმის თეატრთან. ჩვენთვის ცნობილი არ არის არც მწერლის პასუხი და არც ის, თუ რა ბედი ეწია შემდგომ პიესას ბათუმის თეატრის სცენაზე. ვიცი თხოვლობთ, რომ პიესის დადგმა არ განაზრცილდა. საბოლოოდ კი რამ შეაფერხა მისი დადგმა, ჭერ-ჭერობით გამოურკვეველია.

მიმოწერიდან ირკვევა, რომ მ. ჯავახიშვილს ერთდროულად ქუთაისის თეატრთანაც ჰქონდა მიწერ-მოწერა. მ. ქორელის წერილში, რომელიც მან 21 სექტემბერს ქუთაისიდან გამოგზავნა, ვკითხულობთ: „...შხოლოდ წუხელ, ქუთაისში ჩამოსვლისთანავე, მივიღე თქვენი წერილი. ვქიარობ გიპასუხობთ. რაღა თქმა უნდა, ჩვენი-ნობა და ჩემთვისაც ძალიან სასახარლოა და საინტერესო თქვენი პიესა. სურველი მისა დადგმისა დიდი მაქვს. ამიტომ ვთხოვთ, რაც შეიძლება მალე მოგვაწოდოთ გაასცნობად“.

პიესის ზედმეტი ცალის უქონლობის გამო, როგორც ჩანს, ავტორმა ვერ დაეკამყოფილა ქუთაისის თეატრის თხოვნა და ვერ გავგზავნა პიესა. სამაგიეროდ მან ბათუმის თეატრს შეუთვალა, რომ ქუთაისის თეატრისათვის მცირე ხნით გავგზავნათ პიესა იმ პირობით, რომ ისინი მალევე უკან დაუბრუნებდნენ. ავტორის თხოვნა ა. ფლავიანო მაშინვე შეასრულა და ეს ამბავი წერილობითაც შეატყობინა. ამივე წერილში აღნიშნული იყო, რომ, მათ შორის

არსებული მოლაპარაკების საფუძველზე, პიესა უკვე შეტანილი იყო ბათუმის თეატრის რეპერტუარში. მოგვეყვას ეს წერილი: „დიდათ პატივცემულო ბატონო მიხეილ! მიიღეთ გულითადად სალაშქრო თქვენი თხოვნა ქუთაისისათვის „ივერიუმის“ მიწოდების შესახებ შევასრულე. ამას ვარდა მინდა ვაუწყოთ, რომ ვინაიდან ჩვენ შორის პრინციპიალური თანხმობა „ივერიუმის“ დადგმის შესახებ არსებობს, მე იგი შევიტანე განზრახულ რეპერტუარში იმ იმედით, რომ მატერიალური მხრითაც მივაღწევთ შეთანხმებას“. წერილი დათარიღებულია 1927 წ. 7/ XI.

ქუთაისიდან პასუხმა არ დააყოვნა. მ. ქორელი გასცემობდა პიესას და ჩქარობდა თავისი მოსაზრება ავტორისათვის ვაცეთს: „დიდათ პატივცემულო ბ-ნო მიხეილ! გამაჩრბათ! სიქვენი პიესა „ივერიუმი“, როგორც იყო, მივიღე ბათუმიდან. მაშინვე მე და ზოგი ჩემი ახანავი გავეცანით და რადგან ბათუმი დაუყოვნებლივ დაბრუნებას თხოულობდა, ისევე უკან გავეზავნეთ.

ჩვენი შთაბეჭდილება ასეთია: ძალიან საინტერესო თემა და მოხერხებულად დასახული ფიქალი და მისი განვითარება. ასეთი თემა, ჩემის აზრით, დიდ საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს და შეტად თანამედროვეა — ამოდან მისი დიდი სცენიური ღირებულება. მეორე მხრივ — პიესას აქვს თავისი უაჩუქო მხარეც, რის გამოც პიესა ყურადღებით სცენისათვის არ გამოადგება. ვარდა ამისა, რომ თვით პიესა ძალიან დიდი, თვითელი მოქმედებაც გრძელა, ვაკონტრებელია, ამიტომ დიალოგები, რომელნიც თავის თავად ძალიან შინაარსიანია, მოსაწყენი ხდება და მსმენელს დაღალავს. ნუ მწყენთ, ბ-ნო მიხეილ, რომ ასე პირდაპირ მოგახსენებ ჩემს აზრს, მაგრამ, მე მგონია, ასე სჯობია. ეწუხვარ, რომ პიესა მხოლოდ რამოდენიმე საათს იყო ჩემს ხელში და არ შემომძლიან უფრო ვრცლად გამოთქვა: ჩემი აზრი. ძალიან სასიამოვნო იქნება თუ პიესა ვეადამოშვებდებ და ამავე სეზონში ნაბავს რამის სინათლეს“.

შემდეგ რა მოხდა, ჩვენი ცნობილი არ არის. რუსთაველის სახელობის თეატრში კი, 1927 წლის შემოდგომისათვის, პიესას საქმე მოულოდნელმა და საყმაოდ უცნაურმა ამბებმა გაართულა. თეატრის მთავარი სარეპერტუარო კომიტეტის გადაწყვეტილებით პიესის დადგმა შიშაველი სეზონისათვის იქნა გადატანილი. ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი გარემოება, როგორც ირკვევა, ის იყო, რომ რუსთაველის თეატრს 1927 წლის რეპერტუარში შეტანილი ჰქონდა ოთხი პიესა, რომლებშიც მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილი იყო კვაპიტანტორაძე. ეს იყო: შ. დადიანის ინსცენირება, ნ. შიუკაშვილის ორი პიესა — „აქერიკელი ძია“ და „ძიის ვასაპუება“ და მ. ჯავახიშვილის „ივერიუმი“. როგორც ჩანს, ინტერესი ამ რომა-

ნისადმი ძალზე დიდი იყო, რის შედეგადაც ერთ სეზონში, ერთსა და იმავე თეატრის სცენაზე ოთხი ავტორი შეხვდა ერთმანეთს. ერთი და იგივე თემაზე დაწერილი პიესათ. ამ უჩვეულო ამბავმა და უცნაურმა დამოხვევამ საქმე საგრძნობლად გაართულა და კონფლიქტამდე მიიყვანა კიდევ. თეატრს რომ როგორმე თავი დაეღწია ამ არასასიამოვნო მდგომარეობიდან, გადაწყდა ერთ-ერთი პიესის დადგმა მომავალი სეზონისათვის გადაეტანათ.

ჩვენ ხელთ ვაქვს მ. ჯავახიშვილის ოთხი წერილი, საიდანაც ეს ამბები ირკვევა. ჩანს, მ. ჯავახიშვილს ადრევე უგრძენია მოსალოდნელი სამომავლოება, რომელიც გამოიწვევდა იყო ერთი სეზონის რეპერტუარში რამდენიმე ერთნაირი პიესის შეტანით, სადაც გამოყვანილი იქნებოდა ერთი და იგივე მოქმედი პირი. მიმოწერილი ირკვევა, რომ მას თავისი მოსაზრება ადრე გ. ქიქოძისათვის გავუზიარებია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არ მიუცია ამ ფაქტისათვის, დაუშვებდებია მეგობარი და წერილობითაც კი გამოუთქვამს თავისი აზრი ამის შესახებ. იმავე წლის 19 ივლისს გ. ქიქოძე სწერდა მ. ჯავახიშვილს: „...თუ შენ „გაგაბელბას“ სწერ, მე მგონია, რომ შელესა პიესა ხელს არც შეგიშლის ავტე რამა“.

ირკვევა ისიც, რომ მ. ჯავახიშვილს თავის დროზე ს. ახმეტელიც გაუფრთხილებია მოსალოდნელი უჩვეულობის გამო, მაგრამ არ მდგომარეობისათვის არავის ყურადღება არ მიუქცევია და საქმე ისე ვართულებულა, რომ თეატრის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ერთ-ერთი პიესის ავტორისათვის უფრო ეთქვა მისა პიესის დადგმაზე და იგი მომავალი სეზონისათვის გადაეტანა. ეს ბედი პიესა „ივერიუმის“ ხვდა წილად. ანა ავტორის სახელმძღვანელო გულისწერობა და წყნა გამოიწვია, მდგომარეობა ავტორსა და თეატრს შორის საგრძნობლად დაიძაბა.

მ. ჯავახიშვილმა გამოსავალი იმაში დაინახა, რომ მან წერილობით მიმართა დანარჩენი პიესების ავტორებს თხოვნით, საერთო ძალხებით, როგორმე გამოეწერებინათ თეატრში შექმნილი მდგომარეობა და რომანისა და პიესის ავტორისათვის მიეცათ მცირე უპირატესობა. რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მას საშუალება ჰქონოდა ამავე სეზონში თავისი პიესა დაედგა.

ზემოთმოყვანილ წერილით ვერსმუდებოთ, რომ მ. ჯავახიშვილმა იცოდა შ. დადიანის პიესას „წითელი თეატრი“ რომ დგამდა. რუსთაველის თეატრის სცენაზე კი მისი დადგმა, როგორც ირკვევა, ავტორისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. შ. დადიანისადმი გავზვიანულ წერილში (1927 წ. 26/VIII) ვკითხულობთ: „...შემდეგ იწყება თითქმის დაუფრებელი ამბავი: ვადაწყდა „კვაპის“ დადგმა რუსთაველის სცენაზე — მე არაფერი ვიცი. ორივენი დრამატული სახე-ღოსონში ვტუშობათ. ერთი საღამო თემების



არჩევას მოეანდომეთ (თქვენ არ დაესწარიით ამ კრებას). მეც და ახმეტელმაც ვანგაიხადეთ, რომ მე წერე კვების დაბრუნების ამბავს პიესად. მაგრამ არა სთქვარა იმის გამო, რომ ამ სეზონში „კვაჭი“ დადგმულ იქნება რუსთაველის თეატრში... პიესა შინც დავასრულე. ახმეტელს წაუვითხოვე — პალიან მოეწონა და ეუთხარა (თქვენც ვუთხრებთ), ვმომოხ, მთელი სეზონი კვაჭიდად არ გადაიქცეს მეთქი. ახმეტელი შამშვიდებს, მაგრამ ჩემს ექვს სხვებიც იზიარებენ. ასე თუ ისე, უბრაბელი მდგომარეობა შეიქმნა“.

3. ჯავახიშვილმა გადასწყვიტა წერილი მიეწერა. აგრეთვე, ნ. შოთაშვილისათვის და თავისი გულსტიკილი გაეზიარებინა. ის სთხოვდა ნ. შოთაშვილს, მოეხსნა კვაჭის სახელი ორივე პიესიდან. ამის შემდეგ თეატრის რეპერტუარში მხოლოდ ორი პიესა რჩებოდა: 2. დადიანის ინსცენირება და 3. ჯავახიშვილის „ივერიეში“, რომლებიც ერთმანეთს გაგრძელებას წარმოადგენდნენ და იმდენად საშიში აღარ იყო.

მოგვყავს ადგილი წერილთან: „პატრივტულსო მშათ ნიკო, წლებელს ზაფხულში მე დაესწერე პიესა „ივერიეში“. მხოლოდ ამის შემდეგ ვაიგე, რომ თქვენ მეორე პიესა დაგიწერიათ, სადაც განმეორებულა კვაჭი. მე მშინვე ვუთხარი ახმეტელს, რომ მთელი სეზონი კვაჭიდად გადაიქცევა, რადგან კვაჭი თხს პიესაშია გამოყენილი მეჭობი. მან დამამშვიდა, არაფერიათ. მაგრამ მე მინც არ ვმშვიდდებოდი... ახლა ამას შედეგიც მოჰყავს: მოაგარმა სარეპერტუარო კომიტეტმა უკან დასწია თუ უარყო ჩემი პიესა, რადგან მას არა მსურს მთელი სეზონის ანგენება კვაჭებზე... ორნი ერთია: ან მე უნდა მოვიწილო ზარალიც და დამეცირებაც, ან თქვენ უნდა გამოუცვალოთ სახელი კვაჭს. მე ვერ გამოვიცვლი ჩემს გმირს, რადგან ტიპის ავტორი მე ვარ... მე ამერიცელი ძია... მხოლოდ სკენაზე ვნახე და დაერწმუნდი. რომ თქვენი კვაჭი არ არის ჩემი რომანის ტიპი, ის უფრო თაღლით კომისიონერს ჰგავს, ვიდრე კვაჭს. როგორც ხედავთ, მეტად უსიამოვნო ამბავი გაიხლართა. მე მინდოდა მომეხოვნა სარეპერტუარო კომისიისათვის, რომ მასვე გადაეჭრა დედა, რადგან მან აღარა ეს საჭე, ისეც ის არის მთლიან განაჩენიც გამოიტანოს. ვერც გადაწყვიტე თქვენითვის მომემართა და ისევ შინაურულად გავუხსნა ეს ხლართი“.

მაგიდასთან, ჩერჩილის მარჯვენა მხარეს, იქდა მისი პირადი თარქიმანი მაიორი ბირზი. რუხველტის გვერდით, თანჯამნის რაღში, ჩარლზ ბოლენი. ის მაშინ მოსკოვში შეერთებული შტატების საერთოში მუშაობდა პირველ მდივანად. საბჭოთა დელეგაციის პირველ რიგში ისხდნენ: სტალინი და მოლოტოვი, აგრეთვე მე და პავლოვი, როგორც ოფიციალური თარქიმენბი საბჭოთა მხრიდან. ეროსილოვი, ჩვეულებრივ, მეორე რიგში ჯდებოდა.

დისკუსია პლენარულ სხდომებზე თავისუფლად მიმდინარეობდა, დღის წესრიგის წინასწარ დაუმტკიცებლად. გამოსვლისას დელეგატები არ კითხულობდნენ არავითარ მოწოდებულ ტექსტს, არამედ ზეპირად გამოთქამდნენ თავიანთი მოსაზრებებს წამოკრილი საკითხის ორგელოვ. ამის გამო გამოშუკელები ხანდახან ერთი თემიდან მეორეზე გადატვირდნენ ხოლმე, შემდეგ კი ისევ უბრუნდებოდნენ პირველდაწყებულ პრობლემას. წინასწარ შეთანხმდნენ, რომ პირველი პლენარული სხდომის, თავმჯდომარე იქნებოდა რუხველტი. მან ბრწყინვალედ შეასრულა ეს მოვალეობა. აქ უამველად გამოვლინდა მისი მრავალწლიანი გამოცდილება, როგორც აშშ-ის დიდი პარტიული მუშაობის ხელმძღვანელისა. პირველი პლენარული სხდომის 28 ნოემბერს 16 საათზე გაიხსნა. გაგრძელდა სამანხვეარ საათს, განხილულ იქნა ბევრი სა-

კოხი, სხდომის გახსნისას პრეზიდენტმა რუხველტმა თქვა:

— აქ დამსწრე მთავრობათა მეთაურებს შორის როგორც ყველაზე ახალგაზრდა, თავს ნებას ვაძლევ პირველმა ვილაპარაკო. მე მინდა დაეარწმუნო ახალი ოჯახის წევრები, ამ მავიდის ირგვლივ შეკრებილი ახლანდელი კონფერენციის მონაწილეები — იმაში, რომ ჩვენ ყველანი შევიკრიბეთ აქ ერთი მიზნით — იმ მიზნით, რომ მოვიგოთ ომი, რაც შეიძლება მალე...

შემდეგ რუხველტმა გააკეთა რამდენიმე შენიშვნა კონფერენციის წარმართვის შესახებ.

— ჩვენ განზრახული გვაქვს, — განაცხადა მან, — ანატოლი ვაშკინთან ერთად იქიდან, რაზედაც იქნება აქ ლაპარაკი, მგზამ ჩვენ ერთმანეთს შეგაბრებინოთ მოგვეყრებით, აშკარად და გულახდილად...

• უმჯობესია, თეირანის კონფერენციის მონაწილეთა მიერ მიღებულმა ურთიერთგადღებულებამ ანატოლი არ გამოქვეყნებულყო, ხელი შეუწყო აზრთა თავისუფალ გაცელა-გამოცელას და დაეხმარა თითოეული მხარის წარმომადგენელს უკეთ ვაგო პარტიის პოზიციის უკეთ გაგებაში, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ — საბჭოთა კავშირი და, მეორე მხრივ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ძირითადად ვანსხვადებოდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის მხრივ. შეამსუბუქა იმ ატმოსფეროს შექმნა, რომელმაც შესაძლო გახადა სამი სახელმწიფოს ნაყოფიერი თანამშრომლობა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, განამტკიცა ამ ეტაპზე ანტიპოლარული კოალიციის ერთობა.

• ომის შემდეგ დასავლეთის ქვეყნების მმართველმა წევრებმა, წამოიწყეს რა ანტისაბჭოთა კამპანია, რითაც დაარღვეეს მათ მიერ მიღებული ვალდებულებანი, არ გაეხმაურებინათ თეირანის შეხვედრის მასალები, გამოაქვეყნეს ამ კონფერენციისთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტები და მუშაობენ, რომელთა მიზანი იყო, გაეყალბებინათ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, დაემახინებინათ მისი პოზიცია მეორე მსოფლიო ომის პერიოდის მნიშვნელოვან პრობლემებზე. ამასთან დაკავშირებით, 1961 წ. მსოფლიო გამოქვეყნდა ჩვენი ჩანაწერები თეირანის კონფერენციის საუბრებსა და სხდომებზე!..

• მგზამ მაშინ, თეირანის კონფერენციის გახსნის დღეს, რუხველტის სიტყვა საზეიმო ფორმით ეტყობა.

შემდგომ ეხებოდა რა კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგს, აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შტატების წარმომადგენლებს შეუძლიათ სახმელრო საკითხები განიხილონ ცალ-

კვ, თვით დელეგაციებს კა შეეძლოთ იმ დროს განხილოთ სხვა პრობლემებიც, მაგალითად, ომისშემდგომი მოწესრიგების პრობლემები.

— მე ვფიქრობ, — თქვა რუხველტმა და სასარულს, — რომ ამ თათბირს მოყვება წარმატება და სამი ერთი, რომლებიც ვაგრთაანდნენ ახლანდელი ომის პროცესში, განამტკიცებს კავშირს ერთმანეთს შორის და შექმნის წინაპირობას მომავალ თაობათა მკვიდრო თანამშრომლობისათვის...

სანამ პრაქტიკულ მუშაობას შეუდგებოდნენ, რუხველტი დაინტერესდა, ხომ არ ისურვებდნენ ჩერჩილი და სტალინი საერთო ხასიათის განცხადების ვაკეთებას ამ შეხვედრის მნიშვნელობისა და იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს იგი მთელი კაცობრიობისათვის.

ჩერჩილმა მიწინაე ასწია ხელი და სიტყვი ითხოვა. მან აღნიშნა ამ წუთების სიდიადე, წამოდგა და გასწია სავარძელი, რათა სიტყვი მიეცა თავისი სწელი სხეულისათვის. იგი ძალზე მკაფიოდ ლაპარაკობდა, სიტყვებს ისე ალაგებდა ერთი მეორეზე, როგორც კალატობა აიხვედნენ აგურებს.

ავითებდა რა პაუზებს თარგმანისათვის, უხმოდ ამოძრავებდა ტურებს, თითქოს ყერ თავისთვის იმეორებდა ფრაზებს, რომლებიც ხმა-მალა უნდა გამოეტქვა. იგი თითქოს შინაგანად უსმენდა მის ხმოვებსა. შემდეგ, დასწირუნებულ იმაში, რომ მომეხდინო იყო საჭირო სიტყვები, მკაფიოდ გამოთქვამდა მათ პროფესიონალი ორატორის კარგად დაყენებულ ხმით.

— ეს შეხვედრა, — თქვა ჩერჩილმა, — მართლაც, წარმოადგენს მსოფლიო ძლიერების უდიდეს კონცენტრაციას, რომელიც ოდესმე არსებულა კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენს ხელთა საკითხის გადაწყვეტა ომის ეფდათა შედეგების შესახებ, გამაჩვენებს მოთხოვნის შესახებ, კაცობრიობის მომავალი ბედ-იბლის შესახებ. მე ვლოცულობ, იმისათვის, რომ ჩვენ ვიყოთ ღირსი შესანიშნავი შესაძლებლობისა, რომელიც ჩვენთვის ღმერთს მოუცია, — შესაძლებლობისა, რათა ეფშახტოთ კაცობრიობას...

ჩერჩილმა თვალი გადაავლო კონფერენციის მონაწილეთა და ნელა ჩაეშვა სავარძელში.

რუხველტმა საბჭოთა დელეგაციის მეთაურს მიმართა, ხომ არ ისურვებდა რამეს თქმას. სტალინი ისე დაიწყო ლაპარაკი, ადგილიდან არ წამოშდგარა და არც ხმა აუწყებია, დაჩაბუნში სრული სიჩუმე გამეფდა. შესაძლოა, იმიტომაც, რომ იგი ხმადაბლა ლაპარაკობდა.

— მივსალმუნები რა სამი მთავრობის წარმომადგენელთა კონფერენციას, მინდა რამდენიმე შენიშვნა ვაკეთო, — თქვა სტალინი. — ვფიქრობ, ისტორია ჩვენ გვანებოვრებს. მან ხელთ მოგვცა ძალიან დიდი ძალები და ძალიან

დიდი შესაძლებლობანი. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ იმისათვის, რათა ამ თათბირზე, სათანადო თანამშრომლობის ჩარჩოებში გამოვიყენოთ ის ძალა და უფლება, რომელიც ჩვენ ჩვენმა ხალხებმა მოგვანიჭეს. ახლა კი შევედგეთ მუშაობას...

რუხველტმა შეათვლიერა კონფერენციის ყველა მონაწილე, თითქმის მათ პირველი გამოხატვისათვის იწვევდა, მაგრამ არაფერი არ მოიხსურვა სიტყვის თქმა. მაშინ პრეზიდენტმა გახსნა მის წინ მდებარე შეფუძინი საქალაქო, ვადამურცლა შიგ ჩაწყობილი ქალაქდები, ოდნეუ ჩაახველა და წარმოთქვა:

— იქნებ შე დამეწყო დღევანდელი საომარ მოქმედებათა და სამხედრო საჭიროებათა სერეთო მიმოხილვადან? შე, რასაკვირველია, ელამბარაკებ ამის შესახებ შეერთებული შტატების თვალსაზრისით. ჩვენ, ისევე როგორც ბრიტანეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირს, მალე ვამარჯვების იმედი გვაქვს. შე მინდა დავიწყო ომის ამ ნაწილის მიმოხილვით, რომელიც შეერთებულ შტატებს უფრო ეხება, ვიდრე საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს. შე ელამბარაკებ ომის შესახებ წყნარ ოკეანეში, სადაც ომის ძირითადი სიმძიმე გადაიქცევა შეერთებულ შტატებს, ლებულობს რა დახმარებას ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ქარებისაგან.

პრეზიდენტმა რუხველტმა გააკეთა მოკლე მიმოხილვა დღემდის სფეროს ამ ნაწილის საომარი მდგომარეობის ირგვლივ. უფრო კონკრეტულად იგი შეეხა ბირმის რაიონის ოკეანეებს, აცრობა მონაწილეთ ქვეყნის ჩრდილო ნაწილის იაპონელებისაგან განთავისუფლების გეგმების შესახებ, ყველა ეს ღონისძიება, რუხველტის სიტყვით, ვითვალისწინებულა იყო ჩინეთისათვის ომში დახმარების გაწვევის მიზნით, ბირმის გზის გასახსნელად და იმ პოზიციის უზრუნველსაყოფად, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იაპონიის დამარცხება გერმანიის განდგერებისთანავე. შემდეგ პრეზიდენტმა მოკლედ დახატა მდგომარეობა გერმანიის ასპარეზზე.

გაკეთა რა საომარ მოქმედებათა მიმოხილვა, რუხველტმა ამათ თითქმის ტონი მისცა. მის შემდეგ სტალინმა თავისი სიტყვა ფრონტის მდგომარეობის მიმოხილვით დაიწყო. იგი მკორეა გამოიკვლია, რადგან ჩერჩილმა, რომელსაც თავმჯდომარემ ადრევე მისცა სიტყვა, იხოვანებართვა გადაედოთ მისი გამოხელა და თავისი ახალი სტალინის შემდეგ გამოეთქვა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაური მიესალმა შეერთებული შტატების წარმომადგენელს წყნარ ოკეანის რაიონში, მან დაუმატა, რომ დღეს საბჭოთა კავშირს არ შეუძლია შეუერთდეს ბრძოლას იაპონიის წინააღმდეგ, რამდენადაც საჭიროა მთელი მისი ძალების კონცენტრაცია გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. შორეულ აღმო-

საველთში საბჭოთა ქარები ცუტად იყნებენ. რად საეგარისია თავდაცვისათვის, მაგრამ შეტევებზე გადასასვლელად უადრესს. შექმნილგეგმში საჭიროა კიდევ ერთი იმდენი. წყნარ ოკეანის სამხედრო მოქმედების ასპარეზზე, დასავლეთის მოკავშირეებთან შეერთების დრო, შესაძლოა, დადგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანია დამარცხდება.

— რა შეეხება ომს გერმანიაში, — განაგრძო სტალინმა, — უპირველეს ყოვლისა, ვიტყვი მოხსენებითი ხასიათის რამდენიმე სიტყვას იმის შესახებ, თუ როგორ ვწარმოებდით და ვანაგრძობთ ოპერაციების წარმოებას გერმანელების იელისის შეტვის დროიდან. იქნებ ძალიან დაწერალებით ელამბარაკებ, მაშინ შემიძლია შევიამტორო ჩემი გამოსვლა.

— ჩვენ მზად ვართ მოვისმინოთ ყველაფერი, რაც თქვენ გსურთ თქვით, — ჩერჩილ ჩერჩილი.

სტალინმა განაგრძო:

— სხვათა შორის, უნდა მოვახსენოთ, რომ ბოლო დროს ჩვენ თვითონ ვეშაზდებოდით შეტევისათვის. გერმანელებმა დაგვასწრეს, მაგრამ რამდენადაც ჩვენ ვეშაზდებოდით შეტევისათვის და ჩვენს მიერ დიდი ძალები იყო თავმოყრილი, როგორც კი უუფადვდეთ გერმანელების შემოტევა, შედარებით მალე შევძელით თავად გადასულიყოფით შეტევაზე. თუმცა ჩვენს შესახებ ამბობენ, რომ ყველაფერს ადრევე ვგეგმავთ, ჩვენ მაინც არ მოველოდით წარმატებებს, რასაც შევადრინეთ ავისტოსა და სექტემბერში. ჩვენდა მოულოდნელად, გერმანელები უფრო სუსტები აღმოჩნდნენ, ვიდრე გეგვონა. ამჟამად ჩვენს ფრონტზე გერმანელებს ჩვენი დატყვევების მონაცემებით 210 დივიზია ჰყავთ და კიდევ ექვსი დივიზია ფრონტზე გადაყვანის პროცესში იმყოფება. ამის გარდა, არის გერმანელებს მოკავშირეთა 50 დივიზია, ფინელების ჩათვლით. ამგვარად, გერმანელებს ჩვენს ფრონტზე სულ 260 დივიზია ჰყავთ, ამათხებ 10 უნგრული, 20-მდე ლეთონი, 16 ან 18 რუმინული.

რუხველტი დაინტერესდა გერმანელების დივიზიის რიცხვობრიობით. სტალინმა განუმარტა, დახმარე ძალებთან ერთად გერმანელების დივიზიაში დახსლოებით 12-13 ათასი კაცი ირიცხებოდა. მან დაუმატა, საბჭოთა მხრიდან ფრონტზე მოქმედებს 300-330-მდე დივიზიათ.

შეეხა რა უკანასკნელ მდგომარეობას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, სტალინმა თქვა, რომ ქარების რიცხვობრივი უპირატესობა საბჭოთა კავშირის მხრივ გამოიყენება შეტევის ოპერაციისათვის.

მაგრამ რამდენადაც ჩვენ შეტევით მოქმედებას ვწარმოებთ დროის გასვლასთან ერთად ჩვენი უპირატესობაც თანდათან კლებულობს. დიდ სიმძლავრეს წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ გერმანელები უკანდახევისაც ყველაფერს

სპობენ. ეს გვიჩვენებს საბაძოლო მასალის მიზიდვას. ესაა მიზეზი ჩვენი შეტყვის შენელებისა.

— უკანასკნელ სამ კვირას, — განაგრძობ სტალინმა, — გერმანელებმა გააჩაღეს შეტყვიითი ოპერაციები უკრაინაში — კიევის სამხრეთითა და დასავლეთით. მათ დაგვატოვებინეს ეიტომირა — მნიშვნელოვანი საკინიგზო კვანძი. ამის შესახებ გამოცხადებული იყო შესაძლოა, ამ დღეებში წაგვიართვან კაროსტენი, აგრეთვე მნიშვნელოვანი საკინიგზო კვანძი. ამ რაიონში გერმანელებს ჰყავთ ხუთი ახალი და სამი ძველი სატანკო დივიზია, სულ რვა სატანკო დივიზია, აგრეთვე, 22-23 ფეხოსანი და მოტორიზებული დივიზია. მათი ამოცანაა — ხელახლა აიღონ კიევი. ამგვარად, ჩვენ წინ ვვლადება ზოგიერთი სიძნელე...

ამიტომ, თქვა სტალინმა, ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა მოკავშირეთა შემოჭრის დაჩქარება ჩრდილოეთ საფრანგეთში.

ჩერჩილი, რომელიც სტალინის შემდეგ გამოვიდა, მაშინვე შეეხო ინგლის-ამერიკელთა გეგმებს, რომელიც საფრანგეთში ჯარების გადმოსხმასა და ევროპაში მეორე ფრონტის გახსნასთან იყო დაკავშირებული. ეს საკითხი, უდავოდ, მთავარი იყო თეირანის კონფერენციაზე და მის გარშემო ყველაზე უფრო ცხარე დისკუსიები მიმდინარეობდა, როგორც ოფიციალურ თათბირზე, ასევე არაოფიციალურ შეჯამებებსა.

მირითადად თეირანის შეხვედრაში მოღვაწეობდა დელეგაციის მეთაურები, ემარმოვდნენ. კონფერენციის დანარჩენი მონაწილეები ექსპერტთა რაიონს ასრულებდნენ. ყოველი მათგანი, რასაკვირველია, დელეგაციის შიგნით აქტიურად არჩეულა ამა თუ იმ პრობლემას, ემზადებოდა ოფიციალური სხდომისათვის, მაგრამ თავად თითქმის არ გამოდიოდნენ, ხანდახან, სანამ მორიგი გამოსვლის თარგმან მიმდინარეობდა. დელეგაციის ხელმძღვანელები ერთობიერებოდნენ თავიანთ კოლეგებს. უზიარებდნენ მათ მოკლე შენიშვნებს, სტალინი ხშირად გადაიხრებოდა მოლოტოვის, ანდა ევროშილოვისაკენ, რათა გადაეჩერებოდა რამდენიმე სიტყვა და მიეღო პასუხი რომელიმე კონკრეტულ საკითხზე. უფრო ხშირად ისინი ერთმანეთს მიმართავდნენ წერილობით. რომლებსაც სწრაფად წერდნენ მაგიდაზე გაბნეულ ქაღალდებზე. სხდომებს შორის შესვენების დროს შეიძლებოდა დაგენახათ პარკის ხეივანში როგორ სეირნობდნენ ვაცხოველებულ საუბარში გაართული სტალინი, მოლოტოვი და ევროშილოვი. უპიკელოა, თეირანის კონფერენციის დროს ხდებოდა უფრო ფართო აზრთა ვაცვლა-გამოცვლა. როგორც უკვე წერით ვთქვით, ყოველი საუბრის, ყოველი სხდომის შესახებ რეგულარულად აგზავნებოდა მოსკოვში დამიჭრული ინფორმაცია, ხოლო იქიდან ასევე რეგულარულად მოდიოდა ერცელი დეპეშეები თეირანში.

□ ნაპრაქლეზა იმნება □

მ. ჭელიძის საგავემო პოემა

ამ ბოლო ხანებში მდიდარი საბავშვო ლიტერატურა შეიქმნა დაიწერა მნიშვნელოვანი ლირიკული თუ ეპიკური ხასიათის ნაწარმოებები, რომლებიც ბავშვების საყვარელ და განუშორებელ წიგნებად იქცნენ. მათში დახატული ბევრი გმირი მისაბამი და ახლობელი გახდა პატარებისათვის, შავრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბავშვო ლიტერატურა ჯერ კიდევ ღარიბია პოემებით. თუ შოევიგონებთ იმას, როგორ შეიყვარეს ბავშვებმა და როგორი პოპულარობით სარგებლობს „ბაბაჯანას ქოშები“, „რას გადაურჩა თბილისი“ და მისთანები, მაშინ ნათლად დავრწმუნდებით ამგვარი პოემების საჭიროებაში. როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობიდან ჩვენ ბევრი გვყავს ისეთი მწერალი, რომელსაც შეუძლია შეავსოს ეს ხარვეზი, მით უფრო, როცა ასეთი ნაწარმოებები ნელ-ნელა ჩნდება ამის დადასტურებას წარმოადგენს ოთარ ჭელიძის პოემა „აღზანა და ჩაღზანა“. იგი თანამედროვე საბავშვო პოემის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია.

პირველ რიგში, ეს პოემა იმის უღაო დადასტურებაა, თუ რა დამუშავებულ წყაროს წარმოადგენს კარგი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად ხალხური საუნაე. ყველასათვის ცნობილი და ახლობელია სხვადასხვა ვარიანტებით გავრცელებული გამოთქმა: „რაც აღზანა, ის ჩაღზანაო“, „როგორც აღზანა, ისე ჩაღზანაო“, „როგორც აღზანა, ისეთი ჩაღზანაო“, „ცარიელი აღზანა, ცარიელი ჩაღზანაო“ და ა. შ. და აი, ოთარ ჭელიძემ ერთხელ კიდევ გვაჩვენა მაგალითი იმისა, რომ ერთ დამახასიათებელ იდიომატურ გამოთქმავზე შეიძლება დაიწეროს ნაწარმოები, რომელიც თავიდან ბოლომდე ალბეძლი იქნება ხალხური სისადავით, ნათელი, აზრით, ღრმა და შინაარსიანი, სიუჟეტურად საინტერესო, კომპოზიციურად სრულყოფილი, მაღალმხატვრული, იდეურად გამართული და დიდაქტიურად გამართლებული.

ოთარ ჭელიძე პოემის დასაწყისიდანვე ხალხურ სტილს მიმართავს და ბოლომდე არსად არ

ლაღატობს ჩანაფიქრს. აი, როგორ სადად და თავისუფლად იწყებს იგი თხრობას:

გარეგნობით აღზანა
ისე ჰგავდა ჩაღზანას,
როგორც ყვავის ბახალა
ჰგავს მეორე ბახალას.

ეს სისადავე კი მოხდენილად შეზავებული რიტმულობასა და ბავშვებისათვის მიმზიდველ მუსიკალობასთან. უფრო მეტიც, ბგერათა შეხამებით პოეტს იგი მაღალმხატვრულ დონეზე აყვავს:

ჰქონდათ თმები შავ-შავი,
შავზე შავი თვალები.
მზისგან გაშვებოდათ
კისრები და მკლავები.

ასეთი ადგილები პოემაში ისე კარგადაა ჩართული, თითქოს ენისგამატებსაც შეიცავდეს იგი:

მხოვეცი მსხლის ძირას
ჩრდილში წვანან მწვანეზე,
დარაჯები მსჯელობენ
კოლექტივის ყანებზე.

ამას კი მოსდევს შესანიშნავი მხატვრული სახეები. ნაწარმოები განსაკუთრებით მდიდარია შედარებებით:

ბადრი მთიარე გავორდა,
მიმშალა ღრუბლებში,
როგორც ეაშლი წითელი
ჩაღზან—ბიჰის უბეში.

ან კიდევ:
სამასი წლოს ყვაევიით
გზაზე ღამე წევს მრუმე.

ასევე კარგი მხატვრული გამოთქმაა: „დილა მსავთა წამწამი როცა დაახამამა“ და მისთანები. პოემაში აგრეთვე კარგადაა მიგნებული რითმები:

ტრიბუნაზე შემდგარმა
ბევრი აღარ ახანა,
ძირს ჩამოხტა და ხალხში
გავრია აღზანა.

ოთარ ჭელიძე, „აღზანა და ჩაღზანა“, ნაკადული, 1967.



ხალხურ გამოთქმებს და დამახასიათებელ კონსტრუქციებს პოეტი მოხდენილად ახავებს ხალხსამსა და მსუბუქ იუმორთან: „ქარი რო- დი ვახსენე, ქარი მაგ შენ თავში ქრისო... და „გზაფხულზეც მწერები ბლომად გიზის მაგ თავში“... ან კიდევ:

დაე წყალმა წაიღოს
ორი ძველი შარვალი,
რომ დაგვახრჩოს, იქნება
უფრო მეტი ხარალი.

პოემაში დადებითადაა გადაქრილი საბავშვო ლიტერატურის წინაშე მდგარი მეტად მნიშვნე- ლოვანი ამოცანა, ესაა — ენის საკითხი.

სადა, დახვეწილი ენა, შეიძლება ითქვას, ყვე- ლაზე მეტად საბავშვო მწერალს მოეხთხოვება. ით. ჭელიძის „აღზანა და ჩაღზანა“ ამ მხრივაც სასურველ შთაბეჭდილებას სტოვებს. პირველ რიგში, სწორედ ლექსიკურა დახვეწილობითა და სადა, ნათელი ფრაზეოლოგიით გამოირჩევა იგი. პოეტს ფრაზილად, ზომიერად და გემოე- ნებით შეურჩევია ყოველი სიტყვა.

თუ რამდენად მარტივი და სადაა მწერლის პოეტური სინტაქსი, შისა ფრაზეოლოგია, ამას ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებს.

პოემაში უხვადაა აგრეთვე ისეთი სხარტი და მოკვეთილი დიალოგები, რომლებიც ბავშვე- ბისათვის იდეალად გასაგებიც არის, ღრმავა- როენი და შთამაგონებელიც:

- ჩაღზან ძნელზე ძნელია გაჭრა კლდოვან ადგილის,
- მარტო პურის ჭამაა, ნემო აღზან, ადილი,
- ევლში გავეჩხირება ხმელა პური უწყალოდ,
- აღზან, ნულარ ვკამითობთ, წყალს გზა უნდა ვუცვალოთ, — ჩაიღიმა ჩაღზანმა, ჩაიღიმა აღზანმა, მშაყაცები ანათო დიდმა საქმემ ახალმა.

პოემაში ყურადღებას იმყრობს ბუნებრივი და მალდაუტანებელი თხრობა, რითაც საინტე- რესო და მიმზიდველი ხდება პოემის სიუჟეტი. შეიძლება აქვე შევნიშნოთ, რომ სიუჟეტი თით- ქოს არ სტოვებს მთლიანობის შთაბეჭდილებას. თითოეული თავი ცალკე დასრულებული ამბა- ეიაა. მაგრამ მათი ფინალები ისე მოხდენილი და ლოგიკურია, რომ მკითხველში რაღაც ახალი ამბის მოლოდინსაც აღძრავს. მით უმეტეს, აღ- ზანასა და ჩაღზანას ყოველ ახალ ონაერობას ახალი ფაქტორები მოსდევს. მაგალითად, მეო- რე თავი ასე მთავრდება:

მაგრამ ორმა მშაყაცმა
ცრემლი კი არ დაღვარა —

ახალ ამბავს იწყებენ
აღზანა და ჩაღზანა.
მესამე თავის დასასრული
მაგრამ ორი ძმაცა
შინით კი არ დამფრთხალა,
ახალ საქმეს იწყებენ
აღზანა და ჩაღზანა.

შეიძლება ეს თავისებური ბერძენი იყოთ- ერცელი ამბის საინტერესოდ გადმოსაცემად.

საბავშვო ნაწარმოების საკანონათლებლო მნიშვნელობა პირველ რიგში იმითაც განისა- ზღვრება, თუ მწერალი რამდენად მიმზიდველია და გასაგებად აცნობს პატარა მკითხველებს გა- რემო სინამდვილეს. რამდენად ემოციურად ხა- ტავს იგი ბუნებისა თუ საზოგადოებრივ მოე- ლენებს და ყოველივე ეს რამდენად აკმაყოფი- ლებს ბავშვების ცნობისმოყვარეობას. ამ მხრი- ვაც მდიდარი და მრავალფეროვანია პოემა. მხა- ტვრულად მიმზიდველად და სრულყოფილიდა დაბატული ბოშების ადრული წარსულისა და აწყოს სურათები, კოლმეურნეობის ბაღ-ვენა- ხეები თუ მოხუცი კოლმეურნეები, სასკოლო ნა- ავეთი და მოსწავლეთა შრომა, მინდვრები და ტყეები, ფრინველთა და ცხოველთა სამყარო, წყალდიდობა თუ უწყველ დარჩენილი ზრიო- კი აღვიღებთ და ა. შ.

კიდევ უფრო საგულსხმოა პოემა აღმზრდე- ლობითი თეატრალისით. აღზანა და ჩაღზანა თავიდანვე სიმპათიას იმსახურებენ, თუმცა ამასთან ერთად მოქმედება ისე ეთიარდება, რომ პოეტი დამაფერებლად უსსინს ბავშვებს, თუ რა ფაქტორები მოსდევს ანცობას.

ასევე დამაფერებლადია ნაჩვენები, რომ დამნა- შავეს ვაიციცხვა და სასკელი ელის: „ტიტიკა- ნებს დიდებმა დაუშინეს ქინწირი“, მაგრამ კი- დევ უფრო შთამაგონებელია, რომ დანაშაულში დარწმუნებულები „აღზანა და ჩაღზანა იდგნენ გასუსულები“.

მოქმედების ამგვარად განვითარების შემდეგ ბუნებრივია და ლოგიკურიც მათი გამოსწორე- ბის გზაზე დადგომა. არაუის ყალბად არ ეწვე- ნება ჩაღზანას მიმართვა აღზანასადმი:

გვეუო, დიდზანს ვაყაეით
ცუღლუტები ცნობილინი,
ახლა საქმეს მივხედოთ,
მშობილს ეტყვის მშობილი.

შრომითი აღზრდის საგულსხმო ღეტაღს შეიცავს პოემის ბოლო ნაწილი. ერთ დროს ცუღლუტები და უსაქმურები თვითონვე ხელ- მძღვენელობენ მოწაფეების შრომას: „ორმა გმირმა მიველ სოფელს წყლის მოსეღა ახარა, გადავცოვინს გლეხებმა აღზანა და ჩაღზანა“. მათთან ერთად კი „მოსუღოუნენ დედები, მო- სუღოუნენ მამები, სხარულის ცრემლებით საე- სე ჭქონდათ თვალები“.

წყალსაცემა მინდვრები
მწებარე ალაღანა;
შეიყვარა სოფელმა
ალხანა და ჩალხანა.

როგორც ვხედავთ, თვით ფანტაზიკ ზომიერია, რეალობასთან მისადაგებულია და ბავშვის

ფსიქოკამისწრავებასთან შეფარდებულ ანტიტომ კითხვებზე ამ ბოემას ბავშვები დიდი გატაცებით, ამიტომ დამკვიდრად „ალხანამ“ და ჩალხანამ“ საბავშვო ლტერატურის სხვაანტიტომში მნიშვნელოვანი ადგილი.

ბ. სულაბერიძე.

მონობრაფია თომას მანსი

ნ. კაკაბაძის „თომას მანი“ პირველი ნაწილია იმ შრომისა, რომელიც, როგორც უკვე ჩანს, ავტორს ძირითად ხაზებში ბოლომდე აქვს გააზრებული. ამას ადვილად შეხედება ყოველი მკითხველი წიგნის I თავიდან, რომელშიაც საკმაოდ ვრცელადაა დანახიანებული თ. მანის — მხატვარი და მოაზროვნე.

შრომი წარმოადგენს პირველ ქართულ მონობრაფიულ გამოცემას თომას მანის შემოქმედების შესახებ. მასში განხილულია თომას მანის შემოქმედების პირველი პერიოდი, ავტორი ადგენს გენეტიკურ კავშირს მწერლის ადრეულ და გვიანდელ ნაწარმოებთან შორის. ადრეული შემოქმედების შექმნევილი ბევრი რამ თ. მანის გვიანდელ რომანებზე გავლენას, აუხსნელი დარჩებოდა, ხოლო მკითხველთა ცოდნა მწერლის შემოქმედებით მოწოდებულია არასრული და ნაკლები იქნებოდა.

თომას მანის შემოქმედებითი საწყისების მართებულად შეფასებისა და ადრეული შემოქმედებისათვის სათანადო ადგილის მიჩნევის მიზნით ნაშრომში გათვალისწინებულია მწერლის მთელი შემოქმედება. ამას გარდა, შრომის ავტორი ადგენს თომას მანის — მხატვრისა და მოაზროვნის კავშირ-მიმართებას, ერთის მხრივ, გერმანულ ეპიკურ, შიორე მხრივ, ფილოსოფიურ ტრადიციებთან.

წიგნის I თავში — „თომას მანი — მხატვარი და მოაზროვნე“ დანახიანებულია თომას მანის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის არსებითი ნიშნები, შრომის ავტორი ზოგად ხაზებში გვიჩვენებს ჩამოვალბებულ მწერალს, გვიხანის მის მხატვრულ-ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ სპეციფიკას.

ამვე თავში კონკრეტული მასალის გათვალისწინებით წარმოადგენილია თანამედროვე დასავლური რომანისა და პროზის მხატვრულ-ესთეტიკური და იდეური თავისებურებანი და ამ ასპექტში განსაზღვრულია თომას მანის — რომანისტიკისა და პროზაიკოსის ადგილი თანამედროვე ბელეტრისტიკა შორის, დანახიანებულია თომას მანის რეალიზმის სპეციფიკა, ნ.

კაკაბაძის აზრით, თომას მანს — რომანისტიკა და პროზაიკოსი შეუღლებური ადგილი უკავია კლასიკურ რეალიზმებსა და ე. წ. „მოდერნისტიკას“ შორის. როგორც თვითონ წიგნის ავტორი აღნიშნავს, ეს აზრი არ არის მისი საკუთრება, მაგრამ ორიგინალურია და ახალი ამ დებულების დამტკიცება, არგუმენტაცია და დასაბუთებისათვის გამოყენებული მასალა, ნ. კაკაბაძის მიხედვით, თომას მანის ავტორობის ტრადიციული რეალიზმის ცნებას, ახალ, არსებით ნიშნებს უმატებს მას; ამიტომ არ შეიძლება კლასიკური რეალიზმის კრიტიკით მოხდეს თომას მანის რეალიზტურ ხელოვნებას, თომას მანის რეალიზმი გამოდრეხებულა ზოგიერთი ანტირეალიზტური მიმდინარეობისათვის უფრო ნიშნადობლივი თვისებებითა და ელემენტებით, მაგრამ ძირითადი გუბარებულია თ. მანის რეალიზტურ ბრძენობა და თეოსორიკულად ახალ შემოქმედებით — ეფექტს იძლევიან. თვითონ თ. მანს, ისე როგორც მის თანამედროვე ზოგიერთ გამომწინავე რეალიზტს, მცდარი ან წინააღმდეგობრივი თვალსაზრისი აქვს, საერთოდ რეალიზმზე და, კერძოდ, კრიტიკულ რეალიზმზე; მისი აზრით, რეალიზტურაა მხოლოდ „ბუდენბროკები“, ხოლო სხვა ნაწარმოებები განსაკუთრებით გვიანდელი რომანები, რეალიზმის ფარგლებში ვერ ეტყვიან. თ. მანს, ისევე როგორც ბევრ თანამედროვე დასავლელ რეალიზტს, თავისებურად ესმის რეალიზმის ცნება, საკითხის არსს სწორად გვიხსნის შრომის ავტორი; თ. მანი თავისი შემოქმედებითი მკაქტიკითა ავტორობებს რეალიზმის ცნებას ობიექტურად, მაგრამ სუბიექტურად მას ჰგონია, რომ „ბუდენბროკების“ შემდეგ დაშორდა რეალიზმს, რადგან რეალიზმის ცნება ერთობ ტრადიციულად და „დოგმატიკურად“ ესმის. მართებულად აღნიშნავს ნ. კაკაბაძე, რომ ანტირეალიზმის ეფექტი და ურადსაღებობა თვით ავტორის (ე. ი. თ. მანის — ზ. ჯ.) მრავალრიცხოვანი გამოთქვებითა და სპეციფიკური ესეები საკუთარ ნაწარმოებებზე, მაგრამ ბრძენ მიყოლა, ყველაფრის დაყრდნობა სახიფათოა, რადგან მხატვრულ ნაწარმოებს (ჩვენ დავუმატებდით: და მივიღებ შემოქმედებასაც — ზ. ჯ.) თავისი შინაგანი

ლოცვა აქვს (შემოქმედებითი პროცესი ხომ მხოლოდ სუბიექტურ განზრახვას არ ემორჩილება), რაც ზოგჯერ თვითონ ავტორის მიერ არ არის გაყენებული (გვ. 9).

თ. შანის ესთეტიკურ შეხედულებათა პროგრესულობას ჩვენების მიზნით საქმიან ვრცელდა ახალი თანამედროვე ბერტე-ზოული ევროპის სელაგის კრიზისი, პესიმისტური კონცეფცია ადამიანი და მის შესაძლებლობებზე და თანამედროვე კულტურ-პესიმისმს დაპირდაპირებულთა თომას შანის კულტურ-აბტიმიზმი რაც ავტორის აზრით, რენესანსული და განმანათლებლური ხანის გაგრძელებას წარმოადგენს.

მკვლევართა მიხედვით ავტორის მიერ თ. შანის შემოქმედების თემატიკა და პრობლემატიკა, შწერლის კრიტიციზმის ხასიათი და სპეციფიკა, მისი პოზიტიური იდეალო და იდეოლოგის განზრახვების გზები და მეთოდები. I თავის ქვეთავს წარმოადგენს „თომას შანი და გერმანული პროზა“. შრომის ამ ნაწილში აღდგენილია გერმანული რომანისა და პროზის სპეციფიკური ნიშნები და თ. შანის კავშირ-შემართება გერმანული ეპიკური ტრადიციისადმი; მოკლედ დახასიათებულია XX საუკუნის გერმანული ბელეტრისტიკა, რომელშიც ვადალას გერმანიის საზღვრები და გაქაჩაწყლა ლეგენდა გერმანული პროზის სისტემაზე.

ქვეთავს ბოლოში ნ. კაკაბაძე საგანგებო ანალიზს უკეთებს თომას შანის რომანის მხატვრულ თავისებურებებს, რაც უდარესად საინტერესოა და ირრავინალურია.

II თავში — „თომას შანის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის ევოლუცია“ მკვლევარი გვიჩვენებს შწერლის მსოფლმხედველობრივ-შემოქმედებით განვითარებას, თომას შანის — მხატვრული და შინაგონის ნამოყვანილების პროცესს. ეს არის, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, შწერლის სრულმშენა-მომწიფების თანდათანობითი პროცესის დინამიკური სურათი. ნ. კაკაბაძე აქ განიხილავს თ. შანის საეტაო ნაწარმოებებს, რომელთა შორის სრულიად ახლებურადაა ინტერპეტირებული პუბლიცისტური თხზულება — „პოლიტიკოსის შეხედულებანი“. აქ ვხვდებით შრავალ საინტერესო, ირრავინალურ დაკვირვებას, რომლებიც ზოგჯერ პანცინებულად ეწინააღმდეგება სხვა მკვლევართა დებულებებს. საინტერესოადაა დალაგებული ამ ვრცელ ექვს იდეური შინაარსი და ახლებურადაა გადმოცემული მისი აღმოცენებისა და შექმნის ატორია (ნ. კაკაბაძე აქ უმთავრესად ახალი გამოქვეყნებულ და ზოგ შემთხვევაში საარქივო მასალას ეყრდნობა).

ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი თ. შანის დამოკიდებულება ნიცშესადმი. ნ. კაკაბაძე ამ

შემთხვევაში ნიცშეს შესახებ არსებულ ცალკეულ ლიტერატურას კი არ ეყრდნობა, არამედ უშეალოდ ამ ფილოსოფოსის ნაშრომებს და ადგენს საერთო და განმარტებულ ნიშნებს თ. შანისა და ნიცშეს ნააზრეს შორის. მკვლევარი ასახელებს, რომ თ. შანის პროზა ნიცშესთან ერთ კიდევ ადრეულ შემოქმედებაში ჩანს. საინტერესოა და შემდგომი კვლევისათვის პრობლემატიკა ჩანს ნ. კაკაბაძის მანიშნებანი იმის თაობაზე, რომ ნიცშეს „ცურატურა“ გოეთეს „ფაუსტის“ თავისებური პროზაა უნდა იყოს. ნ. კაკაბაძე დამაყრებლად, სათანადო მასალას და არგუმენტებს მოიპოვებთ გუარწმენებს, რომ თ. შანი იმთავითვე უარყოფდა ნიცშეს ფილოსოფიის აგრესიულ, დემონურ მხარეს (მას მისი აბტიმურეთაზოული კრიტიციზმი იზიდავდა). არსებითად ახალგაზრდა თომას შანიც ნიცშესაგან განსხვავებულად წყვეტდა „სეპარებაზელურების“ აბტიმიზმს და ამ ენებზემცე ვამხებუებელი შინაარსი შექმნდა.

ასევე ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი თ. შანის მიმართება მეორე გერმანულ ფილოსოფოსისადმი — შოპენაუერისადმი. ცნობილია, რომ შოპენაუერის კვლეა ერთ კიდევ არ ჩანს შწერლის შემოქმედების ადრეულ პერიოდში (თ. შანის შოპენაუერის ფილოსოფია ცალკე მოგვიანებით გაიყნო). ამიტომ ნ. კაკაბაძე მას შედარებით მოკლედ და გავრით ეხება. ავტორი, აღბათ, შოპენაუერის შწერლის მთელი მონოგრაფიის II ნაწილისათვის პირებს (წინამდებარე წიგნი ვრცელი მონოგრაფიის მხოლოდ I ნაწილია). ასევე მოკლედაა განხილული ვაგნერის, დოსტოევსკის, ჰამს ბფინერის, ერნსტ ბერტრამის და სხვათა როლი თ. შანის შემოქმედებით უკვლევიაში, შედარებით მცირე ადგილა უკვია იგრრითუ მსჯელობას გოეთესა და შილერზე, რადგან თ. შანის შემოქმედების ადრეული წლები გერ კიდევ არ იძლევა სათანადო მასალას და საფუძველს ამ მსჯელობის გაშლისათვის.

შრომის II ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე წიგნის საერთოი თემა — „თომას შანის ადრეული შემოქმედება“. ამ ნაწილში მოცემულია ეპოქის მოკლე დახასიათება (ისტორიული, სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური). ამს მოკეება თომას შანის ბიოგრაფიის ის ნაყეითი, რომელიც მისი შემოქმედების I პერიოდს ემთხვევა. ნ. კაკაბაძე სრულად და ამომწურავად იყენებს შწერლის ბიოგრაფიულ მასალას, ეყრდნობა როგორც გამოქვეყნებულ, ასევე ნაწილობრივ ციურბის არქივში დაცულ ცნობებსაც (ამ მხრივ მკვლევარის კონსულტანტი იყო თ. შანის უფროსი ქალიშვილი, მამის ლიტერატურული შემკვლერობის განმგებელი და გამომცემელი ერკა

მანი, რომელსაც მჭიდრო კონტაქტს აქვს ცირკოსის თ. მანის არქივთან).

თომას მანის შემოქმედების განხილვას ნ. კაჯაბაძე აწყობს მწერლის აქამდე თითქმის სრულად უცნობი და შეუსწავლელი ლირიული ლექსების განხილვებით. (შრომის ეს ნაწილი დაიბეჭდა დემოკრატიული გერმანიის გერანალში „კომარერ ბატრევე“, 1966, № 3). ამით ნ. კაჯაბაძე ავსებს იმ ხარვეზებს, რომელიც არსებობდა კრიტიკულ ლიტერატურაში. შესაძლოა: გარკვეული მოსაზრებით ეს იყოს ნ. კაჯაბაძის გამოცდების ყველაზე ღირსეული მონაცემი, რადგან მას აქ მთლიანად „კომარ“ ნიადაგზე უზღვდა კლდეა და ვერცერთი მკვლევარი ვერარ აუღოს გვარდს აქ მიღებულ შედეგებს (ყოველ შემთხვევაში, თუ არ ვაიზიარებთ ქართული გერმანიის დასცნობას, იმულებული მაინც იქნება ვაბაძის იხილ).
ლექსების გარდა ნ. კაჯაბაძე განიხილავს ასევე სრულიად უცნობ ორ ადრეულ ესტოს („შესავალი“ და „გზონი“), რომელიც ახალგაზრდა თ. მანის გამზარდობაზე ნაბეჭდ ეტრნალში გამოაქვეყნა.

იმ გამოცდებამდე ნაკლებად იყო შესწავლილი თომას მანის რამდენიმე ადრეული ნაწარმოები: „დაცემული ქალი“, „სიყვლილი“, „შურისძიება“ და სხვ. ქართული გერმანიის თემატიკაზე დასაზრება: ამ ნაკლებად გამოკვლეულ მცირე პროზის საფუძვლიანი, ყოველმხრივი შესწავლა.

ნ. კაჯაბაძე მოკლედ აღგვს მოთხრობასა და ნოველას შორის განსხვავებას (აქ იგი ძირითადად ეყრდნობა ფუნდამენტურ გამოკვლევებს ამ დარგში) და შემდეგ ცალკეულ ნაწარმოებებს გარჩევისას ცდილობს თვითნებური შთავაზის ენის განსაზღვრას. აქ მიღებული შედეგებაც უდაოდ საყურადღებოა, რადგან თომას მანზე არსებულ კრიტიკულ ლიტერატურაში რატომღაც ერთმანეთისაგან არ

ანხვავებენ ენობრივი თვალსაზრისით მის მცირე ზომის პროზულ ნაწარმოებს. უაღრესად საინტერესოა შეკვლევითი თომას მანის კავშირ-მიმართების დადგენა სხვა მის თანადროულ მწერლებთან; პინჩოპ მანისა და მარსელ პრუსთან, პერმან ქესესა და გეიმს ჟოსთან, ურანც კაუკასა და რომბერტ მუხლითან.

ცალკე ქვეთავადა გამოყოფილი თომას მანის ადრეული შემოქმედების მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებანი, ავტორი თომას მანის ნაწარმოებთა ანალიზის დროს ყოველთვის განსაყურებულ ყურადღებას აქცევს ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ ჩაობას, ავტორისეული იდეის მხატვრული გახსნის თავისებურებათა ჩვენებას.

ნ. კაჯაბაძის წიგნი, როგორც ვთქვით, დიდი შრომის პირველი ნაწილია. ამიტომ, ცხადია, ბევრი წამოჭრილი საკითხი შემდგომ გაშლასა და დამუშავებას მოითხოვს. ავტორი თვით აცხადებს, რომ შრომის II ნაწილში უნდა შეყრას მონოგრაფიულად მთელი გამოკვლევა. გასაგებია, რომ ამგვარი დასრულების შემდეგ უფრო გასაგები იქნება შრომის I თავი რომელშიაც თომას მანის მთელ შემოქმედებაზეა მსჯელობა.

სიყვ. შესაძლებელია ამჯერად ვადაპარბებული გვეჩვენება შედარებით მეთოდის ფართო გამოყენება, რის საფუძველსაც ამ მასშტაბით არ იძლევა თ. მანის ადრეული შემოქმედება. ასეთივე შენიშვნა უნდა გავაკეთოთ დაახლოებით 70 გვერდზე მოცემული შენიშვნებისა და უთარგმნელად დატოვებული ხშირი და ვრცელი ციტატების გამო. რაც ზოგჯერ ართულებს ავტორისეულ მსჯელობებში გარკვევასა და წიგნის აღქმას.

ზურაბ მარხალაშვილი

„მსოფლიო პოეტები დედას“

ქართული ლიტერატურის უპირველეს ძეგლში, იაკობ ცურტაველის „შეშანიის წამებაში“ დახტულია ქართულ ლიტერატურაში პირველი ქართული ქალის სახე, რომელიც თავის თავში აერთიანებს მოწვევად აღმართა და დედას. შეიძლება ითქვას, შეშანიის, რომელიც სარწმუნოების ნიადაგზე იქნა წამებული, ვერ დაადგებოდა წინაინის შარავანდედი, რომ იგი ისეთივე

დედა, აღმზრდელი, გზის მიჩვენებელი და შეიღების ბედზე დაფიქრებელი არ ყოფილიყო, თავისი ცხოვრების სამინელ წუთებშიც კი. იგი ისეთივე შეუვლილი დედა, როგორც შეუღრეკელია სარწმუნოების დაცვისას. შეშანიის უპირველესა და უმთავრესი საზრუნავი, სარწმუნოების დაცვასთან ერთად, შეიღებზე ფიქრითა და გასაცირი როლია, რომ იგი შეიღების ბედს ღმერთს ავედრებს. სწორედ ეს დომობრივი ზრუნვა ხდის შეშანიის საოცრად ამქვეყნიურისა და მიწიდანეულ არსებად.

„მსოფლიო პოეტები დედას“, თარგმნა შორის ფრეხიშვილი, ნაკადული, 1967.

ყოველივე ეს იმიტომ გავგებხენდა, რომ ქართულ ლიტერატურის დასაბამიდან მოყოლებული ნათელ სვეტად ადგას დედის სახე და, ვინ შიშთვლის, როგორი ანთუქით, როგორი მხატვრული შედარებით არ შემკობილა საუკუნეების მანძილზე დედის სახელი. დედა — ეს არის სახელი, რომლის წინაშეც ყველა ერის ადამიანი ერთნაირი მოწიწებით ხრის თავს. დედა — ეს არის სახელი, რომელსაც ერთნაირი სიყვარული წარმოსთქვამს ყველა. რომ ეს ასეა, მკითხველი დარწმუნდება, როცა ხელში აიღებს და წაიკითხავს შორის ფოცხიშვილის მიერ შედგენილ და თარგმნილ ლექსების წიგნს „მსოფლიო პოეტები დედას“. სწორედ დედისადმი უდიდესმა და უსაზღვრო სიყვარულმა დააწყებინა და დაამთავრებინა საკმაოდ ორიგინალური კრებულის შედგენა და თარგმნა მ. ფოცხიშვილს, რაც გადაუქარებელად შეიძლება ითქვას, ერთი ადამიანისათვის დიდად საბატიო საქმის გარდა, მეტისმეტად რთული და სასასუხისმგებლოა. მ. ფოცხიშვილის წიგნიდან მკითხველს ესაუბრება ორმოცდაცხრა ქვეყნის ორმოცდაშვიდი პოეტი და ყველა მათგანი თავისებურად უმღერის დედას.

აქვე გვსურს შევნიშნოთ, რომ მიუხედავად პოეტების სიმრავლისა და ლექსთა ფორმის სხვადასხვაობისა, მ. ფოცხიშვილმა, როგორც მთარგმნელმა, ბრწყინვალედ გაართვა თავი ასეთ რთულ ამოცანას.

დედის სხენებაზე ქართველ ადამიანს ბევრნაირამ გაიხსენდა, და, აი, ამ ბევრს შორის იგი მოწიწიწებით დაუწყებს ძებნას მისთვის ყველაზე სანუკვარეს სტრიქონებს, რათა ერთხელ კიდევ ლოცვასავით გაიმეოროს დედისადმი მიძღვნილი თუნდაც ედგარ პის სიტყვები:

თუთი ანგელოსიც დეათერ სტრიქონებს
ოღეს ქაღალწურ სიმებად არბევს.
ანგელოსიც კი ვერ მოიგონებს
დედაზე უფრო უნაზეს სახელს.

საერთოდ, პოეტი რასაც სწერს, ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ადამიანისათვის საკუთარი გულს ზრახვების გამოვლენაა, უფრო ამაღლებულად, ლამაზად და მოქნილად, ჩვეულებრივი ადამიანი რომ სადაღ იტყუოდა; ასე ამ შემთხვევაშიც, როცა პოეტი უმღერის დედას:

გავიზრდებით და ცაღარა შენი
თოვლივით ათოვს ჩვენს ლამაზ ფიქრებს...
ხარ წიგნი შწარე ცხოვრებისა
სიბრძნით მოსილა...

და როცა სტრიქონი, ასე მგონია, მთელი სამყარო ცრემლით იესება.

ინდოელი ჩამანა რედის ეს სტრიქონები ხომ ყველა ჩვენგანის სიტყვებია. ან არადა, ვინა ყველა დედის ნაფიქარი არაა მირიამ პერს-სტინ-კოხენის სიტყვები:

— პოი, შეიღებო,
სიკვდილისთვის არ გავვიზრდებართ...
და თუ თქვენ მაინც ეტლებით ქვეყნად
ტყვია ესრალოთ ერთმანეთს ასევე,
ჩვენ უარს ვიტყვით ჩვენს დედობაზე!
—
კაცობრიობის უდაღეს მოღვმას
განაღებურება მოელის მაშინ...

გახსოვდეთ, ჩვენ ვართ ყველა სიციხის და სიხარულის დედები ქვეყნად!

უნახესი და უფაქიხესი სტრიქონებითაა გახსნილი დედის ყოველწუთთაგან ზრუნვა იამონელი ნაყამურა კოყეს ლექსში:

დააძანებს ჩვილს ღიღინით
და უანამი წავა დედა...
დაიზნავლეს საღდაც ბარტყი —
უშალ დღეც შეტყუდება.

ყველაზე ძნელია წერო მასზე, ვინც ყველაზე უფრო ვიყვარა. ეს კრებულში თავმოყრილ პოეტების ყველა ლექსს ეტყობა. ეტყობა, რომ მათ (ასევე მთარგმნელის) უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენს, რაც შეიძლება, სადაღ და უბრალოდ, მაგრამ შთამბგონებლად დახატონ დედის სახე, დედის ხასიათი, დედისა, რომელც ვიღინამალო ტო ხიუს შესანიშნავი თქმით „ყველა ადამიანი მხოლოდ შეილს ხელაეს ამქვეყანაზე“.

ცხადია, ძნელია ურიპო მთარგმნელს, კიდევ რის შეტანა ან რის არ შეტანა სჯობდა კრებულში, გამსაყოფრებით მაშინ, როცა ამღერო ერთგვნებს შწერალია წარმოდგენილი, მაგრამ, ჩვენი მტკიცე რწმენით, მ. ფოცხიშვილმა კრებულის ხელახალი გამოცემისას (და ამის თეცილებლობა უკვე აშკარად იგრძნობა) უნდა შეიტანოს ხალხური ლექსი „ვეფხისტა და მოყნისა“.

კრებული — „მსოფლიო პოეტები დედას“ უსაზღვროდ მრავალფეროვანია და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ წიგნის შედგენასა და თარგმნას მ. ფოცხიშვილმა დიდი ენერგია და პოეტური მადლი შეაღო, არანაკლები ქების ღირსია თვით ასეთი კრებულის შედგენის იდეა. ყოველივე ამან კი განაპირობა წიგნის უსაზღვრო წარმატება, თუმცა აზრი სრული არ იქნება თუ აქვე არ დაუფიქრებთ, რომ ამ წიგნს აქვს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

„ვეფხისტყაოსნის“ თეატრმსოფუნოზითი ძიებანი

საქართველო

სანახობრები კელტრის თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლამ ახლებერად დაიწყო ქართული თეატრის ისტორიის ბევრი ეპიზოდური საკითხი. შეიქმნა წინამძღვრები ჩაახა საბოლოოდ დახუტულ ქართული თეატრის ასაკი, გაიკრეფა უძველესი ქართული თეატრის რელიქვიები ხალხის ცხოვრებაში, მოიხიბნის ის ვიზები და საშეაღებები, რომელთა შევსებულად ცხადყოფს ქართული თეატრის ადგილს მსოფლიო თეატრის ისტორიაში, რადგან პოემა „ასახუ წინა აზრის უსაზღვრესი სახეღმწიფოს სანახობრად კელტრის, სადაც თეატრული სახიობის საფუძველზე შეიქმნა აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანთა ტრადიციები თავისებურ განვითარებას პოეზიებში“ (გვ. 8)

ქართული თეატრის სათავეების შორეულ წახუტებში ძიებას ბევრი თეატრალი ამ რამდენიმე წლის წინათ, სკვბტიკურად უყურებდა, მაგრამ დღეს, თითქმის, სადაც აღარ უნდა იყოს იგი. ამ თვალსაზრისით პირველად დ. ქანელიძემ გამოკვლეა და შეცნობურად გააანალიზა უძველესი სახიობა.

დ. ქანელიძის შრავალ საყურადღებო გამოკვლევებს მისივე ახალი შრომად შეემატა. წიგნი „რუსთაველი და სახიობა“ ლოკალური გავრცელება ამ ფართოლანაირი კვლევა-ძიებისა, რომელსაც იგი იც წილზე შეტია ეწევა. ამ შრომას ძველი ქართული თეატრის ძირითადი პრობლემების სათავესთან მივყავართ.

თეატრი ოდითგანვე ხალხის განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის კერად იყო მიზნული. საუკუნეების მანძილზე მკვიდრდებოდა აზრი, რომ „თეატრი რაოდენაც არს უყუთეს, უგოდენ ვერი, ანუ საზოგადოება არს განათლებული“ (გ. ორბელიანი). თეატრის ამ დიდ მისიაზე მოვითხრობს „ვეფხისტყაოსანიც“.

როცა რუსთაველმა შარობა სიბრძნის დაზღვად მიიჩნია, იქვე განსაზღვრა „მესამე ლექსის“ ე. ი. დრამატული პოეზიის დანიშნულებაც.

„მესამე ლექსი კარგია სანადიროდ, საშლერლად... „მღერა“ კი ძველად თამაშობას ნიშნავდა. ხოლო რაც შეეხება „სამსიკოდ, სასალომოდ, „ამხანაგთა სათარველად“ თქმულს, იგი უფროდ კომედიის ენარზე უნდა მიგვანიშნებდეს. ქანელიძის აზრით ეს აგრეთვე იმას აუნიდა ნიშნავდეს, რომ ძველი ქართული დრამატული პოეზია ამ დროს შეიცავდა სატრფიალო, ვაშრობი და სატრიტიული ხასიათის ნაწარმოებებს“. რუსთაველის შიგრი დიფერენცირებული დრამატურგიული ენარება თანამედროვე ტერმინოლოგიით დაახლოებით ასე შეიძლება წარმოკვადგინათ: სატრფიალო (სა-

„შიკო“), ვოდველი, ან ფარტი (სასალომოდ) ხოლო სატრიტიული კომედია („ამხანაგთა სათარველად“), ენარების ამგვარი დაყოფა გვაძლევს იტყობინებს, რომ შესაძლოა რუსთაველი კარგად იცნობდა პლატონისა და არისტოტელის აზრს კომედიის შესახებ. ამ მოსაზრებას ზერტს უმავარებს თეიმურაზ მეორის „ვახაძეება რუსთაველთან“, თეიმურაზი რუსთაველს ათქმევინებს ფრანკს „ნათქვამს ბისტრეას ცრუობა“. ბისტრეა კი მე-12 საუკუნის შერაილი იყო. დიდი პოეტი მას „მესამე ლექსის“ შეერლად (ე. ი. დრამატურგიად) მიიჩნევს. სიტყვა „ბისტრეას ცრუობა“ რამდენადმე კომედიის არისტოტელესებურ განმარტებაზე მიგვანიშნებს. მისი აზრით „კომედია არის ასახვა მდარე აღმართებისა“.

„მესამე ლექსთან“ დაკავშირებით დ. ქანელიძე ერთ მეტად საინტერესო საკითხს აყენებს რუსთაველი კატეგორიულად ემიქნება მკითრე ფორმის დრამატულ შექრლობას. იგი მოითხოვს მონუმენტურ ფორმებს, ვამოდის მონუმენტური დრამატული ენარის აპოლოგეტად (ე. ი. საქმე ეხება ძირითადად ტრაგედიას). რუსთაველი იბრძვის სამდრალი ლექსის (დრამატული პოეზიის) „დაწერადნიშნებს, დაბიავების წინააღმდეგ“.

მონუმენტური, გმირული თეატრის პრობლემა ერთერთი უმთავრეს საკითხთგანია ქართული თეატრში. ჩვენი გმირული თეატრი ქართული ხალხისათვის, მისი ისტორიისა და ხასიათის ბუნებისათვის ყველაზე ორგანულ თეატრალურ ფორმად მიგვანჩია ისიც სადებრებელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს შეეძლო მონუმენტური თეატრის დამკვლის რაღონი გამოკვლეა, მაგრამ ვფიქრობთ ამ მხრივ ვერ ეადრე ბევრი რამ არის გასარკვევი არ ქვარა ბარტო იმის თქმა, რამ რუსთაველი სახიობაში მონუმენტური ენარების აღდგენაზე მიკვანიშნებსო როცა ამბობს „მოშირე არა ჰქვიან, ვერას იტყვას ვინცა ვრძელად“.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიდან“ ნათლად ირკვევა, რომ იმეამიწველ საქართველოში დიდად ვანიუარებულად ყოფილა სახიობა. იგი იბადებოდა და ვითარდებოდა ერთი მხრივ მუარ ეროვნულ ნიადაგზე და მეორეს მხრივ სხვადასხვა ქვეყნებთან დიდი კულტურული ერთობისათვის ცვალობაზე. ქართული ხალხი, ისე როგორც სლდები და მადრიალიური ცხოვრების სხვა დარგში, თეატრშიაც, ორგანულად იღებდა და ეროვნულ ნიადაგზე აფუქნებდა უცხოურიდან ყველაფერ იმას რაც კი მის სულთან იყო ახლო. მაშინდელი საქართველო დიდი თეატრალური შიძრამის ცენტრი იყო, საქართველოდან სავსატროლოდ მიდიოდნენ დასები, ხოლო საქართველოში „მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლი სულიერ-

დ. ქანელიძე „რუსთაველი და სახიობა“, ლტერატურა და ხელოვნება, 1967.

ნი, ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრავით, და მალბარბოზით, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით შეგვიპტუნენი“.

აქ რომ საქართველოში მოდიოდნენ რუსეთისა და საფრანგეთის, ეგვიპტისა და აზიანეთის, საბერძნეთისა და ინდოეთის სახიობნი. პოემის მიხედვით ამასაც ევებულობთ, რომ თეატრალური ელტურა უფრო მეტად იქ ვითარდებოდა სადაც ვაცხოველებული ვაჭრობა იყო. ქალაქებისა და სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების ევლობაზე იზრდებოდა სანახაობრივი ელტურაც.

დ. ჭანელიძე საგანგებო თავს უძღვნის „მნათობა საიდლებელ ცვალ ეფესისტყაოსანში“, მკლევარის აზრით „მნათობა თავუანისცემის დამახასიათებელი საფერხლო მისტიციების მთავარი თქმა უნდა უოფილიყო მთავარისა და შიშის დახმელება, როგორც ნათელი და მწელი ჭალებს ბრძოლის, მწვევე კონფლიქტების ამსახველი“ (გვ. 37). მნათობა საიდლებელი სახიობა-მისტიციები და სიმღერა-ფერხლები უძველეს დროიდან იღებს სათავეს და რუსთაველის პოემაშიაც ეროვნული წყაროების გზით შევიდა. პოემის მკლევართა დიდი ნაწილი წარსულში (თ. ბაგრატიონი, ზ. ავალიშვილი და სხვ.) ასტრალურ-მითოლოგიური სახეების საფუძველს უცხოურ სინამდვილეში ზედავდა. თანამედროვე რუსთაველოლოგების მსგავსად დ. ჭანელიძეც უარყოფს მას და წიგნის ზემოხსენებულ თავში საგანგებო ადგის უთმობს „შინაგანი წყაროებს“ ანალიზს. „რუსთაველს ასტრალური სახეები ქართულ ხალხურ წარმოდგენებში პოელომენ თავის სათავეს — დასაყვის იგი.

„ეფესისტყაოსანში“ დაცული კომიკური სცენის ვიზიონის ეძღვნება ნარკვევი „მწვენის მკლვა და სიცილი“. არის ამ შრომისა ის არის, რომ დ. ჭანელიძის მტყიცებით სიტყვას „საქმე“ პოემაში სანახაობრივი ტერმინის მნიშვნელობაც ენიჭება. უფრო ზუსტად, იგი ცალკეულ სცენის, ან ნაშრომს აღნიშნული უნდა იყოს.

„საქმე“, როგორც ძველი თეატრალური ტერმინი მინიშნებულია ძველ ქართულ თარგმნილ მწველში „სახიობა... საქმე არს მემღერთა მოციხეართა, ზემართა: ემკობესი არის მწვიართა დასერა პირისა, ვიდრე მისელა თეატრონითა და ხედვა და სწენა სიძვილთა საქმეთა“. („თქმული წმინდისა ბასილდს მემთვრალთა მიმართ და მემღერთა და მკობსანთა და გამცხრომელთა და ყოვლისა სახიობისა მოქმედთა“) „ეფესისტყაოსანში“ არის ასეთი სტრიქონებიც „ჩემსა სიმცროსა ვამზოდელნი სამუშაოთხედ მზრდიდნი მსამყელნის მათნი საქმენი მახლტუნებდინი, მწვართადინ“.

დ. ჭანელიძის წიგნის მეორე ნაწილს ჰქვია „თეატრი და სახიობა რუსთაველის ეპოქაში“.

თუ წიგნის პირველი ნახევარი უშეუღლოდ „ეფესისტყაოსანის“ თეატრალურ სამყაროზე მოგვითხრობს, მეორე ნაწილი რუსთაველის ეპოქის სამსახიობო ხელოვნების ენებს, როგორც ერთად ეს ამდოდრებს და აღრმავებს ჩვენს ცოდნასა და წარმოდგენას ძველ ქართულ თეატრზე.

დადგენილი ფაქტია, რომ რუსთაველის ეპოქაში დიდი წარმატება ჰქონდა სასახლის კარის სახიობას. სასახლის კარი — წერს ჭანელიძე — მფარველობას უწევდა რა ქართული სახიობის განვითარებას, ამასთანავე სარბიელს აძლევდა უცხოეთთან ნაშოსულ დასებს. ეს გარემო კარგად არის ასახული „ეფესისტყაოსანშიც“. სადაც რომსტევიან მეფის ბრძანებში, რომლითაც ის თონათონის გამეფებას იუწყებოდა, არც სახიობა შეშარულელები იყვნენ დაეიწყებულნი „სოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან“. რომ ამ შემსხმევაში ნაჯლოსმეგია, რომორც საკეთარი ტყუენის, ისევე უცხოეთიდან ნაშოსული დასები“. (გასტროლოგიათა შესახებ უკვე დაეიწმინთ პოემის სტრიქონებზე). სასახლის კარის სახიობაშითი ელტურის განვითარებას ხელს უწყობდა თამარ მეფე და ის საერთო ელტურული აღორბინება, რომლითაც ასე გამოირჩეოდა რუსთაველის ეპოქა. ამასთანავე დიდად განვითარდა სხვადასხვა ემრები. „სიმრავლენი სახიობათანი და ეულბლობანა მრავალგართა სახეობათანი ემის მუფყებელი იყო, რომ აღორბინებას ემრქმენი ქართულმა თეატრმა მრავალეფრობანი სამსახიობო ელტურა შექმნა. სანახაობებში მონაწილეობდნენ ნიღობანებიცა და ენიღობნიც.

მეექვსე მსოფლიო საეცლესიო სკოლის ვახჩინებამში, რომელსაც იმორწმებს დ. ქაშვილი, არის ერთი მეტად ნამაფიქრებელი სიტყვა: „ატრიკულუმს, ანუ მრგვალის მომეცლუმს, ანუ სიმღერით განმცხრომებურ... შეიშოსო პირი“. მაგრამ სახიობის ყველა შემსრულებელი როლი გამოდიოდა, როგორც ნიღობისანი, დასკენის განვლიძე ვფიქრობთ, რომ აქ უფრო დიდი საკითხია წამოჭრილი. საქმე მარტო ნიღობისობას არ უნდა ეხებოდეს. აქ ანტიკური თეატრის ქორაის პრინციპზე უნდა იყოს მიხიხნება. რა თქმა უნდა გადკრით თქმა ძნელა, მაგრამ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ აქ „მრგვალის მომეცლუმს“ (ე. ი. ქორაისმსგავსად) შეიშონენ მსახიობნი, რომლებიც ამასთანავე განცხრომით მღეროდნენ.

ქერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გამოკვლევნი ანტიკური საბერძნეთისა და უძველესი ქართული თეატრის ურთიერთობის სფეროდან. დასადაგენია კონკრეტულად თუ რა გავლენას ახდენდა ერთმანეთზე მათი ურთიერთობა. მაგრამ ის რაც დ. ჭანელიძემ გააცთა ამ მიმართულებით არ შეიძლება არ გახატებ-

დღო: წინამდებარე შრომის ღირსებაა ისიც, რომ იგი არ იფარგლება მარტო რუსთაველის პოეზითა და მისი ეპოქით, იგი ამასთანავე ძველ ქართულ თეატრის განვითარების სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებსაც ეხება. კერძოდ, სპეციალურ თავს უძღვნის „ანტიკურ გამოპაზილს“, აქ კერძოდ იხილავს ავთანდილის სიმღერის ხელოვნებას და ასკენის რომ იგი ამდღებელია საკაცობრიო დონემდგომ.

რუსთაველმა გვიჩვენა თუ რა დიდი მასშტაბებით ეწყობოდა სახალხო ზეიმი, ეწყობოდა (მაგ. ნესტან-დარეჯანის შობის დღესასწაულის აღწერა) ნიღბოსანთა წარმოდგენები. მთელი ეს თეატრალური სერობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ მას არ ჰყოლოდა უშუალო ორგანიზატორი და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა არ ჰქონოდა. იგი არ იყო მარტო სასახლის კარის კუთვნილება. ამიტომ მისი გამკვლეობა სამეფო მთავრობის წევრის ვაზირის — ჩუხჩარხის უფლებებში შედიოდა, ხოლო, როდესაც „თეატრალურ-საინახაობრივი დღესასწაული დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იღებდა, მაშინ მისი მოწესრიგებისათვის ზრუნავდა თამარ მეფის ისეთი ახლობელი და ნდობით აღჭურვილი პირი, როგორც იყო რუსუდან დედოფალი“.

წიგნში თეატრალური განათლების საკითხებიც არის განხილული. აქ საინტერესოა ის მომენტი, სადაც ძველი ფოლკლორული გადმოცემებისა და პოემაში დაცული ცნობების შედარების გზით ცდილობს ნათელყოფს თეატრალური განათლების ხასიათი რუსთაველს ეპოქაში. „ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირ არის ნა-

თქვამი: ქაქეთის ციხის აღების წინ ფრიადონი ტარიელს და ავთანდილს ეუბნებდა: „ჩვენსა ლეკურსა გამზარდელნი სამუშაითურა... წარღვიდეს მასწავლენეს მათნი საქმენი, მახლტუნებდინა მწვრთილიან“.

შრომში უფრო ვრცელად არის განხილული საინახაობრივი ნაგებობისა და საყარეო აღკავმულობის საკითხი XI-XII საუკუნეში. ბუნებრივია, რომ სამსახიობო ხელოვნების განვითარება უშუალოდ დაკავშირებული იყო საინახაობრივი ნაგებობის განვითარებასთან. იპოდრომებისა და სხვათა თეატრალური ხასიათის მშენებლობის შესახებ ბევრი ცნობებია მოძოვნეული შეათვლისა და მოსე ზონელის ნაწარმოებებში. ამას გარდა ძვირფასი მასალებია შემონახული დავით აღმაშენებელი ისტორიკოსის, ვახუშტის, ბასილ ზარზმელისა და სხვების შრომებში. მათი საშუალებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საინახაობრივ ნაგებობათა განვითარების მთელი პროცესი რუსთაველს წინა ეპოქიდან მოყოლებული მის შემდგომ პერიოდამდე.

დ. ქანელიძის ამ მრავალმხრივ საინტერესო წიგნში არის ერთი და იგივე ფაქტისა და დებულების გამეორების შემთხვევები, არის სადაო მოსაზრებანიც. წიგნი უფრო სრულყოფილი იქნებოდა, რომ მასში წარმოადგენილი ეოფილიყო ავტორის სხვა გამოცვლევები რუსთაველს პოემასთან დაკავშირებული, მაგრამ იმდენად დიდია წიგნის მნიშვნელობა და ავტორის მიერ ჩატარებული კვლევა რომ იგი „ვეფხისტყაოსნის“ თეატრმცოდნეობითი ძიების ყველაზე მნიშვნელოვან შენაშენად უნდა მივიჩნიოთ.

ზსნილ კიკნაძე

6142/99

0560 80 333.

ИНДЕКС
76125

«МН А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»